ძიებანი
საქართველოს არქეოლოგიაში



№ 17-18 2006

ძ ი ე ბ ა ნ ი

საქართველოს არქეოლოგიაში

ოთარ ლორთქიფანიძის
არქეოლოგიის ინსტიტუტის
ჟურნალი

№ 17-18

D Z I E B A N I

Journal of the Georgian Archaeology

Otar Lordkipanidze
Institute of Archaeology
Georgian Academy of Sciences

Tbilisi 2006 თბილისი

UDC (უაკ) 902(479.22)
ძ-531

საგამომცემლო საბჭო:

გელა გამყრელიძე (*თავმჯდომარე*)
დარეჯან კაჭარავა (*მოადგილე*)
გურამ კვირკველია
ბესარიონ მაისურაძე
ზურაბ მახარაძე (*მოადგილე*)
მედეა ნიორაძე

რედაქცია: **ბ. მაისურაძე** (*მთავარი რედაქტორი*),
გ. კვირკველია (*მოადგილე*), **დ. კაჭარავა, მ. კვაჭაძე,**
ზ. მახარაძე, დ. მინდორაშვილი, გ. ნიორაძე, ვ. სადრაძე,
მ. ჩარკვიანი (*მდივანი*)

Editorial Counsil:

***Prof. Dr.* Gela Gamkrelidze** (*Chairman*)
***Prof. Dr.* Darejan Kacharava**
***Prof. Dr.* Guram Kvirkvelia**
***Prof. Dr.* Besarion Maisuradze**
***Dr..* Zurab Makharadze**
***Prof. Dr.* Medea Nioradze**

Editors of the volume: **B. Maisuradze (*editor-in-chief*),**
G. Kvirkvelia, D. Kacharava, Z. Makharadze, D. Mindorashvili, G. Nioradze, V. Sadradze, M. Charkviani, M. Kvachadze

ISSN 1512-0589

© არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, 2006

შ ი ნ ა ა რ ს ი
C o n t e n t s

ოთარ ლორთქიფანიძე 75 5

ს ტ ა ტ ი ე ბ ი
A r t i c l e s

თ. მეშველიანი, ნ. ჯაყელი, ო. ბარ-იოზეფი, ა. ბელფერ-კოენი. კოტიას კლდის მღვიმე და პალეოლითელი ადამიანის პირველი სამარხი კავკასიაში 10

T. Meshveliani, N. Jakeli, O. Bar-Yosef, A. Belfer-Cohen. Kotias Klde Cave and the Palaeolithic man's first burial in Caucasus (Summary) .. ..

ს. ხარაბაძე. „ღვინის მსმელის“ ფიგურა სოფელ ინაშაურიდან (ვანის რ-ნი) 145
S. Kharabadze. Wine Drinker from Inashauri Village (Vani District) (Summary) 146
ნ. ძნელაძე. დემეტრეს კულტთან დაკავშირებული ტერაკოტული ფიგურები (ფიჭვნარსა და ციხისძირში აღმოჩენილი მასალის მიხედვით) 151
N. Dzneladze. Terracotta figures related to Demeter cult (according to materials found during Pichvnari and Tsikhisdziri excavations) (Summary) 154
დ. კასაბ ტეზგორი. არქეოლოგიური გათხრები სინოპის მახლობლად: ამფორების დამამზადებელი სახელოსნო დემირსიში 155
D. Kassab Tezgor. Excavations of the workshop of amphoras of Demirci, close by Sinope (Summary) 166
თ. თოდუა, მ. ბარამიძე. ტერაკოტული საკურთხეველი სოფელ კლდიდან 169
T. Todua, M. Baramidze. Terracotta Altar from the Klde Village (Summary) 172
ნ. მამაიაშვილი, ქ. ჯავახიშვილი. ადრეშუასაუკუნეთა ხანის სამარხი სოფ. დარჩეთიდან 175
N. Mamaiashvili, K. Javakhishvili. Early Mediaeval burial from the Village of Darcheti (Summary) 177
ი. ბერძენიშვილი. აფხაზეთის ანთროპომორფული სარკოფაგები 179
I. Berdzenishvili. The anthropoid sarcophagi In Abkhazia (Summary) 181
შ. ჩართოლანი. შუასაუკუნეების სვანეთის არქეოლოგიური რუკა 183
Sh. Chartolani. Archaeological Map of Mediaeval Svaneti (Summary) 201

ინტერდისციპლინარული გამოკვლევები
Interdisciplinar Studies

თ. კინწურაშვილი. მესხეთის შუაბრინჯაოს ხანის კერამიკის რენტგენოსტრუქტურული გამოკვლევა 204
T. Kintsurashvili. Radiostructural Study of Meskheti Pottery Dating from the Middle Bronze Age (Summary) 205
ქ. ლომოური. პალეანთროპოლოგიური კვლევის ძირითადი მიმართულებები და შედეგები (ჭორატის სამაროვნის მასალების მიხედვით) 211
K. Lomouri. The Principal Directions and Results of a Palaeoanthropological Study (According to the evidence of Akhaltsikhe-Chorati Necropolis) (Summary) 212
რ. ღამბაშიძე, გ. ტაბაღუა, ვ. ნიკოლაიშვილი, მ. ჯახუტაშვილი. არქეოლოგიურად პერსპექტიული უბნების შერჩევა გეოფიზიკური კვლევების ჩატარების მიზნით არაგვის ქვემო წელის აუზში 214
R. Gambashidze, G. Tabagua, V. Nikolaishvili, M. Jakhutashvili. Selection of archaeologically perspective districts in the lower section of basin River Aragvi with the view of geophysical researches (Summary) 218
ნ. ფოფორაძე, ი. ფარადაშვილი, დ. ახვლედიანი, ა. გასიტაშვილი. კერამიკის მინერალოგიური და პეტროგრაფიული კვლევა (ვანის მასალების მაგალითზე) 220
N. Poporadze, I. Paradashvili, D. Akhvlediani, A. Gasitashvili. Mineralogic and petrographic study of pottery (as exemplified by Vani archaeological material) (Summary) 222

ქრონიკა
Chronicle

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 2005 წელს 225
საველე ქრონიკა 231
შემოკლებათა განმარტება 238
Abbreviations 238

ავტორთა საყურადღებოთ 239

ოთარ ლორთქიფანიძე 75

გამოჩენილი ქართველი არქეოლოგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დამაარსებლის, აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 75 წლისთავს მიეძღვნება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო სესია, რომელიც გაიმართა 2006 წლის 31 იანვარს.

სესია გახსნა საქართელოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა თამაზ გამყრელიძემ. შესავალი სიტყვა წარმოთქვა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორმა ბესარიონ მაისურაძემ.

სესიის პროგრამაში იყო გურამ კვირკველიას მოხსენება „უახლესი აღმოჩენები ვანში“ და გელა გამყრელიძის მოხსენება „ნაოსნობა „კოლხეთის ზღვაში“ და ფასისი“.

მოგონებებით გამოვიდნენ დ. ბრაუნდი, ი. გაგოშიძე, რ. გორდეზიანი, ვ. ლიჩელი, ნ. ლომური, დ. მუსხელიშვილი, რ. რამიშვილი, კ. ფიცხელაური, ნ. ხაზარაძე, შ. ჩართოლანი, თ. ჩიქოვანი, ო. ჯაფარიძე, ვ. ჯაფარიძე.

გთავაზობთ ზოგიერთი გამოსვლის ტექსტს:

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე:

ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო კოლეგებო!

მაქვს პატივი გავხსნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო სესია, რომელიც ეძღვნება ცენტრის დამაარსებლის, გამოჩენილი ქართველი მეცნიერის აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 75 წლისთავს.

ბატონ ოთართან ჩვენ ერთად გავატარეთ ჩვენი ასპირანტურაში ყოფნის საუკეთესო წლები, ლენინგრადში, ერმიტაჟში, სადაც ბატონი ოთარი ეუფლებოდა კლასიკურ არქეოლოგიას, მე ძველ აღმოსავლურ ენებსა და ფილოლოგიას. სწორედ ამ დროიდან მოდის ჩვენი მეგობრობა, როგორც პიროვნული, ისე მეცნიერული, სანამ მიულოდნელმა სიკვდილმა უეცრად არ გამოგვაცალა ხელიდან ეს დიდი მეცნიერი და შესანიშნავი ადამიანი.

აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართული მეცნიერების ისტორიაში.

თ. ჩიქოვანი: ოთარ ლორთქიფანიძის საყოველთაო მეცნიერული აღიარების ერთ-ერთი მოწმე მეც ვიყავი. ეს მოხდა მოსკოვში. თუ არ ვცდები, მგონი 1962 წელი უნდა ყოფილიყო, დიმიტრი ულიანოვის ქუჩაზე მდებარე დიდ შენობაში, სადაც სამი სამეცნიერო დაწესებულება – ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტები იყო განთავსებული, საკავშირო სესია მიმდინარეობდა. არქეოლოგები მოხსენებებს მეორე სართულზე კითხულობდნენ. პროფ. ალ. რობაქიძემ მითხრა, ვინაიდან თავისუფლები ვართ, წავიდეთ, არქეოლოგებს მოვუსმინოთო. საკონფერენციო დარბაზის კარი ღია დაგვხვდა, მაგრამ დარბაზი ისე იყო გადაჭედილი, რომ შიგ შესვლა შეუძლებელი გახდა. იძულებული გავხდით კარებში დავმდგარიყავით. სხდომა ქართველებისადმი არც თუ კეთილგანწყობილ აკად. ბ. რიბაკოვს მიჰყავდა. კათედრაზე ოთ. ლორთქიფანიძე იდგა. დარბაზი სულგანაბული უსმენდა. და როდესაც მოხსენება დამთავრდა, ტაშმა იქუხა. ოთარის გამოსვლა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ბ. რიბაკოვმა თავი ვეღარ შეიკავა და ტაში ყველაზე მხურვალედ დაუკრა. ბ-ნი ალექსი მომიბრუნდა და მითხრა: დაიმახსოვრე, ეს ბიჭი ძალიან შორს წავაო. და მართლაც წავიდა. და მერე როგორი ნაბიჯებით! 39 წლისამ სადოქტორო დისერტაცია დაიცვა, რაც საბჭოურ არქეოლოგიურ მეცნიერებაში იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. როდესაც ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში არქეოლოგიურ ხელმძღვანელობაში კრიზისმა იმძლავრა, აკად. გ. მელიქიშვილმა იგი თავის მოადგილედ უყოყმანოდ დანიშნა და არქეოლოგიის კურატორობა ჩააბარა. იქიდან მოყოლებული ოთ. ლორთქიფანიძე ქართული არქეოლოგიის შეუცვლელი ლიდერი გახდა.

ოთარს არ სჩვეოდა ერთჯერადი წარმატებით დაკმაყოფილება. შეუპოვრად დაიწყო ზრუნვა დამოუკიდებელი არქეოლოგიური დაწესებულების ჩამოყალიბებაზე, რომელიც 1977 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გახსნით დაგვირგვინდა და დღეს უკვე მის სახელს ატარებს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ არა ბ-ნ გ. მელიქიშვილის მტკიცე მხარდაჭერა, ჩვენი დაწესებულების გახსა ალბათ საკმაოდ გაჭიანურდებოდა.

ჩვენი დაწესებულების ორგანიზაციულ-სტრუქტურული მოწყობა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებები ოთარს ცენტრის გახსნამდე ჰქონდა ჩაფიქრებული. არქეოლოგიური ცენტრის შექმნისთანავე იგი მყისვე შეუდგა თავისი გეგმის რეალიზაციას. ჩვენ არ შევუდგებით ყველაფრის იმის ჩამოთვლას რაც გაკეთდა, მაგრამ ერთს განსაკუთრებით გამოვყოფთ. ესაა ჯერ წყალტუბოს, ხოლო შემდეგ ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმები, რომლებიც ეტაპობრივი მოვლენაა, არა მარტო არქეოლოგიური თვალსაზრისით, არამედ საერთოდ ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში. ამ სიმპოზიუმებმა ქართულ არქეოლოგიას საერთაშორისო მასშტაბით გაუთქვა სახელი, ხოლო მისი სულის ჩამდგმელი ევროპაში ერთ ერთ ყველაზე წარმატებულ მეცნიერად იქნა აღიარებული. სულ ხუთიოდე წლის განმავლობაში იგი რამდენიმე ევროპული არქეოლოგიური ცენტრის წევრად აირჩიეს. ის შეყვანილ იქნა მსოფლიო რეზონანსის მქონე ისტორიულ-არქეოლოგიური ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში. შემდეგ ჰუმბოლტის პრემია... ასეთი საყოველთაო აღია-

რება შემთხვევით ანდა ვინმეს ფავორით როდი ხდება. ყოველივე ეს ოთ. ლორთქიფანიძის ნიჭის, ერუდიციის, მუხლჩაუხრელი შრომისა და კეთილგონიერების ლოგიკური შედეგი გახლდათ. ჩვენდა სამწუხაროდ ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო წრეებში აღიარებულ მეცნიერს სამშობლოში მოშურნეთა ერთმა ჯგუფმა აკადემიკოსობისაკენ მიმავალი გზა რამდენჯერმე ჩაუხერგა. მაგრამ, როგორც იტყვიან, „სამართალმა პური მაინც სჭამა“ და ოთარმაც, დაიკავა თავისი ღირსების შესაფერისი ადგილი.

ოთარი გულწრფელი და კეთილი ადამიანი იყო. შური და გაუტანლობა მისთვის ყოვლად მიუღებელ კატეგორიას წარმოადგენდა. ყოველი ქართველი არქეოლოგის წარმატებას საკუთარ გამარჯვებად აღიქვამდა. განა შეიძლება იმის დავიწყება, თუ რამდენ ახალგაზრდა არქეოლოგს მოუპოვა ევროპის სამეცნიერო ცენტრების სტიპენდია. ამ სტიპენდიანტებიდან უმრავლესობა დღეს უკვე მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები არიან.

სამეცნიერო პაექრობაში შეუპოვარი ოთარ ლორთქიფანიძე ცხოვრებაში თბილი და მიმტევებელი იყო. იგი ძალიან გულმოწყალე ადამიანი გახლდათ. შეიძლება ბევრმა არ იცოდეს თუ რამდენი შრომისუნარდაქვეითებული თანამშრომელი შეიფარა და ხელი გაუმართა. უფრო მეტიც, არც თუ იშვიათად მას შეძლებისდაგვარად მატერიალურადაც ეხმარებოდა.

ძნელია, მეტად მტკივნეულია წარსულში მოიხსენიო ძვირფასი ადამიანი, რომელთანაც რამდენიმე ათეული წელი მეგობრობა გაკავშირებდა. მაგრამ ჩვენ რა ძალგვიძს მოკვდავთ. ყველაფერი განგების ნებაა.

ი. გაგოშიძე: ძნელია ოთარ ლორთქიფანიძეზე წარსულ დროში ლაპარაკი და დროც ძალიან ცოტაა გასული მისი გარდაცვალებიდან, რომ მოგონებებით გამოვიდეთ მისი კოლეგები.

მოგონებებსაც ხომ გარკვეული დისტანცირება სჭირდება, დისტანცირება და თანაც გადარჩევა. გადასარჩევი კი ძალიან ბევრი გვაქვს: დღეს მოქმედ ქართველ არქეოლოგთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხომ მთელი ცხოვრება, როგორც არქეოლოგებმა, ბატონ ოთართან ერთად გავატარეთ.

მეც მათ შორის.

ოთარ ორთქიფანიძე ჩემი დირექტორი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ჩემი მასწავლებელი კი იყო.

ლენინგრადის ასპირანტურიდან დაბრუნებულმა, თბილისის უნივერსიტეტში თავისი პირველი სალექციო სპეცკურსი მან სწორედ ჩვენს ჯგუფს წაუკითხა.

ეს სრულიად განსაკუთრებული ლექციები იყო, უჩვეულო და ახლებური ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში. სტუდენტებს მეცნიერი-მკვლევარი გვესაუბრებოდა იმ საკითხებზე, რომელთაც იგი მაშინ, იმ მომენტში იკვლევდა. გვეუბნებოდა ისეთ რამეს, რასაც რომელიმე სახელმძღვანელოში ან სადმე წიგნში მაშინ ვერ წაიკითხავდი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჯერ გამოქვეყნებულიც არ იყო: ცოტა ხანში ოთარ ლორთქიფანიძემ საკანდიდატო დისერტაცია სწორედ იმ პრობლემატიკაზე დაიცვა, რომელიც ჩვენ ლექციებად წაგვიკითხა.

ასეთი ტიპის ლექციებით ჩვენ, სამწუხაროდ, განებივრებული არ ვიყავით და ვინ იცის, იქნებ ამ სალექციო კურსის დამსახურებაცაა ის, რომ იმ ჩვენი პატარა ჯგუფიდან ამდენი არქეოლოგი გამოვიდა, თუმცაღა ზოგიერთ მათგანს, მეც მათ შორის, იმ დროს უკვე გვქონდა მცირეოდენი საველე-არქეოლოგიური გამოცდილება.

ასე რომ მასწავლებლობა ოთარ ლორთქიფანიძემ ჩვენთან დაიწყო და იმას, რომ იგი ამ სფერშიც არაორდინალური ნიჭით იყო დაჯილდოებული, გვიჩვენებს ვანის ექსპედიციაში აღზრდილი მისი უშუალო მოწაფეების ბრწყინვალე პლეადა.

უნივერსიტეტის გარეთ ჩვენი ახალგაზრდა ლექტორი სულ სხვანაირი იყო: იგი ხომ თავის პირველ სტუდენტებზე მხოლოდ 3-4 წლით უფროსი იყო.

და რა დამავიწყებს იმ ორ დღეს, რომლებიც სტუდენტებმა მასთან ერთად გავატარეთ ექსკურსიაზე, თელავში, სადაც ჩვენი მასპინძელი ცისანა ჩიკოიძის მშობლების ოჯახი გახლდათ.

ღამით ბიჭები ტურბაზაში მოგვათავსეს და იქ ოთარ ლორთქიფანიძე საერთოდ ჩვენი ტოლი გახდა, ისე რომ, როდესაც მილიცია გამოიძახეს ჩვენ დასაშოშმინებლად, ტურბაზის ადმინისტრატორი აღშფოთებული ყვიროდა, სტუდენტებს რას ვერჩი, ლექტორებმა აგვიკლესო. მეორე ლექტორი ნოდარ ასათიანი იყო.

მერე ოთარ ლორთქიფანიძესთან ერთად მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში აღმოვჩნდი, ბატონ სანდროსთან. მცხეთამ ძალიან დაგვაახლოვა, ისე რომ მას შედმეგ „თქვენობით“ ერთმანეთისთვის აღარ მიგვიმართავს. მცხეთაში ოთარი სხვანაირი იყო, ლაღი და გახსნილი და ასე დამამახსოვრდა იგი.

შეიძლება, სხვა ექსპედიციებშიც იგი ასეთივე იყო, მაგრამ ჩემთვის, ეს ერთადერთი ექსპედიცია გამოდგა, სადაც მასთან ერთად ვიყავი.

თუმცა, არა! იყო კიდევ ერთი არქეოლოგიური ექსპედიცია, სადაც ოთარ ლორთქიფანიძე, მართალია, ჩემთან ერთად ფიზიკურად არ იმყოფებოდა, მაგრამ მისი ხსოვნა იყო ცოცხალი. ეს იყო ყირიმში, მირმეკიონში, სადაც მე აღმოვჩნდი პირველი ქართველი ოთარ ლორთქიფანიძის შემდეგ. ექსპედიციაში, რომელსაც ვიქტორ ფრანცევიჩ გაიდუკევიჩი ხელმძღვანელობდა. ყველას, ხელმძღვანელიდან დაწყებული რიგით წევრამდე, განსაკუთრებით ქალებს, ოთარის სახელი ეკერათ პირზე. ყველა მას დიდი სიყვარულით იხსენებდა და იმ სიყვარულის სითბო ჩემზედაც გადმოიტანეს. მგონი მეც არ შემირცხვენია იქ არც ჩემი თავი და არც ოთარ ლორთქიფანიძის სახელი.

ერთი კვირის წინ გარდაიცვალაა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოფილი რექტორი იოსებ ბუაჩიძე, რომელმაც 98 წლის ასაკში, გარდაცვალებამდე სამიოდე კვირის წინ, დაასრულა

და გამომცემლობას გადასცა თავისი ცხოვრების მთავარი სამეცნიერო ნაშრომი ბორჯომის წყლის შესახებ.

გასულ კვირას, მის გასვენებაში ოთარ ლორთქიფანიძეზე ვფიქრობდი, რომელიც ასე ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან. რა იქნებოდა, რომ მასაც დროულად გადაებარებინა სხვისთვის თავისი ადმინისტრაციული ფუნქციები და მთლიანად მეცნიერებაზე გადართულიყო? ვინ იცის, ასე რომ მოქცეულიყო, იქნება მაშინ მისი თანდასწრებით გვეზეიმა დღევანდელი იუბილე.

მაგრამ ასე რომ მოქცეულიყო, მაშინ ხომ ოთარ ლორთქიფანიძე სხვა უნდა ყოფილიყო, არა ისეთი, როგორსაც ვიცნობდით: დიდი მეცნიერი, მაგრამ, შეიძლება კიდევ უფრო დიდი ორგანიზატორი მეცნიერებისა, ვისთვისაც მისი შექმნილი არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, ვინ იცის, შესაძლებელია, უფრო ძვირფასიც კი იყო, ვიდრე პირადი წარმატებები არქეოლოგიაში.

ოთარ ლორთქიფანიძემ ხომ, როგორც დირექტორმა, სასწაული მოახდინა: იმ შავბნელ ათასწლეულში, როცა მთელი საქართველო დაინგრა და გაიძარცვა, როცა მეცნიერება საქართველოში სულს ღაფავდა, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი ერთადერთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება აღმოჩნდა, რომელმაც არა თუ შეინარჩუნა თავისი სამეცნიერო პოტენციალი, არამედ გაზარდა კიდეც იგი და წარმატებებს წარმატებებზე აღწევდა.

ვის შეუძლია შეიტანოს ეჭვი იმაში, რომ მთელი ეს წარმატებები სწორედ ცენტრის დირექტორის დამსახურებაა, შედეგია ოთარ ლორთქიფანიძის დიდი ორგანიზატორული ნიჭისა და მისი თავგანწირული შრომისა, შრომისა, რომელმაც, ვფიქრობ, შეიწირა კიდეც იგი.

რ. რამიშვილი: XX საუკუნის 50-იან წლებში ქართველ ისტორიკოსთა და არქეოლოგთა რიგები შეივსო ახალი ნაკადით, სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა ახალი თაობა კვლევა-ძიების სურვილით და ახალი იდეებით გამსჭვალული. მათ შორის განსაკუთრებული ნიჭითა და საფუძვლიანი განათლებით გამოირჩეოდა ორი პიროვნება, რომელთაგან ერთი დღეს ხელმძღვანელობს უზარმაზარი ტრადიციების მქონე ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტს, ხოლო მეორე – სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე წარმატებით ედგა სათავეში მის მიერვე დაარსებულ არქეოლოგიური კვლევის ცენტრს და სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან საქმის უზადო ცოდნით, გამჭრიახობით და დაუღალავი შრომით სათავე დაუდო სრულიად ახალ, თვისობრივად განსხვავებულ ეტაპს ქართულ არქეოლოგიაში.

ოთარ ლორთქიფანიძის სიძლიერე, პირველ რიგში, გამოიხატებოდა იმაში, რომ იგი ერთნაირად წარმატებული იყო, როგორც პრაქტიკულ საქმიანობაში, ასევე თეორიული მომზადების დონით. ამასთანავე, იგი დაჯილდოებული იყო უცხო ენების დაუფლების განსაკუთრებული ნიჭით, რაც შემდგომში ბრწყინვალედ გამოიყენა თავის სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში.

ჯერ კიდევ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჩამოყალიბებამდე, როდესაც ოთარი სათავეში ჩაუდგა ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციას, მან მნიშვნელოვნად გააფართოვა ამ უნიკალური არქეოლოგიური ძეგლის კვლევა. ძირეული გარდატეხა შეიტანა უკვე მოპოვებული მასალების გამოქვეყნების საქმეში. ამასთანავე ვანის ექსპედიცია ოთარ ლორთქიფანიძემ აქცია არა მარტო საველე სამუშაოთა რაციონალური მართვის მისაბაძ მაგალითად, არამედ ერთგვარ სკოლად, სადაც მიზანდასახულად შემოიკრიბა არქეოლოგიით დაინტერესებული თაობა, რომლებიც ექსპედიციის ხელმძღვანელის ყოველდღიური მზრუნველობით ჩინებულად მოემზადნენ დიდ სამეცნიერო ასპარეზზე გასასვლელად. დღეს ვანის „არქეოლოგიური სკოლის“ წარმომადგენლებს თავიანთი წარმატებული სამეცნიერო და ორგანიზაციული საქმიანობით უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვთ აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მაგრამ ვანის, როგორც საოცარ აღმოჩენათა უშრეტი წყაროს, მნიშვნელობა ამით არ ამოიწურებოდა. ამ საქვეყნოდ გახმაურებული ძეგლის ბაზაზე მან საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო სიმპოზიუმებს, რისი მეშვეობითაც უმჭიდროესი კავშირი დაამყარა ევროპელ მეცნიერებთან და სამეცნიერო ცენტრებთან. უცხოელი მეცნიერების ცხოველ ინტერესს ამ სიმპოზიუმებზე ვანის სიძველეებთან ერთად იწვევდა ოთ. ლორთქიფანიძისა და მისი მოწაფეების მაღალი მეცნიერული დონე და გულითადი მასპინძლობა. ოთარი პირველი ქართველი მეცნიერია, რომელმაც ამ კონტაქტების მეშვეობით სარკმელი გაჭრა ევროპის სამეცნიერო ცენტრებისაკენ. XX საუკუნის 70-იანი წლებისათვის ეს იყო გმირობის ტოლფასი ქმედება. დღეს დასავლეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში წარმოუდგენლად მეტი იციან საქართველოს წარსულის შესახებ, ვიდრე ოდესმე. ამას განაპირობებდა ოთარ ლორთქიფანიძის მიერ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი ნაშრომები, მისი ინიციატივით მოწყობილი არქეოლოგიური გამოფენები, ვანის მუდმივმოქმედი სიმპოზიუმები და მისი მოწაფეების ძალისხმევა, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ ამაგდარი მასწავლებლის, ჰუმბოლტის სახელობის პრემიის ლაურეატის, ოთ. ლორთქიფანიძის დაწყებულ საქმეს.

ოთ. ლორთქიფანიძე დასავლეთ ევროპის სამეცნიერო ცენტრების გარდა საგანგებო ყურადღებას აქცევდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების, განსაკუთრებით ირანისა და თურქეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან კონტაქტების დამყარებასაც.

საერთო ჯამში ცენტრის „საგარეო პოლიტიკა“ წარმოებდა კარგად მოფიქრებული გეგმით, რისი განხორციელებაც გარე სამყაროსაგან

მრავალწლიანი იზოლაციის შემდეგ, სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო იმ დარგის შემდგომი განვითარებისათვის, რომელსაც ჩვენ ყველანი ვემსახურებით. ამ გეგმის შესრულების ერთ-ერთი მეტყველი მაგალითია მის მიერ ორგანიზებული კონფერენციები თემაზე „გარესამყარო და საქართველო," რომელიც იმედია, მომავალშიც არა ერთხელ ჩატარდება.

ახლად დაარსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მართვა, რომლის წიაღშიც 300-მდე თანამშრომელი ეწეოდა საქმიანობას, არ იყო ადვილი. მაგრამ მიუხედავად თავზე საყრელი ორგანიზაციული ხასიათის საქმეებისა, რაც ყოველდღიურად ითხოვდა შეუნელებელ ყურადღებას და დიდ ძალისხმევას, ოთარ ლორთქიფანიძე მაინც ახერხებდა ყოფილიყო უაღრესად ხელხვავიანი მკვლევარი და დროის რაციონალურად გამოყენების დიდოსტატი, ამაზე მეტყველებს მის მიერ ქართულ და უცხო ენებზე გამოქვეყნებული 20-მდე მონოგრაფია და 200-ზე მეტი ნაშრომი. მახსენდება მის მიერ დროის ყაირათიანად გამოყენების ერთი მაგალითი, როდესაც იგი მუშაობდა სადოქტორო დისერტაციაზე 1964-65 წლებში. არქეოლოგიის განყოფილება იმხანად მდებარეობდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობაში, დიდ ოთახში, სადაც თითქმის თანამშრომელთა უმრავლესობა ეწეოდა საქმიანობას და სადაც იდგა ოთარის საწერი მაგიდა, მუდამ სავსე მუზეუმის ბიბლიოთეკიდან გამოტანილი წიგნებით. თითქოს ყოველ დღე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ოთარი დილით ძალიან ადრე მოდიოდა სამსახურში და დღის 12 საათის მერე, როდესაც განყოფილების თანამშრომლები თანდათანობით იკრიბებოდნენ სამსახურში, იგი უკვე მუშაობით დაღლილი წყვეტდა საქმიანობას. ცოტა ხნით ჩაერთვებოდა საერთო ჟრიამულში და მერე გაეშურებოდა ბიბლიოთეკისაკენ სახვალიოდ საჭირო ლიტერატურის გამოსატანად.

მიუხედავად მუდმივი მოუცლელობისა, იგი ყოველთვის პოულობდა დროს მეგობრებთან ურთიერთობისათვის. ამ დროს იგი იყო ხალისიანი, კეთილგანწყობილი, იუმორით აღსავსე, დიდი დამფასებელი ძმაკაცური ურთიერთობების, ქართული სუფრის და პურ-ღვინის. ეს თვისებები განსაკუთრებით რელიეფურად იკვეთებოდა ექსპედიციებში ყოფნის დროს, მაგრამ არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, როდესაც იგი ეწეოდა დირექტორის მძიმე უღელს, იყო უაღრესად საქმიანი, მომთხოვნი და ზოგჯერ მკაცრიც. მიუხედავად შინაგანი სიკეთისა, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, არც თუ იშვიათად შეეძლო ეთქვა სიტყვა „არა", რაც დამერწმუნეთ, არც ისე ადვილი სათქმელია, მეგობართა და დიდი ხნის თანამშრომელთა წრეში. საიუბილეო დღეებში დაბადებიდან 75 წლისთავთან დაკავშირებით, ბევრი რამ ითქვა ოთარის კეთილ თვისებათა შესახებ, იმ დამსახურებაზე, რაც მას მიუძღვის ქართული არქეოლოგიური მეცნიერების და, საერთოდ ისტორიოგრაფიის წინაშე. ამასთან დაკავშირებით მე მსურს ორიოდე სიტყვით შევეხო მისი საქმიანობის ერთ მეტად მნიშვნელოვან მხარეს, კერძოდ იმ პროგრამებს, რომელიც მან შესთავაზა ცენტრის სამეცნიერო საბჭოს და თანამშრომლებს.

პირველ რიგში ესაა საქართველოს არქეოლოგიის მრავალტომეულის შექმნის იდეა, რაც სამეცნიერო საბჭოს მიერ ერთხმად იქნა გაზიარებული. ამჟამად ხსენებული პროგრამით, მხოლოდ ორი ტომია გამოქვეყნებული. როგორც მასთან პირადი საუბრიდან ვიცი, ჩვენი დირექტორი გულისხმობდა ამ კაპიტალური ნაშრომის 8 ტომად გამოცემას, თუმცა, თუ საჭიროება მოითხოვდა, მათი რიცხვი შესაძლოა გაზრდილიყო კიდეც. სამწუხაროდ, ამ მეტად საჭირო პროგრამის სრულად განხორციელება მის სიცოცხლეში ვერ მოესწრო და ვფიქრობ, ჩვენი სამეცნიერო კოლექტივის საპატიო მოვალეობაა მომდევნო წიგნების დროული გამოქვეყნება. ამ პროგრამასთან დაკავშირებით ცენტრის მედიევისტებს ძალა შესწევთ უმოკლეს დროში მოამზადონ მრავალტომეულის გეგმით გათვალისწინებული ბოლო ორი წიგნი, რომელთაგან ერთი მიეძღვნება ადრე შუასაუკუნეთა ხანის არქეოლოგიის საკითხებს, ხოლო მეორე კი განვითარებულ და გვიან შუასაუკუნეებს.

კიდევ ერთი უზარმაზარი პროექტი, რომლითაც ოთარი არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დაარსებისთანავე სერიოზულად იყო დაინტერესებული, არის არქეოლოგიური ატლასის მომზადება გამოსაცემად. იგი კარგად გრძნობდა ამ ჩანაფიქრის განხორციელების სირთულეს, მაგრამ იმედი ჰქონდა ცენტრის მაღალკვალიფიციური თანამშრომლებისა. ამ მიმართულებით სადღეისოდ ცენტრის ცალკეულ განყოფილებებში უზარმაზარი სამუშაოებია განხორციელებული, მაგრამ პროექტის დასრულებამდე კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ არა ერთხელ გვისაუბრია და მას ამ ეტაპზე შესაძლებლად მიაჩნდა წინასწარ შემუშავებული სქემით ცალკეული „რვეულების" გამოცემა, სადაც საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილი იქნებოდა არქეოლოგიური მასალების ცალკეული სახეობები, მაგალითად: სამაჯურები, მშვილდსაკინძები, ბეჭდები, მინა წინაქრისტიანულ ხანაში, მინა და მინის წარმოება შუასაუკუნეებში, თოხები, მახვილები, სატევრები, თავდაცვითი საჭურველი, მოჭიქული კერამიკა, ქვევრები და ასე შემდეგ. ანალიზური, და ზოგ შემთხვევაში, სინთეზური რუკების თანხლებით. ამ რვეულების ერთობლიობა მისი წარმოდგენით შექმნიდა ცალკეულ წიგნებს, მაგალითად: იარაღ-საჭურველი ბრინჯაოს ხანაში, რკინის საბრძოლო საჭურველი წინაქრისტიანულ ხანაში, შრომის იარაღები შუასაუკუნეებში და სხვა მრავალი, ამ შემთხვევაში სათანადო სინთეზური რუკებით.

ამ ურთულესი პროექტის დასრულება, თუ ცენტრის დღევანდელი ხელმძღვანელობა შესაძლებლად მიიჩნევს, საშურია, რადგანაც მისი

ბოლომდე მიყვანა შესაძლებლად მიმაჩნია იმ სამეცნიერო ძალებით, რომლებიც სადღეისოდ ცენტრს მრავლად გააჩნია. 10-15 წლის შემდეგ ამ პროექტის განხორციელებაზე ოცნებაც კი შეუძლებელი იქნება, რადგანაც თაობათა ცვლა სადღეისოდ შეჩერებულია.

კიდევ ერთი პროექტი, რომლის განხორციელებაში ოთ. ლორთქიფანიძე უშუალო მონაწილეობას იღებდა, გახლავთ არქეოლოგიური ლექსიკონი. საბედნიეროდ, კარგად ილუსტრირებული ეს წიგნი უკვე მზადაა გამოსაცემად და იმედია მისი გამოქვეყნება აღარ გადაიდება.

დამთავრებული და გამოსაცემად გამზადებულია კიდევ ერთი პროექტით გათვალისწინებული „ქართლის ცხოვრების" ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი", რომლის გამოცემა ოთ. ლორთქიფანიძეს ძალზე საჭიროდ მიაჩნდა. საგანგებო ჯგუფმა გ. გამყრელიძის ხელმძღვანელობით, რომელიც შეიქმნა მისი ინიციატივით, პირნათლად შეასრულა დაკისრებული სამუშაო და იმედია დღეისათვის მის გამოცემას აღარაფერი შეუშლის ხელს.

ოთ. ლორთქიფანიძეს კიდევ არა ერთი ჩანაფიქრი გააჩნდა, რაც ქართული არქეოლოგიის შემდგომ დაწინაურებას შეუწყობდა ხელს, მაგრამ გაუთვალისწინებელმა შემთხვევამ ხელიდან გამოგვაცალა ჯერ კიდევ ჭარმაგი და ენერგიით აღსავსე ხელმძღვანელი.

შუასაუკუნეთა ხანის არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომლები 2006 წელს შეეცდებიან ხორცი შეასხან ოთარის ერთ-ერთ ბოლო სურვილს, რომ დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე ჩატარებულიყო კონფერენცია თემაზე: „რეგიონალური კვლევის შედეგები საქართველოში." ამ მიმართულებით ცენტრის წიაღში ბევრი რამაა გაკეთებული და ოთარ ლორთქიფანიძის ამ სურვილის ხორცშესხმით ჩვენ პატივს მივაგებთ მის ნათელ ხსოვნას.

თენგიზ მეშველიანი, ნინო ჯაყელი, ოფერ ბარ-იოზეფი, ანა ბელფერ-კოენი

კოტიას კლდის მღვიმე და პალეოლითელი ადამიანის პირველი სამარხი კავკასიაში

კოტიას კლდე მდებარეობს ჭიათურის რ-ნის სოფ. სვერში, მანდაეთის პლატოზე, საძალიხევის ხეობაში. ეს არის კარსტული მღვიმე, მისი სიგანე 24 მ-ია, სიმაღლე 8 მ (სურ. 1). მღვიმის ჩრდილოეთ ნაწილში დაფიქსირებულია გალერეა, რომლის სიგრძე ჯერ-ჯერობით დაუდგენელია.

სურ. 1



სურ 2

1968 წ. სოფ. სვერის მკვიდრმა, კონსტანტინე ცუცქირიძემ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადასცა ქვის მასალის პატარა კოლექცია და ხელნაწერი დღიური, სადაც აღწერილია მღვიმის ეთნოგრაფიული მიმოხილვა, მისი ისტორია (ეს დღიური მუზეუმში ვეღარ მოვიძიეთ, მაგრამ სოფ. სვერის სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია ამავე პიროვნების დღიური, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, იგივეა). იმ პერიოდში ჭიათურის რ-ნში ინტენსიურად მუშაობდა საქართველოს სახ. მუზეუმის ყვირილის აუზის არქეოლოგიური ექსპედიცია ბ-ნ დ. თუშაბრამიშვილის ხელმძღვანელობით, და როგორც ეს მუზეუმის ანგარიშებიდან ჩანს [1, გვ. 10; 2, გვ. 7], დ. თუშაბრამიშვილმა გარკვეული სამუშაოები ჩაატარა მღვიმეში და ძეგლი ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანას მიაკუთვნა.

მრავალი წლის შემდეგ, ქვის ხანის ფონდში დაცული ამ პატარა კოლექციით დავინტერესდით და 2001 წ. პირველად მოვინახულეთ მღვიმე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ჭიათურის საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია, ხელმძღვანელი თ. მეშველიანი, 1996 წლიდან მუშაობს ამ რეგიონში, კერძოდ ძუძუანის მღვიმეში. ჩვენი მთავარი მიზანია დადგინდეს *Homo Sapiens Sapiens*-ის განსახლების გზები და დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითის თავისებურებები [3, გვ. 129-143; 4, გვ. 79-86]. აღსანიშნავია, რომ ძუძუანის მღვიმის გათხრებისას გამოიყენება თანამედროვე მეთოდები და გვაქვს საკმაო რაოდენობის რადიოკარბონული თარიღები. მასალის ტიპოლოგიური შესწავლის საფუძველზე შევძელით გამოგვეყო დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითური ინდუსტრიის საფეხურები, რაც ასევე დამათარიღებელია სხვა ძეგლებისათვის.

ახალი თარიღების მისაღებად და ქვის ინდუსტრიის საკვლევად, 2003 წელს კოტიას კლდის მღვიმეში გაკეთდა საძიებო ჭრილი, გაითხარა ერთი I_{10} კვადრატი, 60 სმ. სიღრმეზე. წინასწარული მონაცემებით, აქ აღმოჩენილი მასალა ტიპოლოგიურად ძუძუანის ზედაპალეოლითური ფენის თანადროული ან მისი გაგრძელებაა.

2004 წელს ექსპედიციამ გადაწყვიტა გაეფართოებინა სამუშაოები "კოტიას კლდეში". გაითხარა 9 კვადრატი (I_{8-10}, J_{8-10}, K_{9-10}, H_9). განათხარი სიღრმეები ნულოვანი წერტილიდან მერყეობს – 260-385 სმ-ით. მიწა, რაღა თქმა უნდა, ირეცხებოდა.

სურ. 3

მღვიმის სტრატიგრაფია ასეთია: ფენა A – 30-50 სმ სისქისაა, რომელიც შევსებულია მღვიმის ჭერიდან ჩამოცვენილი სხვადასხვა ზომის ქვებით (ცხელი და მშრალი კლიმატური პირობებისა და გამოქარვის შედეგი) (იხ. სურ. 1).

ამ ფენაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ძირითადად, ადგილობრივი ადრე ნეოლითურია – დამახასიათებელი ქვის ინდუსტრიით, განივი შუბის პირებით – ტრაპეციებით (ძალიან წააგავს დარკვეთის ეხის მასალას) [3, ტაბ. II-VI]. ამასთანავე, ფენაში ფიგურირებს ენეოლითური და ადრებრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი.

ფენა B – თიხნარი, ცხიმოვან თიხნარამდე, კირქვის ღორღით. ამ ფენაში გამოიყოფა იატაკის სამი დამწვარი დონე. მეორე დონის ქვეშ აღმოჩნდა სამარხი (სურ. 2). სამარხი ეკუთვნის ზრდასრულ მამაკაცს. სამარხი კარგადაა "ნაგები", იატაკი, სადაც ადამიანია დასაფლავებული ქვებითაა მოკირწყლული. თავი გარშემორტყმულია ბრტყელი, ნათალი ქვებით, რომელიც ვერტიკალურადაა ჩასმული, ჩონჩხი ეტყობა მოგვიანებით დაფარეს ქვებით, რამაც გამოიწვია ზოგიერთი ძვლის დაზიანება (სპეციალისტები უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებენ ჩონჩხის დაწვრილებით აღწერილობას და შესწავლის შედეგებს). ნაყარი ქვების თავზე, როგორც აღვნიშნეთ, გადამწვარი ფენაა, უფრო სწორედ, კერიის ნაშთები, რომელიც თითქოს ხურავს სამარხს. რადიოკარბონული თარიღების მისაღებად, ჩონჩხიდან აღებულია ნახშირის ოთხი ნიმუში. ჩონჩხს კისრის არეში ჩარჭობილი ჰქონდა ცხოველის ძვალი, პირში კი კაჟის იარაღი ედო. შეიძლება საქმე გვაქვს ხელმეორედ დამარხვის ან კიდევ მსხვერპლთშეწირვის რიტუალთან. ვედბიკის, დანია, მეზოლითური ხანის სამაროვანზე, რომელიც დათარიღებულია ძვ.წ. 4800 წ. დაფიქსირებულია კოლექტიური სამარხი, დასაფლავებულია ქალი, მამაკაცი და ბავშვი. კაცს კისერში, ლავიწის ძვალთან, ისევე როგორც კოტიას მიცვალებულს, ჩარჭობილი აქვს ძვლის წვეტანა [6, გვ. 139]. კოტიას კლდის მიცვალებული წევს S-N ორიენტაციით ზურგზე, ნახევრად მარცხნივ გადახრილი, ხელები მუცლის ქვევით აქვს დაწყობილ-გადაჯვარედინებული, თავი – მარცხნივ მიბრუნებული (ანდა ქვების დაწყობის შემდეგ ქალამ შეიცვალა პოზიცია). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კავკასიის ტერიტორიაზე ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც აღმოჩნდა პირველყოფილი ადამიანის სამარხი.

ფენა B და მისი სამივე დონე მდიდარია არქეოლოგიური მასალით. ამ ფენიდან წინა წელს მიღებული აბსოლუტური თარიღი ძვ.წ. 11.500 წელია. მიმდინარე წელს ჩატარებული მცირე არქეოლოგიური გათხრებიდან გამომდინარე, მასალაც ცოტაა, მაგრამ ძალიან საინტერესო. იარაღის დასამზადებლად კოტიას კლდის მკვიდრნი ძირითადად იყენებდნენ ადგილობრივ კაჟს, რადიოლიტს, ასევე ბევრია ობსიდიანისაგან დამზადებული იარაღები. ის ფაქტი, რომ ნუკლეუსები და ნუკლეუსის დამუშავებისას მიღებული ანატკეცები მცირე რაოდენობითაა ნანახი, მიუთითებს იმაზე, რომ აქ ადამიანი უკვე გამზადებული იარაღით მოდიოდა, შეიძლება არც კი ცხოვრობდა და მარტო რიტუალების ჩასატარებლად სტუმრობდა მღვიმეს. ძალიან ბევრი არტეფაქტი დამწვარია და ემჩნევა ხელახალი გამოყენების კვალი. ამ ძეგლისათვის დამახასიათებელი იარაღია ორმხრივი, ქერცლისებურ რეტუშიანი სამკუთხედები (ტაბ. I), გატეხილი, ზურგდაბლაგვებული მიკროლამელები, ზოგიერთ მათგანის სიგანე 2 მმ არ აღემატება. (ტაბ. III). კიდევ ერთი საინტერესო იარაღის ტიპია შემღწევი, ურთიერთსაწინააღმდეგო რეტუშით დამუშავებული სქელი ლამელები. (ტაბ. II_{1-4}, სურ. 3).

სურ. 4

ძვლის იარაღები ჯერ-ჯერობით ცოტაა აღმოჩენილი, მათ შორის აღსანიშნავია ირმის რქისაგან დამზადებული სახელური, მახათი და სახვრეტი, ნემსის წვერები (სურ. 4); ხუთი ცალი 3-4 მმ დიამეტრის პატარა მძივი, რომელიც კირქვისაგანაა დამზადებული (სურ. 5).

ფაუნისტურ მასალაში უნდა აღინიშნოს დათვის, გარეული თხის, ირმის, პატარა ზომის მტაცებლების და მღრნელების ძვლების არსებობა.



სურ. 5

ასეთია, მოკლედ, „კოტიას კლდეზე“ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების წინასწარული მონაცემები. ძეგლი უდაოდ საინტერესოა, საჭიროებს შემდგომ კვლევა-ძიებას, და, ალბათ, ბევრ ისეთ კითხვაზე გაეცემა პასუხი, რომელიც აქამდე გადაუჭრელი იყო.[1]

T. Meshveliani, N. Jakeli, O. Bar-Yosef, A. Belfer-Cohen

KOTIAS KLDE CAVE AND THE PALAEOLITHIC MAN'S FIRST BURIAL IN CAUCASUS

(Summary)

Kotias Klde is situated in Chiatura region, West Georgia. It is a site with two archaeological leyers, A –Mezolithic (early Neolithic), B – the late Upper Paleolithic. In the layer B was discovered the burial with a well structured grave. Leyer B is dated 11.500 B.P. It is for the first time that the burial of Palaeolithic period is discovered on the territory of the Caucasus.

The lithic industry is very interesting with several distinctive tool types as the scalene triangles shaped by bi-polar retouch, broken baked bladelets, some very thin and thick blades with invasive, inverse retouch.

Among bone tools it is significant to note a handle made of red deer antler and some point tips. Another interesting finds are several beads made of limestone.

ლიტერატურა

1. **თუშაბრამიშვილი დ.** ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 1986-1969 წლების ანგარიში. – სსმაე, II, 1971. გვ. 3-11.

2. **თუშაბრამიშვილი დ., ნებიერიძე ლ.** ყვირილის ხეობისა და ცუცხვათის არქეოლოგიური ექსპედიციების 1970-1971 წლების ძირითადი შედეგები. – სსმაე, III, 1974, გვ. 5-13.

3. **ნებიერიძე ლ.** დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. თბ., 1977.

4. **Meshveliani T., Bar-Yosef O., Belfer-Cohen A.** The Upper Paleolithic in Western Georgia. – The Early Upper Paleolit beond Western Europ. University of California Press, 2004, pp. 129-143.

5. **Meshveliani T., Bar-Yosef O., Belfer-Cohen A., Jakeli N., Kraus A., Lordkipanodze D., Vekua A.** Excavations at Dzudzuana Cave, Western Georgia (1996-1998). Preliminary results. – Préhistoire Européene, 15, 1999, pp. 79-86.

6. **Douglas Price T., Feinman G. M.** Images of the Past. Mayfield Publishing Company, 1997.

სურათებისა და ტაბულების აღწერილობა[2]

სურ. 1 – კოტიას კლდის მღვიმის საერთო ხედი.

სურ. 2 – სამარხი პრეპარაციის შემდეგ.

სურ. 3 – კოტიას კლდის დამახასიათებელი ქვის მასალა.

სურ. 4 – კოტიას კლდის ძვლოვანი მასალა.

სურ. 5 – კირქვის მძივები.

ტაბ. I – 1. ლამელა, რეტუშირებული, ორივე ბოლო მოტეხილი. მარჯვენა გვერდზე ორი ანკოშით; 2-10. ტრაპეციები; 11-12. საფხეკები მაღალი სამუშაო პირით; 13. საჭრისი მასიურ ანატკეცზე, თავრეტუშირებული; 14 ლამელა; 15. რიყის ქვის საჩეხი იარაღი.

ტაბ. II – 1-4. რეტუშირებული სქელი ლამელები ურთიერთსაწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე შემღწევი რეტუშით; 5-10. საფხეკები; 11. სახვრეტი; 12, 15. თავრეტუშირებული საჭრისები; 13. ნუკლეუსი-საფხეკი; 14 ნუკლეუსი.

ტაბ. III – 1-8. ზურგდაბლაგვებული წვეტანები; 9-10. სამკუთხედის ფორმის მიკროლამე-

[1] მადლობას ვუხდით პრეისტორიის შემსწავლელ სკოლას (ჰარვარდის უნივერსიტეტის ფიბოდის მუზეუმს და მის ფონდს), გეოგრაფიის ნაციონალურ საზოგადოებას (ვაშინგტონი), ლ. ს. ბ. ლიკის ფონდს (სან-ფრანცისკო) და ვერნერ-გრენის ანთროპოლოგიური კვლევის ფონდს (ნიუ-იორკი), რომელმაც დაფინანსა გათხრები და თანამშრომლობა გაგვიწია სამეცნიერო კვლევაში, საქართველოს სახ. მუზეუმის დირექტორს დ. ლორთქიფანიძეს დახმარებისათვის, ე. ქორიძეს კერამიკული მასალის შესწავლისათვის და ე. ღუდუშაურს გათხრებში მონაწილეობასა და ტექნიკური დახმარებისათვის, გ. კილაძეს, თ. ჯაშაშვილს ანთროპოლოგიური სამუშაოების ჩატარებისათვის, სოფ. სვერის სკოლის ისტორიის მასწავლებელს თ. ცუცქირიძეს და მის მოსწავლეებს გათხრებში მონაწილეობისათვის.

[2] ტაბულები შეასრულა ო. ბარ-იოზეფმა

ლები; 11-15. ზურგდაბლაგვებული მიკროლამე-ლები; 16-17. დანები ხელოვნური ზურგით; 18-19. თავრეტუშირებული ლამელები; 20. ზედაპალე-ოლითური, ორინიაკული ლამელა.

Description of the plates and the figures

Fig. 1 – Kotias Klde cave, general view.
Fig. 2 – The grave after cleaning.
Fig. 3 – Lithic industry from Kotias Klde.
Fig. 4 – Bone tools from Kotias Klde.
Fig. 5 – Limestone beads.

PlateI – 1. retouched blade broken on both ends, with notches on the right edge, 2-10 trapezes, 11-12 end scrapers with high working edge, 13 burin on thick flake, truncated, 14 blade, 15 chopping tool

Figure II 1-4 bilaterally retouched thick blades on two edges, 5-10 end scrapers, 11 borer, 12 and 15 truncated burins, 13 nucleiform scraper, 14 core

Figure III 1-8 backed points, 9-10 triangular form bladelets, 11-15 backed blade lets, 16-17 knifes, 18-19 truncated blades, 20 U.P., aurignacian blade.

ტაბ. I




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
0
2

ტაბ. III



მანანა გაბუნია

ჭორატის ქვედაპალეოლითური ღია ადგილსაპოვებელი

ქ. ახალციხის სამხრეთ-დასავლეთით 12 კმ-ის დაშორებით, ერუშეთის ვულკანური მთიანეთის დასავლეთი ფერდობის ძირში, მდებარეობს ქ. ვალე. ის გაშენებულია მდ. ფოცხოვის (მდ. ქვაბლიანის მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე, ამავე მდინარის ტერასებზე, ზღვის დონიდან საშუალოდ 1000 მეტრის სიმაღლეზე.

ქ. ვალეს დასავლეთიდან (ხეობის მარცხენა მხარეს) არსიანის ქედის აღმოსავლეთის შტოქედი (ულგარის ქედი) ეკვრის, რომელზეც სამი ვულკანია განლაგებული – ღრმანი, თლილი, შავშიწვერი, სადაც სახელმწიფო საზღვარი გადის. ჩრდილოეთიდან მას საზღვრავს ახალციხის ქვაბულის ცენტრალური ნაწილი, სადაც მდ. ქვაბლიანი მიედინება; სამხრეთით – ერუშეთის მთიანეთის თურქეთთან სასაზღვრო ზოლი, ხოლო აღმოსავლეთით, როგორც აღვნიშნეთ, ერუშეთის ვულკანური მთიანეთი.

ერუშეთის ვულკანური მთიანეთი გოდერძის წყების ვულკანური ნალექებითაა აგებული. ესაა ანდეზიტ-დაციტური და დაციტური მჟავე ლავები [4, გვ. 8].

თვით ქალაქი ოლიგოცენურ თიხა-ქვიშიან ნალექებზეა განლაგებული, რომლებიც ერთდროულად თაბაშირის შემცველიცაა. ეს უკანასკნელი ინტენსიურ გამორეცხვას განიცდის, ე.ი. სუფოზიური პროცესები მიმდინარეობს, რაც ზედაპირის აშლილობას იწვევს. ამის შედეგად ჩნდება ძაბრები, ჩაქცევები და ადგილი აქვს რელიეფის ეროზიული და ეგზოტიკური ფორმების წარმოშობას. ამგვარად, ქ. ვალეს მთელი ტერიტორია ამ სუფოზიური პროცესების გამო ბედლენდურ რელიეფს იძლევა. არანაკლები გავლენა იქონია, თავის დროზე, მყინვარულმა პროცესებმა, რომლებიც დღეს არსიანის ქედისა და ერუშეთის მთიანეთის ჩრდილო ექსპოზიციის ფერდობებზეა შემორჩენილი პალეოგლაციალური რელიეფის ისეთი რელიქტური ფორმების სახით, როგორიცაა კარები, ცირკები, ტროგები [1, გვ. 135-146].

ერუშეთის მთიანეთი, მისი აღმოსავლეთი მხარე ტუფოგენური წარმოშობისაა, ხოლო მისი ამგები ისეთი მკვრივი ლავები, როგორიცაა ანდეზიტი და ანდეზიტ-დაციტები შიდაფორმაციული წარმოშობისაა. ჩანს, სწორედ აქედანაა აღებული ნედლეული სამცხის ტერიტორიაზე გავრცელებული ძველი ქვის ხანის ადგილსაპოვებლების უმეტესი ნაწილის ქვის იარაღების დასამზადებლად.

სამცხის ტერიტორიაზე მოპოვებული ქვის ხანის ძეგლები (ფერსათი, ამხერისგორა, ჭორატი) ზედაპირიდან აკრეფილი ქვის (ანდეზიტისა და ანდეზიტ-დაციტების) არტეფაქტებითაა წარმოდგენილი. აქ, რეგიონის გეომორფოლოგიური თავისებურებების გამო, კულტურული ფენები არაა შემორჩენილი. შესაბამისად წარმოდგენილი არაა ბიოსტრატიგრაფიული მასალა, რაც, როგორც ცნობილია, აუცილებელია ძველი ქვის ხანის ეპოქების გარემო პირობების აღსადგენად. მაგრამ ქ. ვალეს ჩრდილოეთით, მისგან 8-10 კმ-ის დაშორებით, მდებარეობს სოფ. ბენარა, რომლის ოლიგოცენურ ნალექებში უძველესი ძუძუმწოვრების ფაუნის ნაშთებია მოპოვებული (ბენარათერიუმი, ოლიგოთერიუმი და სხვ.), რომელიც ახლო დგას შუა აზიის (თურქმენეთი, უზბეკეთი) იგივე (ოლიგოცენური) დროის ნალექების ფაუნასთან. ამ ფაუნის მიხედვით დადგინდა, რომ ეს გარემო მაშინ, ჩანს მთებით იყო გარემოცული და ჰავა იმ დროს ნოტიო და თბილი იყო [2, გვ. 5-265].

უფრო მოგვიანებით, პლეისტოცენის მანძილზე, ე.ი. იმ გეოლოგიურ ეპოქაში, რომელშიც ამ რეგიონის უძველეს, სავარაუდოდ შუა და გვიან აშელური და შუა პალეოლითის ხანათა ადამიანს უხდებოდა ცხოვრება, თუ მომიჯნავე, ჯავახეთის ტერიტორიაზე მოპოვებული სტრატიფიცირებული არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური ძეგლების მიხედვით ვიმსჯელებთ, აქ ჰავის უმნიშვნელო მერყეობას ჰქონდა ადგილი – შეიმჩნევა აცივება და ჰავის დანოტივება, რომლის დროსაც ტყით დაფარული უბნები მატულობს, შუა პლეისტოცენის ბოლოსთვის კი თბილი და მშრალი ჰავა ვრცელდება. უნდა აღინიშნოს, რომ ჰავის ამ მერყეობას ლანდშაფტებში არსებითი ცვლილებები არ გამოუწვევია, ადგილი ჰქონდა მხოლოდ მცენარეთა საფარის ვერტიკალური ზონების გადაადგილებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პლიოცენ-პლეისტოცენის ტექტონურმა მოძრაობამ და ვულკანურმა მოქმედებამ გამოიწვია მთების აღზევება და ახალი ტიპის რელიეფის შექმნა. ეს პროცესი დღესაც აქტიურად გრძელდება, რის შედეგადაც ხდება მთის ფერდობების დამეწყვრა და აქ არსებული არქეოლოგიური ძეგლების გადაფარვა, დაზიანება. გაზაფხულობით ერუშეთის მთიანეთისა და არსიანის ქედის თოვლის საფარის დნობა იწვევს წყალდიდობებს და ატივნარებული და მყარი მასალის (ქვა-ღორღი) ჩამოტანას. ასევე, აქ გამავალი მძიმე ტრანსპორტის მოძრაობის შედეგად ადგილი აქვს ვიბრაციას, რის გამოც ხდება მიწისქვეშა წყლების გააქტიურება. ამ უკანასკნელის შედეგად ქვანახშირიან და თაბაშირიან ნალექებში ხდება ჩამოქცევები, ნიადაგის დაცურება, სუფოზია.

ესაა თანამედროვე გეოლოგიური პროცესები, რაც ძირითადი მიზეზია იმისა, რომ აქ ძველი ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები თითქმის არსად არ გვხვდება in situ მდგომარეობაში. ხშირად იგივე მიზეზებით ზიანდება მომდევნო არქეოლოგიური ეპოქების ძეგლებიც. ამას ემატება უკვე ზემოთ ჩამოთვლილი ანთროპოგენული ფაქტორებიც.

ასეთ განადგურებულ ქვის ხანის ადგილსაპოვებელს წარმოადგენს ქ. ვალესთან ახლოს მდებარე ადგილი ჭორატი. აქ, მილსადენის დასავლეთით, სამხრეთ-დასავლეთითა და აღმოსავლეთით ნახნავებში აიკრიფა ანდეზიტის ქვისაგან დამზადებული განსაზღვრული კომპლექსი, რომლის ტიპოლოგიური შემადგენლობისა და ქვის დამუშავების პირველადი და მეორადი ტექნიკის შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს მისი შედარებითი ქრონოლოგიური ჩარჩოები დავადგინოთ.

ადგილ ჭორატის კომპლექსი 72 არტეფაქტისაგან შედგება. აქედან 34,72% (25 ც.) მზა იარაღია, ხოლო 65,2% (47 ერთ.) წარმოების ნაშთი.

იარაღთა 40% საჩეხი იარაღია.

ერთ-ერთი საჩეხი მასიურ ანატკეცზეა დამზადებული. ანატკეცს ფუძე აქვს სქელი და მთლიანად კაჭრის ქერქით დაფარული. ზურგის მხარეს მარჯვენა ზედა კუთხეშიც კაჭრის ქერქია შერჩენილი, ხოლო ზედაპირიდან ორი მოზრდილი და ფუძისეულ ნაწილში რამდენიმე მცირე ზომის ანატკეცია აცლილი. სამუშაო პირი ოვალურია. ის გამოყვანილია განიერფაცეტიანი უხეში რეტუშით, რომელიც ნაწილობრივ ზედა და ძირითადად კი ქვედა სიბრტყიდანაა გაკეთებული. ქვედა სიბრტყეზე დარტყმის ბურცობი არ აღინიშნება, მაგრამ დაუყვება სხივისებური ბზარები. იარაღი საშუალოდ პატინირებულია. მისი ზომებია: სიმაღლე – 9 სმ, სისქე თავთან – 3,1 სმ, ფუძესთან – 3,9 სმ, სიგანე – 10,7 სმ (ტაბ. I).

მეორე საჩეხი იარაღი ასევე მსხვილ ანატკეცზეა გაკეთებული. სამუშაო პირი ანატკეცის თავ-გვერდზე ორმხრივი განიერფაცეტიანი რეტუშითაა გამოყვანილი, თავი ირიბად აქვს დაქანებული, გვერდი კი ოდნავ ამოზნექილი. მარცხენა გვერდზე კაჭრის ქერქია შერჩენილი, რომელიც ოდნავ თავზეც გადმოდის. ზურგი უსწორმასწოროდაა ატკეცილი, ქვედა სიბრტყე სწორია. იარაღის სიმაღლეა – 10,4 სმ, სისქე – 3,6 სმ, სიგანე – 10,7 სმ (ტაბ. II).

ერთი საჩეხი შუაზე გაპობილ კაჭარზეა გამოყვანილი. მისი ზედა სიბრტყის 2/3 კაჭრის ქერქითაა დაფარული, დანარჩენ ნაწილში კი რამდენიმე მცირე ზომის ფირფიტაა აცლილი. სამუშაო პირი ირიბადაა დაქანებული და გამოყვანილია ზურგის მხრიდან განიერფაცეტიანი რეტუშით. მარჯვენა მომრგვალებულ კუთხეში კი ისევ ზურგის მხრიდან ოთხი ვიწრო და გრძელი ნეგატივი დაუყვება. ქვედა სიბრტყეზე სხივისებური ბზარები შეიმჩნევა და რამდენიმე ფირფიტის ატკეცვის კვალი აქვს, ფუძის ნაწილში კაჭრის ქერქია ოდნავ შერჩენილი. იარაღს თავსა და გვერდზე გამოყენების კვალი ემჩნევა. მისი ზომებია: სიმაღლე – 9,1 სმ, სისქე – 4,8 სმ, სიგანე – 9,8 სმ (ტაბ. III_1).

ჭორატში ნაპოვნია ერთი საჩეხ-საჭრელი იარაღი, რომელიც მოგრძო ანატკეცზეა დამზადებული.

საერთო ჯამში, ჭორატში მოპოვებული საჩეხი იარაღების უმეტესობა მსხვილ მასიურ ანატკეცებზეა დამზადებული, მცირე რაოდენობით – შუაზე გაპობილ კაჭრებზე. სამუშაო ელემენტების უმეტესობა ქვედა ან ორივე სიბრტყიდანაა დამუშავებული ყველაზე ხშირად განიერფაცეტიანი, ზოგჯერ საფეხუროვანი რეტუშით, უფრო იშვიათად კი სხვადასხვაფაცეტიანი რეტუშით. ტექნიკურ-ტიპოლოგიური ნიშნებით ეს იარაღები ახლო დგას ვალედან ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ადიგენის რაიონის სოფ. ამხერში არსებული ადგილსაპოვებლის – ამხერისგორის შესაბამის იარაღებთან.

რაოდენობრივად ჭორატის კომპლექსში გამოირჩევა სახოკების ჯგუფი – 9,7% (7 ცალი).

ერთი სახოკი მოგრძო ანატკეცზეა დამზადებული. ანატკეცს მთელი მარჯვენა გვერდის გაყოლებით ზედა სიბრტყიდან ერთი გრძელი დიდი ფირფიტა აქვს აცლილი. შუაში და ფუძესთან სამი პატარა ნეგატივი შეიმჩნევა. მარცხენა ფერდი უხეშად ჩანს ჩამოტეხილი. ანატკეცი ფუძესთან სქელია. ფუძე ოდნავ შესწორებულია, ქვედა სიბრტყე ამობურცულია. ანატკეცის მარცხენა გვერდი ოდნავ ამოზნექილია და ქვედა სიბრტყიდან განიერფაცეტიანი რეტუშითაა დამუშავებული. რეტუშის მეშვეობით მიღებულია სახოკის ამოზნექილ-დაკბილული სამუშაო პირი. მეორე გვერდზე ზედა სიბრტყიდან ასეთივე რეტუშით გამოყვანილია დაკბილულ-ამოღარული სამუშაო ელემენტი. იარაღი ძლიერ პატინირებულია. მისი ზომებია: სიმაღლე – 7,8 სმ, სიგანე – 6,1 სმ, სისქე – 2,2 (ტაბ. III_2).

არის ასევე ჩაღარულ-ამოღარული (შვერილიანი?) სახოკიც, დამზადებული საშუალო ზომის ანატკეცზე. ანატკეცს მარცხენა გვერდსა და ფუძეზე კაჭრის ქერქი აქვს შერჩენილი. ქვედა სიბრტყე ოდნავ ჩაზნექილია. დარტყმის წერტილი თითქოს ემჩნევა. ზურგის მხარეზე ერთი განიერი ნეგატივი დაუყვება, სამუშაო პირი ზედა სიბრტყიდან დატანილი განიერფაცეტიანი რეტუშითაა გამოყვანილი. სიმაღლე – 6 სმ-ია, სიგანე – 7,5 სმ, სისქე 1,8 სმ (ტაბ. IV_1).

ერთ-ერთი სახოკი დამზადებულია ბაზალტის თხელ საშუალო ზომის ანატკეცზე. ანატკეცს ქვედა სიბრტყე სწორი აქვს. არაა გამოკვეთილი ბურცობი, არ ემჩნევა დარტყმის წერტილი. თავი განიერი აქვს და ზურგის მხრიდან ფართოფაცეტიანი რეტუშითაა დამუშავებული. ეს ეგზემპლარიც დაკბილული (შვერილიანი) სახოკის შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი ზომებია: სიმაღლე – 6 სმ, სიგანე – 5 სმ, სისქე 0,8 სმ (ტაბ. IV_2).

ერთი დაკბილული სახოკი აშკარად გამოკვეთილია, ის დაბალ სქელ ანატკეცზეა დამზადებული. სამუშაო პირი ანატკეცის მარცხენა გვერდზე ზურგის მხრიდან გაკეთებული სხვადასხვაფაცეტიანი რეტუშითაა გამოყვანილი. ანატკეცს ზედა სიბრტყიდან მთელ პერიმეტრ-

ზე, სამუშაო პირის გამოკლებით, კაჭრის ქერქი დაუყვება. მისი ზომებია: სიმაღლე – 5,7 სმ, სიგანე – 5,8 სმ, სისქე – 1,8 სმ (ტაბ. IV_3).

აღნიშვნის ღირსია დანა-სახოკი, გაკეთებული თხელ მოგრძო ანატკეცზე. ანატკეცს ზურგის მხარე სამფერდა აქვს, თავი ირიბადაა ჩამოტეხილი, ფუძე სამკუთხა მოყვანილობისაა და გლუვი. ქვედა სიბრტყე სწორია. მარცხენა გვერდი ორივე სიბრტყიდან თხელი განიერფაცეტიანი რეტუშითაა დამუშავებული და ქმნის დაკბილულ სამუშაო პირს; მეორე გვერდზე გამოყენების შედეგად მიღებული რეტუში შეიმჩნევა. იარაღი ძლიერაა პატინირებული. მისი ზომებია: სიმაღლე – 8,6 სმ, სიგანე – 4,6 სმ, სისქე – 1,7 სმ (ტაბ. V_1).

კომპლექსში ერთმა მარაოსებურმა სახოკმაც იჩინა თავი. ის განიერ ზურგამოზნექილ სქელ ანატკეცზეა დამზადებული. ანატკეცს ფუძე სამკუთხა მოყვანილობისა აქვს, მარჯვენა გვერდზე ზურგის მხრიდან კაჭრის ქერქი დაუყვება, ზურგის დანარჩენი ნაწილი კი უსისტემოდაა ატკეცილი, განიერი თავი სხვადასხვაფაცეტიანი საფეხურისებური რეტუშითაა დამუშავებული. ქვედა სიბრტყე სწორია, ხოლო თავსა და გვერდზე გამოყენების თუ რეტუშის კვალი ემჩნევა. სიმაღლე – 7 სმ, სიგანე- 9,3 სმ, სისქე – 4,5 სმ (ტაბ. V_2).

მოგრძო მოყვანილობის ანატკეცზე გაკეთებულია დანა. ანატკეცს თავი გადამტვრეული აქვს, ფუძე ოდნავ დამუშავებული ჩანს. ქვედა სიბრტყეზე ბურცობი სუსტადაა გამოხატული, ემჩნევა დარტყმის წერტილი. მარცხენა გვერდზე ორივე სიბრტყიდან განიერფაცეტიანი რეტუშით სამუშაო პირია შექმნილი, მეორე გვერდზე ქვედა სიბრტყიდან გამოყენების ნიშნები ემჩნევა. მისი ზომებია: სიმაღლე – 6,8 სმ, სიგანე – 4,2 სმ, სისქე – 1,5 სმ (ტაბ. VI_3).

იარაღების 5,5% (4 ც.) შეადგენს საფხეკები. ერთ-ერთი მათგანი მცირე ზომის ანატკეცზეა დამზადებული. ანატკეცს ქვედა სიბრტყე ოდნავ ამობურცული აქვს. დარტყმის მოედანი მუცლისკენაა დაქანებული და დამუშავების კვალი ემჩნევა. სამუშაო პირი ზედა სიბრტყიდან განიერფაცეტიანი რეტუშითაა გამოყვანილი. ზურგზე სხვადასხვა მიმართულების რამდენიმე ნეგატივი აქვს. იარაღი ძლიერაა პატინირებული. მისი ზომებია: სიმაღლე – 4,5 სმ, სიგანე – 3,8 სმ, სისქე – 1,5 სმ (ტაბ. VI_1).

მეორე საფხეკი არის ორმაგი გვერდის. დამზადებულია შედარებით თხელ მოგრძო ანატკეცზე, ფუძე დამუშავებული აქვს. ქვედა სიბრტყეზე ბურცობი მსუბუქადაა გამოხატული. მარცხენა გვერდი განიერფაცეტიანი საფეხურისებური რეტუშით აქვს ამოღარული და ოდნავ დაკბილული. მარჯვენა გვერდი ზურგის მხრიდან გაკეთებული ციცაბო რეტუშითაა ამოღარულ-დაკბილული. მისი ზომებია: სიმაღლე – 5,5 სმ, სიგანე – 4 სმ, სისქე – 1,1 სმ (ტაბ. VI_2).

ჭორატის კომპლექსის 65,3% (36 ცალი) ანატკეცებია, 6 ცალი ანამტვრევია, 3 ცალი ანატკეც-ანამტვრევი და 2 ცალი ქვარგვალი.

ანატკეცების უმეტესობა უსახოა, უხეში და დაუმუშავებელი. მხოლოდ ორი ანატკეცი იპყრობს ყურადღებას. ერთ-ერთი მათგანი არის განიერი თხელი ანატკეცი. ზურგის მხარეზე ნაწილობრივ კაჭრის ქერქია შერჩენილი, ხოლო შუაში სამკუთხა მოყვანილობის განიერი ნეგატივი აქვს. გვერდებზე გამოყენების კვალი ემჩნევა. ანატკეცის ქვედა სიბრტყე მსუბუქად ამობურცულია, ფუძე შერჩენილი არა აქვს. დარტყმის წერტილი გამოკვეთილია. მისი ზომებია: სიმაღლე – 7,6 სმ, სიგანე – 8,2 სმ, სისქე – 1,6 სმ (ტაბ. VII_1).

აქვეა 2 ცალი მოგრძო ანატკეცი. პირველ მათგანს ზურგზე ერთი სწორი წახნაგი დაუყვება, ხოლო ზურგის დანარჩენი ნაწილი კი უსწორმასწოროდაა ატკეცილი. ქვედა სიბრტყე სწორია, დარტყმის მოედანი ოდნავ დამუშავებული და ზურგისკენ დაქანებულია. ანატკეცის ორივე გვერდი ქვედა და ზედა სიბრტყიდან განიერფაცეტიანი რეტუშითაა დამუშავებული. ნაკეთობა ძლიერი პატინირებული. მისი ზომებია: სიმაღლე – 6,5 სმ, სიგანე – 3,7 სმ, სისქე – 1,5 სმ (ტაბ. VII_2).

მეორე ეგზემპლარი ლამელისებურ ანატკეცს წარმოადგენს. მას ზურგი ორწახნაგა აქვს. მარცხენა გვერდი მონაცვლეობით განიერფაცეტიანი რეტუშით ჩაღარულ-ამაღარულია, მარჯვენა გვერდი კი გამოყენების კვალს ატარებს. ანატკეცი ძლიერაა პატინირებული. მისი სიმაღლე – 6,3 სმ, სიგანე – 3,5 სმ, სისქე – 1,1 სმ (ტაბ. VII_3).

როგორც აღწერილი მასალიდან ჩანს, ჭორატის ქვის ხანის ადგილსაპოვებელში, ისევე როგორც ამხერისგორაზე, საჩეხი იარაღებია წამყვანი. მაგრამ აქ არ გვაქვს ამხერისგორისათვის დამახასიათებელი ნუკლეუსები და ნუკლეუს-საჩეხები. საფხეკ-სახოკებიც ოდნავ განსხვავებული ხასიათისაა, კერძოდ, ნაკლებად მასიურ ნამზადებზე დამზადებული. თუ ამხერისგორა ერთგვაროვან კომპლექსს შეიცავს, ჭორატში, როგორც ხშირ შემთხვევაში ზედაპირულად მოპოვებულ კომპლექსებს ახასიათებს, აშელისა და მუსტიეს ხანის იარაღთა შერეული ტიპებია წარმოდგენილი. მუსტიეს ხანას სავარაუდოდ ზოგიერთი საფხეკი, სახოკი და ლამელისებური ანატკეცები განეკუთვნება. ძირითადი კომპლექსი კი უდავოდ აშელური ხანისაა და მის შუა ან მოგვიანო საფეხურს შეესაბამება.

M. Gabunia

CHORATI EARLY PALAEOLITHIC OPEN STATION

(Summary)

Chorati is situated in the town of Vale, some 12 km south-west of the city of Akhaltsikhe. The place itself is a terrace on the foothill of the Erusheti volcanic range, on the right bank of the river Potskhovi and 1000 m above sea level.

Due to an interplay of geomorphologic and anthropologic factors, not a single Palaeolithic site has been discovered *in situ*, they are moved, washed away or destroyed and represent a collection of surfacial finds. The same can be said about the Chorati station. The number of collected artifacts is 72, while 34.7 % are finished tools, the remaining 65.2 % - are manufacture wastes.

Chopping tools prevailed, followed by grater and scrapers, knives and grater-knives are also evidenced.

The first stage of processing is mainly represented by massive and medium flakes, though boulders split in two occur. The most wide spread technique of secondary treatment is widefaceted retouching, often alternative.

Mixed types of tools dating from Acheulian and Middle Paleolithic (Mousteran) and characteristic of all groups collected from the surface are discovered at Chorati. Some scrapers, grater, knives and lamellae can be attributed to the Middle Palaeolithic. The main complex undoubtedly belongs to the Acheulian period and corresponds to its middle or late stage.

ლიტერატურა

1. **მაისურაძე გ.** ახალციხის ქვაბულის რელიეფის განვითარების ეტაპები პლიოცენსა და პლეისტოცენში. – საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ნარკვევები. თბ., 1969, გვ. 135-146.

2. **Габуния Л. К.** Бенарская фауна олигоценовых позвоночных. Тб., 1964.

3. **Маисурадзе Г.** Четвертичные отложения и история развития рельефа Ахалцихской котловины. Автореферат канд. дис., Тб., ТГУ, 1970.

4. **Схиртладзе Н. И.** Постпалеогеновый эффузивный вулканизм Грузии. Тб., 1958.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – საჩეხი იარაღი ანატკეცზე.

ტაბ. II – საჩეხი იარაღი ანატკეცზე.

ტაბ. III – 1. საჩეხი იარაღი შუაზე გაპობილ კაჭარზე; 2 – სახოკი მოგრძო ანატკეცზე.

ტაბ. IV – 1. სახოკი ჩაღარულ-ამოღარულ ანატკეცზე; 2. სახოკი ანატკეცზე; 3 – დაკბილული სახოკი ანატკეცზე.

ტაბ. V – 1. დანა-სახოკი ანატკეცზე; 2. მარაოსებური სახოკი ანატკეცზე.

ტაბ. VI – 1. საფხეკი ანატკეცზე; 2. გვერდის საფხეკი ანატკეცზე; 3. დანა ანატკეცზე.

ტაბ. VII – 1. ანატკეცი; 2. რეტუშიანი ანატკეცი; 3. ლამელისებური ანატკეცი.

Description of the Plates

Pl. I – chopping tool flakes

Pl. II - chopping tool flakes

Pl. III – 1. chopping tool manufactured with boulders split in two; 2.grater elongated flake;

Pl. IV – 1. grater ; 2. jagged flakes; 3. grooved-furrowed flake

Pl. V – 1. knife-grater flake; 2. fan-shaped grater flake

Pl. VI – 1. scraper flake; 2. side scraper flake; 3. knife flake

Pl. VII – 1. flake; 2. retouched flake; 3. lamella

ტაბ. I



ტაბ. II



ტაბ. III



ტაბ. IV



ტაბ. V



ტაბ. VI



ტაბ. VII



გია თორთლაძე

ახალსოფლის ღია ზედაპალეოლითური ნამოსახლარი ტყიბულის წყალსაცავთან

ღია ზედაპალეოლითური ძეგლები დასავლეთ საქართველოში ჯერჯერობით ცოტაა გამოვლენილი და შესწავლილი. მათი რაოდენობა თითებზე ჩამოსათვლელია და რაც მთავარია, არც ერთი მათგანი არ არის მონოგრაფიულად შესწავლილი. თუმცა, ზედაპალეოლითური მღვიმური ძეგლები მრავლადაა გამოვლენილი. ბევრი მათგანი საფუძვლიანადაა გამოკვლეული.



სურ. 1

აღნიშნული პერიოდის ღია ნამოსახლარების სიმცირის პირობებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყოველი ახალი ძეგლის, ახალი კომპლექსის აღმოჩენას, შესწავლას და გამოქვეყნებას.

ისტორიული ოკრიბის ტერიტორიაზე, ტყიბულის მახლობლად, უკვე ორი ღია ზედაპალეოლითური ნამოსახლარის არსებობაა დაფიქსირებული, რომლებიც ზედაპალეოლითის სხვადასხვა საფეხურს განეკუთვნება. ერთ-ერთი მათგანი გათხრილი და შესწავლილი იყო ნაქერალას სამხრეთ ფერდზე, ადგილ საბელასურში, ზღვის დონიდან დაახლოებით 900 მ სიმაღლეზე. მეორე კი ახალსოფლის მიდამოებში ანუ დღევანდელი ტყიბულის წყალსაცავთან გამოვლენილ მრავალფენიან ნამოსახლარზე (ზღვის დონიდან 530 მ სიმაღლეზე).

ოკრიბა მდებარეობს ოდიშისა და ზემო იმერეთის პლატოებს შორის, რომელსაც დასავლეთიდან ესაზღვრება მდინარე ცხენისწყალი, ჩრდილოეთიდან – ხვამლის მთის მასივი და ნაქერალას ქედის სამხრეთი კალთები, აღმოსავლეთიდან – მდ. ჩხარულა, სამხრეთიდან –კოლხეთის ვაკის ჩრდილო კიდე. საკუთრივ ოკრიბა ძირითადად მოიცავს ტყიბულის რაიონს. ოკრიბის ლანდშაფტი ხასიათდება გორაკ-ბორცვოვანი რელიეფით, მეწყერებითა და პერიფერიაზე განლაგებული კარსტით [2, გვ. 180].

ტყიბულის ქვაბულის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს ახალსოფლის ტაფობი, რომელიც წარმოქმნილია ტექტონიკურად გადაღობილი ხეობისაგან და ტიპური კარსტული წარმონაქმნია. თოვლის ინტენსიური დნობისა და ხანგრძლივი წვიმების დროს, კარსტული ხვრელები ვერ ასწრებდნენ მთელი ნალექების დროზე გატარებას და იქმნებოდა დროებითი ტბა. ამ ტბიური ნალექებით მოფენილი იყო ახალსოფლის ტაფობის ფსკერი, რომლის სისქე 80 მ-ს აღემატებოდა [2, გვ. 186].

ახალსოფლის ზედაპალეოლითური ღია ნამოსახლარი მდებარეობს ქ. ტყიბულის მახლობლად, მისგან სამხრეთ-დასავლეთით, 3 კმ-ის მანძილზე, მდ. ტყიბულას აღნიშნულ ვრცელ ტაფობში, ყოფილი ახალსოფლის ტერიტორიაზე, ძველი დროებითი ტბის ადგილზე, სადაც ამჟამად ტყიბულის წყალსაცავია მოწყობილი (სურ. 1), რომლის სანაპირო ხაზი შეჭრილ-შემოჭრილია და გვხვდება კლდოვანი კუნძულები. ადრე ეს ფართობი ინტენსიურად მუშავდებოდა, კულტურული ფენები კი ნადგურდებოდა.

წყალსაცავის მოწყობის შემდეგ სოფელს ადგილი მოუნაცვლეს. ამჟამად ძეგლის დიდ ნაწილს წყალი ფარავს. გვალვების პერიოდში, წყლის დონის დაწევის დროს განთავისუფლებულ ფართობზე დიდი რაოდენობით ჩნდება სხვადასხვა პერიოდის (ენეოლითი, ზედაპალეოლითი) არქეოლოგიური მასალა.

ძეგლი აღმოჩენილი იყო ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლების მიერ, რომლებმაც მიაქციეს ყურადრება მეთევზეთა მიერ მოტანილ კაჟის იარაღებს. შეკრიბეს მრავალრიცხოვანი მასალა და შეატყობინეს არქეოლოგიური კვლევის ცენტრს. აღნიშნულ ზედაპირულ მასალას დაემატა აგრეთვე თერჯოლატყიბულის არქეოლოგიური ექსპედიციის რამდენიმე საველე სეზონის დროს, ჩვენს მიერ ნამოსახლარზე ჩატარებული მოკლევადიანი სადაზვერვო სამუშაოებისას მოპოვებული მასალა. ძეგლზე გაკეთებულმა სადაზვერვო თხრილებმა არ მოგვცა სტრატიგრაფიული სურათის აღდგენის საშუალება, რადგან წყალსაცავის ზემოქმედებისა თუ სხვა ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების წყალობით კულტურული ფენები მნიშვნელოვნად იყო დარღვეული და გადარეცხილი, მასალა კი გადაადგილებული, რის გამოც შეუძლებელი გახდა ნამოსახლარის ფართობის განსაზღვრა.

დასავლეთ საქართველოს ტენიანი, სუბტროპიკული ჰავისა და ნიადაგების შედგენილობის გამო ორგანული ნაშთები ღია ნამოსახლარებზე არ ინახება, რის გამოც ცალკეული ინდუსტრიების გამოყოფა მხოლოდ ტიპოლოგიურ-მორფოლოგიური ნიშნების საფუძველზე ხერხდება. მასალის შედარებით-ტიპოლოგიურმა შესწავლამ გამოავლინა, რომ აქ მოპოვებული კოლექციები ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავდება, როგორც ტიპოლოგიურად, ისე ქრონოლოგიურად და მომდინარეობს ორი სხვადასხვა კულტურული ფენიდან – ზედა პალეოლითური და ენეოლითურიდან. კოლექციის საერთო მასიდან ტიპოლოგიური მეთოდის გამოყენებით გამოვყავით ზედაპალეოლითური კომპლექსი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ენეოლითური ხანის მასალასთან. ენეოლითური ხანის კომპლექსი ამჟამად უკვე გამოქვეყნებულია [6, გვ. 23-33]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზედაპალეოლითური კოლექციის რამდენიმე ნივთი მოხვდა ახალსოფლის ენეოლითურ კომპლექსში, რომლებიც ჩვენ აღნიშნული მეთოდის გამოყენებით გამოვყავით მისგან.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ზედაპალეოლითური კომპლექსის დახასიათება და მისი სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანა. აქვე, საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნამოსახლარის მდებარეობა გამორიცხავს მასალის საიდანმე ჩამორეცხვის ან შორი მანძილიდან მოტანის შესაძლებლობას, რადგან მის მიდამოებში არ არის მაღალი წერტილები, საიდანაც შეიძლებოდა გვევარაუდა მისი ჩამორეცხვა. ამასთანავე, მასალას არ გააჩნია გორებისა და ხეხვის კვალი. იგი ადგილზე არეული და მცირე მანძილზე გადაადგილებულ-გაფანტული უნდა იყოს.

ახალსოფლის ზედაპალეოლითური კოლექცია მასალის დამუშავების მომენტისათვის შედგება 612 კაჟისა და 35 ობსიდიანის ნაწარმისაგან. ეს რიცხვი საბოლოო არ არის, რადგან ყოველწლიურად ხდება ამ კოლექციების შევსება ზედაპირული მასალის შეკრების ხარჯზე.

ახალსოფლის ზედაპალეოლითური კოლექცია ძირითადად წარმოდგენილია კარგი ხარისხის მოყავისფრო-მოვარდისფრო და ნაცრისფერი კაჟისა და მცირეოდენი ობსიდიანის იარაღებითა და წარმოების ნარჩენებით.

როგორც ცნობილია, ღია ზედაპალეოლითური სადგომების უმეტესობა კაჟის საბადოების სიახლოვეს მდებარეობდა. ოკრიბის სამხრეთ პერიფერიაზე ტურონ-სენონის იარუსის შრეების გაშიშვლებებში კარგად ჩანს კაჟის მძლავრი ძარღვები, რომელთა მაქსიმალური სისქე ზოგჯერ 2 მ-ს აღწევს. ოკრიბის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ვრცელდება სენონის ასაკის ნაცრისფერი კაჟის წყებები. ქალცედონიანი მაღალხარისხიანი კაჟის მნიშვნელოვანი მარაგი ჩხარის მიდამოებიდანაა ცნობილი. ძევრის ხეობიდან მთა აფიცხებულის კირქვები მრავლად შეიცავს კაჟის კონკრეციებს, რომლებიც ახლაც იკრიბება ამ მთის ფერდობებზე. ეს პუნქტი პირდაპირი ხაზით დაახლოებით 5 კმ-ითაა დაშორებული ახალსოფლიდან. მდ. ძევრის ხეობის გაშიშვლებებში კარგად ჩანს კაჟის ფილები. აღნიშნული უკანასკნელი ბუდობებით ინტენსიურად სარგებლობდა საგვარჯილის პალეოლითური მოსახლეობა.

როგორც ჩანს, ახალსოფლის ზედაპალეოლითური სადგომებიდან კაჟის საბადოები 5-5 კმ ან უფრო მცირე რადიუსით იყო დაშორებული.

ობსიდიანის გამოსავლები დასავლეთ საქართველოდან ცნობილი არ არის. უნდა ვიფიქროთ, რომ ოკრიბის ზედაპალეოლითის ხანის მოსახლეობა ყველაზე ახლობელი – ჯავახეთის ბუდობებით სარგებლობდა.

ზედაპალეოლითურ კოლექციებში გვაქვს როგორც სრულყოფილი იარაღები, ისე მათი დამზადებისას წარმოქმნილი წარმოების ნარჩენები, რომლებიც ნათლად მოწმობენ მათში კაჟის იარაღების დამზადების სრული ციკლის ამსახველი მასალის არსებობას – კაჟის ნუკლეუსებიდან დაწყებული-მისი დამუშავებისას წარმოქმნილი სხვადასხვა სახის ნაშთებით დამთავრებული:

ნუკლეუსი (ტაბ. III_1) პრიზმული (დაზიანებული) ლამელებისა და ანატკეცების ნეგატივებით, ნუკლეუსების ნატეხები (2 ც.), მათი სიგრძივი და განივი ანატკეცები, რომლებიც მიიღებოდა ნუკლეუსის დარტყმის სიბრტყისა და გვერდების შესწორების შედეგად; ანატკეც-ანამტვრევები – 500 ერთეული, მათ შორის არის რეტუშიანი (10 ც.), რომლებიც იარაღად უნდა ყოფილიყო გამოყენებული; ნამზადები (3 ც.), დაუმთავრებელი და დაზიანებული იარაღები (12

ც.), ლამელები რეტუშიანი და ურეტუშო (35 ც.), რომელთა ნაწილს აქვს გამოყენების კვალი წვრილი ამონატეხების სახით; ლამელისებური ანატკეცები (13 ც.) და გაურკვეველი დანიშნულების იარაღები (3 ც.).

ლამელებს არ ვაკუთვნებთ წარმოების ნარჩენებს, რადგან დიდ ნაწილს გამოყენების კვალი აქვს და დამოუკიდებელ იარაღებს წარმოადგენდნენ, მცირე ნაწილი კი ნამზადებს.

ახალსოფლის კოლექციაში იარაღებს (დაახლოებით 70 ერთ.) შორის რაოდენობრივი უპირატესობა საფხეკებს ენიჭება. სულ 40 კაჟის საფხეკია (57 %), მათი ნაწილი (19 ც.) ნაკეთებია მასიურ ლამელისებურ ანატკეცებზე (ტაბ. $I_{2-4,7,9-10}$; ტაბ. $II_{7,13}$), რომლებსაც ზურგზე ემჩნევათ ლამელების ფერდები და წიბოები. მეორე ნაწილი (19ც.) დამზადებულია მასიურ ანატკეცებზე (ტაბ. $I_{1,5,8,11}$; ტაბ. $II_{2,6,10}$). სამი საფხეკი ნაკეთებია ფართო, სწორ (ორფერდა და ოთხფერდა) ლამელებზე (ტაბ. $II_{4-5,12}$). მათი უმეტესობა კიდურა-გვერდითი საფხეკია ოვალური სამუშაო პირით, რომლებიც ლამელისებური ანატკეცების, ან ლამელის ერთ ბოლოზე, დარტყმის სიბრტყის მოპირდაპირე მხარესაა გაფორმებული. შემაღლებული სამუშაო პირი ციცაბო მსხვილფაცეტა რეტუშითაა გამოყვანილი. გამონაკლისია ერთი ფართო, ირიბსამუშაოპირიანი საფხეკი (ტაბ. I_2). საფხეკების უმრავლესობას კაჭრის კანი მთლიანად აქვთ შემოცლილი, მხოლოდ ოთხიოდეს აქვს მცირე მონაკვეთზე შერჩენილი ბუნებრივი ქერქი (ტაბ. $I_{6,11}$; ტაბ. $II_{6,10-11}$). ამ იარაღების დიდი ნაწილი მთელი ცალებითაა წარმოდგენილი, მხოლოდ ოთხიოდე იარაღს აქვს მოტეხილი ფუძე ან დარტყმის სიბრტყე. საფხეკების სიგრძე მერყეობს 3,8-7 სმ-მდე, სამუშაო პირის სიგანე კი 2-4 სმ-მდე, სისქე – 0,3-2,4 სმ-მდე).

საფხეკების ფორმებისა და დამუშავების მიხედვით მათში რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა:

I ჯგუფი – კიდურა, ოვალურპირიანი, ორგვერდდამუშავებული საფხეკები (12 ც.) (ტაბ. $I_{1-3,6,11}$; ტაბ. II_{6-8}). მათი გვერდები დამუშავებულია მსხვილფაცეტა, მაღალი თანამიმდევრული რეტუშით. მათგან მხოლოდ ერთს აქვს გვერდები წვრილფაცეტა რეტუშით გამოყვანილი (ტაბ. II_7). საფხეკების ამ ჯგუფში განცალკევებით დგას მუცლის მხრიდან ორივეგვერდრეტუშიანი, ზურგის მხრიდან კი მხოლოდ მარჯვენა გვერდდამუშავებული საფხეკი, რომელიც ფართო სამუშაო პირიდან მკვეთრად ვიწროვდება ბოლოსაკენ და წვერით მთავრდება (ტაბ. I_5).

საფხეკების ეს ჯგუფი ნაკეთებია მასიურ ლამელისებურ ანატკეცებსა და ასევე მასიურ ანატკეცებზე.

II ჯგუფი კიდურა, ოვალურპირიანი, ცალგვერდრეტუშიანი საფხეკები (11 ც.), რომლებსაც მარცხენა გვერდი აქვთ დამუშავებული მსხვილფაცეტა თანამიმდევრული რეტუშით. ეს იარაღები დამზადებულია მასიურ ლამელისებურ ანატკეცებსა და ლამელებზე. მარჯვენა გვერდზე კი ეტყობა გამოყენების კვალი წვრილი ამონატეხების სახით. ეს გვერდი დანად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. (ტაბ. $I_{4,7,9-10}$; ტაბ. $II_{3,5,12}$).

I და II ჯგუფის საფხეკების ნაწილს ახასიათებს დარტყმის სიბრტყისაკენ მკვეთრი შევიწროვება და იარაღი ზოგჯერ მარაოსებრ ფორმას იღებს.

III ჯგუფი – ოვალური საფხეკები (2 ც.) ლამელისებურ ანატკეცებზე ნაკეთები. ერთი მათგანი ორმაგია, გვერდები კი წვრილფაცეტა რეტუშითაა დამუშავებული (ტაბ. II_1), მეორეს კი ირგვლივ აქვს მკვეთრი მსხვილფაცეტა რეტუში, რომელიც შემაღლებულ გვერდებზე გადადის (ტაბ. II_9). კოლექციაში არის ერთი კიდურა, ოვალურსამუშაოპირიანი საფხეკი ჩამოყალიბებული განიერ, ოთხფერდა ლამელაზე დაუმუშავებელი, მაგრამ გამოყენების კვალის მქონე გვერდებით (ტაბ. II_4).

სახოკი კაჟის, ოვალური სამუშაო პირი მაღალი მსხვილფაცეტა რეტუშითაა გაფორმებული, ანატკეცზეა ნაკეთები (დაზიანებულია) (ტაბ. II_{11}).

საჭრისები კოლექციაში ოთხია. მათგან სამი-კაჟისაა, ერთი კი – ობსიდიანის. კაჟის საჭრისებიდან ორი მასიურ ანატკეცებზეა ნაკეთები, რომელთაგან ერთს ხიწვიანი, მეორეს კი – ირიბი სასაჭრისე ჩამონატეხი აქვს. ლამელისებურ ანატკეცზე გაფორმებული საჭრისი აგრეთვე ირიბია. მეოთხე საჭრისი დამზადებულია ობსიდიანის ორფერდა ლამელაზე, რომელსაც ცალ ბოლოზე აქვს ორი ირიბი სასაჭრისე ჩამონატეხი და შუალა საჭრისს წააგავს, მის ცალ გვერდს კი მთლიანად გასდევს სწორი სასაჭრისე ჩამონატეხი (ტაბ. III_7).

სახვრეტები (8 ც.) კაჟის, მათგან 4 ლამელაზეა ნაკეთები, 4 კი – ანატკეცზე. სამუშაო პირი ორმხრივ აქვთ გამოყვანილი წვრილი თანამიმდევრული რეტუშით (ტაბ. III_4).

კომბინირებული იარაღი – კაჟის დანა-საფხეკი (ტაბ. III_3) ჩამოყალიბებულია 8,1 სმ სიგრძისა და 2 სმ სიგანის ლამელისებურ ანატკეცზე. ზურგის მხრიდან იარაღის მარცხენა გვერდი მთლიანად, მარჯვენა კი ნაწილობრივ დამუშავებულია მსხვილფაცეტა ციცაბო თანამიმდევრული რეტუშით. მუცლის მხრიდან იარაღს აქვს ირიბი სასაჭრისე ჩამონატეხი და გამოყენების კვალი.

ეს იარაღი ნაწილობრივ მოგვაგონებს გვარჯილას კლდის დანას, რომელიც ერთადერთია ამ კოლექციაში და პარალელი არ მოეძებნება (ტაბ. III_3).

დანა ბლაგვზურგა (ტაბ. III_5) კაჟის ორფერდა ლამელაზე, ცალი ვიწრო ფერდი დაბლაგვებულია, სამუშაო პირზე კი ემჩნევა გამოყენების კვალი. წვერი და მარცხენა გვერდი მუცლის მხრიდან დაბლაგვებულია.

დანა (?) ტირიფის ფოთლის ორფერდა ლამელაზე, რომლის მარჯვენა ფერდი მთლიანად დამუშავებულია მცოცავი წნევითი შემღწევი სო-

ლუტრეული რეტუშით. მომრგვალო ფუძე და მეორე გვერდი დამუშავებულია წვრილი წნევითი რეტუშით (ტაბ. III_8), წვერი ოდნავაა გამოყვანილი. ამგვარი იარაღი კოლექციაში ერთადერთია.

რეტუშორი წარმოადგენს მოგრძო, ორმხრივ ათლილ მაკროლითს ცალ ბოლოზე გამოყენების კვალით (ტაბ. III_2).

ახალსოფლის ზედაპალეოლითური კოლექცია ჯერჯერობით მცირერიცხოვანია, მაგრამ რაც მოპოვებულია, მეტად მეტყველია და მისი იარაღთა ფორმებისა და ქვის დამუშავების ტექნიკის შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდით შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება დაახლოებით განვსაზღვროთ მისი ქრონოლოგიური და კულტურული ადგილი.

სადღეისოდ, არქეოლოგიურ მეცნიერებას ზედაპალეოლითური კულტურისთვის უკვე გააჩნია ახალი მასალებით შევსებული ზამიატნინისეული ქრონოლოგიური სქემა. ამიტომ ამ კოლექციის მთავარი დამახასიათებელი ნიშნების გათვალისწინება საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ მისი ადგილი ამ სქემაში.

იმის გამო, რომ ჩვენი კოლექცია წარმოდგენილია მცირეოდენი შემადგენელი კომპონენტებით, მასალის ანალიზისას ვიფარგლებით არსებულით.

როგორც აღვნიშნეთ, ახალსოფლის კოლექციაში წამყვანი ადგილი საფხეკებს უჭირავს (40). მათი აბსოლუტური უმრავლესობა კიდურა, ფართოოვალურპირიანი საფხეკებია, რომლებიც ძირითადად ჩამოყალიბებულია ლამელისებურ ანატკეცებზე. ფართოოვალურსამუშაოპირიანი საფხეკები და მასთან ცალ ან ორგვერდდამუშავებულები, გვხვდება დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების II ჯგუფში, რომლებიც ზედაპალეოლითის შუა საფეხურს განეკუთვნებიან. მსგავსი საფხეკები გვხვდება სამერცხლე კლდეში, დევისხვრელში და საკაჟიაში, მაგრამ ამ ძეგლებში ეს იარაღები პროცენტულად ნაკლებია, ვიდრე ახალსოფლის კოლექციაში. სამერცხლე კლდეში მათი რაოდენობა (4 ც.) იარაღების საერთო რაოდენობასთან შეფარდებით 5%-ია, დევისხვრელში (18 ც.) – 6,7%, საკაჟიაში (55 ც.) – 1% [5, გვ. 88]. თუ გავითვალისწინებთ ამ უზარმაზარი კოლექციების სიდიდეს და მათში ამ იარაღების რაოდენობას, რომელთა მაქსიმალური რიცხვი 55-ია, ხოლო ახალსოფლის მცირერიცხოვან კოლექციაში კი მათი რაოდენობა 40-ია, მაშინ ცხადი ხდება, რომ ამ იარაღების რაოდენობა პროცენტულად გაცილებით მეტია. ამასთანავე მატულობს გვერდდამუშავებული საფხეკების რაოდენობაც.

ოვალური ფორმის ირგვლივრეტუშიანი საფხეკი კოლექციაში ორად ორია. ამგვარი იარაღი არ გვხვდება სამერცხლე კლდესა და დევისხვრელში, ისინი ჩნდება საკაჟიასა და მღვიმევში, რომლებიც II ჯგუფის, შედარებით უფრო განვითარებულ ძეგლებადაა მიჩნეული [5, გვ. 89].

ახალსოფლის კოლექციაში არ გვხვდება მრგვალი, ირგვლივრეტუშიანი და მიკროლითური საფხეკები, რომლებიც უკვე III ჯგუფის ძეგლებს ახასიათებს (გვარჯილას-კლდე) [1, გვ. 61-62].

ახალსოფლის კოლექციისა და II ჯგუფის ძეგლების საფხეკების შედარება გვიჩვენებს, რომ ფორმით და დამუშავების ტექნიკით მათ გარკვეულ ნაწილს ანალოგები საკაჟიას მღვიმის საფხეკებთან ეძებნება. ჩვენი კოლექციის საფხეკების უმეტესობას ტოლფერდა სამკუთხედისებური, მარაოსებური მოყვანილობა აქვთ, რომელთა გვერდები ფუძისაკენ თანდათან ვიწროვდება (ტაბ. I_{7-11}; ტაბ. II_{6-7}) და ზოგჯერ წვერით მთავრდება (ტაბ. I_5), გვერდები კი ერთი ან უფრო ხშირად ორივე მსხვილფაცეტა სოლუტრეული რეტუშით აქვთ დამუშავებული. ანალოგიური ფორმის საფხეკები ცნობილია საკაჟიადან [4, სურ. 64_1; სურ. $83_{1,4}$]. როგორც ცნობილია, II ქრონოლოგიური ჯგუფის ძეგლებს ახასიათებს შატელპერონისა და გრავეტის ტიპის წვეტანები და დანები: დევისხვრელი [3, გვ. 55; გვ. 68], საკაჟია [4, გვ. 78]. ახალსოფლის კოლექციაში ამგვარი იარაღები არ გვხვდება. თუ კი ეს ნიშანი სრულად ასახავს რეალობას და არ არის შედეგი კოლექციის მცირერიცხოვნებით განპირობებული ცალმხრივობისა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მასაც ახასიათებს ის თვისება, რაც სამერცხლე-კლდისა და ძუძუანის მღვიმის ზედაპალეოლითურ კომპლექსებს.

ახალსოფლის კოლექციაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის რამდენიმე იარაღი სოლუტრეული რეტუშით გაფორმებული (ტაბ. $III_{6,8}$). აღწერილის ზედმიწევნით ანალოგიური საფხეკები ცნობილია საფრანგეთის სოლუტრეული სადგომებიდან [8, გვ. 337, ნახ. 138; 340].

ჩვენი კოლექციისათვის სავარაუდო ქრონოლოგიური ადგილის ძებნისას საჭიროა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით არქეოლოგიურ ლიტერატურაში შემოთავაზებულია ზედაპალეოლითური ძეგლების ორსაფეხურიანი სისტემატიზაცია, რომლის მიხედვით პალეოლითური კულტურის განვითარების საფეხურების ქრონოლოგიური გამიჯვნის კრიტერიუმად აღებულია ტექნო-ტიპოლოგიური ნიშანი, კერძოდ გეომეტრიული მიკროლითებისა და მიკროგრავეტების გამოჩენა კოლექციებში, რაც მხოლოდ გვიანზედაპალეოლითის ატრიბუტადაა მიჩნეული და ამასთანავე გათვალისწინებულია უკანასკნელი გამყინვარების მაქსიმუმი (დაახლ. 27-25 ათასწლეული) [7, გვ. 21].

ჩვენ გეომეტრიული მიკროლითები ქრონოლოგიის მგრძნობიარე მაჩვენებლად მიგვაჩნია და მათი გაჩენისა და დროში განვითარების კანონზომიერების გათვალისწინება ქრონოლოგიის საკითხების კვლევაში პერსპექტიულად გვესახება. მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ კვლევას მოითხოვს, რადგან დასკვნები უნდა გაკეთდეს კარგად გათხრილ, უძრავი სტრატიგრაფიის მქონე ძეგლების საფუძველზე, როგორიც სამწუხაროდ ჯერ არა გვაქვს. რაც შეეხება გე-

ომეტრიული მიკროლითების არარსებობას ან მათ სიმცირეს რიონ-ყვირილის აუზის ზოგიერთ ზედაპალეოლითურ კოლექციაში, ჩვენც ეს ნიშანი უფრო ქრონოლოგიის მაჩვენებლად მიგვაჩნია, ვიდრე ლოკალურის, მაგრამ სადღეისოდ, როგორც აღვნიშნეთ, ამის დასაბუთება მყარი არგუმენტების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ, ჩვენი კოლექციის ქრონოლოგიური ადგილის მონახვისას, ჯერჯერობით ისევ ვეყრდნობით ტრადიციულ სქემას.

ახალსოფლის კოლექციის შედარება დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითურ ძეგლებთან გვარაუდებინებს, რომ იგი ყველაზე მეტ სიახლოვეს II ქრონოლოგიური ჯგუფის ძეგლებთან, კერძოდ, საკაჟიას კომპლექსთან იჩენს.

G. Tortladze

EARLY PALAEOLITHIC OPEN STATION OF AKHALSOPELI NEAR THE TQIBULI WATER RESERVOIR

(Summary)

Early Palaeolithic open stations are scanty and almost unresearched, unlike caves of the same period. Thus, every newly discovered site or collection and their publication draw special scholarly interest.

A damaged multilayered site, revealing disordered Late Neolithic and Early Palaeolithic complexes, has been unearthed in the vicinity of the former village of Akhalsopeli, near Tqibuli water reservoir (historical territory of Okriba in Western Georgia).

The bulk of the Akhalsopeli collection, dated to the Early Palaeolithic, consists of flint tools (612) and a few obsidian items (35), as well as of manufacture wastes. The material, coming from Akhalsopeli, depicts an entire manufacturing cycle: cores, flakes and fragments, lamellae, different types of scrapers, cutters, graters, hand-drills, knifes, etc.

Comparative-typological analysis of the Akhalsopeli collection in regards to the cave-sites of the same period discovered in Western Georgia suggests that tools of the above collection, judging by the technique of manufacturing and shapes, reveal closest similarity with material coming from the sites of Group II of the Late Palaeolithic, especially with artifacts from Sakazhia.

ლიტერატურა

1. **თუშაბრამიშვილი დ.** გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები. თბ., 1960.
2. **მარუაშვილი ლ.** საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თბ., 1964
3. **ნიორაძე გ.** პალეოლითის ადამიანი დევისხვრელში. თბ., 1933.
4. **ნიორაძე გ.** ქვის ხანის ადამიანი საკაჟიას გამოქვაბულში. თბ., 1953.
5. **ნიორაძე მ.** სამერცხლე კლდის მღვიმე. თბ., 1975.
6. **ნებიერიძე ლ.** ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი ოკრიბაში. – ძიებანი, № 8, 2001, გვ. 23-33.
7. **სტურუა ქ.** ზედაპალეოლითური კულტურის სათავეებთან სამხრეთ კავკასიაში (რიონ-ყვირილის აუზი), საკანდიდატო დასერტაციის ავტორეფერატი. თბ., 2004.
8. **Ефименко П. П.** Первобытное общество. Киев, 1953.

ტაბულებისა და სურათის აღწერილობა

სურ.1 – ახალსოფლის ნამოსახლარის სიტუაციური გეგმა.

ტაბ. I – საფხეკები სხვადასხვა ტიპის.

ტაბ. II – 1-10, 12, 13. საფხეკები სხვადასხვა ტიპის, 11. სახოკი.

ტაბ. III – 1. ნუკლეუსი, 2. რეტუშორი, 3. კომბინირებული იარაღი, 4. სახვრეტი, 5. დანა ბლაგვზურგა, 6. იარაღი დაზიანებული, 7. საჭრისი, 8. ლამელა რეტუშირებული.

Description of the Plates and Figures

Fig. 1 – situation plan of Akhalsopeli village

Pl. I – scrapers of different types.

Pl. II, 1-10, 12, 13 - scrapers of different types; 11- grater

Pl. III,1 – core; 2. retoucher 3. combined tool; 4. hand-drill; 5. knife with a flat back; 6. damaged tool; 7. cutting tool. 8 retouched lamella.

ტაბ. I



ტაბ. II




1
2
3
4
5
6
7
8

კარლო კალანდაძე

ლეხიდარის ხეობის ნამოსახლარები

ლეხიდარის ქვის ხანის ნამოსახლარები მიკვლეულია სოფ. ქვემო ონჭეიშის ტერიტორიაზე (წყალტუბოს რ-ნი), მდინარეების რიონისა და ლეხიდარის შესაყართან, ზღვის დონიდან 272 მ-ზე, ხოლო მდინარის დონიდან 10-15 მ სიმაღლეზე. ნამოსახლარები თავდაპირველად გამართული იყო მდინარეთა შესაყართან აღმართულ, მაღალ და წაგრძელებულ კლდის ეხებში, რომელთა იატაკები მდ. ლეხიდარისაკენ იყო დახრილი. ამ დახრილობისა გამო, დროთა განმავლობაში, არქეოლოგიური ნაშთები მთლიანად გადმოირეცხა თავდაპირველი ადგილებიდან, დიდი ნაწილი მდ. ლეხიდარში ჩაირეცხა, ხოლო მცირე ნაწილი კლდის ძირზე გამავალ საცალფეხო ბილიკზე დაილექა და ხელმეორედ განიმარხა.

ლეხიდარის ხეობა საერთოდ რთული რელიეფით ხასიათდება. ერთი შეხედვით, ეს გაუშლელი და ღრმა ხეობა, რომელიც ყველა მხრიდან ჩაკეტილია, თითქოსდა არ უნდა ყოფილიყო პირველყოფილი ადამიანისთვის მიმზიდველი, მაგრამ, როგორც კვლევა-ძიებამ აჩვენა, აქ პირველყოფილ ადამიანს მაინც საკმაოდ დიდ ხანს უცხოვრია, თანაც ქვის ხანის სხვადასხვა საფეხურზე.

ლეხიდარის ხეობა ამჟამადაც საკმაოდ მდიდარია ფლორითა და ფაუნით. მდინარის ორივე ნაპირი, დინების ქვემო წელში ფართოფოთლოვანი ტყითაა შემოსილი. აქა-იქ ღია და ნათელი ტყის უბნებიც გვხვდება. სათავისკენ იგი მთიანი ხდება და ფლორაცა და ფაუნაც შესაბამისად იცვლება. აქაურ ტყეში მრავლადაა შემორჩენილი ძირძველი მცენარეულობა (მსხალი, ვაშლი, ვაზი, ლეღვი, წაბლი, ხურმა, ზღმარტლი, ტყემალი, წყავი, მოცვი და სხვ.). რაც მთავარია ეს მხარე ცნობილია ხორბლეულის ენდემური ჯიშებით.

ტყის ბინადართაგან გავრცელებულია გარეული ცხოველები (შველი, ირემი, არჩვი, ღორი, კურდღელი, დათვი, სხვადასხვა ფრინველი) და მაინც, ამ მხარეში, ადამიანს, როგორც ეხლა,[3] ისე ადრეც, შესაძლოა, თევზაობა იზიდავდა. სწორედ მეთევზეობისათვის არის ეს ხეობა განსაკუთრებით ხელსაყრელი. მდ. ლეხიდარი საშუალო სიდიდის მდინარეა, რომელიც ოდნავ დაქანებულ რელიეფზე შედარებით მდორედ მოედინება. მისი ორივე სანაპირო ადვილი დასაძლევია. მდინარეს ახლავს ხშირი სატბეურები, თუმცა მასში საწაფი ბადით თევზაობა ჩქერშიც მოსახერხებელია. იგი მდიდარია მრავალგვარი თევზეულით (კალმახი, წვერა, ქაშაყი და სხვ.)

ლეხიდარის მთისწინეთის ლანდშაფტი მეტად ხელსაყრელია პირველყოფილი ადამიანის განსახლებისათვის. იგი თავისი მიკროკლიმატითაც გამოირჩევა. აქ გამეფებულია მთისწინეთისათვის დამახასიათებლი კლიმატი: ზომიერად ცივი ზამთარი და თბილი, ხანგრძლივი ზაფხული. ამ ზოლში ერთმანეთთან შეზავებულია მთისა და ბარის სუფთა ჰაერი, მრავლადაა ცივი ანკარა წყაროები. ამდენად, ამ ხეობაში იმდროიდანვე ყოფილა ყველა ის საარსებო პირობები, რაც საჭირო იყო მონადირე-შემგროვებელი საზოგადოებისათვის. ამიტომ ეს ადგილი პირველყოფილ ადამიანებს, აშელის ეპოქიდან მოყოლებული დიდხანს არ მიუტოვებიათ. ამ რეგიონში ადამიანებს ანტიკურ და ფეოდალურ ხანებშიც უცხოვრიათ. ამას კლდეკარზე დაშენებული კოშკის ბურჯები და კერამიკის ნაშთების (მათ შორის ამფორის ძირის) არსებობაც ადასტურებს. თუმცა, აღნიშნულ ეპოქაში, ადამიანს აქ სტრატეგიული მდებარეობა უფრო იზიდავდა, ვიდრე საყოფაცხოვრებო. წარმოებითი მეურნეობის გამარჯვების შემდეგ (გვიანი ნეოლითი, ენეოლითი), აქ ადამიანს არ უცხოვრია, რადგან სივრცობრივი შეზღუდულობის გამო, ამ ადგილს დიდი გასაქანი არ უნდა ჰქონოდა (გარდა მესაქონლეობისა).

პირველი არქეოლოგიური საძიებო სამუშაოები ლეხიდარში 1979 წელს განხორციელდა ნამახვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. ავ. ნუცუბიძე, რაზმის უფრ. კ. კალანდაძე [6, გვ. 25]). მაშინ, კლდეკარის ძირში გამავალ გზაზე, ზედაპირულად, მეზოლით-ადრენეოლითური ხანის კაჟის ინვენტარი აიკრიფა. მომდევნო წლებში (1987-1990) ეპიზოდურად კვლევა-ძიებას წყალტუბოს მხარის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია აგრძელებდა (ხელმძ. კ. კალანდაძე). ამჯერად, გარდა მეზოლით-ადრენეოლითური მასალებისა (ტაბ. III-IV), მუსტიეური (ტაბ. II) და აშელური ეპოქის (ტაბ. I) ნაშთებიც გამოვლინდა. ინფორმაცია ამ აღმოჩენების შესახებ ქვეყნდებოდა არქეოლოგიური კვლევა-ძიებიადმი მიძღვნილ კრებულში [4, გვ. 67].

წინამდებარე სტატიის მიზანია, დღემდე მოპოვებული მასალის კლასიფიკაცია, მათი გამიჯვნა პერიოდების მიხედვით, იარაღთა დამუშავების ტექნიკის წარმოჩენა, თანადროულ კულტურაში მათთვის ადგილის მიჩენა და მასალის ერთიანი პუბლიკაცია.

ლეხიდარში არქეოლოგიური ნაშთები ძირითადად ზედაპირულად შეგროვდა. გათხრებით, საძიებო შურფიდან მხოლოდ მცირე ნაწილი იქნა მოპოვებული. მასალა ვრცელ ტერიტორიაზე იყო მიმობნეული, დაწყებული მდინარის შესართავიდან დინების საწინააღმდეგოდ ორი კმ-ის მანძილზე. შეიმჩნეოდა მასალის უბნობ-

[3] ადგილობრივთა გადმოცემით ლეხიდარში სათევზაოდ ამჟამადაც საკმაოდ შორი მანძილიდან მოდიან.

რივად თავმოყრაც. როგორც ჩანს, ყველაზე მეტი მასალა მაინც დაგროვილი იყო ლეხიდარზე გაბმული „ბონდის ხიდის“ პირდაპირ მდებარე, შედარებით გაშლილ და მოხერხებულ ტერასაზე. აქ აიკრიფა და გაითხარა სხვა უბნებთან შედარებით მეტი მასალა, რომელიც მეზოლით-ადრენეოლითის იერს ატარებს. ქვედა პალეოლითური მასალა კი მისგან დაშორებით (500 მ) შეგროვდა. როგორც ითქვა ეს მასალა ეხებიდან სხვადასხვა დროს გადმორეცხილა და კლდის ძირზე გასავალი ბილიკის გასწვრივ მეორედ განამარხებულა. საძიებო თხრილში კულტურული ფენები შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი:

I. კორდოვანი ფენა, ჰუმუსოვანი, მოშავო, 8-10 სმ სიმძლავრის; მცირე ოდენობით შეიცავდა მეზოლით-ადრენეოლითური კულტურის ნაშთებს.

II. მოწითალო თიხნარი, დელუვიური ნალექებით, წვრილი კენჭების ჩანართით, ნაშალი კლდის ქანის მინარევებით, შემკვრივებული, 90 სმ სიმძლავრის, შეიცავდა დასახელებული პერიოდის ნაშთებს ოღონდ უფრო ნაკლებს.

III. წითელი თიხნარი, წვრილი ქვიშნარისა და რიყის ქვის ჩანართით, უძრავი, ძალზედ მკვრივი, 90-120 სმ სიმძლავრის, კულტურის ნაშთებს არ შეიცავდა.

მესამე ფენას ქვეშ ეგო სხვადასხვა სისქის ალუვიური ნალექები, რომლებიც ერთიმეორისაგან წვრილმარცვლოვანი, სილანარევი, თიხის თხელი შრეებით იყო გამოყოფილი. სხვა ადგილებში საძიებო თხრილების გავლება შეუძლებელი იყო ნიადაგის ეროზირების გამო. ცხადია, იმ დროს ეს ადგილები ნაკლებად დახრამული უნდა ყოფილიყო და აქედან გამომდინარე, მითვისებითი მეურნეობისათვის უფრო მოხერხებულიც იქნებოდა. მართალია, ეროზია ყველა გარემოსათვის საყოველთაო პროცესია, მაგრამ ამ ადგილზე იგი განსაკუთრებით აქტიურია. აქ, ნამოსახლარების სწრაფ გადარეცხვას ის უწყობდა ხელს, რომ ხშირი წვიმების დროს დახრილი კლდის ვეებერთელა მასივის ზედაპირზე ნიაღვრები სწრაფად მოედინებიან და ყველაფერს ერთიანად მდინარეში რეცხავენ. სწორედ ამის გამოა, რომ ხშირად ერთმანეთშია არეული აშელის ხანის საჩეხი იარაღები, მუსტიეური ანატკეცები, მეზოლით-ნეოლითური საფხეკები და ანტიკური ხანის ამფორის ძირები. მართალია, ძეგლზე არქეოლოგიური სამუშაოები არ დასრულებულა, მაგრამ, თუ აქაური რელიეფის დახრილობას გავითვალისწინებთ, უძრავი ფენების პოვნის დიდი იმედი არც მომავალში უნდა იყოს. რაც შეეხება მასალის შეგროვებას, იგი საშური საქმეა, რათა ეს უნიკალური ნაშთები საბოლოოდ არ დაიკარგოს. ფერდობზე ამოშვერილი ლოდების უკან, შესაძლოა, ისინი კვლავ იყვნენ განმარხებულნი.

ლეხიდარში დღემდე მოპოვებული მასალის რაოდენობა 200 ერთეულამდე აღწევს (იგულისხმება ყველა პერიოდის იარაღ-ხელსაწყოები, წარმოების ნაშთთან ერთად).

როგორც ითქვა, აქ წარმოდგენილია რამდენიმე პერიოდის მასალა, ესენია: აშელური, მუსტიეური, გვიან ზედაპალეოლითური, მეზოლით-ადრენეოლითური, ანტიკური და შუა საუკუნეების ხანის არქეოლოგიური ნაშთები. ამდენად ლეხიდარი მრავალფენიანი ძეგლია.

ქვის ხანის იარაღების დასამზადებლად გამოყენებულია ქვის სხვადასხვა ქანის ნედლეული: ბაზალტი, კაჟი, ობსიდიანი, არგილიტი და, ნაკლებად, რიყის ქვა. აშელური ინვენტარი ძირითადად ბაზალტისაგან უმზადებიათ, მუსტიეური – კაჟისაგან, ხოლო მეზოლით-ნეოლითური – კაჟის, ობსიდიანისა და არგილიტის ქანისაგან უკეთებიათ.

განვიხილოთ ცალკეული იარაღები ეპოქების მიხედვით:

აშელი. ამ პერიოდის იარაღთაგან ნამოსახლარზე წარმოდეგენილი იყო სამი ცალი ბაზალტის ქანზე დამზადებული უხეში საჩეხი იარაღი (ტაბ. I_{1-3}). ისინი გამოირჩევიან სიდიდით, სიტლანქით, სქელი პატინით, სიგლუვით და დამუშავების ტექნიკის არქაულობით. პირველი მათგანი სხვებთან შედარებით მომცრო ანატკეცზეა გაფორმებული. არის საკმაოდ განიერი, სქელი, მასიური, თხელი ნაპირებით, ფართო დარტყმის მოედნითა და მაღალი შესაბამისი ბურცობით, მუცელამოზნექილი. ზურგზე აქვს ერთი მოზრდილი და ორი მომცრო ანატკეცის აცლის კვალი. ნაპირებზე აქა-იქ ემჩნევა რეტუში და გამოყენების კვალი (ტაბ. I_1).

საჩეხი იარაღი, მასიური, თხელი სამუშაო პირით და შემსხვილებული ბოლოთი, რომელიც ხელში საკმაოდ მოხერხებულად ჯდება. იგი ძლიერ პატინირებულია. იარაღის ზურგი მთლიანად ბუნებრივი ქერქითაა დაფარული, მუცელი შემაღლებული აქვს და სხვადასხვა ზომის ანატკეცების აცლის კვალი ემჩნევა. ერთი შეხედვით იგი ნუკლეუსსაც უახლოვდება, შესაძლოა იგი საჩეხ იარაღად გადაკეთებული ნუკლეუსი იყოს, რომელსაც ფართო დარტყმის მოედანი და შესაბამისი მაღალი ბურცობი აქვს მუცელზე (ტაბ. I_2).

საჩეხი იარაღი, მასიური, ბლაგვსამუშაოპირიანი. მისი ზურგის ერთი ნახევარი ბუნებრივი ქერქითაა დაფარული, ხოლო დანარჩენზე მოკლე და სქელი ანატკეცების აცლის კვალი ემჩნევა. სამუშაო პირზე ეტყობა უხეში რეტუშისა და ხმარების კვალი. ეს იარაღიც ადრე ნუკლეუსი ყოფილა (ტაბ. I_3). ყველა ზემოთ ჩამოთვლილი იარაღებისათვის ერთნაირად დამახასიათებელია სქელი მონაცრისფრო პატინა, სიგლუვე, მასიურობა და გათლა-გაჩორკნის ტექნიკა. მათთან ერთად აღმოჩენილია აგრეთვე რამდენიმე ცალი მსხვილი ანამტვრევი, ანატკეცი და წარმოების სხვა ნაშთი, რომლებიც ნედლეულის ერთფეროვნებით, არქაულობით, რეტუშის კვალით და სხვა ნიშნებით, იმავე, აშელის ეპოქას უნდა ეკუთვნოდეს.

მუსტიე. ამ ეპოქის შესატყვისი იარაღებიდან აღსანიშნავია: სახოკები, სხვადასხვა ტიპის

(ტაბ. $II_{3,10}$), რომლებიც ჩამოყალიბებულია სხვადასხვა ფორმისა და ზომის ანატკეცებზე. მათთვის დამახასიათებელია სქელი, ღრმა და ფართოფაცეტიანი რეტუში, რომელიც ძირითადად ზურგის მხრიდანაა დატანილი. გარდა ამისა არის ორივე მხრიდან დატანილი რეტუშიც (ტაბ. II_{10}). გვხვდება აგრეთვე, როგორც ნაწილობრივ რეტუშიანი საფხეკები (ტაბ. II_1), ისე მთლიან რეტუშიანები (ტაბ. II_8).

მუსტიეურ იარაღებთან ერთად აიკრიფა წარმოების ნაშთები. ესენია: სხვადასხვა ზომისა და ფორმის კაჟის ანატკეც-ანამტვრევები, კაჭრები, ქერცლისებრი ანატკეცები, ნამზადები და სხვ.

მუსტიეური იარაღები და მათი თანმხლები წარმოების ნაშთები ნაგორებია, გლუვია, ემჩნევათ გადარეცხვის ძლიერი კვალი და დაფარულია სქელი მონაცრისფრო პატინით. იმ იარაღებს, რომლებიც პირველად ანატკეცებზეა ნამზადი, ზურგზე ბუნებრივი ქერქი შემორჩენიათ (ტაბ. $III_{1,3,6}$).

გვიანზედაპალეოლითურ ინვენტართაგან წარმოდგენილია სხვადასხვა ზომის ლამელები, მრავალწიბოიანები, რეტუშისა და ხმარების კვალით (ტაბ. $III_{1-9,11-14}$); ლამელისებრ ანატკეცებზე გაფორმებულ იარაღთა ფრაგმენტები (ტაბ. $III_{10-11,14}$) და ანატკეცები მკრთალი რეტუშისა და გამოყენების კვალით (ტაბ. $III_{12,13,15}$).

მეზოლით-ადრენეოლითი. ლეხიდარის სადგომებზე ამ ეპოქების შესატყვისი მასალა, წინა ეპოქებთან შედარებით, უფრო მეტი რაოდენობითაა წარმოდგენილი. ორივე ეპოქის (მეზოლით-ნეოლითი) ინვენტარი იმდენად ახლოა ერთმანეთთან, რომ მათი დაბეჯითებით მიკუთვნება ერთი ან მეორე ეპოქისადმი შეუძლებელია. ამიტომ, მესამე ტაბულაზე წარმოდგენილი მასალა პირობითად მეზოლითს მივაკუთვნეთ, ხოლო მეოთხისა – ადრენეოლითს.

მეზოლითური იერის მასალა წარმოდგენილია პატარა და საშუალო ზომის ლამელა-ანატკეცების სახით, რომელთაგან, ზოგიერთს ეტყობათ მკრთალი რეტუშისა და გამოყენების კვალი. აღნიშნულ მასალას, გადარეცხვისა და გორების კვალი შედარებით მკრთალად ეტყობათ, ამასთან ნაკლებპატინირებულია. ისინი დამუშავებულია მაღალი ხარისხის, დანიური იარუსის კაჟის ქანზე, რომლებსაც ხშირად მოთეთრო ან მოწითალო შეფერილობა აქვს. ზოგი მათგანი სხვადასხვა ფერის ხალებითა და ლაქებითაა დაფარული. აქაური კაჟი ისეთივეა, როგორც დასავლეთ საქართველოს კარიერებზეა გამოვლენილი.

ლეხიდარის მეზოლით-ადრენეოლითური ინვენტარი ტიპოლოგიურად უახლოვდება დასავლეთ საქართველოს მრავალ თანადროულ ნამოსახლარებზე გამოვლენილ იარაღებს, ასეთი ძეგლებია: ქვაჭარა [3, გვ. 21-84], ჯამპალი [3, ტაბ. III], აპიანჩა [7, გვ. 7-8], ხევი [1, გვ. 56], მელოური [2, გვ. 77-79] და სხვ.

ლეხიდარის მუსტიეს ეპოქის იარაღებს მსგავსება აქვთ საქართველოს ისეთ თანადროულ ნამოსახლართა იარაღებთან, როგორიცაა: აპიანჩა [8, გვ. 12-13], სვანთა სავანე [9, გვ. 211-223], ორთვალას მღვიმე [5, გვ. 10-11] და სხვ.

უკანასკნელ ხანებში (1979-1989), ლეხიდარის ხეობაში წარმოებული არქეოლოგიური ძიების შედეგად პირველად დადასტურდა, რომ აქ ქვის ხანის ადამიანს არანაკლებ ოთხ სხვადასხვა პერიოდში მაინც უცხოვრია. აქვე დადგინდა აგრეთვე ანტიკური და შუა საუკუნეების ხანის ადამიანის მოღვაწეობის კვალიც.

ადგილსაპოვებელის კვლევა დასრულებული არაა, მაგრამ მისი ძირითადი ხასიათი დადგენილია. ეს საოცარი ხეობა არქეოლოგიურად მომავლაშიც მრავალმხრივ საინტერესოა. დღემდე ჩატარებული კვლევა-ძიებით გაირკვა, რომ ლეხიდარის აღნიშნული ადგილსაპოვებელის სახით საქართველოს უძველესი ისტორიის სამსახურში ჩადგა კიდევ ერთი მრავალფენიანი ძეგლი, რომლის საბოლოო შესწავლა მრავალ საინტერესო საკითხს გააშუქებს, როგორც მითვისებითი, ისე წარმოებითი მეურნეობის ეპოქათა კვლევისას.

K. Kalandadze

STONE AGE SITES FROM LEKHIDARI VALLEY

(Summary)

The sites are located on the territory of the village of Kvemo Oncheishi (Tsqaltubo district), at the sources of the Rioni and the Lekhidari, 272 m above the sea level and within 10-15 m of the river.

Archaeological materials were brought to light for the first time in 1979 by the Namokhvani archaeological expedition (director – A. Nutsubidze, team leader K. Kalandadze).

Excavations undertaken by Tsqaltubo archaeological expedition (director – K. Kalandadze) in subsequent years, brought to light artifacts of earlier periods (Mousterian, Acheulean). The sites did not reveal any intact archaeological layer. Flint and basalt tools attributed to the Acheulean, Mousterian, Mesolithic and Early Neolithic periods were collected on the surface. Choppers and rough flakes belong to the Acheulian epoch (Pl. I, 3). Scrapers come from the Musterian period (Pl. II).

Flakes and nuclei are attributed to the Upper Palaeolithic (Pl. III).

Various scrapers, knife-type tools, nuclei and plaques are dated to the Mesolithic – Early Neolithic (Pl. IV) period.

Artifacts dating from the Classical and medieval periods are also attested on the site.

ლიტერატურა

1. **კალანდაძე კ.** დასავლეთ საქართველოს ნეოლითური კულტურა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე. თბ., 1986.

2. **კალანდაძე კ.** ქვის ხანის ნამოსახლარები მელოურიდან. – მაცნე, IV, 1979, გვ. 63-80.

3. **წერეთელი ლ.** მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში. თბ., 1975

4. **Каландадзе К.С., Габуния М.К., Небиеридзе Л.Д.** Работы Цхалтубской археологической экспедиции. – ПАИ, 1983 (1986), с. 6-7.

5. **Ниорадзе М. Г.** Исследование пещеры Ортвала. – ПАИ, 1983 (1986), с. 10-13.

6. **Нуцубидзе А., Сахарова Д., Каландадзе К., Миндиашвили Г.** О работах Наохванской экпедции. – ПАИ, 1979 (1982), с. 125-136.

7. **Церетели Л.Д.** Результаты работ Кодорской экспедиции. – ПАИ, 1983 (1986), с. 7-8.

8. **Церетели Л.Д.** Остатки доисторического человека на территории Абхазии. – ПАИ, 1982 (1985), с. 12-13.

9. **Tsereteli L. D.** Le peuplement ancien dans la vallet de Kodori. – L'homme Neandertal, vol. 8, La mutation, Liège, 1988, pp 211-224.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1-3 აშელური ხანის საჩეხისებრი იარაღები.

ტაბ. II – 1, 8. საფხეკი; 3, 10 სახოკისებრი იარაღები; 2, 4, 7-9 ანატკეცები; 5, 6. ანამტვრევები.

ტაბ. III – 1-9, 11-14 ლამელები; 10, 12, 13, 15 ანატკეცები

ტაბ. IV – 1. სახვრეტი; 2. საფხეკი; 3. სახოკი; 4-5 საჭრისები; 6. საჭრისად გადაკეთებული ნუკლეუსი; 7-12. ნუკლეუსები.

Description of the Plates

Pl. I – 1-3. Ashelian chopping tools.

Pl. II – 1, 3, 8, 10. scrapers; 2, 4, 7-9. flackes.

Pl. III – 1-9, 11-14. blades; 10, 12, 13, 15. flackes.

Pl. IV – 1. fover; 2. endscraper; 3. scraper; 4-5. barins; 6. barin on core; 7-12. cores.

ტაბ. I




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
0
3

ტაბ. III




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
0
3

ოთარ ჯაფარიძე

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის დოლმენები

კავკასიის დოლმენებმა კარგა ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება და არაერთი მოსაზრება გამოითქვა მათი აგების დროის, წარმომავლობის, გავრცელების, მშენებელი ტომების ვინაობის და სხვა საკითხების შესახებ. საერთოდ, სამარხის ეს ტიპი ფართოდ იყო გავრცელებული ძველ სამყაროში ევროპასა და აზიაში, აფრიკაში [3, გვ. 298; 22, გვ. 3]. საიდან, რა გზით შემოდის დოლმენური ტიპის სამარხი კავკასიის დასავლეთ ნაწილში, ჯერ კიდევ მთლიანად ნათელი არ არის. ითქვა, რომ კავკასიის დოლმენების ადგილობრივი წარმომავლობა უფროა სავარაუდო და მათ ადგილობრივი პროტოტიპები მოეძებნებათ [11, გვ. 48]. ისიც კი აღინიშნა, რომ დოლმენური კულტურის სამშობლო კავკასია უნდა ყოფილიყო [36, გვ. 225; 35, გვ. 64; 31, გვ. 281].

ნაკლებად დამაჯერებელია დოლმენური კულტურის ფესვების ძიება ადგილობრივ, წინამორბედ კულტურაში. უმართებულო ჩანს მოსაზრება, რომ თითქოს აფხაზეთის დოლმენები წარმომავლობით უკავშირდებიან სამხრეთ კავკასიაში გავრცელებულ სამარხებს, კერძოდ ქვაცხელების ნამოსახლარზე გამოვლენილ ორმოსამარხებს რიყის ქვით აშენებული კედლებით. ამ სამარხების ინვენტარიც თითქოს გარკვეულ მსგავსებას ავლენს დოლმენებში წარმოდგენილ ნივთიერ მასალასთან [33, გვ. 62]. მაგრამ ქვაცხელების სამარხები მტკვარ-არაქსის კულტურას მიეკუთვნება, რომლის ნაკვალევი კოლხეთის შიდა რაიონებში არ შეინიშნება. დოლმენების მშენებლობის ტრადიციის ფესვების ამ კულტურაში ძიება სრულიად უსაფუძვლოა. არც უფრო გვიანი ხანის ქვაყუთების დოლმენების მშენებლობასთან დაკავშირებაა მთლად გამართლებული [33, გვ. 64].

დოლმენების წარმოქმნის შესახებ ორი დიამეტრალურად განსხვავებული შეხედულება არსებობს – მონოცენტრისტული და პოლიცენტრისტული. მარტო გარეგნული მსგავსება არასაკმარისია მათი ნათესაობის დადგენისათვის [11, გვ. 48]. მაგრამ სხვადასხვა მხარის დოლმენების მშენებლობის ტრადიცია იმდენად საერთო ნიშნებით ხასიათდება, ზოგჯერ დეტალებშიც კი, რომ მათი მონოცენტრისტული წარმომავლობა თითქოს უფრო მეტადაა სავარაუდო. უფრო პერსპექტული ჩანს მოსაზრება, რომ დოლმენური ტიპის სამარხი ხმელთაშუაზღვის აუზიდან უნდა გავრცელებულიყო [20, გვ. 313], სადაც მეგალითური ძეგლები ადრეული ეპოქიდანაა ცნობილი. აღინიშნა, რომ კავკასიის დოლმენები პირინეის ნახევარკუნძულის ამ ტიპის სამარხებთან ნახულობენ მეტ საერთოს [20, გვ. 316]. მათ შორის მსგავსება სამარხეულ ინვენტარშიც შეინიშნება [20, გვ. 64]. თუმცა ისიც ითქვა, რომ კავკასიის მეგალითები არ იმეორებენ ზუსტად პირინეის ძეგლებს და არც არქეოლოგიურ მასალაში შეიმჩნევა საერთო ნიშნები [28, გვ. 85]. შესაძლოა, დოლმენური კულტურის მატარებელი მოსახლეობა დემოგრაფიული და სხვა მიზეზების გამო ხმელთაშუაზღვის აუზში ამოძრავდა, აფრიკის ჩრდილო სანაპირო ზოლში გავრცელდა და სირია-პალესტინას მიაღწია. მათმა ერთ-ერთმა ტალღამ, ჩანს, შავ ზღვას მიაღწია და მის სამხრეთ-დასავლეთ სანაპირო ზოლს ითვისებს – თურქეთის ევროპულ ნაწილს [36, გვ. 491], ბულგარეთს და სხვ. ისინი, ალბათ, გვერდს უვლიან მცირე აზიას, სადაც ეს ტიპი სამარხებისა სადღეისოდ ცნობილი არ არის. მიგრანტების ერთმა ტალღამ, ჩანს, შავი ზღვა გადასერა და კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპირო ზოლს მიაღწია. ისინი საკმაოდ ინტენსიურად ითვისებენ ყუბანისპირეთს და ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის მიმდებარე მხარეს. ყუბანისპირეთში ამ დროს გვიანმაიკოპის, ნოვოსვობოდნაიას საკმაოდ მაღალი დონის კულტურა იყო გავრცელებული და მოსული მოსახლეობა ამ კულტურის მატარებელ ადგილობრივ, ალბათ ძირითადად აფხაზურ-ადიღეურ ტომებთან შედიან აქტიურ კონტაქტში, რომლებიც ამ დროისათვის განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს აღწევენ. თუმცა ისიც ითქვა, რომ სავაჭრო ურთიერთობების შედეგი უნდა იყოს ძირითადად მეგალითური ტრადიციის გავრცელება ხმელთაშუაზღვის-პონტოს აუზში [28, გვ. 88]. მაგრამ მარტო აღებ-მიცემობის შედეგად ამ მოვლენის ახსნა მთლად მართებული არ უნდა იყოს. ზოგი იმასაც ვარაუდობს, რომ კავკასიაში მხოლოდ სამარხის ახალი ფორმა ვრცელდება [32, გვ. 318]. მაგრამ განსხვავებული სახის სამარხის და საერთოდ, დაკრძალვის სხვაგვარი რიტუალის ფართოდ გავრცელება ალბათ უფრო მეტად ეთნიკურ სამყაროში მიმდინარე მოვლენებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

და მაინც, ვინ იყვნენ ის ტომები, რომლებმაც კავკასიაში დოლმენური კულტურა გაავრცელეს? მათი ეთნიკური ვინაობის შესახებ არაერთი მოსაზრება გამოითქვა. ყველაზე პოპულარულია აზრი, რომ დოლმენების მშენებელი ადგილობრივი ეთნოსი უნდა ყოფილიყო [21, გვ. 27]. რაკი დოლმენური კულტურის გავრცელების ტერიტორია ძირითადად ემთხვევა აფხაზურ-ადიღეური ტომების ადგილსამყოფელს, ამიტომ სწორედ მათ უკავშირებენ ამ ტიპის სამარხის მშენებლობის ტრადიციას [11, გვ. 51]. მაგრამ, როგორც აღინიშნა, კავკასიაში დოლმენების გამოჩენა ალბათ უფრო მიგრაციულ პროცესებს უკავშირდება. ზოგის აზრით, დოლმენების მშენებლობის ტრადიცია დასავლეთ

ევროპიდან ინდოევროპულ ტომებს უნდა გაევრცელებინა [29, გვ. 84; 26, გვ. 39], ზოგიც კავკასიაში მეგალითური კულტურის გაჩენას ხმელთაშუაზღვის აუზს უკავშირებს [22, გვ. 395]. სწორედ პირინეის ნახევარკუნძულზეა ცნობილი ადრეული მეგალითური ძეგლები და სადაც დღესაც გვხვდება ევროპის უძველესი არაინდოევროპული მოსახლეობა ბასკები [9, გვ. 954]. ბასკურის კავკასიურ ენებთან სიახლოვეს არაერთი მკვლევარი იზიარებს. ამიტომ მაცდური იყო დოლმენების კავკასიაში გავრცელება ბასკებთან დაკავშირების იდეა. მაგრამ თუ ბასკურ-კავკასიურ ჰიპოთეზას რაიმე რეალური საფუძველი გააჩნია, მაშინ ისაა უფრო სავარაუდო, რომ ეს ურთიერთობა გაცილებით ადრეულ პერიოდში, ეგებ ჯერ კიდევ ქვის ხანაში ხორციელდებოდა და მიგრაციული პროცესები ხმელთაშუაზღვის აუზში აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით მიმდინარეობდა [4, გვ. 228].

კოლხეთში დოლმენები უკიდურეს დასავლეთ ნაწილში გვხვდება, ყუბანისპირეთთან მომიჯნავე მხარეში, რომელიც თავისებური რელიეფით ხასიათდება. აქ მთები საკმაოდ ახლო ადგება სანაპიროს, რომელიც ვიწრო ზოლით მიუყვება ზღვას. ეს მხარე ამ დროს ძირითადად, ალბათ, აფხაზურ-ადიღეური და ეგებ ქართველური, უპირატესად სვანი ტომების ადგილსამყოფელი იყო. დოლმენების მშენებელი ხალხები, ეტყობა, ადგილობრივ მოსახლეობაში ითქვიფებიან, მათ კულტურას ითვისებენ, ოღონდ ერთხანს დოლმენებში დაკრძალვის წესს არ ივიწყებენ. სოხუმის სამხრეთით, ისტორიული სამურზაყანოს მიწა-წყალზე, სადაც დოლმენური ტიპის სამარხი თითქმის არ გავრცელებულა, სრულიად განსხვავებული რელიეფით ხასიათდება. იგი უფრო გაშლილია და თანდათანობით კოლხეთის დაბლობში გადადის. ეს მხარე, ალბათ, უფრო ქართველური მოსახლეობის საცხოვრისი იყო. ჩანს, დოლმენების მშენებლობის ტრადიციამ კოლხ მოსახლეობაში ფეხი მაინცდამაინც ვერ მოიკიდა.

კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დოლმენების გავრცელების საზღვარი ოჩამჩირეს აღწევს. თუმცა ზოგს ოჩამჩირეში ნაპოვნი ქვიშაქვის ნახვრეტიანი ფილის დოლმენებთან დაკავშირების შესაძლებლობა უმართებულოდ მიაჩნია და საერთოდ დოლმენების სოხუმს ქვემოთ გავრცელება ეეჭვება [8, გვ. 55]. კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში სამარხის ეს ტიპი გვხვდება როგორც ზღვისპირა ზოლში, ისე მთისწინა და მთის მხარეში. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში, ყუბანისპირეთთან შედარებით, მათ მაინცდამაინც ფართო გავრცელება არ მიუღიათ. შესაძლოა ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ კოლხეთში ამ დროისათვის ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერად იგრძნობა ნეოლით-ენეოლითის ტრადიციები; ჩრდილ-დასავლეთ კავკასიაში კი ამ დროს მაიკოპის კულტურის აყვავების ხანაა, საზოგადოება განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს და ეტყობა დოლმენური კულტურის მატარებელი ხალხი დაწინაურებულ მხარესთან შედიან უფრო აქტიურ კონტაქტში.

რატომ არ გავრცელდა სამარხის ეს ტიპი კოლხეთის სხვა ადგილებში, მის ცენტრალურ რეგიონში, რიონ-ყვირილის აუზში და სხვ. – გარკვევით თქმა ძნელია. ეტყობა კოლხეთში ჯერ კიდევ მძლავრად მოქმედებს ცხოვრების ძველი ტრადიციული სისტემა, რომელიც ძნელად ეგუება ახალ მოვლენებს. გამოითქვა მოსაზრება, რომ კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დოლმენი უპირატესად იმ რეგიონებს უკავშირდება, სადაც ბილიკები და გადასვლელები გადიოდა, რომლითაც სარგებლობდნენ მწყემსები ცხვრის ფარის გადარეკვის დროს [20, გვ. 55].

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში დოლმენები ჯგუფ-ჯგუფად გვხვდება. აქ ძირითადად გავრცელებული იყო ქვის ფილებისაგან შეკრული ტრაპეციის ფორმის დოლმენები. სხვა ტიპის დოლმენები აქ თითქმის არ გვხვდება. კოლხეთის მიწა-წყალზე დოლმენები ძირითადად ზომით განირჩევიან – მომცრო, საშუალო და დიდი [1, გვ. 6]. დაკრძალვის წესით ისინი თითქმის არ განსხვავდებიან და ყველა კოლექტიურ-საოჯახო თუ საგვარეულო სამარხებს წარმოადგენს [18, გვ. 267]. მომცრო ზომის დოლმენებში შედარებით ღარიბული მასალა გვხვდება. მოზრდილ დოლმენებში სამარხეული ინვენტარი უფრო მდიდრად იყო წარმოდგენილი. უთუოდ საგულისხმოა, რომ ყველა დოლმენში, დიდსა თუ პატარაში, ერთი ხასიათის თიხის ნაწარმი გვხვდება, უპირატესად მომცრო ზომის ჭურჭელი. ის, რომ თიხის ნაწარმი დოლმენური კულტურის არსებობის მთელ მანძილზე სახეს თითქმის არ იცვლის და არც დასაფლავების რიტუალშია შესამჩნევი სხვაობა, თითქოს უფრო იმას უნდა მოწმობდეს, რომ არც მათი მშენებლობის ხანა უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც დაშორებული. სხვაობა დოლმენების ზომებში და სამარხეულ ინვენტარში, შესაძლოა, მიცვალებულის სოციალურ მდგომარეობასთან იყო უფრო დაკავშირებული [11, გვ. 34]. აღინიშნება, რომ დოლმენების მშენებელ ტომებთან სოციალური დიფერენციაცია უფრო სამარხ-ნაგებობაში აისახა, ვიდრე ინვენტარის ხასიათში [27, გვ. 19; 28, გვ. 10]. მიცვალებულის მაღალი სტატუსი ეტყობა ძირითადად დოლმენის სიდიდით, ნაგებობის სირთულით განისაზღვრებოდა.

მომცრო ზომის დოლმენებში ლითონის ნივთები ნაკლებადაა წარმოდგენილი. გვხვდება უპირატესად სასაფეთქლე რგოლები, არქაული ტიპის სატევრისპირები და სხვ. შედარებით უფრო მოზრდილ „ელიტარულ“ დოლმენებში ლითონის ნაწარმიდან გვხვდება ცულები, სატევრისპირები, კავები, დანები და სხვ. აქ უპირატესად წარმოდგენილია ვიწროტანიანი, ყუადაქანებული ცულები, რომლებიც ფორმით უახ-

ლოვდებიან ყვირილის ხეობაში, საჩხერის ყორღანულ სამაროვნებზე მოპოვებულ ცულებს [2, გვ. 232]. ეს ტიპი ცულისა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის დოლმენებისათვის მაინცდამაინც დამახასიათებელი არ არის. როგორც ჩანს, ამ ტიპის ცულის ჩამოყალიბების ძირითადი რეგიონი კოლხეთი უნდა ყოფილიყო. აფხაზეთის დოლმენებში გვხვდება აგრეთვე სხვა სახის ცული, შედარებით უფრო ფართოპირიანი. აქვე წარმოდგენილია სატევრის პირები, არქაული ფორმის. აღსანიშნავია ეშერის დოლმენებში ნაპოვნი ფოთლისებრი ფორმის, მაღალყუნწიანი სატევრისპირები, რომლებსაც პირზე აქეთ-იქით ფართო ღარები ჩამოუყვება. სხვაგან ამ ტიპის იარაღი ცნობილი არ არის [2, გვ. 234].

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის დოლმენებში ხშირად გვხვდება ბრინჯაოს ცალკაპა კავები. ზოგ მათგანს მასრა გახსნილი აქვს, ზოგის მასრა შეკრულია. ამ ტიპის კავები ნაპოვნია ეშერის და სულის დოლმენებში. მასრაშეკრული ცალკაპა კავები აღმოჩნდა ეშერის დოლმენებში; მასრას წნული ორნამენტი ამკობს. აღსანიშნავია, რომ ეშერის ერთ-ერთ დოლმენში ნაპოვნია სამკაპა კავი, რომლის მასრაც აგრეთვე წნული ორნამენტითაა შემკული. ჩვენში სადღეისოდ ადრეული ხანის ბრინჯაოს კავები მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის დოლმენებიდანაა ცნობილი [2, გვ. 238]. ყუბანისპირეთში მაიკოპის კულტურის ნოვოსვობოდნაიას ეტაპის ყორღანულ სამარხებში კარგადაა წარმოდგენილი ბრინჯაოს კავები, ძირითადად ორკაპა, რომლებიც ფორმით განსხვავდებიან კოლხეთის დოლმენებში ნაპოვნი ცალებისგან. საგულისხმოა, რომ კავკასიის დოლმენებში აღმოჩენილი კავები უახლოვდებიან ხმელთაშუაზღვისპირეთის დოლმენებიდან ცნობილ მსგავს იარაღს [20, გვ. 238; 13, გვ. 138]. აღსანიშნავია, რომ კუნძულ კვიპროსზე ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ აკლდამაში ნაპოვნი იყო ეშერის სამკაპა კავის ანალოგიური იარაღი [27, გვ. 19; 28, გვ. 101].

ეშერის დოლმენებში კაჟის ისრისპირები აღმოჩნდა. ისრისპირები გამოირჩევიან მოხდენილი ფორმით და დამუშავების საკმაოდ მაღალი ტექნიკით. მსგავსი ისრისპირები კავკასიის დოლმენებში თითქმის არ გვხვდება. ეშერის ფუძეამოღარული ისრისპირები ფორმით უახლოვდებიან ოჩამჩირის ნამოსახლარზე აღმოჩენილ მსგავს იარაღს [20, გვ. 229]. აღსანიშნავია, რომ გარკვეული მსგავსება შეინიშნება პირინეის ნახევარკუნძულის დოლმენებში ნაპოვნ კაჟის ისრისპირებთან [20, გვ. 309].

კავკასიის დოლმენებში უპირატესად მომცრო ზომის თიხის ჭურჭელია წარმოდგენილი. გამოითქვა მოსაზრება, რომ დოლმენური კერამიკა ძირითადად დაკრძალვის რიტუალს უკავშირდება [28, გვ. 295]. აღინიშნა აგრეთვე ისიც, რომ ეს თიხის ნაწარმი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ნამოსახლარების კერამიკასთან. ზოგის აზრით, განსაკუთრებით უახლოვდება იგი ფორმითა და დეკორის ხასიათით ოჩამჩირის ნამოსახლარის თიხის ჭურჭელს [6, გვ. 13; 7, გვ. 106]. თუმცა ის აზრიცაა გამოთქმული, რომ ოჩამჩირის ნამოსახლარის დოლმენური კულტურის წრეში გაერთიანება მართებული არ უნდა იყოს და იგი უფრო მეტ საერთოს პოულობს კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლის ნამოსახლარებთან. დოლმენური კულტურა კი უფრო მეტად უახლოვდება ჩრდილო-დასალეთ კოლხეთში გამოვლენილ მაჭარის, გუმისთის, გვანდრას ნამოსახლარებს, რომლებისთვისაც დამახასიათებელია სოჭი-ადლერის და სოხუმის ტიპის თოხები. მსგავსება ჩანს აგრეთვე კერამიკულ მასალაში [5, გვ. 217].

როგორც ჩანს, არ უნდა იყოს სწორი ადრე გამოთქმული მოსაზრება, რომ თითქოს მომცრო ზომის დოლმენები დროით წინ უსწრებდნენ უფრო მოზრდილ დოლმენებს და რომ მათი მშენებლობა ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში მიმდინარეობდა. ეს შეხედულება ძირითადად იმას ეფუძნებოდა, რომ მომცრო დოლმენებში უფრო ღარიბული მასალა გვხვდება, მოზრდილებში კი უკეთაა წარმოდგენილი ლითონის ინვენტარი [2, გვ. 238]. აღსანიშნავია 1937 წელს სოფ. ეშერაში შესწავლილი ორი დოლმენი, რომლებშიაც კარგად დაფიქსირდა ფენათა განლაგება. II დოლმენში, რომელიც ლ. სოლოვიოვის მიერ იყო გათხრილი, ოთხი ფენა დადასტურდა. ქვედა, ძირითად ფენაში, დოლმენის ძირზე, ნაპოვნი იყო ბრტყელი ყუნწიანი დანისპირი და ცალკაპა კავი წნული ორნამენტით შემკული მასრით. ჩანს, ამავე ფენიდან უნდა იყოს კაჟის ყუნწიანი ისრისპირი მკვეთრად გამოსახული ფრთებით. უფრო ჭარბათ მასალა ზედა, მეორე ფენაში აღმოჩნდა, ძირითადად ბრინჯაოს სამკაული – ქინძისთავები დაფანჯრული თავით, მძივები, საკიდები, დაფანჯრული მძივსაკიდები და სხვ. ამ სახის სამარხეული ინვენტარი ხშირადაა წარმოდგენილი ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის დოლმენებში. ზედა ორი ფენის მასალა უფრო გვიანი ხანისაა [2, გვ. 219].

ამავე წელს სოფ. ეშერაში ბ. კუფტინმა შეისწავლა VI დოლმენი, სადაც აგრეთვე ფენათა სტრატიგრაფია დადასტურდა. პირველი, ძირა ფენა გამოვლინდა დოლმენის წინა კედლის ხვრელის ქვევით, მეორე კი – ხვრელის დონეზე აღმოჩნდა. ქვედა ფენაში წარმოდგენილი იყო ორი ყუადაქანებული ცული, რომელთაგან ერთ-ერთს შემკული ყუა აქვს; ორი სატევრისპირი ბრტყელი, მაღალი ყუნწით, ოთხწახნაგა სადგისი და ბრტყელი, ყუნწიანი დანისპირი. ზედა მეორე ფენაში ნაპოვნი იყო ძირითადად ბრინჯაოს სამკაული – მოზრდილი ბიკონუსური მძივები, დაფანჯრული მძივსაკიდები, საკინძები, ფრინველის ქანდაკებები, ხვიები და სხვ., რომლებიც ხშირად გვხვდება აფხაზეთის დოლმენებში [2, გვ. 220].

როგორც ჩანს, კოლხეთის ზოგიერთ მოზრდილ დოლმენებში მეორადი დარძალვა დას-

ტურდება. მეორე ფენისთვის დამახასიათებელი მასალა უპირატესად ბრინჯაოს სამკაულითაა წარმოდგენილი. მ. ივაშჩენკოს მიერ 1936 წელს ეშერაში გათხრილ პირველ დოლმენში უმთავრესად სამკაული იყო წარმოდგენილი [12, გვ. 18]. 1955 წელს იქვე გათხრილი № 1 მოზრდილ დოლმენიც ძირითადად შეიცავდა ბრინჯაოს სამკაულს – ქინძისთავებს დაფანჯრული თავით, ბიკონუსურ მძივებს, დაფანჯრულ მძივსაკიდებს, სასაფეთქლე რგოლებს და სხვ. ზედა ფენაში აქ აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი მასალა [1, გვ. 85]. როგორც ჩანს, ეშერის ამ ორივე დოლმენში ძირა ფენა პირწმინდათ ამოწმენდილი იყო, ალბათ ზედა, მეორე ფენის გამართვის დროს. ზოგიერთ დოლმენში ქვედა და ზედა ფენები არეული იყო. მ. ივაშჩენკოს მიერ ეშერაში შესწავლილ III დოლმენში არქაულ მასალებთან ერთად ნაპოვნი იყო ბრინჯაოს სამკაული [12, გვ. 23]. ეტყობა, მეორადი დაკრძალვის დროს ინვენტარი ერთმანეთში აირია. უფრო სავარაუდო ჩანს, რომ კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში დოლმენების მშენებლობა ძირითადად ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში მიმდინარეობდა, უფრო გვიან მათ აღარ აგებენ და მოზრდილ სამარხებს მხოლოდ მეორადი დასაფლავებისთვის იყენებდნენ.

კავკასიაში დოლმენების მშენებელი ტომების პირველი გამოჩენის შესახებ არაერთი მოსაზრება იყო გამოთქმული [11, გვ. 44]. უფრო ის აზრი დომინირებს, რომ ეს ტომები აქ ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ვრცელდებიან. მაგრამ მაიკოპის კულტურის სიღრმეში გადატანის გამო უნდა დაძველდეს აგრეთვე დოლმენური კულტურის მატარებელი ხალხის კავკასიაში გამოჩენის თარიღიც. გამოითქვა მოსაზრება, რომ დოლმენების მშენებლობა კავკასიაში დაახლოებით ძვ.წ. 2700 წლის ფარგლებში უნდა დაწყებულიყო და ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებამდე გაგრძელებულიყო [22, გვ. 398]. ზოგს დოლმენური კულტურის აქ გამოჩენის თარიღი კიდევ უფრო სიღრმეში გადააქვს და თვლის, რომ იგი დასავლეთ კავკასიაში ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლოს მაიკოპის კულტურას ენაცვლება [30, გვ. 47].

როგორც ჩანს, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში და კოლხეთში დოლმენური კულტურის განვითარების პროცესი სხვადასხვაგვარად წარიმართა. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ეს კულტურა, ეტყობა, უფრო ადრე წყვეტს არსებობას, ალბათ III-II ათასწლეულების მიჯნაზე. შემდეგში აქ დოლმენებს, ჩანს, აღარ აგებენ და მათ ზოგჯერ მეორადი დასაფლავებისთვის იყენებდნენ. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, ყუბანისპირეთში კი დოლმენებში დაკრძალვის წესი უფრო დიდხანს შემორჩა და თითქმის 1000 წელს გაგრძელდა ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებამდე [11, გვ. 31]. ამიტომაცაა ალბათ, რომ აქ ამ ტიპის სამარხის ხანგრძლივი არსებობის მანძილზე მისი სხვადასხვა ვარიანტები ჩამოყალიბდა. კოლხეთში კი ძირითადად ერთი სახის ტრაპეციის ფორმის დოლმენებია ცნობილი.

არც ის აზრი ჩანს მთლად მართებული, რომ თითქოს დოლმენების მშენებლობა ჯერ ყუბანისპირეთში დაწყებულა, კოლხეთში კი ეს ტიპი სამარხისა უფრო გვიან ჩნდება. თუმცა ისიც ითქვა, რომ პირიქით, დოლმენი ჩრდილოეთით კოლხეთიდან უნდა გავრცელებულიყო [17, გვ. 74; 26, გვ. 37]. მაგრამ თითქოს უფრო ისაა სავარაუდო, რომ დოლმენის მშენებელი ტომები კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში, კოლხეთის ჩათვლით, დაახლოებით ერთდროულად უნდა გამოჩენილიყვნენ. აქ ეგებ მათი სხვადასხვა ტალღები მოდიოდა, ზოგი უფრო ადრე, ზოგიც რამდენადმე მოგვიანებით, მაგრამ დროის წყვეტილი საგრძნობი არ უნდა ყოფილიყო. შესაძლოა მართლაც, როგორც ვარაუდობენ, ამ ტომების კავკასიაში გამოჩენა წინასწარ გამიზნული არ იყო და უფრო შემთხვევით მოვლენასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული [22, გვ. 396]. მომდევნო ხანებში მათი კავკასიაში მიგრაცია ნაკლებ სავარაუდოა. არ უნდა იყოს მთლად მართებული, რომ თითქოს მაიკოპურ კულტურას დოლმენური ენაცვლება [27, გვ. 21; 30, გვ. 47]. როგორც ჩანს, დოლმენების მშენებელი ხალხის გამოჩენა გვიანმაიკოპის ხანაში, ნოვოსვობოდნაიას ეტაპზე ხორციელდებოდა. მაგრამ ამ ეტაპის თარიღის განსაზღვრა გარკვეულ სირთულებთანაა დაკავშირებული. ამ ხანის ძეგლები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გაცილებით ფართოდ ვრცელდებიან და დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს მოიცავს [23, გვ. 170]. მაიკოპის კულტურის სიღრმეში გადატანამ დაძველა აგრეთვე მისი გვიანი ეტაპი, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში უნდა დასრულებულიყო [23, გვ. 170; 11, გვ. 75]. დაახლოებით ამავე დროისაა დოლმენური კულტურა, რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში განაგრძობს არსებობას [3, გვ. 190]. თუმცა ეშერის დოლმენების სამარხეული ინვენტარის ანალიზის საფუძველზე მათი უფრო გვიანი თარიღი აღინიშნა [27, გვ. 24]. მაგრამ ამ ვარაუდმა სამართლიანი კრიტიკა დაიმსახურა [15, გვ. 96].

როგორც ჩანს, ერთხანს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გვიანმაიკოპის ხანაში, ნოვოსვობოდნაიას და დოლმენური კულტურები თანაარსებობენ. დაკრძალვის რიტუალში მათთვის დამახასიათებელი ტრადიციების შერწყმა დასტურდება. მიცვალებული დოლმენური ტიპის ნაგებობაში იკრძალებოდა საკმაოდ მდიდრული ინვენტარით, რომელიც შემდეგ ყორღანული ყრილით იფარებოდა. მოსულები, ჩანს, საზოგადოების შიგნით საკმაოდ მაღალი სოციალურ სტატუსს აღწევენ. დოლმენები ფართოდ ვრცელდება ყუბანისპირეთში მდ. ლაბას აუზიდან ვიდრე ტამანის ნახევარკუნძულამდე [19, გვ. 69]. აქ ძირითადად ქვის ფილებისგან შეკრული დოლმენები გვხვდება, თუმცა სხვა ტიპებიცაა ცნო-

ბილი [19, გვ. 60]. დოლმენურ კულტურაში აღარ ჩანს ის „ბარბაროსული ბრწყინვალება“, რომელიც ჯერ კიდევ დამახასიათებელია გვიანმაიკოპის დროინდელი სამარხებისათვის. დოლმენებში თითქმის სრულიად ქრება ძვირფასი ლითონის ნივთიერი მასალა. ჩანს, დოლმენური კულტურის ხანაში იცვლება საზოგადოების სოციალური სტრუქტურა. აღარ გვხვდება წინარე ხანისათვის დამახასიათებელი ელიტარული ფენის დიდებული სამარხები. ამ დროის ლიდერის სამარხი, როგორც აღინიშნა, ძირითადად დოლმენის ზომებში გამოიხატა, საკმაოდ მოკრძალებული სამარხეული ინვენტარით. შესაძლოა მაიკოპის კულტურის დაკნინების ერთ-ერთი მიზეზი დოლმენების მშენებელი ხალხის გამოჩენა იყო.

სრულიად განსხვავებული ვითარებაა ამ დროს ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში. როგორც ჩანს, მეზობელ ყუბანისპირეთში ჯერ კიდევ მაიკოპის კულტურის ხანაში მიმდინარე პროცესები კოლხეთს არ შეხებია. აქ არც ყორღანული ტიპის სამარხები გავრცელებულა და არც ის „ფუფუნებაა“ ცნობილი, რომელიც მაიკოპის კულტურისთვისაა დამახასიათებელი. ეტყობა აქ ამ დროს საზოგადოება ჩველუბრივი რიტმით განაგრძობს ცხოვრებას. რა იყო მიზეზი, რომ კოლხეთი ამ მოვლენების მიღმა დარჩა, გარკვევით თქმა ძნელია. მითუმეტეს, რომ სამხრეთიდან მომდინარე იმპულსების გავრცელების ერთ-ერთი გზა, როგორც ჩანს, კოლხეთზე გადიოდა, რასაც დასავლეთ ამიერკავკასიის გამოქვაბულების კულტურა მოწმობს, რომელიც გარკვეულ სიახლოვეს ავლენს მაიკოპთან [16, გვ. 33, 62; 4, გვ. 278]. შესაძლოა, ამის ერთ-ერთი მიზეზი ბუნებრივი პირობების თავისებური ხასიათი იყო. კოლხეთის იმ ნაწილში, სადაც დოლმენებია გავრცელებული, მთები საკმაოდ ახლო ადგებიან სანაპიროს და ცხოვრებისათვის აქ არცთუ მაინცდამაინც გასაძლისი გარემო არსებობდა და ეგებ ამიტომ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში დოლმენურმა კულტურამ ვერ მოიკიდა ფეხი. აქ მან შედარებით ხანმოკლე დროის მანძილზე იარსება, განსხვავებით ჩრდილო კავკასიისა, სადაც მისმა ხანგრძლიობამ საკმაოდ დიდი მონაკვეთი მოიცვა.

უთუოდ საინტერესოა სოფ. ოთხარაში შესწავლილი რამდენიმე „ყორღანი“, სადაც ყრილის ქვეშ მოთავსებული იყო დოლმენი [33, გვ. 12]. ყორღანებს გარედან ქვის წრეები, კრომლეხი შემოუყვებოდა. ეს სამარხები ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე მდებარეობდნენ. ყრილში ბლომად ჩნდებოდა ძველი ნამოსახლარისათვის და აგრეთვე საშუალო საკუნეებისათვის დამახასიათებელი მასალა. არ არის ვარაუდს მოკლებული, რომ დოლმენები ყრილით გვიან, შესაძლოა საშუალო საუკუნეებში დაიფარა და სამარხები ამ დროს გაიძარცვა. ყორღანული სამარხის არსებობა კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და საერთოდ დასავლეთ ამიერკაკასიაში დოლმენური კულტურის ხანაში ნაკლებ სავარაუდოა. სამწუხაროდ ოთხარის დოლმენების ძირა ფენა ძლიერ დაზიანებული აღმოჩნდა. ამ დროისა უნდა იყოს ერთ-ერთ დოლმენში ნაპოვნი სატევრისპირები [33, გვ. 30]. მსგავსი იარაღები ცნობილია ეშერის დოლმენიდან. ზოგიერთ დოლმენში აღმოჩნდა კაჟის ისრისპირები, აგრეთვე დამახასიათებელი ეშერის დოლმენების ძირა ფენისათვის [33, გვ. 31]. სამაგიეროდ ოთხარის სამარხებში კარგადაა წარმოდგენილი აფხაზეთის დოლმენების მეორე ფენისათვის დამახასიათებელი სამკაულები – საკინძები, სასაფეთქლე რგოლები, სხვადასხვა მძივები და სხვ. [33, გვ. 21].

აღსანიშნავია, რომ ოთხარის დოლმენური სამარხები გარკვეულ მსგავსებას ავლენენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ძეგლებთან, კერძოდ ტუაფსეს რეგიონში, სოფ. ანასტასიევკასთან მდებარე ფსინაკო I ყორღანთან. აქაც ყორღანის ყრილის ქვეშ დოლმენი და ორი კრომლეხი იყო მოქცეული [20, გვ. 315]. ფსინაკო I უფრო რთული ხასიათის ძეგლი იყო, სადაც საკმაოდ გრძელი ქვებისაგან ნაგები დრომოსი დოლმენის წინა კედელს ადგებოდა [20, გვ. 326]. ვარაუდობენ, რომ ყორღანული ყრილი მლოცველთა მიერ დანატოვარი ქვების შედეგად უნდა წარმოქმნილიყო [20, გვ. 334]. შესაძლოა, ოთხარის დოლმენები ამავე ხასიათის ძეგლებს წარმოადგენდნენ [20, გვ. 334]. ფსინაკო I-თვის რამდენიმე რადიოკარბონული თარიღია მიღებული. ძირა ფენა ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებს მიეკუთვნება, ზედა ფენები კი – ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისს [20, გვ. 333].

საინტერესოა სოფ. ეშერაში აღმოჩენილი კრომლეხები. აქ ყრილის ქვეშ გამოვლინდა ორი კრომლეხი. ერთი მათგანი ვერტიკალურად აღმართული ქვებისგან ნაგები ოთხი კონცენტრული წრისგან შედგებოდა [34, გვ. 3]. არქეოლოგიური მასალა ძირითადად ცენტრალურ წრეში დაფიქსირდა. მეორე კრომლეხი პირველისგან ნახევარი მეტრის დაშორებით მდებარეობდა და აგრეთვე ოთხი კონცენტრული წრისგან შედგებოდა. ორივე კრომლეხში ერთნაირი ხასიათის მასალა გამოვლინდა – ძირითადად თიხის ჭურჭელი და სამკაული, რომლებიც დამახასიათებელი იყო დოლმენების ზედა, მეორე ფენისათვის. იარაღიდან აქ მხოლოდ ბრინჯაოს რამდენიმე ბრტყელი სატევრისპირი და ისრისპირი იყო ნაპოვნი, ბრინჯაოს სამკაულიდან წარმოდგენილია დაფანჯრულთავიანი საკინძები, ნახევარბირთვისებრი ფორმის მძივსაკიდები, მრგვალი და ოვალური სასაფეთქლე რგოლები, მსხვილი ბიკონუსური მძივები და სხვ. მიცვალებულები, ჩანს, ძირითადად კრომლეხის ცენტრალურ ნაწილში იკრძალებოდნენ. სამარხები ზემოდან კირქვის ფილებით იფარებოდა.

როგორც ჩანს, კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დოლმენური კულტურის შემდეგ სრულიად განსხვავებული ხასიათის კულტურა

ვრცელდება. თუ არ ჩავთვლით ძირითადად სასაფეთქლე რგოლებს, რომლებიც დროის საკმაოდ დიდ მანძილზე გვხვდება [1, გვ. 87], წინამორბედ კულტურასთან მას ცოტა რამე აქვს საერთო. აღარ გვხვდება დოლმენური კულტურისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს იარაღსაჭურველი. ამ დროის სამარხეული ინვენტარი ძირითადად ბრინჯაოს სამკაულისაგან შედგებოდა, რომლებიც დოლმენების ზედა, მეორე ფენაშია წარმოდგენილი. იარაღიდან მხოლოდ რამდენიმე ბრტყელი სატევრისპირი და ისრისპირი გვხვდება. ამ ხასიათის მასალა ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ცნობილია თითქმის ყველა მოზრდილი დოლმენის ზედა ფენაში – ეშერის [1, გვ. 88], აზანტის [1, გვ. 101], ხუაფსის [33, გვ. 37], ოთხარის [33, გვ. 21], ეშერის კრომლეხებში [34, გვ. 15] და სხვ. კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ამ თავისებური ხასიათის კულტურის ჩამოყალიბების შესახებ გარკვევით რაიმეს თქმა ძნელია. თითქოს უფრო ისაა სავარაუდო, რომ ეს კულტურა კოლხეთის ამ მხარეში უნდა წარმოქმნილიყო. ამ კულტურის მატარებელი ტომები ფართოდ იყენებდნენ დასაკრძალავად ადრე ნაგებ დოლმენებს. ეტყობა, დოლმენებში დასაფლავების ტრადიცია ჯერ კიდევ ცოცხლობს. როგორც ჩანს, ეს ლოკალური ხასიათის კულტურა ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ძირითადად კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს მოიცავდა. კოლხეთის სხვა რეგიონებში და მის ფარგლებს გარეთ იგი თითქმის არ გავრცელებულა [22, გვ. 397].

O. Japaridze

DOLMENS OF THE NORTH-WEST COLCHIS

(Summary)

The Caucasian dolmens have for long been the subject of scholarly interest. Many hypotheses have been advanced concerning their chronology, origin, spread and tribes that had erected them, etc. It seems more rational to assume that this type of burial penetrated from the Mediterranean, Iberian peninsula. Probably, one wave of migrants crossed the Black Sea and reached the north-western coastal line of the Caucasus. They successfully assimilated the Koban region and north-western part of Colchis.

General type of dolmens, spread on the territory of Colchis, represents burials of a trapezoid shape, constructed of stone slabs. Unlike the Koban region, only this type of dolmens is attested on the territory of Colchis. Small ones reveal relatively scant material, while larger dolmens contain richer inventory. Difference in the sizes of burials and grave goods can be indicative of a social status of the deceased.

The earlier conjecture, advanced on the basis of dolmen finds in Abkhazia, according to which small dolmens chronologically antedated the larger ones and were constructed in the Early and Middle Bronze Age, does not seem to be valid. Some dolmens in Eshera show neat stratigraphy of layers. Axes, metal hooks, dagger blades, etc. were found in the principal, lower layer. The upper one contained mainly jewels: pins with open-work heads, pendants, beads, necklaces, etc. Obviously, the process of development of dolmen culture took different directions in the north-western Caucasus and Colchis. In Colchis it ceased to exist earlier – at some point by the end of the 3rd – beginning of the 2nd millennia B.C. No such burials were constructed in the following Middle Bronze Age, though, occasionally, dolmens were used for secondary burying. In the north-western Caucasus, Koban region, this type of burials survived until the mid-2nd millennium B.C. This longevity can be the reason for the shaping of different variations of dolmens here. It seems that the tribes that had introduced dolmens , spread simultaneously in the north-western part of the Caucasus, including Colchis. There is no evidence to suggest their migration to the Caucasus in the later period.

It can be supposed that cultures of the Late Maikop and dolmens coexisted in the north-western Caucasus. The departed was placed in a dolmen-type structure covered with an embankment. However, the dolmen culture lacks the grandeur characteristic of the earlier, Maikop burials. The processes progressing in the neighboring Koban region, missed Colchis. Neither barrow burials, nor Maikop grandeur are evidenced on the territory of Colchis.

Dolmens of the north-western part of Colchis seem to have been used as secondary burials. In large Eshera dolmens, the principal, lower layers were covered with different type of inventory: mainly bronze ornaments. Similar grave goods were attested at Otkhari burials and Eshera cromlechs.

It is clear that, after construction of dolmens, a different culture with peculiar ornaments took over in the north-western part of Colchis. It is difficult to assert anything concerning this culture, apart from the fact that in this period dolmens were used for secondary burying. Local culture, not evidenced beyond this particular region, existed here in the first half of the 2nd millennium B.C.

ლიტერატურა

1. **ჯაფარიძე ო.** დოლმენური კულტურა საქართველოში. – თსუ შრომები, ტ. 77, 1956, გვ. 77-126.

2. **ჯაფარიძე ო.** ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961.

3. **ჯაფარიძე ო.** ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. თბ., 1976.

4. **ჯაფარიძე ო.** ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბ., 2006.

5. **ჯიბლაძე ლ.** კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2002.

6. **Бжания В. В.** Древнейшая культура Абхазии. Автореферат кандидатской диссертации, Москва, 1966.

7. **Бжания В. В.** История археологического изучения памятников энеолита и ранней бронзы Абхазии. – Материалы по археологии Абхазии, Тб., 1967, с. 99-114.

8ᵧ **Воронов Юᵧ Нᵧ** Гиеносᵧ – САბ 4ბ 1976ბ сᵧ 42-55ᵧ

9. **Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс.** Индоевропейские языки и индоевропейцы, II. Тб., 1984.

10. **Джибладзе Л. В.** Стратиграфия, хронология и периодизация поселений колхидской низменности в эпоху бронзы. Автореферат, Тб., 1990.

11. **Дольмены.** Современники древних цивилизаций. Краснодар, 2001.

12. **Иващенко М. М.** Исследование археологических памятников материальной культуры в Абхазии. Тб., 1935.

13. **Илюков Л. С.** Металлические "вилки" майкопской культуры. – СА, 4, 1979, с. 138-145.

14. **Инал-Ипа Ш. Д.** Страницы исторической этнографии абхазов. Сухуми, 1971.

15. **Кореневский С. Н.** К вопросу о датирующих возможностях комплекса из нижнего слоя эшерских дольменов Абхазии. – РА, 2, 1992, с. 96-102.

16. **Кореневский С. Н.** Древние земледельцы и скотоводы Прикубанья. Москва, 2004.

17. **Крупнов Е. И.** Древняя история Кабарды. Москва, 1957.

18. **Куфтин Б. А.** Материалы к археологии Колхиды, I. Тб., 1949.

19. **Лавров Л. И.** Дольмены Северо-Западного Кавказа. – Труды АбИЯЛИ, XXXI, Сухуми, 1960, с. 101-178.

20. **Марковин В. И.** Дольмены Западного Кавказа. Москва, 1978.

21. **Марковин В. И.** К вопросу о происхождении склепов и распространении составных дольменов на северном Кавказе. – КСИА, 169, 1982, с. 25-32.

22. **Марковин В. И.** Дольменные памятники Прикубанья и Черноморья. Москва, 1997.

23. **Мунчаев Р. М.** Майкопская культура. – Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. Москва, 1994.

24. **Попова Т. Б.** Дольмены станицы Новосвободной. Москва, 1963.

25. **Резепкин А. Д.** О распространении дольменов Западного Кавказа. – КСИА, 169, 1982, с. 32-38.

26. **Резепкин А. Д.** К интерпретации росписи из гробницы майкопской культуры. – КСИА, 192, 1987, с. 26-32.

27. **Рысин М. Б.** Датировка комплексов из Эшери. – СА, 2, 1990, с. 18-28.

28. **Рысин М. Б.** Культурная трансформация и культура строителей дольменов на Кавказе. – Древние общества в эпоху палеометалла, СПб., 1997, с. 85-123.

29. **Сафронов В. А.** Проблема индоевропейской прародины. Орджоникидзе, 1983.

30. **Трифонов В. А.** Поправки к абсолютной хронологии культур эпохи энеолита-бронзы Северного Кавказа. – Между Азией и Европой, Кавказ в IV-I тыс. до н.э. Санкт-Петербург, 1996, с. 43-45.

31. **Уваров А. С.** Мегалитические памятники России. – Древности, т. VI, вып. 3, Москва, 1876.

32. **Формозов А. А.** Рец. на книгу Марковин В. И. Дольмены Западного Кавказа. М., 1978. – СА, 3, 1980, с. 317-321.

33. **Цвинария И.** Новые памятники дольменной культуры Абхазии. Тб., 1990.

34. **Шамба Г. К.** Эшерские кромлехи. Сухуми, 1974.

35. **Burton-Brown T.** Excavation in Azerbaijan. London, 1948.

36. **Belleten,** CXXVII, 107, 1963.

37. **Chantre E.** Recherches anthropologiques dans le Caucase, I. Paris, 1885.

ღლონტი მეტია

რელიეფურორნამენტიანი ჭურჭელი არაგვის ხეობიდან

(ქვემო არანისის (ახალი ჟინვალის) მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი)

ქვემო არანისის (ახალი ჟინვალის) მტკვარ-არაქსული კულტურის ნამოსახლარი მდებარეობს მდინარე არაგვის მარჯვენა ტერასაზე, მეცხოველეობის ფერმისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ძეგლი აღმოსავლეთიდან ისაზღვრება საქართველოს სამხედრო გზით, ჩრდილოეთით – შიდა სასოფლო გზითა და მშრალი ხევით, დასავლეთით და სამხრეთით – საკარმიდამო ეზოებით.

აქ გათხრილი და შესწავლილია სხვადასხვა ფორმისა და ზომის, ასამდე ორმო, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა არქეოლოგიური მასალის შემცველია.

აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია, ხასიათდება დამზადების ტექნიკის სრულყოფილებით, რაც უთუოდ, ხელოსნობის ცალკეული დარგების განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მეთუნეობის განვითარების მაღალი დონე. მეცნიერებაში არსებობს აზრი, რომ კერამიკაა ის ძირითადი ფაქტორი, რომლის საშუალებითაც არქეოლოგიური კულტურების გამოყოფა და მათი განვითარების სტადიების დადგენა ხერხდება.

ქვემო არანისის (ახალი ჟინვალის) კერამიკული ნაწარმიდან გამოიყოფა რელიეფურორნამენტიანი ჭურჭელის ერთი ჯგუფი:

1. დერგი[4] – (09-XIX-75-72), ყავისფერპრიალა, სამყურა (ყურები დაძერწილია მუცლის ქვემოთ), შემკულია მაღალრელიეფური ორნამენტით. ზომები: სიმაღლე – 70 სმ, ძირის დმ - 8 სმ, მუცლის დმ – 94 სმ. (ტაბ. I-II).

2. დერგი[5] (09-XIX-75-100), ყავისფერპრიალა, დაბალრელიეფური ორნამენტით. (ტაბ. III-V).

მომრგვალებული და მცირე დიამეტრიანი ძირის გამო დერგები მოითხოვს სპეციალურ სადგარს ან მიწაში მყარად ჩადგმას.

ორნამენტით შემკულია ჭურჭლის ერთი მხარე. ასეთ შემკულობას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ბ. კუფტინმა და მას „შეკავებული დინამიკის“ ფორმა უწოდა [14, გვ. 111].

როგორც აღვნიშნეთ, პირველი ჭურჭლის ორნამენტი მაღალრელიეფურია, სიუჟეტის ცენტრალური გამოსახულება სამ არათანაბარ ნაწილად გაყოფილი ოთხკუთხედია, რომლის თითოეული წვერი გრძელდება და ეხვევა სპირალად, ე.ი. გვაქვს ოთხკუთხედი და ოთხი თავგახსნილი სპირალი. მარჯვნივ და მარცხნივ, თავით ცენტრალური გამოსახულებისაკენ მიბრუნებული ჯიხვის (თუ ვერძის) სქემატური გამოსახულება, შემართული რქებითა და მკვეთრად მინიშნებული სქესით, ხოლო ჯიხვების (თუ ვერძების) ზემოთ, კუდიდან რქების დაბოლოებამდე – გაწოლილი გველი.

მთელი ეს სიუჟეტი განლაგებულია ორი რელიეფური ხაზის ზემოთ, რომლის შუა ნაწილი ზუსტად ოთხკუთხედის შუა ნაწილისაკენ აზიდულია, ხოლო მის ქვემოთ დაძერწილია ყური. იგი ჩასმულია ორი ხაზისაგან შედგენილ ნახევარ ოვალში.

მტკვარ-არაქსის კულტურისათვის ძირითადი დამახასიათებელი სპირალური ორნამენტია, ამდენად, მისი ახსნის მრავალი ვერსია არსებობს: ტ. ჩუბინიშვილი სპირალს ცაზე მზის ბრუნვის სიმბოლოდ მიიჩნევს [9, გვ. 92-93]. მ. ხიდაშელის აზრით, სათვალისებური სპირალის კომპოზიციის არსს, ერთიანი სამყაროს ჩვენება შეადგენდა [10, გვ. 64]. ნ. ურუშაძეს ის მზის სიმბოლურ გამოსახულებად მიაჩნია და უკავშირებს თვალს, მზერას [16, გვ. 65].

ირ. სურგულაძე, რომელსაც სპირალი განხილული აქვს, როგორც ქართული ორნამენტის ერთ-ერთი წამყვანი ელემენტი, მიმოიხილავს არსებულ პარალელებს და სპირალს მნათობთა, კერძოდ, მზის სიმბოლოდ მიიჩნევს [5, გვ. 35-40].

ტრიპოლიეში გავრცელებულ ორნამენტში არსებული ნიშნები დაყოფილია ჯგუფებად. ჩვენთვის საინტერესოა პირველი ჯგუფი, სადაც ცალკე ქვეჯგუფადაა გამოყოფილი მზის ნიშნები. ისინი გამოსახულია წრით, ან რამდენიმე კონცენტრული წრით, ხოლო სპირალით გამოსახულია დროის მსვლელობა [15, გვ. 32].

ნ. შანშაშვილს, თავის სადისერტაციო ნაშრომში „ნიშნები და სიმბოლოები მტკვარ-არაქსულ კულტურაში“, შესწავლილი აქვს სპირალი, როგორც ცალკე სიმბოლო და სპირალი სამნაწილად კომპოზიციებში. არსებული ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე იგი ასკვნის, რომ სამნაწილად კომპოზიციებში ცენტრალური ფიგურა, სპირალი, უნდა წარმოადგენდეს ღერძს, სამყაროს შემქმნელ უზენაეს ღვთაებას [8, გვ. 42].

მტკვარ-არაქსის კულტურაში გავრცელებული ე.წ. სამნაწილადი კომპოზიციები შეისწავლა ა. დემირხანიანმა და დაასკვნა, რომ სარკისებრი სიმეტრიული გამოსახულება წარმოადგენს სამნაწილად არქეტიპურ მოდელს, რომლის ცენტრალური ფიგურა აღორძინების იდეის მატარებელია [13, გვ. 157-158].

---

[4] აღდგენილია, ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე.

[5] ინახება ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქვემო არანისის ჭურჭლის ორნამენტში ჩართული ოთხკუთხედი და მის ირგვლივ განლაგებული ოთხი თავგახსნილი სპირალი, გამოსახავს, მზის, როგორც მარადიული სითბური წყაროს, როგორც შემქმნელის მოძრაობას დედამიწის ირგვლივ.

ცენტრალური ფიგურის გვერდით, ორივე მხრიდან, მოცემულია თავით ცენტრალური ფიგურისადმი მიმართული ორი ჯიხვის (თუ ვერძის) სქემატური გამოსახულება, შემართული რქებითა და მკვეთრად მინიშნებული სქესით, რითაც, ალბათ, ხაზგასმულია მისი გამანაყოფიერებული ძალა. როგორც გამოსახულებიდან ჩანს, გამნაყოფიერებელ ძალასთან ერთად, აქცენტირებულია ცხოველის რქა, რომელსაც საკულტო მნიშვნელობა აქვს.

ირ. სურგულაძე, ეთნოგრაფიული და ისტორიული მასალების მოშველიებით, ამბობს, რომ რქებს აქვთ ღვთიური ძალა და ღმერთთან მისასვლელ კიბედ მოიაზრება. ალბათ ამიტომაა, რომ საქართველოს მთიანეთში ყველა სალოცავს ჯიხვის ან ირმის რქები ამკობს, ხოლო ჯიხვის ყანწები ხატის საკუთრებაა [5, გვ. 86].

ჯიხვის (თუ ვერძის) გამოსახულებიანი ჭურჭელი და საბეჭდავები მრავლადაა აღმოჩენილი ადრესამიწათმოქმედო და მტკვარ-არაქსული კულტურის ძეგლებზე და არსებობას განაგრძობს შუა ბრინჯაოსა და მომდევნო ხანაში. ჯიხვისა (თუ ვერძის) გამოსახულებიანი ჭურჭლები აღმოჩენილია ჟინვალის სამლოცველოზე [9]. ქრონოლოგიურად შორეული, მაგრამ დანიშნულებით მსგავსი ცხოველის გამოსახელებიანი (ირემი და ხარი) ჭურჭლები აღმოჩენილია შენაქოს სამლოცველოზე [2, გვ. 35].

ქვემო არანისის (ახალი ჟინვალის) ჭურჭელზე გამოსახული ჯიხვის (თუ ვერძის) კონტური სქემატურია, ცხოველს აქვს მისთვის არადამახასიათებელი გრძელი, ძირს დაშვებული კუდი, არარეალისტური ჩლიქები. საფიქრებელია, რომ იმ დროიდან, როცა იწყება კონკრეტული გამოსახულების სქემატურით შეცვლა, იწყება რაღაც განმაზოგადებელი, ფართო იდეის გადმოცემა [5, გვ. 95].

საყურადღებოა ისიც, რომ ჯიხვის გამოსახულება მუდმივად არსებობს დიდი ხნის მანძილზე, მაშინ როცა სხვა ცხოველები პერიოდულად ჩნდება და ქრება [5, გვ. 95]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს არის გრძელკუდიანი ცხვრის გამოსახულება, თუმცა ბადაანის ნამოსახლარზე აღმოჩენილია ორნამენტირებული ჭურჭლები, რომელთა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი სავსებით რეალისტური გრძელკუდიანი ცხვარია [4, გვ. 177-178].

ჯიხვების (ან ვერძების) ზემოთ, კუდიდან რქებამდე გაწოლილია ორი გველი (თითო ჯიხვი, თითო გველი).

გველის კულტი ძველთაგანვე ცნობილია, როგორც ამიერკავკასიის, ისე მთელი მსოფლიოს ხალხთა წარმოდგენაში. გველი ადამიანს ესახება, როგორც წყლის მფლობელ-დამცველი, გამანაყოფიერებელი, საკულტო სიმდიდრის მცველ-შემნახველი, კეთილი სული – ოჯახისა და წმინდა ხის დამცველი. გველი თავის ბუნებაში აერთიანებს კეთილ და ბოროტ საწყისებს.

სამნაწილადი კომპოზიციების განხილვისას, გველი და სხვა ქვეწარმავლები განიხილებიან როგორც ქვესკნელის სიმბოლური გამოსახულებანი. გველის გამოსახულებიანი ჭურჭლები ზოგიერთი მკვლევარის აზრით, უნდა უკავშირდებოდეს მედიცინას [6, გვ. 91-123], ხოლო ზემოთ აღნიშნული ჭურჭლის დანიშნულებად სამკურნალო მასალის ნედლეულის შენახვა უნდა იყოს [6, გვ. 194, ტაბ, II_{12}], ზოგიერთის აზრით კი გველის გამოსახულებიანი ჭურჭლით ხდებოდა გველისათვის რძის მირთმევა [1, გვ. 85].

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დღემდე დაცულია წარმართული დღეობა, სახლთანგელოზობა ან ფუძის ანგელოზობა. სახლთანგელოზი წარმოდგენილია წყვილი გველის სახით, რომელთა არანაირი ვნება არ შეიძლება. წლის განსაზღვრულ დროს სპეციალური სარიტუალო წეს-ჩვეულებები სრულდება. გველის მოკვლის შემთხვევაში ოჯახი ისჯება ოჯახის უფროსის ან საყვარელი წევრის სიკვდილით. განაყარი, ახალი ოჯახის შექმნისას, ასევე სარიტუალო წესების დაცვით, წილი ანგელოზი-გველი გამოითხოვება ძველიდან ახალ ოჯახში.

იქნებ ამ თვალსაზრისს მხარს უჭერდეს ბულგარეთში აღმოჩენილი სახლის მოდელი, რომლის ფანჯრებს წყვილი გველი დარაჯობს [15, გვ. 37].

ბ. რიბაკოვმა ტრიპოლიეს ორნამენტის შესწავლისას, ყურადღება მიაქცია ფეხმძიმე ქალის ფიგურებს, რომელთა მუცლებს, ამდენად, მასში მყოფ ნაყოფს, წყვილი გველი იცავს, ე.ი. გველი იცავს ნაყოფიერებას ზოგადად. სხვა შემთხვევაში გველი განხილულია როგორც ატმოსფერული ნალექის – წვიმის სიმბოლო, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია აღმოცენება, ე.ი. ნაყოფიერება. ამ შემთხვევაშიც გველი გვევლინება, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო [5, გვ. 38].

ქვემო არანისის (ახალი ჟინვალის) ნამოსახლარზე აღმოჩენილი ტაფების ნაწილზე დაძერწილია გველის რელიეფური გამოსახულება. აღნიშნული ჭურჭლები ი. კიკვიძის მიერ მიჩნეულია სარიტუალო დანიშნულების მქონედ [3, გვ. 68]. მისი მოსაზრება გაზიარებულია სპეციალურ ლიტერატურაში.

ამდენად, ჭურჭელზე გამოსახული გველი, გაწოლილი ჯიხვის (ან ვერძის) ზემოთ, შეიძლება გამანაყოფიერებული ძალის მფარველი, დამცველი იყოს.

საყურადღებოა აგრეთვე ის, რომ სიუჟეტში ჩართულია ნახევარსფერული ყური, რომელსაც, ალბათ, პრაქტიკული მნიშვნელობა დაკარგული აქვს და თვითონ გამოდის დეკორის როლში (მისი ზომების გამო). ნახევარსფერული ყური თავისი გარეგნული იერით ძალიან ჰგავს

მსხვილფეხა საქონლის დრუნჩის სქემატურ გამოსახულებას.

როგორც აღვნიშნეთ, ორნამენტი მაღალრელიეფურია, სიუჟეტის თითოეული შემადგენელი ნაწილი (განსაკუთრებით სპირალი და ჯიხვები) დამუხტულია მძლავრი სასიცოცხლო ენერგიით, რომელიც სჭირდება ბუნების, სასიცოცხლო ძალების განახლებასა და აღორძინებას. (შესაძლოა ვივარაუდოთ, სამიწათმოქმედო ციკლის დადგომა).

როგორც პირველი, ისე მეორე ჭურჭელიც ცალ მხარესაა შემკული. ცენტრალური ფიგურა ერთმანეთში ჩასმული კონცენტრული წრეებია, ოთხკუთხედის გარეშე. თუ ვივარაუდებთ, რომ თავგახსნილი სპირალი სითბური ენერგიის უშრეტობას, ცხოველმყოფელობას გამოსახავს, მეორე შემთხვევაში „მზის უძრაობა“, მისი „სიკვდილი“ შეიძლება ვიგულისხმოთ. „მზის უძრაობა“, „სიკვდილი“, იმდენად, რამდენადაც წლის განსაზღვრელ პერიოდში მზის სითბური ენერგიის გამოყოფა მცირდება და შესაბამისად მოკლდება დღე.

ჯიხვები (ან ვერძები) გამოსახულია გამანაყოფიერებელი ძალის გარეშე, ღვთიური რქები ზურგზე აქვთ დაშვებული. სიუჟეტიდან გაქრა გველი, როგორც ნაყოფიერების მცველი ან წვიმის სიმბოლო, რომელმაც, ალბათ, თავის სამყოფელში, ქვესკნელში გადაინაცვლა. ჭურჭლის შემკულობაში ჩნდება ახალი ელემენტი, ყურის ქვემოთ დაძერწილი ნახევარმთვარისებრი ნიშანი და მისგან გამოსული სხივები.

ორნამენტი შესრულებულია დაბალ რელიეფში და გამოხატავს მშვიდ, მოსვენებულ, ე.წ. „სტატიკურ“ პოზას.

ვფიქრობთ, რომ ამ ორი ჭურჭლის ორნამენტულ სიუჟეტში ჩადებული უნდა იყოს, ბუნების, სასიცოცხლო ენერგიის განახლებისა და კვდომის შინაარსი.

ვისი საკუთრებაა ეს ჭურჭლები? უდავოა, რომ ეს ჭურჭლები ხატის (სამლოცველოს, ტაძრის) საკუთრებაა, მასში მოთავსებული შიგთავსი ნაწილდებოდა კულტმსახურების ცერემონიალის ყველა მონაწილეზე. ამავე ძეგლზე აღმოჩენილია გველის რელიეფური გამოსახულებიანი ტაფისმაგვარი ჭურჭლები, რომლებზედაც, ალბათ, ცხვებოდა საწესო კვერი და უნაწილდებოდა ასევე ყველას.

ვ. ბარდაველიძე თავის ნაშრომში, "Земельные владения древнегрузинских святилищ" წერს, რომ ცალკეულ ხატს ჰქონდა თავისი კუთვნილი მამული და მოსავალი, რომელიც გამოიყენებოდა იმ სატაძრო დღესასწაულების დროს, რომელსაც ეს მამულები ეკუთვნოდა. მართალია, აქ იგულისხმება ქრისტიანული ტაძრები, მაგრამ ვ. ბარდაველიძეს მიაჩნია, რომ ისინი წინაქრისტიანულ რწმენასა და წეს-ჩვეულებებს წარმოადგენენ [12, გვ. 66].

ასე რომ, ასეთ მდიდრულად გაფორმებულ ჭურჭლებში მოთავსებული სურსათი ხელშეუხებელია და იგი იხმარება იმ კულტის საწესო ცერემონიალის დროს, რომლისთვისაცაა განკუთვნილი. ამავე დროს, ალბათ, თითოეულ ოჯახს მიაქვს შესაწრი, რითაც ღვთაებას უხვ მოსავალს და დოვლათიანობას ავედრებს.

ქვემო არანისის ერთ-ერთ „ორმოში“ სხვადასხვა არქეოლოგიურ მასალასთან ერთად აღმოჩენილია მზის გამოსახულებიანი თიხის საბეჭდავი. ეს ორმო ან ორმო-სათავსო, ჩვენი აზრით, უნდა ეკუთნოდეს კულტმსახურს, რომლის მოვალეობაა რიტუალისათვის განკეთვნილი ქონების დაბეჭდვა. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს ორმოში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა [ტაბ. VI-VII].

საბეჭდავებთან და თიხის ჭურჭლების დაბეჭდვასთან დაკავშირებით საინტერესოა ტ. ჩუბინაშვილის მოსაზრება, რომ ცალკეული ნიშნები, რომლებითაც იბეჭდება ჭურჭელი, უნდა წარმოადგენდეს ტაბუს, სურსათ-სანოვაგის ხელშეუხებლობის სიმბოლოს, შესაწირავს ღვთაებისადმი [9, გვ. 93].

მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე დადასტურებულია საგვარეულო ანდა სატაძრო მნიშვნელობის სამლოცველოები (ამირანის გორა, გუდაბერტყვა, ბაბადერვიში). ამდენად, საბეჭდავი და დაბეჭდილი ჭურჭელი, შეიძლება, სატაძრო კუთვნილების მაჩვენებელი იყოს [8, გვ. 38].

ქვემო არანისის (ახალი ჟინვალის) ნამოსახლარზე 100-მდე ორმო გაითხარა. მეტნაკლებად საინტერესო დეტალი ახასიათებს თითქმის ყველა ორმოს, რაც მათ ფორმებში, შევსებაში მასალის განლაგებით და აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალით გამოიხატება.

ეს ორმოები რომ საცხოვრებელი არ არის, ამის ნათელი დადასტურება მისი ზომებია: ყველაზე დიდი ფართობი 4,15 კვ. მ და 3,14 კვ. მ-ია, ამასთან გასათვალისწინებელია აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის სიმრავლე.

ი. კიკვიძემ შეისწავლა და ცალკე ნაშრომი მიუძღვნა უძველეს სამიწათმოქმედო კულტს საქართველოში. მან შეისწავლა კერები, მისი განვითარების სტადიები, მასთან დაკავშირებული ატრიბუტები, დაუკავშირა იგი ქართულ ასტრალურ პანთეონს. შვერილიანი კერის ასტრალურ სიმბოლიკაში მან დაინახა ქართული პანთეონის მესამე წევრის – კვირიას ასტრალური შინაარსი [3, გვ. 177-180].

ჩვენს მიერ თავის დროზე შესწავლილ იქნა ჟინვალის სამლოცველოზე აღმოჩენილი თიხის ანთროპომორფული გამოსახულება, რომელიც დავუკავშირეთ კვირიას.

რა სახით ტარდებოდა საკულტო დღესასწაულები, ამის სავარაუდო წარმოსახვა ჭირს. ქვემო არანისის, ბადაანის, ციხიასგორას ორმოებში დადასტურებულია მათი შევსების ერთი და იგივე პრინციპი, რაც, ალბათ, რაღაც ერთნაირ სარიტუალო წეს-ჩვეულებას გულისხმობს.

და ბოლოს, გვინდა მოვიშველიოთ ე. ანტონოვას სიტყვები: „ორნამენტში გამოსახულებას პოულობენ ძველი მიწათმოქმედების იდეები, რომლებიც შეიძლება განიხილებოდეს, როგორც

მათი სულიერი კულტურის კვინტესენცია“ [11, გვ. 7].

M. Ghlonti

VESSELS WITH RELIEF ORNAMENTS FROM THE ARAGVI VALLEY

(Summary)

Kura-Araxes settlement-site of Kvemo Aranisi is situated on a terrace of the right bank of the river Aragvi. Varied and numerous archaeological material was obtained during archaeological excavations of about 100 pits differing in shape and size. A high level of development of pottery is especially noteworthy.

Two dergi-type clay jars with a relief ornament are distinguished as a separate group. Their rounded bottoms, small in diameter had to be placed either on a special support or dug in the ground.

Only one side of the first vessel is decorated with high relief. The central composition consists of rectangular and four open spirals. To its left and right two representations of ibex (ram) face the central composition. Their horns are cocked and sex accentuated, while above the ibexes (rams) a serpent is stretched from their horns to tails.

The second vessel is also decorated on one side. The central composition is represented by concentric circles not framed with a rectangle. The ibexes(or rams) are depicted without accentuation of fertilizing power, with their horns down, lying along their backs There is no serpent, but instead a radiating crescent appears beneath the handle.

Ornament is rendered in bas-relief and apparently depicts a calm, static posture.

As suggested in the specialist literature, food stored in richly decorated vessels was sacred and used only for specific cult rituals.

The remaining of archaeological material, evidenced on the site, along with other parallels, enables the author to link these vessels with the fertility cult and interpret the above relief as symbolic representation of the death and revival of nature.

The site and, accordingly, vessels are dated to the second half of the 3rd millennium B.C.

ლიტერატურა

1. ავალიშვილი გ. ქვემო ქართლი ძვ. წელის I ათასწლეულის I ნახევარში. თბ., 1974.

2. დოლაბერიძე რ. არქეოლოგიური მასალა სოფ. შენაქოდან. თბ., 1973.

3. კიკვიძე ი. ხიზანაანთგორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. თბ., 1972.

4. საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1992.

5. სურგულაძე ირ. ასტრალური სიმბოლიკა ძველ ქართულ ორნამნეტში. თბ., 1986.

6. ფირფილაშვილი პ. ნარკვევები ძველი ქართული მედიცინის ისტორიიდან. თბ., 1989.

7. ღლონტი მ. ჟინვალის სამლოცველო. 1984, ხელნაწერი, ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე.

8. შანშაშვილი ნ. ნიშნები და სიმბოლოები მტკვარ-არაქსის კულტურაში. სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1990.

9. ჩუბინიშვილი ტ. მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა. თბ., 1965.

10. ხიადშელი მ. სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში. თბ., 2001.

11. Антонова Е. В. К вопросу о происхождении и смысловой нагрузке знаков на статуэтках Анауской культуры. – СА, № 4, 1972, с. 7-18.

12. Бардавелидзе В. Земельные владения древнегрузинских святилищ. – СЭ, I, 1949, с. 61-69.

13. Демирханян А. К проблеме символики трехчастной композиции древней Армении. – ИФЖ, № 14, 1982, с. 98-165.

14. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.

15. Рыбаков Б. А. Космогония и мифология земледельцев эпохи энеолита. – СА, № 1, с. 24-45; № 2, с. 13-33.

16. Урушадзе Н. К семантике прикладного искусства древнего Кавказа. – СА, № 1, 1973, с. 54-69.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I-II – მაღალრელიეფური ორნამენტით შემკული დერგი (№ 72) და მისი თანმხლები მასალა; № 72 დერგის ორნამენტი

ტაბ. III-V – დაბალრელიეფური ორნამენტით შემკული დარგი (№100) და მისი თანმხლები მასალა.

ტაბ. VI-VII – № 7 „ორმო-სათავსოში“ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა.

Description of the Plates

PL. I, II – dergi-type clay jar (№ 72) decorated with high-relief ornaments and accompanying material.

Pl. III – ornaments of jar № 72

Pl. IV-VI – dergi-type clay jar (№ 100) decorated with bas-relief ornaments and accompanying material.

Pl. VII-VIII – archaeological material discovered in a pit-facility № 7

ტაბ. I



ტაბ. II



ტაბ. III



ტაბ. IV



ტაბ. V



ტაბ. VI



ტაბ. VII



ვაჟა ვარაზაშვილი

ნამოსახლარი საღანძილე

1983 წლის ზაფხულში კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია საველე სამუშაოებს აწარმოებდა სოფ. ჭერემში (გურჯაანის რ-ნი) წინაფეოდალური სამარხების გამოსავლენად და შესასწავლად. პარალელურად აღნიშნული სამუშაოსი, მიმდინარეობდა სოფლის მიმდებარე ტერიტორიის დაზვერვა, რის შედეგადაც ექსპედიციამ ჭერემის ჩრდილოეთით, ადგილ საღანძილეში, მიაკვლია ადრებრინჯაოს ხანის (მტკვარ-არაქსულ) დასახლებას.

ადგილი საღანძილე მდებარეობს სოფლიდან დაახლოებით 1 კმ მანძილზე. იგი წარმოადგენს მთა ტბაწვერის სამხრეთ ძირობაზე განფენილ, საკმაოდ დაქანებულ ფერდობს, რომლის ფართობიც დაახლოებით 8-10 ჰექტარია. ძეგლი ზღვის დონიდან თითქმის 1000 მეტრ სიმაღლეზეა. როგორც ეტყობა, საუკუნეების მანძილზე სოფლის მოსახლეობა (ჭერემი გვიანი ანტიკური და ადრეფეოდალურის ხანის ნაქალაქარია) მას იყენებდა სახნავ-სათესად, დღეს კი ეს ადგილები საძოვრადაა გამოყენებული. ადგილის მკვეთრმა დახრილობამ, ტყის გაჩეხვამ და ატმოსფერული ნალექების შედეგად წარმოქმნილმა პატარა ხევებმა, ხელი შეუწყვეს აქ ადრიდანვე ზედაპირის ეროზიას და ხრამების ჩამოყალიბებას. ერთ-ერთი ასეთი ხრამის ფლატეში აიკრიფა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. აქვე ჩანდა აგრეთვე მომწვარი თუ მოლესილი იატაკის მცირე ნაწილი. ფლატის მეორე მხარეს შეინიშნებოდა საშუალო და უფრო დიდი ზომის რიყის ქვის წყობა. ძეგლის ხასიათის გასარკვევად საჭირო გახდა სადაზვერვო თხრილების გავლება. ერთი (4×1 მ) გაივლო ზემოთ აღნიშნულ ქვის გროვასთან. აღმოჩნდა, რომ ქვის წყება, რომლის სიგანეც 0,70-0,90 მ-ია, დაახლოებით 0,20-0,30 მ სიმაღლეზე მიემართებოდა სწორხაზოვნად სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით და გადიოდა თხრილის გარეთ. ერთი შეხედვით, ის თითქოს არ უნდა წარმოადგენდეს კედლის ნაშთს, რადგან ქვები ძალიან უსისტემოდაა დაყრილი, თუმცა არც დანგრეული კედლის ვარაუდის დაშვება უნდა იყოს უსაფუძვლო.

ხრამის მარცხენა მხარეს გავლებულ თხრილში (2×4 მ), ველის დონიდან 0,30-0,40 მ სიღრმეზე გაიწმინდა კარგად მოტკეპნილი იატაკი. აღსანიშნავია, რომ იატაკი რამდენჯერმეა განახლებული. მისი აღმოსავლეთი და ჩრდილო ნაწილი თხრილის გარეთ გადის, დასავლეთის მხარე კი ხრამითაა დაზიანებული. მხოლოდ სამხრეთ ნაწილშია მისი ნაპირი ცნობილი. საინტერესოა, რომ აქ იატაკის დასასრულს არ ჩანს კედლის არსებობის რაიმე კვალი. ეს ფაქტი შესაძლებელია მიუთითებდეს იმაზე, რომ საცხოვრებელს სამხრეთი მხარე გახსნილი ჰქონდა.

იატაკის მოლესილობის თითქმის ცენტრში, ფლატის ნაპირზე გაიწმინდა კერა, რომელიც საკმაოდ ფართოა. მისი დიამეტრი 0,6-0,7 მ-ია და 0,20 მ სიღრმეზე მიწაშია ჩადგმული (ტაბ. I_{14}). კერის ნაპირი გადაზრდილია მის გარშემო 0,20 მ სიგანის იატაკის მოლესილობაში და ამით იგი სრულიად განსხვავდება როგორც მტკვარ-არაქსის, ისე მისი წინარე კულტურისათვის დამახასიათებელი ყველა ტიპის კერებისაგან. აღმოსავლეთ საქართველოში საღანძილეს კერას პარალელი ეძებნება მხოლოდ ბერიკლდეების ნამოსახლარზე.

თხრილში, განსაკუთრებით კი იატაკის გაწმენდის დროს, მოპოვებული იქნა თიხის ჭურჭლისა და ობსიდიანის მცირე მასალა. კოლექციაში ჭარბობს კერამიკული ნაწარმი. მასალა იმდენად ფრაგმენტულია, რომ ფორმებზე ლაპარაკი ჭირს. მიუხედავად ამისა, შესაძლებელი გახდა აქ რამდენიმე ჯგუფის გამოყოფა. როგორც ჩანს, ისინი უმეტესად სასმისებს, თუნგულებს, ჯამებსა და დერგებს ეკუთვნოდნენ. ქვემოთ ვიძლევით მასალის ჯგუფურ აღწერილობას.

I ჯგუფში გავაერთიანეთ დიდი ზომის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. აღსანიშნავია ერთი ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი, რომელთა ზედაპირიც მოყვითალო-მოწითალოა, სველი ხელით კარგად მოგლუვებული, შეხებისას ხელს სვრის. შიდაპირი მოშავო, ხელით მოგლუვებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც უსწორმასოროა. კეცი მონაცრისფროა, სილანარევი, ზოგან კენჭებშერეული; კარგად გამომწვარი, სისქე 2 სმ.

საინტერესოა მეორე ჭურჭლის ფრაგმენტები, სადაც ერთი ნატეხი პირის ნაწილს წარმოადგენს. მის მიხედვით ჭურჭელი ოდნავ პირგადაშლილი ყოფილა. ჭურჭლის პირის დიამეტრი 28 სმ-ია. ზედაპირი, შიდაპირი და თვით კეციც მოყვითალო-მოწითალოა, შეხებისას ხელს სვრის. ხელით კარგად მოგლუვებული. კეცი წმინდა, სილანარევი, სისქე 1,5 სმ. (ტაბ. I_6).

ამავე ჯგუფშია პირის რამდენიმე ფრაგმენტი, რომლებიც ცილინდრულყელიან ჭურჭელს უნდა ეკუთვნოდნენ. ზედაპირი და შიდაპირი მოყვითალო, კარგად მოგლუვებული. კეცი მოყვითალო, სილანარევი; კარგი გამომწვარი; სისქე 1,7 სმ (ტაბ. I_2).

აღსანიშნავია ჭურჭლის ფრაგმნეტები, რომლის ზედაპირი და შიდაპირი მოყვითალო-მოწითალოა, კარგად მოგლუვებული, შეხებისას ხელს სვრის; კეცი მოყვითალო-მოწითალო ფერისაა, განლექილი თიხისაგან, კარგად გამომწვარი, სისქე 1,6 სმ.

საინტერესოა იატაკზე მოპოვებული თიხის ხუფის ფრაგმენტები. მისი დიამეტრი 28 სმ აღწევს, ორივე მხარე მოყვითალო-მოწითალოა,

მოგლუვებული. კეცი მონაცრისფრო და კარგად გამომწვარი, სისქე 1,3 სმ. (ტაბ. I_{10}).

II ჯგუფში სულ რამდენიმე ფრაგმენტია გაერთიანებული. მათი ზედაპირი და შიდაპირი ლეგაა ან ლეგა-მოყვითალო, ერთ შემთხვევაში კი შავი და ახასიათებს სუსტი გაპრიალება. თუმცა მისი ფრაგმნეტულობის გამო ძნელია თქმა, ის ზედაპირია, თუ შიდაპირი. მათი კეცი ხშირ შემთხვევაში მონაცრისფროა, სილანარევი, კენჭებისა და თეთრი ფერის მინარევებით. საერთოდ ხასიათდებიან სუსტი გამოწვით, კეცის სისქე 1 სმ.

III ჯგუფის კერამიკული ნაწარმი დანარჩენებისაგან განსხვავდება პირველ რიგში ფერით. მათთვის დამახასიათებელია მოთეთრო ფერი, ზოგან მოყვითალო ფერის წინწკლებით. შიდაპირი კი ლეგაა და მასაც ახასიათებს მოყვითალო წერტილისებური წინწკლები. კეციც შესაბამისად იმავე ფერისაა – მოთეთრო და ლეგა. დამზადებულია წმინდა, განლექილი თიხისაგან, კარგად გამომწვარი, სისქე 0,5-დან 1 სმ-მდე.

IV ჯგუფის კერამიკა თხელკეციანია, მათი ფერი მოყვითალოა, თხუპნია, ან ლეგა-მონაცრისფრო. ერთ ფრაგმენტს კარგად ეტყობა სწორი, რელიეფური ხაზი. ამ ჯგუფში აღსანიშნავია პირის ფრაგმენტი, რომლის მიხედვითაც ჭურჭელი დაბალყელიანი ყოფილა. პირის დიამეტრი 18 სმ-ია. კეცი სილანარევია ან განლექილი თიხისაა. ხასიათდებიან კარგი გამოწვით, კეცის სისქე 0,5 სმ-დან 0,7 სმ-მდე (ტაბ. $I_{1,3,4,5}$).

კოლექციაში აღსანიშნავია სხვადასხვა ჭურჭლის რამდენიმე ძირი. ერთს სწორი ძირი ჰქონია, ხოლო სამს კარგად გამოხატული ქუსლი (ტაბ. $I_{7,\ 8,9}$),

მასალაში არის აგრეთვე ქვის იარაღი: კაჟის კონუსური ფორმის ერთი ნუკლეუსი, რომელსაც გვერდებზე და ფუძეზე ატკეცილი აქვს ფირფიტები; ობსიდიანის მცირე ზომის ანამტვრევ-ანატკეცები (120 ერთეული), რომლებსაც არ გააჩნიათ გამოყენების კვალი, გარდა ერთი ანატკეცისა, რომლის ერთი გვერდის მხარე დამუშავებულია მცოცავი რეტუშით.

ასეთია მოკლე აღწერა იმ მასალისა, რომელიც საღანძილეში საველე-სადაზვერვო სამუშაოების შედეგად იქნა მოპოვებული. როგორც აღწერიდან ირკვევა, ქვის მასალა უმნიშვნელოა, ხოლო რაც შეეხება კერამიკას, აქ უმეტესობას I ჯგუფში გაერთიანებული ჭურჭლის ფრაგმენტები წარმოადგენს, რომლის ნაწილიც, ალბათ, დერგისებურ ჭურჭელს უნდა ეკუთვნოდეს. საერთოდ, ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ კოლექციაში შავზედაპირიანი და ისიც, სუსტად ნაპრიალები ფრაგმენტი, მხოლოდ ერთადერთია. ბატონობს მოყვითალო-მოწითალო ფერის კერამიკა, რომელიც შეხებისას ხელს სვრის. რამდენიმე ერთეულია მოთეთრო ან ლეგა-მონაცრისფრო ჭურჭლის ფრაგმნეტები.

ძეგლის ზოგადი თარიღის დასადგენად დაგვეხმარება აღმოსავლეთ საქართველოში ისეთი კარგად სტრატიფიცირებული მრავალფენიანი ძეგლები, როგორიცაა თეთრიწყაროს, ხიზანაანთ გორის, სამშვილდის ნამოსახლარები და სხვა. ცნობილია, რომ თეთრიწყაროს ნამოსახლარზე ორი ფენაა დადასტურებული – ქვედა A და ზედა B დონე. ძეგლის გამთხრელი გ. გობეჯიშვილი აღნიშნავს, რომ A დონის მოსახლეობა ნარინჯისფერ, იშვიათად ნაცრისფერ თიხის ჭურჭელს ხელით ძერწავდა. ნარინჯისფერი კერამიკა საერთოდ განლექილი თიხისგანაა დამზადებული, კეცი რბილი აქვს და ხელს სვრის [2, გვ. 59].

B დონეზე კვლავ ჩანს ნარინჯისფერი კერამიკა, მაგრამ აქ უკვე წამყვანი ადგილი შავპრიალა ჭურჭელს უჭირავს, რომლის სარჩულიც ვარდისფერია [2, გვ. 61]. სტრატიგრაფიულ ჭრილზე დაკვირვებამ გ. გობეჯიშვილი მიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ამ ორ კულტურულ ფენას შორის არავითარი სტერილური შრე არ ყოფილა. აქედან გამომდინარე ორივე ფენა ეკუთვნის ერთსა და იმავე ეთნიკური ჯგუფის სხვადასხვა თაობას [2, გვ. 82].

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა ჩანს სამშვილდის ნამოსახლარზე, სადაც გ. მირცხულავას მიერ ორი ფენაა დადასტურებული [5, გვ. 71]. პირველ, ქვედა ფენაში მრავალფეროვან თიხის ნაწარმთან ერთად მოპოვებულია თიხის ჭურჭლის როგორც წითელი, ასევე მონაცრისფროკეციანი ფრაგმენტები. მათთვის დამახასიათებელია ძალზე რბილი კეცი, რომელშიც შერეულია ქვიშა, კვარცი და ბზე. ჭურჭლის კეცი შეხებისას ხელს სვრის [5, გვ. 21]. აღსანიშნავია, რომ პირველ ფენაში სხვა ჭურჭლებთან ერთად კარგადაა წარმოდგენილი დერგის ფრაგმენტებიც, რომელთა კედლის სისქეც ზოგჯერ 2 სმ ჭარბობს [5, გვ. 20]. საინტერესოა, რომ ამავე ფენაში ორ შემთხვევაში დადასტურებულია შავი ფერის ჭურჭლის ფრაგმენტები.

მეორე, ზედა ფენაში არსებობას განაგრძობს ღია ფერის კერამიკა, მაგრამ უმეტესობას უკვე მუქი და შავი ფერის ნაწარმი წარმოადგენს, რომელიც პირველ ფენაში ჩნდება [5, გვ. 54]. ღია ფერის, უფრო სწორედ წითლად გამომწვარი, რბილკეციანი და ანგობირებული ჭურჭლები დადასტურებულია (ორ შემთხვევაში) სამშვილდის სამაროვანზე, რომელიც ნამოსახლარის მეორე (ზედა) ფენას ეკუთვნის [5, გვ. 53].

საღანძილეს I ჯგუფის კერამიკას პარალელები მოეპოვება კახეთშიც. ეს არის გრემის დროებითი სადგომი. აქ ერთ-ერთ სამეურნეო ორმოში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელთა ზედაპირი და შიდაპირი მოყვითალო-მოწითალოა და შეხებისას ხელს სვრის [8, გვ. 69].

ასეთივე თხუპნია კერამიკა მოპოვებულია მაშნაარის მეორე ყორღანში, ზემო ბოდბის დროებით სადგომზე [8, გვ. 72-75] და სიონის ნამოსახლარზე. თხუპნია კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი დამოწმებელია შედარებით უფრო ადრეულ ძეგლზე – დამწვარ გორაზე [3, გვ. 24].

საღანძილეს კოლექციიდან აღსანიშნავია აგრეთვე ხუფის ფრაგმენტები. როგორც ცნობილია, ხუფის სხვადასხვა ვარიანტები კარგადაა წარმოდგენილი მტკვარ-არაქსის კულტურის ყველაზე ადრეულ ეტაპზეც კი. ხიზანაანთ გორის სულ ქვედა დონეზე, როგორც ორმოებში, ისე კულტურულ ფენებში, ისინი საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. მათი უმეტესობა სრულიად სადაა. ანალოგიური ხუფები მოპოვებულია ქვაცხელებზე [4, გვ. 68-69]. აღსანიშნავია, რომ ხიზანაანთ გორის ზედა დონეებზე მათი რაოდენობა უფრო მატულობს [4, გვ. 69]. ასეთივე დისკოსებური ხუფები დამოწმებულია ახალციხის ამირანის გორაზე [6, გვ. 34], დიდუბეში, კიკეთში, თრიალეთში, შენგავითში, ელარში, მალაქლუში, ქიულ-თეფეზე [4, გვ. 69]. დისკოსებური ხუფი აღმოჩენილია თეთრიწყაროს ნასოფლარის B დონეზე [2, გვ. 61], ღრმახევისთვავის ნამოსახლარზე [1, გვ. 11].

თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემოაღნიშნულს (კოლექციაში მოყვითალო-მოწითალო ფერის ბატონობას, რაოდენობრივად თხუპნია კერამიკის სიმრავლე სადაც შავზედაპირიანი კერამიკა თითქოს გამორიცხულია), საღანძილეზე მოპოვებული კერამიკა ანალოგიებს მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ძეგლებთან პოულობს. აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ თხუპნია კერამიკა არ არის დამახასიათებელი ილტოს ნამოსახლარისთვის კახეთში და ხიზანაანთ გორისა და ქვაცხელების სულ ქვედა ფენებისათვისაც კი ქართლში. გ. გობეჯიშვილი თეთრიწყაროს ნასოფლარის A ფენას შულავერ-შომუ-თეფესა და მტკვარ-არაქსის კულტურებს შორის ათავსებს, რომელსაც უშუალოდ მოსდევს B დონე [2, გვ. 112]. ო. ჯაფარიძისა და ალ. ჯავახიშვილის მიერ ხიზანაანთ გორის E დონე დათარიღებულია ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებით [7, გვ. 107]. ასევე ათარიღებს სამშვილდის ნამოსახლარის I ფენას გ. მირცხულავა, ხოლო II ფენას ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულით [5, გვ. 68-69]. ძვ. წ. IV ათასწლეულის პირველი ნახევრით ათარიღებს შ. დედაბრიშვილი გრემის და ზემო ბოდბის ძეგლებსაც [8, გვ. 67-75]. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ნამოსახლარი საღანძილე ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს.

V. Varazashvili

SETTLEMENT SITE OF SAGHANDZILE
(Summary)

An Early Bronze settlement site was discovered during anarchaeological survey in 1983 by the Cheremi group of the Kakheti Archaeological Expedition in the place called Saghandzile, within 1 km of the village,. The place is actually a steep slope stretching from north to south along the foothills of Tbatsveri mountain. The sharp incline and practice of felling the forest by the local population caused erosion of soil and creation of canyons. Part of a daubed floor was visible within collapsed earth. A survey trench was dug (4×2 m) and, on the level of 0. 30-0.40 m, part of a daubed floor and hearth came to light. The obtained fragments of clay pottery show great similarity to material coming from such sites of the early period of Kura-Araxes culture as the E layer of Khizanaantgora, layer I of Samshvilde, layer A of Tetritsqaro, temporary stations of Gremi and Zemo Bodbe. As is generally known, these sites are dated to the second half of the 4th millennium B.C. prompting an acceptable chronology for the Saghandzile site as well.

ლიტერატურა

1. **აბრამიშვილი რ., გიგუაშვილი ნ., კახიანი კ.** ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980
2. **გობეჯიშვილი გ.** თეთრიწყაროს ნასოფლარი, თბ., 1978
3. **ვარაზაშვილი ვ.** ნამოსახლარი „დამწვარი გორა“. – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VI, თბ., 1984, გვ. 19-26.
4. **კიკვიძე ი.** ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. თბ., 1972
5. **მირცხულავა გ.** სამშვილდე. თბ., 1975
6. **ჩუბინიშვილი ტ.** ამირანის გორა. თბ., 1964
7. **ჯაფარიძე ო., ჯავახიშვილი ალ.** უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე. თბ., 1971
8. **Дедабришвили Ш.** Памятники эпохи ранней и средней бронзы. – Труды Кахетской археологической экспедиии, Тб., 1969, ст. 35-75.

ტაბულის აღწერილობა

ტაბ. I – 1-13. საღანძილეს კერამიკული ნაწარმი; 14. კერის ფრაგმნეტი და მისი ჭრილი.

Description of the Plate

Pl. I – 1-13. pottery from Saghandzile; 14. fragment of a hearth with a cross-section

ტაბ. I



მარინე ფუთურიძე

ზოგიერთი მოსაზრებანი თრიალეთური კულტურის მხატვრული ხელოსნობის განვითარების ტენდენციების შესახებ

თრიალეთური კულტურის მრავალფეროვანი მასალებიდან თავისი მნიშვნელობით, განსაკუთრებული შთამბეჭდაობითა და მასთან დაკავშირებული საკითხების პრობლემურობით ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია მხატვრულ ხელოსნობას. საკუთრივ ამ ნიმუშების და მხატვრული ლითონწარმოების როგორც დარგის განვითარების შესწავლას, უდავოა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ შუა ბრინჯაოს ეპოქის ოქრომჭედლობის ხელოვნების დახასიათებისათვის, არამედ ამ კულტურის ზოგადი სურათის აღდგენისათვის და უფრო ფართო მასშტაბითაც – სამხრეთ კავკასიის და მისი გარემომცველი სამხრეთული ცივილიზაციების კონტაქტთა კვლევის თვალსაზრისითაც. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ არა მხოლოდ მაღალი სოციალ-ეკონომიკური დონის, არამედ საერთაშორისო კონტაქტების განსაკუთრებული გააქტიურების ერთ-ერთი თვალნათლივ ამსახველი მასალა სწორედ მხატვრული ხელოსნობის ნიმუშებია, რომლებიც ერთბაშად და სრულყოფილი სახით იწყებს მოზღვავებას თრიალეთური კულტურის დროს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან საზოგადოების ელიტური ფენა, როგორც წესი, გარესამყაროსაგან ითვისებს და იღებს სწორედ მისთვის უცხო და პრესტიჟულ ნივთებსა და ტრადიციებს, რითაც კიდევ უფრო ესმება ხაზი მათ პრივილეგირებულობასა და სიმდიდრეს. ამ საყურადღებო პრობლემიდან ერთ-ერთი არსებითი ოქრომჭედლური ხელოვნების წარმოშობისა და განვითარების გზის დადგენაა. თრიალეთური კულტურის სხვა მაღალგანვითარებულ დარგებთან (სამშენებლო საქმე, მეთუნეობა, მეტალურგია და სხვა) ერთად ამ ყველაზე დაწინაურებული სფეროს სიღრმისეული კვლევა შრომატევადი და ამასთან საკმაოდ ხანგრძლივი სამუშაოა. კითხვები, რომლებიც თრიალეთური ოქრომჭედლობის საკითხთან დაკავშირებით იყრის თავს მრავალგვარია და ამ დარგის კვლევის სხვადასხვა ასპექტებს ეხება. მათგან ძირითადი, რომელზე პასუხის გაცემაც ბევრად განსაზღვრავს საკითხის შესწავლის დონეს, ვფიქრობ, შემდეგია:

- იმ საფუძვლის განსაზღვრა, რომელიც თრიალეთური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ამგვარ არნახულ დაწინაურებას გააჩნდა ლოკალურ გარემოში და ის კონკრეტული წანამძღვრები, რომლებიც ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ;
- დადგენა იმისა, შეიძლებოდა თუ არა მიეღწია თრიალეთურ ოქრომჭედლობას ამგვარი ზენიტისათვის რომ არ ყოფილიყო მისთვის კარგად ცნობილი და მის მიერ ათვისებული წინააზიურ ცივილიზაციათა (ხეთური, ეგეოსური, შუმერული) მიღწევები ამ დარგში;
- მისი უეცარი აყვავების გამომწვევი ფაქტორების გამოვლენა;
- გარკვევა იმისა, გვაქვს თუ არა საფუძველი თრიალეთური ოქრომჭედლობა მივიჩნიოთ ადგილობრივი და წინააზიური მხატვრული ტენდენციებისა და სტილის სიმბიოზად;
- საიუველირო ნაწარმის ძირითადი ტიპების დიფერენცირება და მათი სტილისტურ-მორფოლოგიური დახასიათება; ყველა ცალკეული ტიპის მორფოგენეზი;
- ახალი ტექნოლოგიური ხერხების და სტილისტური მიმართულებების განსაზღვრა ოქროსა და ვერცხლის დამუშავებაში;
- თრიალეთური ოქრომჭედლობისათვის ტიპიური და ძირითადი მხატვრულ-კომპოზიციური სახეებისა და სიუჟეტური თემების გამოყოფა;
- გარკვევა იმისა, წარმოადგენს თრიალეთური ოქრომჭედლობა წინააზიური მიღწევების გაზიარებით და უცხო სტილის მიბაძვით ადგილობრივ გარემოში შექმნილ პროდუქციას თუ იგი (უმეტესობა მაინც) შემოტანილ ნაწარმად შეიძლება მივიჩნიოთ;
- თრიალეთური და წინა აზიური საიუველირო ნაწარმის შედარებით-კომბინატორული ანალიზის ჩატარება ყველა ძირითადი ტიპების მიხედვით ანუ ფართო გაგებით, თრიალეთური მხატვრული ხელოსნობის განვითარების სურათის აღდგენა გარესამყაროსთან კულტურული კონტაქტების არსებული სისტემის კონტექსტში;
- იმ ძირითადი ტენდენციების გამოკვეთა, რომელიც ამ დარგის მახასიათებელ ნიშნებად შეიძლება მივიჩნიოთ;
- დადგენა იმისა თუ რა რესურსებს ემყარებოდა ამ დარგის განვითარება: ადგილობრივს თუ შემოტანილს;
- და ბოლოს, შუა ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობის განვითარების სურათის რეკონსტრუქცია ზოგადად, რადგან ამ ეპოქის მთელს მანძილზე – მისი დასაწყისიდან ფინალურ ეტაპამდე – ოქრომჭედლობის განვითარების პროცესი ერთგვაროვანი არ ყოფილა და იგი სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სიახლეთა ნაკადს იძენდა. ბუნებრივია, ძვ.წ. XXV/XXIV-XXVII/XVI საუკუნეების[6] მანძილზე ეს დარგი გარკვეულ, და როგორც ჩანს, მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა. განსაკუთრებით მკვეთრად განსხვავდება თრიალეთური კულ-

[6] შუა ბრინჯაოს ხანის ზედა ქრონოლოგირი თარიღი ეყრდნობა რ. აბრამიშვილის მიერ შემუშავებულ ქრონოლოგიურ სქემას [2, გვ. 1-25, ტაბ. III].

ტურის დასაწყისისა თუ შუა, განვითარებული ფაზები და ამ კულტურის ფინალური ეტაპი, როცა უკვე აშკარად იგრძნობა ოქრომჭედლურ ხელოვნებაში დაკნინების დასაწყისი.

ამგვარად, თრიალეთური ოქრომჭედლობის საკითხი არა ერთ წახნაგს მოიცავს და მისი კვლევა ეტაპობრივად უნდა წარიმართოს. ეს სამუშაო კი არა ერთი წლის და არა ერთი მკვლევარის ტვირთია, მით უმეტეს, რომ ოქრომჭედლობის ნიმუშთა რაოდენობა, საბედნიეროდ, დიდი სისწრაფით მატულობს. ეს საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ, თუ როგორ იცვლება ზემოაღნიშნული საუკუნეების განმავლობაში მხატვრული ხელოსნობის ნიმუშთა ტიპები, ფორმა, ტექნოლოგიური ხერხები, გამოსახულებათა სტილი და სიუჟეტი. შესაბამისად, თვალსაჩინო ხდება ტიპობრივი მრავალფეროვნება და მათი ცვალებადობაც. ყველაფერი ეს გვაძლევს ამ დარგში მიღწეული დონის და მისი განვითარების უწყვეტი პროცესის რეალურ სურათს, რომელსაც აქ მხოლოდ ზოგადად შევეხებით.

თავიდანვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ თრიალეთური კულტურის მახასიათებელ სხვა მრავალ ინოვაციასთან ერთად საკუთრივ მხატვრული ხელოსნობის განვითარების კვლევაც საჭიროა წარიმართოს წინააზიური კონტაქტების კვლევის კონტექსში, რაც საბოლოო ჯამში საინტერესო სურათს მოგვცემს ამ დარგის ფორმირების წანამძღვართა დადგენის თვალსაზრისითაც.

თრიალეთურ ოქრომჭედლობაში სახეზე გვაქვს თითქმის ყველა კატეგორიის ნაწარმი, რაც კი საერთოდ დამახასიათებელია სინქრონული ხანის ძველი სამყაროს სხვადასხვა კულტურებისათვის: საკინძები, უამრავი და სრულიად განსხვავებული ტიპის მძივები, კულონი, ყელსაბამი, აგრაფი, შტანდარტი, მცირე პლასტიკის ნიმუში, გარსაკრავები, ფოლგები, ფიგურათა სადგარები, ფიგურათა მისამაგრებლები, სხვადასხვა მცირე დეტალები, ჯერ კიდევ გაურკვეველი დანიშნულების ოქროს ნივთები თუ თმის სამაგრები, და ბოლოს, ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ჭურჭელი. მთელი ეს მრავალფეროვნება ნათლად წარმოგვიდგენს თრიალეთურ ოქრომჭედლურ ხელოვნებაში მიღწეულ დონეს, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდებოდა მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციათა დაწინაურებულ სტანდარტებს და ზოგ შემთხვევებში წინ უსწრებდა კიდეც მათ [6, გვ. 1120-121; 7, გვ. 100-113]. ოქროს ინკრუსტირებული თასი [16, ტაბ. XCIII], ვერცხლისა [16, ტაბ. XCI, XCII] და ელექტრუმის [22, ფერადი ტაბულა] სარიტუალო თასები, № 8 ყორღანის ოქროს ყელსაბამი [16, ტაბ. XCV] და ზოგი სხვა უნიკუმები ძველი სამყაროს შედევრებად ითვლება ოქრომჭედლობის ყველა წამყვან სპეციალისტთა მიერ.

პირველი, ვინც მიუთითა თრიალეთის სამარხებში აღმოჩენილი მხატვრული ლითონის მასალებისა და წინააზიური ნიმუშების მსგავსების შესახებ, ამ კულტურის აღმომჩენი და ქართული არქეოლოგიის პატრიარქი-მკვლევარი ბორის კუფტინი იყო. შემდეგ კი სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით მას ეხებოდნენ კ. შეფერი, ე. მინსი, კ. მაქსველ-ჰისლოფი, ა. ჯავახიშვილი, ო. ჯაფარიძე, ე. გოგაძე, ნ. ჯაფარიძე, კ. ლილიკვისტი, კ. რუბინსონი, დ. კოლონი, მ. აბრამიშვილი, მ. ფუთურიძე და სხვ. ისინი, მართალია, იძლეოდნენ მახლობელი აღმოსავლეთის ამა თუ იმ კონკრეტული მასალის შედარებით ანალიზს, მაგრამ ამ დარგის ჩამოყალიბებისა და განვითარების სრულ სურათს ვერ წარმოაჩენდნენ, რადგან საკითხი ზოგად პლანში არ დასმულა და მის კვლევასაც სისტემური ხასიათი არ მიუღია. აქვე აღვნიშნავთ, რომ თრიალეთური ოქრომჭედლობის შესახებ ყველაზე სრული ხელოვნებათმცოდნეობითი გამოკვლევა ეკუთვნის ნ. ჯაფარიძეს [9]. საკუთრივ არქეოლოგიური თვალთახედვით კი ამ დარგის ნაწარმი ასევე სრულად შესწავლილი არ არის [5, გვ. 227-240]. რა თქმა უნდა ამ ხარვეზის შევსება აუცილებელია, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს საკითხი უპირველესად სწორედ ცალკეული კონკრეტული არტეფაქტების კვლევას უნდა ეყრდნობოდეს და ის უნდა გახდეს ამოსავალი სამხრეთ კავკასია-წინა აზიის მხატვრული ლითონწარმოების შედარებითი ანალიზისა, რომლის ჩატარების გარეშეც ზოგადად ამ საკითხის კვლევა წარმატებული ვერ იქნება [8, გვ. 1-25]. ამჯერად ზემოაღნიშნული პრობლემატიკის მთელი ფართო სპექტრის გაშუქება ერთ სტატიაში, ცხადია, შეუძლებელია. გვინდა მხოლოდ ზოგიერთ არტეფაქტზე შევაჩეროთ ყურადღება, რაც თრიალეთური ოქრომჭედლობის განვითარების გზის და საერთოდ ამ დარგის შესახებ ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმის საფუძველს გარკვეულწილად მაინც იძლევა.

სრულიად აშკარაა ის, რომ შუა ბრინჯაოს ხანიდან დაწყებული, სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის კულტურული ორიენტაცია მკვეთრად იღებს გეზს წინააზიური ცივილიზაციების მიღწევებთან დაახლოებისაკენ, მისთვის ნიშანდობლივი მხატვრული სტილისა და გემოვნების ათვისება-გაზიარებისაკენ.

თრიალეთური კულტურისათვის დამახასიათებელ სხვა თავისებურებებთან ერთად, რომელიც ყველაზე უკეთ ჩანს დაკრძალვის რიტუალისა და სამარხ-ნაგებობების, ბრინჯაოს ზოგიერთი ტიპის იარაღის და მოხატული კერამიკის მიხედვით, წინააზიური სამყაროს ზოგიერთ ცენტრებთან (ძველხეთური, ეგეოსური, შუმერული სამყარო) კავშირი და მათი ზეგავლენა თვალსაჩინოდ ვლინდება მხატვრული ხელოსნობის ნაწარმის მიხედვითაც.

თრიალეთური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე ტიპიური ნიმუშებია ოქროს, ფუყე, ერთნახევარბრუნიანი სასაფეთქლე ხვიები [13, ტაბ. 71], აღმოჩენილი ჯერ კიდევ 1936-40-იან წლებში ბ. კუფტინის მიერ. როგორც მხატვრულ-სტილისტურად, ასევე ყველა ცალკეული ნიუანსის, თვით ზომების მიხედვითაც კი ისინი საკმაო სიზუსტით იმეორებენ შუმერულ ანალოგებს, რომელიც ჩვენთვის ცნობილია ურის სამეფო სამაროვნის გათხრებიდან [16; 14, გვ. 31-34; 44, ტაბ. 146ь; ინვ. № 12467]. შუმერული სასაფეთქლე ხვიების ორიგინალების უშუალოდ გაცნობამ ევროპის მუზეუმებში მე კიდევ ერთხელ დამარწმუნა მათ იდენტურობაში. ამდენად, დიდია იმ ვარაუდის შესაძლებლობა, რომ სხვა შუმერული ტიპის მასალასთან ერთად, ოქროს ეს ხვიებიც თრიალეთში პირდაპირი იმპორტი თუ არა, უშუალოდ ამ წინააზიური ორიგინალის მიბაძვითა იქნა დამზადებული.

თოთხმეტმძივიან ყელსაბამში წარმოდგენილი აქატის კულონი [16ბ ტაბ. XCIV] ყურადღებას იქცევს როგორც უაღრესად დახვეწილი ოქრომჭედლური ნაწარმიბ რომელიც ამავე დროს მიუთითებს წინააზიურ მხატვრულ სტილთან სიახლოვეზე, რომელზედაც პირველად ბ. კუფტინმა მიაქცია ყურადღება [16]. აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ თვით აქატის ჯიშსბ რომელიც ანალოგიურია ურუქის ცნობილი აქატის კულონისა. ორივე შემთხვევაში აქატი ერთი ჯიშის ჩანს: თეთრძარღვიანიბ დაბალი და არარელიეფურიბ რაც შესაძლებელია მათი ერთი საერთო სარესურსო წყაროდან მომდინარეობაზეც კი მიანიშნებდეს. განსხვავებაა არის მხოლოდ იმაშიბ რომ ურუქის აქატი ერთიბ მთლიანი ფირფიტააბ ხოლო თრიალეთისა კი ორიბ დამოუკიდებელიბ ნაპირებდამუშავებული ნაწილიბ რომლის შეერთების ადგილი დაფარულია ორნამენტირებული ჩარჩოს ვერტიკალური დეტალით, ანუბ სხვაგვარად რომ ვთქვათბ სწორედ ამის გამოა აგებული ოქროს ჩარჩოს მხატვრული სახე ისებ როგორ ეს მოცემულ შემთხვევაში გვაქვსბ რომ იგი მთლიანად განაპირობა აქატის ორი დამოუკიდებელი ფირფიტის ერთ ფირფიტად წარმოსახვის ოსტატისეულმა სურვილმა. ამ მომენტითაც, ანუ აქატის მთლიან კულონად გადმოცემითაც, თრიალეთის ცალი ახლოს დგას მის შუმერულ (ურუქის) ანალოგთან.

ამგვარ სამკაულთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ თრიალეთური კულტურის ოქრომჭედლობის ახალი ნიმუში [22, გვ. 64, ტაბ. 32 და ფერადი ტაბულა], წარმოდგენილი ერთ-ერთი უმდიდრესი – ყარაშამბის (ნაირი) ცნობილი ყორღანიდან, რომელიც 1987 წელს გათხარა არქეოლოგმა ვ. ოჰანესიანმა. ეს უკანასკნელი აქატის კულონი, ისევე როგორც ზემოთგანხილული ორი ეგზემპლარი, ბრტყელზედაპირიანია და ჯიშით იგივე – თეთრი, მსხვილი ძარღვის მქონე. ყარაშამბის აქატის კულონი სრულიად სადაა და არავითარი ჩარჩო არ გააჩნია. ამ მხრივ, იგი მკვეთრად განსხვავდება თრიალეთის № 8 ყორღანის და ასევე ურუქის ცალებისაგან, რომელთაც რთული ტექნოლოგიური ხერხების გამოყენებით შექმნილი ოქროს ჩარჩო ბევრად მდიდრულ იერს აძლევს [31]. ამიტომ ოქრომჭედლური ხელოვნების დახასიათების თვალსაზრისით, სწორედ თრიალეთის ყორღანის კულონია ყველაზე შთამბეჭდავიც და რთულსახოვანიც. მისი ოქროს ჩარჩო შექმნილია გავარსის, ფილიგრანისა და ინკრუსტაციის ტექნოლოგიური ხერხების გამოყენებით: სარდიონის პატარა ზომის, ნახევარსფერული თვლები ოქროს დაბალ თვალბუდეებშია ჩასმული და სამ-სამადაა დაწყვილებული. თითოული თვალბუდე გავარსითაა მოჩარჩოებული და ინკრუსტირებული თვლების ახლოს ცვარაა დასმული. ეს ორნამენტული თემა რთული, მართალია, არ არის, მაგრამ ძალზე დახვეწილი გემოვნებითაა შესრულებული. აქატის კულონის ოქროს ჩარჩო მხატვრულ-სტილისტურად იმეორებს თრიალეთური ოქრომჭედლობის სხვა ნიმუშებს – მათ შორის ოქროს მძივებზე მოცემულ ორნამენტულ სახეს [16, ტაბ. XCV], თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ იგი საკმაოდ ახლოსაა ურუქის ზემოაღნიშნული აქატის კულონის ჩარჩოს მხატვრულ სახესთანაც [29, გვ. 1290-291].

თრიალეთურ საიუველირო ნაწარმზე ძალიან ხშირადაა გამოყენებული ორნამენტული სახის ცვარათი და ფილიგრანით ფორმირება. ეს თრიალეთური ოქრომჭედლობის ერთ-ერთი საყვარელი სახეა, რომელიც ფართოდაა გამოყენებული სხვადასხვა ნაწარმზე: მძივებზე, საკინძის თავებზე, ძვირფას ჭურჭელზე და შტანდარტის ნაწილებზე. აღნიშნული ტექნოლოგიური ხერხები კი კარგადაა ცნობილი სინქრონული ხანის მახლობელი აღმოსავლეთის ოქრომჭედლური ნაწარმიდან [21; 25; 29; 30; 33; 34; 36; 44; 45].

გარდა ამისა, საგანგებო ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ზოგიერთ იმ არტეფაქტებზე, რომლებიც მიგვანიშნებენ ეგეოსურ-სამხრეთ კავკასიური კულტურული კონტაქტების არსებობაზე ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნიდან II ათასწლეულის შუა ხანამდე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ვერცხლის, ოქროსთავიანი საკინძები, რომლებიც ჯერჯერობით მხოლოდ თრიალეთის №№ 17 და 36 [16, ტაბ. XCVII; 3, ტაბ. 24, 28] და ერთიщცალი კი გარეჯის (უდაბნო) [35, გვ. 747-758, ტაბ. 3_6] ყორღანებიდანაა ცნობილი და ამ კულტურის სხვა მდიდრულ ძეგლებზე ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. მეორეს მხრივ, ამ მშვენიერ ინკრუსტირებულ საკინძებს შემკობის მხრივ კოპიოები გააჩნიათ ეგეოსურ სამყაროში. კერძოდ ადონიას შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულისა და გვიანი ბრინჯაოს ხანის დასაწყისის საგანძურიდან ცნობილია მისი ზუსტი

ანალოგები [42, ფერადი ტაბულა], რომლებიც მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით ერთი სკოლის თუ არა, ერთი მხატვრული მიმდინარეობის ნაწარმი ჩანს. ეგეოსური ცალი ეს არის ნახევარსფეროს ფორმის დეტალები, რომლის საშუალო სიმაღლის, წრეზე გაკეთებულ ხუთ და ცენტრში კი ერთ, თვალბუდეებში ძვირფასი თვალები იყო ჩასმული, ხოლო თვალბუდის ირგვლივ კი ცვარაა გაკეთებული. რაც შეეხება თრიალეთის საკინძებს, ისინიც ოქროს ორი ნახევარსფეროს შეერთებით მიღებულ სფეროს წარმოადგენს, რომლის მთელს ზედაპირზე გარკვეული ინტერვალითა და სიმეტრიულობითაა გაკეთებული მაღალი თვალბუდეები, შიგ მოწითალო სარდიონის თვლით და თვალბუდის ირგვლივ კი ცვარათი. განსხვავება იმაშია, რომ პირველი მათგანის შემთხვევაში თვლები დაკარგული აღმოჩნდა. ისინი იმდენად ახლოს მდგარი ნიმუშებია, რომ მათი ერთი საიუველირო სკოლის თუ მხატვრული მიმდინარეობისადმი კუთვნილება ეჭვს ნაკლებად იწვევს.

დასავლეთ ანატოლიურ სამყაროსთან კონტაქტის თვალსაზრისით ასევე საყურადღებოა ცვარათი შემკული ოქროს მძივები [42, ფერადი ტაბულა], წარმოდგენილი ისევ ადონიას საგანძურიდან. ისინი თრიალეთური ცვარათი შემკული ოქროს ზემოაღნიშნული სფერული მძივების საკმაოდ ახლო ანალოგებად შეიძლება ჩაითვალოს და, რაც მთავარია, ტექნოლოგიური ხერხებისა და მხატვრული ტიპის (ორნამენტული სახეების თავისუფალ ზედაპირზე განაწილების პრინციპის) მხრივ თრიალეთური ოქრომჭედლობის ნიმუშებს ძალზე უახლოვდება. შეიძლება ითქვას, რომ თრიალეთური ყელსაბამის მძივების მხატვრულ-სტილისტურად ყველაზე ახლოს მდგარ ნაწარმს სწორედ ადონიას მძივები ქმნიან, რომლებიც ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებითაა დათარიღებული [42].

გარკვეულ ეჭვს იწვევს დასავლეთ ანატოლიის ამ უაღრესად საინტერესო ძეგლის თარიღი. მე ვთვლი, რომ ამ ძეგლის ქრონოლოგიური კონტექსტი არაერთგვაროვანია და მიუხედავად იმისა, რომ ოქრომჭედლობის მასალათა ერთი ნაწილი აშკარად გვიანბრინჯაოს ხანისაა, მთელი ამ სამარხეული კომპლექსებისათვის ამ თარიღის გაზიარება, ალბათ, საეჭვოა. ყოველ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული თრიალეთური სტილის ნაწარმი აშკარად უფრო ადრეული უნდა იყოს. გამორიცხული არ არის, რომ ადგილი გვქონდეს შედარებით ადრეული მასალების აღმოჩენის შემთხვევასთანაც გვიან ბრინჯაოს ხანის კომპლექსებში. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში თვით სამარხების თარიღი კორექტივს არ მოითხოვს და აქცენტი უნდა გაკეთდეს მხოლოდ ცალკეული კონკრეტული მასალების თარიღზე.

მხატვრული ხელოსნობის განსაკუთრებულ კატეგორიას ქმნიან ოქროს მრგვალი, ორნამენტირებული ფირფიტები, რომლებიც ყველაზე მრავლად გვაქვს წარმოდგენილი ეგეოსური სამყაროს ძეგლებზე. ისინი ცნობილია მიკენურ სამარხებში [20, ტაბ. 126]. დასავლეთანატოლიური ოქროს ეს დისკოები გაცილებით მეტი ორნამენტული მრავალფეროვნებითა და რაოდენობით ხასიათდებიან, ვიდრე სამხრეთ კავკასიური. ამ მრავალფეროვნებაში, რომელიც ანატოლიურ ოქრომჭედლობაზე გამოქვეყნებულ თითქმის ყველა ნაშრომშია ილუსტრირებული, გვაქვს ერთი ტიპი, რომელიც ძალზე ახლოსაა თრიალეთურ ორნამენტირებულ დისკოებთან [16, ტაბ. CIII]. ესაა წრეზე თანაბრად განლაგებული კონცენტრული წრეები, რომელსაც დასრულებულ სახეს აძლევს ცენტრში გაკეთებული თანაბარი ზომის კონცენტრული წრეებისა და დაბალი კოპების მონაცვლეობა. ზურტაკეტის № 4 ყორღანიდან ცნობილია ამგვარი ფირფიტის რამდენადმე განსხვავებული ორნამენტით შემკული ცალი [10, გვ. 55, ტაბ. XIX]. ეს მოტივი, როგორც ცნობილია, კარგადაა ათვისებული ეგეოსურ ოქრომჭედლობაშიც [42, გვ. 84, ინვ. № 8663]. მისი აღმოჩენა ახლახან კიდევ ერთხელ განმეორდა აწყურის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხის მასალებშიც (ვ. ლიჩელის გათხრები. ამ მასალის გაცნობისათვის მას დიდ მადლობას ვუხდით) და ისინი ხომ უკვე კარგადაა ცნობილი მკვლევარებისათვის თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანებიდან [3, ტაბ. 24_6].

დიდი რაოდენობით ოქროს გარსაკრავები და ორნამენტირებული ფირფიტები, რომლებიც ცნობილია თრიალეთის ყორღანებიდან [16, ტაბ. XCIV; 9, ტაბ. XXVI], მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი სინქრონული პერიოდის ანატოლიურ მასალათა შორის [23, გვ. 26; 28, გვ. 45, 48]. ამ მასალების როგორც სადა, ასევე მდიდრულად დეკორირებული ნიმუშები თრიალეთის სამარხებიდან სრულიად აშკარად უახლოეს ანალოგებს წარმოადგენს ანატოლიური და ეგეოსური არტეფაქტებისათვის.

თრიალეთური კულტურის მხატვრულ ლითონწარმოებაში ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება ლითონის ჭურჭლის წარმოებაა. ეს ცალკე და ამასთან ძალიან დაწინაურებული სფეროა ამ დარგში. უპირველესად უნდა აღინიშნოს ის, რომ თრიალეთურ ლითონის ჭურჭელში აუცილებლად უნდა გაირჩეს ორი კატეგორია. ერთი ესაა – ბრინჯაოს, ხოლო მეორე კი ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ნაწარმი. ორივე მათგანი წარმოადგენს ერთნაირად მაღალმხატვრული დონის ნიმუშებს და საბოლოოდ კი ერთად ქმნის თრიალეთური მხატვრული ლითონწარმოების განუმეორებელ დარგს, რომლის ნაწარმიც ცალკეულ შემთხვევებში თავისი დონით ბევრად აღემატება კიდეც თვით დაწინაურებული ძველაღმოსავლური ცივილიზაციების მასალებს. ამ შემთხვევაში ზედაპირის მხატვრული დამუშავების, დახვეწილი გემოვნების და რთული ტექნოლოგიური ხერხების

გამოყენების თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა სახის ლითონია გამოყენებული ხელოსნის მიერ: ბრინჯაო, ვერცხლი თუ ოქრო. იგი ერთნაირი ოსტატობითა და მაღალი პასუხისმგებლობით მუშაობს სამივე სახის მასალაზე. ამიტომ ფორმის მოდელირების თვალსაზრისით იქმნება ერთნაირად მაღალი სტანდარტის ნაწარმი, იქნება ეს ბრინჯაოსი თუ ძვირფასი ლითონებისა. ამის შესანიშნავი დადასტურებაა ბრინჯაოს კალათის ფორმის ჭურჭელი [16, ტაბ. LXXXVII], რომელიც ტექნოლოგიური ხერხების სირთულითა თუ ფორმისა და ორნამენტის დახვეწილობით არაფრით არ ჩამოუვარდება ოქროსაგან დამზადებულ სხვა თრიალეთურ ნიმუშებს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ თრიალეთური კულტურის ლითონის ჭურჭლის შემთხვევაში თვით ლითონის კატეგორია არ განსაზღვრავს მის მაღალმხატვრულ დონეზე დამუშავების საკითხს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ხელოსანი ირჩევს სხვადასხვა სახის ორნამენტსა და ტექნოლოგიურ ხერხებს, იმის მიხედვით, რათა უფრო უკეთ მიუსადაგოს იგი ფაქტურას, რომელზედაც მუშაობს. მაგალითისათვის თვალსაჩინოა, რომ ცვარა და ინკრუსტაცია ძირითადად ოქროს მხატვრული დამუშავებისას არის გამოყენებული (ოქროს ინკრუსტირებული თასი, ოქროსთავიანი ინკრუსტირებული საკინძები, ოქროს ინკრუსტირებული მძივი, აქატის კულონის ოქროს ჩარჩო, ყარაშამბის ყელსაბამის ოქროს ინკრუსტირებული დეტალები, ცვარა – გამოყენებული ოქროს სხვადასხვა ნიმუშების შემკობისას) და სხვა ლითონების ორნამენტირებისას არ იხმარება. რაც შეეხება ფილიგრანს, იგი გვხვდება ოქროზე და ვერცხლზეც (ვერცხლის ცალყურა კათხის სახელურის შემკობა; ვერცხლის ორნამენტირებულზედაპირიანი ვედროს სარწყულის დეტალები; ოქროს ინკრუსტაციით, ფილიგრანითა და ცვარათი შემკული თასი, ოქროს მძივები და სხვა). ხოლო ყურის ჭურჭლის ტანზე მისამაგრებლად გამოყენებული სპეციფიკური, ე.წ. "პეპლისებური" დეტალი და ბრინჯაოს დეკორატიული ლურსმნები კი ოქროს ნიმუშებზე საერთოდ არ არის წარმოდგენილი და თუ მთლიანობაში განვიხილავთ მახლობელი აღმოსავლეთისა და მისი ჩრდილო პერიფერიის – სამხრეთ კავკასიის მასალებს, აქ ეს ორნამენტული დეტალები მხოლოდ ვერცხლსა და ბრინჯაოზე გვაქვს მოცემული (კარუმ კანესის II ფენაში აღმოჩენილი ვერცხლის კალათის ფორმის ჭურჭელი [33], მიკენის № 4 შახტური სამარხის ვერცხლის ასეთივე ტიპის ნიმუში [27, გვ. 95-101] და ბრინჯაოს მისი ზუსტი ანალოგი თრიალეთის № 15 ყორღანიდან [3, ტაბ. 22]; ვერცხლის ქვაბი აშურის № 20 სამარხიდან, სპილენძისა და ბრინჯაოს ანალოგიური ქვაბები ქიულ თეფე – კარუმ კანესიდან [32, ტაბ. 38_5, $49_{1,2}$]). ამგვარად, ცხადია ერთი, რომ თრიალეთური კულტურის მხატვრული ხელოსნობის შემქმნელმა ოსტატებმა კარგად იცოდნენ თუ რომელი ტექნოლოგიური ხერხი და ცალკეული დეკორატიული დეტალი უნდა გამოეყენებინათ თითოეული ლითონისათვის [26; 8; 14] და შესაბამისად, სახეზე გვაქვს უაღრესად დახვეწილი ნიმუშები, შექმნილი ოქრომჭედლობის ყველა იმდროინდელი მიღწევების ზედმიწევნით ცოდნით.

ბრინჯაოს ჭურჭელთან დაკავშირებით კი გარდა ზემოაღნიშნულისა, ნიშანდობლივია კიდევ ერთი თავისებურება, რომელიც ნათლად იკვეთება საკუთრივ ბრინჯაოს ნაწარმში. ესაა მაღალმხატვრული და უაღრესად დახვეწილი პროდუქცია, წარმოდგენილი კალათის ფორმის ჭურჭლის სახით და ამავე დროს შედარებით უფრო მასობრივად წარმოებული, სპილენძისა და ბრინჯაოს ნაკლებ დახვეწილი ქვაბები [15, გვ. 99, ტაბ. 31], რომლის უტილიტარული ფუნქციაც სრულიად ნათელია. როგორც ჩანს, იგი გამოიყენებოდა მიცვალებულის საპატივცემულოდ გამართული სარიტუალო ტრაპეზის პროცესში. დამზადების ტექნოლოგიური ჩვევებისა და თვით ხარისხის მიხედვით, განსხვავებით კალათისებური ფორმის ბრინჯაოსავე საპარადო ჭურჭლისაგან, იგი, რა თქმა უნდა, გაცილებით ნაკლები მხატვრული ღირებულებისაა და სადაც. ამგვარი ჭურჭელიც კარგად იცის მახლობელი აღმოსავლეთის სამყარომ შუა ბრინჯაოს ეპოქაში [11; 32, ტაბ. IV_{19}; 24].

თრიალეთური ძვირფასი ლითონის ჭურჭელი ხასიათდება დიდი ტიპობრივი მრავალფეროვნებით და, რიგ შემთხვევებში, გვაძლევს ერთადერთ და განუმეორებელ ნიმუშებს. ასეთია ოქროს ინკრუსტირებული თასი, ოქროს სადაზედაპირიანი პატარა თასი, ვერცხლის ორნამენტულზედაპირიანი ვედრო ოქროს დეტალებითა და სახელურით და ა.შ. ისინი დღემდე ერთადერთი ეგზემპლიარებითაა ცნობილი. როგორც ჩანს, იუველირი ქმნის ერთადერთ ცალს მხოლოდ ელიტის კონკრეტული წარმომადგენლის დაკვეთით და შემდეგ მას უკვე აღარ (ან ძალიან იშვიათად) იმეორებს. ამიტომაა რომ უმრავლესობა თრიალეთური მხატვრული ლითონის ნიმუშებისა მასობრივად არ მზადდება და საზოგადოებაში დაწინაურებული იმ პირის სამარხეულ ინვენტარს ავსებს, რომელიც მისი მფლობელის პირად საკუთრებას შეადგენდა. ამ ნაწარმის ინდივიდუალობასა და მის განუმეორებელ სტილში, ალბათ, უპირველესად თვით მისი მესაკუთრე (და ასევე ხელოსანიც) უნდა ყოფილიყო დაინტერესებული, რომელიც ცდილობდა ერთადერთი და გამორჩეული ნივთის მფლობელი ყოფილიყო.

მხატვრული ხელოსნობის ნაწარმის კვლევისას თვალში საცემია კიდევ ერთი ნიშანდობლივი თავისებურება, რომელიც გამოიხატება ერთდროულად რამოდენიმე, სრულიად ურთიერთგანსხვავებული ორნამენტული ხერხე-

ბისა და სიუჟეტური თემების თანაარსებობაში. კერძოდ, დეკორის მხრივ საინტერესოა ორი ტენდენცია: ერთი – ესაა ძვირფასი ლითონის ნაწარმის მთელი ზედაპირის უხვად შემკობა და ორნამენტული თემების მრავალფეროვნება (ოქროს ინკრუსტირებული თასი, ვერცხლის ორნამენტირებულზედაპირიანი ვედრო, ვერცხლის სარიტუალო სიუჟეტით შემკული თასი, ყარაშამბის ასეთივე ელექტრუმის თასი და ოქროს გრავირებულზედაპირიანი თასი [22, გვ. 68, სურ. 35], ოქროს ლომების გამოსახულებიანი თასი კიროვაკანიდან [15, გვ. 99, ტაბ. 31], ორნამენტირებული შტანდარტები [16, ტაბ. C], გარსაკრავები და სხვა), ხოლო მეორეს მხრივ კი ზედაპირის სრული სისადავე და დეკორის უქონლობა (ოქროს სადა თასი, ვერცხლის ბიკონუსურტანიანი წყვილი თასი, ვერცხლის ყურიანი კათხა, ოქროს ფოლგები და შემკულობის სხვადასხვა დეტალები), სადაც ნიმუშის დახვეწილობა მიღწეულია მხოლოდ და მხოლოდ ფორმაზე აქცენტირებით. ეს ორი მიმართულება მხატვრული ლითონის გაფორმებაში სრულიად თვალსაჩინოა და, ვფიქრობთ, იგი ასახავს ოქრომჭედელი ოსტატების მაღალ გემოვნებასა და ფანტაზიას, როცა ისინი არ შემოიფარგლებიან მხოლოდ ერთი, უკვე კარგად ათვისებული სტილით, არამედ მუდმივად ქმნიან რაღაც ახალს ამ მიმართულებით. ამასთან, არც ერთი, ამ ორნამენტული ტენდენციიდან არ დომინირებს, არამედ ორივე ერთნაირად გავრცელებული ჩანს თრიალეთურ ხელოსნობაში. სიუჟეტის მხრივაც არ ჩანს ერთი გაბატონებული და საყოველთაოდ ათვისებული თემა, არამედ თანაბრადაა წარმოდგენილი „წმინდა“ გეომეტრიული სტილი, რომელიც, როგორც წესი, ძალზე მრავალფეროვანია, და ცხოველური მოტივები. ამ უკანასკნელ მოტივთან დაკავშირებით კი გვაქვს რთულსიუჟეტიანი თემები (ვერცხლის სარწყულა, ვერცხლისა და ელექტრუმის სარიტუალო თასების გარკვეული ფრიზები) და ცხოველის ფიგურების დამოუკიდებლად, სიუჟეტური კონტექსტის გარეშე გადმოცემა (კიროვაკანის ლომებიანი თასი, ოქროს შტანდარტი ლომების გამოსახულებით). ამ ხრივ იგი მეტ საერთოს ნახულობს ხურიტულ ნიმუშებთან, სადაც ცხოველის ფიგურა ორნამენტის დამოუკიდებელ სახეს წარმოადგენს [43]. ამავე დროს საკმაოდ ხშირია ცხოველური და გეომეტრიული მოტივების ერთად გადმოცემაც გარკვეულ კომბინაციაში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს ტენდენცია გარკვევითა გვაქვს წარმოდგენილი არა მხოლოდ მხატვრული ლითონის (ოქროს შტანდარტი ლომების გამოსახულებით), არამედ კერამიკული ნაწარმის შემხვევებშიც.

რაც შეეხება ტექნოლოგიურ ხერხებს, ამ მხრივაც თრიალეთური მხატვრული ხელოსნობის ნაწარმი მრავალფეროვნებითა და სირთულით გამოირჩევა. საკმაოდ მრავლად გვაქვს რომელიმე ერთი ტექნოლოგიური ხერხით, ვთქვათ, დაბალი რელიეფით, დაბალი ან ღრმა გრავირებით ან პუნსონით წარმოდგენილი დეკორი [10, გვ. 32, ტაბ. XI, სურ. 10-11; 17, გვ. 51-59] და ამავე დროს თრიალეთური ოქრომჭედლობის ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებად უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს განსხვავებული ტექნოლოგიების: პუნსონის, ფილიგრანის, ინკრუსტაციის, გავარსის ან გრავირების ერთდროულად, ერთი ორნამენტული თემის შექმნის დროს გამოყენება.

ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებულ ჭურჭელში ისეთი მრავალფეროვნებაა, რომ მათი ტიპობრივი დიფერენციაციის სამომავლო სქემაში ისინი, ბუნებრივია, ცალკე ჯგუფებს შექმნიან. ეს საკმაოდ ტევადი საკითხია და იგი საგანგებო კვლევას საჭიროებს. ამჯერად მხოლოდ გაკვრით შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ ოქროს ინკრუსტირებული თასი [16, ტაბ. XCIII], თრიალეთის № 7 ყორღანის სადაზედაპირიანი ოქროს თასი [16, ტაბ. CI], კიროვაკანის № 1 ყორღანის დაბალი რელიეფით შესრულებული ლომების გამოსახულებიანი ოქროს თასი [15, ფერადი ტაბ. III] და შედარებით ახლახანს, ყარაშამბის № 1, განსაკუთრებით მდიდრულ ყორღანში მიკვლეული რამდენადმე უფრო მაღალი ოქროს თასი, შემკული გრავირებული გეომეტრიული სახეებით [22, ფერადი ტაბულა], ასევე ოქროს დეკორატიული ჩარჩოთი შემკული ვერცხლის ძალზე დაზიანებული სახით მოღწეული სარწყულა [16, ტაბ. XXXVIII], თითქმის ცილინდრული ფორმის ვერცხლის სახელურიანი კათხა [16, ტაბ. CII] და ბოლოს, სარიტუალო შინაარსის მქონე რთულსიუჟეტიანი ლითონის ჭურჭელი თრიალეთის № 5 [16, ტაბ. XCI] და ყარაშამბის № 1 ყორღანებიდან [22, ფერადი ტაბულა] (ამ ორიგინალურ მასალას ბოლო წლებში რამდენიმე საინტერესო გამოკვლევა უძღვნა კ. რუბინსონმა [39, გვ. 123-124; 38; 40, გვ. 128-143; 41, გვ. 237-242], რომელიც მას წინააზიური მასალების კონტექსტში აანალიზებს) უდავოდ სრულიად ცალკე ტიპობრივ ჯგუფებს უნდა წარმოადგენდნენ.

ძირითადად ესაა მხატვრული ხელოსნობის ის ნიმუშები, რომლებიც ყველაზე მეტ საერთოს პოულობს წინააზიურ მასალებთან და აშკარად მიუთითებს თრიალეთური ოქრომჭედლური სკოლის სიახლოვეზე სრულიად კონკრეტულ რეგიონებთან: ანატოლიასთან, შუმერსა და ეგეოსურ სამყაროსთან.

ვფიქრობთ, რომ თრიალეთური კულტურის ლითონის ჭურჭელში შეიძლება ასევე გამოვყოთ რამდენიმე კატეგორია:

1. განსაკუთრებით ძვირფასი და პრესტიჟული ნივთები, რომელთა შექმნაზეც დაიხარჯა დიდი შრომა, განსაკუთრებული სიმდიდრე და რომელიც მისი შემქმნელისაგან საიუველირო

დარგის ზედმიწევნით ცოდნასთან ერთად მოითხოვდა მაღალ გემოვნებას, ტექნოლოგიური ხერხების ნიუანსების თავისუფლად ფლობას და დახვეწილი ორნამენტული სახეების ნატიფად მოდელირებას. მთელი ეს რთული ამოცანა გასაოცარი დახვეწილობითაა გადაწყვეტილი ისეთ უნიკალურ ნიმუშზე, როგორიცაა თრიალეთის № 17 ყორღანის ოქროს ინკრუსტირებული თასი [16, ტაბ. XCIII]. ეს ნიმუში ქმნის ცალკე ჯგუფს ლითონის ჭურჭელში და ჯერჯერობით ერთადერთიაფასში. იგი ხასიათდება სამი ტექნოლოგიური ხერხის: ცვარას, ფილიგრანისა და ინკრუსტაციის გამოყენებით, რაც განსაკუთრებულ მდიდრულობას ანიჭებს მას. აღსანიშნავია, რომ ეს ჭურჭელი დღეისათვის ყველაზე უკეთაა შესწავლილი მთელი თრიალეთური ოქრომჭედობიდან.

ამავე განსაკუთრებით მდიდრულ სტილს უნდა განეკუთვნოს როგორც ოქროს დეტალებით ორნამენტირებული ვერცხლის სარწყულა, ასევე სამკაულის ზოგიერთი ნიმუში.

2. საკულტო დანიშნულების ლითონის ჭურჭელი, შემკული დახვეწილი და მაღალმხატვრული სტილით.

3. ძვირფასი ლითონის ჭურჭელი, რომელიც დახვეწილია, მაგრამ არა გამორჩეულად მდიდრული და მაღალმხატვრული დონისა. იგი ყველაზე მრავალრიცხოვანია და ზოგადი მიმართულების გამომხატველია ლითონის ჭურჭლის პროდუქციაში.

4. ბრინჯაოს პროდუქცია, რომელიც ასევე მდიდრულ მხატვრულ სტილს ქმნის ლითონის ჭურჭლის საერთო ნაწარმში.

თრიალეთური ოქრომჭედლობის განვითარების გზის სურათის რეკონსტრუქციისათვის, გარდა უძველესი მახლობელი აღმოსავლეთის სამყაროსთან კონტაქტების ამსახველი მასალებისა, აუცილებლად მიმაჩნია შევჩერდე კიდევ ერთ საკითხზე, რომელიც საკვანძოა ამ დარგის გენეზისის კვლევის თვალთახედვით. კერძოდ, თრიალეთური მხატვრული ხელოსნობის პრობლემა, ვფიქრობ, უნდა გაანალიზდეს ორი მიმართულებით: ერთი და აუცილებელი ესაა თრიალეთური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ნიმუშებთან შუა ბრინჯაოს ადრეული ხანის მასალების მიმართება, ანუ ქმნიან თუ არა ე.წ. ადრეყორღანული კულტურის მხატვრული ხელოსნობის ნიმუშები იმ წანამძღვრებს და მყარ ნიადაგს, რომლის საფუძველზეც შემდეგ, ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულის და II ათასწლეულის დასაწყისში, განსაკუთრებით დაწინაურდა ეს დარგი. ამ მხრივ ყურადღება უნდა გამახვილდეს, ჯერ ერთი, იმ მხატვრულ სტილზე, რომლიც დამახასიათებელია ადრეყორღანული ეპოქის ოქრომჭედლობისათვის, ხოლო, მეორეს მხრივ კი საკვლევი კულტურისათვის დამახასიათებელი ძირითადი ტიპების ანსამბლზე, რაც თვალის ერთი გადავლებითაც ცხადს ხდის მხატვრული ხელოსნობის ნაწარმის არსებით სხვაობას მისი წინამორბედი მასალებისაგან. ანუ უნდა ჩატარდეს ამ ორი, ურთიერთმომდევნო ეპოქის ოქრომჭედლური ნაწარმის ტიპოლოგიური და ანალიტიკური კვლევა [4, გვ. 83-101; 7, გვ. 100-113], რაც საფუძველს მოგვცემს ვუჩვენოთ თუ რა ახალი ტენდენციები ჩნდება თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების საფეხურზე.

უცილებლად მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ძვირფასი ლითონის ჭურჭელი პირველად სამხრეთ კავკასიის კულტურულ სინამდვილეში ჩნდება სწორედ თრიალეთური კულტურის გამოჩენასთან ერთად, დაახლოებით ძვ.წ. XXI საუკუნეში.[7] რაც შეეხება მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა რეგიონებს, აქ ძვირფასი ლითონის ჭურჭელი ჩნდება ხათური კულტურის ძეგლებზე და ურის III დინასტიის ეპოქაში – შუმერში. ამდენად, ბუნებრივია დავუშვათ, რომ სამხრეთ კავკასიაში ეს ნაწარმი შესაძლებელია სამხრეთული კულტურების ზეგავლენით გაჩენილიყო. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ქრონოლოგიური სქემის მონაცემები, რომლის მიხედვითაც ანატოლიაში, შუმერში და სხვა რეგიონებში ძვირფასი ლითონის ჭურჭლის დამზადების ტრადიცია საკმაოდ წინ უსწრებს სამხრეთ კავკასიურს.

უპირველესად აღვნიშნოთ ის, რომ ადრეყორღანების კულტურას საერთოდ არ ახასიათებს ლითონის ჭურჭლის არსებობა [11]. იგი საერთოდ უცხოა სამხრეთ კავკასიური გარემოსათვის თრიალეთის ბრწინვალე ყორღანების კულტურამდე. ეს ნიშანია სწორედ ერთ-ერთი მკვეთრი განმასხვავებელი თრიალეთური კულტურისა ყველა სხვა წინარე საფეხურის კულტურული რეალობებისაგან.

ადრეყორღანული კულტურის საფეხურზე სამხრეთ კავკასიის კულტურულ სინამდვილეში ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია იმ კატეგორიის მასალა, რომელიც ამჟამად ჩვენი კვლევის საგანგებო საგანია – ლითონის ჭურჭელი, არც ძვირფასი ლითონის და არც სპილენძ-ბრინჯაოს შემადგენლობისა. ეს მომენტი ხაზს უსვამს ერთ გარემოებას, რომელსაც საგანგებოდ უნდა მიექცეს ყურადღება. კერძოდ კი იმას, რომ ამ ნაწარმს ლოკალურ გარემოში არავითარი წანა-

[7] თრიალეთური კულტურის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარის დაძველებას, სხვადასხვა არგუმენტების მოშველიებით, ამჟამად მხარს უჭერენ მ. აბრამიშვილი [1, გვ. 48-52], კ. კუშნარიოვა [18, გვ. 101-116], მ. ფუთურიძე [36, გვ. 8-22]. C^{14} კალიბრირებულ თარიღებზე დაყრდნობით, თრიალეთის კულტურის ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრითა და II ათასწლეულის პირველი საუკუნეებით გადათარიღების შესახებ თვალსაზრისი ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იან წლებში გამოთქვა გ. ქავთარაძემ (იხ. Кавтарадзе Г. К хронологии эпохи энеолита и бронзы в Грузии. Тб., 1983).

მძღვრები და საფუძველი არ გააჩნდა. ეს ვითარება პირდაპირ გვიბიძგებს იმ ვარაუდისაკენ, რომ თრიალეთური კულტურის ლითონის ჭურჭლის მრავალფეროვანი პროდუქცია ჩავთვალოთ წინა აზიური ზეგავლენის შედეგად ჩამოყალიბებულად. სხვაგვარად წარმოუდგენელია აიხსნას ის, თუ როგორ გაჩნდა სამხრეთ კავკასიაში ძვ.წ. XXI საუკუნეში სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი წინამორბედი მასალების და მისი დამზადების ტრადიციის წანამძღვრების გარეშე, ასე განვითარებული და დახვეწილი ნაწარმი ერთბაშად. ტრადიციის გარეშე, ცარიელ ნიადაგზე შეიძლება ჩაისახოს ახალი დარგი, რომელიც, როგორც წესი, წარმოგვიდგენს მის საწყის, უადრეს სტადიას ანუ ჩამოყალიბების საფეხურს. წარმოუდგენელია ძალზე განვითარებული და უკვე მაღალ საფეხურზე მდგარი ტექნოლოგიური ხერხების და მისი დამზადების ჩვევების მქონედ იგი უცბად და მოულოდნელად გამოჩნდეს, როგორც უკვე კარგად ჩამოყალიბებული დარგი. ასეთი რამ კულტურაში არ ხდება. ამიტომ ბუნებრივია, თრიალეთური კულტურის საფეხურზე ანუ შუა ბრინჯაოს ხანის განვითარებულ, II ეტაპზე ერთბაშად დაწინაურებული მხატვრული ხელოსნობის ეს დარგი – ლითონის დახვეწილი ჭურჭლის დამზადების ტრადიციის წანამძღვრები – ჩვენ მეზობელ, დაწინაურებულ წინააზიურ გარემოში დავინახოთ.

საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ იმას, რომ ადრეყორანების კულტურას ახასიათებს მხატვრული ხელოსნობის ნაწარმის ძალზე ლიმიტირებული რეპერტუარი. მასში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ტიპები:

1. ორვოლუტიანი საკინძი, 2. მცირე ზომის, ერთნახევარი ბრუნის სასაფეთქლე ხვიები, ძალზე მარტივი და არქაული ფორმისა. 3. ოქროს დეტალები, გაურკვეველი საგნის ნაწილები; 4. სადაფის თხელი, ფირფიტისებური მძივები; 5. კვერთხის (?) მცირე ზომის მოდელი; 6. ლომის ოქროს მცირე ზომის ფიგურა 7. ვერცხლის ბიკონოსური მძივები; 8. ოქროს მილაკისებური ფორმის მძივები და ოქროს, რთული ორნამენტული სახის მქონე საკიდი (ანანაურის ყორღანი) [11].

გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით ისინი საკმაოდ განსხვავებულია თრიალეთური მასალისაგან: ორვოლუტიანი საკინძი, სადაფის მძივები თუ ოქროს პატარა რგოლები ვერავითარ გაგრძელებას ვერ პოულობს თრიალეთურ კულტურაში. მეორეს მხრივ, როგორც ვხედავთ, აქ არ ჩანს შუა ბრინჯაოს განვითარებული, "აყვავებული" ხანისათვის დამახასიათებელი მხატვრული ნაწარმის უმრავლესობა: არც ძვირფასი ლითონის ჭურჭელი, არც სარიტუალო ოქროს ნიმუშები (შტანდარტი), არც სამკაულის მთელი რიგი ტიპები და მათი მრავალფეროვნება. ისინი მოულოდნელად და ყოველგვარი ადრეული ფორმების გარეშე ჩნდება თრიალეთის მდიდრულ ანსამბლში. სამაგიეროდ, მათ უახლოესი ანალოგები ან პროტოტიპები საკმაოდ მრავლად ეძებნებათ წინა აზიის სხვადასხვა ცივილიზაციათა მხატვრული ხელოსნობის ნიმუშთა შორის. და ეს არის სწორედ ის თვალთახედვა და მიმართულება, რომელზედაც ზემოთ მივუთითეთ და რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს ამგვარი ხასიათის კვლევა. ასე რომ, ადრეყორღანული და თრიალეთური კულტურების მხატვრული ხელოსნობის ნიმუშების დიდი ნაწილი მნიშვნელოვნად სხვადასხვაა არა მხოლოდ ორნამენტული სახეების მხატვულ-სტილისტური ნიშნებით, არამედ ფორმათა ტიპოლოგიის მხრივაც, რაც ცხადად ჩანს ნაშრომში წარმოდგენილი ძირითადი ნიმუშების მიხედვითაც.

წარმოდგენილი სტატიის გაგრძელებისათვის ვამზადებთ განმაზოგადოებელი ხასიათის შედარებით ტაბულას, რომელზეც აიგება ჩვენი მსჯელობა თრიალეთური კულტურის მხატვრული ხელოსნობის გენეზისის შესახებ. საშუალება მოგვეცემა თვალი გავადევნოთ მოცემულ კულტურათა ოქრომჭედლური ნაწარმის ცვალებადობას დროის მანძილზე, ასევე მხატვრული ხელოსნობის განვითარების ტენდენციებსა და თავისებურებებს.

ამ დარგის სწრაფი აღმავლობა კი, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად წინა აზიასთან გააქტიურებული კონტაქტების და ზეგავლენათა ფონზე ხდება და გარკვეულ სიახლეთა ნაკადს იძენს სწორედ ძვ.წ. III-II ათასწლეულთა მიჯნისა და II ათასწლეულის პირველი ნახევრის თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურის დროს. ვფიქრობ, რომ სწორედ ასეთი თვალთახედვით მასალათა მთლიანობაში გაანალიზებამ შეიძლება გაარკვიოს და ახსნას მხატვრულ ხელოსნობაში უამრავი ახალი ტიპის თუ სტილის უეცარი გამოჩენის ფაქტი წინამორბედი ხანის – ადრეყორღანული კულტურის ძეგლების – შედარებით მოკრძალებული ტრადიციის ფონზე. ადრეყორღანული კულტურის ხანაში იწყება და საფუძველი ეყრება ოქრომჭედლობის როგორც დამოუკიდებელი დარგის ტრადიციებს, ხდება საიუველირო ხელოვნების პირველი და არქაული ტიპების გამოჩენა, რაც ამ დარგის ჩამოყალიბების დასაწყისის მიმანიშნებელია.

ცხადია ისიც, რომ შუაბრინჯაოს ხანის დასაწყისი ეტაპის (შუაბრინჯაო I) ამ კულტურის განმავლობაში იქმნება ზოგიერთი ნიმუშები, რომლებიც მხოლოდ მის თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს და რომლებსაც არავითარი გაგრძელება არა აქვს მომდევნო საფეხურზე. მათი განვითარება თითქოს აქ ამთავრებს არსებობას და წყდება ადრეყორღანული კულტურის დასრულებასთან ერთად. მხატვრული ხელოსნობის ასეთ ტიპთა შორის შეიძლება დავა-

სახელოთ: 1. ვერცხლის ორვოლუტიანი საკინძი; 2. ორვოლუტიანი მოტივის ნიადაგზე შექმნილი ოქროს რთულსახოვანი საკინძი, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ერთადერთი ეგზემპლიარის სახითაა ცნობილი ანანაურის ყორღანიდან; 3. ოქროს მცირე ზომის კვერთხის (?) მოდელი. არის კიდევ ერთი ტიპი – ვერცხლის ბიკონოსური ფორმის მძივები, რომლებიც თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების ხანაში დიდი იშვიათობა ხდება და ამ ფორმის, ისიც ოქროს მძივები ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ყარაშამბის მდიდრული ყორღანიდან, რომელიც ნიშანდობლივია, რომ საკმაოდ ადრეული ხანით თარიღდება (ძვ.წ. XXII-XX სს.) [22]. უნდა ითქვას ისიც, რომ ადრეყორღანების ხანაში საიუველირო ნაწარმში წარმოდგენილი გვაქვს ვერცხლი უფრო ხშირად, ვიდრე შუა ბრინჯაოს ხანის განვითარებულ, II ეტაპზე, როცა ოქროს ნაწარმი აშკარად დომინირებს და ვერცხლი უკვე იშვიათობაა. ეს ლითონი (ან ელექტრუმი) გამოიყენება ჭურჭლის დასამზადებლად, ხოლო სამკაულიდან კი საერთოდ ამოღებულია.

ადრეყორღანული კულტურის ზემოთჩამოთვლილი ტიპები ვერავითარ გაგრძელებას ვერ პოულობენ შემდგომ და შუა ბრინჯაოს აყვავების ეტაპზე საერთოდ ქრებიან მხატვრული ხელოსნობის წარმოებიდან. აშკარაა, რომ აღნიშნული საიუველირო ნიმუშები მხოლოდ და მხოლოდ ადრეყორღანული კულტურის სახასიათო მასალაა, რომელთაც საფუძველი არ მიუციათ თრიალეთური კულტურის ამ დარგის მრავალფეროვანი ნაწარმის ფორმირებისათვის ანუ თრიალეთელებმა ისინი უბრალოდ არ აიღეს წინამორბედი, ადგილობრივი ტრადიციიდან. მათ ორიენტაცია უფრო მეტად წინააზიური მხატვრული სტილისაკენ გააკეთეს და საბოლოოდ თრიალეთური კულტურის მხატვრული გემოვნება უფრო მეტად აღმოჩნდა "დავალებული" ძველი სამყაროს ამ მოწინავე კულტურებისაგან, ვიდრე ადგილობრივი, სუბსტრატული ტრადიციის პლასტისაგან.

ხაზგასმით აღვნიშნავთ ასევე იმ ადგილობრივ მხატვრულ ნაწარმს, რომელიც შემდგომ გაგრძელებას პოულობს საკვლევ კულტურაში. ისინი სულ სამია: 1. ოქროს სფერული ფორმის პუნსონით დეკორირებული მძივი; 2. ოქროს მცირე ზომის ერთნახევარ ბრუნიანი ხვიები. მიუხედავად იმისა, რომ ფორმით ისინი თრიალეთურ ფუყე, მსხვილ და მოხდენილი იერის სასაფეთქლე ხვიებს დიდად არ ემსგავსება, მაინც, ზოგადად ამ ტიპის – ხვიების არსებობის ადრეულ ვარიანტად შეიძლება მივიჩნიოთ სამხრეთ კავკასიაში; 3. ოქროს მცირე ზომის ლომის ფიგურა წნორის ყორღანიდან. მცირე ზომის ცხოველის ფიგურა ერთი ეგზემპლიარის სახით მოგვეპოვება თრიალეთის ერთ-ერთ ყორღანში [16, ტაბ. XCVII]. ცხადია, რომ მცირე სკულპტურის შექმნის ტრადიცია სამხრეთ კავკასიაში ადრეყორღანული კულტურის საფეხურიდან გაგვაჩნია.

ამდენად, შეიძლება ვთქვათ, რომ თრიალეთური კულტურის მხატვრული ხელოსნობისათვის საიუველირო ნაწარმის ყველა ცალკეული ტიპი ახალი და მხოლოდ უცხო გარემოდან გადმოღებული არ ყოფილა და სულ მცირე სამ მათგანს პროტოტიპები გააჩნია წინამორბედ ადგილობრივ გარემოში. ეს ფაქტი კი, ვფიქრობ, მიგვანიშნებს იმაზე, რომ თრიალეთური კულტურის მხატვრული ხელოსნობა ადგილობრივი, წინამორბედი კულტურული პლასტისა და, მეორეს მხრივ კი უცხო, წინაზიური ცივილიზაციების ზეგავლენის სიმბიოზით შექმნილი სრულიად თავისებური და განუმეორებელი კულტურული მოვლენაა, სადაც არც ერთი მათგანი არ არის დამოუკიდებლად წარმოდგენილი. თრიალეთური მხატვრული ხელოსნობა ამ ორი კულტურული ფენომენის თანამონაწილეობით და მათი გადამუშავების შედეგად ფორმირებული ნაწარმია.

ყოველივე ზემოთმოტანილი მონაცემები, ვფიქრობთ, გარკვეული ვარაუდების გამოთქმის საფუძველს გარკვეულად ნამდვილად იძლევა. კერძოდ, ვფიქრობთ, რომ ამ დროს ხდება წინაზიური ცივილიზაციებისათვის დამახასიათებელი მხატვრული ნორმების და, გარკვეულად, მხატვრული გემოვნებისა თუ მოდის დამკვიდრება სამხრეთ კავკასიის კულტურულ სინამდვილეში. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს საიუველირო ხელოვნების ისეთი ინოვაციური ტიპების შემოსვლა ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულსა და II ათასწლეულის დასაწყისში, როგორიცაა: ფუყე სასაფეთქლე ხვია, ინკრუსტირებულთავიანი საკინძი, აქატის კულონი, მძივების ზოგიერთი კატეგორია და ძვირფასი ლითონის ჭურჭლის ბევრი სახეობა, რომელთა უახლოესი წინაზიური ანალოგების მიხედვით სრული საფუძველი გვაქვს დავუშვათ ამ რეგიონის კულტურულ სამყაროსთან გარკვეული ხასიათის კონტაქტის არსებობა.

ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო და II ათასწლეულის დასაწყისი პერიოდი გარდატეხის მიჯნას და ცვლილებების დასაწყისს მოასწავებდა არა მხოლოდ საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ სტრუქტურაში არამედ, საერთოდ, მის კულტურულ ორიენტაციაში და წინაზიური მიღწევების აქტიურ ათვისებაში. ეს პროცესები, როგორც დავინახეთ, მშვენივრად ასახა ოქრომჭედლურმა მასალამ.

M. Puturidze

SOME ASSUMPTIONS CONCERNING THE DEVELOPMENT OF ARTISTIC CRAFT OF THE TRIALETI CULTURE

(Summary)

This article reviews the process of develoment of the high artistic craft of the Trialeti Culture.

Appearance of the new, flourishing TRC in the map of Old World means not only the II, developed stage of MBA, but also the beginning of great social and cultural changes in society. In our viewpoint this changes directly related with process of activated interrelation with outer world, first of all with Anatolian region. I suppose that as a result of interaction of various cultural traditions should be considered the new TRC – created at the end of IIIrd and very beginning of the II millenium B.C., where easily can be distinguished different cultural layers and orientations. We try to point out main "alien", near eastern style items, which totally differed from the local artefacts and have no any prototypes in Caucasian region. From this point of view precious items of high artistic craft appears most significant and symptomatic. It seems very symptomatic that in trialetian rich burial assemblages we mainly found the same categories of precious goods as we have usually in Near Eastern sites: in both cases prestige patterns represented with the gold plaques and foils (ornamented as well as puar), pins, gold figures and there pedestal boxes, great number of various fashions of the beards, yet unrecognized gold details, upholsteries, pendants,details of "shtandarts" and, what is very important, metal vessels. So, we have one and same repertuire of the prestige burial goods and it means that hattians, early hittites and trialetians buried there elite with the similar tradition, with similar categories of the rich metal production.

It is quite remarcable that the beginning of the TRC marked as a turning point in development of such kind patterns. The precious rich metal vessels (Kuftin, 1941: pl. 87, 88, 91, 93, 101, 102) known from the trialetian mounds furnishes a new materials which has no any prototypes in preceeding common Caucasian region. Considered metal vessels and mainly artefacts of ornaments widely demonstrate that all achievements of the Near Eastern civilizations in the field of goldcraft was very well known to the trialetian society. Moreover, they locally create and widely produced some types of jewellery, which were uncommon for any other regions, such as gold granulated and inlayed beads and gold beacker with incrustation, we mentioned specially in article.

ლიტერატურა

1. **აბრამიშვილი მ.** თრიალეთური კულტურის აბსოლუტური ქრონოლოგიის საკითხისათვის (დამატებითი საბუთები „მაღალი ქრონოლოგიისათვის“). – კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები (ძიებანი, დამატებანი, X), თბ., 2003, გვ. 48-52.

2. **აბრამიშვილი რ.** ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური ჯგუფები. – თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის ბიულეტენი, № 1, 1977.

3. **გოგაძე ე.** თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბ., 1972.

4. **ლორთქიფანიძე ო.** ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ., 2002.

5. **ფუთურიძე მ.** შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთური კულტურის ზოგიერთი პრობლემატური საკითხი და მათი კვლევის დღევანდელი მდგომარეობა. – გურია, I, თბ., 1996, გვ. 227-240.

6. **ფუთურიძე მ.** თრიალეთური ოქრომჭედლობის ერთი ტიპის კვლევისათვის. – კავკასია. ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები (ძიებანი, დამატებანი VI), თბ., 2001, გვ. 117-122.

7. **ფუთურიძე მ.** სამხრეთ კავკასია-ეგეოსური სამყაროს კულტურული კონტაქტების საკითხისათვის ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის პირველ ნახევარში. – ენა და კულტურა, № 3, თბ., 2002, გვ. 100-113.

8. **ფუთურიძე მ.** თრიალეთური კულტურის ლითონის ჭურჭლის კვლევისათვის. – წლიური სამეცნიერო ნაშრომი, ხელნაწერი, თბ., 2004, გვ. 1-25.

9. **ჯაფარიძე ნ.** ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობა საქართველოში. თბ., 1981.

10. **ჯაფარიძე ო.** არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბ., 1969.

11. **ჯაფარიძე ო.** ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძველი წელთაღრიცხვით III ათასწლეულში (ადრეყორღანული კულტურა). თბ., 1998.

12. **ჯაფარიძე ო.** ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბ., 2006.

13. **ჟორჟიკაშვილი ლ., გოგაძე ე.** თრიალეთის ადრე და შუა ბრინჯაის ხანის ძეგლები. კატალოგი, I. თბ., 1974.

14. **Джапаридзе О.** Художественное ремесло в древней Грузии. – Древний Восток и мировая культура. М., 1981, с. 31-34.

15. **Джапаридзе О.** Триалетская культура. – Археология. Ранняя и средняя бронза Кавказа и Средней Азии. Москва, 1994, с. 75-92.

16. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.

17. Кахиани К. и др. Археологическое исследование Машаверского ущелья в 1984-1986 гг. – ПАИ, 1986 (1991), с. 51-59.

18. Кушнарева К. Х., Рысин М. Новые данные к проблеме датировки памятников "цветущей поры" Триалетской культуры. – კავკასია. ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები (ძიებანი, დამატებანი VI), თბ., 2001, გვ. 101-116.

19. Путуридзе М. Традиции и инновации в триалетской культуре эпохи средней бронзы. – Кавказ в системе палеометаллических культур Евразии. Тб., 1991, с. 208-223.

20. Эгейское искусство. Москва, 1972.

21. Akurgal E. The Hattian and Hittite Civilizations. Izmir, 2001.

22. Armenie. Tresors de l'Armenie ancienne des origines au IVe siecle. Paris, 1996.

23. Bingol I. Museum of Anatolian Civilizations. Ancient Jewellery. Ankara, 1999.

24. Brainigan K. Aegean Metalwork of the Early and Middle Bronze Age. Oxford, 1974.

25. Boehmer R. Die Kleinfunde von Bogazkoy. Berlin, 1973.

26. Chernykh E., Avilova l. Circumpontic metallurgical province and metal from Troy . – The workshops and posters of the XIII International congress of prehistoric and protohistoric Sciences, vol. 2. Abstracts. Forlí (Italia), 1996.

27. Collon D. Some Bucket Handles. – Iraq, vol. XLIV, 1, 1982, 95-101.

28. Harper P., Klengel-Brandt E., Aruz J., Benzel K. Discoveries at Ashur on Tigris. Assurian origins. Antiquities in the vorderasiatishes Museum. Berlin-New York, 1999.

29. Lilyquist Ch. Granulation and glass: chronological and stylistic investigations at selected sites, ca. 2500 – 1400 B.C. BASOR, 290-291, 1993.

30. Matthiae P., Pinnock F., Matthiae G. Ebla. Alle origini della civilta urbana. Milano, 1995.

31. Maxwell-Hyslop K. Western Asiatic jewellery c. 3000-612 B.C. London, 1971.

32. Müller-Karpe M. Zu den Erdgrabern 18, 20 und 21 von Assur Ein Beitrag zur Kenntnis mesopotamischer Metallgefässe und -waffen von der Wende des 3. zum 2. Jahrtausend v. Chr. – Sonderdruck aus Jahrbuch des Römisch-Germanischen Zentralmuseums Mainz, 42. Jahrgang, 1995.

33. Ozguch T. Kultepe-Kanis II. New Researches at the Trading Center of the Ancient Near East. Ankara, 1986.

34. Ozguch T. Inandiktepe. An Important Cult Center in the Old Hittite Period. Ankara, 1989.

35. Pitskhelauri K. N. South Caucasian Ancient Civilization in Gareji Desert (Udabno). – Festschrift für Manfred Korfmann. Mauerschau, Band II, Remshalden Grunbach, 2002, S. 747-758.

36. Puturidze M. About the problem of South Caucasian. - Near Eastern cultural relations according to the items of artistic craft of the first half of the 2nd millenium BC. – Georgian Schätze aus dem Land des Goldenen Vlies. Bochum, 2005, S. 8-22.

37. Puturidze M. Social and Economic Shifts in the South Caucasian Middle Bronze Age. Chapter 5. – Archaeology in the Borderlands: Investigations at Caucasia and Beyond. Eds. Karen S. Rubinson and Adam T. Smith. Los Angeles: The Costen Institute Archaeology, 2003, pp. 111-127.

38. Rubinson K. A note on the Trialeti Goblet. – National Treasures of Georgia. Ed. Ori Z. Soltes. London, 1999, p. 66.

39. Rubinson K. Metal Vessels with basket handles at Trialeti Culture. – კავკასია. ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები (ძიებანი, დამატებანი VI), თბ., 2001, გვ. 123-124.

40. Rubinson K. Silver vessels and cylinder sealings: precious reflectins of the economic exchange in the Early Second Millenium B.C. – Archaeology in the Borderlands: investigations at Caucasia and beyond. Eds. Karen S. Rubinson and Adam T. Smith. Los Angeles: The Costen Institute Archaeology, 2003, pp. 128-143.

41. Rubinson K. The Hasanlu gold "bowl". A view from Transcaucasia. – in: Essays on the archaeology of Iran in honor of William M. Sumner. eds. by Naomi F. Miller and Kamyar Abdi., Los Angeles, 2003, pp. 237-242.

42. The Excavation of the Mycenaean Cemetery at Aidonia. – The Aidonia treasure. seals and jewellery of the Aegean Late Bronze Age. Athens, 1996.

43. Wilhelm G. The Hurrians. – Warminster, 1989.

44. Woolley L. Ur Excavations. The Royal Cemetery, vol. I, II. London 1934.

45. Wooley L. Ur Excavations. The Kassite Period and the Period of the Assurian Kings, vol. VIII. London, 1965.

ლერი ჯიბლაძე

კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის სადგრების კლასიფიკაციის საკითხები

თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ როგორც აღმოსავლეთ საქართველოს[8] ტერიტორიაზე, ისე კოლხეთის ზღვისპირა ზოლში, ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში გავრცელებულ თიხის სადგრების ფუნქციონალურ დანიშნულებაზე არაერთმა მკვლევარმა გაამახვილა ყურადღება [2, გვ. 260-262; 3, გვ. 40; 4, გვ. 46; 5, გვ. 63-64; 6, გვ. 81; 8, გვ. 52-54; 9, გვ. 164; 10, გვ. 29; 21, გვ. 37-40; 25, გვ. 206-207; 26, გვ. 118-119; 27, გვ. 78-85; 36, გვ. 96; 38, გვ. 64; 40, გვ. 31; 45, გვ. 18; 43, გვ. 43; 47, გვ. 143-145; 49, გვ. 42-43; 51, გვ. 196-197; 53, გვ. 32-37]. ამიტომ განმეორება რომ არ გამოგვივიდეს და ნაშრომი არ გადავტვირთოთ, ამ საკითხის ხელახალი განხილვისაგან თავს შევიკავებთ და მას შევეხებით მხოლოდ ზოგადად კოლხეთის ზღვისპირა ზოლში ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში არსებული თიხის სადგრების ჯგუფების დახასიათებისას.

ამ ტერიტორიაზე ცალკეული ეპოქების მიხედვით სადგრების ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაზე რამდენიმე ნაშრომია გამოქვეყნებული. ისიც ძირითადად ეხება ადრერკინის ხანაში დიუნურ სადგომებზე გამოვლენილ სადგრებს [3, გვ. 34-43; 5, გვ. 62-64; 16, გვ. 44; 23, გვ. 113-116].[9] მაგრამ არა გვაქვს ბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის სადგარების ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაზე შემაჯამებელი ნაშრომი.[10] ამასთან ერთად არ არის თვალი გადევნებული აღნიშნულ ეპოქაში გავრცელებული ამ რიგის ნივთების გენეზისის საკითხებზე. სწორედ ამ ერთგვარად არსებული ლაკუნის შევსებას ისახავს მიზნად წარმოდგენილი სტატია.

კოლხეთის ზღვისპირა ზოლში თიხის სადგრები, საკმაოდ მცირე რაოდენობით, პირველად ჩნდება ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულსა და ძვ.წ. III ათასწლეულში გუანდრას (სხვადასხვა ფენა), ჩაქვისა და მაჭარას ნამოსახლარებზე [36, გვ. 11-12; 54, გვ. 32-38]. შესაძლოა, ამ ნივთების სიმცირე აიხსნას იმით, რომ აღნიშნული პერიოდის ნამოსახლარები კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლში არცთუ მრავლადაა წარმოდგენილი და რაც არის, ისიც მცირე მაშტაბებითაა გათხრილი.[11] საკულტო დანიშნულების ეს ნივთები განაგრძობენ ფუნქციონირებას შუაბრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს ხანაში (ფიჩორის V ფენა, ანაკლია I,[12] ანაკლია II, ჩოლოქი, ყულევი, ნამჭედური და ა.შ.) [21, გვ. 21-39, ტაბ. XXVI; 25, გვ. 207-216; 28, გვ. 73-74, ტაბ. $XII_{4,5}$; 29, გვ. 134-136, ტაბ. $CXVIII_{1-4}$; 45, გვ. 47, 53, ტაბ. $55_{2,3,4}$; 80_{1-9}, 111_{5-7}, 112, 113]. თიხის სადგრები განსაკუთრებით მრავლად გვხვდება ადრერკინის ხანაში (ძველკოლხური II ეტაპი, ძვ.წ. VIII-VII სს-ები) აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ქვიშაზვინულებზე გამართულ დიუნურ სადგომებზე და ხელოვნურად გამართულ ბორცვებზე (ტამიში, ყულევი და ა.შ.) [3, გვ. 34-42; 4, გვ. 42-47; 5; 6, გვ. 69-71; 7, გვ. 69-70; 13, გვ. 31-32; 14, გვ. 17-28; 15, გვ. 104-111; 16, გვ. 144; 17, გვ. 22-40; 24, ტაბ. XLIII; 26, გვ. 118-119; 31, გვ. 44-46; 34, გვ. 13-18; 35, გვ. 30, 39-40; 42, გვ. 88; 47, გვ. 136-153; 48, გვ. 36-44].[13] საყურადღებოა, რომ ისინი არ დასტურდება ზღვიდან რამდენადმე დაშორებულ ძეგლებზე (ნაოხვამუ, დაბლაგომი, ნოსირი III, ჭალადიდის ზურგა) [16, გვ. 145; 29, გვ. 113].

ამრიგად, კოლხეთის ზღვისპირა ზოლში ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში შეიძლება გამოიყოს თიხის სადგრების რამდენიმე ჯგუფი:[14]

I ჯგუფის სადგრებს გააჩნია ოთხწახნაგა და ოვალურგანივკვეთიანი, თითქმის თანაბარი ზომის კორპუსი (ტაბ. I_{1-4}). ოთხკუთხა და ოვალური ფორმის ძირები მსუბუქადაა გამოყოფილი

---

[8] აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მტკვარ-არაქსის კულტურაში გავრცელებული თიხის სადგრების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია შემუშავებული აქვს მკვლევართა ნაწილს [11, გვ. 13-22, სურ.2,3; 12, გვ. 42-46; 19, გვ. 15-19; 20, გვ. 16-23; 27, გვ. 74-85; 37, გვ. 1-173; 38, გვ. 69-74].

[9] საქართველოს ფარგლებს გარეთ თიხის სადგრების ფუნქციონალურ დანიშნულებას შეეხო სხვადასხვა მკვლევარი [დაწვრ. იხ.11, გვ. 13-22; 12, გვ. 42-45; 27, გვ. 78-85; 41, გვ. 5-17; 43, გვ. 186-187; 52, 52].

[10] ბობოყვათის დიუნურ სადგომზე გავრცელებული თიხის სადგრების მიხედვით 3 ტიპს გამოყოფენ [3, გვ. 39, ტაბ. $XXX_{1,4}$], ხოლო გუანდრას ნამოსახლარზე კი 7-ს [54, გვ. 32-34].

[11] ამ შემთხვევაში არ იგულისხმება ფიჩორის ცენტრალური ბორცვის VIII და VII კულტურულ ფენები.

[12] ბ. კუფტინი თავის მონოგრაფიაში არ იხსენიებს ანაკლია I-ის კულტურულ ფენებში თიხის სადგრების აღმოჩენას. მკვლევარი ამ ნივთის გამოვლენას აღნიშნავს მხოლოდ ბორცვის ირგვლივ მდებარე თხრილიდან. ანაკლია I-ზე თიხის სადგრების არსებობას, ნ. ხოშტარიაზე დაყრდნობით, აღნიშნავს ი. წვინარია [25, გვ. 207-216; 54, გვ. 34].

[13] ანაკლია II-ის მასალების გაცნობისათვის მადლობას ვუხდით ბ. მურვანიძეს.

[14] თიხის სადგრების ტიპებს გამოყოფენ კორპუსის ზედა და ქვედა ნაწილების, განივკვეთისა და ძირის მოყვანილობის მიხედვით [3, გვ. 34-43; 16, გვ. 144; 23, გვ. 113]. აღნიშნავენ მრგვალ, ოვალურ, ოთხწახნაგა, მრავალწახნაგა ერთქიმიან, ორქიმიან და სამქიმიან სადგრებს [16, გვ. 144], ხოლო ქვედა ნაწილების მიხედვით კი არჩევენ სწორ, გაფართოებულ, სოლურ, მრგვალ, ბრტყელ და გულამოღებულ ძირიან სადგრებს [23, გვ. 113; 16, გვ. 144].

კორპუსიდან. ზოგიერთს ძირის შუა ნაწილში დატანილი აქვს გაურკვეველი დანიშნულების მრგვალი ფოსო. თიხის სადგრებს გააჩნია მაღალი და შედარებით დაბალი ორქიმიანი შვერილები, რომლებიც ზოგჯერ კორპუსიდან კარგადაა გადაშლილი, ხანდახან კი მის მიმართ ვერტიკალურადაა აღმართული. საკულტო და შესაძლოა პრაქტიკული დანიშნულების ეს ნივთები მდ. ენგურის ქვემო წელის აუზის ნამოსახლარებზე ჩნდება შუაბრინჯაოს ხანაში (ანაკლია II, ფიჩორის ცენტრალური ბორცვის V ფენა) და მცირედი ვარიაციებით განაგრძობს არსებობას გვიანბრინჯაოს ხანაშიც [28, გვ. 31; 29, გვ. 134-136].

II ჯგუფის თიხის სადგრები ძირითადად კონცენტრირებულია სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის ზღვისპირა ზოლში (ნამჭედური VI ფენა,[15] ჩოლოქი VI ფენა, ტაბ. $I_{5,6,7}$). აქვთ მრგვალი, ოთხწახნაგა და ოვალურგანივკვეთიანი ფართო კორპუსი. ზოგჯერ ბრტყელი ძირი სადგრის კორპუსისაგან გამოიყოფა. ახასიათებთ მაღალი, მასიური, ორქიმიანი შვერილები, რომლებიც სადგრის ტანიდანაა გადაშილილი.

II ჯგუფის სადგრები ჩნდება შუაბრინჯაოს მიწურულში და გვიანბრინჯაოს საწყის ეტაპზე. უფრო მოგვიანო პერიოდში კი ისინი არ დასტურდება. შესაძლოა, I და II ჯგუფის თიხის სადგრების განვითარება დავინახოთ ადრერკინის ხანაში ორკაპა შვერილებითა და სხვა ზოგიერთი დეტალის მიხედვით. არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მათ საკულტოსთან ერთად პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა.

III ჯგუფის თიხის სადგრებიც ძირითადად გამოვლენილია სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლის ნამოსახლარებზე (ნამჭედური VI ფენა, ჩოლოქი VI ფენა, ფიჭვნარის გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი და სხვა, ტაბ. $I_{8,9,10,11}$). ახასიათებთ მრგვალგანივკთეთიანი, ოვალური და პრიზმული ფორმის კორპუსი. ბრტყელი, ოვალური და მომრგვალებული ფორმის ძირები ხშირად სადგრის ტანისაგან გამოიყოფა. აქვთ მაღალი და მასიური სამქიმა შვერილები, რომლებიც თიხის სადგრის კორპუსისაგან გადაშლილია. ამ ვარიანტის სადგრები ჩნდება შუაბრინჯაოს ხანის მიწურულში (ნამჭედურის VI ფენა) და განაგრძობს არსებობას გვიანბრინჯაოს ხანაში (ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი). სამკაპა შვერილიანი სადგრები ადრერკინის ხანაში არ დასტურდება.[16] ვფიქრობთ, ამ ჯგუფის თიხის სადგრებს უნდა ჰქონოდა მხოლოდ საკულტო დანიშნულება.

IV ჯგუფი წარმოდგენილია ოთხქიმიანი სადგრის მხოლოდ ერთი ეგზემპლარით, რომელიც დაფიქსირდა ჩოლოქისპირა ნამოსახლარის გვიანბრინჯაოს ხანის ფენაში [23, გვ. 127].[17] აქვს მრგვალგანივკვეთიანი, წელში გამოყვანილი, კოჭისებური ფორმის კორპუსი (ტაბ. III_{21}). ბრტყელი მომრგვალო ფორმის ძირი სადგრის ტანისაგან (კორპუსისაგან) გამოიყოფა.

V ჯგუფის სადგრებს გააჩნია ოვალური და ოთხწახნაგა განივკვეთიანი წაგრძელებული, მასიური კორპუსი, რომლისაგან ბრტყელი ძირი არ გამოიყოფა (ტაბ. II_{1-9}). ხასიათდება მასიური, გაბრტყელებული მოყვანილობის დაბალი ქიმებით, რომლებიც თიხის სადგრის კორპუსისაგან გადაშლილია. ამ ჯგუფში შემავალ ზოგიერთ სადგარს აქვს მაღალი და მასიური ორკაპა შვერილები (ტაბ. II_1). აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ სადგრის კორპუსის ორივე მხარეზე ფოსოებია დატანილი და ცალ მხარეს ხარის რქებია გამოსახული. ამ ჯგუფის თიხის სადგრები გამოვლენილია ნამჭედურის ნამოსახლარის VI, V და IV კულტურულ ფენებში. ისინი გამოჩენას იწყებენ შუაბრინჯაოს ხანის დასასრულსა და ფუნქციონირებენ მთელი გვიანბრინჯაოს ხანის განმავლობაში. ადრერკინის ხანაში (ძველკოლხური II ეტაპი, დაახლოებით ძვ.წ. X-VII სს.) ამ ვარიანტის თიხის სადგრები არ გვხვდება. სავსებით რეალურად გავეჩვენება V ჯგუფის სადგრების საკულტოსთან ერთად მივანიჭოთ პრაქტიკული ფუნქცია (სამეურნეო საქმიანობაში მათი გამოყენება, კერძოდ, მეტალურგიული საქმიანობაში და თიხის ჭურჭლის გამოწვისას).

VI ჯგუფის სადგრები გამოირჩევა ლარნაკისებრი (კოჭისებრი) ფორმის მაღალი კორპუსით, მრგვალი ძირითა და განივკვეთით (ტაბ $III_{22,23,24}$). აქვთ თანაბარი ზომის, სადგრის ტანისაგან ძლიერ გადახრილი ორკაპა შვერილები. ისინი დამახასიათებელია გვიანბრინჯაოს ხანის საწყისი პერიოდის ნამოსახლარებისათვის (ნამჭედური VI-V ფენა, ჩოლოქი VI-V ფენა). ძველკოლხურ II ეტაპზე უფრო მცირე ზომის რამდენიმე მსგავსი თიხის სადგრები გვხვდება დიუნურ სადგომებზე. ვფიქრობთ, VI ჯგუფის თიხის სადგრები მხოლოდ საკულტო ფუნქციის მატერებელი უნდა ყოფილიყო.

VII ჯგუფის თიხის სადგრები ერთი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი (ტაბ. III_{20}). გამოვლინდა მდ. ჩოლოქის მარჯვენა სანაპიროზე საკონტროლო თხრილის გაჭრისას [23, გვ. 127]. ეს ნივთი ხასიათდება ოვალური განივკვე-

[15] ნამჭედურის VI ფენას გამთხრელები გვიანბრინჯაოს საწყისი ეტაპით ათარიღებენ [45, გვ. 20; 46, გვ. 34-35]. ჩვენი ვარაუდით, ეს ფენა შესაძლოა უფრო ადრეული პერიოდით, შუა ბრინჯაოს ხანით განისაზღვროს].

[16] ფიჭვნარის ნამოსახლარის მიხედვით სამქიმიანი სადგრების სიმაღლე რქების გარეშე არის 3,5 სმ-დან 7,5 სმ-დეა, ხოლო სიგანე – 10-12 სმ [16, გვ. 144].

[17] ოთხქიმიანი თიხის სადგრის ჩანახატი ი. ჩავლეიშვილს მოტანილი აქვს თავის ნაშრომში [23, გვ. 127]. სამწუხაროდ, ავტორი არ იძლევა ამ ნივთის დახასიათებას და არც უთითებს აღმოჩენის ვითარებას და ზუსტ ადგილს. თუმცა ნაშრომის წაკითხვისას იგრძნობა, რომ ეს ნივთი ჩოლოქისპირა ნამოსახლარიდან უნდა მომდინარეობდეს.

თით და წელში გამოყვანილი მაღალი კორპუსით. აქვს სადგრის ტანისაგან გამოყოფილი მრგვალი ფორმის ბრტყელი ძირი. მისი თავისებურება ისაა, რომ ორკაპა რქებს შორის გაჩნია ორმხრივი გამონაზარდი [23, გვ. 127]. იგი უფრო საკულტო ფუნქციის მატარებელი ჩანს, ვიდრე პრაქტიკული დანიშნულების.

VIII ვარიანტის თიხის სადგრებს გააჩნია მრგვალი ძირი, სწორი თანაბარი ზომის მრგვალგანივკვეთიანი კორპუსი.[18] ამ ჯგუფის თიხის სადგრებს აქვთ დაბალი ორქიმიანი შვერილები, რომლებიც კორპუსიდან კარგად და საშუალოდაა გადაშლილი (ტაბ. $III_{2-19;26,27}$). არის შემთხვევები, როდესაც შვერილები კორპუსის მიმართ ვერტიკალურადაა მიმართული. ამ სახის სადგრები კოლხეთის ზღვისპირა ზოლში ჩნდება ძვ.წ. III ათასწლეულში და აგრძელებს არსებობას ძველი კოლხური II ეტაპის ჩათვლით. ისინი განსაკუთრებით მრავლადაა თავმოყრილი ზღვისპირა დიუნურ სადგომებზე. ეჭვგარეშეა, რომ VIII ჯგუფის თიხის სადგრებს საკულტო დანიშნულება უნდა ჰქონოდათ. პრაქტიკული საქმიანობისათვის ისინი გამოუსადეგარი ჩანს.

IX ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ კონუსური ფორმის ერთქიმიანი სადგრები, რომელთაც აქვთ კორპუსისაგან გამოყოფილი მომრგვალო ფორმის ბრტყელი ძირები შუა ნაწილში დატანილი მრგვალი ღრმულებით (ტაბ. $IV_{1-7;10-12}$).[19] სადგრის კორპუსი ქვემოდან ზემოთ თანდათანობით ვიწროვდება. IX ჯგუფის სადგრები ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ჩათვლით გავრცელელული ჩანს სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის ზღვისპირეთში (ჩაქვი, ჩოლოქი, ბათუმის ციხე და ა.შ.).

X ჯგუფში ვრთავთ IX ჯგუფის იდენტურ თიხის სადგრებს, რომელსაც ფალოსისებრი ფორმა აქვთ.[20] მათ განასხვავებს მხოლოდ კორპუსის შუა ნაწილში დატანილი მრგვალი ფორმის ხვრელი [23, გვ. 118] (ტაბ. IV_9). ამ ვარიანტის თიხის სადგარი სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის ზღვისპირეთში გვხვდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში (ჩოლოქი).

IX-X ჯგუფის სადგრებს მხოლოდ საკულტო დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

შესაძლოა XI ჯგუფში ჩავრთოთ თიხის ნივთები, რომლებსაც უწოდებენ სადგრების ყუნწიან ფალოსებს [23, გვ. 118] (ტაბ. IV_8). ზოგიერთი დეტალის გარდა ისინი ფორმის მიხედვით თითქმის არ განსხვავდებიან IX და X ჯგუფების ერთქიმიანი სადგრებისაგან. XI ჯგუფის სადგრების ყუნწიანი ფალოსები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში გვხვდება მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის ზოგიერთ ნამოსახლარზე. ფიქრობენ, რომ ამ ნივთებს საკულტო რიტუალის დროს ყუნწით ხეზე კიდებდნენ [23, გვ. 118].

XII ჯგუფს ვაკუთვნებთ თიხის სადგრებს, რომლებსაც ორივე მოპირდაპირე მხარეს ვერძის თავები აქვთ გამოსახული. ახასიათებთ ოთხწახნაგა და ოვალურგანივკვეთიანი კორპუსი, ბრტყელი ძირი; ძლიერ დახვეული რქები დაჭდეულია (ტაბ. $IV_{13,14,15}$). სადღეისო მონაცემების მიხედვით ამ სახის სადგრები კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლში ვრცელდება ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში (ტამიში, ანაკლია I-ის ირგვლივ მდებარე თხრილი).

ვფიქრობთ, ამ ჯგუფის თიხის სადგრებს საკულტოსთან ერთად პრაქტიკული დანიშნულება უნდა ჰქონოდა.[21]

XIII ჯგუფს ვაკუთვნებთ თიხის სამფეხა ნივთებს, რომელსაც ბ. კუფტინი ზოგიერთ შემთხვევაში სადგრებს უწოდებს (ტაბ. $V_{1,2}$) [99, გვ. 109-111]. მათი სიგრძე-სიმაღლე მერყეობს 6-12 სმ შორის. დასაშვებად მიაჩნიათ ამ რიგის ნივთების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში, თიხის ჭურჭლის გამოწვის დროს. სადგრების ფუნქციას ზუსტად ვერ საზღვრავენ.

სამფეხა სადგრები გვხვდება დაბლაგომის ნამოსახლარის წინარეანტიკური ხანის კულტურულ ფენაში, უფრო კონკრეტულად ნაციხვარის ბორცვის დასავლეთი ფერდის ჭრილში, სოფ. დაბლაგომის სამანქანო გზაზე, ზაქარეიშვილის ნაკვეთში [39, გვ. 109-111].

XIV ჯგუფს ვაკუთვნებთ თიხის სადგრებს, რომლებსაც გააჩნიათ მომრგვალო ფორმის ბრტყელი ძირი, რომელიც მრგვალგანივკვეთიან კორპუსის ზედა ნაწილში წელში მსუბუქად არის გამოყვანილი (ტაბ. IV_{16-22}). აქვთ დაბალი, ზოგიერთ შემთხვევაში მაღალი ორკაპა ქიმები, რომლებიც კორპუსიდან გადაშლილია. ნივთებს გააჩნია ტანის შუა ნაწილში დატანილი მრგვალი ფოსო. ამ ჯგუფის თიხის სადგრები დასტურდება ჩოლოქისა და ფიჭვნარის[22] გვიან-

[18] თიხის სადგრების სიგრძე მერყეობს 6-11,5 სმ შორის, ხოლო სიგანე 3 სმ-დან-5,5 სმ-მდე. მონაცემები აღებული გვაქვს ფიჭვნარის გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის მიხედვით [16, გვ. 144].

[19] ამ ჯგუფის ზოგიერთ სადგარს არ გააჩნია ძირის შუა ნაწილში დატანილი მრგვალი ხვრელით [23, გვ. 118].

[20] ამ ნივთებს სადგრების გახვრეტილ ფალოსებს უწოდებენ [23, გვ. 118].

[21] სხვადასხვა ზომის ორმხრივ ვერძისთავიანი სადგრები მრავლად არის გამოვლენილი ყულევის ნამოსახლარის წინარეანტიკური ხანის ფენაში [13, გვ. 31_32; 42, გვ. 88; 44, გვ. 98]. ამ ძეგლის უახლესი გათხრების მასალები გამოუქვეყნებელია, ამიტომ სადგრების ტიპოლოგიური კლასიფიკაციის დროს ვერ ვითვალისწინებთ.

[22] ყურადღებას აქცევენ ფიჭვნარის გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე გამოვლენილ კიდევ ერთ სადგარს, რომელსაც აქვს მცირედ გადაშლილი დაბალი რქები, ოდნავ რკალისებურად ჩაზნექილი ქედი და ბრტყელი ძირი [16, გვ. 144, ტაბ. I_{343}]. თვლიან, რომ ყოველივე ეს სტოვებს თვალისა და ცხვირის იმიტაციის შთაბეჭდილებას. ამ სადგრის შორეულ ანალოგიას ხედავენ ახალციხის ამარანის გორის ნალი-

ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე. ისინი უფრო საკულტო ხასიათისაა.

XV ჯგუფის სადგრები გავრცელებულია სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლში, ადრერკინის ხანაში ქვიშაზვინულებზე გამართულ დიუნურ სადგომებზე (ტაბ. V_{3-16}). მათში სხვადასხვა დეტალის მიხედვით გამოყოფენ 3 ტიპს [4, გვ. 44-46; 5, გვ. 62-64]. ამიტომ ამ სახის სადგრების ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას ხელმეორედ არ დავუბრუნდებით. ამ ვარიანტის სადგრებით (გ. თავამაიშვილის მიერ გამოყოფილი II ტიპის საშუალო ზომის სადგრები, რომელთაც სოლისებური დაბოლოება აქვს) დიუნურ სადგომებზე (ბობოყვათი, ფიჭვნარი, ციხისძირი და ა.შ.) ნაგებია საკულტო-საოჯახო (საკულტო-სარიტუალო) დანიშნულების კედლები [14, გვ. 17-18].

როგორც ცნობილია, ძვ.წ. III ათასწლეულში, მტკვარ-არაქსის კულტურაში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არაერთი ტიპის თიხის კერაა გამოვლენილი, რომელსაც უკავშირებენ თიხის სადგრებს [11, გვ. 14-15; 12, გვ. 42]. აქ კერას პრაქტიკულის გარდა საკულტო-სარიტუალო ფუნქციას ანიჭებენ [11, გვ. 13; 12, გვ. 40; 27, გვ. 76]. ალბათ, კოლხეთშიც ბრინჯაო-ადრერკნის ხანაში გამოვლენილი თიხის სადგრებიც კერასთან უნდა იყოს ასოცირებული. მაგრამ მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ საკვლევი მხარის ზღვისპირა ზოლში აღნიშნულ ეპოქებში დღემდე შესწავლილ არცერთ ნასახლარზე ერთი შემთხვევაც არ არის თიხის კერის გამოვლენისა.[23] საგულისხმოა, რომ კერა ნაგებობებში გამართული უნდა ყოფილიყო უშუალოდ იატაკზე, სადაც შემაღლებულ ბაქანზე ინთებოდა ცეცხლი. ამას ერთგვარად უნდა ადასტურებდეს არქეოლოგიური გათხრების პროცესის დროს გამოვლენილი კულტურული ფენების შეწითლებული იატაკის დონეები, ზოგჯერ ირგვლივ ქვებშემოწყობილი წრიული ფორმის ნაცროვანი და ნახშიროვანი შრეები მასში არეული კერამიკით და ა.შ.

ამგვარად, როგორც დავინახეთ კოლხეთის ზღვისპირა ზოლში, ძირითადად მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში გავრცელებული ყოფილა თიხის სადგრების სხვადასხვა სახეობა. როგორც ადრე იქნა შენიშნული, აღნიშნული ნივთები არ დასტურდება კოლხეთის დაბლობის სიღრმეში (ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობთ დაბლაგომის ნამოსახლარს), ზღვიდან დაშორებულ ნამოსახლარებზე (ნაოხვამუ, საელიაოს კურზია, ჭალადიდის ზურგა, ნოსირი III, ნაჭვისა და კეკელურის ზურგა, პატრიკეთი, ნამარნუ, წყემი და ა.შ.). ჩვენ გვიჭირს ამ ფაქტის ახსნა, რადგან ძნელი წარმოსადგენია, რომ ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ზღვიდან დაშორებულ დასახლებებზე არ ყოფილიყო გამოყენებული თიხის სადგრები.

ასეთია სადღეისოდ არსებული სურათი. მომავალში ახალმა აღმოჩენებმა შესაძლოა დაა-ზუსტოს კოლხეთის ზღვისპირა ზოლში გავრცელებული თიხის სადგრებთან დაკავშირებული ზოგიერთი გაურკვეველი საკითხი.

L. Jibladze

APROPOS GENESIS AND CLASSIFICATION OF BRONZE- EARLY IRON AGE CLAY ANDIRONS FROM KOLKHETI LOWLAND

(Summary)

Clay andirons are widely spread in the coastal line of Kolkheti throughout the Late Bronze- Early Iron Ages (the end of the 4th-3rd millennia B.C.). The bulk of these items comes from dune settlements of the coastal line.

Fifteen groups of clay andirons can be distinguished in typological classification, clustered primarily in the south-western part of Kolkheti lowland.

ლიტერატურა

1. ბარამიძე მ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. III-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 1998.

2. გობეჯიშვილი გ. სტალინირის ნაცარგორა. – მიმომხილველი, II, თბ., 1951, გვ. 239-276.

3. თავამაიშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები ბობოყვათის ქვიშაზვინულებზე. – სდსძ, XVI, 1987, გვ. 34-82

4. თავამაიშვილი გ. ციხსიძირის სამსხვერპლო. – სდსძ XVII, 1988, გვ. 42-47.

5. თავამაიშვილი გ. უძველესი ნამოსახლარები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალშავზღვურ ტერასაზე. საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 1999.

6. კახიძე ა., ახახუტაიშვილი დ. მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის. – სდსძ, XVIII, 1989.

7. კვირკველია გ. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის მატერიალური კულტურა ძვ.წ. VIII-V სს-ში. საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 1981

8. კიკვიძე ი. ხიზანაანთ გორას ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. თბ., 1976

სებური ზესადგრის ანთროპომორფული ცენტრალური ნაწილებით [16, გვ. 144].

[23] როგორც ძეგლის გამთხრელი ი. ჩავლეიშვილი აღნიშნავს, ჩოლოქის ნამოსახლარზე გვიანბრინჯაოს ხანის ფენაში დაფიქსირდა თიხითა და ძელებით ამოყვანილი მრგვალი კერა (დიამეტრი 0,40 სმ). კერის ზედაპირი თავის დროზე საგულდაგულოდ ყოფილა მოკეჭნილი, რომლის ზედაპირზე ნახშირის თხელი ფენა იდო [23, გვ. 49-50].

9. კიკვიძე ი. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1976.

10. მაკალათია ს. ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები. თბ., 1943.

11. ორჯონიკიძე ალ. მტკვარ-არაქსის კულტურის კერა-ზესადგარი (საქართველოს მასალების მიხედვით). – ძიებანი №4, 1999, გვ. 13-22.

12. ორჯონიკიძე ალ. მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ძირითადი საფეხურები საქართველოში. თბ., 2004

13. პაპუაშვილი რ. არქეოლოგიური გათხრები ყულევში 1999-2001 წწ. – ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულ და კლასიკურ ხანაში. შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის X საერთაშორისო სიმპოზიუმი. ვანი, 2002 წლის 23-26 სექტემბერი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები (ძიებანი, დამატებანი, VIII), თბ., 2002, გვ. 31-32.

14. რამიშვილი ალ. ძველი სადგომები ფიჭვნარის ქვიშნარ დიუნაზე. – სდსძ I, 1964, გვ. 17-28.

15. რამიშვილი ალ. ზღვისპირა სადგომების დათარიღებისათვის. – მაცნე, №2, 1974, გვ. 104-111.

16. რამიშვილი ალ. გვიანი ბრინჯაოს ხანის ნაქალაქარი ფიჭვნარში. – მაცნე, № 4, 1975, გვ. 141-152.

17. სადრაძე ვ. და სხვ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიაში 1991-94 წწ. – გურია, I, თბ., 1996, გვ. 22-40.

18. ფხაკაძე გ. ქვემო ქართლის ენეოლითი. თბ., 1963

19. ფხაკაძე გ. მტკვარ-არაქსული კერებისა და სადგრების გავრცელების საკითხისათვის. – ძიებანი, № 5, გვ. 15-19.

20. ფხაკაძე გ. ხარის რქისებრი სადგრები კავკასიასა და წინა აზიაში. – ძიებანი, № 13-14, 2004, გვ. 16-23.

21. ჩავლეიშვილი ი. არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის უძველეს ნამოსახლარზე 1983 წ. – სდსძ, XVI, 1987, გვ. 21-33.

22. ჩავლეიშვილი ი. კოლხური ბრინჯაოს საწარმოო კერა ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისში. – სდსძ, XIX, 1991, გვ. 3-26.

23. ჩავლეიშვილი ი. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან. საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 1999.

24. ჩიგოშვილი თ. ენგურ-კოდორის აუზის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები. საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 1999.

25. ხოშტარია ნ. დიხა-გუძუბა კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა. – სმამ, ტ. V, №2, 1944, გვ. 207-216.

26. ჯაფარიძე ო. დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში. – სსმმ, XVI-B, 1950, გვ. 118-121.

27. ჯაფარიძე ო. ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961

28. ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების სტრატიგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია (ფიჩორის ცენტრალური ბორცვის მასალების მიხედვით). თბ., 1997.

29. ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 2002.

30. Анчабадзе З. История и культура древней Абхазии. М., 1967

31. Барамидзе М. и др. Краткий отчет работ 1980 г. археологической экспедиции Абхазии. – АО в Абхазии 1980 г., 1982, гв. 44-46.

32. Барамидзе М. и др. Основные итоги исследований на строительних площадках Абхазской АССР. – АИНГС, 1982, гв. 90-99.

33. Бжания В. Мачарское поселение энеолита и бронзы в Абхазии. – СА, № 1, 1966, гв. 113-116.

34. Бжания Д. С. и др. Раскопки в с. Пичори. – АО Абхазии 1985 г., Тб., 1990, гв. 13-18.

35. Воронов Ю. Археологическая Карта Абхазии. Сухуми, 1969.

36. Григолия Г., Мирцхулава Г. Результаты работ разведовательной экспедиции каменного века в Менгрелии. – ПАИ (1974), 1976, гв. 11-12.

37. Куфтин Б. А. Урартский колумбарий у подошвы Арарата и Куро-Аракской энеолит. – ССММ, XIII-B, 1944, гв. 1-173.

38. Куфтин Б. А. К проблеме энеолита внутреней Картли и Юго-Осетии. – ССММ, XIV-B, 1947, гв. 69-71.

39. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды. том I, Тб., 1949.

40. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды. том I, Тб., 1950.

41. Кушнарева К., Лисицина Г. О возникновении пашенного земледелия в Закавказье в древности. – СА, № 2, 1979, гв. 5-18.

42. Личели В., Папуашвили Р., Папуашвили Н. Предварительные результаты раскопок на Кулевском поселении. – Международная научная конференция "Археология и этнография Кавказа", Баку, 2000, гв. 88.

43. Марковин В. Дагестан и Горная Чечня в древности. М., 1969.

44. Микеладзе Т. К., Барамидзе М. В. О некоторых итогах полевых исследований в

Колхидской низменности в зонах новостроек. – АИНГС, Тб., 1976, გვ. 95-101.

45. Микеладзе Т., Хахутаишвили Д. Древнеколхидское поселение Намчедури. Тб., 1985.

46. Микеладзе Т. К. К археологии Колхиды (эпоха средней и поздней бронзы-раннего железа). Тб., 1990.

47. Рамишвили А. Раскопки приморских стоянок в Пичвнари (Кобулети) в 1960-1964 и 1967 гг. – СА, № 1, 1975, გვ. 136-153.

48. Рамишвили А. О назначений стоянок с текстильной керамикой Восточного Причерноморя. – СА, № 4, 1975, გვ. 36-44.

49. Соловьев Л. Следы древнего сольяного промысла вблизи города Очамчире и Сухуми. – Труды Абхазского Государственного музея, Сухуми, I, 1947, გვ. 23-50.

50. Соловьев Л. Селища с текстильной керамикой на побережье Западной Грузии. – СА, XIV, გვ. 265-288.

51. Трапш М. М. Археологические раскопки в окрестностях Сухуми. – Труды АбИЯЛИ, Сухуми, 1958, გვ. 185-207.

52. Хачатрян С. Древняя культура Ширака. Ереван, 1976.

53. Хоштария Н. Археологические исследования в Уреки. – მსკა, I, Тб., გვ. 25 –77.

54. Цвинария И. Поселения Гуандра. Тб., 1978.

55. Шамба Г. Раскопки древных памятников Абхазии. Сухуми, 1984.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1-4. თიხის სადგრები ფიჩორის ცენტრალური ნამოსახლარიდან (V ფენა); 5, 6, 7, 11. ნამჭედურიდან (VI ფენა); 8, 9, 10. ჩოლოქისპირა ნამოსახლარიდან (VI ფენა).

ტაბ. II – თიხის სადგრები ნამჭედურის ნამოსახლარის IV (1,2,3) და VI (4-9) კულტურული ფენებიდან.

ტაბ. III – თიხის სადგრები გუანდარას (1-7, 9-11), ფიჭვნარის (გვიანბრინჯაოს ხანის 8, 12-19), ნამჭედურის (22-25) და ჩოლოქის (20, 21, 26, 27) ნამოსახლარებიდან.

ტაბ. IV – თიხის სადგრები ჩოლოქის (1-6, 9-12), ჩაქვის (7) ნამოსახლარებიდან; 8. ფალოსის მაგვარი ყუნწიანი თიხის სადგარი ჩოლოქიდან; ორმხრივ ვერძისთავიანი თიხის სადგრები ტამიშიდან (13, 15) და ანაკლია პირველიდან (14); 16. ფიჭვნარი; 17-22 - ჩოლოქი.

ტაბ. V – 1-2. სამფეხა თიხის სადგრები დაბლაგომიდან; 3-16. თიხის სადგრები ბობოყვათის დიუნიდან.

Description of the Plates and figures

Pl. I – 1-4. clay andirons from the Pichori central settlement (layer V); 5, 6, 7,11 – Namcheduri (layer VI); 8, 9, 10 – settlement on the Choloki bank (layer VI).

Pl. II - clay andirons from layers IV (1, 2, 3) and VI (4-9) of the Namcheduri settlement

Pl. III - clay andirons from the settlements of Guandara (1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9, 10, 11), Pichvnari (Late Bronze Age 8, 12-19), Namcheduri (22-25) and Choloki (20, 21, 26, 27),

PL. IV - clay andirons from the settlements of Choloki (1-6, 9-12) and Chakvi (7); 8. phallic-shaped andiron with a hook from Choloki; Clay andirons with ram's doubled head from Tamish (13, 15,) and Anaklia I (14); 16. Pichvnari; 17-22. Choloki.

Pl. V – 1,2. tripod andirons from Dablagomi; 3-16. clay andirons from Boboqvati dune.

ტაბ. I



ტაბ. II




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
0
3
20
21
22
23
24
25
26
27

ტაბ. IV



ტაბ. V



ნინო ახვლედიანი

თრელის არქეოლოგიური ძეგლების მნიშვნელობისთვის

ეძღვნება როსტომ აბარამიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავს

თბილისის ტერიტორიაზე განლაგებული თრელის სამაროვანი,[24] ისევე, როგორც საქართველოს ძველი დადაქალაქის, მცხეთის ტერიტორიაზე არსებული სამთავროს სამაროვანი, განსაკუთრებული მნიშვნებლობის მასალას შეიცავს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის (ძვ.წ. XV-VI სს.) კავკასიის ძეგლთა ძირითადი პრობლემების გადაჭრისათვის.

მცხეთა-თბილისის რეგიონში ერთმანეთს კვეთს კავკასიის ტერიტორიაზე არსებული თითქმის ყველა არქეოლოგიური კულტურა, რაც იმის ამსახველია, რომ ხსენებული რეგიონის მნიშვნელობა იმთავითვე სწორად იყო განსაზღვრული და ამიტომ მის დაკავებას ცდილობდა ყველა ის ეთნოპოლიტიკური თუ ისტორიულად ჩამოყალიბებული სხვა ერთობა, რომელსაც კავკასიაში და, პირველ რიგში, ცენტრალურ ამიერკავკასიაში ჰეგემონობის პრეტენზია ჰქონდა. შესაბამისად, დროის ამა თუ იმ მონაკვეთში ეს ტერიტორია უკავია კავკასიაში უძლიერეს ეთნოპოლიტიკურ ერთეულს. ჩვენთვის საინტერესო დროიდან დღემდე ასეთად გვესახება ქართველური მოდგმის ტომები, რომლებიც უპირატესობის შესანარჩუნებლად სასურველ კავშირს ამყარებან სხვადასხვა გაერთიანებებთან.

აღნიშნულის გამო, ეს რეგიონი კავკასიაში არსებული ისტორიული ვითარების ამსახველი სურათის ყველაზე საინტერესო კუთხით მაჩვენებელ ტერიტორიად გვევლინება; ამიტომ მისი შესწავლა უმნიშვნელოვანეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს კავკასიოლოგიისა და, განსაკუთრებით, ქართველოლოგიისათვის.

მცხეთა-თბილისის რეგიონში მისი მაგისტრალური გზების გზაჯვარედინზე მდებარეობის გამო ადვილად ვითარდება კონტაქტები: გაცვლა-ვაჭრობა, მეურნეობრივი, კულტურული და სამხედრო ურთიერთობები.

გაცვლა-ვაჭრობა, კულტურული და სამხედრო ურთიერთობები დროისდა მიხედვით საგრძნობლად იცვლება და ყოველ კონკრეტულ დროს გაპირობებულია არაერთი მიზეზით; ხოლო მეურნეობრივი ხასიათის ურთიერთობები მდგრადია, რადგან ის დიდად არის დამოკიდებული გეოგრაფიულ გარემოზე (ფიზიკურ გეოგრაფიაზე), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში უცვლელია. საქართველოში მეურნეობის ორივე დარგი – მიწათმოქმედება და მესაქონლეობა შერწყმულია. კავშირებს განსაკუთრებით მჭიდროს ხდის მესაქონლეობა. ამიტომ ეს კონტაქტები უფრო აქტიური ხდება იმ არქეოლოგიური კულტურის მეშვეობით, რომელიც უფრო მობილურია (უფრო მეტად არის მესაქონლე).

აღნიშნული ვითარების გამო, მცხეთა-თბილისის რეგიონში მეტ-ნაკლებად სწრაფად ისახება მიმდინარე თუ შედარებით შორეულ ტერიტორიაზე მომხადრი სოციალური და კულტურულ-ტექნიკური პროგრესი.

თრელის მასალების მიხედვით ერთი და იგივე რეგიონში ერთდროულად შესაძელებელია არსებობდეს სხვადასხვა არქეოლოგიური კულტურის გამომხატველი ძეგლები (თრელი I და II) [7].

შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ასეთ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეთნოპოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლები, რომელთაგან ერთი მკვიდრია, მთავარი, ძირეული, ხოლო მეორე – არამთავარი, დროებითი. ასევე სავარაუდოა, რომ მათ შორის არსებობდა შეთანხმება, რომელიც ასე თუ ისე სრულდებოდა.

ამავე მასალების მიხედვით, ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა ესა თუ ის ქრონოლოგიური ჯგუფი, რადგან ამ რეგიონს იკავებს, ან მასზე გავლენას ახდენს სხვადასხვა არქეოლოგიური კულტურის მატარებელი საზოგადოება. ეს კი შედარებით მოკლე ქრონოლოგიურ ჩარჩოში ხდება.[25]

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებისთვის დიფერენცირებული ქრონოლოგიური სკალის შექმნა პირველად კავკასიაში სამთავროს სამაროვანის მასალების მიხედვით მოხერხდა [1], რამაც საფუძველი ჩაუყარა ამიერკავკასიის აღნიშნული პერიოდის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგიას.

ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხების კვლევის პროცესში შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა თრელის სამაროვნის ქრონოლოგიური სისტემა (გამოუქვეყნებელია). სამთავროსა და თრელის სისტემების ბაზაზე შეიქმნა ამიერკავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლთა უნიფიცირებული ქრონოლოგიური სკალა [3].

სამთავროს სამაროვნის სამარხთა დათარიღება იწყება გვიანი კომპლექსებიდან, რადგან მათში აღმოჩენილი ნივთები ზუსტი დათარიღების საშუალებას იძლევა. ამიერკავკასიის სხვა ძეგლთა, და მათ შორის თრელის სამა-

[24] თრელის სამაროვანსა და ნასახლარზე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას 1968 წლიდან აწარმოებდა თბილისის არქეოლოგიური ექსპედიცია როსტომ აბრამიშვილის ხელმძღვანელობით. როსტომ აბრამიშვილის მიერვე და უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით მოხდა ამ მეტად მნიშვნელოვან ძეგლზე გამოვლენილი მასალის დამუშავება და სამეცნიერო შესწავლა.

[25] სადაც ერთი არქეოლოგიური კულტურის ძეგლები დიდი ხნის განმავლობაში არის (ცვლილებების და სხვა კულტურული ნაკადების გავლენების გარეშე), იქ დიფერენცირებული ქრონოლოგიური სკალის აგება უშედეგოა.

როვნის დათარიღებას კი ადრეული კომპლექსებიდან უნდა გაედევნოს თვალი, რაც საშუალებას გვაძლევს სწორად წარმოვიდგინოთ არქეოლოგიური კულტურებისა და ცალკეული ნივთების ტიპოლოგიური განვითარება.

თბილისის ტერიტორიაზე გამოვლენილი ორასზე მეტი არქეოლოგიური ძეგლიდან ყველაზე დიდი რაოდენობით გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებია გათხრილი. ამათგან, თრელიგორების ნასახლარზე ათეული ნაგებობა, თრელის სამაროვანზე კი 180-მდე სამარხი. აქ, ყველაზე ადრეული, შუაბრინჯაოს ხანიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის ძეგლებიდან, ადრერკინის ხანის მიწურულის ჩათვლით უწყვეტი სურათი ჩანს.

თრელის სამაროვნის გარდამავალი ხანის № 43 სამარხის მიხედვით, რომელიც კანთაროსის ტიპის ჭურჭელს შეიცავს, მოხდა სამთავროს სამაროვნის ამავე ტიპის ჭურჭლის შემცველი სამარხების გამოყოფა (სამარხი № 76, 92, 156) [2, გვ. 69-71]. თავის მხრივ, სამთავრო-თრელის გარდამავალი ხანის ძეგლების გამოყოფამ შესაძლებელი გახადა მათთან ამიერკავკასიის სხვა ძეგლების სინქრონიზაცია (სადუღას № 1, ლჭაშენის № 6, 46, არიჩის № 65 სამარხები) [2, გვ. 71].

თრელის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით თბილისის ტერიტორიაზე სამთავრული კულტურა ძვ.წ. XIV ს. მიწურულიდან ჩნდება; ძვ.წ. XV-XIV სს. კი ეს რეგიონი სხვა კულტურის წრეში შედის [2, გვ. 85]. როსტომ აბრამიშვილის ეს დაკვირვება ხსნის ერთი შეხედვით იმ უცნაურ მოვლენას, როცა როგორც თრელის, ისე ნამგალამიწის სამაროვნებზე დასტურდება გარდამავალი ხანის ძეგლები და არც ერთ მათგანზე არ გვაქვს სამთავროს ფოთლისებური სატევრების შემცველი ფენისათვის დამახასიათებელი და მისივე სინქრონული არც ერთი ძეგლი.

თრელის სამაროვანზე ფოთლისებური სატევარი აღმოჩენილია მხოლოდ ორ სამარხში (№№ 117, 140) [4, ტაბ. XI; 5, ტაბ. XXVIII]. ორივე სამარხის შედგენილობა როგორც სოციალ-ეკონომიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით, გაცილებით დაწინაურებულ საზოგადოებას ასახავს, ვიდრე სამთავროს ფოთლისებური სატევრების შემცველი ფენის ერთგვაროვანი სამარხები. ამის გამოც, არც ერთი ეს სამარხი არ შეიძლება მივაკუთვნოთ ფოთლისებური სატევრების არსებობის ძირითად დროს და ორივე მათგანის თარიღი ძვ.წ. XIV ს. მიწურულით ან ძვ.წ. XIV-XIII სს. მიჯნის ახლო ხანებით უნდა განისაზღვროს. ეს კი ის პერიოდია, როცა რ. აბრამიშვილის დასკვნით დიღმის ველზე იჭრება ახალი ეთნიკური ჯგუფი, რომელსაც სამთავრული კულტურა მოაქვს თან. აღნიშნული პროცესის შედეგად ადრერკინის ხანიდან დაწყებული (ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეები) თბილისის ტერიტორია დასავლეთ ამიერკავკასიის კულტურულ-ისტორიულ ერთობაში ექცევა (ზოომორფულყურიანი კერამიკის მატარებელი საზოგადოების არქეოლოგიური კულტურა). ამ ერთობის გავრცელების გამო აქ ადრე ვრცელდება რკინის წარმოებაც. აღნიშნულის დამადასტურებელია თრელის № 65 სამარხში აღმოჩენილი რკინის დანა. ამავე სამარხიდან, რომელიც ძვ.წ. XIII ს. თარიღდება (აქ აღმოჩენილი აღმოსავლურქართული ტიპის ბრინჯაოს მთლიანადსხმული სატევრის მიხედვით), მომდინარეობს ბრინჯაოს აბზინდა მხედრის ერთ-ერთი უძველესი გამოსახულებით.

თრელის № 117 სამარხისა და ორხევის კომპლექსის მიხედვით, ძვ.წ. XIV საუკუნის ბოლოდან ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე ჩნდება სამარხები, რომლებშიც ეტლში შებმული ცხენები ივარაუდება (ლაგმები, ეტლის უღელში გასაყრელი აღვირის ფიქსატორები (კავები).

თრელის მასალებით (№№ 65, 117 სამარხები) არ დასტურდება მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ცხენის, ეტლის და მხედრის გამოჩენა ამიერკავკასიაში ევრაზიის სტეპებიდან უცხო ეთნიკური ჯგუფის შემოჭრას უნდა დაუკავშირდეს, რადგან ეს ძეგლები გენეტიკურ სიახლოვეს სამხრეთიდან მომდინარე კულტურულ ნაკადებთან ავლენენ.

კავკასიის და, კონკრეტულად, საქართველოს კავშირები ძველ სამყაროსთან კარგად ჩანს თრელის სამაროვნის ერთ-ერთი სამარხის (№ 49) მიხედვით, სადაც ადგილობრივი კულტურისთვის დამახასიათებელი მასალის გარდა აღმოჩნდა ისეთი ნივთები, რომელთაგან ნაწილი თავისი წარმომავლობით უკავშირდება ცენტრალურ ევროპას, ნაწილი – ეგეოსურ სამყაროს; ზოგიერთი ცენტრალურ აზიას, ზოგი კი – წინა აზიას. ეს სამარხი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რკინის ფართო ათვისების ხანაში არსებულ ვითარებას ასახავს [2, ნახ. 80_8].

თრელის ნასახლარის მიხედვით, რკინის ფართო ათვისების ხანაში შესაძლებელია ვივარაუდოთ პირადი საკუთრება მიწათმოქმედების პროდუქტებზე და ამდენად, მიწაზეც. აღნიშნული ძეგლის ყოველ საცხოვრებელ ნაგებობაში დასტურდება პურის საცხობი ღუმელი და ქვევრები; № 36 სათავსოში აღმოჩენილია ხორბლის და ყურძნის წიპწები. თრელის ძეგლებზე ყურადღებას იქცევს მეღვინეობასთან დაკავშირებული თიხის ჭურჭლის განსაკუთრებული სიმრავლე, რაც მიწათმოქმედების მაღალი დონის ამსახველი დარგის, მევენახეობის, ფართოდ განვითარებაზე მეტყველებს. ეს კი, თავის მხრივ, სარწყავი მიწათმოქმედების მაღალი დონის მაუწყებელია, რადგან დიღმის ხეობის გეო-კლიმატური პირობების გათვალისწინებით მევენახეობის ესოდენ ფართოდ განვითარება სარწყავი მიწათმოქმედების გარეშე, სრულიად შეუძლებელია.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მანძილზე კავკასიის არქეოლოგიური კულტურები მეტნაკლები სიმკვეთრით განსხვავდებიან ერთმანე-

თისაგან. ეს სხვაობა ძირითადად მათი მდებარეობით განისაზღვრება.

კავკასიონის ჩრდილოეთით არსებული რეგიონი საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში სოციალური და კულტურული თვალსაზრისით სამხრეთთან შედარებით დაბალ დონეზე დგას. კავკასიონი გარკვეულ დაბრკოლებას ქმნის ჩრდილოეთით არსებული ძალების შესაკავებლად. საქართველო კი მის არაერთ გზას ფლობს. სწორედ ამიერკავკასიის გავლით იჭრებიან წინა აზიაში ინდოირანულ ენაზე მოლაპარაკე ტომები ძვ.წ. I ათასწლეულში. ეს მოძრაობა, რომელსაც უკავშირდება დიდი პოლიტიკური ძვრები მთელს წინა აზიაში, მკაფიოდ აისახა თბილისის ტერიტორიაზე (თრელის №№ 16 და 24 სამარხები). აქ დადასტურებული ნომადების მატერიალური კულტურის ძეგლების დიდი ნაწილი და დაკრძალვის წეს-ჩვეულება მკვეთრად განსხვავდება ადგილობრივისგან და გარკვეულ მსგავსებას პოულობს აზერბაიჯანის და ჩრდილო-დასავლეთ ირანის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მატერიალური კულტურის ძეგლებთან [7]. ეს კი ის ტერიტორიაა, სადაც ძვ.წ. VII ს-ის 70-იანი წლებიდან VI ს-ის 90-იან წლებამდე მკვლევართა ერთი ნაწილი ჩრდილოელი ნომადების ლოკალიზებას ახდენს [იხ. 7, გვ. 23].

თრელის ძეგლების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება თვალი გაედევნოს საქართველო-ამიერკავკასია-კავკასია-წინა აზიის ურთიერთობას ნომადურ სამყაროსთან.

მატერიალური კულტურის ძეგლების მიხედვით ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარსა და I ათასწლეულის I ნახევარში ნათლად ჩანს თბილისის უპირატესობა მცხეთასთან შედარებით. ანტიკურ ხანაში ეს უპირატესობა ქრება და მცხეთა საქართველოს დედაქალაქია; ადრე შუასაუკუნეებიდან პირველობა კვლავ თბილისს უბრუნდება. საქართველოს დედაქალაქობას მთელი ისტორიის მანძილზე ეს ორი ქალაქი – მცხეთა და თბილისი – ეცილება ერთმანეთს.

როგორც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, ისე მომდევნო პერიოდებში, როგორც მცხეთა, ისე თბილისი წარმოადგენდნენ არამარტო ქართლის, არამედ მთელი საქართველოს და არაერთხელ და არაერთი თვალსაზრისით მთელი კავკასიის ცენტრს.

თბილისის უპირატესობა ბრინჯაო-რკინის ხანასა და შუა საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვანი არის არა თითოეული ძეგლის შესწავლის ხაზით, არამედ დროის ამა თუ იმ მოკლე მონაკვეთში, ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში არსებული ვითარების უფრო სწორი წარმოდგენის ხაზით.

N. Akhvlediani

FOR THE DATING OF THE SIGNIFICANCE OF THE TRELI ARCHAEOLOGICAL MONUMENTS

Dedicated to the 80th Birth Anniversary of Rostom Abramishvili

(Summary)

The Treli burial ground and settlement on the Tbilisi area was reveled and studied by Mr. Rostom Abramishvili. The Treli material, similarly with the Samtavro burial ground contains the excavations of special importance in the determining of the problems of Late Bronze-Early Iron age monuments found in the Caucasus (15-6 cc). In the Mtskheta-Tbilisi region (area), due to its location on the junction point, contacts in the following fields of life: exchanging goods and trade, farming, cultural ties, military affairs were easily developed. Hence, the rapid expansion here of the social, cultural and technical progress of distant or neighboring territories.

Ისწკვშტპ ეწ ერუ Ეკუდშ ქფეუკშფდბ ფკსრუწდწპშსფდ ქწტგქუტეთ წა ვშააუკუტე სგდეგკუთ სფტ თშქგდეფტუწგთდნ უჩშთე შტ წტუ ფტვ ერუ თფქუ კუპშწტ (Ეკუდშ იგკშფდ-პკწგტვ Ш ფტვ ШШ) ხ7ჯყ

Supposedly, among the diverse ethnopolitical groups inhabiting such places one is the indigenous, main population and the other is temporal and not indigenous. Besides, it is obvious, that they coexisted under an agreement, which they somehow fulfilled.

According to the Samtavro material, for the first time in the Caucasus it was possible to create the differential chronological scale of Late Bronze –Early-Iron period monuments [1].

In the process of chronological determination the next stage was the Treli burial chronological system(unpublished). On the basis of the Samtavro and Treli systems a unificated chronological system of Late Bronze-Early Iron period monuments was created [3].

Dating of the graves of the Samtavro burial begins form the later complexes as the objects excavated out of them made it possible to determine their exact date. As for the other monuments found in the Transcaucasia with the Treli burial among them, earlier complexes of them to be taken as the initial point for their dating is reasonable, because this gives us a correct understanding of a typological development of Archaeological cultures and separate objects.

One continuous picture of the transition period from Middle Bronze to Late Bronze including the end of Early Iron period can be seen on the Treli burial.

Similarly, to the Treli burial ground No 43 the transition period, which contains vessels of Kantharos type, Samtavro burial grounds with the vessels of the same type have been marked out (Nos 76, 92,156) [2,p.69-71].

This made it possible to synchronize the other monuments in the Caucasus (Sadugha No 1, Lchasheni Nos. 6, 46, Arichi 65 graves) [2,p.71].

The Treli material doesn't speak about a horse and chariot and it's rider as introduced with the invasion of an alien ethnic group from Euro-Asian steppes into the Caucasus, since these monuments reveal their genetic relationship with the cultural flows coming from the South (Nos. 65, 117 graves).

According to the Treli settlement in the period of a wide use of iron, a private ownership on agricultural products and, thus, on the land too, can be supposed. In every dwelling building a stove for baking bread and vessels for preserving wine – pitchers have been confirmed (about a hundred of them was studied).

A particular multitude of clay vessels related to winegrowing prove that this field of agriculture was highly developed here and this on it's side speaks of a high level of meliorational agricultural activity, because in the geoclimate conditions of Digomi area, the above mentioned field is obviously impossible without the meliorational agriculture.

On studying the Treli monuments (Nos 16 and 24 graves) we can also proceed the contacts of Georgia-Caucasia-Asia Minor with the Nomad world.

In Late Bronze-Early Iron period as well as in the later eras Tbilisi is the center of not only Kartli, but also of the whole Georgia, and not only once or only to one view point, it is the center of the whole Caucasia.

The priority of Tbilisi in the Bronze-Iron period and medieval centuries is important not in the line of the study of each monument, but in a more correct display of the life in the Central Caucasus within this or that period of time.

ლიტერატურა

1. **აბრამიშვილი რ.** სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმმ, XIXA-XXIB, 1957, გვ. 115-140.

2. **აბრამიშვილი რ.** თრელის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი; თრელის სამაროვნის ძვ. წ. XIII-XII სს სამარხები. – თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 1978, გვ. 48-85, 86-159.

3. **აბრამიშვილი რ.** ამიერკავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლთა ქრონოლოგიური ჯგუფები. – თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის ბულეტენი, I, 1997.

4. **Абрамишвили Р. М. и др.** Итоги археологической экпедиции дигомского ущелья – ПАИ, 1975 (1979), გვ. 37-37

5. **Абрамишвили Р. М. и др.** Археологические раскопки в Тбилиси. – ПАИ, 1977 (1980), გვ. 39-54

6. **Абрамишвили Р. М.** Этно-культурные течения в эпоху поздней бронзы-раннего железа, в центральной части Закавказья в аспекте горных и равниных регионов. – Душетская научная конференция (аннотации), თბ., 1984, გვ. 166-172

7. **Abramischwili R.** Neue Angaber über die Existenz des Trako-kimmerischen etnischen elements in osten Transkaukasiens. – AA, 1995, S. 23-39

8. **Abramischwili R., Abramischwili M.** Archäologische Denkmäler in Tbilisi. – A. Miron and W. Orthmann (eds), Unterwegs zum Goldenen Vlies. Archäologische Funde aus Georgien, Saarbrüchen, 1995, S. 187-196.

გოდერძი ნარიმანიშვილი

საფარ-ხარაბას სამაროვანი

სამაროვანი მდებარეობს თრიალეთში (ტაბ. I_1), სოფ. საფარ-ხარაბას ჩრდილოეთით. სოფელი გაშენებულია მდ. ჩილ-ჩილის (კარიაკ-ჩაი) და ბაშკოვ-სუს ხერთვისში. სოფლის სამხრეთით, უშუალოდ მდინარეთა ხერთვისში, ბეშთაშენის „ციკლოპური" სიმაგრე, დასახლება და სამაროვანია გამართული (ტაბ. I_2).

XX ს-ის 30-იან წლებში საფარ-ხარაბას ახლოს, ბაიბურთის მინდორზე ბ. კუფტინმა ოთხი სამარხი გათხარა. ორი მათგანი ბაზალტის დიდი ქვებითაა შემოსაზღვრული. კრომლეხების დიამეტრი 15-18 მ-ია [36, გვ. 75-77, სურ. 87, 88, ტაბ. LIV-LVIII]. 2003-2005 წლებში სამაროვანზე, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით, 115 სამარხი გაითხარა. სამაროვნის სიგრძე 1500 მეტრია, სიგანე 400-500 მეტრი [9; 10].

სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი. საფარ-ხარაბას სამაროვანზე გათხრილი ყველა სამარხი ორმოსამარხს წარმოადგენს. დასაკრძალავი კამერები შემოფარგლულია ბაზალტის დიდი ქვებით შედგენილი წრეებით. კრომლეხების დიამეტრი 4-18 მ შორის მერყეობს (ტაბ. II-III), რომელთა შიდა სივრცე, უმეტეს შემთხვევაში, რიყის წვრილი ქვითაა შევსებული (ტაბ. II_3). ზოგ შემთხვევაში ასეთივე ქვებითაა დაფარული კრომლეხის ქვებიც. გვხვდება ისეთი კრომლეხიანი სამარხებიც, სადაც რიყის ქვის ყრილი მხოლოდ სამარხი კამერის თავზეა გამართული. უშუალოდ ამ ქვაყრილების ქვეშაა მოქცეული სამარხი ორმოს გადახურვის კონსტრუქციები. სამარხი კამერები ბაზალტის დიდი ზომის ფილებით ან ხის ძელებითაა (ტაბ. II_2, III_1) გადახურული. კრომლეხების ცენტრში ჩვეულებრივ ერთი სამარხი კამერაა მოწყობილი. გამონაკლისს წარმოადგენს № 67 და № 68 სამარხები (ტაბ. III_2), რომლებიც ერთი კრომლეხის შიგნითაა გამართული. საყურადღებოა, რომ ორივე სამარხი ერთდროულად ჩანს გამართული. ამაზე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტი, რომ სამარხი ორმოები კრომლეხის ცენტრში კი არ არის გაჭრილი, არამედ სიმეტრიულადაა განლაგებული წრის შიგნით. № 67 სამარხში ახალგაზრადა ქალია დაკრძალული, № 68 სამარხში კი სხვადასხვა ასაკის ოთხი ბავშვი.

სამარხი კამერები ყვითელ თიხნარშია გაჭრილი. მათი უმეტესობა კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის (2,0×1,2 მ) ფორმისაა (ტაბ. VII_1, VIII_2). სამაროვანზე გათხრილი 115 სამარხიდან მხოლოდ ოთხ სამარხს (№№ 10, ტაბ. VIII_1; 23; 30, ტაბ. IV_4; 90, ტაბ. V_1, VI) აქვს განსხვავებული ფორმა. ისინი ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზეა წაგრძელებული და სიგრძეში 5-6 მ-ს აღწევენ. ეს სამარხები იმითაც გამოირჩევიან, რომ აქ დაკრძალული მიცვალებულები ხის სარეცელზე (№№ 10, 23, 90 სამარხები) არიან დასვენებულები (ტაბ. V_1, VI) ან ურმის ნაწილები (სამარხი № 30) აქვთ ჩატანებული (ტაბ. $IV_{3,4}$, $V_{2,3}$).

სამარხი კამერები ძირითადად ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზეა დამხრობილი (შეინიშნება მცირე გადახრებიც). მიცვალებულები დასვენებულია ხელ-ფეხ მოკეცილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთით. სამარხებში თითო მიცვალებულია დაკრძალული. გამონაკლისს წარმოადგენს № 6 (ორი მიცვალებული) და № 68 (ოთხი მიცვალებული) სამარხები, სადაც მცირეწლოვანი ბავშვებია დაკრძალული.

მიცვალებულთა ძვლები უმეტეს შემთხვევაში შავი ფერის მკვრივი მასითაა დაფარული. ასეთივე მასა დაფიქსირებულია ჩონჩხის ქვეშაც. ეს ფენა სწორი გეომეტრიული ფორმებით გამოირჩევა. მათ წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა აქვს. მათი სისქე 0,2-0,4 მ აღწევს და დიდი რაოდენობით შეიცავს ხის ნაშთებს. აქვე შეინიშნება ტყავის ანაბეჭდებიც. როგორც ჩანს, სამარხებში ტყავით გადახურული, ხის სუსტი კონსტრუქციები იყო გამართული, რომლებიც სამარხი კამერის სახურავის ჩაქცევის შემდეგ უფორმო მასად იქცა. ართიკის სამაროვანზე, მიცვალებულების ქვეშ შავი მიწის ასეთივე ფენა დადასტურდა, რომელიც ხისა და ქსოვილის ნაშთებს შეიცავდა. № 89 სამარხში დაკრძალულ მიცვალებულს ქსოვილი ჰქონდა გადაფარებული [53, გვ. 139; 54, გვ. 7].

მიცვალებულისათვის განკუთვნილი ინვენტარი გარკვეული კანონზომიერებით არის განაწილებული. სამარხეული კერამიკა (თითოეულ მიცვალებულს 1-8 ჭურჭელი აქვს ჩატანებული) ძირითადად სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში, მიცვალებულის თავის ქალასთანაა განლაგებული (ტაბ. $IV_{1,2}$, $VII_{1,2}$, $VIII_{1,2,3}$), საბრძოლო იარაღი სახის წინ უწყვია (ტაბ. IV_1, VII_2, VIII_2), ბრინჯაოს საკინძები ყელის, მძივ-სამკაული კი გულ-მკერდის არეში ფიქსირდება. სარდიონის მძივების ასხმები მაჯებზე და ტერფებზეც გვხვდება.

მიცვალებულისათვის ჩატანებული მსხვილფეხა ან წვრილფეხა საქონლის ნაშთები ყველა სამარხში გვხვდება (ტაბ. V_1, VI, $VIII_{1,3}$). ისინი, ცალკეული ნაწილების სახით, დაწყობილია სამარხის იატაკზე. ზოგიერთ სამარხში (№№ 1, 2, 30, 90) აღმოჩენილია ცხვრის ან თხის

მთლიანი ჩონჩხები (ტაბ. V_1, VI), რომელთა ყელის არეში დაუმუშავებელი ობსიდიანის ანატკეცები აწყვია. აღაპის ნაშთებს შეიცავენ ჭურჭლებიც.

გარკვეული რიტუალია შესრულებული კრომლეხის გარეთაც (ტაბ. II_2, III_3). სარიტუალო (სააღაპე) ორმოები განლაგებულია სამარხი კამერების ჩრდილოეთით, რომლებიც უშუალოდ კრომლეხის ქვებზეა მიდგმული გარედან. ისინი წარმოადგენენ მცირე ზომის ორმოებს (0,4×0,5 მ; 0,6×0,8 მ). მათი ნაწილი გადახურულია ქვის ფილებით, ან მონიშნულია წვრილი ქვების ყრილით. ასეთი ორმოების მცირე ნაწილს ზევიდან არანაირი ნიშანი არა აქვს. ორმოებში მხოლოდ თიხის ჭურჭელია ჩადგმული (3-5 ერთეული), რომელთა ნაწილი საქონლის ძვლებითაა შევსებული და ქვის სარქველითაა დახურული.

განსხვავებული ფორმის ჭურჭლებში სხვადასხვა სახის საიქიო საგზალია მოთავსებული. დიდი ზომის ქოთნებში ახლად მომზადებული საკვები, ქვის სარქველით იხურებოდა და ისე იდგმებოდა სამარხში. ასეთ ჭურჭლებში მხოლოდ ხორცეულით მომზადებული კერძები გვხვდება. შედარებით მცირე ზომის ქოთნებში ფხალეული და ფაფები ყოფილა მოთავსებული; ბადიებში თაფლი ესხა, ან თხილი და კაკალი ეწყო ხ20; 21ჯ. საკვებით სავსე ჭურჭლები ჩაწყობილია როგორც სამარხში, ისე სარიტუალო ორმოებში.

სამარხეული ინვენტარი ძირითადად თიხის ჭურჭლითაა წარმოდგენილი. ისინი მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა (ტაბ. IX-XV). ყველა ჭურჭელი, ერთის გარდა (ტაბ. XIV_1), უყუროა. ჭურჭლების ერთი ჯგუფი განლექილი თიხისაა, ჩარხზეა დამზადებული და თხელკედლიანია, გამომწვარია შავად (ტაბ. IX-X, XIV-XV). ასეთი ჭურჭლების ზედაპირი გაპრიალებულია და შემკულია ამოღარული და ნაპრიალები ორნამენტით. მეორე ჯგუფის ჭურჭლებიც ჩარხზეა დამზადებული, მსხვილმარცვლოვანი თიხისაა, კეცის ზედაპირი მოყავისფრო-რუხია, შიდაპირი შავი. ჭურჭლების ზედაპირი შემკულია რელიეფური სარტყლებით. ასეთივე ორნამენტი ხშირად ძირზეცაა დატანილი. ასეთი ჭურჭლები უმეტესად დიდი ზომისაა (ტაბ. XI-XIII). ყველა მათგანს ცეცხლის კვალი ეტყობა. ისინი საქონლის ძვლებითაა შევსებული. მესამე ჯგუფის ჭურჭლები უხეშკეციანია, ხელითაა ნაძერწი, ცუდად გამომწვარი და შლადია.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლებიდან აღებული ნიმუშების პალინოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყოფაში სხვადასხვა სახის, როგორც ცხოველურ (მსხვილფეხა საქონელი, ბატკანი ან ციკანი), ისე მცენარეულ (წაბლი, თხილი, კაკალი, ხორბალი, წიწიბურასნაირი მცენარეები, ნაცარქათამა, ჭინჭარი) საკვებს იყენებდნენ. საკვების დასამზადებლად იყენებდნენ ცხოველურ ცხიმს, სანელებლებად კი ქოლგოსან მცენარეებს.

კვების რაციონი საკმაოდ მრავალფეროვანი ჩანს. მაგ. № 10 სამარხში აღმოჩენილ ქილაში თაფლი დადასტურდა; № 25 სამარხის დერგში – ხორბალი, თხილი, ცაცხვის მტვერი; № 28 სამარხის იატაკზე, დამწვარ ნიადაგში, დიდი რაოდენობით დადასტურდა ხორბალი, ჭვავი და სხვა სათესი კულტურები, ჭინჭარი; აქვეა რცხილის, ცაცხვის, მუხის და წიფლის მტვრის ნაშთები. № 29 სამარხის ქოთანში – ღვიის დამწვარი ნაშთები და მტვრის მარცვლები; პირფართო ქოთანში – ცხოველური ცხიმი, დიდი რაოდენობით ხორბალი, ნათესების სარეველები და საძოვრის ბევრი ელემენტი. № 30-ე სამარხის თიხის ჭურჭელში მსხვილფეხა საქონლის ძვლები, ცხოველური ცხიმი, დიდი რაოდენობით ხორბალი და ქოლგოსანი მცენარეები (სანელებლები) დადასტურდა [20; 21]. ჭურჭელს აშკარად ეტყობა ცეცხლის კვალი. როგორც ჩანს, ჭურჭელი საჭმლის მომზადებისთანავე ჩადგეს სამარხში. ქოთანზე გამოსახული სვასტიკები კი მის საკრალურობაზე მიუთითებს, ხოლო შიგთავსი გარკვეული სარიტუალო საკვების მომზადებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი შინაური ცხოველების ძვლების პალეოზოოლოგიური გამოკვლევა [5] მესაქონლეობის (ძროხა, თხა, ცხვარი, ღორი), ხოლო პალინოლოგიური კვლევა მარცვლეული კულტურების (ხორბალი, ჭვავი) განვითარებაზე მიუთითებენ.

საბრძოლო იარაღი მხოლოდ სამ სამარხში (№№ 8, 13, 85) აღმოჩნდა. ე.წ. წინააზიური ტიპის სატევარის (სამარხი № 13) პირი სამკუთხა ფორმისაა, ტარის ჩარჩოში ჩასმულია ხის თხელი ფირფიტები (ტაბ. IV_2, $VIII_{2,4}$; XVI_2].). ასეთი სატევრები სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა პუნქტშია აღმოჩენილი და ძირითადად ძვ.წ. XV-XIV სს-ით თარიღდება [46, გვ. 52, 61, ტაბ. 6; 48, გვ. 79-81]. მოკლე სატევრებიც ბრინჯაოსია. ერთ მათგანს (სამარხი № 8) წაგრძელებული პირი აქვს (სიგრძე 21,5 სმ, სიგანე ვადასთან 4,7 სმ; ტაბ. IV_1, VII_1, XVI_3), მეორე (სამარხი № 85) მისი ანალოგიურია, მხოლოდ უფრო მოკლე პირი (სიგრძე 13 სმ, სიგანე ვადასთან 6,0 სმ) და ძვლის ტარი აქვს (ტაბ. VIII_3; XVI_5). კაპარჭი (სამარხი № 8, ინვ. № 69) დამზადებულია ხის თხელი ფიცრებისაგან, რომელსაც გარედან ტყავი აქვს შემოკრული (ტაბ. IV_1; VII_1; XVI_1). კაპარჭის ზედაპირი შემკულია ბრინჯაოს თხელი ფირფიტებით (ტაბ. $XVII_{12,13}$). ამ ფირფიტებზე ჩატარებული მიკრორენტგენო-სპექტრული ანალიზის მიხედვით დადგინდა, რომ ბრინჯაოს დეტალების მალეგირებელი ელემენტი კალა იყო.

კაპარჭის პირიდან 15 სმ-ის დაცილებით შავი, მომრგვალებული ლაქა დაფიქსირდა, რომელსაც წნული, თოკისებური ბორტი შემოსაზღვრავს. კაპარჭში 8 ისარი ყოფილა ჩადებული (კაპარჭის პირთან, სამხრეთის მიმართულებით იდო 7 ისრისპირი – 6 ობსიდიანის და ერთი კაჟის, ხოლო კაპარჭის ბოლოსთან – ერთი ობსიდიანის ისრისპირი). კაპარჭის მთელ სიგრძეზე აღმოჩნდა ისრის ხუთი ზრო (ტაბ. XVI_1).

კაპარჭის შესამკობელი ფირფიტები აღმოჩენილია თრელის № 74 სამარხში [2, გვ. 62, ნახ. 28], რომელიც შუა ბრინჯაოს ხანისადმია მიკუთვნებული [2, გვ. 55], თუმცა აღნიშნულია, რომ „№ 53 და № 74 სამარხები შუაბრინჯაოს ხანის სამარხთა შორის ყველაზე გვიანდელის შთაბეჭდილებას ტოვებენ“ [2, გვ. 59]. ეს სამარხი ძვ.წ. XV ს-ითაა დათარიღებული [2, გვ. 68]. კაპარჭის ფრაგმენტები აღმოჩნდა ზემო ბოდბის № 4 ყორღანში [48, გვ. 83, ტაბ. VI_{3-7}], რომელსაც კ. ფიცხელაური უშუალოდ გარდამავალ პერიოდს მიაკუთვნებს [48, გვ. 69] და ძვ.წ XV ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. XIV ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს [48, გვ. 80].

ისრისპირები ორ სამარხში (სამარხი № 8, ტაბ. $XVII_{8-11,14-19}$; სამარხი № 85, ტაბ. XVI_4) აღმოჩნდა. ისინი დამზადებულია შავი ფერის, გამჭვირვალე ობსიდიანისა და მოწითალო, მოყავისფრო ან რუხი-მოთეთრო ფერის კაჟისაგან. განსაკუთრებით აღსანიშნავია № 8 სამარხში აღმოჩენილი ისრისპირი (ტაბ. XVII_8), რომელსაც განსხვავებული ფორმა აქვს.

სამაროვანზე აღმოჩენილი ლითონის ნივთებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელისუფლებო ემბლემა-ინსიგნიები. ბრინჯაოს კვერთხისმაგვარი ნივთი აღმოჩნდა № 8 სამარხში (ტაბ $VII_{1,2,3}$; XVII_1), რომელსაც T-ს მაგვარი თავი და გრძელი, გრეხილი ღერო აქვს. ღერო კაუჭით ბოლოვდება. თავის შუა ნაწილი შესქელებული და გახვრეტილია. მასში ჩამაგრებულია ღერო, რომელიც ზედა ნაწილში მრგვალგანივკვეთიანია (3-3,5 სმ-ის სიგრძეზე), შემდეგ ის ოთხკუთხაგანივკვეთიანი ხდება, ხოლო თავიდან 4,5 სმ-ის შემდეგ დაგრეხილია. გრეხილი ღეროს ოთხკუთხაგანივკვეთიანი ბოლო მორკალულ, წვეტიან კაუჭში გადადის. საერთო სიგრძე – 62 სმ-ია. გატეხილია ორად. ნივთის თავი № 62 ჭურჭლის პირზე იდო. კაუჭის წვერი კი თავის ქალას კეფაზე ჰქონდა მიდებული. წარჩინებული პირის ნიშანია № 85 სამარხში აღმოჩენილი კვერთხისთავიც. იგი მასიური ბრინჯაოსია. ნახვრეტში შემორჩენილი ხის ნაშთი მიუთითებს, რომ კვერთხს ხის ტარი ჰქონდა (ტაბ. XIX_1).

სამხრეთ კავკასიაში გათხრილ ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე აღმოჩენილი ნივთების მთელი წყება საკულტო-სარიტუალო, სამეურნეო თუ საბრძოლო ინვენტარად მოიაზრება. ამ ნივთების ნაწილი, როგორც ჩანს, სახელისუფლებო ემბლემებს წარმოადგენენ [7, გვ. 19], თუმცა ეს საკითხი სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა. არქეოლოგიურ ლიტერატურაში ხშირადაა მოხსენიებული კვერთხისთავები (ბელადის კვერთხი). თუმცა არც ისინია შესწავლილი სათანადოდ. კვერთხისთავების მრავალფეროვნება ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური დანაწევრების საშუალებას იძლევა, რაც შეიძლება მათი ატრიბუციის საფუძველიც გახდეს.

საფარ-ხარაბას სამაროვნის № 8 სამარხში აღმოჩენილი სახელისუფლებო ემბლემის უახლოესი პარალელი აქვე, თრიალეთში აღმოჩნდა [43].

წალკის რაიონის სოფ. ავრანლოს ტერიტორიაზე 2003 წელს ადგილობრივმა მოსახლემ მიაკვლია და გათხარა სამარხი, რომელიც კერამიკასთან ერთად ბრინჯაოს ინვენტარსაც შეიცავდა. სამაროვანი, სადაც სამარხი აღმოჩნდა, სოფლის დასავლეთ ნაწილში, მდ. ქციის მარცხენა ნაპირზეა გამართული (აქ ჯერ კიდევ ბ. კუფტინს აქვს ჩატარებული მცირე მასშტაბის გათხრები. დროდადრო ადგილობრივი მოსახლეობა, საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავების დროს გამოვლენილ სამარხებს თხრის. ამ ნივთების უმრავლესობა დღეს თრიალეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში ინახება).

ავრანლოში 2003 წელს აღმოჩენილ სამარხეულ ინვენტარში განსაკუთრებით გამოირჩევა ბრინჯაოს ნივთების კომპლექსი – კაუჭი, სალტე და ხარის თავის ქანდაკება (ტაბ. $XIX_{3,5,6}$). ადგილის დათვალიერების და ნივთების მომპოვებელთან საუბრის შედეგად გაირკვა, რომ კაუჭი იდო მიცვალებულის სახის წინ, ღეროზე წამოცმული იყო სალტე, მათგან 10-15 სმ-ის დაშორებით, ჩრდილოეთით იდო ხარის თავის ქანდაკება. ქანდაკებასა და სალტეს შორის დაშლილი ხის ნაშთები დაფიქსირდა. როგორც ჩანს, სამარხი (ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი) ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე იყო დამხრობილი, მიცვალებული იწვა თავით ჩრდილოეთით, მარცხენა გვერდზე („გამთხრელის“ თქმით აღმოსავლეთით „იყურებოდაო“).

ნივთები, რომელთაც კაუჭისმაგვარი დაბოლოება აქვთ, ადრეც იყო აღმოჩენილი სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე (მაგ. უხეში კაუჭები, რომლებიც სამეურნეო დანიშნულების ნივთებად ითვლება), მაგრამ ასეთი მაღალმხატვრული ნიმუში პირველად იქნა დადასტურებული. მიმაჩნია, რომ იგი მაღალი სახელისუფლებო რანგის მოხელის ინსიგნიას წარმოადგენს.

კაუჭისმაგვარი კვერთხი ძველ ეგვიპტეში ოსირისის სიმბოლოს წარმოადგენდა. იგი მწყემსის ჯოხის (კომბალი) აღმნიშვნელი იყო [32 გვ. 72]. მოგვიანებით ამგვარი ნივთი ფარაონების სიმბოლოც გახდა. ასეთი (ამ ფორმის) ნიშანი ძველ ეგვიპტეში სიტყვას „მართვა“ („ბატონობა“) აღნიშნავდა [39, გვ. 117]. ძველი

ეგვიპტელისათვის იდეალური ფარაონი იყო „მწყემსი კეთილი, რომელიც ყველაფერს ყურადღებით ადევნებდა თვალს“ [55, გვ. 103]. მესოპოტამიაში, ღმერთ ანუს სიმბოლო იყო სკიპტრა (სამეფო კვერთხი), კვერთხი, გვირგვინი და მწყემსის არგანი [55, გვ. 177]. ძველ ბაბილონში კაუჭი სიკვდილის მომგვრელი და დამანგრეველი ღმერთის – ამურუ (მარტუ) სიმბოლო იყო [58, გვ. 54]. კასიტურ საბეჭდავებზე კაუჭი ადამიან-თევზებს უკავიათ, რომლებიც მიწისქვეშა წყლების ღმერთ ეასთან ასოცირდებოდნენ [58, გვ. 54]. კაუჭი ასურეთის მეფეების ინსიგნიასაც წარმოადგენდა. ეს ნივთი უკავია ასურნასირაპალ II (ძვ.წ. 883-859 წწ), რომლის ქანდაკებაც ქ. კალხუში იდგა (ტაბ. XIX_2). მეფეს მარცხენა ხელში სამეფო სკიპტრა უკავია, მარჯვენაში კი კაუჭისმაგვარი ინსიგნია [29, გვ. 41-42]. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ კაუჭისმაგვარი სიმბოლო-ინსიგნია ძველი აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში იყო გავრცელებული და განსაკუთრებული ძალაუფლების სიმბოლოდ (არ არის გამორიცხული, სიკვდილთან დაკავშირებული) აღიქმებოდა.

თრიალეთში აღმოჩენილი ინსიგნია „სამეფო“ ხელისუფლების ემბლემა უნდა იყოს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლანცეტისებური იარაღების აღმოჩენის ფაქტი, რაც ასევე უნიკალური შემთხვევაა კავკასიის არქეოლოგიისათვის. ორი ასეთი ნივთი № 8 სამარხში დაფიქსირდა. მათ ბრინჯაოს თხელი პირი, ოთხწახნაგა, ბოლოსკენ დავიწროებული ყუნწი და ლულოვანი ძვლის ტარი აქვთ (ტაბ. $XVII_{2,3}$). ლანცეტისებური იარაღები შეიძლება სკალპელები იყოს და სამედიცინო ინსტრუმენტებს წარმოადგენდეს.

სამაროვანზე რამდენიმე საბეჭდავი იქნა აღმოჩენილი (ტაბ. XVIII). საბეჭდავებს სხვადასხვა ფორმა აქვთ: 3 მათგანი ოთხკუთხედია (ტაბ. XVIII_{10-12}), 6 – ცილინდრული, რომელთაგან სამი გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული (ტაბ. XVIII_{13}), ორზე კი სიუჟეტური გამოსახულებაა მოცემული (ტაბ. XVIII_{1-4}). გარდა ზემოთ აღნიშნული საბეჭდავებისა, საფარ-ხარაბას სამაროვანზე სკარაბეოიდის ტიპის საბეჭდავებიც აღმოჩნდა (ტაბ. $XVIII_{5,6,8,9}$), რომლებიც იმპორტს წარმოადგენს. იმპორტულია მინის მძივებიც. ლურჯი მინის ერთ-ერთი „სკარაბეოიდი“ ადამიანის სახიანია (ტაბ. XVIII_7), რაც არაა უჩვეულო ეგვიპტური სკარაბეოიდებისათვის. მსგავსი ეგზემპლიარები ინახება ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში [27, გვ. 243].

საფარ-ხარაბას სამაროვანზე გამოვლენილი ცილინდრული საბეჭდავებიდან ორზე სიუჟეტია გამოსახული (ტაბ. XVIII_{1-4}). № 27 სამარხში აღმოჩენილ საბეჭდავზე გამოსახული თევზები ორი რიგადაა განლაგებული (ტაბ. XVIII_1). ანალოგიური საბეჭდავები გავრცელებული იყო სირიაში (რას-შამრა) ძვ.წ. XVI-XIV სს-ში და მითანიური გლიპტიკის ე.წ. „Common Style“-ს ეკუთვნის [60, გვ. 66, ტაბ. $VII_{136-138}$]. საინტერესოა, რომ ამგვარი სიუჟეტი და სტილი ტიპიური იყო ჯემდეთ-ნასრული (ძვ.წ. 3000-2800 წწ.) საბეჭდავებისათვის ხ26, ტაბ. IV_6 ჯ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს № 5 სამარხში აღმოჩენილი ცილინდრული საბეჭდავი. საბეჭდავზე გამოსახულია მამაკაცის ფიგურა, რომელსაც მოკლე ტუნიკა აცვია და წაწვეტებული თავსაბურავი ახურავს. მამაკაცს ხელში უკავია კვერთხი, რომლის თავი სხივიან ვარსკვლავს წარმოადგენს. ფიგურა მუხლმოდრეკილია საკურთხევლის წინ, რომელზეც ჯიხვი დგას (ტაბ. XVIII_{2-4}). თემატურად ეს საბეჭდავი სამხრეთ კავკასიის ძვ.წ. II ათასწლეულით დათარიღებული სხვა საბეჭდავების (მინგეჩაური, რაზდანი, შახტახტი, შამირამი), ასევე ნუზისა და გეზერის საბეჭდავების მსგავსია [45, ტაბ. 34, 35, 41]. ყველა ამ საბეჭდავზე გამოსახულია მამაკაცის ფიგურა, ზოგჯერ მუხლმოდრეკილი, რომელსაც ხელში ვარსკვლავის ან მცენარის თავიანი კვერთხი უჭირავს. მის წინ, საკურთხეველზე ან შემაღლებაზე ჯიხვი დგას. ნუზის ერთ-ერთ საბეჭდავზე, ცენტრალური ფიგურის ზემოთ თევზების რიგია გამოსახული. რაზდანში, მინგეჩაურსა და გეზერში აღმოჩენილ საბეჭდავებზე, ჯიხვის ზემოთ ტალღოვანი ორნამენტია გამოსახული. ყველა ეს საბეჭდავი, ისევე როგორც № 27 სამარხში აღმოჩენილი, მითანიური გლიპტიკის წრეში ექცევა და „Common Style“-ს მიეკუთვნება. ისინი გავრცელებული იყო ლევანტსა და მესოპოტამიაში [60, გვ. 34, ტაბ. IV-VI].

საფარ-ხარაბული საბეჭდავის იკონოგრაფია მსგავსია ხური-მითანიური საბეჭდავების იკონოგრაფიისა. გამოსახულებაც ხურიტულ მითოლოგიასთანაა დაკავშირებული. ჩემი აზრით, საკურთხეველზე შემდგარი ჯიხვი უძველესი მესოპოტამიური ღვთაება ეა-ს გამოსახულებას წარმოადგენს, რომელიც ხურიტულ პანთეონში უკვე აქადურ პერიოდში მოხვდა. ეა-ენქის უძველეს გამოსახულებას ზოგჯერ თევზისკუდიანი ჯიხვი წარმოადგენს. ეა-ენქი ქვესკნელის მტკნარი ოკეანის (აბზუ) მბრძანებელი იყო. იგი სიბრძნეს, ჯადოსნობას განასახიერებდა. ხურიტულ ნაწარმოებში „სიმღერა ულიქუმიზე“ ეა-ს ეპითეტია რფთთშთ (აქადურად რფთშთგ – სიბრძნე) [30, გვ. 95].

კავკასიის ტერიტორიაზე 13 ცილინდრული საბეჭდავია აღმოჩენილი, რომლებზეც სიუჟეტური გამოსახულებაა მოცემული. ყველა მათგანი მითანიური გლიპტიკის „Common Style“-ს მიეკუთვნება და ძვ.წ. XV-XIV სს-შია გავრცელებული [50, გვ. 145-150] და ხური-მითანის სამეფოს ძლიერების ხანას ემთხვევა.

ეგვიპტურ იმპორტს უნდა წარმოადგენდეს პირამიდისებური ქვები (ტაბ. $XVII_{4,5,6}$). № 8

სამარხში აღმოჩნდა სხვადასხვა ჯიშის ქვები. მათ წაკვეთილი პირამიდის ფორმა აქვთ, ფართე ფუძიდან გაკეთებული ნახვრეტი გამჭოლი არ არის. ამ ფორმის და ზომის ქვები აღმოჩენილია ტუტანჰამონის სამარხში. ისინი „პირის გახსნის“ რიტუალში გამოიყენებოდა. მსგავსი ინსტრუმენტები ეგვიპტის ძველ სამეფოშიც იგივე მიზნით იხმარებოდა [61, გვ. 160].

სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებაზე და მათ რთულ კონსტრუქციაზე № 30-ე სამარხში აღმოჩენილი ურემი (მიცვალებული დასვენებული იყო ურმის ქვეშ) და მისი დეტალები მიუთითებენ (ტაბ. $IV_{3,4}$; $V_{2,3}$). საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი ურმის ძარა განსხვავდება შუაბრინჯაოს ხანის ოთხთვალა ურმის ძარის კონსტრუქციისაგან.

მიუხედვად იმისა, რომ სამარხში არც ბორბლები აღმოჩენილა და არც ღერძის ნაშთები (ისინი შეიძლება სამარხის დაზიანებულ ნაწილში ეწყო) უღლის ფორმა და პარალელური მასალები (ბერიკლდეები) საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ საფარ-ხარაბას სამაროვნის № 30-ე სამარხში აღმოჩენილი ეტლის გამწევ ძალას ცხენი წარმოადგენდა. საფარ-ხარაბაში აღმოჩენილი უღელის ტიპი დადასტურდა ბერიკლდეების სამარხშიც, სადაც ძვ.წ. XIV-XIII სს-ით დათარიღებულ ურემში ცხენები იყო შებმული [59, გვ. 50].

ამ ეპოქაში, თრიალეთში ცხენი ფართოდ გავრცელებული შინაური ცხოველი იყო. ოსტეოლოგიური მონაცემები მიუთითებენ, რომ მეცხენეობას მისდევდენენ ბეშთაშენის [8, გვ. 18] და ჯინისის დასახლების [4; 24, გვ. 42-43] მცხოვრებლები.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე, ზოგიერთ სამარხში მიცვალებული სარეცელზე იყო დასვენებული. მათ წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა აქვთ. ზოგიერთი მათგანი (სამარხი № 90; ტაბ. VI) ფიგურული სახელურებითაა შემკული (ტაბ. V_1). აღსანიშნავია, რომ სარეცელს სახელურები მხოლოდ ერთ, წინა მხარეს აქვს. სამარხი კამერის სამხრეთ კედელთან, სარეცლის ჩარჩოს გვერდითი ძელების გაგრძელებაზე ორი, მოკლე შვერილია, რომლებიც შეიძლება სახელურების შემორჩენილ, ნაკლულ ნაწილებად მივიჩნიოთ. შეიძლება ეს კონსტრუქცია სარეცელი კი არა, არამედ ურმის ნაწილი იყოს, რომელზეც მიცვალებული დაასვენეს. მაგ. ლჭაშენის ერთ-ერთი ურმის ძარას ზედა შემკვრელ ძელებს [40, გვ. 168, სურ. 64] საფარ-ხარაბას № 90-ე სამარხში დადასტურებული ძელების მსგავსად, ფიგურული თავები აქვს. თუმცა ეს მსგავსება მათი იდენტური ფუნქციის დასამტკიცებლად საკმარისი არ არის.

საფარ-ხარაბას (ბაიბურთის) სამაროვნზე გათხრილ სამარხებს ბ. კუფტინმა ნაშრომში "Археологические раскопки в Триалети" სპეციალური თავი "Могильник бронзовой эпохи с кругами из камней" მიუძღვნა. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავიდანვე აღნიშნავს „თრიალეთში ამ ტიპის ძეგლების არასაკმარისი შესწავლის გამო ამ სამაროვნისათვის გარკვეული ადგილის მიჩენა ძნელია“, მან ბაიბურთის სამაროვნი უშუალოდ შუა ბრინჯაოს ხანის მომდევნო ეტაპს მიაკუთვნა და ბეშთაშენის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ორმოსამარხებზე ადრეულად მიიჩნია [36, გვ. 75-77].

ბ. კუფტინი ფრთხილობს ბაიბურთის სამარხების დათარიღებისას, თუმცა ზუსტად განსაზღვრავს მათ ადგილს და შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულსა და გვიანი ბრინჯაოს დასაწყისს შორის ათავსებს. ამასთან აღნიშნავს, რომ შუა ბრინჯაოს სტადიიდან, რომელსაც მიეკუთვნება ტომთა ბელადების წალკის სამარხები, გვიანბრინჯაოს ხანაზე გადასვლის საკითხი მთლად გარკვეული არ არის [38, გვ. 5].

ბაიბურთის სამაროვნის თარიღს არაერთი მეცნიერი შეეხო [1; 6; 18; 19; 22].

შუა ბრინჯაოს დასასრულისა და გვიანი ბრინჯაოს დასაწყისის ძეგლები კომპლექსურად პირველად კ. ფიცხელაურმა შეისწავლა [15]. მან, 1973 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი საფეხური გამოყო, რომელიც ძვ.წ. 1450-1350 წწ. შორის მოაქცია და მთელი რიგი თავისებური ნიშნების გამო სამ ეტაპად დაყო. იგი აღნიშნავს: „ჩვენ ამ საფეხურს იმიტომ ვუწოდეთ გარდამავალი, რომ იგი შეიცავს ორი სხვადასხვა ეტაპის დამახასიათებელ ნიშნებს და შუალედ რგოლს წარმოადგენს მათ შორის“ [15, გვ. 139]. მკვლევარმა პირველ ეტაპს მიაკუთვნა ილტოს კენოტაფი; მეორე ეტაპს კი კუფტინის მიერ გათხრილი ბაიბურთის (საფარ-ხარაბა) სამარხები, ზემო ბოდბეს გორასამარხები, ოლეს სამაროვნის ზოგიერთი სამარხი, მესამე საფეხურს ულიანოვკის № 2 ყორღანი, რომელიც გარდამავალი ეტაპის და გვიანი ბრინჯაოს ხანის მიჯნაზე მოათავსა [15, გვ. 145-146]. 1979 წელს კ. ფიცხელაურმა სქემა შეცვალა – გარდამავალი ეტაპის I ჯგუფის ძეგლები შუა ბრინჯაოს მიწურულს მიაკუთვნა, II ჯგუფი უშუალოდ „გარდამავალ“ ეტაპზე დატოვა, III ჯგუფი კი გვიანი ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნა [48, გვ. 67]. შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულს მიაკუთვნა სამთავროს სამხრეთი უბნის №№ 70 და 156 სამარხები, სადუღას № 1 ყორღანი, წაღვლის სამარხეული ინვენტარი, თრელის 43, 51, 53 სამარხები, შულავრის № 12 სამარხი, გადრეკილის № 1 და № 2 ყორღანები, ილტოს კენოტაფი, ლილოს № 5 ყორღანი, არიჭის № 85, 108 სამარხები. გარდამავალ ეტაპში მოათავსა ზემო ბოდბეს №№ 1, 2, 4, 5, 6, 7, ყორღანები, ბაიბურთის სამარხები, ცხინვალის ტყისკომბინატის სამარხები, ნამგალამიწების №

2 სამარხი, ნაომარი გორის № 2 სამარხი, თრელის № 74, ბრიმაწყლის ორივე კომპლექსი, ჩალიანხევის ქვედა ფენის სამლოცველო, ტაბაწყურის № 42 ყორღანი, საბიდახჩას № 28 ყორღანი, ბესასტყე. რაც შეეხება გადრეკილის № 6 სამარხს, ოლეს ყორღანებს, ულიანოვკის № 2 ყორღანს, ისინი გვიანბრინჯაოს ხანას მიაკუთვნა [48, გვ. 69-70].

ე.წ. გარდამავალი ეტაპის ქვედა თარიღის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია თრიალეთის კულტურის III ჯგუფის ძეგლების ზედა ქრონოლოგიური ზღვარის დადგენა, რომლის განსაზღვრაც, მასალის სიმცირის გამო, ჯერ კიდევ პრობლემატურია. ამ თარიღის დადგენისათვის მეცნიერები ძირითადად თრიალეთის XV ყორღანში აღმოჩენილი მასრიანი შუბისპირის თარიღს ეყრდნობოდნენ [2; 6; 23]. კ. ფიცხელაური აღნიშნავს „შუა ბრინჯაოს ხანის ზედა თარიღი, რომელიც განსაზღვრულია ძვ.წ. XV ს-ის შუა ხანებით, ჩვენი აზრით (და არა მხოლოდ ჩვენს მსგავსად), არასაიმედოა...“ [48, გვ. 101; 49, გვ. 247]. გ. ქავთარაძის აზრით „თრიალეთის XV ყორღანის მასრიანი შუბისპირის საფუძველზე თრიალეთის კულტურის სასრული თარიღის ძვ.წ. XV ს. განსაზღვრა არ უნდა იყოს მართებული“ [17, გვ. 118]. ეს ყორღანი ქავთარაძემ შუა ბრინჯაოს ხანის I ფაზას მიაკუთვნა [17, გვ. 115-118; 33, გვ. 130-136] და ძვ.წ. II ათასწლეულის ადრეული საუკუნეებით დაათარიღა [17, გვ. 33, 114]

შუაბრინჯაოს ხანის II ფაზას გ. ქავთარაძემ თრიალეთის ის ყორღანები (XXVIII, XXX, XXXII, XLII) მიაკუთვნა, სადაც გვხვდება მთელი რიგი ისეთი ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის. ამავე ჯგუფში გააერთიანა თრელის №№ 43, 51, 81, 84, 104, სამთავროს № 156, შულავერის № 12, სადულას № 1 და გადრეკილის № 1 და № 2 ყორღანები, მეტეხის ქვაყრილიანი სამარხი, ნული, ქვასათალი, წაღვლის სამარხეული ინვენტარი, არიჭის № 65, 85, 108 სამარხები და ლჭაშენის № 6, № 46 ყორღანები [17, გვ. 121; 33, გვ. 136]. მკვლევარმა აღნიშნა, რომ ისინი უშუალოდ მოსდევენ XV ყორღანსა და მის თანადროულ ძეგლებს, და მათი ზედა თარიღი ძვ.წ. XVI ს-ის შუა ხანებით განსაზღვრა [17, გვ. 120-121, 128; 33, გვ. 136].

მოგვიანებით კ. ფიცხელაურმა შუა ბრინჯაოს ხანის დამამთავრებელ სტადიას მიაკუთვნა გადრეკილის № 1 და № 2 ყორღანები, ფევრების სამაროვნის კრომლეხები, ილტოს კენოტაფი, სადულას № 1 ყორღანი, სამთავროს № 70 და № 156 სამარხები, შულავრის № 12 სამარხი, წაღვლის №№ 1, 3, 7, 8, 11, 13, 16, 17, 18, 21 სამარხები და რიგი სამარხებისა თბილისიდან [49, გვ. 248]. გარდამავალი ეტაპის ძეგლების ნაწილი (ზემო ბოდბე, ბაიბურთის სამარხები, ცხინვალის ტყისკომბინატის სამარხები, ნამგალამიწების № 2 სამარხი, უდაბნოს ყორღანები) გვიანბრინჯაოს ხანის I ეტაპს მიაკუთვნა, ხოლო ადრე, გვიანბრინჯაოს ხანის I ეტაპისადმი (ძვ.წ. 1350-1250) მიკუთვნებული ძეგლები (ფლავისმანი, ცხინვალის ნაცარგორა, ყათნალიხევი, მელიღელე I-სამლოცველო, პირდაპირი მიწები, მადნისჭალა, ღრმაღელეს გორასამარხები, ულიანოვკის № 1 გორასამარხი, სამთავროს მთელი რიგი სამარხები, მჭადიჯვრის ქვედა ფენა [15, გვ. 147]) გვიანბრინჯაოს ხანის II ეტაპს მიაკუთვნა. III ეტაპს მიაკუთვნა შედგენილტარიანი კახური ტიპის და ფოთლისებურპირიანი სატევრების შემცველი სამარხეული კომპლექსები, IV ეტაპს კი ის ძეგლები, სადაც პირველად ჩნდება რკინის ნივთები [49, გვ. 248-249].

გვიანი ბრინჯაოს I ფაზის თარიღი გ. ქავთარაძემ ძვ.წ. XVI ს-ის შუა ხანებიდან XIV ს-ის დასაწყისამდე განსაზღვრა [17, გვ. 128; 33, გვ. 146], ამ ფაზას მიაკუთვნა თრელის №№ 53, 74, 115 სამარხები, ილტოს კენოტაფი, ლილოს № 5 ყორღანი, სამთავროს სამხრეთი უბნის № 70 სამარხი, ზემო ბოდბის №№ 1, 2, 4, 5, 6, 7, ცხინვალის ტყისკომბინატის სამარხები, ნამგალამიწების № 2 სამარხი, ნაომარი გორის № 2 სამარხი, ბრიმაწყლის ორივე კომპლექსი, ჩალიანხევის A ნამოსახლარის ქვედა ფენის სამლოცველო, ბესასტყის ნამოსახლარიდან მოპოვებული მასალა. აქვე ათავსებს არტიკის №№ 53, 422 და 625 სამარხებს, სადაც დამათარიღებელი მნიშვნელობის ცილინდრული საბეჭდავები აღმოჩნდა [17, გვ. 127; 33, გვ. 145]. ამ სამარხებს ტ. ხაჩატრიანი არტიკის I (უძველეს) ჯგუფს მიაკუთვნებს და ძვ.წ. XIV-XIII სს. ათარიღებს [53, გვ. 158; 54, გვ. 14]. არტიკის სამაროვნის უძველეს ჯგუფს, მათ შორის ცილინდრული საბეჭდავების შემცველ სამარხებს, ა. პილიპოსიანი ძვ.წ. XV-XIV სს ათარიღებს [46, გვ. 61; 45, გვ. 42-43, ტაბ. 41]. მეცნიერთა ნაწილი ამ ჯგუფის სამარხებს ძვ.წ. XIV ს-ის მეორე ნახევარს მიაკუთვნებს [57, გვ. 149].

გ. ქავთარაძემ გვიანი ბრინჯაოს II ფაზა ძვ.წ. XIV ს-ით დაათარიღა [17, გვ. 131; 33, გვ. 149], რომელსაც მიაკუთვნა ბაიბურთის სამარხები, ულიანოვკის № 2 სამარხი, თრელის №№ 37, 42, 55, 56 სამარხები, გადრეკილის ქვედა იარუსის სამარხები, ფევრების ქვედა იარუსის სამარხები, ჩალიანხევის კომპლექსის A ნამოსახლარის ზედა ფენა, ღრმაღელეს, მელი-ღელე I და სამთავროს შესაბამისი სამარხები, ასევე ართიკის სამაროვნის II ჯგუფის სამარხები [17, გვ. 128-129].

ამდენად, კ. ფიცხელაურის მიერ გამოყოფილი გარდამავალი ეტაპის ძეგლების ერთი ნა-

წილი გ. ქავთარაძემ [17, გვ. 125] გვიანი ბრინჯაოს I ფაზას, ე.ი. შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდს მიაკუთვნა და ეს ფაზა ძვ.წ. XVI ს-ის შუა ხანებსა და ძვ.წ XV ს-ის დასაწყისს შორის მოათავსა [17, გვ. 128]. მეორე ნაწილი, მათ შორის ბაიბურთის სამარხები გვიანი ბრინჯაოს II ფაზას მიაკუთვნა და ძვ.წ. XIV ს დაათარიღა [17, გვ. 131].

მ. აბრამიშვილმა თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის II ფაზის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ.წ. XIX საუკუნის შუა ხანებით განსაზღვრა [3, გვ. 51]. ამ თარიღის გაზიარების შემთხვევაში შესაბამისად შეიცვლება III ფაზის ძეგლების თარიღიც.

თრიალეთის კულტურის III ჯგუფის ყორღანების ზედა თარიღი ალბათ იმ დროზე უნდა მოდიოდეს, როდესაც ტიპიურ, შუა ბრინჯაოს ხანის მასალებთან ერთად, ერთეულების სახით ჩნდება ახალი მასალები. რ. აბრამიშვილი, თრელის №№ 43, 51, 81, 84, 104 სამარხებს, სადაც შუა ბრინჯაოს ხანის ცალკეული ნიშნები გვხვდება, ძვ.წ. XVI ს-ით [2, გვ. 68], ხოლო იმ ძეგლებს, „რომლებშიც შუაბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელ მასალასთან ერთად გვიანბრინჯაოს ხანის ტიპიური ნივთები გვხვდება“ ძვ.წ. XV ს. ათარიღებს [2, გვ. 68]. რაც შეეხება ბ. კუფტინის მიერ გათხრილ ბაიბურთის სამარხებს, მათ თრელის №№ 37, 42, 55, 56 სამარხებთან, ულიანოვკის № 2, ოლეს № 11 და № 13, საბიდახჩას XXVIII და ტაბაწყურის XLII ყორღანებთან, არიჭისა და ართიკის სამაროვნებთან ერთად რ. აბრამიშვილს სამთავროს ფოთლისებური სატევრების შემცველი ძეგლების თანადროულად მიაჩნია და ძვ.წ. XIV ს ათარიღებს [2, გვ, 85]. თრელის № 37 სამარხს ა. ფილიფოსიანი ძვ.წ. XV-XIV სს. ათარიღებს [45, გვ. 62].

უკანასკნელ ხანებში ალ. რამიშვილმა, მის მიერ გათხრილი მასალების მიხედვით, ახლებურად წარმოადგინა ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების ძეგლების თარიღები. მკვლევარმა შუა ბრინჯაოს ხანის II ფაზა (ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე მეოთხედი) ორად გაყო. პირველი ნახევარი მიაკუთვნა შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულს (ძვ.წ. XVII ს), სადაც არ შეიტანა თრიალეთის ყორღანები; მეორე ეტაპს (ძვ.წ. XVI ს-ის პირველი ნახევარი) მიაკუთვნა თრიალეთის XXXII ყორღანი, ილტოს კენოტაფი, სამთავროს № 70 სამარხი, I კენოტაფი, თრელის № 43, 53 და წაღვლის სამარხების დიდი ჯგუფი, რომლებიც გარდამავალი პერიოდის I ეტაპის ძეგლებად მიიჩნია. იგი აღნიშნავს „სწორედ მაშინ იწყება შუა ბრინჯაოს ხანიდან გვიანი ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდი, როდესაც შუა ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი მასალის გვერდით თავს იჩენს გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ნიშნები“ [13, გვ. 165]. გვიანი ბრინჯაოს ხანის I ფაზაც ორად გაყო. პირველი ნახევარი ძვ.წ. XVI ს-ის მეორე ნახევრით დაათარიღა და გარდამავალი პერიოდის II ეტაპს მიაკუთვნა. ამ ეტაპში მოათავსა კუფტინის მიერ გათხრილი ბაიბურთის სამარხები, საბიდახჩას № 28, ტაბაწყურის № 42, სამთავროს № 198, ლილოს № 5, თრელის № 56, № 74, ნამგალამიწის № 1, № 2, კასპის № 4, № 18, ცხინვალის №№ 3,4, ოლეს № 11, ზემო ბოდბის №№ 1,2, გადრეკილის №№ 1,2, ბრიმაწყლის №№ 1,2 სამარხები. მეორე ნახევარი ძვ.წ. XV ს-ით დაათარიღა და გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს მიაკუთვნა, სადაც მოათავსა ცხინვალის ნაცარგორა, საციხურის გორა, ხაშურის ნაცარგორა, ყათნალიხევის, მჭადიჯვრის, ბესასტყის (წაღვლი) ნამოსახლარები, წაღვლის №№ 62, 91, ნაცარგორას №№ 510-514, ფლავისმანის, წეროვნის, ღრმაღელეს №№ 2,4,6, თრელის №№ 37, 42, 55, ულიანოვლის № 2, ოლეს № 13, ზემო ბოდბის №№ 4-7, გადრეკილის №№ 1, 6, 9-11, 26, 27, 42, 66, 102, 105, პირდაპირი მიწების №№ 1-3, ფევრების №№ 21, 25, 53, სამთავროს №№ 139, 153 სამარხები. გვიანი ბრინჯაოს ხანის II ფაზაც (ძვ.წ. XIV ს) ორად გაყო. პირველი ეტაპი მიაკუთვნა ფოთლისებური სატევრების გავრცელების პერიოდს, მეორე კი – ფოთლისებური და შედგენილტარიანი სატევრების გავრცელების ხანას [13, გვ. 178]

ვ. სადრაძე სამთავროს სამაროვნის №№ 70, 156 სამარხებს ძვ.წ. XVI-XV ს-ის პირველ ნახევარით ათარიღებს და შუა ბრინჯაოს ხანის უკანასკნელ, III ეტაპს მიაკუთვნებს [14, გვ. 41]. შუა ბრინჯაოს ხანის III ქრონოლოგიურ ჯგუფში ასევე აერთიანებს თრიალეთის I, II, XV ყორღანებს, საბიდახჩას № 5, ახჩიას №№ 3, 9, 13, ნატახტრის III სამაროვნის №№ 7, 20, 21, 22, 27, სამთავროს №№ 55, 62, 70, 123, 142, 156, 178, 194, 196, 222, 257, 263, წაღვლის №№ 11, 20, 94, 95, თრელის 43, 51, 53, 81 სამარხებს, ილტოს კენოტაფს, ლილოს № 5 ყორღანს [14, გვ. 101-102], რომლებსაც ძვ.წ. 1600-1450 წწ-ით ათარიღებს [14, გვ. 108]. გარდამავალ პერიოდს ძვ.წ. 1450-1350 წწ-ით განსაზღვრავს. გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპი ძვ.წ. 1350-1250 წწ. შორის მოათავსა და ორ პერიოდად გაყო. პირველს, ადრეულ პერიოდს მიაკუთვნა ცენტრალურამიერკავკასიური კულტურის ძეგლები, რომლების თარიღად ძვ.წ. 1350-1300 წწ. მიიჩნია, მეორეს კი – სამთავრული კულტურის ძეგლები და ძვ.წ. 1300-1250 წწ-ით დაათარიღა [14, გვ. 148-161, 242-247, იხ. ქრონ. ტაბულები]. ამასთან აღნიშნავს – „ცენტრალურამიერკავკასიური კულტურა წყვეტს ფუნქციონირებას და მის ადგილს სამთავრული კულტურისათვის დამახასიათებელი ძეგლები იჭერენ“ [14, გვ. 163].

კოტე ფიცხელაური შუა ბრინჯაოს ხანის ფინალურ ეტაპს დაახლობით ძვ.წ XVI ს-ში ათავსებს [16, გვ. 98]. ამასთან აღნიშნავს „ცენტრალურამიერკავკასიური კულტურა შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდის უშუალო გაგრძელებაა. ეს კულტურა წინ უსწრებს ბოლო დრომდე გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურად მიჩნეულ სამთავრულ თუ შიდაქართლურ ბრინჯაოს ფოთლისებურპირიანი სატევრების კულტურას. რადიოკარბონული ანალიზების სერიის მიხედვით (ფევრების სამაროვანი) ამ კულტურის თარიღი თითქოს ძვ.წ. XIV-XIII სს ფარგლებში უნდა მოთავსდეს“ [16, გვ. 107].

ამდენად, კ. ფიცხელაური ცენტრალურამიერკავკასიურ კულტურას, რომელიც ფევრების სამაროვნისათვის მიღებული რადიოკარბონული ანალიზების სერიის მიხედვით ძვ.წ. XIV-XIII სს. ფარგლებში ათავსებს, თუმცა არ გამორიცხავს ამ თარიღის შესწორებას მათი დაძველების მიზნით [16, გვ. 107]. ამ კულტურის ძეგლებად მას მიაჩნია ყათნალიხევის, მჭადიჯვრის გორის, ხოვლეგორას, საჯოგეს, ცხინვალის ნაცარგორას, საციხურის გორას, ზღუდრის ხევის, ბესას ტყის, ხაშურის ნაცარგორას, ჩალიპირაგორების, ფევრების, ჩალიანხევის (ვაისწყალი), წითელი გორების, დიდი გორის, ტყის ბოლო გორის, მურაკების გორის, ხაშალ გორის, ნერგით გორის, რუხი გორის, პატარა გორის, ბუმბულა გორის, ანაგის გორის, კომბალა გორის, ნაომარი გორის, დასაქანის, ნაომარი გორის (უდაბნო), საბადურის გორის, ავაზას გორის, ტახტი-მუხას, ჩანკაანის, სასანთლიანთ გორის, ხატის გორის, არხილოსკალოს გორის და ზემოქედის გორის ნამოსახლარები; ბაკურციხის, წითელი გორების (ყორღანები), სათვალისწყალის, უდაბნოს (№ 8 ყორღანი), უდაბნოს (№ 5 ყორღანი), ჩიჩხიტურის, ოლეს (№ 11, 13 ყორღანები), ულიანოვკის (სიღნაღის რ-ონი), კოდისწყაროს (ყორღანები), ფევრების, გადრეკილის „ნასადგომევი“, გადრეკილის „პირდაპირი მიწები“, გარდაბნის (ყორღანი), წეროვნის, ქარელის (ყორღანები), ორგორას (დოღლაური), ზურგოვანის (ყორღანი), სასირეთის (განძი), ციხიაგორას (საყარაულო სერი), ძველი ქანდას, ფლავისმანის, ბულაჩაურის, ბორჯომის, საჯოგეს (ყორღანები), ჩალიპირაგორების, თბილისის (ღრმაღელე-ყორღანები), ფლევის, კვირაცხოველის, ნამგალა მიწას, თრელის №№ 37, 42, 55, კოპალას, მადნისჭალის, მაჭარწყალის, სამთავროს, ირგანჩაის (№ 5 ყორღანი), ბორნიღელეს, აბანოს ღელეს (ხიმშიაანთ მიწები), ბერიკლდეების, ნატახტარი II (ყორღანები), რველის (ბანის ხევის), წაღვლის სამაროვნები [16, გვ. 104-105].

ამდენად, ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანის ძეგლების დათარიღების, მათი კულტურული ატრიბუციის საკითხები ჯერ კიდევ დასაზუსტებელია. მაგ. ბაიბურთის სამარხების დათარიღების საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ასევეა ილტოს კენოტაფთან და სხვა ძეგლებთან მიმართებაშიც. ასეთი სიტუაცია კი ახალ მასალებსა და ადრე გათხრილი მასალების ახლებურ გაანალიზებას ითხოვს. საკითხის გადაწყვეტა დიდად იქნება დამოკიდებული რადიონახშირბადული და სხვა მეთოდების გამოყენებით მიღებულ სერიულ თარიღებზე. ცენტრალური სამხრეთ კავკასიის ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებულ ყველა ძეგლზე მოპოვებული არტეფაქტების, მკაცრ იერარქიულ სისტემაზე დაფუძნებული, ტიპოლოგიური ანალიზის შედეგად შემუშავებული ტიპოლიგიური რიგების კორელაცია და მათი შეჯერება რადიონახშირბადის მეთოდით მიღებული კალიბრირებულ თარიღებთან, ამ ეპოქის დანაწევრებული ქრონოლოგიის შემუშავებას შეუწყობს ხელს. ამასთან, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კულტურულ-ისტორიული პროცესი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. ასეთი კვლევა კი შეიძლება ახალი არქეოლოგიური კულტურის (თუ კულტურების) გამოყოფის საფუძველი გახდეს.

მანამდე კი მხოლოდ გარკვეული ვარაუდების გამოთქმა შეიძლება. მიმაჩნია, რომ მკვლევართა ნაწილი სამართლიანად გამოყოფს შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე „გარდამავალ“ ეტაპს, რამდენადაც გარკვეულ საფეხურზე მართლაც შეინიშნება ამ ორი კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტების თანაარსებობა. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძეგლების ერთ ნაწილზე შუაბრინჯაოს ხანის მასალების სიჭარბე შეინიშნება, მეორე ნაწილზე კი მხოლოდ „გარდამავალი“ ეტაპისათვის დამახასიათებელი მასალები გვხვდება.

ჩემი აზრით, შეიძლება დავუშვათ, რომ „გარდამავალი“ ეტაპი ძვ.წ XVII საუკუნეს ან ძვ.წ. XVII საუკუნის მეორე ნახევარს მოიცავს. ეს ეტაპი შეესაბამება გ. ქავთარაძის მიერ გამოყოფილ შუა ბრინჯაოს ხანის II ფაზას, ალ. რამიშვილის გარდამავალი ეტაპის I ფაზას (ძვ.წ. XVI ს-ის პირველი ნახევარი).

ამ ეტაპის უადრეს ძეგლად თრიალეთში ჯინისის ნამოსახლარი მიმაჩნია. ჯინისის ნამოსახლარზე აღმოჩენილი კერამიკის ნაწილი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, თხელკეციანია და ზედაპირი გაპრიალებული აქვს. მათ შორის გვხვდება სამკუთხედის ფორმის, წვრილი შტამპით დატანილი სამკუთხედებით შემკული ნატეხები [4, ტაბ. LXXXIX_5, $XCIII_{5-7}$, $XCVIII_6$, $XCL_{5,6}$, $CLXIX_{7,8}$, $CLXXIX_1$, $CLXXX_6$] (ისინი ჭდევით დატანილ შევრონებს კი არ წარმოადგენენ, რაც დამახასიათებელია გარდამავალი ეტაპის ძეგლებისათვის, არამედ შეუვსებელი სამკუთხედების რიგს). მსგავსი ორნამენტით შემკული ჭურჭლები აღმოჩენილია თრიალეთის I და II ყორ-

ღანებში [6, ტაბ. $XV_{20,21,25}$, XVI_{13}], ზურტაკეტის № 3 [23, ტაბ. XV], № 4 [23, ტაბ. XXI, სურ. 37] ყორღანებში, ქვასათალის № 6 სამარხში [23, სურ. 64_{1-2}]; ნატახტარი II და III სამაროვნებზე [14, ტაბ. XX_{10}, XVI_5, $XXVI_{38,48}$]; წიწამურის № 13 სამარხში [12, გვ. 59, 69-73, სურ. 358, 362-365, 529-575]. ნატახტარისა და წიწამურის სამარხები შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულს მიეკუთვნება [14, გვ. 105-108; 12, გვ. 59; 25, გვ. 82, ტაბ. 191, 192, 194-195].

შეიძლება ითქვას, რომ ჯინისის ნამოსახლარის ამ ტიპის კერამიკა შუაბრინჯაოს ხანის კერამიკის იდენტურია და ამ ეპოქის ტიპიურ პროდუქტს წარმოადგენს.

ჯინისის ნამოსახლარზე, ზემოთ აღწერილ ჭურჭლებთან ერთად გვხვდება ისეთი კერამიკაც, რომელიც შედარებით უხეშკეციანია, ხაოიანი და დაღარული ზედაპირი აქვს. ასეთ ჭურჭლებს მხარზე ირიბად დაკეჭნილი სარტყელის რიგი შემოუყვება [4, ტაბ. CI_6, CXI_5, $CXVII_{4-6}$, $CXIX_9$, $CXXVI_{7,8}$, $CXLIX_{1,3}$, CL_5, $CLXXII_8$, $CLXXXVII_{5,7}$]. ასეთი ჭურჭლები იმერასა და საფარ-ხარაბას სამაროვანებზე აღმოჩენილ ჭურჭლებს ემსგავსება კეცით და დაკეჭნილი ორნამენტით, იმ განსხვავებით, რომ ჯინისის კერამიკისათვის რელიეფური სარტყლები დამახასიათებელი არ არის.

ჯინისისში აღმოჩენილი მეორე ტიპის ჭურჭლები პირველად შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულში ჩნდება [48, გვ. 67; 2, გვ. 65]. ასეთ კომპლექსებს რ. აბრამიშვილი შუაბრინჯაოს ხანის მიწურულს აკუთვნებს [2, გვ. 65], კ. ფიცხელაური მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სახის ჭურჭლების შემცველი კომპლექსების შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულისადმი მიკუთვნებას ეთანხმება, აღნიშნავს, რომ გარდამავალი ეტაპის გამოყოფა ეჭვს არ იწვევს და შემდგომი აღმოჩენები ამ ეტაპის ცალკეული საფეხურების გამოყოფის საშუალებასაც მოგვცემს [48, გვ. 67, შენიშვნა].

ამდენად, ჯინისის ნამოსახლარის შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულისათვის მიეკუთვნება მართებულად მიმაჩნია. უფრო სწორად, იგი წარმოადგენს ნამოსახლარს, სადაც პირველად ჩნდება „გარდამავალი“ ეტაპისათვის დამახასიათებელი კერამიკის ერთეული ფრაგმენტები. ნამოსახლარი, ჩვენი აზრით, ძვ.წ. XVII საუკუნით ან XVII ს-ის მეორე ნახევარით უნდა დათარიღდეს.

ქრონოლოგიურად მისი თანადროული უნდა იყოს ის ძეგლები, რომლებიც კ. ფიცხელაურმა შუაბრინჯაოს ხანის მიწურულსა და უშუალოდ „გარდამავალ“ ეტაპს შორის მოაქცია, გ. ქავთარაძე კი შუაბრინჯაოს II ფაზას აკუთვნებს. ის ძეგლები კი, სადაც „შუა ბრინჯაოს მასალებთან ერთად გვიანბრინჯაოს ხანის ტიპიური ნიშნები“ გვხვდება გვიანი ბრინჯაოს ხანის I ფაზას შეიძლება მიეკუთვნოს. ეს ფაზა ძვ.წ. XVI ს უნდა მოთავსდეს.

გვიანი ბრინჯაოს ხანის II ფაზა ძვ.წ. XV-XIV ს-ის შუა ხანებით (ძვ.წ. 1500-1350) უნდა დათარიღდეს. იგი შეესაბამება გ. ქავთარაძის გვიანბრინჯაოს II ფაზას, სადაც ბაიბურთის სამარხებს ათავსებს და ძვ.წ. XIV ს-ით ათარიღებს, ალ. რამიშვილი ამავე სამარხებს გარდამავალი II ფაზა-გვინბრინჯაო I ფაზაში აქცევს და ძვ.წ. XVI ს-ით ათარიღებს.

საფარ-ხარაბას (ბაიბურთის) და იმერას სამაროვნებს ჩვენ გვიანი ბრინჯაოს ხანის II ფაზაში ვათავსებთ. ბეშქენაშენის (ბეშთაშენი) ნამოსახლარიც ამ ფაზას უნდა მიეკუთვნოს. თუმცა, მასალის სიმცირის გამო, მისი ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოთავსება ჭირს და ამიტომ ზოგადად ძვ.წ. XVI-XIV სს. უნდა დათარიღდეს. თუმცა ძეგლზე დადასტურებული ნამოსახლარი ფენის სამი დონე, შემდგომი გათხრების შემთხვევაში, უფრო დანაწევრებული ქრონოლოგიის საფუძველი შეიძლება გახდეს [11]. ბეშთაშენის ნამოსახლარის და საფარ-ხარაბას სამაროვნის თანადროული დასახლებების ნაშთებს ბ. კუფტინმა სოფ. ოზნისთან [34, გვ. 5, 12, 16, 21; 37, გვ. 34-35] და სანთის (უწყლო) ქვედა „ციკლოპურ“ სიმაგრესთან მიაკვლია [35, გვ. 73-74].

ამ ფაზაზე უკვე გვაქვს წინააზიური სატევრის გარკვეული ტიპი და Common Style-ის ცილინდრული საბეჭდავები, რომელთა თარიღებიც ამ ფაზის თარიღს მისაღებს ხდის. ამ დროის მასალებში შუა ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი არტეფაქტები პრაქტიკულად აღარ გვხვდება.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე ორი სახის კერამიკაა აღმოჩენილი. ერთი ნაწილი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია შავად, ზედაპირი გაპრიალებულია. ზოგიერთი ეგზემპლარი შემკულია წნევით დატანილი ნაპრიალები ორნამენტით (ტაბ. IX, X, XV). მეორე სახის ჭურჭლები დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან (ტაბ. XI, XII, XIII), სქელკეციანია, ზედაპირი და ძირი შემკულია რელიეფური, თოკისებურად გრეხილი ან ირიბად დაკეჭნილი სარტყლებით. ორივე სახის კერამიკა უყურია. ჩარხზეა ამოყვანილი.

საფარ-ხარაბას და იმერას სამაროვანზე აღმოჩენილი კერამიკულ მასალას შუა ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელ ორნამენტი აღარ ახასიათებს. არ გვხვდება ე.წ. სოლისებური ორნამენტი. ასეთი ორნამენტი ცენტრალურამიერკავკასიური კულტურისათვის არის დამახასიათებელი, რომელიც გვიანბრინჯაოს ხანის III ფაზას მიეკუთვნება და ძვ.წ. XIV ს-ის შუა ხანებითა და ძვ.წ. XIII ს-ით (ძვ.წ. 1350-1200 წწ.) თარიღდება. რაც შეეხება სამთავრულ კულტურას, რომელსაც რ. აბრამიშვილი ძვ.წ. XIV ს-ით ათარიღებს, იგი ცენტრალურამიერკავკასიური კულტურის მიმდევნო საფეხურს

განეკუთვნება [14, გვ. 148-163, 242-247; 16, გვ. 107] და ძვ.წ. XII-XI სს უნდა დათარიღდეს.

ამდენად, საფარ-ხარაბას სამაროვანი გვიანი ბრინჯაოს ხანის II ფაზას შეესაბამება და ძვ.წ. XV-XIV ს-ის შუა ხანებით თარიღდება.

კ. ფიცხელაურს აღნიშნული აქვს, რომ ძვ.წ. XV ს დასაწყისიდან ყალიბდება ერთგვაროვანი კულტურა, რომელიც წინამორბედი "თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების" კულტურის მთელ არეალს იკავებს [48, გვ. 70].

ამ „ერთგვაროვანი კულტურის“ წრეს განეკუთვნება თრიალეთში გათხრილი საფარ-ხარაბას (ბაიბურთი), ბეშქენაშენის (ბეშთაშენი), უწყლოს (სანთა), მეთრევანას (იმერა) და ლოშოს (ოზნი) არქეოლოგიური ძეგლები.

ცენტრალურ სამხრეთ კავკასიაში გვიანი ბრინჯაოს II ეტაპის პირველი ძეგლი თრიალეთში, ადგილ ბაიბურთში გაითხარა (ბ. კუფტინის გათხრები), რომელიც ბარეთის ტაფობის ცენტრში მდებარეობს. ამიტომ, იმ „ერთგვაროვან კულტურას“, რომელიც "თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების" კულტურის მთელ არეალს იკავებს და ძვ.წ. 1500-1350 წწ. თარიღდება, პირობითად, „ბარეთის კულტურა“ შეიძლება ეწოდოს.

ამ დროს ყალიბდება არტეფაქტების მთელი კომპლექსი, რომელიც შემდგომი, ცენტარულ-ამიერკავკასიური კულტურისათვისაც არის დამახასიათებელი, იმ განსხვავებით, რომ ბარეთის კულტურის კერამიკისათვის არ არის დამახასიათებელი ყური და არ ახასიათებს სოლისებური ორნამენტი.

ცვლილებები ბარეთის კულტურაში ძვ.წ. XIV ს-ის შუა ხანებიდან შეინიშნება, როდესაც მის წიაღში ჩნდება ახალი მასალები. ეს მოვლენა, როგორც ჩანს, წინა აზიაში მიმდინარე პროცესებთანაც უნდა იყოს დაკავშირებული. ძალთა ახალმა გადანაწილებამ მითანის სამეფოს დასუსტება და დაცემა გამოიწვია, შეიცვალა კულტურულ-ეკონომიკური გარემო, რამაც სამხრეთ კავკასიაზეც მოახდინა გავლენა.

ბარეთის კულტურის უშუალო გაგრძელებაა ცენტრალურამიერკავკასიური კულტურა, რომელსაც სამთავრული კულტურა მოსდევს [14, გვ. 148-163, 242-247; 16, გვ. 107].

ბარეთის, ცენტრალურამიერკავკასიური და სამთავრული კულტურების ურთიერთმონაცვლეობა არქეოლოგიურად კარგად დასტურდება თრიალეთში. აქ, სოფ. ბეშთაშენსა და სოფ. საფარ-ხარაბას ტერიტორიაზე, 2 კვ. კმ ფართობზე სამივე კულტურის ნამოსახლარები და სამაროვნებია განთავსებული. თუ საფარ-ხარაბას სამაროვანი მხოლოდ ბარეთის კულტურას მიეკუთვნება, ბეშქენაშენის (ბეშთაშენი) ნამოსახლარის სტარატიგრაფია გვიჩვენებს, რომ ბარეთის კულტურის ნამოსახლარის თავზე ცენტრალურამიერკავკასიური ეპოქის სახლებია გამართული. ბეშთაშენის სამაროვნის ტერიტორიაზე, სადაც გვიანი ბრინჯაოს I ეტაპიდან მოკიდებული ელინისტური ხანის ჩათვლით ყველა ეპოქის სამარხებია გათხრილი, ზემოთ აღნიშნული სამივე კულტურის სამარხები გვერდიგვერდაა გამართული. ხოლო ის ფაქტი, რომ ერთი კულტურისათვის დამახასიათებელი არტეფაქტები მეორეში არ გვხვდება, მათ თანაარსებობას გამორიცხავს და იმაზე მიუთითებს, რომ ისინი სხვადასხვა ეპოქას მიეკუვნებიან.

ამდენად, ჩვენ ძირითადად ვიზიარებთ კ. ფიცხელაურის მიერ გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის შემუშავებულ ქრონოლოგიურ სქემას და, მცირე კორექტივების შეტანით, შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ „გარდამავალი“ ეტაპი ძვ.წ. XVII ს-ში შეიძლება მოთავსდეს, გვიანი ბრინჯაოს ხანის I ფაზა კი ძვ.წ. XVI ს-ით დათარიღდეს, გვიანი ბრინჯაოს II ფაზა – ძვ.წ. XV-XIV ს-ის შუა ხანებით და ამ ფაზას მიეკუთვნოს „ბარეთის კულტურის“ ძეგლები, გვიანი ბრინჯაოს III ფაზა – ძვ.წ. XIV ს-ის შუა ხანებით და ძვ.წ. XIII ს-ით, რომელსაც მიეკუთვნება „ცენტრალურამიერკავკასიური კულტურის“ ძეგლები, გვიანი ბრინჯაოს IV ფაზაში უნდა მოთავსდეს „სამთავრული კულტურის“ (ფოთლისებურპირიანი სატევრების შემცველი კომპლექსები, რომლებსაც კ. ფიცხელაური ძვ.წ. XIII ს-ის მიწურულსა და ძვ.წ. XII ს-ში ათავსებს [48, გვ. 101-103; 15, გვ. 178]) ძეგლები და ძვ.წ. XII-XI სს დათარიღდეს.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი მასალები მიუთითებენ, რომ საზოგადოებას, რომელსაც ეს სამარხები ეკუთვნის, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის, არამედ ახლო აღმოსავლეთის უძველეს ცივილიზაციებთან. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მითანიური ცილინდრული საბეჭდავები („Common Style”). ამ ტიპის საბეჭდავები სამხრეთ კავკასიაში იშვიათად გვხვდება. ისინი აქ იმპორტს წარმოადგენენ, რაც ამ რეგიონის გარე სამყაროსთან მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკურ კავშირებზე მიუთითებს. ასეთ ურთიერთობას საფარ-ხარაბას სამაროვანზე და სამხრეთ კავკასიის სხვა, თანადროულ ძეგლებზე აღმოჩენილი მესოპოტამიური, ანატოლიური და ეგვიპტური ნივთებიც ადასტურებენ.

სამხრეთ კავკასიაში ცილინდრული საბეჭდავებისა და სხვა წინააზიური ნივთების აღმოჩენა ამ რეგიონის ხური-მითანის სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირზე მიუთითებს, რომელიც ძვ.წ. XVI ს-დან ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო ხდება. მითანის სამეფო დინასტია ნათესაურ კავშირებს ამყარებს ეგვიპტის XVIII დინასტიის (ძვ.წ. 1550-1355 წწ) ფარაონებთან [44, გვ. 73].

ძვ.წ. XVI საუკუნეში ხურიტული მოსახლეობის გავლენა ევფრატის დასავლეთით უკვე ძლიერი იყო. ძვ.წ. XV საუკუნისათვის ხური-მითანის სამეფო უძლიერეს პოლიტიკურ გაერ-

თიანებას წარმოადგენდა. ძვ.წ. XIV საუკუნისათვის კი იგი იმდენად ანგარიშგასაწევი ძალა იყო, რომ ეგვიპტის ფარაონები მასთან ბრძოლას მითანის მეფეებთან ნათესაური კავშირების დამყარებას ამჯობინებდნენ. თუთმოს IV-ის ცოლი ართათამა I-ის ასული იყო. ამენხოტეპ III ცოლად ჰყავდა შუთარნა I-ის ასული, კელუხეფუ. ამენხოტეპ IV-ის (ეხნატონი) ულამაზესი მეუღლე – ნეფერტიტი, შესაძლოა თუშრატას ასული იყო [32, გვ. 357-358].

მითანიელები თავიანთ დაპყრობით ომებში ეყრდნობოდნენ სამხედრო ელიტას, ჯარს, რომელსაც როგორც მითანიში, ისე სირია-პალესტინაში ეწოდებოდა marijanni-na. ამ სიტყვას დაუსაბუთებლად უკავშირებდნენ ძველ ინდურ marya-ს რაც „ახალგაზრდა კაცს“, ავესტაში კი "მამაკაცთა კავშირის წევრს" ნიშნავდა. შემდგომ ეს marijanni-na ფენა გადაიქცა თავისებურ დიდგვაროვანთა წოდებად – "საბრძოლო ეტლებზე მოარულებლად", თუმცა ალალახის არქივის ტექსტებიდან ცნობილია ისეთი marijanni-na, რომლებსაც არა აქვთ საბრძოლო ეტლი [30, გვ. 47-48]. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სირია-პალესტინაში ცხენის და ეტლის შენახვა ძალიან ძვირი ჯდებოდა, რაც მხოლოდ მდიდარ ხალხს შეეძლო [30, გვ. 47].

ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების სამხრეთ კავკასიაში ეტლით, ან ხის სარეცელით (საზიდარით) მიცვალებულის დაკრძალვა, ან მიცვალებულისათვის ურმის დეტალების ჩატანება, შესაძლოა, კავკასიის ტერიტორიაზე სწორედ ამ სოციალური ფენის არსებობაზე მიუთითებდეს. ამაზე შეიძლება ის ფაქტიც მიუთითებდეს, რომ ეტლიან სამარხებში დაკრძალულები არიან როგორც მამაკაცები, ისე ქალები (საფარ-ხარაბას № 30 სამარხი, ბერიკლდეები, ლჭაშენი). ჩვენი აზრით, სამხრეთ კავკასიაში ეტლიან სამარხებში დაკრძალული მიცვალებულები სწორედ ეს marijanni-na დიდგვაროვნები არიან და მათი მაღალი სოციალური წარმომავლობის მაჩვენებელი ეტლია (საინტერესოა, რომ სვანურად მამაკაცი, მამრი არის მაარე და სახელი marijanni-na შესაძლოა ქართულენოვანი წარმომავლობის იყოს).

საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილია თვლიანი მძივები (2005 წელს გათხრილი №№ 6, 56, 73 სამარხები), ჯიხვისთავიანი საკინძი [36, გვ. 77, სურ. 87,1] და ქუსლიანი ჭურჭელი (ტაბ. $XIV_{2,5}$), რომელთა უახლოესი პარალელები ჩრდილოეთ ირანში, სამხრეთ თურქმენეთსა და ჩრდილოეთ ავღანეთში გვხვდება. თეთრი ან წითელი პასტით ინკუსტრირებული ბიკონუსური მძივები გავრცელებული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანში (თეფე ჰისარი III); სამხრეთ თურქმენეთში (მურღაბის აუზი), ნამაზგა VI პერიოდში; ინდის ველზე, პოსტხარაპულ კულტურაში; ჩრდილოეთ ავღანეთში (მუნდიგაკი) და ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდებიან. იგივე რეგიონშია გავრცელებული და ამავე პერიოდს მიეკუთვნება რქოსანი ცხოველის (ჯიხვი, ხარი) თავიანი საკინძები [51, გვ. 83-84, 102-104]. ქუსლიანი ვაზები და სასმისები გავრცელებულია ზაგროსის მთიანეთში, გიანის კულტურაში, სადაც ქრონოლოგიურად ძვ.წ. II ათასწლეულში ექცევა, ტერიტორიულად კი ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ირანშია გავრცელებული [52, გვ. 17-31]. თრიალეთისა და კასპიის ზღვის სამხრეთ რაიონებში მსგავსი მასალების აღმოჩენა ამ რეგიონების გარკვეულ კონტაქტებზეც უნდა მიუთითებდეს.

ჩვენი აზრით, ძვ.წ. XVI-XIV სს-ში, ხური-მითანის ძლიერების ხანაში, თრიალეთი განიცდიდა ამ სამეფოს ძლიერ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ გავლენას, რის შედეგად საფარ-ხარაბას სამაროვნის ინვენტარში ჩნდება წინააზიური ტიპის მახვილები, "Common Style"-ის ხური-მითანიური საბეჭდავები, მინის მძივები და ეგვიპტური სკარაბეები. ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში პოლიტიკური ძალების გადანაწილებას და ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას მოჰყვა მახლობელ აღმოსავლეთში ძველი საქარავნო გზების მოშლა. მანამდე (ძვ.წ. IV-III ათასწლ.) სავაჭრო გზა სამხრეთ კავკასიიდან მესოპოტამიაში, სირიასა და პალესტინაში, როგორც ჩანს, გადიოდა მალათიაზე. ამ ფაქტმა ხელი შეუწყო ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურების ჩამოყალიბებას ანატოლიაში [41, გვ. 24] და, შესაძლოა, კავკასიაში, აგრეთვე მათ გავრცელებას სამხრეთით. ეს სავაჭრო გზა ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში, ისევე როგორც ასირიელების სავაჭრო კოლონიები განადგურდა. ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებისათვის კავშირი სამხრეთ კავკასიასა და მესოპოტამიას შორის, შესაძლოა ხორციელდებოდა მცირე ზაბისა და არბელას გავლით. ამ ტერიტორიებს კი ძვ.წ. XV-XIV სს-ში აკონტროლებდა მითანი [42, გვ. 105].

ძვ.წ. XIV ს-ის მეორე ნახევარში ხეთების სამეფო, ეგვიპტე და ასურეთი გაერთიანებული ძალებით გამოვიდნენ მითანის წინააღმდეგ. ხეთების მეფე სუფილულიუმა I-მა (ძვ.წ. 1340-1325 წწ.) დაიპყრო მითანის მთელი მიწები ხმელთაშუაზღვამდე, კარხემიშის ჩათვლით [30, გვ. 69]. ძვ.წ. XIII ს-ის შუა ხანებში ასურეთის მეფე ადადნერარი I-მა დაიპყრო მითანის დიდი ნაწილი [30, გვ. 75].

კავკასიაში კულტურის ახალი ელემენტების გაჩენა თან სდევს ხური-მითანის სახელმწიფოს აყვავებას. მესოპოტამიური და ეგვიპტური იმპორტი წარმოადგენდა პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის ანარეკლს მახლობელ აღმოსავლეთში. ცილინდრულ საბეჭდავებთან ერთად კავკასიაში ვრცელდება წინა აზიური ტიპის სატევრები და მახვილები, მე-

სოპოტამიური და ეგვიპტური იმპორტი (სკარაბეები, საბეჭდავები, მძივები), ყალიბდება კერამიკის დამზადების სრულიად ახალი ტექნოლოგია. გავრცელებას იწყებს კერამიკის ახალი ტიპები. ჩნდება ორბორბლიანი ეტლები და საზიდრები, რომელშიც, როგორც ჩანს, ცხენები იყო შებმული.

ძვ.წ. II ათასწლეულში სავაჭრო ქარავნების ძირითად ტვირთს წარმოადგენდა ქსოვილები. მათ შორის იყო სხვადასხვა ფერის შალის და სელის ქსოვილები. ტანსაცმელი, განსაკუთრებით კი კარგი სამოსი, ხეთურ ანატოლიაში საკმაოდ ძვირად ფასობდა. ლამაზი ტანსაცმელი ღირდა 30 სიკლი, რაც 30 ცხვარს შეესაბამებოდა [31, გვ. 78-79].

საფარ-ხარაბას სამაროვანზე დაფიქსირებული იყო სხვადასხვა ფაქტურის და ფერის (მეწამული, ფირუზისფერი, ყავისფერი, ნაცრისფერი და ლურჯი) სელის და შალის ქსოვილები. ზოგი ნიმუში უხეში და შეუღებავია. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია წითელი-მეწამული ფერის ქსოვილის ნაშთი № 85 სამარხიდან. მეწამული ფერის ქსოვილების წარმოება და გავრცელება ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის (ლევანტის) ქალაქების მონოპოლიას წარმოადგენდა. წითელი საღებავი კეთდებოდა მხოლოდ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სანაპიროზე არსებული მოლუსკების სახეობისაგან [44, გვ. 74; 28, გვ. 90]. ამ მოლუსკებისაგან საღებავს ფინიკიელებამდეც აკეთებდნენ, მაგრამ ფინიკიელებმა იზრუნეს მის გავრცელებაზე მეზობელ ქვეყნებში [28, გვ. 90]. სწორედ ფინიკიელებმა დაიწყეს ამ მოლუსკებისაგან (Murex) მიღებული საღებავით სელის და შალის შეღებვა მეწამულისფერ-წითლად და ლილისფერ-ლურჯად. ამის შედეგად დიდ სამეურნეო მნიშვნელობას იძენს იაფი შეუღებავი შალის შემოტანა სირიის მეცხოველეობის რაიონებიდან და შემდეგ კი მთელი წინა აზიიდან. ფინიკიიდან კი წითლად და ლურჯად შეღებილი ქსოვილი გადიოდა დიდ ფასად (თავად საღებავი, შეღებილი ნივთებისგან განსხვავებით, ვერ უძლებდა ხანგრძლივ შენახვას, ამიტომ ექსპორტის საგანი ვერ იქნებოდა [44, გვ. 236]).

სამხრეთ კავკასიიდან ექსპორტის საგანს ალბათ წარმოადგენდა ლითონი, მატყლი, ტყავი, ხე-ტყე და ცხენები. ძვ.წ. II ათასწლეულში ახლო აღმოსავლეთში ცხენი და ცხენით შებმული ეტლი ძალზე ძვირად ფასობდა. შესაბმელი ცხენი ანატოლიაში 30 სიკლი ღირდა [31, გვ. 78]. ძვ.წ. II ათასწლეულში სირია-პალესტინაში ცხენი დიდი იშვიათობა იყო. ჯერ კიდევ ძვ.წ. XIV-XIII სს-ში ცხენები სახელმწიფოებათშორისო ვაჭრობის ობიექტს წარმოადგენდა და ძალზე ძვირად ფასობდა [56, გვ. 41]. თიგლათფილესერ I-მა ნაირის მეფეთა კავშირზე გამარჯვების შედეგად დააკისრა ვალდებულება: მათ უნდა გადაეხადათ 1200 ცხენი და 2000 მსხვილფეხა რქოსანი. სალამანსარ III ცხენების დიდ რაოდენობას იღებდა ურმიის ტბისპირეთიდან. ურარტულ წარწერებში ხშირადაა მოთხრობილი ამიერკავკასიის რეგიონებიდან მიღებულ ნადავლზე – ცხენების გამორეკვის შესახებ ვანის სამეფოს ცენტრში. ნადავლის სიაში პირველ ადგილას ცხენებია მოხსენიებული [47, გვ. 151].

თრიალეთის ძვ.წ. XVII–XVI სს-ის ნამოსახლარებზე ოსტეოლოგიური მასალით დასტურდება ამ ცხოველის გამოყენება ყოფაში. ძვ.წ II ათასწლეულის მეორე ნახევარში კი უკვე შეიძლება ვილაპარაკოთ განვითარებულ მეცხენეობაზე. შესაძლოა ძვ.წ. II ათასწლეულში იგი ვაჭრობის, კერძოდ კი სამხრეთ კავკასიიდან ექსპორტის ობიექტი იყო, რასაც აადვილებდა ძვ.წ. XVI-XIV სს-ში ხური-მითანის სამეფოს არსებობა სამხრეთ კავკასიიდან სირია-პალესტინამდე.

ძვ.წ. XV-XIV სს-ში თრიალეთი, ისევე როგორც ბარეთის კულტურის არეალი მითანის სამეფოს კულტურულ-ეკონომიკურ გავლენას განიცდის. არ არის გამორიცხული გარკვეული პოლიტიკური ინტეგრაციაც.

სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ რეგიონებში ძვ.წ. XVI ს-დან იწყება „ციკლოპური“ ნამოსახლარებისა და სიმაგრეების მშენებლობა, რომლებიც ძვ.წ. XIII ს-დან იმ ტერიტორიას ფარავენ, სადაც ადრე თრიალეთის და ბარეთის კულტურის ძეგლები იყო გავრცელებული. „ციკლოპური“ წყობით ნაგები ძეგლები შუა ბრინჯაოს ხანაშიც გვხვდება (დასაკრძალავდარბაზიანი ყორღანები, შაორის მთის წვერზე განლაგებული სატაძრო კომპლექსი), თუმცა ისინი საკულტო ხასიათისაა. თავდაცვითი ნაგებობების „ციკლოპური“ მშენებლობა კი, ალბათ, ძვ.წ. XVI საუკუნიდან იწყება (ბეშქენაშენი).

„ციკლოპური“ ძეგლების არეალში, როგორც ჩანს, ყალიბდება ცალკეული „სამეფოები“, რომელთა შორის თავისი სიძლიერით დიაუხი-დაიაენის „სამეფო“ გამოირჩევა.

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ხური-მითანის სამეფოს ტერიტორიის უდიდეს ნაწილს „ნაირის ქვეყნების“ გაერთიანება იკავებს, რომლის სათავეში, დიდი ხნის მანძილზე, დიაუხის სამეფო ჩანს.

G. Narimanishvili

SAPHAR-KHARABA BURIAL GROUND
(Summary)

Saphar-Kharaba burial ground is sitiated in Trialeti (pl. I_1), to the north of v. Saphar-Kharaba, Tsalka district (pl. I_2). It is 1500 m in length, and 500 m in width.

In 2003-2005 there were excavated 115 pit-graves. The graves were surounded by cromlechs

(D = 4-18 m), built by big basalt stones (pl. II-III). As a rule, in the centre of cromlech was fixed one grave oriented from north to east. Exception is only graves 67 and 68, which were find inside of one cromlech (pl. III_2). Deceaseds were lie on right or left side, oriented to the north (pl. IV, VII_1, VIII_{1-3}).

From 115 unearthed graves four of them (№№ 10, 23, 30, 90) are distinguished by there sizes (pl. IV_4, V_1, VI, VIII_1). In this graves deceaseds were put on the wooden burial beds (pl. V_1, VI), or in grave were put chariots or some details of them (pl. $IV_{3,4}$, V_2).

The burial goods represented mainly by clay wares. One part of pottery is thin, black burnished, with polish ornament (pl. IX-X). Second group is made from coarse-grained clay, brownish, and is decorated by relief bands (pl. XI, XII). In the grave were find also a weapons: daggers of Near Eastern style (pl. IV_2, VIII_{2-4}, XVI_2), scabards (pl. IV_1, VII_1, XVI_1), arrowheads (pl. XVI_4, $XVII_{8-11, 14-19}$). From other materials it should be mentioned lancet-like weapons with bone handle (pl. XVII_{2-3}), pyramidal stones (pl. XVII_{4-6}), authoritative insignias (pl. XVII_1, XIX_1) and Mitanian cylinder seals of "Common Style" (pl. XVIII_{1-4}). The date of the cemetery is 15th-14th cc. B.C.

ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმმ, XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 115-140.

2. აბრამიშვილი რ. თრელის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი. – თბილისი, I, თბ., 1978, გვ. 48-85.

3. აბრამიშვილი მ. თრიალეთის კულტურის აბსოლუტური ქრონოლოგიის საკითხისათვის (დამატებითი საბუთები „მაღალი ქრონოლოგიისათვის“). – კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები (ძიებანი, დამატებანი, X), თბ., 2003, გვ. 48-52.

4. ამირანაშვილი ჯ., ნარიმანიშვილი გ. ჯინისის ნამოსახლარი. – თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2004 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში (ხელნაწერი ინახება საქართველოს არქეოლოგიურ კომისიაში), თბ., 2005, გვ. 333-865.

5. ბენდუქიძე ო. ჯინისში აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალის შესახებ. – თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2004 წელს ჩატარებული საველე სამუშაოების ტექნიკური ჯგუფის ანგარიში (ხელნაწერი. ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბიბლიოთეკაში). თბ., 2005, გვ. 2-14.

6. გოგაძე ე. თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბ., 1972.

7. კუფტინი ბ. ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში. თბ., 1949.

8. ნარიმანიშვილი გ. წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია 1991 წელს (ხელნაწერი. ინახება საქართველოს არქეოლოგიურ კომისიაში). თბ., 1992, გვ. 12-35.

9. ნარიმანიშვილი გ. წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 2003 წლის ანგარიში (ხელნაწერი. ინახება საქართველოს არქეოლოგიურ კომისიაში). თბ., 2004, გვ. 27-361.

10. ნარიმანიშვილი გ. საფარ-ხარაბას სამაროვანი. – წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 2004 წლის ანგარიში (ხელნაწერი. ინახება საქართველოს არქეოლოგიურ კომისიაში). თბ., 2005, გვ. 239-320.

11. ნარიმანიშვილი გ. თრიალეთი ძვ.წ. II ათასწლეულში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბ. 2006.

12. ნიკოლაიშვილი ვ., ნარიმანიშვილი გ. წიწამური III. – მცხეთა, X, თბ., 1995, გვ. 58-96, სურ. 358-851.

13. რამიშვილი ალ. ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები წაღვლში. – ხაშურის ექსპედიციის შრომები, I (ძიებანი, დამატებანი, VII), თბ., 2004.

14. სადრაძე ვ. მცხეთისა და მისი შემოგარენის ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 2002.

15. ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-XII სს). თბ. 1973.

16. ფიცხელაური კოტე. ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა ძვ.წ. XIV-XIII სს. თბ., 2005.

17. ქავთარაძე გ. საქართველოს ენეოლითბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე. თბ., 1981.

18. ქორიძე დ. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწ. I. თბ., 1955.

19. ქორიძე დ. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწ. II. თბ., 1958.

20. ყვავაძე ელ. თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2003 წელს მოპოვებული მასალების პალინოლოგიური შესწავლის ანგარიში. – თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2003 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში (ხელნაწერი. ინახება საქართველოს არქეოლოგიურ კომისიაში), თბ., 2004, გვ. 18-72.

21. ყვავაძე ელ. თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2004 წელს მოპოვებული მასალების პალინოლოგიური კვლევის შედეგე-

ბი. – თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2004 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში (ხელნაწერი. ინახება საქართველოს არქეოლოგიურ კომისიაში), თბ., 2005, გვ. 2-36.

22. ჩუბინიშვილი ტ. მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1957.

23. ჯაფარიძე ო. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბ., 1969.

24. **Амиранашвили Дж. Нариманишвили Г.** Поселение эпохи средней бронзы из Триалети. – Международная научная конференция: Археология, Этнология, Фольклористика Кавказа, Материалы конференции, Баку, 2005, с. 42-43.

25. Апакидзе А., Николаишвили В., Гиунашвили Г., Давлианидзе Р., Джгаркава Т., Нариманишвили Г., Садрадзе В., Сихарулидзе А. Мцхетская экспедиция. – ПАИ (1986), 1991, с. 79-85.

26. Афанасьева В. Гильгамеш и Энкиду. М., 1979.

27. Бадж Э. А. У. Мумия. Материалы археологических исследований египетских гробниц. М., 2001.

28. **Бернхардт К.** Древний Ливан. М., 1982.

29. Британский музей. Лондон. составитель текста Б.Ривкин. М., 1980.

30. Вильхельм Г. Древний народ хурриты. М., 1992.

31. Герни О. Хетты. М., 1987.

32. **Египетская мифология. –** Енциклопедия. М., 2002.

33. Кавтарадзе Г. К хронологии эпохи энеолита и бронзы Грузии. Тб., 1983.

34. Куфтин Б. А. Дневник Триалетской археологической экспедиции. рукопись. Тб., 1947.

35. Куфтин Б .А. Дневник археологического отряда Цалкской комплексной экспедиции. Рукопись. Тб. 1936.

36. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.

37. Куфтин Б. А. Археологические раскопки 1947 года в цалкинском районе. Тб., 1948.

38. Куфтин Б. А. Археологическия маршрутная экспедиция 1947 года в Юго-Осетию и Имеретию. Тб., 1949.

39. **Леонтьев А.** Путешествие по карте языков мира. М. 1990.

40. **Мартиросян А. Л.** Армения в эпоху бронзы и раннего железа. Ереван 1964.

41. Меллаарт Дж. Торговля и торговые пути между северной Сирией и Анатолей (4000-1500 гг. до н.э.). –Древняя Эбла. М., 1985, с. 20-33.

42. Нариманишвили Г. Цилиндрические печати из Триалети. – Международная научная конференция: "Археология, Этнология, Фольклористика Кавказа", Материалы конференции, Тбилиси, 2004, с. 105-106.

43. Нариманишвили Г. К изучению знаков отличия (инсигния из Триалети). – Международная научная конференция: "Археология, Этнология, Фольклористика Кавказа", Материалы конференции, Баку, 2005.

44. История Древного Востока. Часть вторая. Под ред. Г.М. Бонгард-Левина. М., 1988.

45. Пилипосян А. Печати Армянского нагорья в системе древневосточной глиптики. Ереван., 1998 (на армянск. яз.)

46. Пилипосян А. Древневосточные кинжалы и мечи с рамочной рукоятью. Ереван, 1999.

47. **Пиотровский Б. Б.** Ванское царство (Урарту). М., 1959.

48. **Пицхелаури К. Н.** Конец бронзового века на Кавказе. Тб., 1979.

49. Пицхелаури К. Н. Новые аспекты хронологии археологических памятников центральной части Южного Кавказа. – Междисциплинарные исследования культурогенеза и этногенеза Армянского нагорья и сопредельных областей, Ереван, 1990, с. 246-251.

50. Погребова М. Печати митанийского стиля из Закавказья как исторический источник. – ВДИ, № 1, 2000, с. 145-150.

51. **Сарианиди В.** Древние земледельцы Афганистана. М., 1977.

52. Станкевич И. Керамика Южной Туркмении в бронзовом веке. – Древность и средневековье Средней Азии. М., 1978, с. 17-31.

53. Хачатрян Т. Древняя культура Ширака. Ереван, 1975.

54. Хачатрян Т. Артикский могильник. Ереван, 1979.

55. Франкфорт Г., Франкфорт Г.А., Уилсон Дж, Якобсон Т. В предверии философии. Духовные искания древнего человека. С-Пб., 2001.

56. Шифман И. Культура Древнего Угарита (XIV-XIII вв. до н.э.). М., 1987.

57. Badalyan R., Smith A., Avetisyan P. The Emergence of Sociopolitical Complexity in Southern Caucasia. Archaeology in the Borderbands. Invenstigations in Caucasia and beyond. Los Angeles, 2003, pp. 144-166.

58. Black J. and Green A. Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia. London, 1992.

59. Mansfeld G. Die “Königsgräber” von Aladca Höyük und ihre Beziehungen nach Kaukasien. – Archäologische mitteilungen aus Iran und Turan. band 33, Berlin, 2001, S. 19-61.

60. Salje B. Der “Common Style” der Mitanni – Glyptik und die Glyptik der Levante und Zypern in der Späte Bronzezeit. Mainz am Rhein, 1990.

61. Hagen R-M and R. Egypt – People, Gods, Pharaons. Kohln, 2002

ტაბულების აღწერილობა;

ტაბ. I – 1. ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის რუკა; 2. საფარ-ხარაბას სამაროვანი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ზონაში გათხრილი მონაკვეთი, დასავლეთი ნაწილი. გეგმა.

ტაბ. II – 1. სამარხი № 51, ქვაყრილის საერთო ხედი; 2. სამარხი № 51, კრომლეხის შიდა სივრცე, ქვაყრილის მოხსნის შემდეგ. საერთო ხედი; 3. სამარხი № 50, ქვაყრილის საერთო ხედი.

ტაბ. III – 1. № 62 და № 63 სამარხები, საერთო ხედი; 2. №№ 67-68 სამარხების ხედი გახსნის შემდეგ; 3. სამარხი № 75, ხედი ჩრდილოეთიდან.

ტაბ. IV – 1. სამარხი № 8, გეგმა; 2. სამარხი № 13, გეგმა; 3. სამარხი № 30, ურემი, II დონე, ჩანახატი; 4. სამარხი № 30, I დონე, გეგმა.

ტაბ. V – 1. სამარხი № 90, გეგმა; 2. სამარხი № 30, ურემი, III დონე, ჩანახატი; 3. სამარხი № 30, დეტალები – უღელი, ხელნა.

ტაბ. VI – 1-2. სამარხი № 90.

ტაბ. VII – 1-3. სამარხი № 8.

ტაბ. VIII – 1. სამარხი № 10; 2,4. სამარხი № 13; 3. სამარხი № 85.

ტაბ. IX – კერამიკა: 1. სამარხი № 1 (ინვ. № 7); 2. სამარხი № 23 (ინვ. № 170); 3. სამარხი № 19 (ინვ. № 141); 4. სამარხი № 19 (ინვ. № 144); 5. სამარხი № 15 (ინვ. № 120); 6. სამარხი № 9 (ინვ. № 89); 7. სამარხი № 29 (ინვ. № 203); 8. სამარხი № 2 (ინვ. № 20).

ტაბ. X. კერამიკა: 1. სამარხი № 10 (ინვ. № 100); 2. სამარხი № 17 (ინვ. № 127); 3. სამარხი № 30 (ინვ. № 257); 4. სამარხი № 2 (ინვ. № 19); 5. სამარხი № 30 (ინვ. № 259).

ტაბ. XI – კერამიკა: 1. სამარხი № 2 (ინვ. № 22); 2. სამარხი № 10 (ინვ. № 99); 3. სამარხი № 8 (ინვ. № 62); 4. სამარხი № 30 (ინვ. № 256); 5. სამარხი № 1 (ინვ. № 6); 6. სამარხი № 29 (ინვ. № 202).

ტაბ. XII – კერამიკა: 1. სამარხი № 5 (ინვ. № 30); 2. სამარხი № 6 (ინვ. № 47); 3. სამარხი № 10 (ინვ. № 98); 4. სამარხი № 13 (ინვ. № 108); 5. სამარხი № 28 (ინვ. № 194); 6. სამარხი № 12 (ინვ. № 104).

ტაბ. XIII – კერამიკა: სამარხი № 1 (ინვ. № 15); 2. სამარხი № 15 (ინვ. № 119); 3. სამარხი № 22 (ინვ. № 148); 4. სამარხი № 26 (ინვ. № 182).

ტაბ. XIV – კერამიკა: 1. სამარხი № 4 (ინვ. № 28); 2. სამარხი № 10 (ინვ. № 101); 3. სამარხი № 27 (ინვ. № 187); 4. სამარხი № 1 (ინვ. № 12); 5. სამარხი № 8 (ინვ. № 63); 6. სამარხი № 11 (ინვ. № 105); 7. სამარხი № 1 (ინვ. № 8); 8. სამარხი № 22 (ინვ. № 150); 9. სამარხი № 20 (ინვ. № 146).

ტაბ. XV – კერამიკა: 1. სამარხი № 5 (ინვ. № 31); 2. სამარხი № 22 (ინვ. № 167); 3. სამარხი № 22 (ინვ. № 172); 4. სამარხი № 22 (ინვ. № 147); 5. სამარხი № 26 (ინვ. № 180); 6. სამარხი № 9 (ინვ. № 92); 7. სამარხი № 1 (ინვ. № 9); 8. სამარხი № 22 (ინვ. № 169); 9. სამარხი № 16 (ინვ. № 107); 10. სამარხი № 1 (ინვ. № 10); 11. სამარხი № 17 (ინვ. № 129).

ტაბ. XVI – საბრძოლო იარაღი: 1. კაპარჭი (სამარხი № 8); 2. სატევარი (სამარხი № 13, ინვ. № 109); 3. სატევარი (სამარხი № 8, ინვ. № 65); 4. ისრისპირები (სამარხი № 85, ინვ. №№ 437-447, 450); 5. სატევარი (სამარხი № 85, ინვ. № 436).

ტაბ. XVII – № 8 სამარხის ინვენტარი: 1. ინსიგნია (ინვ. № 66); 2-3. ლანცეტისებური იარაღები (ინვ. №№ 67,68); 4-6. პირამიდისებური ქვები (ინვ. №№ 75-77); 7, 12-13. კაპარჭის გარსაკრავები (ინვ. № 69); 8. ისრისპირი (ინვ. № 84, აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოაღმოსავლეთ კუთხეში); 9-11, 14-19. ისრისპირები კაპარჭიდან (ინვ. № 70, 71, 83, 85).

ტაბ. XVIII – 1. ცილინდრული საბეჭდავი (სამარხი № 27, ინვ. № 191); 2-4. ცილინდრული საბეჭდავი (სამარხი № 5, ინვ. 44); 5,6,8,9. „სკარაბეოიდები“ (სამარხი № 6, ინვ. 49, 59, 60); 7. „სკარაბეოიდი“ (სამარხი № 6, ინვ. 50); 10-12. ოთხკუთხა საბეჭდავები (სამარხი № 6, ინვ. №№ 51-52); 13. ცილინდრული საბეჭდავი (სამარხი № 22, ინვ. 151).

ტაბ. XIX – 1. ბუნიკი (სამარხი № 85, ინვ. № 435); 2. ასურნასირაპალ II ქანდაკება; 3. გარსაკრავი (ინვ. № 249-2004, სოფ. ავრანლო); 4. ინსიგნია-კვერთხი (რეკონსტრუქცია, სოფ. ავრანლო); 5. ინსიგნია (ინვ. № 251-2004, სოფ. ავრანლო); 6. ხარის თავი (ინვ. № 250-2004, სოფ. ავრანლო).

Description of the plates

Pl. I – 1. map of Near East and Caucasus; 2. Saphar-Kharaba cemetery, excavated part in zone of Baku-Tbilisi-Jeikhan pipeline, western part. Plan.

Pl. II – 1. grave 51, overal view of the stone embankment; 2. grave 51, inner space of cromlech after removing of the embankment; 3. grave 50, overal view of the stone embankment.

Pl. III – graves 62 and 63, overal view; 2. graves 67-68; 3. grave 75.

Pl. IV – 1. grave 8, plan; 2. grave 13, plan; 3. grave 30, chariot, 2nd level, drawing; 4. grave 30, 1st level, plan.

Pl. V – 1. grave 90, plan; 2. grave 30, chariot, 3rd level, drawing; 3. grave 30, details of chariot.

Pl. VI – 1-2. grave 90.

Pl. VII – 1-3. grave 8.

Pl. VIII – 1. grave 10; 2, 4. grave 13; 3. grave 85.

Pl. IX – pottery: 1. grave 1 (inv. n. 7); grave 23 (inv. n. 170); 3. grave 19 (inv. n. 141); 4. grave 19 (inv. n. 144); 5. grave 15 (inv. n. 120); 6. grave 9 (inv. n. 89); 7. grave 29 (inv. n. 203); 8. grave 2 (inv. n. 20).

Pl. X – pottery: 1. grave 10 (inv. n. 100); 2. grave 17 (inv. n. 127); 3. grave 30 (inv. n. 257); 4. grave 2 (inv. n. 19); 5. grave 30 (inv. n. 259).

Pl. XI – pottery: 1. grave 2 (inv. n. 22); 2. grave 10 (inv. n. 99); 3. grave 8 (inv. n. 62); 4. grave 30 (inv. n. 256); 5. grave 1 (inv. n. 6); 6. grave 29 (inv. n. 202).

Pl. XII – pottery: 1. grave 5 (inv. n. 30); 2. grave 6 (inv. n. 47); 3. grave 10 (inv. n. 98); 4. grave 13 (inv. n. 108); 5. grave 28 (inv. n. 194); 6. grave 12 (inv. n. 104).

Pl. XIII – pottery: 1. grave 1 (inv. n. 15); 2. grave 15 (inv. n. 119); 3. grave 22 (inv. n. 148); 4. grave 26 (inv. n. 182).

Pl. XIV – pottery: 1. grave 4 (inv. n. 28); 2. grave 10 (inv. n. 101); 3. grave 27 (inv. n. 187); 4. grave 1 (inv. n. 12); 5. grave 8 (inv. n. 63); 6. grave 11 (inv. n. 105); 7. grave 1 (inv. n. 8); 8. grave 22 (inv. n. 150); 9. grave 20 (inv. n. 147).

Pl. XV – pottery: 1. grave 5 (inv. n. 31); 2. grave 22 (inv. n. 167); 3. grave 22 (inv. n. 172); 4. grave 22 (inv. n. 147); 5. grave 26 (inv. n. 180); 6. grave 9 (inv. n. 92); 7. grave 1 (inv. n. 9); 8. grave 22 (inv. n. 169); 9. grave 16 (inv. n. 107); 10. grave 1 (inv. n. 10); 11. grave 17 (inv. n. 129).

Pl. XVI – weapons: 1. scabard (grave 8); 2. dagger (grave 13, inv. n. 109); 3. dagger (grave 8, inv. n. 65); 4. arrowheads (grave 85, inv. nos. 437-447, 450); dagger (grave 85, inv. n. 436).

Pl. XVII – bural goods of grave 8: 1. insignia (inv. n. 66); 2-3. lancet-like weapons (inv. n. 67, 68); 4-6. pyramidal stones (inv. n. 75-77); 7, 12-13. scabard facings (inv. n. 69); 8. arrowhead (inv. n. 84, find in north-western corner of the grave); 9-11, 14-19. arrowheads from scabard (inv. n. 70, 71, 83, 85).

Pl. XVIII – 1. cylindrical seal (grave 27, inv. n. 191); 2-4. cylindrical seal (grave 5, inv. n. 44); 5, 6, 8, 9. scarabaeoids (grave 6, inv. nos. 49, 59, 60); 10-12. quadrangular seals (grave 6, inv. nos. 51-52); 13. cylindrical seal (grave 22, inv. n. 151).

Pl. XIX – 1. head of a rod (grave 28, inv. n. 435); 2. statue of Assurnasirpal II; 3. facing (inv. n. 249-2004, v. Avranlo); 4. insignia-rod (reconstruction, v. Avranlo); 5. insignia (inv. n. 251-2004, v. Avranlo); 5. bull head (inv. n. 250-2004, v. Avranlo).

ტაბ. I


შავი ზღვა
კავკასია
კასპიის
ზღვა
ორიანლეული

1


SAFAR-KHARABA
BESHTASHENI
Бешташени
T R I A L E T I
Ахалцихе
TSALKA

2

ტაბ. II

1

2

3

ტაბ. III

1

2

3

ტაბ. IV



1



2



3



4

ტაბ. V



ტაბ. VI

1

2

ტაბ. VII



1

2

3

ტაბ. VIII

1



2

3



4

ტაბ. IX



ტაბ. X



ტაბ. XI



ტაბ. XII



ტაბ. XIII



ტაბ. XIV



ტაბ. XV



ტაბ. XVI



ტაბ. XVII



ტაბ. XVIII



ტაბ. XIX



ნანა პაპუაშვილი, ლერი ჯიბლაძე, რევაზ პაპუაშვილი

კოლხეთის ენეოლითის, ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის სამაროვნების გავრცელების რუკა

ისტორიული კოლხეთის – დასავლეთ ამიერკავკავიის ტერიტორიაზე, 130-მდე პუნქტში, ენეოლითის, ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის მრავალი ტიპისა და ქრონოლოგიური დიაპაზონის სამაროვანი, სამარხეული კომპლექსი თუ ცალკეული სამარხის ინვენტარია აღმოჩენილი. ინფორმაცია მოცემულ ძეგლთა შესახებ სხვადასხვა ავტორთა მიერ სხვადასხვა დროისა და ხასიათის ლიტერატურაშია გაბნეული. არ არსებობს ამ ეპოქის სამაროვანთა ერთიანი ჩამონათვალი და გავრცელების რუკა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსება. ჩვენ არ ვისახავთ მიზნად ცალკეული ძეგლების ინტერპრეტაციას არც ქრონოლოგიური და არც ტიპოლოგიური თვალსაზრისით. შევეცადეთ ძეგლების მეტნაკლები სიზუსტით დატანას სქემატურ რუკაზე, ვიძლევით სრულ ჩამონათვალსა და ვუთითებთ იმ ლიტერატურას, სადაც პირველად და მეტნაკლები სისრულითაა გაჟღერებული ინფორმაცია ამა თუ იმ კომპლექსის შესახებ.


ფსოუ
ბზიფი
ბზიფი
განთიადი
გაგრა
ბიჭვინტა
გუდაუთა
სოხუმი
ოჩამჩირე
ანაკლია
ყულევი
ფოთი
ურეკი
ქობულეთი
ბათუმი
ჭოროხი
ბალიასტომი
ლანჩხუთი
ზუგდიდი
ქუთაისი
ჭიათურა
ცხენისწყალი
ტეხური
ხობი
ფაცა
ფოთი
ფოთი
ფაცა
ფოთი
ფოთი
ფოთი

9. ხაბიუ – დოლმენები, ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრული-ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისი [49, გვ. 24; 61, გვ. 230; 73].

10. აჩანდარა – დოლმენები [49,გვ. 23; 57, გვ. 26; 60, გვ. 45; 61, გვ. 230].

11. აჩანდარა – წინარეანტიკური ხანის სამაროვანი (სოფლის სხვადასხვა ადგილზე აღმოჩენილი) [49, გვ. 23-24; 50, გვ. 260].

12. მიქელრიფში – დოლმენები [60, გვ. 51; 61, გვ. 230-231].

13. ტროიცკი – დოლმენები [60, გვ. 51; 61, გვ. 230-231].

14. გუდაუთა – ძვ.წ. IX-VIII სს-ის სამარხები (სავარაუდოდ სამარხი ორმო) [49, გვ. 21].

15. კისტრიკის ნამოსახლარზე ძვ.წ. VIII-VII სს-ის ჩაშვებული სამარხი ორმოები [43, გვ. 20-21].

16. ბომბორას ველის ძვ.წ. VIII სს-ის სამაროვანი [49, გვ. 20-21].

17. ბომბორას ნამოსახლარზე ძვ.წ. VII-VI სს-ის ჩაშვებული სამარხი ორმოები [46, გვ. 3-5].

18. ლავინაია ბალკას ფარდულში (ცისფერ ტბასთან) მდებარე ადრებრინჯაოს ხანის მეორადი დაკრძალვის სამარხი ორმო [49, გვ. 18; 65, გვ. 80-81].

19. მდ. რიშევიუს ხეობა – დოლმენები [49, გვ. 35; 60, გვ. 49; 61, გვ. 230-231].

20. ფსხუ – დოლმენები [60, გვ. 46; 61, გვ. 230-231].

21. ყულანურხვა – დოლმენი [49, გვ. 22; 60, გვ. 45; 61, გვ. 230-231].

22. ყულანურხვა – ძვ.წ. VIII-VI სს-ის სამაროვანი [49, გვ. 22; 68].

23. მუგუძირხვა (ააქსტა) – წინარეანტიკური ხანის სამაროვანი (სამარხი ორმოები) [49, გვ. 18-19; 55, გვ. 56; 57, გვ. 147-148].

24. პრიმორსკოე – ძვ.წ. VIII-VII სს-ის სამაროვანი (ურნა სამარხები) [49, გვ. 24; 55, გვ. 14; 71, გვ.62-63].

25. მდ. მჭითშთას ხეობა – დოლმენი [60, გვ. 45; 61, გვ. 230-231].

26. აბგარხუკი – დოლმენი [60, გვ. 51; 61, გვ. 230-231].

27. აბგახურკი – წინარანტიკური ხანის სამაროვანი (ურნა და სამარხი ორმოები) [71, გვ. 56-57].

28. სანჩარი – დოლმენი [60, გვ. 48; 61, გვ. 230-231].

29. დოუ – დოლმენთა ჯგუფი [60, გვ. 49; 61, გვ. 230-231].

30. ლაპსთა – ადრებრინჯაოს ხანის მეორადი დაკრძალვის სამარხები [49, გვ. 17].

31. მდ. აგურიფსთას ხეობა – დოლმენები [60, გვ. 46; 61, გვ. 230-231].

32. მდ. ბაულის ხეობა – დოლმენები [60, გვ. 48, 61, გვ. 230-231].

33. კალდახვარა – მღვიმეში გამართული ადრებრინჯაოს ხანის გრუნტული სამარხი ორმოები, მეორადი დაკრძალვით [49, გვ. 18; 65, გვ. 81].

34. მდ. მადენგას ხეობა – დოლმენები [60, გვ. 50; 61, გვ. 230-231].

35. მდ. გუმრიფშის ხეობა – დოლმენები [61, გვ. 230-231].

36. ანუხვა აბხაზსკაია – დოლმენები [61, გვ. 230-231].

37. ახალი ათონი – დოლმენი [60, გვ. 50; 61, გვ. 230-231].

38. ახალი ათონი – ძვ.წ. VIII-VII სს-ის სამარხები [49, გვ. 26-27].

39. მისრა – ორი გვიანბრინჯაოს ხანის სამარხის კვალი [49, გვ. 26].

40. ზემო ეშერა – დოლმენები [ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრული, ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი [35, გვ. 65; 36, გვ. 99; 37, გვ.217-219].

41. ზემო ეშერა – წინარეანტიკური ხანის სამაროვანი (ოსუარიუმები, სამარხი ორმოები) [59, გვ. 126-127; 71, გვ. 66-67].

42. ქვემო ეშერა – კრომლეხები კოლექტიური მეორადი დაკრძალვით [70; 71, გვ. 52-55].

43. ქვემო ეშერა – წინარეანტიკური ხანის სამაროვანი [55, გვ. 15; 59, გვ. 15; 71, გვ. 48].

44. შრომა (ყოფილი მიხაილოვსკოე) – დოლმენი [49, გვ. 33; 60, გვ. 50; 61, გვ. 230-231].

45. შრომა – მღვიმეში გამართული ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანების მეორადი დაკრძალვის სამარხი ორმოები [49, გვ. 33].

46. ლეჩქოფი – ძვ.წ. VIII-VII სს-ის სამარხი [49, გვ. 31].

47. სოხუმის მთა – ძვ.წ. VIII-VII სს-ის სამაროვანი (სამარხი ორმოები) [13].

48. ცუგუროვკა – დოლმენები [49, გვ. 33; 60, გვ. 50; 61, გვ. 230-231].

49. წითელი შუქურა – წინარეანტიკური ხანის სამაროვანი (სამარხი ორმოები) [49, გვ. 30-31; 16, გვ. 11-29; 65, გვ. 89-90; 71, გვ. 67].

50. გუმისთა I-ის ნამოსახლარზე გამართული ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულის ქვის წრით შემოსაზღვრული სამარხი ორმოები [32, გვ. 272-273; 49, გვ. 31].

51. ვერეშჩაგინის მთა – ძვ.წ. VIII-VII სს-ის სამაროვანი (ურნა სამარხები) [49, გვ. 27; 57, გვ. 155-188].

52. იაშთხვა – გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები [49, გვ. 32].

53. შუბარა – წინარეანტიკური ხანის სამარხები [42, გვ. 452].

54. ზვანდრიფში – წინარეანტიკური ხანის ოსუარიუმები [49, გვ. 19; 50, გვ. 259].

55. გუმისთა II – წინარეანტიკური ხანის დაზიანებული სამარხი [10, გვ. 7].

56. სოხუმის ჰესი – ძვ.წ. IX-VIII სს-ის ქვაყუთი [49, გვ. 34; 59, გვ. 40].

57. კამან I – მღვიმეში გამართული ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანების მეორადი დაკრძალვის სამარხი ორმოები [49, გვ. 33; 65, გვ. 80; 73, გვ. 7].

58. მდ. ხიფსთას ხეობა – გვიანბრინჯაოს ხანის სამარხი ორმო მეორადი დაკრძალვით [71, გვ. 55].

59. პრცხა [ყოფილი როჟდესტვენსკი] – ორი ქვაყუთი [60, გვ. 50].

60. ახუპაჩი – დოლმენისებური ფილის ნაგებობანი [61, გვ. 230-231].

61. ორჯონიკიძე – წინარეანტიკური ხანის ურნა სამარხები [71, გვ. 68-70].

62. ჩობაგლუკი – ძვ.წ. IX-VIII სს-ის ორმო სამარხები [49, გვ. 25; 58, გვ. 129-130].

63. აჩკაცი – ძვ. შ. X-VIII სს-ის სამარხები [49, გვ. 22].

64. ბარმაში. ძვ.წ. VII-VI სს-ის სამარხეული მასალა [50, სურ. 2_{26}].

65. ალექსეევკას ხეობა – სამარხეული ინვენტარი [49, გვ. 35].

66. ბეშკარდაში – წინარეანტიკური ხანის დანგრეული სამარხი [50, გვ. 259].

67. აზანთა – შუაბრინჯაოს ხანის დოლმენები [36, გვ. 99-101; 52, გვ. 10-11; 55, გვ. 14-15; 73, გვ. 11].

68. აზანთა – ქვაყუთი [41,გვ. 14; 58, გვ. 67; 55, გვ. 85].

69. სული – შუაბრინჯაოს ხანის დოლმენები [52, გვ. 14-17].

70. ოქტომბერი – სამარხის [ყორღანის?] კვალი [49, გვ. 37].

71. ჩხალთა – დოლმენები [60, გვ. 51; 61, გვ. 230-231; 65, გვ. 71].

72. მდ. ჯამპალის ხეობა – დოლმენები [60, გვ. 51; 61, გვ. 230-231].

73. მერხეული (ადგილი ლაკადა) – ძვ.წ. VII-VI სს-ის ინდივიდუალური და კოლექტიური მეორადი დაკრძალვის სამარხი ორმოები [3].

74. ახუცა ჯგერდა – დოლმენები [49, გვ. 39; 60, გვ. 51; 61, გვ. 230-231; 65, გვ. 72].

75. ქლუხორის უღელტეხილი – ფარდულში გამართული ადრებრინჯაოს ხანის სამარხი ორმო [49, გვ. 39].

76. ბედია – დოლმენი [49, გვ. 41; 55, გვ. 14; 60, გვ. 51; 61, გვ. 230-231].

77. ტამიშის ნამოსახლარი – ძვ.წ. VII-VI სს-ის ჩაშვებული სამარხი ორმოები [45, გვ. 75-78; 47, გვ. 9-12].

78. პოვრეში (ფოქვეში) – ქვაყუთი (თარიღი მითითებული არ არის) [55, გვ. 85].

79. ჯანტუხი – ძვ.წ. VIII-VII სს-ის კოლექტიური სამარხი ორმოები მეორადი დაკრძალვით [71, გვ. 34-47; 72].

80. გაგიდა – შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის საწყისი პერიოდის სამარხეული ინვენტარი [38, გვ. 74-82].

81. ფიჩორი – კოლექტიური მეორადი დაკრძალვის სამარხი ორმო [40, გვ. 14-16].

82. გალი – უინვენტარო ქვევრსამრახი [55, გვ. 56].

83. ანაკლია II – შუაბრინჯაოს ხანის სამარხი ორმო [62, გვ. 34-35].

84-87. ერგეტა I, II, III, IV – ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნები მეორადი დაკრძალვით [27, გვ. 2; 28, გვ. 317-321; 31, გვ. 55-61; 63, გვ. 22-25; 64, გვ. 37].

88. ცაიში – ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი – კოლექტიური სამარხი ორმოები, მეორადი დაკრძალვით [29, გვ. 48-53].

89. პალური – ინდივიდუალური და კოლექტიური სამახი ორმოები მეორადი დაკრძალვით [26, გვ. 96-123].

90. დღვაბა – კოლექტიური სამარხი ორმოები მეორადი დაკრძალვით [27, გვ. 2].

91. გურძემი – კოლექტიური სამარხი ორმო მეორადი დაკრძალვით [1, გვ. 48; 39, გვ. 19-20].

92. სალხინო – ადრერკინის ხანის სამაროვანი [27, გვ. 6-7; 39, გვ. 30-32].

93. ვედიდკარი-მახათი (ადგილი ნაჭკადური) – ადრერკინის ხანის სამარხი ორმო [27, გვ. 6-7; 39, გვ. 30-32].

94. ნახუნაო – ადრერკინის ხანის ინდივიდუალური სამარხი ორმო [1, გვ. 47].

95. სუჯუნათის საძვალე [28, გვ. 317].

96. მუხურჩა – ძვ.წ. VIII-VII სს-ის კოლექტიური სამარხი ორმოები მეორადი დაკრძალვით [11; 54, გვ. 28-54].

97. ნალეფსაო – ადრერკინის ხანის სამარხი ორმო კოლექტიური მეორადი დაკრძალვით [1, გვ. 46; 27, გვ. 6-7].

98. ლეჭე – ადრერკინის ხანის მეორადი დაკრძალვის სამარხი ორმო [1, გვ. 46-47].

99. კურზუ – ადრერკინის ხანის სამარხი ორმო [1, გვ. 48].

100. ჭუბურხინჯი – სამარხეული ინვენტარი [56, გვ. 125-126; 27, გვ. 7; 28, გვ. 317-318].

101. ჯვარი – წინარეანტიკური ხანის სამარხეული ინვენტარი [56, გვ. 125-126].

102. ნოსირი – სამარხეული ინვენტარი [56, გვ. 125№126].

103. ფარცხანაყანები – სამარხეული ინვენტარი [57, გვ. 189].

104. არქიელის გორა – სავარაუდოთ სამარხეული ინვენტარი [57, გვ. 189]

105. ვანი (საკაკილე) – სამარხეული ინვენტარი [28, გვ. 317-318].

106. მოწამეთა – ადრებრინჯაოს ხანის ფენაში ჩაშვებული გვიანბრინჯაოს ხანის სამარხი ორმოები [32, გვ. 264].

107. თამაკონი – სავარაუდოდ სამარხეული ინვენტარი [30].

108. ბოგრეში – ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულისა და ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისის ქვაყრილიანი სამარხი [67, გვ. 131-134].

109. ქართვანი – წინარეანტიკური ხანის სამაროვანი (სამარხი ორმოები) [67, გვ. 128-130].

110. ბრილი – შუა და გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი (მათ შორის ბრილის აკლდამა, ქვაყუთები, სამარხი ორმოები) [2, გვ. 23-24; 7, გვ. 53-60].

111. საზანო – ძვ.წ. VII-VI სს-ის ქვაყრილიანი სამარხი ორმო [34, გვ. 41].

112. სამერცხლე კლდე – ადრე ბრინჯაოს ხანის სამარხი ორმო [32, გვ. 263].

113. დარკვეთის ეხი – მტკვარ-არაქსის კულტურულ ფენაში ჩაშვებული სამარხი ორმო [24, გვ. 36; 23, გვ. 136].

114. საგვარჯილე – ენეოლითური პერიოდის სამარხი ორმო [25, გვ. 57].

115. არგვეთა – ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე გვიანბრინჯაოს ხანის ჩაშვებული სამარხი ორმოები [32, გვ. 267].

116. ნაჩერქეზევი – ყორღანული სამარხები [32, გვ. 268; 33, გვ. 74-75; 37, გვ. 123].

117. ცარცის გორა – ყორღანული სამარხები [32, გვ. 268; 37, გვ. 122, 140; 33, გვ. 74-75].

118. ქორეთი – ყორღანული სამარხები [32, გვ. 268-270].

119. კორბოული – ძვ.წ. VIII-VII სს-ის ყორღანული ტიპის სამარხები [8].

120. მოდინახე – ბრინჯაოს ხანის სამაროვანი (ქვაყრილიანი, უქვაყრილო სამარხი ორმოები) [4, გვ. 20-28; 5, გვ. 21-26; 17, გვ. 5-17; 18, გვ. 48-72; 19, გვ. 5-151; 21, გვ. 34-42].

121. ურეკი – ადრერკინის ხანის სამაროვანი [22].

122. ნიგვზიანი – ადრერკინის ხანის სამაროვანი [22].

123. ხუცუბანი – გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი [12, გვ. 112; 27, გვ. 6].

124. კოლოტაური – ადრებრინჯაოს ხანის ქვის ფილებით ნაგები სამარხი [14, გვ. 112; 32, გვ. 279].

125. მახვილაური – გვიანბრინჯაოს ხანის ქვაყრილიანი სამარხი ორმოები [9,გვ. 13-14].

126. ფუშრუკაული – სავარაუდოდ წინარეანტიკური ხანის სამაროვანი [15, გვ. 141; 20, გვ. 10].

127. სიხალიძეები – სავარაუდოდ გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი [15, გვ. 74].

128. გონი – სავარაუდოდ წინარეანტიკური ხანის სამაროვანი [6, გვ. 121-122].

N. Papuashvili, L. Jibladze, R. Papuashvili

MAP OF THE SPREAD OF NECROPOLEIS DATING FROM AENEOLITHIC, BRONZE AND EARLY IRON AGES IN KOLKHETI

Summary

Approximately 130 points on the historical territory of Colchis have revealed different types of necropoleis, burial complexes and single burial inventory dating from the Aeneolithic, bronze and Early Iron Ages. Information about these finds is scattered in the works of different authors. Neither a comprehensive list, nor a map of their diffusion have been compiled yet.

The paper is an attempt to fill in this gap at least partially. The schematic map represents the places of finds with relative precision. A full list of the sites to date is presented with references to the works where these archaeological data were mentioned for the first time.

ლიტერატურა

1. **აფაქიძე ჯ.** ცენტრალური კოლხეთის არქეოლოგიური რუკა (ძვ.წ. XV-VI სს. სამარხები, განძები, მეტალურგიული სახელოსნოები). – ძმ, № 3, 1988, გვ. 46-52.

2. **ბარამიძე მ.** ბრილის აკლდამა. – 1960 წ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბ., 1961, გვ. 23-24.

3. **ბარამიძე მ.** მერხეულის სამაროვანი. თბ., 1977.

4. **ბერიკაშვილი დ.** ზემო იმერეთის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის სამარხთა პერიოდიზაცია. – არქეოლოგიური ჟურნალი III, თბ., 2005, გვ. 20-28.

5. **ბერიკაშვილი დ.** ზემო იმერეთის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2006.

6. **გაბიძაშვილი გ., სახაროვა ლ., სულავა ნ., სულხანიშვილი დ.** ლეჩხუმის არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიების შედეგები (1989-1991). – საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები), თბ., 2004, გვ. 121-122.

7. **გობეჯიშვილი გ.** არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1952.

8. გოგაძე ე., დავლიანიძე ც. გორაძირი. თბ., 1981.

9. გოგიტიძე ს. მახვილაურის ნამოსახლარზე 1982-1983 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში. – სდსძ, XVII, 1988, გვ. 3-24.

10. დოლიძე ნ. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მხატვრული ნაწარმი (ლითონის სამკაული). საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 1999

11. ელიავა გ. პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა. თბ., 1987.

12. იოსელიანი ა. ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973.

13. კალანდაძე ალ. სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. სოხუმი, 1954.

14. კახიძე ა., მამულაძე შ. აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1993.

15. კახიძე ა. მამულაძე შ. ჭოროხის აუზი – კოლხური კულტურის უძველესი კერა. ბათუმი, 2000.

16. კვირკველია გ. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის მატერიალური კულტურა ძვ.წ. VIII-V სს-ში. საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 1981.

17. ლომთაძე გ. მოდინახეს შუაბრინჯაოს ხანის სამარხები. – არქეოლოგიური ჟურნალი I, თბ., 2000, გვ. 5-17.

18. ლომთაძე გ. მოდინახეს გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები. – არქეოლოგიური ჟურნალი, III, თბ., 2001, გვ. 48-72.

19. ლომთაძე გ. მოდინახეს შუაბრინჯაოს ხანის სამარხები. – არქეოლოგიური ჟურნალი, II, თბ., 2001, გვ. 48-72.

20. მამულაძე შ. აჭარის წყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები. თბ., 2000.

21. მახარაძე გ. ლომთაძე გ. მოდინახეს წინარეანტიკური ხანის სამაროვანი. – არქეოლოგიური ჟურნალი, I, თბ., 2000, გვ. 34-42.

22. მიქელაძე თ. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბ., 1985.

23. ნებიერიძე ლ. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები. თბ., 1986.

24. ნებიერიძე ლ. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. თბ., 1987.

25. ნებიერიძე ლ. მღვიმე საგვარჯილეს ნეოლითური ხანის ნამოსახლარი, თბ., 2003

26. ოქროპირიძე ნ., ბარამიძე მ. პალურის საძვლე (1968 წლის გათხრების შედეგები). – მსკა, VI, 1974, გვ 96-123.

27. პაპუაშვილი რ. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამარხ ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის საბრძოლო იარაღების მიხედვით. საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 1998

28. პაპუაშვილი რ. ერგეტის სამაროვნები. – სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, თბილისი-ზუგდიდი, 1999, გვ. 317-321.

29. პაპუაშვილი რ., ესებუა თ. ცაიშის სამაროვანი. – ძიებანი, № 9, 2001, გვ. 48-53.

30. პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. მარტვილის რაიონის არქეოლოგიური ძეგლები (წლიური თემა), ხელნაწერი, 2004.

31. პაპუაშვილი რ. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამაროვანთა აგებულებისათვის. – ძიებანი, 2005, გვ. 55-64.

32. ფხაკაძე გ. ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში. – საქართველოს არქეოლოგია, ტ. II, თბ., 1992, გვ. 251-280.

33. ფხაკაძე გ. ენეოლით და ადრებრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოში. – საქართველოს არქეოლოგია, ტ. II, თბ., 1992, გვ. 216-250.

34. ღამბაშიძე ოთ. შემთხვევით აღმოჩენილი არექოლოგიური ძეგლები სოფ. საზანოდან. – სესია მიძღვნილი 1962 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1963, გვ. 45-46.

35. ჯაფარიძე ოთ. ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში. თბ., 1955.

36. ჯაფარიძე ოთ. დოლმენური კულტურა საქართველოში. – თსუ შრომები, ტ. 77, 1959, გვ. 77-126.

37. ჯაფარიძე ოთ. ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961

38. ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ., ხვისტანი რ. შუა და გვიანბრინჯაოს ხანის საწყისი პერიოდის უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენა გალის რ-ნის სოფ. გაგიდაში. – ძიებანი, № 13-14, 2004, გვ. 74-82.

39. Апакидзе Д. Центральная Колхида в эпоху поздней бронзы-раннего железа. Тб., 1991.

40. Барамидзе М. В., Чигошвили Т. Э., Квирквелия Г. Т., Джибладзе Л. В., Хубутия Г. Археологические исследования в селе Пичори в 1981-1982 гг. – АО Абхазии 1981-1982 гг., Тб., 1985, с. 14-16.

41. Бгажба О. Х., Воронов Ю. Н. История изучения археологии Абхазии. Тб., 1982.

42. Бжания В. В., Квициния В. К. Раскопки в Шубаре. – АО (1974), 1975, с. 452.

43. Бжания Д. В., Габелия А. Н., Аминов Ш. Н. Раскопки поселения Кистрик. – АО Абхазии 1983 г., Тб., 1987, с. 3-8.

44. Бжания В. В. Основные итоги работ на на новостройках Абхазии. – Вопросы археологии Абхазии, Сухуми, 1989, с. 40-43.

45. Бжания Д. С., Сангулия Г. А. Погребение ранеантичного времени из села Тамыш. – Вопросы археологии Абхазии. Сухуми, 1989, с. 75-78.

46. Бжания В. В., Габелия А. Н. Результаты исследования Бамборского поселения. – АО Абхазии 1986-1987 гг., Тб., 1990, с. 3-5.

47. Бжания В. В., Бжания Д. С., Когония Л. М., Сангулия Г. А., Джопуа А. И. Работы в селе Тамыш. – АО в Абхазии в 1986-1987 гг., Тб., 1990, с. 9-12.

48. Бжания В. В., Бжания Д. С. Гагрский могильник. Сухуми, 1990.

49. Воронов Ю. Н. Археологичкая карта Абхазии. Тб., 1969.

50. Воронов Ю. Н., Гунба М. М. Новые памятники колхидской культуры в Абхазии. – СА, № 2, 1978, с. 257-264.

51. Воронов Ю. Н. Древности Сочи и его окрестностей. Краснодар, 1979.

52. Воронов Ю. Н. Древности Азантской долины. Тб., 1982

53. Габелия А. Н. Могильник Цоухуа. – АО Абхазии 1980 г., Тб., 1982, с. 31-32.

54. Гогадзе Э. К. Вопросы хронологии и периодизации памятников Колхидской культуры (материалы Носири-Мухурча). – ᲜᲜᲛᲛ, XXVII-B, 1984, с. 28-54.

55. Иващенко М. М. Исследования археологических памятникоы материальной культуры в Абхазии. Тб., 1935.

56. Иессен А. А. К вопросу о древнейшей маталургии меди на Кавказе (ИГАИМК, 120), М., 1935.

57. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, I.1949.

58. Лукин А. Л. Матриалы по археологии Бзибской Абхазии. – ТОПКГЭ, I, 1941, с. 17-97.

59. Лукин А. Л. Эшерская находка. – ТАИ, XXVII, Сухуми, 1956, с. 126-177.

60. Марковин В. И. Дольмены Западного Кавказа. М., 1978.

61. Марковин В. И. Долмены Западного Кавказа. – Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. Ранняя и средняя бронза Кавказа. Археология СССР. М., 1994, с. 226-253.

62. Микеладзе Т., Мусхелишвили Д., Хахутаишвили Д. Итоги полевых исследований колхидской археологической экспедиции. – ПАИ (1977), 1980, с. 33-36.

63. Микеладзе Т. К. Мигдисова Н. П., Папуашвили Р. И. Исследования колхидской археологической экспедициию – ПАИ (1981), 1984, с. 22-25.

64. Микеладзе Т. К. К археологии Колхиды (эпоха средней и поздней бронзы раннего железа). Тб., 1990.

65. Соловьев Л. Н. Погребение дольменной культуры в Абхазии и прилегающей части Адлерского района. – Труды АБИЯЛИ, XXXI, 1960, с. 69-100.

66. Стражев В. Н. Бронзовая культура в Абхазии. – ИАНО, вып. IV, 1926, с. 105-134.

67. Чартолани Ш. К. Истории нагорья Западной Грузии доклассовой эпохи. Тб., 1989

68. Трапш М. М. Труды, I. Тб., 1970.

69. Трапш М. М. Труды, том II, Тб., 1969

70. Шамба Г. К. Эшерские кромлехи. Сухуми, 1970

71. Шамба Г. К. Раскопки древних памятников Абхазии, Сухуми, 1984

72. Шамба Г. К. Археологические памятники верховья реки Галидзга (Джантух). Тб., 1990.

73. Цвинария И. И. Новые памятники дольменной культуры Абхазии. Тб., 1990.

ნელი მუხიგულაშვილი

ვარსიმაანთკარის სამაროვნის ბრინჯაოს ილარები

ვარსიმაანთკარის სამაროვანზე (დუშეთის რ-ნი) გამოვლენილ არქეოლოგიურ მასალაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სამკაულს და პირადი მოხმარების ნივთებს უკავია. იგი წარმოდგენილია ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, ძვლის, ქვისა და მინის ნაწარმით. სახეობების მიხედვით გვხვდება: საყურეები, დიადემა, სასაფეთქლე რგოლები, საკინძები, სამაჯურები, ფიბულები, საკისრე რკალები, ბეჭდები, ილარები, ღილები და სხვა.

ვარსიმაანთკარის სამაროვანზე სამკაული ერთნაირადაა დამახასიათებელი ქალისა და მამაკაცის სამარხებისათვის, მაგრამ გამოირჩევა სახეობების მიხედვით. მაგ., მამაკაცის სამარხში თითქმის არ გვხვდება საკინძები, ქალებთან კი საყურეები. საინტერესო სახეებითაა წარმოდგენილი ილარები. ისინი სულ 12 ცალია გამოვლენილი – 11 ბრინჯაოსი და ერთი ძვლის. ყველა მათგანი თავთან გახვრეტილია, რისი საშუალებითაც, როგორც ჩანს მაგრდებოდა ბრინჯაოს ძეწკვზე. ზოგიერთ მათგანზე შემორჩენილია ბრინჯაოს ჯაჭვის რგოლი, 43-ე სამარხის მაგალითზე კი დადასტურდა, რომ ილარები საკინძებთან ერთად ბრინჯაოს ძეწკვზე იყო ჩამოკიდებული. როგორც ჩანს, ილარებს პრაქტიკული საჭიროების გარდა, სამკაულის და, შესაძლოა, ამულეტის დანიშნულებაც გააჩნდათ. თითოეული მათგანი მხატვრული თვალსაზრისით საკმაოდ მაღალ დონეზეა შესრულებული. სამაროვანზე გამოვლენილი ილარები ერთმანეთისაგან განსხვავდება მასალით, ფორმითა და ზომით და რამდენიმე ტიპად იყოფა.

I ტიპს წარმოადგენს ბრინჯაოს ილარი (ტაბ. I_1), რომელიც დამზადებულია ბრტყელი ფირფიტისაგან. თავთან ორადაა განშტოებული და დაბოლოებული რქისებრი შვერილებით. შვერილებს შორის ხვრელია დატანებული. ილარის ღერო ბოლოსკენ ვიწროვდება და მთავრდება კოვზისებური დაბოლოებით. ილარის ზედაპირი ჭდეული ტეხილხაზოვანი ორნამენტითაა შემკული. სიგრძე 8,6 სმ.

ანალოგიური ორნამენტით შემკული მსგავსი ილარი აღმოჩენილია ბეშთაშენის სამაროვანზე [2, ტაბ. XI_{25}]. განსხვავება შეინიშნება შვერილებზე. ჩვენთან მათ დასრულებული სახე აქვთ და ცხვრის რქების მსგავსად არ არის ჩახვეული, როგორც ეს ბეშთაშენის ილარზეა ნაჩვენები რეკონსტრუქციის შემდეგ. მას ძვ.წ. V ს-ით ათარიღებენ. ჩვენთან აღმოჩენილი ილარი სამარხეული კომპლექსის მიხედვით – მცირე ზომის პირმოყრილი ჯამით, მსხლისებურმუცლიანი, ფართო ძირიანი ხელადით, ცილინდრულთავიანი საკინძებით, რკინის ღეროდაკეჭნილი სამაჯურით, სასაფეთქლე რგოლებით, ძვ.წ. IV ს-ით შეიძლება დათარიღდეს. კერძოდ ამ საუკუნის მეორე ნახევრით. იგი საგანგებოდაა მოხრილი და დაზიანებული, რაც მსგავსად რკინის იარაღისა, დაკრძალვის რიტუალთან უნდა იყოს დაკავშირებული.

II ტიპის ბრინჯაოს ილარი დუგმისებური თავით (ტაბ. I_2) აღნიშნულ ილარს ქრონოლოგიურად წინ უნდა უსწრებდეს და ძვ.წ. V ს-ით უნდა თარიღდებოდეს. მას პირველი ტიპისაგან განსხვავებით შვერილების ნაცვლად დუგმისებურად ჩახვეული თავი აქვს. ზედაპირი შემკულია ზენური, „ხოხბისთვალა“ და წიწვისებური ორნამენტით. სიგრძე 9 სმ. იგი ზუსტ ანალოგს წარმოადგენს ბეშთაშენის ზემოთ აღნიშნული ილარისა. სამარხეულ კომპლექსში, გარდა ილარისა აღმოჩენილია თიხის ჭურჭელი ლეგა-ნაცნისფერი კეცით, ბიკონუსურმუცლიანი ტოლჩა, სამტუჩა ძირვიწრო ხელადა, ბრინჯაოს დიდი ზომის სასაფეთქლე რგოლები, პრიზმისებურთავიანი, ძეწკვიანი საკინძები, ვარსკვლავისებური ღილები და სხვ., რაც საფუძველს გვაძლევს აღნიშნული ილარი, სამარხეულ კომპლექსთან ერთად, ძვ.წ. V ს-ის ბოლო IV ს-ის დასაწყისით დავათარიღოთ.

როგორც ჩანს, მსგავსი ფორმის ილარები დიდხანს განაგრძობენ არსებობას, ვინაიდან ისინი ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის კომპლექსებშიც გვხვდება მცირედი ცვლილებებით – შემცირებულია ზომები (5 სმ), განსხვავებულია თავის ჩახვევის ხასიათი, ზედაპირი სადაა (ტაბ. $I_{4,5}$), იგი ჩამოკიდებული იყო ბრინჯაოს ძეწკვზე, კონუსურთავიან საკინძთან ერთად. კომპლექსში მასთან ერთად აღმოჩნდა: მკვეთრად პირგადაშლილი ფიალა, მსხლისებურმუცლიანი ხელადა, რკინის ღეროდაკეჭნილი სამაჯური და სხვა. თავის გაფორმებით მათ წააგავს ილარი (ტაბ. I_6), რომელსაც აქვს, მრგვალგანივკვეთიანი ღერო, შემკული წრიული და ამოღარული ხაზებით, მსგავსად ცხოველსახოვანი ილარების ღეროებისა. საკინძთან ერთად ბრინჯაოს ძეწკვზე ჩამოკიდებული ილარი ცნობილია თლიას სამაროვნებიდან [13, გვ. 125, ტაბ. VII_5].

ძალზე საინტერესოა ცხოველსახოვანი ილარები, ჩვენ ისინი II ტიპში გავაერთიანეთ. მათ ახასიათებთ მრგვალგანივკვეთიანი ღერო, ბოლოში კოვზისებრი დაბოლოებით. შემსხვილებული თავი ერთ მხარეს მთავრდება ვერძის გამოსახულებით, რომელსაც ფრთები და კუდიც აქვს. გამოსახულებას ზურგზე აქვს ზონარის გასაყრელი რგოლი. ილარის ღეროს შემსხვილებული ნაწილი შემკულია წრიული, რელიეფური რგოლებით და გამჭოლი წვრილი ხვრელით. სიგრძე – 6,7 სმ (ტაბ. $I_{7,8}$). ასეთი ილარი ორი ცალია, ერთი შეხედვით ერთმანეთის ანალოგიური, მაგრამ შეიმჩნევა სხვაობაც. ილარი

№ 7 – უფრო წაგრძელებული პროპორციებით ხასიათდება, თავი ძალზე გრძელი აქვს, მაშინ როცა № 8 პროპორციული ფორმებით გამოირჩევა. კარგად ჩანს ოდნავ აწეული ფრთები, მკვეთრად გამოყოფილი კუდი. ღეროც ორნამენტირებულია, ვერძი თითქოს გასაფრენ პოზაშია გადმოცემული, მაშინ როცა მეორე ილარზე იგი სქემატურია, ფრთები დაშვებული აქვს, ღერო სადაა.

მათ სახესხვაობას წარმოადგენს ილარები ვერძის გამოსახულებით (ტაბ. $I_{9,10,11}$), რომელთა შემსხვილებული და დაბრტყელებული თავი ორადაა განშტოებული და გადმოცემულია კეფაშექცევით მდგომი ორი ვერძის გამოსახულება. ილარების ზედა ნაწილი და ნაწილობრივ ღეროც ირიბი და წრიული ამოღარული ხაზებითაა შემკული. ერთ მათგანს ხვრელთან ერთად, ზონარის გასაყრელი კონუსური ყუნწიც აქვს (ტაბ. I_{12}), მათი სიგრძე მერყეობს 6,5-8 სმ შორის.

მიუხედავად დიდი მსგავსებისა ილარებზე მაინც შეიმჩნევა ხელოსნის ინდივიდუალობა. შეიძლება ეს გამოსახულების ხასიათის გადმოცემის გამოც იყოს გამოწვეული. ვერძის გამოსახულებები განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ძალზე რეალისტური სახეა მოცემული № 9 ილარზე – მკვეთრად ჩახვეული რქები, წინ წამოწეული დრუნჩი, მაღალი კისერი, მაშინ როცა № 10 ილარზე ოსტატი ვერ აღწევს სრულყოფილებას, იგი ცდილობს გადმოგვცეს ვერძის სახე, მაგრამ აკლია ის რეალობა, რაც № 9 ილარზეა მიღწეული. დრუნჩი ზედმეტად დაგრძელებულია, რქები არაბუნებრივად აპრეხილი, ორნამენტის ხასიათიც განსხვავებულია, იგი ძალზე დაბალი რელიეფითაა გადმოცემული. განსხვავებულია № 11 ილარიც, როგორც ვერძის სახით, რომელსაც ჩახვეული და მაღლა აპრეხილი რქები აქვს, ისე ღეროს გაფორმებით.

როგორც ცნობილია, ცხოველსახოვანი საკინძები ორად განშტოებული თავით, ჯერ კიდევ გვიანბრინჯაო-რკინის ხანიდან არის ცნობილი და მრავლად არის დადასტურებული ამ პერიოდის ძეგლებზე, კერძოდ, კასპის [1, გვ. 56, ტაბ. I_5], ნავთლუღის [6, ტაბ. $XXVIII_{1,2}$; ტაბ. XIX_3] სამაროვნებიდან. თლიას სამაროვანზე დადასტურებულია კვერთხისთავი, რომელიც ვერძისთავების გამოსახულებით ბოლოვდება [14, სურ. $1\text{-}4_{18}$, გვ. 7]. ხოვლეს IV ჰორიზონტში (ძვ.წ. IX-VII სს.) აღმოჩენილია საკინძი, კეფაშექცევით მოთავსებული ორი ვერძის გამოსახულებით [4, გვ. 40, ტაბ. XVII_{2349}], რომელიც ზუსტ ანალოგს წარმოადგენს ჩვენთან აღმოჩენილი ილარის გამოსახულებისა. ვერძის გამოსახულებებია დადასტურებული ნიგვზიანის № 12 ორმოსამარხებში აღმოჩენილ საკინძზე [12, სურ. 4_{11}] (ძვ.წ. VII ს-ის ბოლო-VI-ის დასაწყისი), ყობანის ძეგლებზე, კერძოდ სერჟენ-იურტის ნამოსახლარზე და სამაროვანზე [11, ტაბ. $XXXIV_{4,5\text{-}7}$] ვერძის გამოსახულებიანი ილარი გვხვდება სამადლოში (ძვ.წ. III ს.) [10, ტაბ. XI_{29}], წინანდალში [7, ტაბ. XIX] (ძვ.წ. VI-IV სს), ქლივანში[26], საირხეში[27].

ისინი ძირითადად ძვ.წ. IV-III სს. თარიღდება. ამავე პერიოდს, კერძოდ ძვ.წ. IV სს., განეკუთვნება ვარსიმაანთკარში აღმოჩენილი ცხოველსახოვანი ილარებიც. ფრინველის გამოსახულებიანი ილარები ცნობილია კამარახევში [9, სურ. 1198], კავთისხევის, დაჭრილების სამაროვანზე (ქვევრსამარხი № 14) [5, ტაბ. $XXXIV_{4,5,6}$] თარიღდება ძვ.წ. IV-III სს.

ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის ცხოველსახოვანი ილარები გენეტიკურად უნდა უკავშირდებოდეს გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში გავრცელებულ საკინძებს, რომლებიც ტრადიციულად დიდხანს ინარჩუნებენ ცხოველსახოვან სტილს. ვფიქრობთ, სწორია მ. ბარამიძე, როცა აღნიშნავს, რომ ცხვრის ფიგურებით საკინძის შემკობა წარმოადგენს რქისებურად ჩახვეული თავების ტრადიციის გაგრძელებას [1, გვ. 54]. ამ აზრს უნდა ამაგრებდეს ვარსიმაანთკარის ილარებიც, როცა ვერძისთავიან ილარებს წინ უსწრებს დუგმისებურთავიანი ილარები.

ვარსიმაანთკარის სამაროვანზე აღმოჩენილი ვერძისთავებიანი ილარები ძირითადად დამახასიათებელია ბავშვის სამარხებისათვის, რომლებიც სამარხეული კომპლექსების მიხედვით – წითლად შეღებილი და მოხატული, მსხლისებურმუცლიანი ხელადებით, ბრინჯაოს რკალგახსნილი, ოვალურფარაკიანი ბეჭდებით, ბრინჯაოს ზურგშედრეკილი და რკინის ღეროდაკეჭნილი სამაჯურების მიხედვით ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება. ყველა მათგანი მიღებულია ჩამოსხმით, ყალიბის დაკარგვის გზით. ალბათ ამით არის გამოწვეული, რომ თითოეული მათგანი ცალკეული დეტალებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ხელოსანი ყოველთვის ვერ ახერხებდა ზუსტი ასლის გამეორებას. კარგად ჩანს სახელოსნო სკოლის სტილი, ტექნიკური ხერხების ერთიანობა, საკმაოდ მაღალ დონეზე ჩანს ასული ბრინჯაოს სამკაულების მხატვრული დონე, ხელოსანი ახერხებს ასეთ მცირე ფართობზე რეალისტურად გადმოსცეს ცხვრის სახე, თითოეული ნაკვთი, რაც, ალბათ, ბრინჯაოს მეტალურგიის ტექნოლოგიური პროცესების კარგ ცოდნას და დახვეწილ სამუშაო იარაღებს მოითხოვდა.

ცხვარი, როგორც საკულტო ცხოველი, უძველესი დროიდანაა ცნობილი და გავრცელებული მოტივია ქართულ ხელოვნებაში. უკვე ადრებრინჯაოს ხანის ჭურჭლებზე გვხვდება ვერძის რქის გამოსახულებანი. შემდგომ პერიოდში მრავლდება მათი რიცხვი, რაც მესაქონლეობაში წვრილფეხა საქონლის რაოდენობის ზრდაზე უნდა მიუთითებდეს [1, გვ. 54]. მეცხვარეობის

[26] პირადი საუბრისას გამაცნო ა. სლანოვმა.

[27] ჯ. ნადირაძის 1985 წ. საანგარიშო სესიაზე წარმოდგენილი მოხსენება.

განსაკუთრებულ როლზე მიგვანიშნებს ეთნოგრაფი ჯ. რუხაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ ცხვარი მარტო შესაწირი ცხოველი კი არ იყო, არამედ ღვთაებასაც განასახიერებდა. შესაძლოა ვარსიმაანთკარში აღმოჩენილი ვერძისთავებიანი ილარები ამულეტის როლსაც ასრულებდა, რადგან ორ შემთხვევაში ვერძს ფრთებიც აქვს და ფანტასტიკური სახით არის გადმოცემული, რაც, ვფიქრობთ, მის მაგიურ მნიშვნელობას უნდა უსვამდეს ხაზს. დღესაც, როგორც ცნობილია, საქართველოს მთიანეთში ჭედილას მიყვანა ხატში საპატიო ძღვნად ითვლება, ვინაიდან საკლავის დაბღავლება ხატის კარზე ცუდის ნიშანია, ამიტომ უპირატესობა ყოველთვის ენიჭებოდა ცხვარს, როგორც უწყინარ ცხოველს. ვერძის რქების გატანა ხატის კარიდან არაფრით არ შეიძლებოდა. რქებს აჭრიდნენ და ხატის კარზე ტოვებდნენ, რითაც მატერიალურად ადასტურებდნენ რომ ის ღვთაებას შეეწირა.[28] შესაძლოა ჩვენს ილარებზე გამოსახული რქისებრი შვერილები გარკვეულად დაკავშირებული იყოს ღვთაებასთან და მასაც მაგიური მნიშვნელობა ენიჭებოდა, რითაც ადამიანთა წარმოდგენით გარკვეული ურთიერთობა მყარდებოდა ღვთაებასა და მათ შორის. როგორც ცნობილია, ცხვრის ქანდაკებები დიდი რაოდენობითაა დადასტურებული ყაზბეგის განძშიც [8, გვ. 66], მათ მაგიურ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს ლ. წითლანაძე, ამასთან არ გამორიცხავს ცხვრის ქანდაკებების კავშირს მიცვალებულის კულტთან [8, გვ. 12].

თავისთავად, ბავშვის სამარხებში ორ-ორი და სამი ილარის ერთად არსებობა უკვე მათ მაგიურ და არა პრაქტიკულ მნიშვნელობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. გამორიცხულია მათი მხოლოდ ყურის საწმენდად მიჩნევა. თუ მათ ზომებსაც გავითალისწინებთ, მითუმეტეს შეუძლებლად მიგვაჩნია მცირეწლოვან ბავშვებში მათი გამოყენება. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთ ილარს (№ 10) დაბოლოება შემსხვილებული აქვს და სხვა ილართა მსგავსად კოვზისებურად არ არის დამთავრებული. მძივებთან ერთად აღმოჩენის ფაქტიც, ვფიქრობთ, ხაზს უნდა უსვამდეს მათ მაგიურ დანიშნულებას, როგორც ავი სულებისაგან დამცავ საშუალებას. საინტერესოა, რომ I ტიპის ილარები თითო ცალია დადასტურებული, უფრო მეომარ მამაკაცთა სამარხებში, ბავშვებთან კი ორ-ორი ან სამია ერთად. როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდანაცაა ცნობილი, დღესაც იყენებენ სხვადასხვა ქვისა თუ ძვლისაგან დამზადებულ ამულეტებს (უფრო ხშირად ბავშვებში), როგორც ავი სულისა თუ თვალისაგან დამცავ საშუალებას.

აავგაროზის დანიშნულება უნდა ჰქონოდა III ტიპის ძვლის ილარსაც (ტაბ. I_{12}), რომელსაც ბრტყელი, ნიჩბისებური ფორმა აქვს, თავთან საკიდი ხვრელით. ზედაპირი წერტილოვანი ორნამენტითაა შემკული. სიგრძე – 4,8 სმ.

ანალოგიური ფორმის ილარი ჩვენთვის ცნობილი არ არის. წერტილოვანი ორნამენტი კი გავრცელებულია უძველესი დროიდან. მისი ქრონოლოგიური საზღვრები ძალზე დიდია – გვიანი ნეოლითიდან თანამედროვეობამდე [3, გვ. 10]; როგორც ჩანს, ასეთი ორნამენტი ძირითადად ძვალზე კეთდებოდა, რადგან ეს მასალა ადვილად ემორჩილებოდა დამუშავებას. მხატვრული თვალსაზრისით ნივთი ნაზია, კარგადაა დამუშავებული, ზედაპირი გაპრიალებულია, ბრინჯაოს ჟანგისაგან იგი ნაწილობრივ გამწვანებულია, რაც ნივთს უფრო ეფექტურს ხდის. ილარზე გამოსახული წერტილების რაოდენობა 21-ია. მათ განლაგებაში კანონზომიერება არ შეინიშნება. მხოლოდ ორ შემთხვევაშია განმეორებული 5-5 წერტილი. ვფიქრობთ, მათ მხოლოდ დეკორატიული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ.

ამრიგად, ვარსიმაანთკარის სამაროვანზე აღმოჩენილი ილარები, რომლებშიც სამი ტიპი გამოიყოფა. გარდა ფორმისა, ისინი ქრონოლოგიურადაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ილარები სამარხეული კომპლექსების მიხედვით ძვ.წ. V-IV სს-ებით თარიღდება.

N. Mukhigulashvili

Bronze ear-picks of Varsimaantkari necropolis

(Summary)

The paper deals with jewels of Varsimaantkari (Dusheti district) necropolis: bronze (11 items) and antler (single item) ear-picks (Pl. I. 1-12). They bear various decorations. It should be noted that one group of the ear-picks is adorned with imitations of ram's heads and horns. Judging by the peculiarity of the ornaments, it can be suggested that, besides practical use, they had magic functions as well (protection from evil demons). The ear-picks of Varsimaantkari are dated to the 5th-4th cent. B.C.

ლიტერატურა

1. **ბარამიძე მ.** კასპის სამაროვანი. – მსკა, IV, 1965, გვ. 31-66.

2. **დავლიანიძე ც.** ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში. თბ., 1983.

3. **კერესელიძე თ.** ძვლის ნივთების კატალოგი. 1978.

4. **მუსხელიშვილი დ.** ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა. თბ., 1978

[28] მასალები ხევსურეთის სინამდვილიდან გამაცნო ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მეცნიერ თანამშრომელმა ივ. წიკლაურმა.

5. ნაკაიძე ნ. ძვ.წ. IV-III სს. ქვევრსამარხები „დაჭრილების“ სამაროვნიდან. – კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980, გვ. 28-41.

6. ქორიძე დ. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I. თბ., 1955

7. ქორიძე დ. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, II. თბ., 1958

8. წითლანაძე ლ. ხევის არქეოლოგიური ძეგლები. 1978

9. ჯღარკავა თ. კამარახევის სამაროვანი. – მცხეთა, VI, თბ., 1982, გვ. 139-190.

10. **Гагошидзе Ю. М.** Самадло, каталог. Тб., 1981

11. Козенкова В. И. Типология и хронологическая классификация предметов Кобанской культуры. Восточноый вариант. САИ. вып B_{2-5}. М., 1982.

12. Микеладзе Т. К., Барамидзе М. В. Колхский могильник VII-VI вв. до н.э. в с. Нигвзнари. – КСИА ,151, 1977 г., с. 33-39.

13. Техов Б. В. Позднебронзовая культура Лиахвского бассейна. Сталинир, 1957.

14. Техов Б. В. Тлийский могильник, III, Тб.,1985.


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
0
3

თინათინ ჭანიშვილი

მაგიური დანიშნულების არტეფაქტი (ზარაკი) ანტიკური ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებიდან

სამარხეულ თუ არქეოლოგიურ მასალაში ხშირად ვხვდებით საგანთა სახეობას, რომელთა გამოყენება წარმართულ რელიგიებშია ცნობილი და მათი დაკავშირება წინასწარულად შეიძლება საკულტო-საკრალურ ნივთთა ჯგუფთან. ასეთი არქეოლოგიური ნივთია ზარაკი, რომელიც ხშირად დაკრძალვის რიტუალის ერთ-ერთი ატრიბუტია და მისი ცალკეული ელემენტების სიმბოლური მნიშვნელობის გარკვევა სპეციალური კვლევისა და ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ზარაკი თავისი ფორმით, ფუნქციონალური თვისებებით, არქეოლოგიური თუ ეთნოგრაფიული მასალის გათვალისწინებით, ყველა შემთხვევაში რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან, საკულტო-რიტუალურ ან საკრალურ წესებთან ჩანს დაკავშირებული. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ზარაკი თავიდანვე ჩნდება სამარხებში, როგორც დაკრძალვის ცერემონიალის ერთ-ერთი ატრიბუტი; ხოლო დაკრძალვის წესი, როგორც ცნობილია, ყოველთვის ატარებს რელიგიურ, რიტუალურ ხასიათს, რომლის საფუძველს წარმოადგენს რწმენა, რომ სული იმ წუთში არ ტოვებს სხეულს და მასთან არის კავშირში [40, გვ. 44].

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ზარაკი სამარხში ჩნდება, როგორც ცხენის აკაზმულობის ელემენტი; შემდგომში ის ჩანს ეჟვნებთან ერთად, როგორც შტანდარტის (ან ბუნიკის) „ჟღარუნა“ ნაწილი; ხოლო ბოლოს (ძვ.წ. IV ს-დან), სამარხში ჩანს, როგორც დამოუკიდებელი საკრალურ-ფუნქციონალური ნივთი.

თვით ტერმინი „ზარი“ (სპარს. „ტირილი“), შინაარსობრივად, დღესაც ერთის მხრივ, მიცვალებულის გასვენებისას უსიტყვო გალობასთან არის გაიგივებული (აქედან მოდის „ზარით ტირილი“); მეორეს მხრივ, იგი იხმარება სადღესასწაულო, საზეიმო შემთხვევებშიც – „ზარზეიმი“ [23, გვ. 230]. აქედან ჩანს ზარაკების ფუნქცია დაკრძალვის რიტუალში და საზეიმო ცერემონიალებში.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში ზარი მონაწილებას იღებს საღვთომსახურო პროცესში. საზარე კოშკები ჯვარ-ხატების ნაგებობათა კომპლექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია [3, გვ. 98]. ზარს მათ რიტუალში ერთ-ერთი წამყვანი და აუცილებელი ადგილი უჭირავს. ზარების რეკვა წირვის მნიშვნელოვანი ელემენტია. ხევსურეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში ზარის დარეკვა სპეციალურ ქადაგს სარიტუალო დროშის მატარებელს ევალებოდა, რომელიც „სამკადრეოს“ სახელით არის შემორჩენილი. „მკადრეს იმას ვეძახით, ვინც ზარს უკრავს... დროშასაც სამკადრეოს ვეძახით“ [19, გვ. 109]. აქტიურია ზარის როლი ქრისტიანულ რელიგიაშიც. ასე მაგ., შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, წმ. ბარბალეს (ცეცხლისა და ქარიშხლის მფარველი წმინდანი) ზარს სწირავდნენ. ქართულ სინადვილეში ზარს მარიამწმიდაობას (ცეცხლის ღვთაება) იყენებდნენ. ამ წესის შესრულების დროს ჯვარში, ჟამის წირვა ზარის ჩამოკვრის შემდეგ იწყებოდა [2, გვ. 3, 87].

ზარაკები საქართველოს ტერიტორიაზე თავდაპირველად გვხვდება კონუსური ან ცილინდრული ფორმის, გვერდშეჭრილი (თრელი, რკინის კალო, ნაცარგორა, ურეკი და სხვ.) და, როგორც აღვნიშნეთ, პირველად ჩანს სამარხებში, როგორც ცხენის აკაზმულობის ატრიბუტი. ცხენის დამარხვა მიცვალებულთან ერთად ადრეული ტრადიციაა – ძვ.წ. I ათასწლეულიდან ჩანს და ბოლო დრომდე დადასტურებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიულ ყოფაში. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის დაკრძალვის რიტუალში იგი შემორჩენილია „სულის ცხენის“ სახელით, თუმცა სახეცვლილებით (თვით მსხვერპლი – ცხენი, მისმა მოდელმა, სიმბოლომ შეცვალა) [5, გვ. 10].

რას წარმოადგენს თვით ზარაკი? რა დანიშნულება აქვს მას რიტუალში, შეიცავს თუ არა იგი საკრალურ-რიტუალურ თვისებებს თავისი მასალით, ფორმით, თანმხლები ელემენტებით?

როგორც ცნობილია, ზარაკი მზადდებოდა ლითონისაგან – ბრინჯაოსაგან (იშვიათად ვერცხლის ან ოქროსაგან), რკინის ენით. მსოფლიოს ყველა ხალხისთვის დამახასიათებელია უსულო საგნების გასულიერება. ყველა ნივთში, შემკულობაში, სამკაულში იდო შინაარსი და მიზანი [40, გვ. 40]. არასულიერი ნივთების გაცოცხლებას მოსდევს კულტის წარმოშობა და კულტთან დაკავშირებული განსაკუთრებული ურთიერთობები. ლითონის თვისებები (ელასტიურობა, სიმკვრივე, ბრწყინვალება, აკუსტიკა და სხვ.), მისდამი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იწვევდა. ლითონი სული და ღვთაება ხდებოდა. აქედან შეიქმნა ლითონის კულტი – სამკაულების, ამულეტების და სხვათა სახით. ასევე, აკუსტიკური თვისებებიდან გამომდინარე ხდებოდა ლითონის უტილიზება ზარაკების, გონგების, ეჟვნებისა და სხვათა სახით [40, გვ. 382-383; 43, გვ. 385-386].

მიუხედავად იმისა, რომ ზარაკები ფორმით მარტივი აგებულებისაა და ზომებითაც ძირითადად მცირეა (მაქს. სიმაღლე – 10-12 სმ; მინ. 1,9 სმ), მათი შემკულობა თითქმის აუცილებელი თანმხლები მოტივია, რაც თავის მხრივ, აძლიერებს წარმოდგენებს მის საკრალურ-საკულტო დანიშნულების შესახებ. ზარაკების შემკულობა

სხვადასხვა შესრულების ტექნიკის და ხასიათისაა: ნაღარ ხაზებით გამოხატული ტალღური ორნამენტი (დასავლეთ საქართველოს ზარაკები); ვერტიკალური გრძივი წახნაგებიანი კორპუსი; ნაკაწრი ხაზებით გამოსახული სტილიზებული წიწვოვანი ხის ორნამენტი, არწივის რელიეფური გამოსახულება, ბადისებური ნაღარი ორნამენტი, დაფანჯრული (გამჭოლი) სამკუთხედებით შემკული კორპუსი და სხვ. შემკულობას ზარაკებზე, გარდა მხატვრულ-სტილისტური მნიშვნელობისა და დანიშნულებისა, გარკვეული ქრონოლოგიური დატვირთვაც ენიჭებათ. უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ ტიპის შემკულობა თითქმის ყველა ტიპის ზარაკებზე გვხვდება. არის ორნამენტები, რომელთა წაკითხვა ძნელდება. ასეთებია რელიეფური, გრძივი წახნაგები, რომელიც თავიდანვე ჩანს კონუსურ და ცილინდრული ფორმის ზარაკებზე. ასევე საინტერესოა გამჭოლი (დაფანჯრული) სამკუთხედებით შემკული ზარაკები. ამ ტიპის (ზარისმაგვარი) ეჟვნები ცნობილია ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს ხანის სამარხებიდან და იგი პირველად გვხვდება შტანდარტის ან ბუნიკის შესამკობ და „ჟღარუნა“ ატრიბუტად. ვარაუდის დონეზე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ გამჭოლი სამკუთხედებით შემკულ ზარაკებს მხოლოდ სიმბოლური დანიშნულება ჰქონდათ, ვინაიდან ეს შემკულობა (დაფანჯრულობა) ზარაკის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციისათვის (გახმოვანება – „ჟღარუნი“) ძნელად გამოსადეგი იქნებოდა. ამიტომ, შესაძლოა, გამჭოლი თუ ორნამენტით შემკული ზარაკები ადრეული ზარაკების ან ეჟვნის ტრადიციის გამგრძელებელ საკრალურ ნივთებს წარმოადგენდა დაკრძალვის რიტუალში (პირველად ჩანს მხოლოდ ძვ.წ. I ს-დან).

ნაღარი ორნამენტული სახე, რომელიც ზარაკებზე გარკვეული დროიდან ჩნდება (ძვ.წ. VI ს.), ყველა სახეობის ზარაკებისათვის არ არის დამახასიათებელი. პირველი ორნამენტული გამოსახულება ზარაკებზე ჩნდება ძვ.წ. VI ს-დან. ეს არის ცილინდრული, გვერდშეჭრილ ზარაკებზე ნაღარი ხაზებით შესრულებული სტილიზებული წიწვოვანი ხის ორნამენტი. შემდგომში ეს შემკულობა ჩანს ძვ.წ. VI-V სს-ის სამაროვანთა სამარხების – კაზრეთის, შორის, ციხიანას (ს. აბანო), კიკეთის და სხვ. ზარაკებზე [20, გვ. 30, ტაბ. XX; 22, გვ. 42, ტაბ. XI; 36, გვ. 70; 9, გვ. 107-109, ტაბ. XI_{28}]. ამათგან ციხიანას ზარაკი, ამ შემკულობის პირველი შემთხვევაა აღმოსავლეთ საქართველოში. ორნამენტი ზარაკის კორპუსის მხოლოდ ქვედა ნაწილშია მოთავსებული. ძვ.წ. VI-V სს-ში აღმოსავლეთ საქართველოს სამაროვნებზე ზარაკების რიცხვი იზრდება. ზარაკების მხოლოდ ერთი ტიპი (ცილინდრული, გვერდშეჭრილი) დომინირებს; ზომებიც იზრდება და თითქმის სტანდარტული ხდება (სიმაღლე – 10-10,8 სმ); ორნამენტი მეორდება (წიწვოვანი ხე). თითქმის იგივე სურათია დასავლეთ საქართველოს სამაროვნების – საირხის, სოხუმის მთის, წითელი შუქურას, იაშთხვას და სხვ. სამარხებში აღმოჩენილ ზარაკებზე [18, გვ. 23, ტაბ. $XXVII_{1,2}$; 42, გვ. 33-37, სურ. I_{4-II}; 41, გვ. 205, ტაბ. XXII_5; 12, გვ. 74, ტაბ. 28_2]. აქაც პარალელურად ზარაკების ორი ძირითადი სახეობა ფიგურირებს: ცილინდრული, გვერდშეჭრილი და კონუსური ფორმის. ორივე სახეობის ეს ზარაკები შემკულია: კონუსური-ამოღარული, ტალღისებური (ზიგზაგი) ორნამენტით კორპუსის ძირთან; ცილინდრული – წიწვოვანი ხის და არწივის გამოსახულებით. წიწვოვანი ხის (ნაძვის?) საკმაოდ რეალისტური გამოსახულება ჩანს იაშთხვას ძვ.წ. V ს-ით დათარიღებულ № 1 სამარხში აღმოჩენილ ცილინდრულ ზარაკზე (აქვე აღმოჩნდა კონუსური ფორმის, ნაღარი სარტყლებით შემკული ზარაკები) [12 გვ. 74, ტაბ. 28_2]. ასეთივე ორნამენტი ჩანს საირხის ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ აკლდამაში (№ 5) აღმოჩენილ მასიურ (სიმაღლე – 12,8 სმ) ცილინდრული ფორმის ზარაკზე [18, გვ. 37, ტაბ. $XXVII_{1,2}$] და სოხუმის დასავლეთით, ეშერის ნაქალაქართან ძვ.წ. VI ს-ით დათარიღებულ სამარხში [42, გვ. 35].

მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის ზარაკები (ცილინდრული, გვერდშეჭრილი) შემდგომშიც, ძვ.წ. I ს-მდე გვხვდება (თუმცა მცირე ზომის), ეს შემკულობა დამახასიათებელია მხოლოდ ძვ.წ. VI-V სს-ის ზარაკებისათვის.

ვინაიდან ზარაკების პირველი ორნამენტული სახე წიწვოვანი ხეა, შედარებით ფართოდ შევჩერდებით შემკულობის ამ მოტივზე.

მცენარის – ხის გამოსახულება ზარაკებზე უშუალოდ დაკავშირებულია იმ რწმენა-წარმოდგენებთან, რომლებიც გამომდინარეობდა მცენარეთა კულტიდან და რომლებიც გავრცელებული იყო ძველი სამყაროს თითქმის ყველა ხალხში. ბერძენთა პირველი ღმერთები მცენარეულ სამყაროსთან იყო დაკავშირებული. ხეების კულტი საბერძნეთში იმდენად გავრცელებული იყო, რომ ტაძარი თუ ქანდაკება საღვთო ხეების გვერდით მდებარეობდა. ასევე გავრცელებული იყო ხეების კულტი პალესტინაში, აფრიკაში, სამხრეთ ამერიკაში, ინდოეთში, კელტებში, გერმანელებში და სხვ. [40, გვ. 437]. ხის კულტთან იყო დაკავშირებული ე.წ. სიცოცხლის ხეც („მსოფლიო ხე“), რომელიც ძველი სამყაროს თითქმის ყველა ხალხში და მათ შორის ქართველურ ტომებშიც იყო პოპულარული. ეს შემორჩენილია ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც. ასე მაგ. ლაზურ ორნამენტში გამოსახული სიცოცხლის ხის მოტივი, ცეცხლის, კერისა და მიცვალებულის კულტთან იყო დაკავშირებული. ხის კულტის განსახიერებას წარმოადგენს აგრეთვე „.. ხევსურული მეგრელაურის მირონიანი მუხა, ფშავური ლაშარის ოქროს შიბიანი ბერმუხა და აგრეთვე, სვეტიცხოველი, მარტვილის ჭყონდიდი და მეგრული „კელეპტარი“ (მიცვალებულის ხე)“ [24, გვ. 310, 317]. ანტიკურ სამყაროში მცენარეებიდან – ნაძვს დაკრძალვის

სიმბოლური მნიშვნელობაც ჰქონდა [16, გვ. 16]. ზოგიერთი ხე ღმერთებისადმი ხელდასმულად ითვლებოდა. მათ შორის იყო ნაძვი – კიბელასა და დიონისეს ატრიბუტად წარმოსახული [16, გვ. 160]. ზარაკების გარდა, წიწვოვანი ორნამენტი საქართველოს ანტიკური ხანის სხვა ნივთებზეც (მართალია, იშვიათად), გვხვდება. ასე მაგ. დაბლაგომის ქვევრსამარხში (№ 1) აღმოჩენილ ადგილობრივ წარმოების დოქის ყურზე გამოსახული წიწვოვანი ხის ორნამენტი. სამარხეული კომპლექსი ძვ.წ. IV-III სს მიწურულით თარიღდება [10, გვ. 50, სურ. 72_4]; ასევე, ვანის ბრინჯაოს ერთ-ერთ საბეჭდავზე, ორ არწივს შორის მდგარი ხე, რომელიც ღეროსა და ფოთლების მიხედვით ნაძვს უნდა წარმოადგენდეს [15, გვ. 158, 160-161, სურ. 132_7]. იგივე ორნამენტია გამოსახული ვერცხლის ბეჭედ-ინტალიოზე დაფნარიდან, რაც „... მცენარეული ორნამენტის დეკორის სახით გამოყენება საქართველოში ჭრილფარაკიან ბეჭდებში იშვიათი მოვლენაა და ერთეულ შემთხვევებში გვხვდება“ [15, გვ. 65].

ამრიგად, წიწვოვანი ხის დეკორი გვხვდება გლიპტიკაშიც და კერამიკაშიც. თუმცა, იგი დამახასიათებელი ჩანს ძირითადად ზარაკებისათვის ძვ.წ. VI ს-ში. საერთოდ, ამგვარი ორნამენტის აღმოჩენათა რიცხვი საქართველოს ტერიტორიაზე არც თუ ისე დიდია, მაგრამ ეს დეკორი შემთხვევითი მოვლენა არ არის და მას გარკვეული სიმბოლური, საკულტო-საკრალური დატვირთვა უნდა ჰქონოდა.

როგორც აღვნიშნეთ, წიწვოვან ორნამენტთან ერთად ზარაკებზე გვხვდება არწივის გამოსახულებაც. ამ დეკორით შემკული ზარაკები აღმოჩნდა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში: წითელი შუქურა, სოხუმის მთა და ბრილი.

არწივისგამოსახულებიანი ზარაკი აღმოჩნდა წითელი შუქურის სამაროვნის № 8 სამარხში. გარდა ზარაკისა, სამარხში ცხენის თავის ქალა და ლაგამი დადასტურდა. გამთხრელის მიერ სამარხი ძვ.წ. VIII-VII სს-ით დათარიღდა [41, გვ. 90, ტაბ. XXI_5]. მოგვიანებით, წითელი შუქურის სამაროვნის შემდგომი შესწავლის შედეგად სამარხები გადათარიღდა, ხოლო № 8 სამარხი ძვ.წ. VII-VI სს. მიეკუთვნა [30, გვ. 5-6]. იგივე სამარხი გ. ლოთქიფანიძემ ძვ.წ. VI-IV სს-ით დაათარიღა [32, გვ. 348; 33, გვ. 41, ტაბ. XXVII_{5-6}]. წითელი შუქურის ეს სამარხი (№ 8) უშუალოდ № 7 სამარხს ემიჯნებოდა [41, გვ. 90]. № 7 სამარხის კომპლექსი ოთხი ნივთისგან შედგებოდა: ჰოპლიტური ფარის გარსაკრავის, რკინის ორი მასრაგახსნილი შუბისპირისა და რკინის დანისაგან. ვინაიდან ამ ნივთების გავრცელების ქრონოლოგიური დიაპაზონი ფართოა (ზედა ქრონოლოგიური საზღვარი – ძვ.წ. V ს., ქვედა – ძვ.წ. VII-VI სს), № 7 სამარხის ბრინჯაოს სხმულ ორწილად ლაგმებზე და № 8 სამარხის ბრინჯაოს იმპორტულ ჰოპლიტურ ფარზე დაყრდნობით, ამ სამარხების თარიღი, შეიძლება ძვ.წ. VI ს. იყოს, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ბერძნული ნივთების იმპორტი წითელ შუქურასა და მის მეზობლად მდებარე გუადიხუს სამაროვნებზე მხოლოდ ძვ.წ. VI ს დასასრულიდან იჩენს თავს [13, გვ. 38; 28, გვ. 339]. წითელი შუქურას № 7 სამარხის ზარაკი ბრინჯაოსია, ცილინდრული ფორმის, გვერდშეჭრილი (სიმაღლე – 5 სმ, დმ – 3,4 სმ). არწივის გამოსახულება რელიეფურია. გამოსახულების კონტურები შემკულია წერტილოვანი, ნაღარი ორნამენტით. არწივი ორთავიანია. ფრთები გაშლილი აქვს, კუდი სამკუთხედით არის გამოხატული. არწივის გამოსახულებას უჭირავს ზარაკის ერთი მხარე. ზარაკის დანარჩენი ნაწილი კი შემკულია წიწვოვანი ხის ორნამენტით.

ზარაკზე არწივის გამოსახულების მეორე შემთხვევა გვაქვს სოხუმის მთის სამაროვანზე – დაშლილი კრემაციული სამარხიდან, რომელიც გამთხრელის – ალ. კალანდაძის მიერ ძვ.წ. VII-VI სს-ით არის დათარიღებული [11, გვ. 53, სურ. 23]. მაგრამ შემდგომ, მასალის ახლებური ანალიზის საფუძველზე სამარხი ძვ.წ. VI-V სს. მიეკუთვნა [30, გვ. 7-8]. სოხუმის მთის ზარაკი ცილინდრულია, გვერდშეჭრილი. ზარაკის ერთ გვერდზე ფრთაგაშლილი არწივის რელიეფური გამოსახულებაა. არწივის თავი მარცხნივ არის მიბრუნებული. ფრთები ნაღარი ხაზებით არის შემკული. ზარაკი ჩამოკიდებული იყო ბრინჯაოს მსხვილი ღეროების (2 ც.) კავზე. ღერაკები რგოლის მეშვეობით გადაბმული იყო ერთმანეთთან. ღეროები ნაჭდევი სარტყლებითა და წიწვოვანი ორნამენტით არის შემკული.

მსგავსი არწივისგამოსახულებიანი ზარაკები გარკვეული შინაარსისა და მნიშვნელობის მატარებელია. მათ გარკვეული სიმბოლური დატვირთვა აკისრიათ. ამიტომ შევეცდებით ამ იკონოგრაფიულ სიუჟეტის გარჩევას.

არწივის კულტი სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ხალხში დიდ როლს თამაშობდა. იგი ღვთაებრივ, სამეფო ფრინველად ითვლებოდა. სხვადასხვა ხალხის მითოლოგიის მიხედვით, არწივი დაკავშირებულია „სიცოცხლის ხესთან“, ცეცხლთან, მჭედლობასთან, წმინდა ხეებთან (ფინური მითოლოგიის მიხედვით წიწვოვან ხესთან), მზესთან და სხვ. არწივის კულტი უნივერსალურად ითვლებოდა, რაც გამომდინარეობდა იმ თვისებებიდან, რომელიც შემოინახა მისმა ეპითეტმა – ფრინველთა მეფე [43, გვ. 112-117]. არწივი განსაკუთრებით პოპულარული გახდა გვიანანტიკურ ხანაში. იგი რომაული არმიის ღვთაება – სიმბოლოს წარმოადგენდა და რომაული ლეგიონის ნიშანი იყო. ყირიმში, რომაული არმიის იქ ყოფნის ერთ-ერთი დამამტკიცებელი ძეგლი – არწივისგამოსახულებიანი ტერაკოტებია, რომლებიც რომაელთა ჯარის ცალკეული ნაწილების საკურთხევლებში იდგმებოდა, როგორც ლეგიონის საბრძოლო დრო-

შა, ან როგორც რომაელთა მთავარი ღვთაების იუპიტერის სიმბოლო [44, გვ. 39].

ორთავიანი არწივის გამოსახულება ძვ.წ. VIII ს-დან ჩანს მცირე აზიაში ხეთების სამეფოში ქვის რელიეფებზე და ისევე, როგორც სხვა ორთავა არსებებს, მასაც თავდაცვის ფუნქცია ეკისრებოდა (ავადმყოფობა, უწმინდური სულების განდევნა, მაგია და სხვ.). ორთავიანი არწივის გამოსახულებას ათავსებდნენ ტაძრის ან სხვა საზოგადოებრივ თუ საცხოვრებელ სახლების შესასვლელთან, როგორც ორი მხრიდან (მარჯვენა და მარცხენა) დამცავი სიმბოლო. ასე იცავდნენ ავი თვალისაგან მეომარ ცხენს ამულეტების თუ სხვა ნივთებით – მათ შორის ზარაკითაც. ამის ერთ-ერთ დადასტურებად ითვლება ცხენის სამარხში, ცხენის აღკაზმულობაში შემავალი ორთავიანი არწივისგამოსახულებიანი ზარაკი წითელი შექურის № 8 სამარხიდან [29, გვ. 222, 229]. ასევე, ცხოველის ან ფრინველის გამოსახვა „სიცოცხლის ხის“ გვერდით (იხ. ზარაკი წითელი შუქურას № 8 სამარხიდან) ფართოდ გავრცელებული მოტივი იყო უძველეს დროიდან მთელ მახლობელ აღმოსავლეთში.

არწივისგამოსახულებიანი ნივთები გვხვდება ანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ძეგლებზე: ვერცხლის თასებზე, თიხის ქოთანზე, ინტალიოებზე. ასე მაგ. ვანში ძვ.წ. V-IV სს. დათარიღებულ წარჩინებული კოლხი ქალის სამარხებში (№№ 6, 11) აღმოჩენილია არწივისგამოსახულებიანი ოქროს ფირფიტები, რომლებიც დაკავშირებულია „... საღვთო ფრინველის („მზის ფრინველი“) გამოსახულებასთან, რაც მაღალი წოდებისა და ძალაუფლების მანიშნებელია“ [26, გვ. 52]. დაფნარში, ძვ.წ. IV-III სს-ით დათარიღებულ ქოთანზე შემორჩენილია ანთროპომორფული ღვთაების – კაცარწივის გამოსახულება, რომელსაც ნაყოფიერების წარმართულ კულტს უკავშირებენ და რომლის გამოძახილი შემორჩენილია საგაზაფხულო ზეიმში „ყეენობა“, სადაც ერთ-ერთი მოქმედი პერსონაჟი არწივი-ადამიანია [32, გვ. 346].

არწივი, როგორც იუპიტერის – რომის იმპერიის ძლიერების სიმბოლო, ხშირად გამოისახებოდა რომაული ხელოვნების ძეგლებზე: მონეტებზე, გემებზე, არქიტექტურულ დეკორზე, ვერცხლის თასებზე.

არწივისგამოსახულებიანი ვერცხლის თასები გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზეც: არმაზისხევის ძვ.წ. II ს-ით დათარიღებულ № 3 სამარხის პინაკზე, ზღუდერის ახ.წ. III ს. მეორე ნახევრით დათარიღებულ სამარხში და არაგვისპირეთის სამაროვნის ახ.წ. III-IV სს-ებით დათარიღებულ № 10 სამარხში. ყველა ეს თასი წარმოადგენს არამასობრივი ხასიათის იმპორტს [1, გვ. 58, სურ. 29; 35, გვ. 112; 39, გვ. 72, ტაბ. III; 34, გვ. 61-64]. ფრთაგაშლილი, არწივისგამოსახულებიანი ჰოპლიტური ფარი, რომელიც ძვ.წ. 600-450 წწ-ით თარიღდება, აღმოჩნდა წითელი შუქურას № 7 სამარხში, რომელიც ემიჯნება № 8 სამარხს, სადაც ასევე არწივისგამოსახულებიანი ზარაკი დადასტურდა (იხ. ზემოთ).

არწივის გამოსახულებები გვხვდება ანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ინტალიოებზე, ბეჭდებზე, საბეჭდავებზე. ანტიკური გლიპტიკის სიმბოლიკაში ფრინველის გამოსახვა ერთ-ერთი გავრცელებული თემაა. ფრინველებიდან კი ყველაზე მნიშვნელოვანი არწივია, რომელიც ზევსის კულტის საღმრთო ფრინველადაც ითვლებოდა. არწივისგამოსახულებიანი ძვ.წ. IV ს-ის ბეჭედი აღმოჩენილია დაბლაგომში, [15, გვ. 52], ახ.წ. III ს-ის ზღუდერის სამარხში [35, გვ. 111], ახ.წ. II ს-ის კლდეეთის სამაროვნის № 3 სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის ბალთაზე, რაც სამარხის პატრონის წარჩინებულობაზე მეტყველებს [14, გვ. 133] და სხვ.

ამრიგად, ზარაკების გამოსახულებები (წიწვოვანი ხე, არწივი) ძველი სამყაროს ფართოდ გავრცელებული დეკორატიული მოტივებია, რომელებიც გარკვეული შინაარსისა და მნიშვნელობის, გარკვეული სიმბოლური დატვირთვის მატარებელია, რომელთა დაკავშირება სხვადასხვა ხალხის და დროის რელიგიურ-იკონოგრაფიულ სიუჟეტებთან უდავოდ შესაძლებელია.

როგორც აღვნიშნეთ, ზარაკები ცხენის აკაზმულობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ატრიბუტია; მაგრამ ზარაკის დანიშნულება ამით არ შემოიფარგლება და იგი ასევე დაკრძალვის რიტუალში გამოყენებული შტანდარტების მნიშვნელოვანი ელემენტია. შტანდარტი „... თავისი სიმბოლიკით ერთმანეთთან აკავშირებდა ორ სამყაროს – მიწიერსა და ზეციურს...“ შტანდარტს, რომელიც წარმოადგენდა „... ვერტიკალურად დაყენებულ ღერძზე ფრინველების, ციური არსებებისა და ცას აწვდილ რქოსან ცხოველთა...“ გამოსახვას, სიმბოლიკური დატვირთვა ჰქონდა [6, გვ. 11-12]. თვით ფორმა შტანდარტისა შემოსულია ამიერკავკასიაში ახლო აღმოსავლეთიდან, რომელიც ცნობილია იქ ჯერ ათასწლეულების მიჯნაზე [38, გვ. 127]. ალაჯა-ჰიუკის ე.წ. სამეფო სამარხებში აღმოჩენილი ზარაკებიანი შტანდარტები ზოომორფული ფიგურებით – ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნება [6, გვ. 13]. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში იგი გვხვდება ბრინჯაოს ხანიდან. შტანდარტები დამახასიათებელია მცირე აზიისა და ხმელთაშუაზღვის დასავლეთ სანაპიროს ქვეყნებისათვის. განსაკუთრებით გავრცელებული ჩანს შტანდარტები ჩრდილო კავკასიაში სკვითურ ხანაში. შტანდარტები საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად გვხვდება განძის სახელით ცნობილ კომპლექსებში (ყაზბეგი, ყანჩაეთი, ახალგორი). შტანდარტების დანიშნულების საკითხი, საბოლოოდ გარკვეული არ არის. ჩრდილო კავკასიაში შტანდარტები მხოლოდ სამარხებში დაფიქსირდა. მაგრამ მისი ფუნქცია რომ მხოლოდ დაკრძალვის რიტუალთან იყო

დაკავშირებული – დამტკიცებული არ არის [37, გვ. 45-46]. საერთოდ, შტანდარტის, ბუნიკისა თუ კვერთხის ფუნქციონალური დანიშნულება მკვეთრად არ არის გამიჯნული. ამიტომ ხშირად, ამ ტიპის ნივთს სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ (მაგ. ყაზბეგის განძის ამ ნივთებს ხან ბუნიკის თავად, ხან შტანდარტად და ხანაც ზარდასაჭერად მოიხსენიებენ [25, გვ. 38]. ერთი საერთო ყველა მათგანს აქვს: ისინი ყველა საკრალური დანიშნულებისაა და სარიტუალო ცერემონიების ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი შტანდარტები ანუ ბუნიკები ასოცირდება საწესო ალმებთან, რომლებიც დღემდე შემორჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგრაფიულ ყოფაში. ხევსურული და ფშაური საწესო დროშების (რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა რიტუალებსა და ცერემონიალში) აუცილებელ ელემენტს ზარაკები წარმოადგენდა. ეს დროშები შედგებოდა ხის ძელისაგან, რამდენიმე ჭრელი ქსოვილისა (ხის სქემატური გამოსახულება) და ზარისაგან; ბოლოვდებოდა ვერცხლის ბურთით, რომლებზედაც ჯვარი ან შუბისპირი მაგრდებოდა. ყველაფერი ეს წარმოადგენდა „... ხის სიმბოლურ გამოსახულებას... ზარი, შუბისპირი – ცის ხმას, ცის ქუხილს, ხოლო ბურთულა ჯვრით – მზის სიმბოლოს„ [27, გვ. 62]. „წმინდა ალამს„ (შტანდარტს) ქართველ მთიელთა იდეოლოგიაში დიდი როლი ენიჭებოდა. მისი გადაადგილება ცერემონიალების დროს საგუნდო სიმღერის თანხლებით ხდებოდა [27, გვ. 56]. ზარაკს ერთ-ერთი წამყვანი როლი ენიჭებოდა ამ ატრიბუტიკაში. ზარის ხმაურით იდევნებოდა ბოროტი სულები, ავადმყოფობა, სტიქიური უბედურება, სახიფათო ნადირობა და სხვა – ყველაფერი ის, რაც თან სდევდა მთიელთა ყოფას. „საწესო დროშა“ ასევე მონაწილეობდა დაკრძალვის რიტუალში, ე.წ. სულის გამოხსნის რიტუალში. „... დროშა ახორციელებდა არაბუნებრივი სიკვდილით გარდაცვლილ ადამიანთა სულების გამოხსნას“ [5, გვ. 21].

რაც შეეხება შტანდარტებს – საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიურ კომპლექსებში აღმოჩენილი შტანდარტები სხვადასხვა ტიპისაა. ყაზბეგის განძის შტანდარტები წარმოადგენენ მოკლე ბრინჯაოს მილს (მასრა), რომელიც ჩამოცმული იყო, ალბათ, ღეროზე. მილის ბოლოებზე გადადის რკალი, რომლის გვერდები გახვრეტილია მანჭვლის გასაყრელად. მილის კედლებიდან გამოდის ცხოველთა (ჯიხვი) თავებით დაბოლოებული ორ-ორი ან ოთხ-ოთხი შვერილი. ყველა შვერილზე ჩამოკიდებული იყო გვერდშეჭრილი, ცილინდრული ფორმის ზარაკი. ყაზბეგის განძის სამი შტანდარტი ოთხშვერილიანია; ბოლოვდება სამ სართულად განლაგებული ჯიხვის თავებზე შემდგარ ქანდაკებებით (ერთი – კვერთხიანი მამაკაცის შიშველი ფიგურა, მეორე – ხელში უროსმაგვარი ნივთით). უფრო მრავალრიცხოვანია ყაზბეგის განძში შემავალი ორშვერილიანი შტანდარტები, რომელთაც ასევე, სხვადასხვა სიუჟეტური კომპოზიციები ამკობს (ცხვრის გადაგრეხილი რქები, ჩანგზე დამკვრელი და ფარიანი მამაკაცების ფიგურები და სხვ.) [25, გვ. 38, ტაბ. $IX_{1,2}$, XIII_{1-3}, XIII_1]. თითქმის ყველა ამ შტანდარტს ზარაკების ჩამოსაკიდი სპეციალური ყუნწები აქვთ. ყაზბეგის ზარაკები თითქმის ყველა მასიურია (სიმაღლე 12,5-5,8 სმ); ფორმით ცილინდრული, გვერდშეჭრილი; სადა ან ვერტიკალური წახნაგებით შემკული.

ვერძისთავებითა და ქანდაკებებით (მხედრის, ადამიანის ხელაპყრობილი ფიგურა და სხვ.) შემკული ბრინჯაოს შტანდარტი ცნობილია აგრეთვე ყანჩაეთის ძვ.წ. IV-III სს-ით დათარიღებულ მდიდრულ სამარხიდან. შტანდარტს ფუძის წვერზე 15 ყუნწი და მასზე ცილინდრული ფორმის, წაგრძელებული ცილინდრული, ნახევარელიფსური და ჭვირული ზარაკები ექნებოდა ჩამოკიდებული (15 ზარაკი აღმოჩნდა იმავე სამარხში). ყანჩაეთის შტანდარტთან უნდა იყოს დაკავშირებული იქვე აღმოჩენილი ნახევარმთვარისებრი ჭვირული სამკუთხედებით შემკული ფირფიტა ზარაკების ჩამოსაკიდი ყუნწებით [4, გვ. 46-47].

ყანჩაეთის ანალოგიური შტანდარტი და ასევე ნახევარმთვარისებრი ფირფიტა აღმოჩნდა ძვ.წ. IV-III სს-ით დათარიღებულ ახალგორის განძში [17, სურ 12_2].

ჩვენ არ შევჩერდებით ამ შტანდარტების დეტალურ აღწერაზე, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ზოომორფული სიმბოლიკა და მითოლოგიური სიუჟეტები, რომლებიც ამ შტანდარტებს ამკობს, ჯერ კიდევ ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ჩანს ბრინჯაოს ნივთებზე, კერძოდ, ბრინჯაოს სარტყლებზე, რომლებსაც „... საკრალურ იერს ანიჭებენ ფალიკური მონადირენი“ [21, გვ. 111]. თითქმის იგივე მოტივების გამეორება ხდება შტანდარტებზე. ირემი, ჯიხვი, ადამიანთა ფიგურები, რქები, ზარაკები და სხვ. ამ კომპოზიციების მომქმედი სახეებია, რომლებიც მითიური თუ საკულტო სამოსით იყო მოსილი. ასე, მაგ., ირმის თუ ჯიხვის რქა, რომელიც ხის ილუზიას ქმნიდა, ენაცვლებოდა „სიცოცხლის ხეს“, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იყო ცაზე ასვლა. რქა ღვთაებისათვის შესაწირავ საგანს წარმოადგენდა. ეს შემონახულია ეთნოგრაფიულ ყოფაში – ქართველთა სალოცავებში დღესაც გვხვდება შეწირული ირმის თუ ჯიხვის რქები [21, გვ. 107-108]. ცხოველების გამოსახულებები კი – ირემი, ჯიხვი, ნიამორი და სხვ. – დაკავშირებულნი იყვნენ ნაყოფიერების ქალღვთაებასთან და მის თანმხლებ ცხოველებს წარმოადგენდნენ. „... ამ იდეას უნდა გადმოგვცემდეს ჯიხვების თავზე შემდგარი ფალიკური ფიგურები ყაზბეგის განძიდან“ [21, გვ. 115]. ასევე, ყანჩაეთისა და ახალ-

გორის ხელაპყრობილ ფიგურებს უკავშირებენ ნაყოფიერების ღვთაებას (წყვილ ცხოველთა შორის მოთავსებული „სიცოცხლის ხის“ მაგალითზე) [4, გვ. 46] და სხვ.

ამრიგად, შტანდარტის ყველა ელემენტი, ზოომორფული თუ ანთროპომორფული ფიგურები, რქები, ზარაკები და სხვ. გარკვეული საკრალურ-ფუნქციონალური დატვირთვის მატარებელია და ერთი საერთო მითიური კომპოზიციის მონაწილე ატრიბუტია.

როგორც ჩანს, ზარაკს სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდათ. გარკვეულ დროს (ძვ.წ. VIII-VI სს.) გვხვდება როგორც ცხენის აკაზმულობის ელემენტი; ძვ.წ. V-III სს. ის შტანდარტის შემადგენელი ნაწილია; შემდგომში კი, ძვ.წ. III ს-დან, ზარაკი გვხვდება როგორც დამოუკიდებელი ფუნქციონალური ნივთი. ზარაკების დამოუკიდებელ ფუნქციაზე სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. მას მიიჩნევენ ტანსაცმლის, თავსაბურავის ან ქამრის ნაწილად [14, გვ. 19], სამკაულად (ყელსაბამი) [31, გვ. 54-55] და სხვ. მაგრამ ყველა ამ შემთხვევაშიც ისინი ითვლებიან მაგიური დანიშნულების საკულტო-საკრალურ ნივთებად.

ზარაკები ანტიკური ხანის საქართველოს თითქმის ყველა სამაროვანზე გვხვდება, თუმცა, სამაროვნის მხოლოდ ერთეულ (ხშირად მხოლოდ ერთ) სამრხში (მაგ. ნარეკვავის სამაროვნის 41 სამარხიდან – მხოლოდ ერთ სამარხში; რკინის კალოს 34 სამრხიდან – 1 სამარხში და ა.შ.). როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ. VIII-VII სს. სამაროვნებზე, ზარაკი სარიტუალო სამარხში ცხენის აკაზმულობის ელემენტად ჩანს, მაგრამ ამავე დროს, „ნაურიალის“ (მცხეთაჯვარი) ერთ სამარხში გვხვდება კონუსური ფორმის მცირე ზომის ზარაკი, როგორც დამოუკიდებელი საკრალური ნივთი ამავე სამარხის სხვა საკულტო-სარიტუალო ნივთებთან ერთად [7, გვ. 27, სურ. III].

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, თავიდანვე – ძვ.წ. VIII-VII სს. ზარაკი ჩანს როგორც დამოუკიდებელი ფუნქციონალური ნივთი საკულტო მოედნებზე (ურეკი, ერგეტა).

ზარაკები ანტიკური ხანის საქართველოს სამაროვნების თითქმის ყველა სახეობის სამარხებში გვხვდება. დამახასიათებელი ჩანს იგი ქვევრსამარხების სამაროვნებისთვისაც. თუმცა, აქაც სამაროვნის ერთეულ სამარხებში ჩნდება (იხ. დაფნარი, დაბლაგომი, სამთავრო, კავთისხევი და სხვ.).

ზარაკიანი სამარხები ანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე უფრო ხშირად ჩანს შიდა ქართლის სამაროვნებზე; ასევე ადრეული ცალებიც (ძვ.წ. VIII-VII სს) შიდა ქართლიდან მოდის. ზარაკების გავრცელების სიხშირე და ზარაკების სახეობების მრავალფეროვნება ანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. IV-III სს-თვის არის დამახასიათებელი.

ჯერჯერობით ვერ ხერხდება ზარაკიანი სამარხების დიფერენცირება მიცვალებულთა სქესის მიხედვით, მაგრამ არსებული მწირი მონაცემებით შესამჩნევია, რომ ზარაკები უმთავრესად გვხვდება მარცხენა მხარეს დაკრძალულ მიცვალებულებთან (დედაკაცი?) ან ბავშვის სამარხებში.

სამარხები, სადაც ზარაკები აღმოჩნდა, ძირითადად, რიტუალურია (თრელი, ნაურიალი, ყანჩაეთი, არკნეთი და სხვ.) ან მდიდრული და საკრალური ხასიათის.

T. Chanishvili

TINY BELLS – ARTIFACTS OF MAGIC FUNCTION FROM ANCIENT ARCHAEOLOGICAL COMPLEXES

(Summary)

Burial and archaeological evidences reveal items belonging to a group of magic objects. Tiny bells, attested in burials and hoards represent one type of such items. Analysis of the symbolic meaning of separateelements gives ground for special research and interpretation.

The paper deals with the cult-magic function of the tiny bells on the basis of both archaeological and ethnographic data

ლიტერატურა

1. აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები. მცხეთა, I. თბ., 1955.

2. ბარდაველიძე ვ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბარბარ). თბ., 1941.

3. ბარდაველიძე ვ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II. თბ., 1985.

4. გაგოშიძე ი. ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან. თბ., 1964.

5. გიორგაძე დ. დაკრძალვის და გლოვის წესები საქართველოში. თბ., 1987.

6. გომელაური ნ. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ბრინჯაოს მცირე პლასტიკა. ავტორეფერატი ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2005.

7. დავითაშვილი ქ. მცხეთიჯვრის „ნაურალის“ სამაროვნის № 82 სამარხი. – ნარკვევები, V, თბ., 1999, გვ. 19-29.

8. დავლიანიძე რ., სადრაძე ვ. ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი. თბ., 1993.

9. დავლიანიძე ც. ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში. თბ., 1983.

10. თოლორდავა ვ. არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970-71 წლებში. – ვანი, II, თბ., 1976, გვ. 48-67.

11. კალანდაძე ალ. სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1954.

12. კვირკველია გ. იაშთხვას ადრეანტიკური ხანის სამარხები. – საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, 1978, გვ. 74-80.

13. კვირკველია გ. ჰოპლიტური ფარები კოლხეთში. – ძიებანი, № 7, 2001, გვ. 32-40.

14. ლომთათიძე გ. კლდეეთის სამაროვანი. თბ., 1957.

15. ლორთქიფანიძე მ. კოლხეთის ძვ.წ. V-III სს. საბეჭდავ-ბეჭდები ვანიდან. – ვანი, II, თბ., 1975, გვ. 103-115.

16. ლორთქიფანიძე მ. არქაული და „არქაიზებული“ საბეჭდავ-ბეჭდები ვანიდან. – ვანი, II, თბ., 1976, გვ. 116-166.

17. ლორთქიფანიძე ოთ. ახალგორის განძი. – ძიებანი, № 11, 2003, გვ. 28-71.

18. ნადირაძე ჯ. საირხე – საქართველოს უძველესი ქალაქი, I. თბ., 1990.

19. ოჩიაური თ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1954.

20. სინაურიძე მ. კაზრეთის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1985.

21. სურგულაძე ი. ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბ., 1986.

22. ტყეშელაშვილი ოთ. ფოლადაურის ხეობა. თბ., 1969.

23. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV. თბ., 1955.

24. ჩიტაია გ. სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში. – ენიმიკის მოამბე, X, 1941, გვ. 301-322.

25. წითლანაძე ლ. ხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1974.

26. ჭყონია ა. ოქროს სამკაული ვანის ნაქალაქარიდან. – ვანი, VI, თბ., 1981.

27. Бардавелидзе В. В. Древнейшие религиозные верования и обрядовые графическое искусство грузинских племен. Тб., 1957.

28. Воронов Ю. Н. Местное население Северо-Западной Колхиды в VIII-V вв. до н.э. – Демографическая ситуация в Причерноморье в период Великой греческой колонизации. Материалы II Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья. Тб., 1981, с. 334-341.

29. Галкин Л. Л. Символика Джудчидских монет. – Проблемы Советской археологии. М., 1978, с. 219-229.

30. Квирквелия Г. Т. Материальная культура Северо-Западной Колхиды в VIII-V вв. до н.э. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1981.

31. Кигурадзе Н. Дапнарский могильник. Тб., 1976.

32. Лордкипанидзе Г. Некоторые вопросы религии и культуры античной Колхиды. – საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 335-354.

33. Лордкипанидзе Г. Колхида в VI-II вв. до н.э. Тб., 1978.

34. Мачабели К. Позднеантичная торевтика Грузии. Тб., 1976.

35. Немсадзе Г. М. Погребения иберийской знати из Згудери. – КСИА, 151, 1977, с. 108-113.

36. Нуцубидзе А. А. Археологические раскопки в сел. Абано. – საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბ., 1978, с. 61-73.

37. Переводчикова Е. В., Раевский Д. С. Еще раз о назначении скифских навершии. – Средняя Азия и ее соседи в древности и средневековья, М., 1981, с. 42.-52.

38. Погребова М. Н. Закавказье и его связи с Передней Азией в скифское время. М., 1984.

39. Рамишвили Р., Джорбенадзе В., Каландадзе З., Николаишвили В., Маргвелашвили М., Рчеулишвили Г., Чихладзе В., Циклаури И., Асланишвили В., Глонти М., Церетели К., Бакрадзе И. Археологичесике изыскания в Арагвском ущелье. – ПАИ, 1974 (1976), с. 70-79.

40. Ратцель Ф. Народоведение, I. СПб., 1903.

41. Трапш М. М. Труды, т. 2. Сухуми,1969.

42. Шамба Г. К. Погребения VI в. до н.э. близ Сухуми. – КСИА, вып. 174, 1983, с. 33-37.

43. Штернберг Л. Я. Первобытная религия в свете этнографии. Ленинград, 1936.

44. Цветаева Г. А. Боспор и Рим. М., 1979.

45. Papuashvili R. Collective burial pit No 4 of Ergeta II burial ground. – Journal of Georgian Archaeology, 2004, p.152-159.

სულხან ხარაბაძე

„ღვინის მსმელის“ ფიგურა სოფელ ინაშაურიდან (ვანის რ-ნი)

1998 წელს ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში შემოვიდა ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული მცირე ზომის ქანდაკება. 1978 წელს, ვანის რაიონის სოფელ ინაშაურში, მაია ხელაძის საკარმიდამო ნაკვეთში, მიწის სამუშაოების დროს, უპოვნიათ სამარხი, რომელშიც ყოფილა სამი ადამიანის ჩონჩხი. მპოვნელების ცნობით, სამარხში ყოფილა თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს ნივთები (შუბისპირები?) და ბრინჯაოს ქანდაკება (ტაბ. I_{1-3}, II_1) (როგორც ჩანს, სამარხში იყო რკინის ნივთებიც, ლაბორატორიაში ქანდაკების წმენდისას, მის ერთ ნაწილზე დადასტურდა მიკრული რკინის ჟანგი). სამწუხაროდ, ჩვენამდე მხოლოდ ამ უკანასკნელმა მოაღწია.

ხელის თითები, მარჯვენა ხელის ცერა თითი გაშლილია და ყანწზეა მიბჯენილი (ტაბ. I_{9-10}). ტანზე მოკლე კაბა მოსავს (ტაბ. I_8). თავზე თმა მოკლე ღარებითაა გადმოცემული და გამოყოფილია ირგვლივი ღარით (ტაბ. I_{4-7}). თავი უკანაა გადახრილი, სახით ოდნავ მარჯვნივ მიბრუნებული. პირ-სახის ნაკვთები (ტაბ. I_{4-5}) დეტალურად, ნორმალურ პროპორციებში და რეალისტურადაა გადმოცემული – ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ფიგურა სადღეგრძელოს ამბობს.

ფიგურა ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან ე.წ. ცვილის მოდელის დაკარგვის მეთოდით. ბრინჯაოს ქიმიური შემადგენლობა კი ასეთია: Cu – 91,882%, Sn – 6,4%, Pb – 1,55%, Ag – 0,16%, Fe – 0,004%, Ni – 0,003%, Zn – 0,001%.[29]



სურ. 1

ფიგურა მცირე ზომისაა (სიმაღლე 7,5 სმ). იგი წარმოადგენს ზურგიან სავარძელში (ტაბ. I_{11-12}) მჯდომ მამაკაცს, რომელსაც მარჯვენა ხელში ყანწი უჭირავს. მარჯვენა ხელი იდაყვში მოხრილი და წინ გაწვდილია. მარცხენა ხელი მოხრილია, ქვემოთ დაშვებული, ხელის მტევანი მუხლის თავზე დევს. კარგადაა გამოყვანილი

კავკასიის სხვადასხვა მხარეში ლითონისაგან ჩამოსხმული მცირე ზომის ადამიანის მოცულობითი გამოსახულებები ფართოდაა გავრ-

[29] ანალიზი ჩატარდა ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის ინტერდისციპლინარული სექტორის ქიმიურ ლაბორატორიაში.

ცელებული ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. ისინი რიტუალური დანიშნულებისაა. ზოგადი ნიშნების ერთგვაროვნების მიუხედავად, მათ ბევრი რამ აქვთ განსხვავებული, ფორმის, შინაარსის გამოხატვის, დანიშნულების და შესრულების ტექნიკის თვალსაზრისით. მათი უმეტესობა შემთხვევითი მონაპოვარია, აღმოჩენილია განძებში, სამარხებში და საკულტო (სამლოცველო) ადგილებში [1; 2, გვ. 130, ტაბ. XXIII_1; 3; 4, გვ. 188, სურ. 165-167; 6, ტაბ. XXXIV_{58}, XXXVI_{66}; 7; 11; 15, გვ. 64-67, სურ. 180, 181, 187-191; 16; 17; 19, გვ. 69, XLII_{23-30}; 21; 23; 24; 25].

დასავლეთ საქართველოში ასეთი ფიგურები ცნობილია სამარხებიდან, განძებიდან და შემთხვევითი მონაპოვრების სახით (სურ. 1). კოლხეთში სამარხში ბრინჯაოს ანთროპომორფული ფიგურების ჩატანება დადასტურებულია გვინბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნებზე: ერგეტა (ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისი, სამაროვანი № 1, სამარხი № 5-6; სამაროვანი № 3, სამარხი № 4; სამაროვანი № 4, სამარხი № 1-2) [23, გვ. 39-40, ტაბ. LIII; 6, ტაბ. XXXIV_{58}, XXXVI_{66}; 24, გვ. 42, ტაბ. LI_2; 25, გვ. 62-63, 65, ტაბ. 148_{31}], ურეკი (ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი, სამარხი № 3) [5, გვ. 62, 88-91, ტაბ. XIII_{671}], ნიგვზიანი (ძვ.წ. VII-VI სს-ის მიჯნა, სამარხი № 6) [5, გვ. 87-93, ტაბ. XLVI_{1556}; 22, სურ. 4_{23}], მუხურჩა (ძვ.წ. VII ს.) [3, ტაბ. VII_{1-4}, VIII_2; 14, გვ. 29-30, სურ. 1123-126], ღღვაბა (ძვ.წ. VII-VI სს-ის მიჯნა, სამარხი № 2) [26, გვ. 41-43, ტაბ. 56_2], ბრილი (ძვ.წ. VI ს.) [2, გვ. 130, ტაბ. XXIII_1].

ბრინჯაოს ფიგურები, რომელთაც ხელში ყანწი უჭირავთ (ტაბ. $II_{2-4,6-11}$), ცნობილია საქართველოში მელაანიდან (ძვ.წ. VIII-VII სს.) [8, გვ. 82-103, ტაბ. $XVI_{1,2}$; 9, გვ. 112-117, XL_2], ყაზბეგის განძიდან (ძვ.წ. VII-VI სს.) [10, გვ. 33-38, 104-105 ტაბ. VII, VIII], ბომბორადან (ძვ.წ. VIII სს.) [13, გვ. 20, ტაბ. XLVIII_{11}]. ასევე ცნობილია დაღესტანიდან [21, გვ. 86-90, სურ. $10_{2,5,7,9}$] და სომხეთიდან (ძვ.წ. VI-V სს.) [17, გვ. 40-59, ტაბ. $59_{1,2,4,5}$].

ინაშაურის სკულპტურა პოზის მიხედვით მსგავსებას იჩენს (ტაბ. $II_{5,12-19}$) ბომბორას განძის ზემოთ ნახსენებ სკულპტურასთან, ერგეტას № 3 სამაროვნის სამარხ № 4-ის და № 4 სამაროვნის სამარხ № 2-ის ფიგურებთან (ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისი) [6, ტაბ. XXXVI_{66}; 25, გვ. 62-63, 65, ტაბ. 148_{31}], ურეკის სამარხ № 3-ის (ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი) [5, გვ. 62, 88-91, ტაბ. XIII_{671}], მუხურჩას (ძვ.წ. VII ს.) [3, ტაბ. VII_{1-4}, VIII_2; 14, გვ. 29-30, სურ. $1_{123-126}$], ყაზბეგის განძის ჩანგიან ფიგურასთან [11, გვ. 72, ტაბ. XIX_{50}], გორისას (საჩხერის რ.) [1, გვ. 62-64, სურ. 1-2], საირმის (ლეჩხუმი) [11, გვ. 54-55, ტაბ. XI_{28}] და ბალანთის ფიგურებთან [11, გვ. 55, ტაბ. XII_{29}]. გარკვეული მსგავსება შეინიშნება ინაშაურის სკულპტურის სავარძელსა და ერგეტასა და მუხურჩას ფიგურების სავარძლებს შორისაც.

კავკასიის ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ბრინჯაოს ფიგურების უმრავლესობა შიშველია და ითიფალური. თუმცა გამონაკლისის სახით გვხვდება ტანსაცმლით შემოსილი ფიგურებიც (ტაბ. II_{20-22}) [11, გვ. 62-63, ტაბ. XV_{43}; 21, სურ. 1224, 132].

ინაშაურის სკულპტურა აღნიშნულ მასალებთან შედარებით დამზადების ტექნიკით, დახვეწილობით უფრო განვითარებული ჩანს, რაც, ჩვენი აზრით, მის უფრო გვიანდელობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. სიუჟეტისა და პოზის მიხედვით იგი ყველაზე ახლოს ბომბორის განძის „ღვინის მსმელის“ (ტაბ. II_2) ფიგურასთან დგას. აღსანიშნავია რომ, ბომბორის განძში შედიოდა ბავშვიანი ქალის ფიგურაც [20, გვ. 238-239], ასეთი ფიგურები ძირითადად დამახასიათებელია კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლექტიური სამარხებისათვის, ამ სამარხებისათვის უცხო არაა მამაკაცის სკულპტურებიც [5, გვ. 87; 21, გვ. 62-63]. როგორც უკვე აღინიშნა, ინაშაურის სკულპტურაც ნაპოვნია კოლექტიურ სამარხში ბრინჯაოსა და რკინის ნივთებთან ერთად. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფ. ინაშაურიდან ცნობილია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის შემთხვევითი მონაპოვრები, ბრინჯაოს სატევრები [18, გვ. 8-10, სურ. $5_{a,b}$], სეგმეტური იარაღი [12, გვ. 35, სურ. 32], თოხი (დაცულია ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში).

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს ნივთი, სავარაუდოდ, ძვ.წ. VII-VI სს-ს მივაკუთვნოთ.

S. Kharabadze

WINE DRINKER FROM INASHAURI VILLAGE (VANI DISTRICT)

(Summary)

A small bronze figurine (h =7.5 cm) was casually found in 1978 during earthwork in the village of Inashauri. It was reported to be unearthed in a burial with three human skeletons, pottery and bronze and iron grave goods. The above figurine is the only artifact that has been preserved from that burial. The figurine represents a man sitting in armchair with a back, holding rython in his right hand. The item is dated to the 7th-6th cent. B.C.

ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი დ. სამი ანთროპომორფული ქანდაკება ქუთაისის მუზეუმიდან. – ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, V, ქუთაისი, 1988, გვ. 62-68.

2. გობეჯიშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1952.

3. გოგაძე ე., ფანცხავა ლ., დარისპანაშვილი ვ. ნოსირ-მუხურჩის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. – სსმაე, V, 1977, გვ. 60-71.

4. ლორთქიფანიძე ოთ. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ., 2002.

5. მიქელაძე თ. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბ., 1985.

6. პაპუაშვილი რ. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამარხ ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის საბრძოლო იარაღის მიხედვით. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1988.

7. ფანცხავა ლ., მაისურაძე ბ. ბრინჯაოს ანთროპომორფული ფიგურები შილდის სამლოცველოდან. – კავკასია, ნეოლით-ბრინჯაოს ხანის საკითხები, თბ., 2001, გვ. 147-155.

8. ფიცხელაური კ. იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა. თბ., 1965.

9. ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VII სს). თბ., 1973.

10. წითლანაძე ლ. ხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1976.

11. ჯავახიშვილი გ. ანთროპომორფული პლასტიკა წარამართული ხანის საქართველოში. თბ., 1984.

12. ჯიქია ლ. ბრინჯაოს სამეურნეო იარაღები ქუთაისის მუზეუმიდან. – ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, V, ქუთაისი, 1988, გვ. 23-50.

13. Воронов Ю. Н. Археологическая карта Абхазии. Сухуми, 1969.

14. Гогадзе Э. М. К вопросу о хронологии и периодизации памятников колхидской культуры. – ССМ, XXXVII-В, 1984, гв. 28-54.

15. Доманский Я. В. Древняя художественная бронза Кавказа. Москва, 1984.

16. Есаян С. А., Мнацаканян А. О. Находки новых бронзовых статуэток в Армении. – СА, № 2, 1970, с. 157-168.

17. Есаян С. А. Скульптура древней Армении. Ереван, 1980.

18. Иващенко М. М. Материалы к изучению культуры колхов. – МСКИ, № 2, 1941, гв. 1-66.

19. Козенкова В. И. Типология и хронологическая классификация предметов кобанской культуры. – САИ, вып. В2-5, Москва, 1982.

20. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, I, Тб., 1949.

21. Марковин В. И. Культовая пластика Кавказа. – Новое в археологии Северного Кавказа, Москва, 1986, с. 74-124.

22. Микеладзе Т. М., Барамидзе М. В. Колхский могильник VII-VI вв. до н. э. в с. Нигвзиани. – КСИА, №151, 1977, с. 33-39.

23. Микеладзе Т. М., Мигдисова Н. П., Папуашвили Р. И. Основные итоги полевых исследований Колхидской экспедиции. – ПАИ (1982), 1985, с. 37-40.

24. Микеладзе Т. М., Мигдисова Н. П., Папуашвили Р. И., Чубинишвили Н. Т. О работах Колхидской археологической экспедиции. – ПАИ (1984-1985), 1987, с. 39-42.

25. Микеладзе Т. М., Папуашвили Р. И., Чубинишвили Н. Т. Колхидская экспедиция. – ПАИ (1986), 1991, с. 59-65.

26. Микеладзе Т. М., Мигдисова Н. П., Папуашвили Р. И., Чубинишвили Н. Т. Колхидская экспедиция. – ПАИ, 1987 (1995), с. 39-43.

სურათისა და ტაბულების აღწერილობა

სურ. 1 – დასავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს ანთროპომორფული ქანდაკებების აღმოჩენის ადგილები – 1. ბომბორა; 2. ერგეტა; 3. დღვაბა; 4 ურეკი; 5. ნიგვზიანი; 6. მუხურჩა; 7. ცაგერა; 8. საირმე; 9. ბრილი; 10. გეგუთი; 11. ინაშაური; 12. ფერსათი (ზეკარი); 13. შორაპანი; 14. გორისა.

ტაბ. I – ანთროპომორფული ქანდაკება ინაშაურიდან – 1-3. სხვადასხვა ხედში; 4-12. დეტალები.

ტაბ. II – ანთროპომორფული ქანდაკებები – 1. ინაშაური; 2. ბომბორა [13, ტაბ. XLVIII_{11}]; 3. მელაანი [21, სურ. 10_4]; 4, 7-9, 12, 21. დაღესტანი [21, სურ. $101_{2,5,8-7}$, 13_2]; 5. გორისა; 6, 13. ყაზბეგი [21, სურ. 14_5; 11, ტაბ. XIX_{50}]; 10-11. სომხეთი [17, ტაბ. 59_{1-2}]; 14, 19. ერგეტა [4, სურ. 165-167]; 15. ურეკი [5, ტაბ. XIII_{671}]; 16. საირმე; 17. ბალანთა; 18. მუხურჩა [4, სურ. 165-167]; 20. ჩეჩნეთი [21, სურ. 13_1]; 22. ჩრდ. კავკასია (აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია) [21, სურ. 12_{24}].

Description of the Plates and Figure

Fig.. 1. – places of discovery of bronze anthropomorphic figurines dating from the Late Bronze –Early Iron Ages in Western Georgia – 1. Bombora 2. Ergeta; 3. Dghvaba; 4. Ureki; 5.

Nigvziani; 6. Mukhurcha; 7. Tsageri; 8. Sairme; 9. Brili; 10. Geguti; 11. Inashauri; 12. Persati (Zekari); 13. Shorapani; 14. Gorisa

Pl. I – anthropomorphic figurine from Inashauri: 1-13. different views; 4-12. details

Pl. II – anthropomorphic figurines: 1. Inashauri; 2. Bombora [13, pl. XLVIII_{11}]; 3. Melaani [21, fig. 10_4]; 4, 7-9, 12, 21. Dagestan [21, figs. $10_{1\text{-}2,\ 5,\ 8\text{-}7}$; 13_2]; 5. Gorisa; 6, 13. Qazbegi [21, fig. 14_5; 11, $Pl.XIX_{50}$]; 10-11. Armenia [17, Pl. $59_{1\text{-}2}$]; 14, 19. Ergeta [4, figs. 165-167]; 15. Ureki [5, $Pl.XIII_{671}$]; 16. Sairme; 17. Balanta; 18. Mukhurcha [4, figs. 165-167]; 20. Chechnya [21, fig. 13_3]; 22. North Caucasus (exact place of find unknown) [21, fig. 12_{24}]

ტაბ. I



ტაბ. II



ნინო ძნელაძე

დემეტრეს კულტთან დაკავშირებული ტერაკოტული ფიგურები (ფიჭვნარსა და ციხისძირში აღმოჩენილი მასალის მიხედვით)

ტერაკოტული ფიგურები თვალსაჩინო დოკუმენტური მასალაა ანტიკური კულტურის შესწავლისათვის, რადგანაც ხალხური ხელოსნობის ეს ნიმუშები ბრინჯაოს, ძვლისა და ხის სტატუეტებისაგან განსხვავებით მოსახლეობის ყველა ფენისათვის ხელმისაწვდომი ფასების გამო, დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

სურ. 1

ტერაკოტები რელიგიურ-საკულტო და ყოფითი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს ასახავს. უპირველეს ყოვლისა, აქვს ვოტივური დანიშნულება და, ჩვეულებრივ, პოულობენ საკულტო დანიშნულების ნაგებობებსა და ე.წ. საოჯახო საკურთხევლებში. ტერაკოტა ასევე დაკრძალვის რიტუალის ერთ-ერთი შემადგენელი ატრიბუტია. სამარხებში განლაგებულია თავის, ხელებისა და ფეხების არეში. ე. პოტიემ და ს. რეინაკმა მირინის ნეკროპოლზე აღმოჩენილი ტერაკოტების ანალიზისას დაასკვნეს, რომ ხდებოდა მათი სპეციალური შერჩევა მამაკაცთა, ქალთა და ბავშვთა სამარხებისათვის. ვარაუდობენ, რომ მათ სპეციალურად დაკრძალვისათვის იძენდნენ [13, გვ. 631]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამარხეული ტერაკოტების მსგავს ფორმებს პოულობენ ნაქალაქარის გათხრების დროსაც. როგორც ჩანს, ფიგურები არ მზადდებოდა კონკრეტული შემთხვევისათვის და მათ საბოლოო დანიშნულებას მყიდველი განსაზღვრავდა.

სიუჟეტის მიხედვით გამოყოფენ მითოლოგიური პერსონაჟების, ყოფითი შინაარსის მქონე და ანიმალისტურ გამოსახულებებს. ვარაუდობენ, რომ ეს უკანასკნელი სათამაშოებია და, უმეტესად, ბავშვთა სამარხებშია აღმოჩენილი. ჩვენი აზრით, ისინი ნებისმიერი (ბავშვთა თუ მოზრდილთა) სამარხის ინვენტარს შეიძლება წარმოადგენდეს, რადგანაც ჩვეულებრივ, იმ ცხოველთა გამოსახულებები გვხვდება, რომლებიც სხვადასხვა კულტთანაა დაკავშირებული და გარდა სამარხებისა, ნაპოვნია ამ ღვთაებათა ტაძრებთან.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ტერაკოტები მცირე რაოდენობითაა (13 ეგზემპლარი) აღმოჩენილი ფიჭვნარსა და ციხისძირში. მათი სიუჟეტურ-მორფოლოგიური პრინციპით დაყოფისას მივიღებთ ორ ჯგუფს. პირველში თავს იყრის მითოლოგიური პერსონაჟების (დემეტრე, ეროსი-თანატოსი და პოსტაფროდიტეს ჯგუფის ფიგურა), მეორეში კი – ცხოველთა (კუ, ტახი) გამოსახულებები.

ჩვენს ხელთ არსებული მწირი მასალის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ყველაზე პოპულარული დემეტრესა და მის კულტთან დაკავშირებული ცხოველების გამოსახულებები იყო. სულ ნაპოვნია დემეტრეს 4 ფიგურა, ამათგან სამი შედარებით სრული სახითაა მოღწეული, მეოთხე ფიგურის გადარჩენა, რომლის მსგავსი სტატუეტი კიდევ არის აღმოჩენილი ფიჭვნარის ბერძნულ სამაროვანზე, შეუძლებელი აღმოჩნდა (შენარჩუნდა მხოლოდ თავის უსახური ფრაგმენტი). ყველა ფიგურა გამოსახავს ტახტზე მჯდომ ქალღმერთს გამოკვეთილი ატრიბუტიკის გარეშე. შეიძლება მისი კიბელესთან, ბუნების დიდ დედასთან გაიგივებაც.

დემეტრეს ორი ფიგურა აღმოჩნდა 2000 წელს ძვ.წ. V ს-ის ბერძნულ სამაროვანზე (195-ე და 206-ე სამარხები). სამწუხაროდ, ერთი მათგანი სამარხიდან ამოღებისას დაიშალა. სტატუეტები მიეკუთვნება ტახტზე მჯდომი ღვთაებების რიგს. ორივე ფიგურას ერთნაირი, კეფაზე აწეული კავისებური ვარცხნილობა აღენიშნება. შედარებით სრულადაა დაცული 195-ე სამარხის ტერაკოტა (სურ. 1-2). სტატუეტის კეცი ნარინჯისფერში გარდამავალი ყავისფერია. სიმაღლე – 19,5 სმ. ქანდაკება ყალიბშია შესრულებული, ღრუა. იგი დაბალ პოსტამენტზე დგას. აკლია კვარცხლბეკისა და სავარძლის ნაწილი. სტატუეტს ოვალური სახე და ოდნავ სქელი, მასიური მაღალი ყელი აქვს, რაც დამახასიათებელია ამ პერიოდის ატიკური ტერაკოტისათვის. ფიგურა შემოსილია სადა, ტერფებამდე დაშვებული ქიტონით. გამოწვისას ზურგზე მართკუთხედის ფორმის ჭრილი აქვს გაკე-

თებული. სავარძლის ზურგს მომრგვალებული შვერილები აქვს. ძნელია ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად დახვეწილადაა დამუშავებული ქანდაკების ცალკეული დეტალები, რაც ახასიათებს ამ პერიოდის სტატუეტებს, რადგანაც მარილიანი ქვიშის ზემოქმედებით თიხა ძლიერაა დაზიანებული. პარალელებისა და სამარხეული ინვენტარის მიხედვით (წითელფიგურული სკიფოსი ბუს გამოსახულებით, რომელიც მასობრივად იწარმოებოდა ძვ.წ. V ს-ის მეორე და მესამე მეოთხედებში და ფ. პ. ჯონსონის კლასიფიკაციის I ჯგუფში შედის) ტერაკოტა თარიღდება ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედით [1, გვ. 75].



სურ. 2

დემეტრეს ტერაკოტული ფიგურა აღმოჩნდა 1998 წელს, ფიჭვნარის ძვ.წ. V ს-ის ბერძნულ სამაროვანზე, ჰუმუსოვან ფენაში (სურ. 3). აკლია სხეულის ქვედა ნაწილი და მარჯვენა მხარი. დაცული ფრაგმენტის სიმაღლეა 7,9 სმ. კეცი მოყვითალო-ღიაყავისფერი, კარგად განლექილი, ქარსის მინარევებით. სტატუეტი ღრუა, დამზადებულია ყალიბში. წინა და ზურგის მხარეების შეერთების ადგილს საჭრეთლის კვალი ეტყობა. შიგა მხრიდან ყალიბის თიხით ამოვსებისას დატოვებული კოროპლასტის თითის ანაბეჭდიც შეიმჩნევა. სტატუეტის სახე ოვალურია, შუაზე გაყოფილი თმა სტეფანითა და თავსაბურითაა შემკული. სახე არ არის კარგად რეტუშირებული, თიხაზე შემორჩენილია თეთრი კირხსნარის ან საღებავის სუსტი კვალი. მკერდი და მხრები რელიეფურადაა დამუშავებული, ზურგის მხარე სქემატურია. მართალია, სტატუეტს არ აღენიშნება სავარძლის ზურგი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას ტახტზე მჯდომ ქალღმერთების რიგს მივაკუთვნებთ, რადგანაც ჩვენთვის ცნობილია უზურგო საკარცხულზე მჯდომი ღვთაებების გამოსახულებებიც. შესრულების მანერის მიხედვით ფიგურა ძვ.წ. V ს-ის შუახანებით თარიღდება და ატიკური იმპორტია [2, გვ. 26].

სურ. 3

ტახტზე მჯდომი ქალღმერთის გამოსახულებიანი კიდევ ერთი ფიგურაა ნაპოვნი ძვ.წ. IV ს-ის სააღაპო-სარიტუალო მოედანზე. აკლია თავი და ხელები. ფიგურის სიმაღლეა 4,2 სმ. აცვია დრაპირებული გრძელი ქიტონი, რომლის კალთები ფეხებამდე წვდება. კეცი ღია მოყვითალო ფერისაა. ანალოგების მიხედვით ატიკური ნაწარმი უნდა იყოს [2, გვ. 26, ტაბ.I_2].

დემეტრეს კულტთან დაკავშირებული რამდენიმე ანიმალისტური ტერაკოტა აღმოჩნდა 1986 წელს ციხისძირის გვიანარქაული-ადრეკლასიკური ხანის სამარხებში. ესაა კუსა და ტახის გამოსახულებიანი ტერაკოტები (სურ. 4-5). 158-ე სამარხში კუსა და ტახის სამ-სამი, ხოლო 159-ე სამარხში ტახის ერთი ფიგურაა. ფიგურების კეცი მოყავისფრო-ნარინჯისფერია. თიხა კარგად განლექილია, მინარევების გარეშე. ტერაკოტების ზედა ნაწილი ყალიბშია შესრულებული, ქვედა კი ხელითაა მოსწორებული. ფიგურებს მუცლის არეში აქვს ჭრილი. დიდი ნაწილი ძლიერ იყო დაზიანებული.



სურ. 4

158-ე სამარხის ტერაკოტები ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედით შეიძლება დათარიღდეს აქვე ნაპოვნი ცილინდრული შავფიგურული ლეკითოსის (ჰაიმონის მხატვრის სახელოსნო) მიხედვით. ამ პერიოდითვე თარიღდება ბელდამის მხატვრის ან მისი ჯგუფის ცილინდრული პალმეტებიანი ლეკითოსი, რომელიც 159-ე სამარხშია ნაპოვნი. რა თქმა უნდა, ასეთი ზუსტი დათარიღება პირობითია, რადგანაც სტილისტური ნიშნების მიხედვით ციხისძირის ფიგურების გავრცელების პერიოდად მიჩნეულია ძვ.წ. VI ს-ის დასასრული - V ს-ის დასაწყისი [14, გვ. 109-125]. ეს ფიგურები როდოსულ ტიპს ჰგავს, რომელიც შემდეგ ატიკასა და ბეოტიაში გავრცელდა. თამამად შეიძლება დავათარიღოთ ძვ.წ. V ს-ის პირველი მეოთხედით.

ბერძნულ სამყაროში ციხისძირის ტახისა და კუს მსგავსი გამოსახულებები მრავლადაა ნაპოვნი. სხვა ანიმალისტურ ფიგურებთან ერთად მათ ვხვდებით როგორც ტაძრებში, ასევე სამარხეულ ინვენტარში [5, გვ. 50; 4, გვ. 37, 43; 11, გვ. 178, 182, ტაბ. 33].

განსაკუთრებით საინტერესოა ტახის ფიგურების აღმოჩენის ფაქტი. ცნობილია, რომ ეს ცხოველები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ დემეტრეს კულტთან დაკავშირებულ რიტუალებში. თესმოფორიები ყველაზე დიდი დღესასწაული იყო, რომელიც დემეტრესა და პერსეფონეს პატივსაცემად ეწყობოდა შემოდგომის დასაწყისში. მხოლოდ ქალებს ჰქონდათ უფლება მიეღოთ მონაწილეობა რიტუალებში, რომელთა მიზანი მინდვრებისა და დედათა ნაყოფიერების უზრუნველყოფა იყო [12, გვ. 130]. თესმოფორიების დასაწყისში, განწმენდის რიტუალის შესრულების შემდეგ, განდობილ ქალთა ჯგუფი (οι αντλήτριες), გველების დასაფრთხობად, ტაშის ცემითა და საჟღარუნოების ხმაურით ჩადიოდა დემეტრესა და კორეს ტევრში მდებარე მიწისქვეშა მეგარონებში და ამოჰქონდა წინა თესმოფორიების ან სკიროფორიების დროს ჩაყრილი ღორების ნაშთები. მათ ათავსებდნენ საკურთხეველზე დასათეს მარცვალთან ერთად და სათანადო რიტუალის ჩატარების შემდეგ ფანტავდნენ მინდვრებში კარგი მოსავლის საწინდრად. ეს რიტუალი დაკავშირებულია დემეტრესა და პერსეფონეს მითთან. ღორების უფსკრულში ჩაყრა ჰადესის მიერ პერსეფონეს მიწისქვეშეთში გატაცების სცენას ასახავს. საინტერესოა, რატომ იყენებდნენ ამ რიტუალში სწორედ ღორებს და არა სხვა ცხოველებს, ან თუნდაც პერსეფონეს გამოსახულებას. ევროპულ ფოლკლორში ღორი პურის ღვთაებაა. ჯეიმს ფრეზერი თვლიდა, რომ პურის (მოსავლიანობის) ქალღმერთი დემეტრე და მისი ასული და ორეული პერსეფონე თავდაპირველად ღორთან ასოცირდებოდნენ. დემეტრე ხშირად გამოისახებოდა ღორით ხელში, რომელიც მის სამსხვერპლო ცხოველად ითვლებოდა. მის შეჭმას სარიტუალო ტრაპეზის დროს ფრეზერი განიხილავდა, როგორც ზიარების საიდუმლოს [8, გვ. 90-91; 9, გვ. 20; 10, გვ. 123]. სამსხვერპლო ცხოველი გაიგივებული იყო ღვთაებასთან. ითვლებოდა, რომ მისი სახით შეიწირებოდა და იჭმებოდა თავად ეს ღვთაება [7, გვ. 152].



სურ. 5

არსებობდა სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი – განწმენდის რიტუალი. სექტემბრის ბოლოს, ბოედრომიონის მე-16 დღეს ელევსინის მისტერიების მონაწილეები ზღვაში შესაწირავ ღორებთან ერთად განიწმინდებოდნენ. ამ რიტუალში მონაწილეობა არ შეეძლოთ მონებს, უცხოელებსა და ქალებს [7, გვ. 153].

საინტერესოა ასევე, რა საკულტო დატვირთვა ჰქონდა კუს გამოსახულებებს. მართალია, ამ ცხოველის დაკავშირება შეიძლება ქალღმერთ დემეტრესთანაც, მაგრამ, ჩვენი აზრით, კუ უფრო ახლოს დგას ჰერმესთან, რომელიც გარდაცვლილთა სულების მეგზურად ითვლებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ მასთან დაკავშირებული ცხოველის გამოსახულებებია სამარხებში უფრო ხშირად აღმოჩენილი. დემეტრესა და ჰერმესს, როგორც ხთონურ ღვთაებებს, კუს გარდა კიდევ ერთი საერთო ატრიბუტი აქვთ გველის სახით.

რა თქმა უნდა, ამ ცხოველთა გამოსახულებები, როგორც ცოცხალი შესაწირავის ჩანაცვლება, მხოლოდ დემეტრესა და ჰერმესის კულტთან არ არის დაკავშირებული. ისინი მრავლადაა ნაპოვნი სხვა ხთონური ღვთაებების ტაძრებთანაც, მაგრამ როგორც სამარხეული ინვენტარი, უფრო ამ ღმერთების (დემეტრე და ჰერმესი) კულტთან კავშირში უნდა განვიხილოთ. რაც შეეხება იმ აზრს, რომ შესაძლოა ისინი სათამაშოებია (ამ ვარაუდს ამყარებს ის გარემოება, რომ მეტწილად ისინი ბავშვთა სამარხებში გვხვდება და ზოგ მათგანს შიგნით თიხის პატარა ბურთულა აღენიშნება, ანუ შეიძლება საჟღარუნო სათამაშო იყოს), თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალღმერთ დემეტრეს ერთ-ერთი ფუნქცია შობადობისა და ბავშვების მფარველობაა, მისი სამსხვერპლო ცხოველების ზოგჯერ არც ისე პატარა ზომის გამოსახულებების აღმოჩენა ბავშვთა სამარხებში იოლი ასახსნელია [8, გვ. 81]. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ცხოველთა გამოსახულებების სამარხში ჩატანებას უფ-

რო საკულტო ხასიათი ჰქონდა. ისინი ასოცირ-დებოდა ხთონურ ღვთაებებთან (ჩვენს შემთხვე-ვაში დემეტრესა და ჰერმესთან), რომლებიც გარდაცვლილთა სულების მეგზურები უნდა გამხდარიყვნენ ჰადესის სამეფოში.

ამრიგად, ფიჭვნარსა და ციხისძირში აღმო-ჩენილი ტერაკოტებიდან გამოიყოფა ფიგურების ჯგუფი, რომელიც შეიძლება დავაკავშიროთ ქალღმერთ დემეტრეს კულტთან. ფიგურების უმეტესობა ძვ.წ. V ს-ს განეკუთვნება. ესაა თავად ქალღმერთისა და მასთან გაიგივებული ცხოველების გამოსახულებები, რომელთაც გარ-დაცვლილებს საფლავში ატანდნენ როგორც მფარველებსა და მეგზურებს ჰადესის სამეფოში.

N. Dzneladze

TERRACOTTA FIGURES RELATED TO DEMETER CULT (ACCORDING TO MATERIALS FOUND DURING PICHVNARI AND TSIKHISDZIRI EXCAVATIONS)

(Summary)

In south-west Georgia terracotta figures are found rare (13 figures), mostly in Pichvnari and Tsikhisdziri. We got two different groups by selecting them according to the mythological-image principles. The first group consists of mythological characters (figures of Demeter, Eros-Thanatos and a female figure of Post-Aphrodite group), and the second group includes images of animals (tortoise, pig).

Based on the available sources we could guess that the most popular were the figures related to Demeter and her cult. There has found only four figures of Demeter there. Three of them are preserved in relatively completed shape. The fourth figure was damaged so greatly that it was impossible to save it, unfortunately, only uncomely fragment of head remained. All figures include a goddess sitting on a throne without any specified attributes.

In 1986, few animalistic terracottas related to Demeter cult were found in burials of late Archaic/Early Classical Ages of Tsikhisdziri. There were found terracotta figures of tortoises and pigs in two burials.

Pig figures attract our special interest. It is widely known that this animal played an important role in rituals related to Demeter cult.

It is quite interesting to detect a cult meaning of a tortoise image. The animal could be related to Goddess Demeter, but we think it is closer to Hermes that was considered as guide of spirits. It is not by chance that images of animals related to it are often found in burials. Besides the tortoise, Demeter and Hermes being chthonic gods have another common attribute – a snake.

Certainly, images of the abovementioned animals as substitution to alive offering are not related only to Demeter and Hermes cults. They are often found at temples of other chthonic gods. Though, in terms of sundry they are often related particularly to Demeter and Hermes cults. Regarding to the thought they are toys (the belief is strengthened by the fact that they are mostly found in infants' burials, and some of them have a clay ball inside), if we consider that one of the prior functions of Goddess Demeter was delivery and infants care, revealing rather big images of offering animals in infants' burial is easily explained. We think that putting animal images into burials had more cult meaning. They were associated with chthonic gods that guided spirits through Hades' Kingdom.

ლიტერატურა

1. კახიძე ა., ვიკერსი მ. ფიჭვნარი I (საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, 1998-2002 წწ). ბათუმი-ოქფორდი, 2004.

2. ძნელაძე ნ. ტერაკოტები ფიჭვნარიდან. – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, I, 2000, გვ. 25-32.

3. Кобылина М. М. Терракотовые статуэтки Пантикапея и Фанагории. Москва, 1961

4. Леви Е. И. Терракоты из Ольвии. – Терракоты Северного Причерноморья. САИ, вып. Г 1-11, М, 1970, с. 33-56.

5. Скуднова В. М. Статуэтки с о. Березань. – Терракоты Северного Причерноморья. САИ, вып. Г 1-11, М, 1970, с. 31.

6. Burkert W. Ancient Mystery Cults. Cambridge, Massachusetts, London, England, 1987.

7. Burkert W. Αρχαία ελληνική θρησκεία (αρχαία και κλασική εποχή). Αθήνα, 1989.

8. Farnell, L. R. The Cults of the Greek States. Vol. 3, Oxford, 1907

9. Frazer J. G. The Golden Bough: A Study in Magic and Religion. Part 5, vol. 2. London, 1912

10. Harrison J. E. Prolegomena to the Study of Greek Religion. Cambridge, 1903

11. Higgins R. A. Catalogue of the Terracottas in the Department of Greek and Roman Antiquiti Greek Terracottas. London, 1967

12. Κακρίδης Ι. Θ. Ελληνική μυθολογία, τ. 2. Αθήνα, 1986.

13. Pottier E. Reinach S. La nekropole de Myrina. Paris, Thorin, vol.2, 1887

14. Tsetskhladze G. R., Vashakidze N. V. Terracotta Figures of Animals from Colchis. – Dialogues d'Histoire Ancienne, 20.1, 1994, p. 109-125.

დიმინიკ კასაბ ტეზგორი

არქეოლოგიური გათხრები სინოპის მახლობლად: ამფორების დასამზადებელი სახელოსნო დემირსიში

მთელს შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი ამფორებისა და კრამიტების მრავალრიცხოვანი (20 ათასამდემდე) დამღების წყალობით სინოპე ცნობილია როგორც შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საწარმოო ცენტრი და ექსპორტიორი, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანიც კი. პარადოქსალურია, რომ დღემდე კვლევა-ძიება დაფუძნებული იყო მასალებზე, რომლებიც აღმოჩენილია თურქეთის ფარგლებს გარეთ, თვით ძველი სინოპის ტერიტორიაზე კი არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა.

სურ. 1



სურ. 2

თავდაპირველად ათამდე სახელოსნო იქნა დაფიქსირებული 1993 წელს ჩატარებული ზედაპირული დაზვერვების შედეგად [8]. გამოვლენილი მასალები ელინისტურ ხანას მიეკუთვნა. სინოპის ნახევარკუნძულზე ჩატარებულმა ელინისტური ხანის სახელოსნოების გათხრებმა ბევრი თეთრი ლაქა შეავსო სინოპური დამღების შესწავლაში [6; 7; 9; 10].

მეორე სახელოსნო, რომელიც მდებარეობს დემირსის ყურიდან 1 კმ, ხოლო სინოპიდან აღმოსავლეთით 15 კმ დაცილებით, ფუნქციონირებდა ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევრიდან VI საუკუნემდე. მისი შესწავლის ერთ-ერთი მიზანი იყო სინოპის ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების ამფორების კვლევის განახლება.

1. დემირსი-სინოპის არქეოლოგიური გათხრები. დემირსი-სინოპის სახელოსნოს არქეოლოგიურ გათხრებს წინ უსწრებდა შესასწავლი ფართობის ჩრდილოეთი სექტორის A და B ზონების მაგნიტური კვლევა (სურ. 1). გათხრები და კვლევა-ძიება მონაცვლეობით ჩატარდა 1994-2004 წლებში.[30]

1.1. A ზონა (სურ. 2).

სურ. 3

1.1.1. კვადრატები A. O 28-Q 28 [11, გვ. 335-343]. 1994 წლის ივლისში, გათხრების პირველ წელს, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ერთ-ერთი ანომალიის შესწავლას, რომელიც მიგნებულ იქნა ღრმა ხნულის განაპირას. მას მოკლე დროში გაქრობა ემუქრებოდა. O_{28} კვადრატში აღმოჩნდა 3 ქურის ნაშთი და 2 ორმო, რომლებიც ერთმანეთის თავზე იყო გამართული (სურ. 3). თითოეული სტრუქტურა

[30] აქ ჩვენ ვიძლევით მხოლოდ რეზიუმეს არქეოლოგიური გათხრების შედეგებისა, რომლებიც უკვე გამოქვეყნებულია [11; 15]. ეს სამუშაოები ჩატარებულია სინოპის მუზეუმთან მჭიდრო თანამშრომლობით, დაწყებული მუზეუმის დირექტორით ისმაილ ტატლიკანით, დამთავრებული მუზეუმის მცველით ფუატ დერელით. 1994 წელს გათხრები დააფინანსა IFEA-მ (სტამბული) და CNRS-ის შავიზღვისპირეთის ამფორებისა და პონტოსპირეთის შემსწავლელმა ჯგუფებმა. 1995 წლიდან გათხრებს აფინანსებდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტი და აგრეთვე ანკარის კერძო ფირმა „კავაკლიდერეს ღვინის მარნები“.

მოსდევს სტრუქტურას, რომელიც აღარ იხმარება.

სურ. 4

ყველაზე უფრო ძველ კონსტრუქციას წარმოადგენდა ქურა, რომელიც თითქმის დაუზიანებელი ჩანდა (ქურა a). ჩვენამდე შემორჩენილია საცეცხლე ორი ცენტრალური სვეტით და გამოსაწვავი კამერა (სიგრძე – 2,40 მ, სიგანე – 2 მ, შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე – 1,20 მ) (სურ. 4). იატაკი არ შემორჩა, თუმცა შესასვლელის პირველი თაღედები ჯერ კიდევ ადგილზე იყო.

სურ. 5

ქვით ამოყვანილი ორმოს (ორმო b) მომდევნო ორი ორმოდან პირველისაგან (ქურა c) ნაწილობრივ შემორჩა საცეცხლესა და გამოსაწვავი კამერის კედლები და პირი, აგრეთვე მასივის ერთი ნაწილი, რომელიც მას გარშემო ერტყა და რომელიც შედგებოდა რიყის ქვების, თიხის ჭურჭლისა და კრამიტის ფრაგმენტების ნარევისაგან. უკანასკნელი ქურისაგან (ქურა d) შემორჩა მხოლოდ საცეცხლის მცირე ნაშთი. საბოლოოდ ის იქნა დაშლილი ქვით ამოყვანილი ორმოს (ორმო e) ასაგებად.

ჩრდილო-აღმოსავლეთით, კვადრატებში P_{28}-Q_{28} გაიწმინდა რიყის ქვებისაგან ნაგები პლატფორმის ნაშთები (სიგრძე – 5,40 მ, სიგანე – 3 მ, სიმაღლე – 0, 55 მ) (სურ. 5). მათ ქვეშ აღმოჩნდა ოთხი დიდი ქვევრი. მათგან ერთი, შუაში მდებარე ქვევრის სიმაღლე თითქმის 2 მ-ს აღწევდა (სურ. 6). ეს ქვევრები ქრონოლოგიურად მიეკუთვნებიან ძეგლის არსებობის უკანასკნელ პერიოდს. მათი დანიშნულება ძნელი ასახსნელია. მაგრამ სიახლოვე სახელოსნოსთან გვაძლევს საფუძველს, რომ ისინი უშუალოდ სახელოსნოს ან სახელოსნოსთან დაკავშირებულ რაიმე საწარმოს მივაკუთვნოთ.

სურ. 6

1.1.2. კვადრატები A.V 21 –V 22 [15, გვ. 423-426].

სამი ქურა აგებულია ერთსა და იმავე ადგილას, ერთმანეთის მიყოლებით. ყველაზე ადრეული ქურისაგან შემორჩა იატაკის ძალიან მცირე ნაწილი (60×34 სმ), რომელიც შედგებოდა მკვრივი, მოთეთრო თიხის ფენისაგან. ორი სხვა, მსხლისებური ფორმის ქურისაგან შემორჩენილი იყო საცეცხლის იატაკი და კედლების ძირი (ქურა 2: სიგრძე – 2,90 მ; ქურა 3: სიგრძე 2,77 მ, სიგანე – 2,33 მ; სურ. 7-8).

სურ. 7

სურ. 8



სურ. 9



სურ. 10

სურ. 11



სურ. 12

სურ. 13

მეორე ქურის შესასვლელი გამიჯნული იყო შეზნექილი, U-ს ფორმის ქვის კედლის წყობით.

1.1.3. კვადრატები A. S 22-S 23, R23 (სურ. 9) [15, გვ. 426-433].

ყველაზე ძველი ქურა R_{23} კვადრატში მცირე და მრგვალი იყო (დმ – 1,57 მ). მისგან შემორჩა მხოლოდ საცეცხლის ქვედა ნაწილი, ღია ფერის თიხის მოტკეპნილი, ჩაზნექილი იატაკით; მის ცენტრალურ ნაწილში ერთადერთი სვეტი აღმოჩნდა (სურ. 11).

ყველაზე გვიანდელი პერიოდის ქურა, მსხლის ფორმისა, ნაწილობრივ ფარავს უფრო ძველს (კვადრატი S 23) (სურ. 10). ის დიდი ზომისაა; თითქმის მთლიანად არის შემონახული საცეცხლე, რომელშიც ორი სწორკუთხა ბოძი დაფიქსირდა, და გამოსაწვავი კამერის ქვედა ნაწილი; იატაკი არ შემორჩა.

ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმული ვულკანური წარმოშობის ორი ქვა, რომლებიც გაიწმინდა იატაკის დონეზე მაღლა ქურის შესასვლელის წინ, ქმნიდა ზღურბლს. შესასვლელი ტრაპეციის ფორმისა იყო (სურ. 11). ის ქვის ორი კედლით იყო შემოსაზღვრული, რომლებიც ირიბად იდგა და რომელთაც ნახევარწრიული რიყის ქვების კედელი აერთიანებდა. შესასვლელის ჩრდილო-დასავლეთით აღმოჩნდა რიყის ქვისა და კერამიკის ფრაგმენტებით ნაგები მასივის ნაწილი, რომელიც ქურას ერტყა გარშემო.

1.1.4. კვადრატი A. P 26-Q 26 (სურ. 12) [15, გვ. 434-438].

მაგნიტური ანომალია, რომელიც დაფიქსირებულ იქნა 1994 წელს შესწავლილ ანომალიასა და ზემოთ ჩამოთვლილი კვადრატების ანომალიას შორის, შეესატყვისება ქურას, რომელიც აქამდე აღმოჩენილთა შორის ყველაზე დიდია (სურ. 13).

ქურა მსხლისებური ფორმისაა, რაზეც აშკარად მეტყველებს საცეცხლის იატაკი (სიგრძე 3,65 მ, სიგანე 2,76 მ); თუმცა გამოსაწვავი კამერის გამობერილი კედლები მას ამ დონეზე უფრო მომრგვალებულ ფორმას აძლევს. მაშინ როდესაც გამოსაწვავი კამერა თითქმის მთლიანად შემორჩა, შესასვლელის დასავლეთით საცეცხლის მხოლოდ ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე. იატაკი გამქრალია, ხოლო ორი ცენტრალური სვეტი – დაშლილი. ჩრდილოეთის მიმართულებით გამოსაწვავი ქურა დაახლოებით 1 მეტრზე გრძელდება: აქ შეინიშნება ღიობი, რომელიც შესაძლოა გამოიყენებოდა შესასვლელად, იატაკზე ამფორების დასადგმელად ან რემონტის ჩასატარებლად (?). რიყის ქვის შესასვლელი, რომელსაც ტრაპეციის ფორმა აქვს, გაცილებით უფრო ვიწროა, ვიდრე S 23 კვადრატში აღმოჩენილი ქურის შესავლელი (სურ. 14).

შესასვლელში შემორჩენილია ორი თაღი მაინც (შესაძლებელია მესამე თაღის არსებობაც), რომლებიც შედგება გამომწვარი თიხის მორკალული კადინისაგან. თაღები აკავებენ გამოსაწვავ კამერას.

სურ. 14

1.2. ზონა B

1.2.1. კვადრატები B. K11-L12 [11, გვ. 344-349].

სურ. 15

1995 წელს დაზვერვითი სამუშაოები ჩატარდა B ზონაში, რომელიც მდებარეობს ძეგლის ჩრდილოეთით. მნიშვნელოვანი მაგნიტური ანომალია ამ ზონის სამხრეთ ნაწილში დაემთხვა დიდ ნაგებობას, რომელიც მიმართული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ, მრავალთაგან ერთ-ერთი დამეწყრილი ზონისკენ (სურ. 15-16). კედლები წარმოადგენს რიყის ქვის მშრალი წყობის ექვს რიგს, რომელსაც თავზე ედო კრამიტის ოთხი რიგი, შეკავშირებული ცემენტით. მთლიანად მოაღწია ჩვენამდე მხოლოდ ჩრდილოეთის

კედელმა, რომლის სიგრძე 6,70 მ-ია, მაქსიმალური სიმაღლე – 1,22 მ. ქვაფენილი, მოგებული ბრტყელი ფილებით, რომელთაგან ზოგიერთი დიდი ზომისაა, იატაკს წარმოადგენდა. იატაკის მაქსიმალური სიგრძე შემორჩენილია ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით და შეადგენს 7,75 მ-ს. ნაგებობა, როგორც ჩანს, სწორკუთხა იყო. რაც შეეხება ორიენტაციას, მისი დადგენა არ ხერხდება, რადგან არავითარი ნიშანი იმისა, თუ სად მდებარეობდა შესასვლელი, არ არის დაცული. მით უმეტეს არ ხერხდება ნაგებობის დანიშნულების გარკვევა. ქვაფენილის სამხრეთით, მისდამი პერპენდიკულარულად გაჭრილმა 2 მ სიგრძის თხრილმა გამოავლინა შავი მიწის ფენა, რომელშიც ბრინჯაოს ხანის კერამიკა აღმოჩნდა.

სურ. 16

ნაგებობის აღმოსავლეთ კედელს წყვეტს კანალიზაცია, რომელიც მასზე გვიანდელია და სავარაუდოდ ნაგებობის ჩრდილოეთით აღმოჩენილი სამი ქვევრის ფრაგმენტების თანადროული უნდა იყოს.



სურ. 17

1.2.2. კვადრატები №7-№8 [11, გვ. 349-354].

ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთით 20 მეტრის დაშორებით მდებარეობს ორი ქურა, ერთიმეორეზე აღმართული, მიმართული სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, დამეწყრილი ზონისკენ (სურ. 17). უფრო ადრეული ქურა (კვადრატი №8) ზომით უფრო პატარაა, მსხლისებური ფორმა აქვს. ქურისგან შემორჩა მხოლოდ საცეცხლე (სიგრძე – 1,48 მ, სიგანე – 1,41 მ) (სურ. 18).[31]

სურ. 18



სურ. 19

ამავე ქურას უნდა დავუკავშიროთ წითელკეციანი, ე.წ. სტაფილოს ფორმის ამფორათა ფრაგმენტების ორი რიგი, რომელიც სავარაუდოდ დრენაჟის ფუნქციას უნდა ასრულებდეს (სურ. 19).[32] ამ ქურაზე ნაწილობრივ გადადიოდა მეორე, უფრო მნიშვნელოვანი და უფრო გვიანდელი ქურა (კვადრატი № 7). მისგან შემორჩენილია მხოლოდ საცეცხლის ქვედა ნაწილი, თითქმის წრიული (სიგრძე – 2,47, სიგანე – 2,39 მ), ორი ცენტრალური საყრდენით. ამავე დროს კვადრატ S 23-ში, ქურაში, რომელიც A ზონას მიეკუთვნება, აღმოჩნდა უზარმაზარი ვულკანური წარმოშობის ქვა (1,30×0,60×0,26 მ). ის იდო შესასვლელის წინ, რომლის აღმოსავლეთი ნაწილი ჯერ კიდევ შეიმჩნევა ქვის წყობის წყალობით.

1.2.3. კვადრატები M 8-L 8 [14, გვ. 215-218] (სურ. 20)

B ზონის გათხრები განახლდა 2000 წელს. გამოვლინდა ახალი ქურა, რომელსაც ამ ზონის სხვა ქურების მსგავსი სტრუქტურა ჰქონდა – დახრილია დასავლეთიდნ აღმოსავლეთისკენ.

საქმე ეხება მსხლისებური ფორმის ქურას (სიგრძე 2,45 მ, მაქსიმალური სიგანე 1,85 მ).

[31] A ზონის R 23 კვადრატის ქურტს მსგავსად, როგორც ჩანს, ეს ქურაც შედგებოდა ერთადერთი ცენტრალური ბოძისაგან, რომელსაც ფარავდა მომდევნო ქურის კედელი.

[32] ამ ტიპის ამფორების შესახებ იხ. ქვემოთ.

მისი საცეცხლე კამერა შემორჩენილია ორი ცენტრალური სვეტის სახით, ხოლო გამოსაწვავი კამერიდან დარჩენილია კრამიტის მხოლოდ ოთხი რიგი. იატაკი შედგენილია გამომწვარი თიხის სქელი ფენისაგან, რომელშიც აღმოჩნდა ღია ფერის თიხის ამფორების ფრაგმენტები. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს ნაწარმი მზადდებოდა ქურის აშენების დროს.



სურ. 20

ტერაკოტულ თაღედებიანი შესასვლელი კარგადაა შემონახული. ორი ირიბი კედელი შემოსაზღვრავს მას და სხვა ქურებისაგან განსხვავებით ტრაპეციულ ფორმას აძლევს.

ქურების სამხრეთით ორი ქვევრი აღმოჩნდა, რომლებიც მაგნიტურ რუკაზე სუსტი ანომალიით აღინიშნებოდა. ქვევრები მაქსიმალური დიამეტრის ადგილამდე იყო შემორჩენილი, რაც ხშირად ხდება.

1.2.4. კვადრატები M 8-M 6 [14, გვ. 219-220]

გამოსაწვავი კამერა უეჭველად დანგრეული იყო, ხოლო ქურა ამოვსებული იყო იმ ნაგებობის მშენებლობის დროს, რომელსაც აღმოსავლეთ-დასავლეთის ორიენტაცია აქვს. დასავლეთით ეს ნაგებობა აფსიდით ბოლოვდება (სიგრძე 9,50 მ). მას ორმაგი კედელი აქვს, რომელიც შედგება ურთიერთმონაცვლე კრამიტისა და ქვის წყობის შვიდი რიგისაგან, რომელიც ცემენტითაა შეკრული (მაქსიმალური სიმაღლე 1,04 მ; მაქსიმალური სიგანე 0,52 მ). ეს კედელი, რომელიც საძირკვლამდე იყო მიწით დაფარული, კონტრფორსს უნდა წარმოადგენდეს. სამწუხაროდ, არაფერი არ გვაქვს ხელთ ამ ნაგებობის რაობის დასადგენად. შესაძლებელია, ის დაკავშირებული იყო ქვის დიდ ნაგებობასთან, რომელიც 1995 წელს აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ წყობა განსხვავებულია. თანაც თვით ეს ნაგებობა, ისევე როგორც ამ მონაკვეთზე შემორჩენილი სხვა კონსტრუქციები, ძლიერაა დანგრეული.

2. დემირსის ქურები

2.1. ქურათა დაცულობა

უნდა აღინიშნოს, რომ შესასვლელი არც ერთ შემთხვევაში არ დადასტურდა ადგილზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი ან იხსნებოდა, ან ნადგურდებოდა. გარდა ამისა, ის შეიძლებოდა მეორედ გამოყენებული ყოფილიყო, ნაწილობრივ მაინც. მაგრამ ყველაზე უფრო საგულისხმოა, რომ ხდებოდა ქურის გარდაქმნა სანაგვე ორმოდ, ან, როგორც ეს მოხდა Q 26 კვადრატში შესწავლილი ქურის შემთხვევაში, ორმო გამოიყენებოდა თიხის განლექვისათვის.[33]

ამავე დროს არ შეიძლება გამოირიცხოს ის, რომ ქურის ზოგიერთი ელემენტი მეორედ იყო გამოყენებული ახალი ქურების ასაგებად ან სარემონტოდ, ვინაიდან გადახურვაში გამოყენებული ზოგიერთი ბლოკი სავარაუდოდ მეორადი გამოყენებისაა. ამგვარი ვარაუდით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ კვადრატ Q 26-ში აღმოჩენილ ქურას საცეცხლე არა აქვს.

ქურები ძირითადად შევსებული იყო გრუნტით, სამშენებლო მასალით და იმ მასალის ფრაგმენტებით, რომლის წარმოებასთან იყვნენ დაკავშირებულნი: კრამიტი, *tubuli*, საყრდენები და ამფორათა ფრაგმენტები. ყველაფერი ეს არეული იყო ყოველდღიური ცხოვრების ნარჩენებთან: ქვევრების პირის გვირგვინების ფრაგმენტებთან, ცოტაოდენ ცეცხლგამძლე კერამიკასთან და დამღიან ჭურჭელთან,[34] ძვლებთანაც კი. კოლხური ამფორების რამდენიმე ფრაგმენტი აღმოჩნდა Q 26 კვადრატის ქურაში (სურ. 21). მათ შორისაა თითქმის მთლიანად შემორჩენილი ყელი.

სურ. 21

[33] ფაქტობრივად აღმოჩნდა მიწაზე 10 სმ-მდე სისქის მომწვანო თიხის ფენა, რომელიც შეიცავდა წვრილი ქვებსა და მინარევებს. ამ ჰიპოთეზას ამაგრებს ბოძების შებათქაშებაც.

[34] ეს უკანასკნელი მცირე რაოდენობით გვხვდება ქურის მოპირკეთებაში, ხოლო მრავლად იჩენს თავს სანაგვეზე ან პითოსების შევსებაში.

2.2. ქურების არქიტექტურა

თითქმის მთლიანად შემორჩენილი სამი ქურა, ისევე როგორც ელემენტები მათი ნაყარიდან, იძლევა იმის საშუალებას, რომ დადგენილ იქნას მათი აგების ხერხები (სურ. 22).

სურ. 22

ქურის საცეცხლესა და გამოსაწვავი ქურების კედლები დაფარული იყო მიწით. ისინი აღმოჩნდა კრამიტთან ან თიხის ბლოკებთან ერთად, რომელიც არეული იყო მკვრივ თიხასთან. თითოეული კედელი იყო 0,70 მ-ის სიმაღლის, ხოლო საცეცხლეს კედელი ქმნიდა გამონაშვერს. მის ზედაპირზე, ისევე როგორც გრუნტზე, დატანილი იყო თიხის სხვადასხვა სისქის ფენა. ორივე ცენტრალური ბოძი ნაგები იყო თიხის ბლოკებისა და კრამიტისაგან და მიმართული იყო შესასვლელისკენ. თიხის მსხვილი, დამხმარე ძელები ეყრდნობოდნენ ბოძებსა და ამაგრებდნენ ქვედს. მხოლოდ ორ ყველაზე უფრო პატარა ქურას, რომლებიც გაიწმინდა (A ზონა, კვადრატი R 23 და B ზონა, კვადრატი №8), ჰქონდა შემორჩენილი მხოლოდ ერთი ცენტრალური ბოძი ქვედის შესამაგრებლად.

შესასვლელი წარმოადგენდა გამომწვარი თიხის თაღედს (ქურა A ზონის Q 26 და O 28 და B ზონის M 8 კვდრატებში). ქურის კედლები ნაგები იყო ან ვულკანური ქვებით, ან რიყის ქვებით, რომლებიც თიხის ფენით იყო შელესილი მათთვის ცეცხლგამძლეობის მისანიჭებლად. კედლების კიდეები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ ქვებისა და კრამიტების ერთი რიგით, რაც ქურის თერმოიზოლაციას ემსახურებოდა (A ზონის ქურები S 23, Q 26, V 21-V 22, B ზონის ქურა №7). რაც შეეხება A ზონის S 23 და B ზონის №7 ქურებს, არე ქურის შესასვლელის წინ მთლიანად იყო დაკავებული ვულკანური ქვით. ეს უკანასკნელი განკუთვნილი იყო შესასვლელიდან წამოსული სიმხურვალის გასაკონტროლებლად. ქვის წყობის ერთი ან რამდენიმე რიგი, შერეული კერამიკულ ფრაგმენტებთან, მდებარეობდა ქურის გარშემო, იმდროინდელ საცხოვრებელ დონეზე. წყობის ეს რიგები ქმნიდნენ 0,60 მ სისქის მასივს ქურის გარშემო, რომელიც უზრუნველყოფდა სიმხურვალის იზოლაციას. ამის მიზანი იყო უკეთ შეენარჩუნებინათ სიმხურვალე, რასაც იძლეოდა ქურები, ერთმანეთის თავზე განლაგებული, როცა წინამორბედი ქურა წარმოადგენდა ტერაკოტულ იზოლაციას.

სურ. 23

სურ. 24

ქურის ნანგრევებში დიდი რაოდენობით აღმოჩენილი *tubuli* სავსებით შესაძლებელია, რომ განკუთვნილი იყო ქურის გუმბათის ასაგებად[35], მაშინ როდესაც *tubuli*-ს გამოყენება ფართოდაა

[35] სალელ-ოდის ქურაში ჭურჭელი ერთმანეთში იყო ჩადგმული გუმბათის შესაქმნელად [17, გვ.68-70].

დადასტურებული იტალიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში ნაგებობათა გადასახურავად [19]. *Tubuli*-ის გამოყენება ქურების გუმბათებისათვის ნაკლებადაა ცნობილი [5, გვ.145; 17, გვ. 70]. წითელკეციან *tubulus*-ს აქვს ღია ყელი, ცილინდრული ან კონუსური ფორმისა (სურ. 23), მაშინ როდესაც ღია კეციან *tubuli*-ს აქვს დახურული და კონუსური ყელი (სურ. 24). კომპლექსებში ისინი დაკავშირებულია ასეთივე კეცის მქონე ამფორებთან [15, გვ. 431, 441, სურ. 14 და გვ. 433, სურ. 18 და 19].

3. ამფორების წარმოება. დემირსიში აღმოჩენილი ამფორები მეტად მრავალრიცხოვანია და კეცის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფიან: ღია-ვარდისფერკეციანი, მოწითალო-მოაგურისფრო კეციანი, ღია ფერის მოთეთროკეციანი. თითოეულ მათგანს შეესატყვისება კარგად დადგენილი ტიპები[36]. რა ფერისაც არ უნდა იყოს კეცი, მათ აქვთ, როგორც ჩანს, ერთი და იგივე გასამჭლევებელი ნივთიერებები, რომელთაც შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა გრანულომეტრია. ყველაზე კარგად ჩანს ვიზუალაურად და ყველაზე ხშირად გვხვდება კალციტის, კვარცისა და წითელი ჩანართები, პიროქსენის ფშვნადი ან მკვრივი ჩანართები.

სურ. 25

[36] ეს ამფორები მომავალში იქნება დეტალურად შესწავლილი [12].

დემირსიში ჩატარებულმა გეოლოგიურმა დაზვერვამ აჩვენა, რომ ნედლეული იქვე იყო ადვილად ხელმისაწვდომი. საქმე ისაა, რომ სახელოსნო აგებული იყო თიხანარევ ფენაზე, ხოლო განამარხებული პიროქსენის არსებობა სამეთუნეოდ გამოსადეგი თიხის ფენის ქვეშ არის ამ ადგილისთვის დამახასიათებელი ძველი ფენომენი. გარდა ამისა, ჩვენს დრომდე შემორჩა პიროქსენის მასივი სამხრეთ სექტორში. ამავე დროს აქვე უნდა ყოფილიყო წყლის დიდი მარაგი წყაროების სახით [16, გვ. 455 და შემდ.].

სადღეისოდ ჩვენთვის ცნობილია ამფორათა მხოლოდ ერთი ტიპი ვარდისფერი თიხისაგან [8, 325, 331, სურ. 8; 15, გვ. 424, 427, სურ. 4-6]: დიდი ტევადობის, მისთვის დამახასიათებელი განიერი ყელით, რომელსაც შემოუყვება ლილვისებური პირის გვირგვინი, მასიური ყურებით, გამობერილი მუცლით, რომელიც ოდნავ არის შევიწროვებული ქვედა ნაწილში, წაწვეტებული ქუსლით (სურ. 25). ყელი ხშირად არის შემკული ერთი ან რამდენიმე ღარით (სურ. 26).

თითქმის მთლიანად დაცული ამ ტიპის ამფორები აღმოჩენილი იყო ყველაზე უფრო ძველი ქურის ჩრდილოეთით კვადრატებში V 21-22, ხოლო პირისა და ყელის ფრაგმენტები – კულტურულ ფენაში, რომელიც შეესაბამება b ორმოს ერთიმეორის თავზე მდებარე ხუთი სტრუქტურით, O 28-Q 28 კვადრატებში. ეს არის ამფორის ერთადერთი ტიპი, რომელიც გაჰქონდათ გორგიპიაში, ბოსფორის სამეფოში, სადაც იგი კონტექსტების მიხედვით ახ. წ. II საუკუნის მეორე ნახევრითა და III საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება [1, ტაბ. 93, 5-14, გვ. 266]. კომპლექსები, რომლებშიც ეს ამფორებია აღმოჩენილი ყველაზე ადრეულია ნაქალაქარზე და აღნიშნავს სახელოსნოს საქმიანობის დასაწყისს.

სურ. 26

სურ. 27

შეღებილი კეცის მქონე ამფორები იყოფა რამდენიმე ტიპად ტევადობის მიხედვით, რომლებსაც საერთო მორფოლოგიური ნიშნები აქვთ [8, გვ. 327, 331-333]. ყველაზე უფრო დიდი ტევადობის ამ ამფორებს (30 ლიტრზე მეტი) ახასიათებს ფართო ყელი, ლილვაკისებური მაღალი პირის გვირგვინი. პირის გვირგვინის ქვეშა მიძერწილია ყურები. ტანის ქვედა მესამედი შევიწროვებულია და ბოლოვდება წვეტიანი ძირით (სურ. 27). ამის საპირისპიროდ, ე.წ. სტაფილოს ტიპს, რომლის ტევადობა მხოლოდ 6 ლიტრია, აქვს მაღალი და ვიწრო ყელი; პირის გვირგვინი ორმაგი ლილვის ფორმისაა ან არათანაბარი სისქის სამკუთხა განივკვეთი აქვს. ყურები მიძერწილია ყელის ქვედა ნაწილთან, ტანი გრძელი და წაწვეტებულია (სურ. 28). ამ ტიპის ამფორების ფრაგმენტები, ისევე როგორც ბევრი სხვა შუალედური ტიპის ამფორებისა, აღმოჩენილია ერთსა და იმავე ფენებში, რაც საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს თანადროულ ფორმებთან. მონეტები საშუალებას იძლევიან დავათარიღოთ ეს ტიპები ახ.წ. I| საუკუნის დასასრულითა და V საუკუნით.

სურ. 28

ნაყარი ფენები შეიცავდა, თითქმის გამონაკლისის გარეშე, შეღებილი თიხის ამფორების ფრაგმენტებს, რაც იმას მოწმობს, რომ სწორედ ამ ეპოქას უნდა უკავშირდებოდეს A ზონაში პირველი ორმო – b, და ორი ქურა – c და d, O 28 კვადრატში, სამი ქურა V 21-22 კვადრატებისა და პატარა ქურა R 23 კვადრატისა, ისევე როგორც B ზონაში ნაგებობა და ქურა № 8 კვადრატისა.

სურ. 29

ღია ფერის კეცის მქონე ამფორები მცირე ზომისაა (ხშირად 5-6 ლ ტევადობისა). ისინი ხასიათდებიან მაღალი და ვიწრო ყელით,

კონუსური მეტ-ნაკლებად წაწვეტებული ტანით. ქედებითა და ტალღისებური ღარებით დაფარული ტანი ბოლოვდება გამობერილი ძირით ან მილისებური ქუსლით (სურ. 29 და 30).



სურ. 30

სივრცე ყველაზე გვიანდელ ქურასა და A ზონის უკანასკნელ e ორმოს შორის, ისევე როგორც თვით ორმო, იყო შევსებული გამობერილ-ძირიანი ამფრების ფრაგმენტებით. B ზონის №7 და M 8 კვადრატების და A ზონის S 23 კვადრატის ქურების შევსება შეიცავდა მრავალრიცხოვან ფრაგმენტებს მილისებურძირიანი ამფორებისა, აგრეთვე იუსტინეს (ახ.წ. 565-578 წწ) და იუსტინიანე I-ის (ახ.წ. 527-565 წწ.) მონეტებს, რაც ამ ნაწარმს ათარიღებს ახ.წ. VI საუკუნით.

დემირსიში აღმოჩენილი კომპლექსი თითქოს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ღია ფერის კეციანი ამფორები მოსდევდა შეღებილკეციან ამფორებს. მაგრამ ჩვენ უეჭველად ვერ დავამტკიცებთ ამას: შესაძლებელია, რომ მასალა, რომელიც ჩვენ მოვიძიეთ ქურებში, დაკავშირებული იყოს სახელოსნოს დაარსებასთან ან მის მუშაობასთან, უფრო კი ქრონოლოგიური თანამიმდევრობის შედეგია. ფაქტობრივად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსი არქეოლოგები ღია ფერის კეციან ამფორებს ათარიღებენ ახ.წ. I საუკუნის დასაწყისით, განსხვავებით ჩვენი სახელოსნოს ნაწარმისაგან [18, გვ. 395]. დემირსიში ეს პროდუქცია ღია ფერის კეცისა, შესაბამისად, შეიძლება ყოფილიყო არა მარტო თანადროული შეღებილკეციანი ამფორებისა, არამედ აგრეთვე მასზე ადრეული. ის შემორჩა VI საუკუნეშიც.

4. კერამიკული საწარმოს გარდაქმნა ზეთსახდელად

ხრახნიანი ზეთსახდელის სამი საპირწონე, რომლებიც ერთმანეთისგან რამდენიმე მეტრის დაცილებით აღმოჩნდა A ზონაში, მოწმობენ იმას, რომ მოგვიანებით მოხდა სექტორის გარდაქმნა. ორი საპირწონედან, რომლებიც დამზადებულია კუბის მოყვანილობის ქვისაგან, ერთი აღმოჩნდა ზონდირების ზონაში – კვ. P 26. მეორე, რომლის სიგრძე 74 სმ-ია, სიგანე 60 სმ, ხოლო სიმაღლე 51 სმ, აღმოჩნდა ნახშიროვან ფენაში, რომელიც შეიცავდა ამფორების ფრაგმენტებს (ე.წ. სტაფილოსებური ამფორების). ეს ფრაგმენტები, რომლებიც ფარავდნენ P 26 კვადრატის ქურას (სურ. 12-13), გვაძლევენ ახ.წ. IV ს-ის დასასრულს ან V საუკუნის დასაწყისს, როგორც *terminus post quem*-ს ამ ახალი საქმიანობისა. მესამე საპირწონე ერთადერთი ნაშთია, შემორჩენილი ერთიმეორის თავზე განლაგებული სამი ქურის დასავლეთით კვადრატ V 20-ში. შესაძლოა, ეს ქვა, რომელსაც კუთხეები ჩამოჭრილი აქვს (სიგრძე 1,32 მ), მეორადი გამოყენებისაა[37]. მონეტა, რომელიც ქვის დონეზეა გამოვლენილი, ფოკას მიეკუთვნება (602-610 წწ.) და იმაზე მიუთითებს, რომ ეს წარმოება შესაძლოა გრძელდებოდა ახ.წ. VII საუკუნემდე, ყოველ შემთხვევაში ამფორების წარმოების პარალელურად ახ.წ. VI საუკუნემდე.

ხრახნიანი ზეთსახდელები ძვ.წ. I საუკუნის მიწურულიდან გვხვდება მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთში. სხვადასხვა რეგიონში მათი გაჩენა სხვადასხვა დროს იწყება [3]. ჩვეულებრივ საპირწონეები მრგვალია ან ოვალური. კუბის ან პარალელოპიპედის მოყვანილობის საპირწონეები კი დამახასიათებელია სამხრეთ შავიზღვისპირეთისათვის [2]. რამდენადაც ამგვარი საპირწონეები გამოიყენებოდა ზეთისა და ღვინის წარმოებაში [3, გვ. 307], შეიძლება ვიფიქროთ, რომ დემირსის შემთხვევაში საქმე გვაქვს უფრო ზეთსახდელებთან, ვიდრე ღვინის საწურთან. ფაქტობრივად, სხვადასხვა წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ანტიკურ ხანაში სინოპი და მის აღმოსავლეთით მდებარე რეგიონი მდიდარი იყო ზეთისხილით[38].

---

[37] ეს ქვა ამჟამად ინახება სინოპის მუზეუმის ბაღში.

[38] Strabo, II,1, 15; XII, 3, 12. 1997 წელს ჩატარებული წყალქვეშა დაზვერვების დროს სინოპის ნახევარკუნძულის მახლობლად აღმოჩნდა ჩაძირული ხომალდი, რომლითაც გადაჰქონდათ ღია ფერის კეციანი ამფორები. ერთ ამფორაში დადასტურდა ზეთისხილი ან ზეითუნის ზეთი [13].

სურ. 31

არ არის გამორიცხული ორ საწარმოს – ამფორების და ზეითუნის ზეთის ან ღვინის დამამზადებელ – შორის კავშირის არსებობა. მაგრამ ჯერ ძალიან ნაადრევია იმაზე საუბარი, რომ საქმე გვაქვს კომერციული ჯაჭვის რგოლებთან. მხოლოდ ამ სექტორში არქეოლოგიური გათხრების გაფართოვება მოგვცემს შემორჩენილი ნაშთების საფუძველზე ამ ტიპის ჰიპოთეზის მტკიცებისა თუ უარყოფის საშუალებას.

დასკვნა. დემირსის გათხრებმა გააფართოვა ჩვენი ცოდნა ამფორების წარმოების შესახებ, აგრეთვე სინოპური ამფორების დამღების შესახებ, რამდენადაც დემირსის სახელოსნო ინტენსიურად მოქმედებდა ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევრიდან ან III საუკუნის პირველი ნახევრიდან ახ.წ. VI საუკუნემდე. ამჟამად დადგენილია სინოპური ამფორების ტიპები, რომლებიც ცნობილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდანაც. მათი წარმოების ცენტრი მანამდე დაუდგენელი იყო. დამტკიცებულია აგრეთვე, რომ სინოპი წარმოადგენდა ერთ-ერთ იმ დასახლებათაგანს, სადაც მზადდებოდა ღია ფერის თიხის ამფორები. აქამდე ეს მხოლოდ ვარაუდებოდა [18, გვ. 400].

დემირსის სახელოსნო სხვადასხვა სახის ნაწარმს ამზადებდა. ამფორების გარდა, რომლებიც სახელოსნოს ძირითად პროდუქციას წარმოადგენდა, მზადდებოდა კრამიტებიც. კრამიტის რამდენიმე მთელი ნიმუში აღმოჩნდა და აგრეთვე დიდი რაოდენობით ფრაგმენტები (სურ. 31).

რაც შეეხება, გამომწვარ და სადა კერამიკას, ის შედარებით ნაკლებად მრავალფეროვანია. მათ შორის აღსანიშნავია მორტარიუმები, რომლებიც იმპორტის ისეთივე სახეობას წარმოადგენდა, როგორც ამფორები და კრამიტები. ამ სახის ჭურჭელი ცნობილია შავიზღვისპირეთის სხვადასხვა ცენტრიდან. ჭრაქები, რომლებიც მრავლადაა აღმოჩენილი დემირსიში, და ყალიბები (სურ. 32) ასევე ამ სახელოსნოს ნაწარმია. რაც შეეხება დამღიან კერამიკას, ის გაჰქონდათ გვიან რომაულ C კერამიკასთან ერთად, რომელიც თარიღდება V საუკუნის დასასრულით-VII საუკუნის დასაწყისით.

აუცილებლად გვესახება დემირსის მონაპოვრის შედარება შავიზღვისპირეთის სხვა მსხვილი საწარმოო ცენტრების მასალებთან, მათ შორის კოლხეთთან. ასეთი შედარებითი შესწავლა საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ ამფორის ეს ტიპები იწარმოებოდა თუ არა კოლხეთში და საერთოდ როგორი იყო სინოპის კავშირები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან. ფაქტობრივად, კავშირები კოლხეთსა და სინოპეს შორის გამოიხატებოდა არა მარტო სავაჭრო ურთიერთობებში, არამედ ვლინდებოდა საერთო მორფოლოგიურ და ტექნოლოგიურ ნიშნებში.



სურ. 32

D. Kassab Tezgor

EXCAVATIONS OF THE WORKSHOP OF AMPHORAS OF DEMIRCI, CLOSE BY SINOPE

(Summary)

With more than 20 000 stamps on amphoras or tiles found all around the Black Sea, Sinope is known as a significant center for production and trade, probably the most important in the Black Sea area.

During a regional survey around Sinope, around ten workshops of amphoras have been found, and the more important of them have been excavated. The ones in the peninsula of Sinope are dated of the Hellenistic period, and they give a new light on the Sinopean stamping. On the other hand, the workshop laying in the bay of Demirci, 15 km far from the city,

is dated between the second half of the 2nd c. or the first half of the 3rd c. and the 6th c. A.D.

Only the northern part of the site of Demirci, divided in zone A and B, has been explored on the spots of the anomalies detected during the magnetic survey. More than ten kilns have been discovered, as well as a large building and some pithoi.

The kilns were built under the level of the soil. The walls of the heating room and of the firing room were made of broken tiles and blocks of clay, and their surface was coated with clay. The grill was supported by beams resting on the two central pillars and the edge of the heating room. The flue of the kiln was constructed with volcanic stones or river stones covered with a coat of clay in order to be fire-proof. The roof of the kiln was probably constructed with *tubuli*, which have been found in a great number in the filling of the kilns. This technique of construction was known for buildings in Italy and North Africa, but not yet for kilns.

The amphoras produced in Demirci can be divided into three main categories of clay: a light pinkish one, a reddish orange one, and light whitish one. Each of them were used for definite types. Whatever is the color of the clay, it apparently contains the same tempers as pyroxene, quartz, calcite and a red element, which can be powdery or very hard. The row material was at immediate reach since the workshop is on an argillous ground and one of the beach is still covered with pyroxene.

The pinkish clay amphoras are large, with a thick rim and a rounded body finishing by a sharp foot. They have been exported to Gorgippia, where they are dated of the second half of the 2nd or the first half of the 3rd c. A.D. They are the dating element to determine the beginning of the activity of the workshop.

Among the coloured clay amphoras, one of the common type has a big capacity (more than 30 liters), the neck is large with a high and flat rim, and the body has a narrowness in the last third of its height, with a pointed foot. The carrot type is the best represented one, it has a high and narrow neck with a double rim, and the body is long and getting very slim with a capacity of only six liters. The fragments of these both types, as well as of some intermediate ones, have been found all together in the same lays, showing that they have been in use during the same period. The deposits are dated by the coins of the end of the 4th and of the 5th century AD.

The light clay amphoras have a small size (usually of 5 or 6 liters), with a long and narrow neck and a conical body finishing by a convex bottom or a tubular foot. They are dated by the coins of the 6th c. A.D. and they seem to be the last production of the workshop.

According to the contexts of finds, the production of white clay amphoras seems to have begun after the one of coloured clay.

Three weight-stones of press have been found next to each other, showing that the workshop has been partly converted into an area of wine production, or, more probably, of olive oil production.

This workshop had a very diversified production, since beside amphoras, which were its main activity, it has also produced tiles in large quantity, as well as cooking wares, commons wares and lamps, of which moulds have been found. At least tiles and mortars have been exported all around the Black Sea. Only the *terra sigillata* were imported to the workshop, mainly of Late Roman C types.

As a conclusion, we may say that the excavations in Demirci are paving the way to complete our knowledge of the production of amphoras in Sinope during the first centuries after Christ. The Sinopean origin of several types of amphoras is now surely established, including the ones of light clay.

The next step will be to look for the relations between Sinope and the other sites of Black Sea, especially Colchis. As a matter of fact, the links between the two centers are well-known, affecting not only trading, but also the technique of manufacture.

ლიტერატურა

1. Алексеева Е. М. Античный город Горгиппия. Москва, 1997.

2. Anderson J. G. C. A Journey of Exploration in Pontus (Studia Pontica, I), Brussels, 1903.

3. Brun J. P. Les innovations techniques et leur diffusion dans les pressoirs. – La production du vin et de 1'huile en Méditerranée, J.P. Brun (éd.), BCH, Suppl. 26, 1993, p. 543-550.

4. Callot 0. Huileries antiques de Syrie du Nord. Paris, 1984.

5. Cuomo di Caprio N. La Ceramica in Archaeologia. Rome, 1985.

6. Dereli F., Garlan Y. Quelques nouvelles amphores timbrées de Sinope. – Anatolia Antiqua, V, 1997, p. 199-209.

7. Garlan Y. Les "fabricants" d'amphores. – Topoi 8/2, 1998, p. 581-590.

8. Garlan Y., Kassab Tezgör D. Prospection d'ateliers d'amphores et de céramiques de Sinope. – Anatolia Antiqua, IV, 1996, p. 325-334.

9. Garlan Y., Tatlıcan I. Fouilles d'ateliers amphoriques à Zeytinlik (Sinope) en 1994 et 1995. – Anatolia Antiqua, V, 1997, p. 307-316.

10. Garlan Y., Tatlıcan I. Fouilles d'ateliers amphoriques à Nisiköy et à Zeylinlik (Sinope). – Anatolia Antiqua, VI, 1998, p. 407-422.

11. Kassab Tezgör D. Fouilles des ateliers d'amphores à Demirci prés de Sinope en 1994 et 1995. – Anatolia Antiqua, IV, 1996, p. 335-354.

12. Kassab Tezgör D. La production sinopéen et ses relations avec la Colchide à l'époque romaine. – Pont-Euxin et commerce, Actes du IXe Symposium de Vani-1999, Paris, 2002, p. 199-218.

13. Kassab Tezgör D., Tatlıcan I., Özdaş H. Prospection sous-marine près de la côte sinopéenne: transport d'amphores depuis 1'atelier et navigation en mer Noire. – Anatolia Antiqua, VI, 1998, p. 443-449.

14. Kassab Tezgör D., Dereli F. Fouilles des ateliers d'amphores à Demirci près de Sinop en 2000. – Anat.Ant, IX, 2001, p. 215-225.

15. Kassab Tezgör D., Tatlıcan I. Fouilles des ateliers d'amphores à Demirci pres de Sinope en 1996 et 1997. – Anatolia Antiqua, VI, 1998, p. 423-442.

16. Kuzucuoğlu C., Andrieu A. Les ateliers de Demirci (Sinop). Approche géomorphologique du site et premiers éléments de réponses analytiques". – Anatolia Antiqua, VI, 1998, p. 451-456.

17. Laubenheimer F. Sallèles d'Aude. Un complexe de potiers gallo-romain: le quartier artisanal (DAF, 26), Paris, 1990.

18. Selov D. B. Les amphores d'argile claire des premiers siècles de notre ère en Mer Noire. – BCH, Suppl. 13, 1986, p. 395-400.

19. Storz S. Tonröhren im antiken gewölbebau. Mit rekonstruktion des Schalungstragwerkes für die Trompengewölbe der Kobbat Bent el Rey in Karthago. Deutsches Archölogisches Institut Rom, 10, 1994.

სურათების აღწერილობა

სურ. 1 – დემირსის სახელოსნოს ჩრდილოეთი ნაწილის ხედი (ფოტო დ. კასაბ ტეზგორისა)

სურ. 2 – A ზონის საერთო ხედი (ნახაზი ჟ. ფ. ბერნარისა)

სურ. 3 – ერთიმეორეზე დაფენილი ხუთი ნაგებობა O 28 კვადრატში (ფოტო დ. კასაბ ტეზგორისა)

სურ. 4 – O 28 კვადრატში გამოვლენილი ქურა (ფოტო დ. კასაბ ტეზგორისა)

სურ. 5 – პლატფორმა P 28 - Q 28 კვადრატებში (ფოტო დ. კასაბ ტეზგორისა)

სურ. 6 – ქვევრი (ფოტო დ. კასაბ ტეზგორისა)

სურ. 7 – ქურა 2, აღმოჩენილი V 21 - V 22 კვადრატებში (ფოტო დ. კასაბ ტეზგორისა)

სურ. 8 – ქურა 3, აღმოჩენილი V 21 - V 22 კვადრატებში (ფოტო დ. კასაბ ტეზგორისა)

სურ. 9 – S 22 – V 23, R 23 კვადრატებში აღმოჩენილი ქურები (პ. ლებუტეიერის, ჟ. ფ. ბერნარისა და ო. გოკდემირის სურათი)

სურ. 10 – ქურა, აღმოჩენილი S 23 კვადრატში (ფოტო დ. კასაბ ტეზგორისა)

სურ. 11 – S 23 კვადრატში აღმოჩენილი ქურის შესასვლელი. ჩანს R 23 კვადრატში გამოვლენილი ქურა (ფოტო დ. კასაბ ტეზგორისა

სურ. 12 – Q 26 კვადრატში აღმოჩენილი ქურის გეგმა (ჟ.ფ. ბერნარისა და ო. გოკდემირის სურათი)

სურ. 13 – Q 26 კვადრატში აღმოჩენილი ქურა (ფოტო დ. კასაბ ტეზგორისა)

სურ. 14 – Q 26 კვადრატში აღმოჩენილი ქურის შესასვლელი (ფოტო დ. კასაბ ტეზგორისა)

სურ. 15 – ქვის ნაგებობა B ზონაში (ფოტო დ. კასაბ ტეზგორისა)

სურ. 16 – ქვის ნაგებობა და ქვევრი (ფოტო დ. კასაბ ტეზგორისა)

სურ. 17 – B ზონაში აღმოჩენილი ქურები (ფოტო ი. გარლანისა)

სურ. 18 – B ზონაში აღმოჩენილი ქურა 1 (ფოტო ი. გარლანისა)

სურ. 19 – წითელკეციანი თიხის ამფორების რიგი (ფოტო დ. კასაბ ტეზგორისა)

სურ. 20 – 2000 წლის გათხრების გეგმა – B ზონა (ჟ.ფ. ბერნარის ნახაზი)

სურ. 21 – კოლხური ამფორის ყელი, აღმოჩენილოი Q 26 კვადრატის ქურის ნანგრევებში (ფოტო დ. კასაბ ტეზგორისა)

სურ. 22 – ქურის წინასწარული რეკონსტრუქცია (ჟ.-ფ. ბილოს ნახაზი)

სურ. 23 – თიხის ღია ყელიანი *tubulus*-ი (ფოტო დ. კასაბ ტეზგორისა)

სურ. 24 – ღია ფერის თიხის დახურულ ყელიანი და სადგარიანი *tubulus*-ები (ფოტო დ. კასაბ ტეზგორისა)

სურ. 25 – ვარდისფერთიხიანი ამფორა სინოპის მუზეუმიდან; ინვ. № 3.5.90 (ფოტო ს. სევერისა).

სურ. 26 – ვარდისფერთიხიანი ამფორის ყელის დეტალი (ფოტო დ. კასაბ ტეზგორისა).

სურ. 27 – წითელკეციანი მაღალღელიანი ამფორის პირი, დაცული სინოპის მუზეუმში; ინვ. № 8.1.78 (ფოტო ს. სევერისა).

სურ. 28 – წითელკეციანი სტაფილოსებური ამფორა დაცული სინოპის მუზეუმში; ინვ. № 11.1.86 (ფოტო ს. სევერისა).

სურ. 29 – ღია ფერის თიხის ამფორა, ძირშეზნექილი, დაცული სინოპის მუზეუმში; ინვ. № 1.12.89 (ფოტო ს. სევერისა).

სურ. 30 – ღია ფერის თიხის ამფორა, მილისებურძირიანი, დაცული სინოპის მუზეუმში; ინვ. № 10.4.76 (ფოტო ს. სევერისა).

სურ. 31 – დემირსიში დამზადებული კრამიტი, აღდგენილი ტ. კარაკასის მიერ (ფოტო მ.ფ. ბიოსი).

სურ. 32 – ჭრაქის ყალიბი (ფოტო დ. კასაბ ტეზგორისა).

Description of the figures

Fig. 1: Northern sector of the site of Demirci (photo D.K.T.).

Fig. 2: Map of the zone A (drawing J.F. Bernard).

Fig. 3: Superposition of the five structures in the square O 28 (photo D.K.T.).

Fig. 4: Kiln a in the square O 28 (photo D.K.T.).

Fig. 5: Platform in the squares P 28 - Q 28 (photo D.K.T).

Fig. 6: Pithoi (photo D.K.T.).

Fig. 7: Kiln 2 in the squares V 21 - V 22 (photo D.K.T.).

Fig. 8: Kiln 3 in the squares V 21 - V 22 (photo D.K.T.).

Fig. 9: Plan of the kilns in the squares S 22 - S 23, R 23 (drawing P. Lebouteiller, J.F. Bernard and Ö. Gökdemir).

Fig. 10: Kiln in the square S 23 (photo D.K.T.).

Fig. 11: Flue of the kiln in the square S 23 (further right the kiln of the square R 23) (photo D.K.T.).

Fig. 12: Map of the kiln in the square Q 26 (drawing J.F. Bernard and Ö. Gökdemir).

Fig. 13: Kiln in the square Q 26 (photo. D.K.T.).

Fig. 14: Flue of the kiln in the square Q 26 (photo. D.K.T.).

Fig. 15: Building of the zone B (photo D.K.T.).

Fig. 16: Building and pithoi (photo D.K.T.).

Fig. 17: Kilns in the zone B (photo Y. Garlan).

Fig. 18: Kiln 1 in the zone B (photo Y. Garlan).

Fig. 19: Line of amphoras made of reddish clay (photo D.K.T.).

Fig. 20 : Map of the excavations of the year 2000 in the zone B (drawing J.-F. Bernard).

Fig. 21: Neck of a Colchian amphora found in the kiln Q 26 (photo D.K.T.).

Fig. 22: Reconstitution of a kiln (J.-F. Billot).

Fig. 23: *Tubulus* made of reddish clay with an open neck (photo D.K.T.).

Fig. 24: *Tubuli* made of whitish clay with a closed neck and combined with a ring (photo D.K.T.).

Fig. 25: Amphora made of pinkish clay. M. de Sinope, inv. 3.5.90 (photo Ş. Sever).

Fig. 26: Detail of the neck of an amphora made of pinkish clay (photo D.K.T.).

Fig. 27: Amphora made of reddish clay with a high and flat rim. M. of Sinope, inv. 8.1.78 (photo Ş. Sever).

Fig. 28: " Carrot amphora" made of reddish clay. M. of Sinope, inv. 11.1.86 (photo Ş. Sever).

Fig. 29: Amphora made of whitish clay with a convex foot. M. of Sinope, inv. 1.12.89 (photo Ş. Sever).

Fig. 30: Amphora made of whitish clay with a tubular foot. M. of Sinope, inv. 10.4.76 (photo Ş. Sever).

Fig. 31: Tile produced in Demirci (photo M.F. Billot, restauration N. Karakaş).

Fig. 32: Mould of a lamp (photo D.K.T.).

თემურ თოდუა, მალხაზ ბარამიძე

ტერაკოტული საკურთხეველი სოფელ კლდიდან

საკურთხevლები ფრიად მნიშვნელოვანი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლებია. საკურთხevლები, ჯერ კიდევ კრეტა-მიკენის ეპოქაში ჩანს გავრცელებული [18, გვ. 78]. მათი სერიული დამზადება კი ბერძნულ-რომაულ სამყაროში ძვ.წ. VI ს-დან იწყება და ახ.წ. V ს-მდე გრძელდება.

ანტიკურ სამყაროში მსხვერპლშეწირვის რიტუალი უმთავრესად საკურთხevელზე ტარდება. საკურთხevლები აღმართულნი იყვნენ ტაძრების წინ და კერძო სახლებში, ქუჩებსა თუ მოედნებზე, ქალაქსა და სოფლურ დასახლებებში.

ანტიკური ხანის საკურთხevლების ფორმები კანონიკურად განსაზღვრული არ იყო. აღნიშნული პერიოდის მანძილზე მათი სტილი, ფორმა და კონსტრუქცია ხშირად იცვლებოდა. დროის ამა თუ იმ ეტაპზე წარმოდგენილი იყო ცილინდრული, მართკუთხა, სწორკუთხიანი, კუბისებური ფორმები; ზოგჯერ მონოლითური ან მინიატურული სადა თუ გამოსახულებიანი, წარწერიანი თუ უწარწერო საკურთხevლები და სხვ.

საქართველოში, კერძოდ, მის აღმოსავლეთ ნაწილში, საკურთხevლები ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს ხანიდან გვხვდება და ელინისტური ხანის ჩათვლით ფუნქციონირებენ. აღსანიშნავია, რომ საკურთხevლები მხოლოდ შიდა ქართლში ფიქსირდებიან, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენ რეგიონში, ისინი ჯერჯერობით არ დასტურდება. შიდა ქართლში აღნიშნული ხანის საკურთხevლები ორი ტიპითაა წარმოდგენილი: ნახევარწრიული და ოთხკუთხა ფორმებით. ნახევარწრიული ფორმის საკურთხevლები დადასტურებულია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნარეკვავის, ხოვლეგორის, სამთავროს, ცხინვალის ნაცარგორის და ყათლანისხevის ნამოსახლარებზე [7, გვ. 187-188]. ოთხკუთხა ფორმის საკურთხevლები კი დაფიქსირებულია ნარეკვავის, ნასტაკისისა და ღართისკარის ნამოსახლარების ელინისტური ხანის ფენებში [7, გვ. 189].

დასავლეთ საქართველოში ელინისტური ხანის საკურთხevლები ფართოდაა წარმოდგენილი ვანის ნაქალაქარზე. აქ დადასტურებულია ძვ.წ. IV-I სს. მონუმენტური, ცილინდრული და ოთხკუთხა ფორმის საკურთხevლები, რომლებიც ბერძნული ნიმუშების მიხედვითაა დამზადებული [4, გვ. 45; 13, გვ. 105-110].

გვიანელინისტური ხანის მიწურულისა და რომაული ეპოქის საკურთხevლები, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი. ამიტომაც ამ პერიოდის საკურთხevლების თითოეულ ახალ მონაპოვარს საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ თვალსაზრისით, საინტერესო და ღირებულ ძეგლად გვეჩვენება სოფ. კლდეში, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მაგისტრალის 225 კმ-ზე, არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი საკურთხevელი, რომელიც ჩვენი სინამდვილისათვის უნიკალობით გამოირჩევა და ამდენად ის სპეციალურ შესწავლას იმსახურებს.

აღნიშნული საკურთხevელი ტერაკოტისაა. თიხა მოთეთრო ფერისაა, ყალიბში დამზადებული; ცეცხლში ნამყოფი. ნაწილობრივ დეფორმირებული. მინიატურული ზომისაა: h – 11,5 სმ, ძირის ზომები – 6,7×6 სმ; ძირთან – 6,5×5,5 სმ. საკურთხevელი სამი ნაწილისაგან შედგება: ბაზის, კორპუსისა და კაპიტელისაგან. ბაზა ოთხკუთხა ფორმისაა, პროფილირებული, მკვეთრად გამოყოფილი ოთხი საფეხურით, კაპიტელი ბოლოვდება ბრტყელი საფეხურით, რომელიც ოთხივე მხრიდან ქიმითაა შემოსაზღვრული. კორპუსი წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმისაა და საკმაოდ მდიდრულადაა შემკული: წინა ფასადზე მამაკაცის რელიეფური ფიგურა ჩანს. იგი მთელი ტანით, ფეხზე მდგომ პოზაშია გამოსახული. მამაკაცი მრგვალსახიანია, ცხვირი საკმაოდ გრძელი და ზემოთკენ აზიდული აქვს; თვალების ჭრილი მომრგვალებულია. ნიკაპზე ჩანს „ბლანჟეს“ მსგავსი მოგრძო წვერი, გრძელი ულვაშებით. ფეხზე აცვია ჭვინტიანი, მაღალი ჩექმები, ტანზე კი უმკლავო ხიტონი.

მამაკაცის ფიგურა მოძრაობაში, გველთან ორთაბრძოლაშია გამოსახული. გველის სიგრძე ორჯერ აღემატება მამაკაცის სიმაღლეს. მარცხენა ხელის მტევანზე გველის ტანის ნაწილია სამაჯურივით შემოხვეული; გველის ტანი გადადის თავზე, სადაც ის ორმაგადაა დახვეული, ჩამოდის ზურგს უკან, ფეხებს შორის გამოდის და მარცხენა წვივზეა შემოხვეული. შემდეგ ადის ზემოთკენ და მისი თავი – მამაკაცს მარცხენა ხელით უჭირავს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ადამიანი ცდილობს გველი დაახრჩოს ან მოიგერიოს.

კორპუსის მარცხენა ფასადი შემკულია ჭდეული ორნამენტით, რომელიც ოთხ მწკრივად ვერტიკალურ მდგომარეობაშია განლაგებული; მარჯვენა ფასადზეც თითქმის იგივე ორნამენტი ჩანს, მაგრამ ის სამი მწკრივისაგან შედგება და თანაც უფრო დიდი ზომისაა; საკურთხevლის უკანა ფასადი წიწვოვანი ორნამენტითაა შემკული. კაპიტელი შედგება ორი ფრიზისაგან. ერთი ფრიზი სადაა, ხოლო მეორე ფრიზზე ტრიგლიფებისა და მეტოპების ანალოგიური ორნამენტია გამოსახული.

აღწერილი საკურთხevელი „კუბისებური“, ე.წ. arulae-ს ტიპის საკურთხevლებს განეკუთვნება [32, გვ. 171]. „არულები“ პორტატულ საკურთხevლებს წარმოადგენენ. ისინი საცხოვრე-

ბელ სახლებში, ვილებში, სამლოცველოებსა და სამარხებში გვხვდებიან. რამდენადაც სიცოცხლეში ხდებოდა სიკვდილის შემდგომი ბედის შესახებ მოლაპარაკება, საკურთხევლები უპირატესად საოჯახო სამლოცველოებში იდგნენ და ზოგჯერ მათ კედლის ნიშებში ათავსებდნენ. აქ ისინი ემსახურებოდნენ საკურთხევლის მფლობელებს, როგორც ყოველდღიური „momento", რათა კარგი ურთიერთობა შეენარჩუნებინათ ღვთაებასთან, რომელსაც რეინკარნაცია თუ არა, საიქიოში ბედნიერი ცხოვრების შექმნა მაინც შეეძლო [1, გვ. 22-23].

„არულები", საოჯახო საკუთხევლები მცირე ზომებით (ზედა ბრტყელი სახურავის ფართობი 10-დან 20 სმ-მდე მერყეობს) ხასიათდებიან. ამგვარი საკურთხევლები უპირატესად საკმევლისათვის იყვნენ განკუთვნილი. ზოგჯერ კი ისინი ღვთაებისადმი მიძღვნილი პროდუქტების – მარილის, ღვინის, ხორბლის მარცვლების შესაწირავადაც გამოიყენებოდნენ (Paus; v, 15, 10).

საოჯახო საკურთხევლები თიხისა და ქვისაგან მზადდებოდა. ასე მაგალითად, ხერსონესისათვის ქვის პატარა ზომის საკურთხევლებია დამახასიათებელი, მაშინ როცა ბოსფორში ასეთი საკრთხევლები ჯერჯერობით არ არის დადასტურებული. ჩრდილო შავიზღვისპირეთის დანარჩენ ნაქალაქარზე კი მხოლოდ თითოოროლა ეგზემპლარია აღმოჩენილი [8, გვ. 165].

აღსანიშნავია, რომ ანტიკური სამყაროს სხვადასხვა რეგიონში აღმოჩენილი საოჯახო საკურთხევლები, ისევე როგორც კლდესეული საკურთხევლი, *in situ* მდგომარეობაში არ დადასტურებულა. კლდის საკურთხეველი ნალისებური სამსხვერპლოს აღმოსავლეთ მხარეს მდებარე ე.წ. სამეურნეო ორმოში აღმოჩნდა. შესაძლოა, საკურთხეველი თავის დროზე ამ სამსხვერპლოს უკავშირდებოდა, ხოლო მისი ფუნქციის დაკარგვის შემდეგ, როგორც გამოუსადეგარი ნივთი სამეურნეო ორმოში აღმოჩნდა, რომელსაც ასევე პირვანდელი დანიშნულება დაკარგული ჰქონდა. ამგვარი ფაქტები დადასტურებულია, როგორც ჩვენში, ასევე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ნამოსახლერებზე.

აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ ნამოსახლარებზე დაფიქსირებულ ე.წ. სამეურნეო ორმოებს, მათი გაუქმების შემდეგ, ნაგავსაყრელადაც იყენებდნენ. მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ნამოსახლარებიდანაც. ამის მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს ოლვიის ტემენოსში გამოვლენილი „ცისტერნა", რომელმაც ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარში ფუნქციონირება შეწყვიტა და გადაიქცა ნაგავსაყრელად, სადაც სატაძრო ქონების ნარჩენებს ყრიდნენ. „ცისტერნაში" დაფიქსირდა 2000 ერთეული ტერაკოტული ქანდაკება, მინიატურული საკურთხეველი, ამფორების, ჯამების, დოქებისა და სხვ. ფრაგმენტები [12, გვ. 82-83].

როგორც ჩანს, კლდესეულ საკურთხეველს იგივე ბედი ეწია, რაც ბევრ სხვა წარმართული რელიგიის ძეგლებს, რომლებსაც ქრისტიანები სასტიკად გაუსწორდნენ.

სოფ. კლდეში აღმოჩენილი მინიატურული ტიპის საკურთხევლის სამშობლოდ მკვევართა ერთი ნაწილი ტარენტუმს მიიჩნევდა და ამიტომაც მათ ზოგჯერ „ტარენტულ" საკურთხევლებს უწოდებდნენ [25, გვ. 15]. სპეციალისტთა მეორე ნაწილის აზრით, აღნიშნული ტიპის საკურთხევლების წარმოების ძირითადი ცენტრი ათენი იყო და სხვა ანტიკური ცენტრების სახელოსნოების ნაწარმიც მისი პროდუქციის ასლებს წარმოადგენდნენ [34, გვ. 259]. უკანასკნელი დროის კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ მათ სხვადასხვა ადგილებში ამზადებდნენ. ამის ნათელი ილუსტრაციაა სირაკუზში, კორინთოში, დელოსსა და სამოსზე აღმოჩენილი ყალიბები [1, გვ. 21].

მინიატურული საოჯახო დანიშნულების საკურთხევლები ჯერ კიდევ ძვ.წ. VI ს-დან ვრცელდება ატიკაში, სამხრეთ იტალიასა და სიცილიის ბერძნულ პოლისებში [24, გვ. 20-21], თუმცაღა მისი სერიოზული წარმოება ძვ.წ. 250 წლიდან იწყება. ამ პერიოდიდან ისინი ფართოდ ჩანს გავრცელებული ანტიკური სამყაროს როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ პერიფერიებზე. კლდისეული საკურთხევლის ანალოგებიც, სწორედ ამ რეგიონში უნდა მოვიძიოთ. კლდისეული საკურთხევლის ტიპოლოგიურად მსგავსი სამი ეგზემპლარია ათენის აგორაზე დადასტურებული. ორი მათგანი ძვ.წ. III ს. დასასრულისა და II ს. დასაწყისის კომპლექსიდან მომდინარეობს, მესამე კი ძვ.წ. III ს. დათარიღებული ნაგებობიდან [35, გვ. 259]. ერთი ნიმუში კორინთოშიც აღმოჩნდა [29, გვ. 889].

მსგავსი საკურთხევლები რეგისტრირებულია კუმეში, სირაკუზში, ერეტრიაში, მიკენსა და დელოსში [39, გვ. 435]. მაგრამ კლდისეული საკურთხევლის უახლოეს ანალოგს წარმოადგენენ პომპეუმის [36, გვ. 175-176, სურ. 81], (ძვ.წ. I-ახ.წ. I სს.), ხერსონესის (ძვ.წ. III ს.) [21, გვ. 74-75, ტაბ. 13,4,4a], ოლბიისა [12, გვ. 84, სურ. 76,3] და მირმეკიონის [10, გვ. 57, ტაბ. XVg] საკურთხევლები, რომლებიც შესაბამისად ძვ.წ. III-II და II-I სს. თარიღდება.

კლდისეული საკურთხევლის იდენტურია ასევე ხერსონესში აღმოჩენილი ახ.წ. II ს. წარწერიანი საკურთხეველი [20, გვ. 43, სურ. 10], ნიუკასლის უნივერსიტეტში დაცული საკურთხეველი, რომელიც ახ.წ. II ს. თარიღდება [34, გვ. 2, სურ. 3]. ანალოგიური ტიპისაა, ასევე დვინში ახ.წ. II ს. მეორე ნახევრის ფენაში აღმოჩენილი საკურთხევლები. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მათგანზე გამოსახულია ხართან მებრძოლი მითრა და ამ ღვთაების სიმბოლოები (ხარის თავი, მზე, ფრინველი, გველი) [11, გვ. 3-4, სურ. 1, A,T]. ზოგიერთი მათგანი (პომპეუმის, ოლბიის) შესრულების ტექნიკით კლდისას აღემატება.

როგორც ჩანს, კლდისეულის მსგავსი საკურთხევლების ყველაზე ადრეული ნიმუშები ძვ.წ. III ს. შუა ხანებს განეკუთვნება და მათი დამზადება ახ.წ. პირველ საუკუნეებშიც გრძელდებოდა. კლდისეული საკურთხევლის კონსტრუქციასა და მორთულობის დეტალებში, გარკვეულწილად ელინისტური ხანის ნიშანდობლივი ელემენტები შეიმჩნევა, მაგრამ რამდენადაც ის ელინისტური ხანის მინიატურული საკურთხევლებისაგან განსხვავებით, გვიანანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი შედარებით უფრო მცირე ზომებით, მაღალი ბაზით, გამოსახულების სიგლუვითა და სქემატურობით გამოირჩევა, საკურთხეველი ზოგადად ადრერომაული ხანით უნდა დათარიღდეს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ის ელინისტური ხანის ორიგინალის გვიანდელ, რომაულ ასლს უნდა წარმოადგენდეს.

საკურთხეველი ადგილზე ჩანს დამზადებული. ამაზე მიუთითებს არა მარტო თიხის შეფერილობა, რომელიც იდენტურია ადგილობრივი კერამიკის კეცისა, არამედ ნაწარმის დაუსრულებლობაც. რაც შეეხება საკურთხევლის კორპუსის წინა ფასადზე გამოსახულ მამაკაცის ფიგურას, იკონოგრაფიული მონაცემებით, ის ღვთაება მითრაა [26, გვ. 211-214, ტაბ. XIII_{435}],[39] სცენაში კი ასახულია, ირანული მითოლოგიის მიხედვით, მითრას თორმეტ გმირობათაგან ერთ-ერთი – მეომარი-ღვთაება მითრა, რომელიც გველს ებრძვის [37, გვ. 77].[40] არც ისაა გამორიცხული, რომ აქ ასახული იყოს მითის სხვა ვერსიის სიუჟეტი – გველი-ორობოროსით შემოხვეული კლდიდან აღმოცენებული ღვთაება, თუმცა ამგვარი სცენები ძალზე უჩვეულოა მითრას გამოსახულებებისათვის. როგორც ცნობილია, ყველაზე გავრცელებულ სიუჟეტს ხართან მებრძოლი მითრა წარმოადგენდა [33, გვ. 292]; გვხვდება ასევე მხედარი-მითრას გამოსახულებაც, ჩირაღდნითა და მახვილით ხელში [31, ტაბ. II_{214}]. ამგვარ სიუჟეტიანი მითრას ქანდაკება ლუვრის მუზეუმშია დაცული [37, გვ. 102, სურ. 3]. ეს ფაქტიც კლდისეულ საკურთხეველს მეტ უნიკალობას ძენს.[41]

ცნობილია, რომ არიული ღვთაების მითრას კულტი ძვ.წ. III ს. შუა ხანებიდან ფართოდ ვრცელდება ინდოეთიდან ექვსინის პონტომდე, ვინაიდან სპარსეთის იმპერიის დაცემის შემდეგ, ამ ვრცელ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების სინკრეტიზაციის პროცესი, რომლის საფუძველზეც ახალი რელიგია აღმოცენდა. მითრაიზმის ცნობილი მკვლევარი ფ. კიუმონი აღნიშნავდა, რომ მითრას კულტი ჩამოყალიბდა ირანული რწმენა-წარმოდგენების სემიტურ რელიგიასთან კომბინაციების შედეგად, რომელსაც მცირეაზიული იდეოლოგიის ელემენტებიც დაემატა [28, გვ. 170].

მითრა დედამიწაზე სამართლიანობისა და სიწმინდის, სიკეთისა და სინათლის, სიხარულისა და სიცოცხლის ღვთაებად ითვალებოდა [27, გვ. 11, 14].[42] მისი თაყვანისმცემლებისათვის იგი მუდმივი წარმატებების, გამარჯვებისა და კანონიერების დაცვის გარანტი იყო [38, გვ. 107-110].

მითრას კულტი ძალზე პოპულარული იყო რომაელ ლეგიონერებშიც. ასეთი პოპულარობის მიზეზი, მითრას არსშია საძიებელი. ავესტის მიხედვით, მეომარი მითრა ყოველთვის გამარჯვებულია, მისი დამარცხება შეუძლებელია [5, გვ. 100]. არიული ღვთაების სწორედ ამ თვისებამ მიიპყრო რომაელი ლეგიონერების ყურადღება. მითრა მათთვის საყვარელ ღვთაებად იქცა: „მზის ღმერთის ძლევამოსილი მითრას სახელზე ლეგიონების ბანაკებში იდგმებოდა სამსხვერპლოები, საკურთხევლები, იგებოდა ტაძრები.

აღსანიშნავია, რომ მითრას კულტის გავრცელება მთელ რომის იმპერიაში რომაელ ლეგიონერებს უკავშირდება. არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული მონაცემებით, რომისა და იტალიის პროვინციებში, ლეგიონერების მეშვეობით, მითრას კულტი ჯერ კიდევ ახ.წ. I ს. ბოლოდან ხდება პოპულარული [30, გვ. 189]. ანტონიუსების დროს მითრას კულტის პოპულარობა განსაკუთრებით გაიზარდა; კომოდუსი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მითრას რიტუალებში. სეპტიმიუს სევერიუსმა მითრა რომის საზოგადოების მთავარ ღვთაებად გამოაცხადა. მის კულტს კარაკალა და გეტაც მფარველობდნენ. ავრელიანეს დროს კი მითრა რომის იმპერიაში უმთავრესი ღვთაება გახდა [19, გვ. 91].

მითრას კულტი ძალზე პოპულარული იყო იმპერიის დასავლეთ პროვინციებში – გალიაში, ბელგიასა და ბრიტანეთში [6, გვ. 103]. მითრას კულტისადმი გულგრილი არც ესპანეთი იყო [9,

[39] აღმოჩენის შემდეგ, წინასწარულად ამ გამოსახულების ატრიბუცია – მითრა პირველად განსაზღვრა გ. გამყრელიძემ.

[40] გველის გარდა, მითრას წმინდა ცხოველებია: ხარი, ლომი, მამალი, ყორანი. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ძველ ხალხში, გველი ღვთიურ ცხოველად ითვლებოდა. მაგალითად, გველი რომაელებისათვის გენიის განსახიერება, ოჯახის ღვთაებრივი წინაპარი იყო [17, გვ. 68]. ჩრდილოეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთში მრავლადაა დადასტურებული გველის რელიეფურ გამოსახულებიანი საკურთხევლები, რომლებიც ახ.წ. პირველი საუკუნეებით თარიღდება [8, გვ. 166, 174].

[41] მახვილის გარდა, მითრას ატრიბუტებია: შუბი, მშვილდ-ისარი, ვარსკვლავები, ნახევარმთვარე, სფერო [26, გვ. 3-18].

[42] მითრას ძალაუფლების სიმბოლოებია: კვერთხი, სამთითა, ელვა, არწივი [27, გვ. 213].

გვ. 103]. დაკიაში კი არიული ღვთაება ყველა სხვა აღმოსავლურ კულტზე მეტად ჩანს გავრცელებული [25, გვ. 391]. ეს კულტი პოპულარული იყო, აგრეთვე რომაული ხანის ქვედა მეზიასა და თრაკიაში [16, გვ. 57-59].

შავიზღვისპირეთში, განსაკუთრებით კი მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მითრას კულტი ფართოდაა გავრცელებული. ნუმიზმატიკური მონაცემებით, ტრაპეზუნტის პანთეონში მითრას კულტს დომინირებული ადგილი უკავია [2, გვ. 332].

მითრას ერთგულ ხელქვეითად გვევლინება პონტოს ძლევამოსილი მეფე – მითრიდატ VI ევპატორი, რომელიც მითრას – მზის შვილად ითვლებოდა, რაზეც მისი დინასტიის სახელი Μιθραδατής ანუ „ღვთის მოსავი“ მიუთითებს [22, გვ. 114].

ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მითრას კულტი პოპულარობით არ სარგებლობდა. ბოსფორის პანთეონში, იგი ატისთან იყო შერწყმული [23, გვ. 19-20].

საქართველოში მითრას კულტის გავრცელების გზებისა და მასშტაბების საკითხი სათანადოდ არ არის შესწავლილი. დასავლეთ საქართველოში მითრას კულტის გავრცელებას მითრიდატე VI ეპოქას ვუკავშირებდით [3, გვ. 156]. მაგრამ უკანასკნელი წლების კვლევა-ძიებამ დაგვარწმუნა, რომ აქ მითრას კულტის დანერგვასა და მის ფართოდ გავრცელებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს პიტიუნტ-ბიჭვინტაში ახ.წ. II-IV სს. დისლოცირებულმა XV ლეგიონის სამხედრო შენაერთებმა [14, გვ. 89-91], რომლებიც მითრაისტების მიმდევრობით იყვნენ დაკომპლექტებულები [36, გვ. 32]. მითრას იკონოგრაფიული სახის ფორმირებაც გვიანატიკური ხანას უკავშირდება. ამის ნათელი ილუსტრაციაა ბიჭვინტაში აღმოჩენილი მხედრის გამოსახულებიანი ტრაპეზუნტის მონეტები, რომლებსაც გ. დუნდუა მითრა მხედრის ასტრალური ღვთაების (მთვარე, მზე, ვარსკვლავები) უნიფიცირებულ სახედ მიიჩნევს და წმინდა გიორგის კულტის უშუალო წინამორბედად თვლის დასავლეთ საქართველოში [2, გვ. 339-340]. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში მითრას კულტის არსებობაზე მიუთითებს, ასევე ეთნოლოგიური მონაცემებით დადასტურებული „ჯეგე-მისაონის“ რიტუალი, რომლის დროსაც „მირსას“ (იგივე მითრას), როგორც სინათლის ღვთაებას, თვალის ჩინსა და გამჭრიახობას შესთხოვდნენ [5, გვ. 179].

იბერია-ქართლში მითრას კულტის გავრცელება, ვფიქრობთ, დასავლეთ საქართველოს თანადროულად უნდა მომხდარიყო. ამაზე მიუთითებს ბორსა და არმაზისხევში აღმოჩენილი ახ.წ. I-II სს. დათარიღებული ვერცხლის ფიალები ცხენის გამოსახულებით [15, გვ. 80, 84]. ცხენი კი ამ შემთხვევაში ღვთაება მითრას განსახიერებაა. ამ კულტის პოპულარობაზე მეტყველებს, ასევე ახ.წ. I-II სს. იბერიის მეფეების სახელებიც – მითრიდატე, მირდატ („მითრას ბერძნული“), მირიან („მითრასეული“) და სხვ.

ქართლში მითრას კულტის გავრცელება და მისი ასეთი პოპულარობა, შესაძლოა, რომის იმპერიასთან იბერიის სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური კონტაქტებით ყოფილიყო განპირობებული. ამ კულტის იბერიაში გავრცელების შესაძლებელ გზად კი მცირე აზია მიგვაჩნია. სწორედ მცირე აზიასთან ჰქონდა იბერიას მთელი რომაული ხანის მანძილზე მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობანი.

ამრიგად, სოფ. კლდეში აღმოჩენილი მინიატურული, მითრას გამოსახულებიანი საკურთხეველი, გარდა მისი უნიკალობისა, აშკარა მოწმობაა იბეიაში მითრას კულტის პოპულარობისა.

T. Todua, M. Baramidze

TERRACOTTA ALTAR FROM THE KLDE VILLAGE

(Summary)

A unique find – terracotta altar - was unearthed during archaeological excavations in the village of Klde (Akhaltsikhe district), on the 225th km of the Baku-Tbilisi-Ceyhan pipeline.

The tiny altar (h= 11.5 cm) is made of whitish clay and belongs to the family arulae type. It consists of three parts: base, main body and capital. All the four sides of its body are decorated with ornaments and representations. The god Mithra encircled by a serpent, depicted on the front side, demonstrates the same subject as the statue of Mithra in the Louvre.

The altar seems to have been manufactured locally. It can be dated to the Early Roman period, representing a later copy of an original of the Hellenistic period.

The altar bearing a representation of Mithra testifies to the wide popularity of the worship of this god in Iberia.

ლიტერატურა

1. ბილდე პ. საგზაო რუკა გადასარჩენად? მოსაზრებანი ელინისტური ტერაკოტული საკურთხევლების შესახებ. – შავიზღვისპირეთი ელინისტური სამყაროს სისტემაში (ძიებანი, დამატებანი, XIII), თბ., 2005, გვ. 20-23.

2. დუნდუა გ. სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ.წ. II-ახ.წ. IV სს. – დიდი პიტიუნტი, I, თბ., 1975, გვ. 280-413.

3. თოდუა თ. რომაული სამყარო და კოლ-ხეთი. თბ., 2003.

4. მათიაშვილი ნ. ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიის საკითხები. თბ., 2005.

5. მაკალათია ს. ღვთაება მითრას კულტი საქართველოში. – სსმმ, III, 1927, გვ. 175-180.

6. მშვილდაძე მ. რომი და აღმოსავლური რელიგიები ახ.წ. I-III სს. თბ., 2005.

7. სადრაძე ვ. მცხეთისა და მისი შემო-გარენის ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველი ნა-ხევრის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 2002.

8. Античная скульптура Херсонеса. Киев, 1976.

9. Бласкес Мартинес Х. М. Характерные черты испанского общества в период поздней римской империи. – ВДИ, № 1, 1993, с. 97-110.

10. Денисова В. И. Коропластика Боспора. Л., 1981.

11. Кочарян Г. Двин в раннеаршакидский период. – ИФЖ, 3, 2002, с. 205-214 (на армян. языке)

12. Леви Е. И. Ольвия. Город эпохи эллинизма. Л., 1985.

13. Лордкипанидзе Г. А. Алтари Ванского городища. – ИКАМ, М., 1977, с. 104-112.

14. Лордкипанидзе Г. А., Кигурадзе Н. Ш., Тодуа Т. Т. Клейма XV легиона из Пицундского городища. – ВДИ, № 2, 1987, с. 88-92.

15. Мачабели К. Позднеантичная торевтика Грузии. Тб., 1976.

16. Найденова В. П. Культ Митры в нижней Мезии и Фракии. – ПАК, М., 1986, с. 57-60.

17. Немировский А. И. Идеология и культура раннего Рима. Воронеж, 1964.

18. Пенделбери Дж. Археология Крита. М., 1950.

19. Ревиль Ж. Религия в Риме при Северах. М., 1898.

20. Соломоник Э. И. Древние надписи Крыма. Киев, 1988.

21. Терракоты Северного Причерноморья. Терракота из Херсонеса. – САИ, вып. Г1-11, М., 1970, с. 70-77.

22. Тодуа Т. Т. Колхида в составе Понтийского царства, Тб., 1990.

23. Blawatski W., Kochelenko G. Le culte de Mithra sur la côte séptentrionale de la Mer Noire. – EPROER, 8 , Leiden, p. 17-35.

24. Buren E. D. Terracotta arulae. – mem. Amer. Acad. in Rome, vol. 2, Bergamo, 1918, p. 15-53.

25. Berciu I., Petolescu C. C. Les cultes orientaux dans la Dacia Méridionale. – Dacia, XXI, 1977, p. 390-397.

26. Campbell L. A. Mithraic iconography and ideology. Leiden, 1966.

27. Cumont F. Die Misterien des Mithra. Leipzig, Berlin 1923.

28. Cumont F. Die orientalischen religionen im Römischen heidentum. Leipzig, Berlin, 1914.

29. Davidson G. R. The minor objects. – Corinth, Cambridge, vol. 12, 1952, p. 105-127.

30. Mac Mullen R. Le paganisme dans l'Empire romain, les chemines de l' histoire. Paris, 1987.

31. Misteria Mithrae. Études préliminaires aux religions orientales de l'Empir romain. Leyden, 1979.

32. Tavis C. G. Greek altars. Saint Luis, 1948.

33. Tautil J. C. Sectes religieuses en Grèce et à Rome dans l'Antiquité païenne, des sectes bien insallées à l'époque impériale: Les isiaques et les Mithraistes, Paris, 1986.

34. The Three altars. – Http://en. wikihedia. org/wiki/ Mitraism, 12/8/200/ p. 1-6.

35. Thompson D. B. Three centuries of Hellenistic terracotas, II, C. The Satyr cistern. – Hesperia, vol. 31, N 3, 1962, p. 244-252.

36. Turcan R. Mithra et le Mithriacisme. Paris, 1923.

37. Vlansey D. Mithraism: The cosmic mysteries of Mithras. L., 1989.

38. Wermasern M. I. Mithras, the secret God. London, 1963.

39. Wuilleumier P. Tarent dès origines à la conquète romaine. – BEFAR, fasc. 148, 1939, pp. 425-442.

ტაბ. I



ნანა მამაიაშვილი, ქეთევან ჯავახიშვილი

ადრეშუასაუკუნეთა ხანის სამარხი სოფ. დარჩეთიდან

1972 წლის აგვისტოში კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია გათხრით სამუშაოებს აწარმოებდა გურჯაანის რაიონის სოფელ დარჩეთის დასავლეთ განაპირა ნაწილში, ადგილ „გიოაანთ ხოდაბუნში“ (ეს ადგილი ცნობილია „საბერეს“ სახელითაც), სადაც მიწის ღრმად დამუშავებისას ადგილი ჰქონდა მხატვრულად დამუშავებული ქვებისა (სტელის ნატეხები) და ქვისსამარხების აღმოჩენას.

აღნიშნული ადგილი ფერდზე მდებარე მცირე გორაკს წარმოადგენს. მოხუცებულთ ახსოვდათ აქ მდებარე ეკლესია, რომელიც შემდეგ მოსახლეობას დაუნგრევია და ქვა გაუზიდავს სამშენებლოდ.

ეკლესიის გამოსავლენად გაიჭრა 20 მ სიგრძისა და 15 მ სიგანის თხრილი. დაახლოებით 30-ოდე სმ სიღრმეზე უკვე გამოჩნდა ეკლესიის ნანგრევები, რომლებიც მთლიანად იყო შევსებული რიყის ქვისა და კრამიტის ნაყარით.

ეკლესია იმდენადაა განადგურებული, რომ მისი გეგმის სრულად აღდგენა ვერც კი ხერხდება. დღეისათვის იგი გვესახება დარბაზული ტიპის ეკლესიად, გამოწეული ნახევარწრიული აბსიდით. ეკლესია, ნახევარწრიული გამოწეულაბსიდიანი ადრექრისტიანული ტაძრების – ბოლნისის სიონი, ბოლნის-კაპანაკჩის სამეკლესიანი ბაზილიკა, დმანისის სიონი, ეძაანის სამეკლესიანი ბაზილიკა, სარაჩლო – მიხედვით V-VI საუკუნეებს, სულ გვიან, VII ს-ის შუა ხანებს განეკუთვნება [9, გვ. 22]. V-VI საუკუნეებს ეკუთვნის აგრეთვე სტელათა ნატეხები (5-6 სტელის ნატეხები ჩანს). ეკლესია და სტელები ერთი ეპოქისაა, მაგრამ დრო შეიძლება არც იყოს ერთი.[43]

ძირითადად ასევე თარიღდება აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ნატეხებიც.

ეკლესიის გამოსავლენად გაჭრილ თხრილში მოექცა აგრეთვე ქვისსამარხი. იგი ეკლესიის ჩრდილო კედლიდან 1,75 მ დაშორებით მდებარეობს, დაახლოებით 0,60 მ სიღრმეზე. სამარხის ძირი მოყვითალო თიხნარ ფენაზეა გამართული. ქვისსამარხი ნაგებია ფიქალის ქვის ბრტყელი ფილებისაგან. სახურავი სამი ქვისაგან შედგება. აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებს ჩრდილო და სამხრეთ კედლებთან გასათანაბრებლად რიყის ქვის წყობის ერთი ფენა ჰქონდა კირით დაშენებული. კირითვე იყო გადალესილი სახურავის ქვებს შორისი ნაპრალები. ქვისსამარხის ზომებია: სიგრძე – 2,20 მ, სიგანე – 0,90 მ, სიმაღლე – 0,70 მ. სამარხი დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მასში ექვსი მიცვალებულის ჩონჩხი გამოვლინდა. ყველა მათგანი თავით დასავლეთისაკენ უნდა ყოფილიყო დაკრძალული, მაგრამ ამის დანამდვილებით მტკიცება ამჟამად ძნელია, რადგან ყოველი მომდევნო მიცვალებულის დაკრძალვისას წინა მიცვალებულის ჩონჩხი მიუხვეტავთ სამარხის სამხრეთ და აღმოსავლეთ კედლებთან. დღეისათვის მხოლოდ ბოლო, მეექვსე მიცვალებულის ჩონჩხს ჰქონდა შერჩენილი თავდაპირველი მდებარეობა. იგი დაკრძალული ყოფილა გულაღმა – კორპუსი და მენჯის ძვლები ჰორიზონტალურადაა განლაგებული, ხელები გულზე დაკრეფილი, მაგრამ, როგორც ჩანს, აღმოსავლეთ კედელთან მიხვეტილი მიცვალებულის ჩონჩხი ფეხების გაშლის საშუალებას არ იძლეოდა და ამიტომ მათთვის მოხრილი მდებარეობა მიუციათ. შემდეგ ფეხები გვერდზე გადაქცეულა – ეს იქიდანაც ჩანს, რომ ბარძაყის ძვლები მენჯის ფოსოებიდან ამოვარდნილია და, ერთი შეხედვით, გვერდზე მწოლიარე კიდურებმოხრილი მიცვალებულის პოზის შთაბეჭდილებაც კი იქმნება.

სამარხში აღმოჩნდა:

რკინის მშვილდსაკინძის ნატეხები (საველე წიგნი, № 57), ძალზე დაჟანგული; სარდიონის მძივი, ეტყობა საკინძის თავს წარმოადგენს (ს.წ. № 58) (პირველი მიცვალებულის ინვენტარი); რკინის სამაჯურის ნატეხები, ძალზე დაჟანგული (ს.წ. № 59) (მეოთხე მიცვალებულის ინვენტარი); ბრინჯაოს მშვილდსაკინძი (ს.წ. № 60); მარჯნის მძივი (ს.წ. № 61); ბრინჯაოს ბეჭდის ნატეხები (ს.წ. № 62); რკინის სამაჯურისა და სხვა ნივთთა ნატეხები, ძალზე დაჟანგული (ს.წ. № 63) (მეხუთე მიცვალებულის ინვენტარი); ბრინჯაოს ბეჭედი, რომბული ფარაკითა და ბრტყელი, ვიწრო რკალით (ს.წ. № 64); რკინის ნივთთა ნატეხები, ძალზე დაჟანგული (ს.წ. № 65); ოქროს ცალი საყურე, ე.წ. რგოლოვან-ღეროვანი ტიპისა (ს.წ. № 66) (მეექვსე მიცვალებულის ინვენტარი (ტაბ. I).

რკინის ნივთები ძალზე დაჟანგული და დამტვრეულია, ისე რომ მათი ფორმის წარმოდგენა ჭირს.

სამარხის ინვენტარიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მეხუთე და მეექვსე მიცვალებულის ინვენტარი.

ბრინჯაოს მშვილდსაკინძი, ჯვრისებრი, ბუდეაბმული, ორწილადი და მაღალმშვილდიანი. დაბრტყელებული ენის ბუდითა და წვრილი

[43] ნ. ჩუბინიშვილის მიერ პირად საუბარში გამოთქმული მოსაზრება.

ღერძით. იგი ექცევა ნ. უგრელიძის მიერ სამთავროს სამაროვანზე გამოყოფილ VI-VIII საუკუნეების მშვილდსაკინძთა ჯგუფში [7, გვ. 77, ტაბ. II] და ნ. აფხაზავას I ჯგუფის III სერიის IV ვარიანტში [2, გვ. 16]. ნ. აფხაზავა აკონკრეტებს აღნიშნული მშვილდსაკინძების თარიღს. მისი დაკვირვებით, დასახელებული ფიბულები გვხვდება VII საუკუნის პირველ ნახევრისა და VII საუკუნის მეორე ნახევრის – VIII საუკუნის პირველი ნახევრის კომპლექსებში [2, გვ. 32].

მარჯნის მძივი, ეტყობა, საკინძისთავი, ოვალური ფორმის. მარჯნისთავიანი საკინძები ერთ-ერთი დამახასიათებელი სამკაულია როგორც სამთავროში, ისე საქართველოს სხვა ადგილებში გათხრილი გვიანდელი ქვისსამარხებისათვის (არმაზისხევი, რუსთავი, ვაშლიჯვარი, კარსნისხევი და სხვ). ისინი დიდი რაოდენობით ჩნდება დაახლოებით VI-VII საუკუნეების მიჯნის სამარხებში. მათი თავები მრგვალია, ელიფსოიდური, ან ჯვრისებრ განლაგებული, ხოლო მარჯნის ბროწეულის გამოსახულებით თავშემკული საკინძები გაცილებით გვიანი ხანისაა – VII საუკუნის მეორე ნახევარი-VIII საუკუნის შუა წლები [2, გვ. 89-91; 7, გვ. 76, ტაბ.].

მართალია დარჩეთის მარჯნის მძივს თავი მოტეხილი აქვს, მაგრამ კარგად ჩანს, რომ იგი არ გამოსახავდა ბროწეულის ყვავილს. ამდენად, დარჩეთის მარჯნისთავიანი საკინძი VI-VII სს. მიჯნას უნდა განეკუთვნოს.

ბრინჯაოს ბეჭედი, რომბისებრი მოყვანილობის ფარაკითა და ბრტყელი ვიწრო რკალით.

ფარაკზე გამოსახულია მამაკაცის ფიგურა. იგი დგას პირდაპირ, ხელებგაშლილი (ჯვარცმას მოგვაგონებს), შემოსილია გრძელი, მდიდრულად შემკული სამოსით. წინ, შუაში, მთელ სიგრძეზე, სამოსს სქელი, განიერი ქსოვილის ზოლი გასდევს, რომელიც მხრებზე გადადის. სამოსის დანარჩენი ნაწილი ნაქარგობით უნდა იყოს დაფარული. მამაკაცს სწორი, მხრებამდე ჩამოშვებული თმა და გრძელი წვერი აქვს. თავზე მაღალი ჯვარი ადგას. გამოსახულება ზედაპირულია, შესრულებულია ერთ სიბრტყეში. ფიგურის გამოსახვაში ერთგვარ სქემატიზაციასა და პირობითობასთან ერთად შეიმჩნევა დეტალების გადმოცემის სურვილიც. ქსოვილის ნაქარგობა გადმოცემულია უსწორმასწორო ჩაღრმავებებით და წერტილების რიგით, წვერი – ძალიან წმინდა სწორი ხაზებით; წერტილისებრი ჩაღრმავებებით მინიშნებულია თვალები და ცხვირი. მამაკაცის სამოსი ბიზანტიური ყაიდისა უნდა იყოს, ისეთი, როგორსაც ბიზანტიელი იმპერატორები ატარებდნენ; თავზეც ბიზანტიური სამეფო გვირგვინი – სტემა ადგას, რომლის აუცილებელი ნაწილებია პენდილია – მარგალიტის ასხმულა და გვირგვინის შუაში ამოზიდული ჯვარი [3, გვ. 122-123]. გვირგვინის დეტალები და წვერის მოყვანილობა მსგავსია ბიზანტიის იმპერატორ ფოკას (602-610 წწ.) გამოსახულებებისა მონეტებზე [10, ტაბ. I. 4a, 5a.. 1; f.1; ტაბ. II 26 d.2; 30a.1; 36a].

დარჩეთის ბეჭედი ბიზანტიურ ნახელავს უნდა ვუთვალისწინებდეთ, რაზედაც მიგვანიშნებს ბეჭდისა და მონეტების გამოსახულებათა დიდი მსგავსება. ისიც აღსანიშნავია, რომ მასზე სამეფო წრის წარმომადგენელი უნდა იყოს გამოსახული.

საყურე, ოქროსი. მისი ყურსაკიდი რგოლი მრგვალგანივკვეთიანი მავთულისგანაა დამზადებული, გვერდზეა გახსნილი და ცალბოლოგაწვრილებული. რგოლზე ბურთულის საშუალებით მირჩილულია ოქროს პატარა ყუნწი (ბოლოდან 0,7 სმ დაშორებით), რომელშიც გაყრილია სპილენძის (?) შვეული თავყუნწიანი ღერაკი. მასზე მორიგეობით ასხმულია: ლურჯი მინის პატარა მრგვალი მძივი, ვერცხლის (?) ვარდული, მარგალიტის (?) მძივი, ოქროს ვარდული, პასტის მოგრძო მძივი და ბოლოს ვერცხლის ვარდული. საკიდი ბოლოსკენ თანდათან ფართოვდება.

საყურის აღნიშნული ტიპი საქართველოს ტერიტორიაზე ახ.წ. III საუკუნის მეორე ნახევრიდანაა ცნობილი [1, გვ. 201-202]. მისი შემცველი უძველესი სამარხია არმაზისხევის მეორე სამარხი. იგი იმპერატორ ვალერიანეს (253-260 წწ.) მონეტის მიხედვით ახ. წ. III საუკუნის მეორე ნახევრითაა დათარიღებული [4, გვ. 98]. რგოლოვან-ღეროვანი ტიპის საყურე მეტად გავრცელებული ჩანს ახ.წ. IV საუკუნეში: არმაზისხევის ერისთავთა IV საუკუნის მდიდრული სამარხები (№№ 12, 13, 19, 36, 38, 40, 41, 43, 48, 49) [4, გვ. 98; 1, გვ 202]; სამთავროს სამაროვნის ახ.წ. IV საუკუნის ქვისსამარხები (1939 წ. N უბნის 303-ე და 1938 წ. N უბნის მე-5 ქვის სამარხები); 1925 წ. გ. ნიორაძის მიერ კარსნისხევის სამაროვანზე გათხრილი I, IV და VIII ქვისსამარხები [5, გვ. 17, 29, 31], ახალგორის მახლობლად 1917 წ. აღმოჩენილი და თანმხლები შაბურ II-ის (308-380 წწ.) მონეტით დათარიღებული მსგავსი საყურეები [1, გვ. 202]. ასევეა დათარიღებული გ. ცქიტიშვილის მიერ ძევრში აღმოჩენილი ბრინჯაოს ანალოგიური საყურეები [6, გვ. 134], 1941 წ. მცხეთაში შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის მსგავსი საყურე [4, გვ. 100]. ურბნისის სამარხებში აღმოჩენილი საყურეები [8, გვ. 69-70, სურ. 34_{8-13}] და სხვ.

აღსანიშნავია, რომ საყურის ეს ტიპი არის აგრეთვე 619-ე, ლეონ პირველის მონეტისა და არაბული ფელსის შემცველ ქვისსამარხში (სამთავრო). საყურე IV-V საუკუნეების მსგავსი მოყვანილობის საყურეებთან შედარებით დიდი

და ტლანქია. როგორც ნ. უგრელიძე აღნიშნავს, მცხეთაში საყურის ეს ფორმა საკმაოდ სტაბილურია: მათ შემცველ სამარხთა შორის უძველესია არმაზისხევის მეორე სამარხი, რომელიც ვალერიანეს მონეტით თარიღდება III საუკუნით, ხოლო უახლესია სამთავროს 619-ე სამარხი, რომელშიც VIII საუკუნის არაბული ფულია ხ6, გვ. 79ჯ.

უნდა აღინიშნოს, რომ დარჩეთის საყურე საკმაოდ დახვეწილია და მისი დიდი მსგავსება დასახელებული ტიპის საყურის ადრეულ ცალებთან უფლებას გვაძლევს ეს უკანასკნელიც მათ მსგავსად IV საუკუნით დავათარიღოთ.

საყურე ექცევა ნ. აფხაზავას მიერ გამოყოფილ, IV ს-ით დათარიღებულ III ჯგუფის I ტიპის A ვარიანტში [2, გვ. 70-71].

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ სამარხში IV საუკუნის ნივთიც მოგვეპოვება (მაგ. საყურე), იგი აქ აღმოჩენილი მარჯნისთავიანი საკინძის და ბრინჯაოს მაღალმშვილდიანი მშვილდსაკინძის მიხედვით, VI-VIII სს-ის პირველი ნახევრით, შესაძლოა უფრო VII საუკუნით დათარიღდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ქვისსამარხი კოლექტიურია, სხვადასხვა დროის ნივთების იქ აღმოჩენა სულაც არ ნიშნავს, რომ დროის ამ მონაკვეთში ხდებოდა ქვისსამარხში დაკრძალვა. აღსანიშნავია, რომ სწორედ მეექვსე, ბოლოს დაკრძალულ მიცვალებულს ეკუთვნის ყველაზე ადრეული, IV საუკუნით დათარიღებული საყურე და საგულისხმოა, რომ იგი მემკვიდრეობით მიღებულ ძველ ნივთს წარმოადგენდა. დანარჩენი ნივთები ერთი ხანისა ჩანს და სამარხიც, მათ მიხედვით შეიძლება VII საუკუნით დავათარიღოთ.

როგორც დავინახეთ, დარჩეთის სამარხში აღმოჩენილ ნივთებს მრავალი ანალოგია ეძებნება ადრეშუასაუკუნეთა ხანის საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში. მაგრამ ეს არ შეეხება ბეჭედს, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასზე სამეფო წრის წარმომადგენელი უნდა იყოს გამოსახული, არამედ იმიტომაც, რომ საქართველოში ბიზანტიური გლიპტიკური ძეგლები საკმაოდ იშვიათად გვხვდება.

N. Mamaiashvili, K. Javakhishvili

EARLY MEDIAEVAL BURIAL FROM THE VILLAGE OF DARCHETI

(Summary)

A cist with skeletal remains of six deceased was discovered in 1972 in the place called Gioaant Khodabuni, village of Darcheti (Gurjaani district). The following grave goods were unearthed: bronze bow-shaped phibula, cross-shaped, two-piece and high-bowed; oval coral bead represents a pinhead, gold earring, etc. All these items find many parallels with Early Medieval artifacts from different sites throughout the territory of Georgia. A ring with a representation of a man with stretched arms (reminding a crucifixion) is an exception. He is clad in a richly adorned Byzantine garment and bears the royal crown – stema. The ring causes special interest not only due to the fact that the person depicted must have belonged to a royal dynasty, but because it is a rare example of Byzantine glyptics in Georgia.

ლიტერატურა

1. **აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ.** მცხეთა, I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1955.
2. **აფხაზავა ნ.** ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბ., 1979.
3. **გაგოშიძე გ.** სანაჰინის მონასტრის მაცხოვრის ტაძრის თარიღისათვის. – ნარკვევები, II, 1996, გვ. 115-129.
4. **დავლიანიძე ც.** 1941 წ. შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი მცხეთაში. – სსმმ, XXVII-B, 1967, გვ. 94-101.
5. **ნიორაძე გ.** კარსნისხევის სასაფლაო. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შრომები, IV, თბ., 1926, გვ. 1-60.
6. **უგრელიძე ნ.** მინის წარმოების ისტორიისათვის ძველ საქართველოში (მინის ჭურჭელი სამთავროს სამაროვნის ახ. წ. IV-VIII სს. სამარხებში). თბ., 1955.
7. **უგრელიძე ნ.** ადრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ., 1967.
8. **ჭილაშვილი ლ.** ნაქალაქარი ურბნისი. თბ., 1964.
9. **Беридзе В.** Грузинская архитектура "раннехристианского" времени (IV-VII вв.). Тб., 1974.
10. **Bellinger A. R., Grierson Ph.** Cataloge of the Byzantine coins in the Dumbarton Oaks collection in the Whittemore collection, vol. 2, Washington, 1968.

ტაბ. I



ირმა ბერძენიშვილი

აფხაზეთის ანთროპომორფული სარკოფაგები

აფხაზეთში ადრექრისტიანული ხანის ოთხი სარკოფაგია შემორჩენილი (სოხუმი, ბიჭვინთა, კამანი, მრამბა). ოთხივე ქვაშია გამოკვეთილი. მათგან ორი (სოხუმი, ბიჭვინთა) ანთროპომორფული ფორმისაა, რაც ერთიორად ზრდის მათდამი ინტერესს, რადგან საქართველოს სხვა კუთხეში მსგავსი ფორმის სარკოფაგი ჯერჯერობით გამოვლენილი არაა.



სურ. 1 სურ. 2

სოხუმის კირქვის მონოლითური სარკოფაგი (სურ. 1) აღმოჩნდა 1954 წელს მდ. ბესლეთის მარჯვენა სანაპიროზე, წითელ ხიდთან, ეკლესიის ნანგრევებთან. ინახება აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში.

სარკოფაგი ანთროპომორფული ფორმისაა. როფის სიგრძეა 2,1 მ; სიგანე თავში – 0,68 მ, ბოლოში – 0.40 მ; კედლების სისქეა 0,5 – 0,7 მ. სარკოფაგს მასიური კირქვის სარქველი აქვს გრძივი ქედით. სარკოფაგში ძვლების ან ინვენტარის აღმოჩენის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს [8, გვ. 51, ტაბ. $VII_{9,10}$; 11, გვ. 207].

ბიჭვინთის კირქვის მონოლითური ანთროპომორფული ფორმის სარკოფაგი (სურ. 2) ორფერდა სარქველით აღმოჩნდა 1980 წელს ბიჭვინთის საკათედრო ტაძრის (IX ს.) მახლობლად, მისგან 30 მ დასავლეთით გათხრილ ადრექრისტიანულ ტაძრში გამოვლენილ უინვენტარო ქრისტიანულ კრამიტსამარხებს შორის. სარკოფაგი ტაძრის ჩრდილოეთ ნავში მდებარეობდა. როფის სიგრძეა 2 მ (შიგნიდან), სიგანე – 0,4 მ, კედლის სიმაღლე – 0,3 მ, კედლის სისქე – 0,5 მ. სარქველის კიდეებზე 1 სმ სიღრმის და 2 სმ დიამეტრის მრგვალი ჩაღრმავებებია დატანილი, როგორც ჩანს, სანთლებისთვის. გამთხრელის მიერ სარკოფაგი VI ს-ით თარიღდება [10, გვ. 403; 11, გვ. 30. ნახ. 34a].

მასიური კირქვისაგან დამზადებული სარკოფაგი ცნობილია სოფ. კამანიდანაც, სოხუმის მახლობლად [13, გვ. 207], რომლის შესახებაც უფრო დეტალური ინფორმაცია ლიტერატურაში, სამწუხაროდ, არ არსებობს.

1981 წ. სოფ. მრამბაში, ადრექრისტიანული ტაძრის მახლობლად, გაითხარა, ასევე, მონოლითური კირქვისაგან გამოთლილი, გეგმაში წაგრძელებული ოვალის ფორმის (2,5×1,0 მ, კედლების სისქეა 0,10-0,11 მ) სარკოფაგი [7, გვ. 405; 9, გვ. 33-34, ტაბ. XXVI_{13}]. მსგავსი ფორმის, მხოლოდ თიხის, სარკოფაგები ცნობილია საქართველოს სხვა პუნქტებიდანაც (დასავლეთ საქართველო: ურეკი, ვაშნარი, დარჩელი, ლია; აღმოსავლეთ საქართველო: აღაიანი, ნასტაკისი, ურბნისი, წეროვანი, კეხიჯვარი (ძალისთან), ბულაჩაური, ქსოვრისი, წილკანი, ოძისი, მცხეთა, ნატახტარი, საგურამო, ატენი, ბორჯომის ხეობა). თიხის სარკოფაგები საქართველოში ჩნდება ძვ.წ. I ს. (აღაიანი – რიყიანების ველის სამაროვანი), ხოლო ფართოდ ვრცელდება ახ.წ. IV-V სს-ში [1, გვ. 86-90; 2, გვ. 100-101, 103; 12, გვ. 61-62].

რაც შეეხება მთლიანი ქვისგან გამოთლილ სარკოფაგებს, ისინი ასევე დასტურდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. გვაქვს როგორც არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი (არმაზისხევი, ბაგინეთი, ბოლნისი, მცხეთა, ვანი, ურბნისი, სვეტიცხოვლის ტაძარი, ანჩისხატი, ნიქოზი, ბალიჭი, რუსთავი), ასევე შემთხვევით მიკვლეული ცალებიც (ქუთაისი (არქიელის გორა), ვანი, ურბნისი, სადგერი, დიღომი, კავთისხევი, შულავერი, ბორჯომის ხეობა, ქვემო ალმე) [6, გვ. 127-129; 4, გვ. 1-10; 5, გვ. 91].

სარკოფაგების უდიდესი ნაწილი გაძარცვული და ხელმეორედ გამოყენებულია, თუმცა მაინც შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ჯგუფი ქრონოლოგიურად განსხვავებული სარკოფაგებისა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ანტიკური ხანის სარკოფაგები, როგორიცაა არმაზისხევისა და ბაგინეთის გაუძარცვავი ცალები, და ვანის სარკოფაგი, რომელიც გაძარცული, ან ხელიეორედ გამოყენებულია [5, გვ. 91]. დანარჩენი სარკოფაგები კი უდავოდ ქრისტიანული ხანის ძეგლებს წარმოადგენენ, რასაც სარკოფაგთა შემკულობა (მაგ. ურბნისის, სადგერის, ბალიჭისა და რუსთავის სარკოფაგებზე ჯვრის გამოსახულება; ქვემო ალმეს სარკოფაგზე კი ჯვართან ერთად ჯეირნების გამოსახულება) და მათი აღმოჩენის ადგილი ადასტურებს. ისინი ეკ-

ლესიას, ან საეკლესიო გარემოს უკავშირდებიან [6, გვ. 129-130; 4, გვ. 5, სურ. 2, 3; 3, გვ. 22].

საქართველოში აღმოჩენილი სარკოფაგები სარქველის ფორმის მიხედვით რამდენიმე ტიპად იყოფა: ორფერდა სახურავიანი, ბრტყელი ანუ ბანურსახურავიანი, და თაღოვანსახურავიანი. რაც შეეხება როფის, იგივე ტაგრუცის (სულხან-საბა, ა. შანიძე) ფორმას, თიხის სარკოფაგები ძირითადად წაგრძელებული ოვალის ფორმისაა, ქვის სარკოფაგები კი სწორკუთხედის ფორმის, თუმცა გამონაკლისია ამ შემთხვევაში მრამბის ქვის სარკოფაგი, რომელიც თიხის სარკოფაგთა მსგავსად, წაგრძელებული ოვალის ფორმისაა; მაგრამ, რაც შეეხება ანთროპომორფული ფორმის სარკოფაგებს, ისინი, გარდა აფხაზეთისა, უცნობია საქართველოს სხვა კუთხეებში.

III ს-ის მეორე ნახევრიდან ვიდრე VII ს-მდე (270/80 – 600 წლებს შორის) რომაულ სამყაროში სარკოფაგთა წარმოების 3 ძირითადი ცენტრი არსებობდა: რომი, რავენა და კონსტანტინოპოლი. მათგან წამყვანი ცენტრი რომი იყო. დღეისათვის რომში ქრისტიანული თემებით შემკული 1200 სარკოფაგია ცნობილი. თუმცა IV ს-ში რომში წარმართული და "ნეიტრალური" თემებით (მაგ. ნადირობის სცენა) შემკული სარკოფაგებიც მზადდებოდა. რაც შეეხება რავენას, აქ 35 ცალი სარკოფაგია შემორჩენილი. ექსპორტი რავენიდან საერთოდ არ ივარაუდება. კონსტანტინოპოლში 150 ცალი სარკოფაგია ცნობილი. ექსპორტი კონსტანტინოპოლიდან არც ისე ხშირი იყო. უმეტეს შემთხვევაში კონსტანტინოპოლიდან იმპორტირებული სარკოფაგების მინაბაძები ადგილობრივ მზადდებოდა [22, გვ. 621-627]. ზემოთ ჩამოთვლილი იმპერიის ძირითადი ქალაქების გარდა სარკოფაგთა წარმოება იმპერიის პროვინციებშიც ხდებოდა: იტალია (გარდა რომისა), გალია, რეინის, მოზელისა და დუნაის ხეობები, ბრიტანეთი, ესპანეთი, ჩრდილოეთ აფრიკა, ბალკანეთი და ეგეოსის ზღვის კუნძულები, მცირე აზია, ახლო აღმოსავლეთი (სირია, პალესტინა, არაბეთი), ეგვიპტე [21, გვ. 115-117]. ამ პროვინციებში დამზადებული სარკოფაგების ექსპორტი ხშირ შემთხვევაში იმპერიის მთავარ ქალაქებში ხდებოდა. მაგალითად, ხშირი იყო ალექსანდრიული სარკოფაგების ექსპორტი რომში, მილანში, სპლიტსა (ძვ. სპალატო) და კონსტანტინოპოლში. რაოდენობრივად ყველაზე მეტი სარკოფაგი სირიაშია გამოვლენილი. ისინი, იმპერიის ცენტრებში დამზადებული ცალებისაგან განსხვავებით, სადად გამოიყურება, მხოლოდ ქრისტიანული სიმბოლოებითაა შემკული და თანმხლები წარწერების საფუძველზე ძირითდად V-VI სს-ით თარიღდება [22, გვ. 630].

ახ.წ. პირველ საუკუნეებში უბრალო, ადგილობრივი კირქვისაგან დამზადებული სარკოფაგები ფართოდ გავრცელდა ბოსფორსა და ქერსონესში. მათ ახასიათებს ფორმათა სიმარტივე და სადა ზედაპირი. ყველაზე გვიანდელი სარკოფაგი IV-V სს-ებს მიეკუთვნება [14, გვ. 11, 19-20].

ქვის სარკოფაგი, როგორც ქრისტიანული სამარხის ერთ-ერთი ტიპი, სათავეს ანტიკურ ეპოქაში იღებს. ასევეა ანთროპომორფული ქვის სარკოფაგიც, ანტიკური ხანიდან დაწყებული იგი ადრექრისტიანულ ხანაშიც წარმატებით გამოიყენებოდა. არსებობს მოსაზრება, რომ ანთროპომორფული სარკოფაგის ფორმა ეგვიპტური სარკოფაგის ფორმიდან განვითარდა [15, გვ. 62]. სამეცნიერო ლიტერატურაში ანთროპომორფული სარკოფაგი ცნობილია აგრეთვე სხვა ტერმინითაც – ფინიკიური ტიპის სარკოფაგი. სახელწოდება მათი აღმოჩენის ადგილიდან მომდინარეობს, მსგავსი ტიპის სარკოფაგი პირველად უძველესი ფინიკიის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი [26, გვ. 468]. თუმცა ეს ტერმინი უფრო ანტიკური პერიოდის ძეგლებზე ვრცელდება. და მათი ფორმაც ჯერ კიდევ ძლიერ ჰგავს და იმეორებს ეგვიპტური მუმიის სარკოფაგის ფორმას. მისი არეალი ძირითადად ხმელთაშუაზღვის აუზით შემოიფარგლება: არადოსი [23, გვ., 97-129], სიცილია (Picco Cannita), ტრიპოლისი, ბიბლოსი, ბერიტოსი, დამასკო, გაზა, ამათუსი, ალექსანდრია, მემფისი, [15, გვ. 61-76; 16, გვ. 213-221], სიდონი [27, გვ. 147-150], კადიზი [17, გვ. 236-243], კვიპროსი (ლარნაკა - ძვ. კიტიონი) [18, გვ. 351-353; 19, გვ. 623-624; 20, გვ. 1007-1019], მოდენა [25, გვ. 3-9], პაროსი [26, გვ. 466-471]. ანთროპომორფულ სარკოფაგთა წარმოების რამდენიმე ცენტრი არსებობდა ხმელთაშუაზღვისპირეთში: სიდონი, არადოსი, სიცილია, კვიპროსი. მათი წარმოება ძირითადად ძვ. წ. V-IV სს-ში ხდებოდა.

ანთროპომორფული სარკოფაგის ყველაზე ადრეული (IV ს.) ქრისტიანული ეგზემპლარი ჩრდილოეთ აფრიკიდან მომდინარეობს. ადრექრისტიანულ ხანაში ამ ტიპის სამარხის გამოყენება შესაძლოა გამოწვეული იყო მისი ფორმის მსგავსებით საეკლესიო არქიტექტურასთან. მაგალითად, შესაძლოა კავშირის დანახვა ანთროპომორფული სარკოფაგის აფსიდასა და ეკლესიის აფსიდას შორის. ქრისტიანული ხანის სამარხეული ძეგლების კავშირს არქიტექტურასთან თავის დროზე აღნიშნავდა ა. გრაბარი. ამ მხრივ საინტერესოა თანამედროვე საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული საფლავის ქვებად მინიატურული, ქვაში კვეთილი ეკლესიების გამოყენება: ჭობისხევი, ლარები, ვალე, წაღვერი (ამირან არაბულის ფოტოარქივი).

რაც შეეხება ანთროპომორფული სარკოფაგების არსებობა-გავრცელებას ადრექრისტიანულ სამყაროში, ისინი არც ისე მრავლადაა გამოვლენილი. შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ რამდენიმე ანალოგი. ადრექრისტიანული

სარკოფაგების ცნობილი მკვლევარი გ. კოხი თავის ნაშრომში "Frühchristliche Sarkophage", რომელიც რელიეფებით შემკულ სარკოფაგებს და მათ წარმოება-გავრცელებას ეხება რომის იმპერიაში, ასახელებს VI-VII სს-ით დათარიღებულ ანთროპომორფულ, მხოლოდ გარედან სწორკუთხედში ჩაწერილ სარკოფაგს კონსტანტინოპოლიდან [22, გვ. 414-415, სურ. 51]. მსგავსი ფორმის სარკოფაგები ცნობილია ფენარი ისა-ჯამიდან (ძვ. ლიპსას მონასტერი, სტამბული) – VI ს., ცარიცინ-გრადიდან – VI ს., პროვანსიდან (სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთი) – V-VI სს., კლდეში კვეთილი ანთროპომორფული ფორმის სამარხები ცნობილია Thélepte-დან, Tipasa-ს ბაზილიკიდან (ჩრდილოეთ აფრიკა) [13, გვ. 209; 22, გვ. 306]. ანთროპომორფული, მხოლოდ აგურით ნაგები სამარხი ცნობილია Čalma-დან (სერბეთი). სამარხი ქრისტიანს ეკუთვნოდა, რასაც ინვენტარი – ძველი და ახალი აღქმის სცენებით შემკული ბრინჯაოს მედალიონები – ადასტურებს. სამარხი ლიცინიუსის და კონსტანტინეს მონეტებით IV ს-ის შუა წლებით თარიღდება [24, გვ. 305-306, სურ. 5]. არის შემთხვევები ძველი, ანტიკური ხანის სარკოფაგების ხელახალი გამოყენებისა. მაგალითად, კუნძულ კვიპროსზე, ლარნაკაში კლასიკური და ელინისტური ხანის ანთროპომორფული სარკოფაგი წარმატებით იყო გამოყენებული მოგვიანებითაც, XI ს-ის სან-ლაზარეს ეკლესიაში [19, გვ. 624].

სოხუმის სარკოფაგს სარქველის ფორმის მიხედვით ანალოგიები ეძებნება აკვიტანიაში (სამხრეთ-დასავლეთი გალია) – ნარბონა, ტულუზი, მარტრ-ტოლოზანი, ბორდო (Saint-Seurin), რომლებიც V-VI სს-ით თარიღდება [22, გვ. 508, 513, სურ. 71,1, ტაბ. 171, 172, 174, 176].

აფხაზეთში ანთროპომორფული სარკოფაგების არსებობას ლ. ხრუშკოვა ამ მხარეში ბიზანტიელთა გავლენის კიდევ ერთ ნიშნად მიიჩნევს. რთული სათქმელია, ეს სარკოფაგები იმპორტია, თუ ადგილობრივი მინაბაძი. შესაძლოა მათი ადგილობრივ დამზადება ვივარაუდოთ, რადგან იმდროინდელ სამყაროში არსებული სარკოფაგებისაგან განსხვავებით, რომლებიც უხვადაა ორნამენტირებული, აფხაზეთის ცალები საკმაოდ სადად გამოიყურება და ზუსტი ანალოგებიც არ ეძებნება. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები ცენტრებისგან მოშორებით, პროვინციებში, მინაბაძების ადგილობრივი დამზადებისა [22, გვ. 610-620]. რაც შეეხება თარიღს, ბიჭვინთის სარკოფაგი ადრექრისტიანული ხანის ეკლესიაშია (VI ს.) აღმოჩენილი. რამაც განსაზღვრა გარკვეულწილად მისის თარიღი – VI ს. ამავე თარიღს ეთანხმება ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც, რომელიც შეიძლება არაზუსტ, მაგრამ მიახლოებით ანალოგებს წარმოადგენენ აფხაზეთის სარკოფაგებისათვის. სოხუმის სარკოფაგი აღმოჩენილია არა in situ ვითარებაში, თუმცა ტიპოლოგიურად და მასალის რაგვარობითაც იდენტურია ბიჭვინთის სარკოფაგისა და შესაძლოა, აგრეთვე, VI ს-ით დათარიღდეს. რაც შეეხება სარკოფაგთა კუთვნილებას, ისინი მაღალი სასულიერო (შესაძლოა საეროც) წრის წარმომადგენლებს ეკუთვნოდნენ, რადგან მათი დამზადება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და მათი აღმოჩენაც ეკლესიებს უკავშირდება.

Irma Berdzenishvili

THE ANTHROPOID SARCOPHAGI IN ABKHAZIA

(Summary)

Four stone sarcophagi, dating from the Early Christian period have survived in Abkhazia (Sukhumi, Bichvinta, Kaman, Mramba). The fact that two of these (Sukhumi, Bichvinta) are the only anthropoid sarcophagi discovered so far on the territory of Georgia considerably enhances interest in them.

The anthropoid shape of sarcophagus developed from the Egyptian mummy sarcophagi. It was wide spread in the Archaic and Classical periods throughout the Mediterranean. The fact that this particular shape of coffin survived into the Early Christian period may be connected to the similarity of its form with church architecture, to put it more precisely, a similarity between the shapes of the apse of the anthropoid sarcophagus and the church apse. Links with Christian burial architecture are also corroborated by ethnographic data of modern Georgia, e. g. small stone models of a church are used as tombstones (Tchobiskhevi, Larebi, Vale, Tsaghveri).

The Bichvinta sarcophagus was unearthed inside the Early Christian church (the 6th cent.), determining to some extent the date of the sarcophagus itself. The dating is backed by analogous finds from Constantinople, Tsaritsyngrad, Provence, Calma, Tipasa, Thelepte. The Sukhumi sarcophagus was not discovered in situ; however, typologically and, judging by the grave goods, it is identical with the Bichvinta one. It, too can be dated to the 6th cent.

ლიტერატურა

1. მაკალათია ს. არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში: სოფ. საკობიანოში, დაბლა-გომში და აღაიანში. – სსმმ, XI-B, 1941, გვ. 81-90.

2. მირიანაშვილი ნ. შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1983.

3. ბაჭიკაშვილი ნ. რუსთავის სარკოფაგები. – ქრისტიანული არქეოლოგიის IV კონფერენცია, თბ., 2000, გვ. 22-23.

4. ჩიტაია გ. ქვის კუბო ქვემო ალმედან. – ენიმკის მოამბე, VIII, 1940, გვ. 1-10.

5. ხოშტარია ნ. ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია. – ვანი, I, თბ., 1972, გვ. 81-95.

6. ჯაფარიძე ვ. ვ. სოფელ ბალიჭის სარკოფაგი ქართული ასომთავრული წარწერით. – მაცნე, 2, 1972, გვ. 124-136.

7. Бгажба О. Х. Исследование в Цебельдинской долине. – АО (1981), 1983, с. 405.

8. Воронов Ю. Н. Археологическая карта Абхазии. Сухуми, 1969.

9. Воронов Ю., Бгажба О. Исследование средневековых памятников в Цебельде. – Археологические открытия в Абхазии 1981-1982 гг., Тб., 1985, с. 27-34.

10. Лордкипанидзе Г. А. Исследования в Пицунде. – АО, 1980 (1981), с. 403.

11. Лордкипанидзе Г. А., Агрба З. В. Раскопки на территории комплекса Пицундского храма. – АО 1980 года в Абхазии, Тб., 1982, с. 26-31.

12. Хоштариа Н. В. Археологическое исследование Уреки. – მსკა, ტ. 1, 1955, გვ. 25-78.

13. Хрушкова Л. Г. Раннехристианские саркофаги из Абхазии. – ВВ, 45, 1984, с. 207-210.

14. Пятышева Н. В. Таманский Саркофаг. – Труды ГИМ, вып. II, 1949, с. 5-36.

15. Buhl M.-L. Anfang, Verbreitung und Dauer der Phönikischen Anthropoïden Steinsarkophage. – ActArch., 35, 1964, S. 61-80.

16. Buhl M.-L. Les Sarcophages Anthropoïdes Phéniciens en Dehors de la Phénicie. – ActArch., 58, 1987, S. 213-221.

17. Freijeiro A. B., Sánchez R. C. Der neue Anthropoide Sarkophag von Cádiz. – MM, 22, 1981, S. 236-243.

18. Karageorghis V. Chronique des Fouilles à Chypre en 1962. – BCH, 87, 1963, p. 351-353.

19. Karageorghis V. Chronique des Fouilles à Chypre en 1972. – BCH, 87, 1973, p. 621-624.

20. Karageorghis V. Chronique des Fouilles à Chypre en 1980. – BCH, 87, 1981, p. 1007-1021.

21. Koch G. Frühchristliche Kunst. Stuttgart, 1995.

22. Koch G. Frühchristliche Sarkophage. München, 2000.

23. Lembke K. Die phönizischen anthropoiden Sarkophage aus den Nekropolen der Insel Arados. – Damaszener Mitteilungen, 10, 1998, S. 97-129.

24. Nikolajević I. Grabanlagen und Begrebniskulte in Moesien aus frühchristlicher Zeit. – Jahrbuch der Östereichischer Byzantinistik, 29, 1980, s. 303-314.

25. Piacentini P. The Anthropoid Stone Coffin in the Estense Collection of Modena. – Studi di egittologia e di antichita puniche, 3-12, 1992, p. 3-9.

26. Schilardi D. A New Phoenician Sarcophagus From Paros. – Athens Anuals of Archaeology, VI, 1973, p. 466-471.

27. Stucky R. A. Drei Sidonierinnen in Basel. – Antike Kunst, 32, 1989, p. 147-150.

შოთა ჩართოლანი

შუასაუკუნეების სვანეთის არქეოლოგიური რუკა

არქეოლოგიური კვლევა-ძიება სვანეთში, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, ბევრად უფრო გვიან, 1964 წელს დაიწყო.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და შემდგომ, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო პრობლემატიკის შესაბამისად, სვანეთის არქეოლოგიური ექპედიციის საველე სამუშაოები აქცენტირებული იყო ადრეული ეპოქების: ნეოლითის, ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის ძეგლების გამოვლინება-შესწავლაზე.

1970-იანი წლების მეორე ნახევრიდან და მომდევნო წლებში სვანეთში ფართოდ გაშლილი მშენებლობის პირობებში: საგზაო კომუნიკაციები, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, საწარმოო და კულტსაგანმანათებლო ნაგებობები, ხუდენჰესისა და სხვა ობიექტების მიწის სამუშაოების შედეგად ნადგურდებოდა და ზიანდებოდა შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ამას დაემატა საყოველთაოდ ცნობილი სტიქიური მოვლენები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშენებელი ორგანიზაციები (საქართველოს საავტომობილო გზების სამინისტრო, საქკურორტმშენი, რაიონების ხელმძღვანელი ორგანიზაციები) სათანადო კანონმდებლობის იგნორირებით, აზიანებდნენ და რიგ შემთხვევებში ანადგურებდნენ არქეოლოგიურ ძეგლებს.

შექმნილ ვითარებაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და შესაბამისად, არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა, სვანეთის ექსპედიციას დაავალა შუასაუკუნეების ძეგლების გადარჩენისა და შესწავლის მიზნით საველე სამუშაოების გაფართოება (სამწუხაროდ, სათანადო სპეციალისტებით სვანეთის ექსპედიციის შევსება არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა ვერ შეძლო).

მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა უკანასკნელი 15 წლის მანძილზე, სვანეთში მოიშალა ძეგლთა დაცვის სახელმწიფო სამსახური. განუკითხაობისა და კრიმინოგენული ვითარების პირობებში გახშირდა განძის მაძიებლებისა და ნაეკლესიარების ე.წ. რესტავრატორების მიერ შუასაუკუნეების ძეგლების თვითნებური გათხრებისა და კულტურული ძეგლების დანგრევის შემთხვევები. აღმოჩენილი მასალები ხშირ შემთხვევაში იყიდება შავ ბაზარზე, გააქვთ უცხოეთშიც.

მდ. ენგურის, ცხენისწყლისა და კოდორის ხეობებში განხორციელებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად, სვანეთის ექსპედიციამ სადღეისოდ უკვე დააფიქსირა 339 ძეგლის არსებობა. მათ შორისაა შუასაუკუნეების 242 ძეგლი: საკულტო და საფორტიფიკაციო ნაგებობათა ნაშთები, სამაროვნები, ნამოსახლარები და ნაგზაურ-ნახიდარები. სადაზვერვო და სტაციონალური გათხრების შედეგად აღმოჩნდა ათასობით ნივთიერი მასალა. სამწუხაროდ კერამიკული ნაწარმი დაზიანებული ფორმით და ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი. მისი კამერალური დამუშავებისათვის აუცილებელი პირობები ექსპედიციას დღემდე არ გააჩნია, რამაც (სპეციალისტი კადრების უკმარისობასთან ერთად) განაპირობა შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების სრული შესწავლის და გამოქვეყნების დაგვიანება. მონოგრაფიულად გამოქვეყნებულია მხოლოდ მოსახლეობაში, ეკლესიებში და სხვადასხვა მუზეუმებში დაცული შემთხვევითი მონაპოვრები [12]. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძეგლებისა და მასალების შესახებ ცალკეული სტატიები და სამეცნიერო ინფორმაციები მოცემულია სპეციალურ კრებულებში და ექსპედიციის საველე მუშაობის ანგარიშებში (ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კომისიისა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სპეციალურ ფონდებში).

წარმოდგენილ ნაშრომში მოცემულია მდ. კოდორის, ენგურისა და ცხენისწყლისა ხეობებში აღმოჩენილი შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების განლაგების სქემატური რუკა. სხვადასხვა ტიპის ძეგლების საილუსტრაციოდ მოცემულია შესაბამისი პირობითი ნიშნები.

ტექსტში ანუ ძეგლების ნუსხაში მითითებულია ძეგლების აღმოჩენის წლები, ძეგლების ტიპოლოგია, ადგილობრივი სვანური სახელწოდებანი, შესწავლილობის დონე, სამეცნიერო ლიტერატურა და საველე ანგარიშები.

ნაშრომი წარმოადგენს „სვანეთის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების სრული მონოგრაფიული შესწავლისა და გამოცემისათვის აუცილებელ სამუშაოთა პირველ ეტაპს. მომდევნო ეტაპზე არქეოლოგიური რუკა უნდა შეივსოს ახლანდელი მთარაჭის „გცოლას ზედათ, ცენას იქით, ოსეთს აქათ...“ სოფლებში შემონახული ძეგლებით, სადაც მე-16 საუკუნის დასაწყისამდე სვანები ცხოვრობდნენ [2, გვ. 31-34]. უახლოეს დროში უნდა მომზადდეს არქეოლოგიური ძეგლებისა და მასალების ილუსტრირებული კატალოგები და მონოგრაფიული სამეცნიერო ნაშრომები.

სვანეთის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები
ზემო სვანეთი
მ ე ს ტ ი ი ს რ ა ი ო ნ ი

№	ძეგლის სახეობა	ადგილი და სახელწოდება	აღმოჩენის წ. და შესწავლილობა	არქეოლოგიური პერიოდი	ლიტერატურა	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
			ხ ა ი შ ი ს თ ე მ ი			
1	ნამოსახლარი (ნასოფლარი)	ს. ზედა წირმინდი, „ნალზიგვარ“	1984 წ. ზედაპირული დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[21, გვ. 27]	
2	სამაროვანი	ს. „ჟიბე ხაიშ“, „ლასფლავ“	1990 წ. სტაციონალური გათხრები	- „ -	[21, გვ. 27]	
3	სამაროვანი	ს. წირმინდი, „ლასფლავ“	1984 წ. დაზვერვები	- „ -	[21, გვ. 27]	
4	სამაროვანი	ხოკოს გადასასვლელი „ლასფლავარ“	1969 წ. ზედაპირული დაზვერვები	- „ -	[5]	
5	სამაროვანი	ს. იდლიანი, სოფლის ცენტრში	1979 წ. ზედაპირული დაზვერვები	- „ -	[5]	
6	სამაროვანი	ს. ქვედა იფარი, „ლახანი ლასფლავარ“	1979 წ. ზედაპირული დაზვერვები	- „ -	[14]	
7	საფორტიფიკაციო ნაკოშკარი	ს. ბარჯაში „ნამურყვამ“	1972 წ. ზედაპირული დაზვერვები	XI ს.	[21, გვ. 30]	
8	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ლუბურცხილა „ნამურყვამ“	1990 წ. ზედაპირული დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[21, გვ. 29]	
9	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ხუბერი „ნამურყვამ“	1971 წ. ზედაპირული დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[7, გვ. 70]	
10	საფორტიფიკაციო, ნაციხარი	ს. ხაიში, ადგილი „ნალქორვალი მურყვმალ“	1979 წ. სტაციონალური გათხრები	X-XVII სს.	[21, გვ. 27]	
11	საფორტიფიკაციო, ციხე-კოშკი	ს. წირმინდი, „ნამურყვამ“	1988 წ., სადაზვერვო გათხრები	IX-XV სს.	[21, გვ. 27]	
12	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. იდლიანი, „ნამურყვამ“	1983 წ. სადაზვერვო გათხრები	განვითარებული შუასაუკუნეები	[17]	
13	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. თოთანი, „ნამურყვამ“	1983 წ. ზედაპირული დაზვერვები	- „ -	[17]	

14	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. წირმინდი, „ნალხვამ“	1984 წ. სადაზვე-რვო გათხრები	ადრე შუასაუკუნეები	[21, გვ. 27]	
15	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ხოკოს გადასასვლელი, „ნალხვამ“	1969 წ. ზედაპირუ-ლი დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[5]	
16	საკულტო, ნაეკ-ლესიარ	ს. „ჟიბე ხაიშ“, „ნალხვამ“	1987 წ. სტაციონა-ლური გათხრები	XII ს.	[21, გვ. 27]	
17	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. იდლიანი, „იდლიანა თარგლეზერ“	1983 წ. სტაციონა-ლური გათხრები	XII ს.	[17]	
18	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ვედი, „ნალხვამ“	1984 წ. ზედაპირუ-ლი დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[18]	
19	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. თოთანი, „ნალხვამ“	1983 წ. ზედაპირუ-ლი დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[17]	
20	რკინის მეტალურ-გიული მოედანი	ს. გაღმა ხაიში „ლაშკდარ“	1971 წ. ზედაპირუ-ლი დაზვერვები	- „ -	[7, გვ. 70]	
21	რკინის მეტალურ-გიული მოედანი	ს. ქვედა იფარი, „ლაშკდარ“	1984 წ. ზედაპირუ-ლი დაზვერვები	ადრე შუასაუკუნეები	[18; 21, გვ. 30]	
22	კერამიკული წყალსადენი	ს. შდიხირი, „ლალიც“	1964 წ. ზედაპირუ-ლი დაზვერვები	XII ს.	[1, გვ. 36; 11, გვ. 90]	
23	გამოქვაბული-სადგომი	ადგილი „წურნი ქვანაარ“	1979 წ. ზედაპირუ-ლი დაზვერვები	ადრე შუასაუკუნეები	[15]	
ჭუბერის თემი						
24	სამაროვანი	ს. ქვედა მარღი, „ნასფლავ“	1982 წ. სტაციონა-ლური გათხრები	IV-VI სს.	[16]	
25	საფორტიფიკაციო, ციხე-კოშკი	ს. სგურიში, „მო-კლე ხიდი“	1982 წ. სტაციონა-ლური გათხრები	განვითარებული შუასაუკუნეები	[16]	
26	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ზედა მარღი. „ნამურყვამ“	- „ -	- „ -	[16]	
27	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ყარი, „ნამურყვამ“	1990 წ. ზედაპირუ-ლი დაზვერვები	- „ -	[28]	
28	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ქვედა მარღი	- „ -	- „ -	[28]	
29	რკინის მეტალურგიული საწვრმო	ს. ზედა მარღი, „შხიბარ“	1988 წ. სადაზვე-რვო გათხრები	X-XI სს.	[40, გვ. 110; 17, გვ. 11]	ქვედა ფენა ანტიკური ხანისაა

ნ ა კ რ ი ს თ ე მ ი						
30	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ნაკრა „ჯუხლანა ნამურყვამ“	1991 წ. ზედაპირული დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[28]	
31	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ნაკრა, „ლამურყმაშ“	1991 წ. ზედაპირული დაზვერვები	- „ -	[28]	
32	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. თავრარი, „ნამურყვამ“	- „ -	განვითარებული შუასაუკუნეები	[28]	
33	საკულტო, ნაეკლესიარი	ს. ცალერი, „ცალრიშ ნათმცეველ“	- „ -	- „ -	[28]	
34	საკულტო, ნაეკლესიარი	ს. კვიცანი, „ლამარიაშ“	- „ -	- „ -	[28]	
35	საკულტო, ნაეკლესიარი -	ს. ცალერი, „იან“	- „ -	- „ -	[28]	
36	საკულტო, ნაეკლესიარი	ს. თავრარი, „მაცხვარ“	- „ -	- „ -	[28]	
37	საკულტო, ნაეკლესიარი	ს. ნაკრა, „მუჰაში „ფუსდ“	1991 წ. ზედაპირული დაზვერვები	- „ -	[28]	
38	საკულტო, ნაეკლესიარი	მექვლიაშ. „ჯერაგ ჩუბე Ã ევიაშ“	- „ -	- „ -	[28]	
39	ნაარხალი	ს. თავრარი. „ნალურჰენ“	1989 წ. ზედაპირული დაზვერვები	- „ -	[37, გვ. 48; 32]	
40	- „ -	„ჯუხლან“	- „ -	- „ -	[37, გვ. 48; 32]	
41	- „ -	„ლაშხრაშ“	- „ -	- „ -	[37, გვ. 48; 32]	
ფ ა რ ი ს თ ე მ ი						
42	ნამოსახლარი	ს. ფარი, „დადეშქელიანრე ნალზიგ“	1994 წ. ზედაპირული დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[23]	
43	საკულტო, ნაეკლესიარი	ს. ფარი, „ქრისდეშ“	- „ -	- „ -	[23]	
44	საკულტო, ნაეკლესიარი	ს. ფარი „ისგულდაშ თარგლეზერ“	- „ -	- „ -	[23]	
45	საკულტო, ნაეკლესიარი	ს. ლუჰა, „თარგლეზერ“	1994 წ. დაზვერვითი გათხრები		[23]	

ეცერის თემი						
46	ნამოსახლარი	ს. ბარში, „ნალზიგვ“	1983 წ. ზედაპირული დაზვერვები	გვიანი შუასაუკუნეები	[37, გვ. 115-116]	
47	სამაროვანი	ს. ეცერი, „მოლა ლასფლავ“	- „ -	განვითარებული შუასაუკუნეები	[17]	
48	სამაროვანი	ს. ეცერი, „ჩუმათ“	- „ -	ადრე შუასაუკუნეები	[17]	
49	აკლდამა	ს. ჰებუთი, „აკულდამ“	1973 წ. ზედაპირული დაზვერვები	- „ -	[10]	
50	სამარხი	ს. ეცერი, „სვიკ“	1975 წ. შემთხვევითი აღმოჩენა	გვიანი შუასაუკუნეები	[12, გვ. 63]	
51	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ჭელიერ, „ნამურყვამ“	1975 წ. ზედაპირული დაზვერვები	ადრე შუასაუკუნეები	[12, გვ. 63]	
52	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ისკარი, „ნამურყვამ“	- „ -	განვითარებული შუასაუკუნეები	[12, გვ. 63]	
53	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ეცერი, „ნამურყვამ“	1975 წ. ზედაპირული დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[11]	
54	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ეცერი, „კალაში ნამურყვამ“	- „ -	- „ -	[43, გვ. 30-32]	აღდგენილი
55	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ლადრერი, „ნამურყვამ“	1997 წ. ზედაპირული დაზვერვები	- „ -	[32]	
56	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ეცერი „დემტვრიანშა ნამურყვამ“	- „ -	- „ -	[32]	
57	საკულტო, სამლოცველო	ს. ეცერი, „მეზირ“	1975 წ. ზედაპირული დაზვერვები	ადრე შუასაუკუნეები	[11]	
58	საკულტო, ნაეკლესიარი	ს. ეცერი, „ცალანარი ნალაქამ“	1991 წ. ზედაპირული დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[25]	
59	საკულტო, ნაეკლესიარი	ს. ეცერი, „ლახვა თარგლეზერ“	1975 წ. ზედაპირული დაზვერვები	- „ -	[43, გვ. 30-32]	
60	საკულტო, ნაეკლესიარი	ს. ბარში, „ბარშიშ ბარბოლ“	1975 წ. ზედაპირული დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[43, გვ. 30-32]	
61	საკულტო, ნაეკლესიარი	ს. ეცერი, „ქრისდეშარ“	- „ -	განვითარებული შუასაუკუნეები	[43, გვ. 30-32]	
62	კერამიკული სახელოსნო	ს. ჰებუდი, „ლალიდ“	- „ -	- „ -	[12, გვ. 63]	

			ბ ე ჩ ო ს თ ე მ ი			
63	ნასოფლარი	ს. გულ, „ნალზიგვარ“	1975 წ. ზედაპირული დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[12, გვ. 63]	
64	ნასოფლარი	ს. მაზერი, „ნალზიგვარ“	1976 წ. შემთხვევითი აღმოჩენა	გვიანი შუასაუკუნეები	[12, გვ. 63]	
65	საფორტიფიკაციო ნაკოშკარი	ს. ქართვანი „ლასკარ“	1979 წ. შემთხვევითი აღმოჩენა	განვითარებული შუასაუკუნეები	[15]	
66	საკულტო, ნაეკლესიარი	ს. ქართვანი, „ნალხვამ“	- „ -	- „ -	[15]	
			ლ ა ტ ა ლ ი ს თ ე მ ი			
67	ნამოსახლარი	ს. ლატალი „ბაპა ნალზიგ“	2000 წ. ზედაპირული დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[35]	
68	ნამოსახლარი	სგობულდ „ლეშგვაანი ნალზიგ“	- „ -	- „ -	[35]	
69	ნამოსახლარი	ს. ლატალი „ჩარკვიანშა ნალზიგ“	- „ -	- „ -	[35]	
70	ნამოსახლარი	ს. ლატალი „გიგბამ“	- „ -	- „ -	[37, გვ. 114; 39]	
71	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ლატალი, „ჯანყვაშა ნამურყვამ“	- „ -	- „ -	[35]	
72	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ლატალი, „შარგიანშა ნამურყვამ“	- „ -	- „ -	[35]	
73	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ლაჰილი, „ნახვაშშა ნამურყვამ“	- „ -	- „ -	[35]	
74	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ლახუშდი, „თაჯიარშა ნამურყვამ“	- „ -	განვითარებული შუასაუკუნეები	[35]	
75	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარები	ს. სგობულდი, „სგობულდა ნამურყვამ“	- „ -	- „ -	[22]	
76	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარები	ს. იენაში, „ლამი ნამურყვამ“	- „ -	- „ -	[22]	

77	საკულტო, ქვა-ჯვარი	ბაალის ქედი, „ჯვარ ბაალ-ზაგრიშ“	1993 წ. ზედაპირული დაზვერვები	ადრე შუასაუკუნეები	[35]	სამსხვერპ-ლოს წირავ-დნენ კვარ-ცის ქვას
78	საკულტო, სალოცავი ფიჭვის ხე	ს. იენაში, ადგილი „ჩაანეშ“, „იანა ლამზირ“	2000 წ. ზედაპი-რული დაზვერვები	- „ -	[35]	
79	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ლახუშდი „ლემქუდა თარინგზელ“	- „ -	განვითარებული შუასაუკუნეები	[35]	ყურთასმენ ის სალოცავი
80	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ლახუშდი. „მუჰლააში თარინგზელ“	- „ -	- „ -	[35]	
81	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ლახუშდი „ჯგრაგ ჰაარშიშ“	- „ -	- „ -	[35]	
82	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. იფხი, „ჯგრაგ ჰუყულდაშ“	2000 წ. ზედაპი-რული გათხრები		[35]	
83	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. იფხი, „იელ დეცეშ “	- „ -	- „ -	[35]	
84	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. იენაში, „ტებდიაში ჯგრაგ“	- „ -	- „ -	[35]	
85	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. იფხი „ბაალია ჯგრაგ“	1993 წ. ზედაპირუ-ლი გათხრები	XIV ს.	[22]	
86	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. სგობულდი, „სგობლა მაცხვარ“	2000 წ. სადაზვე-რვო გათხრები	განვითარებული შუასაუკუნეები	[35]	
87	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ლატალი, „ლე-სკულდაში თარინგზელ“	- „ -	- „ -	[35]	
88	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ნანყვამი, „ოქრა თარინგზელ“	- „ -	განვითარებული შუასაუკუნეები	[35]	
89	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ლატალი, „ჰუყულდაში თარინგზელ“	- „ -	- „ -	[35]	
90	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ლატალი, „ჭუშხვინი თარინგზელ“	- „ -	- „ -	[35]	

91	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ლატალი, „მაცხვარიში მქემთარინგზელ“	2000 წ. ზედაპი-რული დაზვერვები	- „ -	[35]	
92	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. იენაში, „მუჩფა“	- „ -	- „ -	[35]	
93	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ჩარულდი, „ჩარულდა ლამარია“	- „ -	- „ -	[35]	
94	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ჩარულდი, „სამტაიში ლამარია“	- „ -	- „ -	[35]	
95	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ლაჰილი, „იელ მუჰერიშ (დეცეშ)	- „ -	- „ -	[35]	
96	სტრატეგიული გვი რაბი	ს. იენაში, „გვირაბ“	- „ -	- „ -	[35]	
			ლ ე ნ ჯ ე რ ი ს თ ე მ ი			
97	ნასოფლარი	„ხეშკილდა ნალზიგ“	1998-2000 წწ.	განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეები	[34]	
98	სამაროვანი	„კაერი ნასფლავ“	1987 წ. სტაციონა-ლური გათხრები	IV-IV სს.	[21, გვ. 27-28]	
99	სამარხი (აკლდამა)	ს. სოლი, „სოლა აკულდამ“	2000 წ. დაზვე-რვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[35]	
100	საფორტიფიკაციო ნაკოშკარი	ხეშკილი, „ლაღვრინალა მურყვამ“	- „ -	- „ -	[35]	
101	საფორტიფიკაციო ნაკოშკარი	ს. სოლი, „სოლა მურყვამ“	- „ -	- „ -	[35]	
102	საფორტიფიკაციო ციხე-კოშკი	ხეშკილი, „ლაჰრაში მურყვამ“	- „ -	განვითარებული შუასაუკუნეები	[35]	
103	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	„მოლა ჯგრაგ“	- „ -	- „ -	[35]	
104	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	„მაცხვარ“	- „ -	- „ -	[35]	
105	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	„ხეშკილი ლამარია“	- „ -	- „ -	[35]	
106	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	„ფუსდ ზაგარ“	- „ -	- „ -	[35]	
107	საკულტო, ნაეკ-	ს. სოლი, „სოლა	- „ -	- „ -	[35]	

	ლესიარი	ფუსდ“				
108	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	„ხეშკილი ბარბალ“	1999 წ., სტაციონა-ლური გათხრები	- „ -	[33; 3, გვ. 110]	
109	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	„ხეშკილა ჯგრაგ“	1999 წ., სტაციონა-ლური გათხრები	X-XI სს.	[27, გვ. 87-96]	
110	კერამიკული წყალსადენი	„ქაშვეთ“	1971 წ. დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[8, გვ. 71]	
ც ხ უ მ ა რ ი ს თ ე მ ი						
111	ნამოსახლარი	„უსგვირი ნალზიგ“	1996 წ. დაზვერვები	- „ -	[24]	
112	ნამოსახლარი	ს. ცხუმარი, „ყვანა“	- „ -	- „ -	[24]	
113	ნამოსახლარი	ს. ცხუმარი, „ტვირბიშ“	- „ -	- „ -	[24]	
114	სამაროვანი	ს. უსგვირი, „ლასფლავარ“	- „ -	- „ -	[24]	
115	საფორტიფიკაციო ნაკოშკარი	„ლაბსყალდა ნამურყვამ“	1996 წ. დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[24]	
116	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. უსგვირი „ქრისტეშ“	- „ -	- „ -	[24]	
117	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ფალაშ „ჯგრაგ მდურშიშ“	- „ -	- „ -	[24]	
118	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ლუფლერ, „თარინგზელ“	1997 წ. ზედაპირული დაზვერვები	- „ -	[24]	
119	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. სვიფ, „მაცხვარ“	- „ -	- „ -	[25]	
120	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ცხუმარი, „მუჩფაშ“	- „ -	- „ -	[25]	
121	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ცხუმარი, „ლეზგარა ჯგრაგ“	- „ -	- „ -	[25]	
122	შემთხვევითი მონაპოვარი, განძი	ს. სვიფ, მონეტების განძი	1974 წ. დაზვერვები		[12, გვ. 56-57]	მონეტების განძი
მ ე ს ტ ი ი ს თ ე მ ი						
123	ნამოსახლარი	დ. მესტია, ჰაწვალის მხარე „რუდნალ“	ზედაპირული დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[21, გვ. 30]	

124	სამარხი	დ. მესტია, ლეხთაგის უბანი. „ნასფლავ“	1973 წ. ზედაპირული დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[25]	
125	სამაროვანი	დ. მესტია, „სპაარდიშ“	- „ -	- „ -	[25]	
126	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	დ. მესტია, ლანჩვალი, „მარგიანშა ნამურყვამ“	- „ -	- „ -	[10]	
127	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	დ. მესტია, ლეხთაგის უბანი „გაბიშა ნამურყვამ“	- „ -	- „ -	[9, გვ. 40]	
128	საფორტიფიკაციო, ნაციხარი	დაბა მესტია „ზუგლაად“	- „ -	- „ -	[9, გვ. 40]	
129	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ლეხთაგი, „ჯგურან“	- „ -	ადრე შუასაუკუნეები	[9, გვ. 40]	
130	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ლეხთაგი, „მუჩფა“	- „ -	- „ -	[9, გვ. 40]	
131	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	„ფუსდ ზაგრიშ“, მესტიის მთაზე	- „ -	განვითარებული შუასაუკუნეები	[9, გვ. 40]	
132	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	„ჩახ“ მესტიის მთაზე	2002 წ., ზედაპირული დაზვერვები	- „ -	[26]	
133	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	„მეთხვიარა ჯგრაგ“ „თვეთნაშ მოლარ“	2002 წ., ზედაპირული დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[26]	
134	კერამიკული წყალსადენი	ლანჩვალის უბანი, „ჩახრეშ“	1971 წ., ზედაპირული დაზვერვები	XIV ს.	[8, გვ. 77-78]	
135	კერამიკული წყალსადენი	ლეხთაგის უბანი, „მარცხან“	1971 წ., სტაციონალური გათხრები	განვითარებული შუასაუკუნეები	[8, გვ. 89-92]	
136	კერამიკული წყალსადენი	ლანჩვალი, „ლალციდაშ“	- „ -	- „ -	[8, გვ. 77-78]	
137	წყალსადენი, დახურული არხი	ლეხთაგი, „ლალციდაშ“	- „ -	- „ -	[8, გვ. 89-92]	

			მ უ ლ ა ხ ი ს თ ე მ ი			
138	ნასახლარი	მურშკელი, „მაალაშ“	1973 წ., დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[9, გვ. 39-40]	
139	საფორტიფიკაციო, ციხე კოშკი	ს. ჭოლაში, „ქვინეღალა“	1992 წ., დაზვერვები	- „ -	[30]	
140	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს.ჭოლაში, „ქორულდაში ნამურყვამ“	- „ -	- „ -	[30]	
141	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ლახირი „ლარცხვაი“	1992 წ., დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[30]	
142	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. არცხელი, „ჰაკნააში მურყვამ“	1997 წ., დაზვერვები	- „ -	[32]	
143	საფორტიფიკაციო, ციხე-კოშკარი	ს. ჭოლაში, „ნამურყვმალ“	1997 წ., დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[32]	
144	საფორტიფიკაციო, ნაციხარი	ს. ლახირი, „ლადრაჯილ“ (საყარაულო)	1997 წ., ზედაპირული დაზვერვები	- „ -	[32]	
145	საფორტიფიკაციო, ნაციხარი	ს. ჟაბეში, „კაალდაში მურყვამ“	- „ -	- „ -	[32]	
146	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ჭოლაში, „ჯახვშა ნამურყვამ“	- „ -	- „ -	[32]	
147	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ჭოლაში, „ბალყჩი თარინგზელ“	2000 წ., ზედაპირული დაზვერვები	- „ -	[35]	
148	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. მუჟალი „ფაყულდ“	- „ -	- „ -	[35]	
149	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	„ჩუბრაში ლამარია“	2002 წ., ზედაპი-რული დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[35]	
150	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ჭოლაში, „დაბიერ“	- „ -	- „ -	[35]	
151	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	„ჭოლაში ჯგრაგ“	1992 წ., ზედაპი-რული დაზვერვები	X-XI სს.	[30]	
152	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ჟაბეში, „ლამარია სვიფ“	- „ -	ადრე შუასაუკუნეები	[30]	

153	კერამიკული წყალსადენი	„პერაშ-ლახირი“	1971 წ., დაზვერვები	XIII ს.	[10, გვ. 51; 8, გვ. 89, 92]	
154	კერამიკული წყალსადენი	„ქერაშ-ჟამუში“	1973 წ., დაზვერვები	XII-XIII სს.	[7, გვ. 71; 12, გვ. 50-51]	
155	კერამიკული წყალსადენი	ს. მულახი, „გუგვაშ“	1971 წ., დაზვერვები	XII ს.	[7, გვ. 89; 12, გვ. 51]	
156	გამოქვაბული	ს. მუჟალი, „ტვიბერი ქვაბ“	1992 წ., სადაზვე-რვო გათხრები	განვითარებული შუასაუკუნეები	[30]	
157	მიწისქეშა გვირაბი	ს. მულახი „ჟამში გვირაბ“	ზედაპირული დაზვერვები	- „ -	[37, გვ. 142]	
158	გამოქვაბული	ს. ჭოლაში, „ნანგვმარი ქვაბ“	- „ -	- „ -	[7, გვ. 71]	
ი ფ ა რ ი ს თ ე მ ი						
159	ნასახლარი	ს. იფარი „ქორულდაში იელ“	1973 წ., დაზვერვები	- „ -	[9, გვ. 39-40]	
160	სამაროვანი	ს. იფარი „ბოგრეში ნასფლავ“	- „ -	ადრე შუასაუკუნეები	[9, გვ. 39-40]	
161	საფორტიფიკაციო, ნაციხარი	ს. ადიში, „ნადრბაზ“	1990 წ., დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[29]	
162	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ადიში, „კარეტი ნამურყვამ“	- „ -	- „ -	[29]	
163	საფორტიფიკაციო, ნაციხარი	ს. იფარი, „სანგჭვარ“	2000 წ., დაზვერვები	- „ -	[29]	
164	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ბოგრეში, „გელაშა ნამურყვამ“	2000 წ., დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[35]	
165	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. იფარი, „ზაგრაალ“	1973 წ., დაზვერვები	- „ -	[7]	
166	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ბოგრეში, „კუცირ“	1973 წ., ზედაპი-რული დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[7]	
167	საკულტო სამლოცველო	ს. წვირმი, „ხვალდ“	2000 წ., დაზვერვები	ადრე შუასაუკუნეები	[35]	
168	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ადიში, „მეშხრაში ლამარია“	1971 წ., დაზვერვები	- „ -	[6]	

169	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ადიში, „ქრისტეშ“	1990 წ., დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[29]	
170	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ბოგრეში, „ლამარია“	1973 წ., დაზვერვები	- „ -	[7]	
171	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. იფარი, „ლენჩააში ჯგრაგ“	1990 წ., სტაციონა-ლური გათხრები	X-XI სს.	[29]	
172	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. წვირმი, „იელ ზურულდაშ“	1992 წ., დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[30]	
173	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. წვირმი, „ნუსგაუბნი ფუსდ“	2002 წ., დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[35]	
174	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. წვირმი, „უღვრი თარინგზელ“	1992 წ., სტაციო-ნალური გთხრები	- „ -	[30]	
175	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. წვირმი, „უღვრი ლამარია“	1997 წ., დაზვერვები	- „ -	[32]	
176	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. იფარი, „ლასილი ჯგრაგ“	- „ -	- „ -	[32]	
177	კერამიკული სახელოსნო	ს. ადიში, „ლალქანელ“	1973 წ., დაზვერვები	- „ -	[9, გვ. 39-40]	
კ ა ლ ა ს თ ე მ ი						
178	ნამოსახლარი	ს. ვიჩნაში, „სკაარეშ“	1975 წ., დაზვერვითი გათხრები	XII-XIV სს.	[43, გვ. 31]	
179	ნამოსახლარი	„მუკვდეერ“	1999 წ., დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[33]	
180	ნამოსახლარი	„ნადრბაზ“	1999 წ., დაზვერვები	გვიანი შუასაუკუნეები	[33]	
181	ნამოსახლარი	„ნახა ნალზიგ“	- „ -	- „ -	[33]	
182	საფორტიფიკაციო, ნაციხარი	„იფრაალა სანგჭვარ“	- „ -	ადრე შუასაუკუნეები	[33]	
183	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	„ლაგურკა ძღვიდ“	- „ -	XI ს.	[33]	
184	საფორტიფიკაციო, ნაციხარი	„ღური ლადრაჯილ“	- „ -	განვითარებული შუასაუკუნეები	[33; 3, გვ. 110]	
185	საფორტიფიკაციო, ნაციხარი	„ლახვა მურყვამ“ (ხალდეს მთაზე)	1975 წ., დაზვერვები	- „ -	[43, გვ. 30-33]	
186	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	სკაარეშის გორა, „ლამარია“	- „ -	- „ -	[43, გვ. 31]	
187	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ვიჩნაში „ქურაშ“	1999 წ., დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[33]	

188	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	„ლამარია“	1975 წ., დაზვერვები	- „ -	[43, გვ. 30-33]	
189	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	(ხალდეს მთა) „ლახვა ჯგრაგ“	- „ -	- „ -	[43, გვ. 30-33]	
190	კერამიკული წყალსადენი	ს. იფრაალ, „ლალციაშ“	1964 წ., დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[1, გვ. 36; 8, გვ. 77-78]	
191	კერამიკული წყალსადენი	„ქართლაშ ლალიც“	- „ -	განვითარებული შუასაუკუნეები	[8, გვ. 88-89]	
192	კერამიკული წყალსადენი	ს. „ჩახულდიერ“	1970 წ., დაზვერვები	XII ს.	[8, გვ. 89]	
უ შ გ უ ლ ი ს თ ე მ ი						
193	სამაროვანი	ს. მურყმელი, „ლასფლავარ“	1985 წ., სტაციო-ნალური გათხრეი	განვითარებული შუასაუკუნეები	[19]	
194	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარები	„მაცბაშ“	1985 წ., დაზვერვები	ადრე შუასაუკუნეები	[19]	
195	საფორტიფიკაციო, ნაციხარი	ს. სვიფი, „თამარი მურყმალ“	- „ -	განვითარებული შუასაუკუნეები	[42, გვ. 59; 45, გვ. 208; 4, გვ. 148; 36, გვ. 58-62]	
196	საფორტიფიკაციო ნაციხარი	„თამარის ციხე“	1970 წ., დაზვერვები	XII ს.	[6]	
197	საკულტო, ნაეკლესიარი	ს. სვიფი, „სვიფარი ჯგრაგ“	1985 წ., დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[19]	
198	მეტალურგიული საწარმო	„ჩაჟაში ლაშკდარ“, რკინის სამჭედლო	- „ -	ადრე შუასაუკუნეები	[19]	
ქ ვ ე მ ო ს ვ ა ნ ე თ ი ლ ე ნ ტ ე ხ ი ს რ ა ი ო ნ ი						
199	ნასოფლარი	ს. ზესხო „ხველიერ“	1982 წ. დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[16]	
200	ნასოფლარი	ზესხოს მთა, „ლაფურ“	1983 წ. დაზვერვები	- „ -	[17]	
201	ნასახლარი	„ქალაქოლ“	1983 წ., ზედაპი-რული დაზვერვები	- „ -	[17; 39, გვ. 234]	
202	სამაროვანი	„მუაში ლასფლავარ“	1991 წ. დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[28]	

203	სამარხი-აკლდამა	ს. ხოფური, „აკულდამ“	1977 წ., სტაციო-ნალური გათხრები	VIII-IX სს.	[14]	
204	სამაროვანი	ს. ბაბილი, „ნასფლავ“	2002 წ., შემთხვე-ვითი აღმოჩენა	განვითარებული შუასაუკუნეები	[26]	
205	სამაროვანი	ს. რცხმელური	დაზვერვები	- „ -	[26]	
206	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ზესხო, „კვანფხ“	1982 წ. დაზვერვები	- „ -	[16]	
207	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ზესხო, „ზასხვა ზუგვ“	1983 წ. დაზვერვები	- „ -	[17]	
208	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ზესხო, „ლემჰა ზუგვ“	1982 წ. დაზვერვები	- „ -	[16]	
209	საფორტიფიკაციო, ნაციხარი	დ. ლენტეხი, „ლენკვერის (გელოვანების) ციხე“	1980-81 წწ. სტაციონალური გათხრები	XI-XVII სს.	[44, გვ. 38-45]	
210	საფორტიფიკაციო, ციხე-კოშკი	ს. ჟახუნდერი, „სანგეჭვ“	1977 წ. დაზვერვები	XVII ს.	[14]	
211	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. ხოფური, „ნამურყვამ“	- „ -	- „ -	[14]	
212	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ხოფური, „ნალხვამ“	1977 წ. სტაციო-ნალური გათხრები	ადრე შუასაუკუნეები	[14]	
213	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	„მუაში ლამარია“	1991 წ. დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[28]	
214	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ზესხო, „ლაფური ჯგრაგ“	1983 წ. დაზვერვები	- „ -	[17]	
215	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ხელედი, „ქალაქ- ზაგარ“	- „ -	- „ -	[17]	
216	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	დ. ლენტეხი „ვინწ“	- „ -	- „ -	[17]	
217	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ცანა „ჯგრაგ“	1982 წ. დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[16]	
218	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ზეხო, „ბრიგონი ჯგრაგ“	- „ -	- „ -	[16]	
219	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ზესხო, „მაცხვარ“	1983 წ. დაზვერვები	- „ -	[17]	
220	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ზესხო, „ჯგრაგ“	- „ -	- „ -	[17]	
221	საკულტო, ნაეკ-	ს. ბაბილი,	- „ -	- „ -	[17]	

	ლესიარი	„ნალხვამ“				
222	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. რცხმელური, „ნალხვამ“	- „ -	- „ -	[17]	
223	რკინის მეტალურგიული საწარმო	ს. რცხმელური, „ლეწფარი ნალშხად“	- „ -	- „ -	[17]	
„ დ ა ლ ი ს “ მ ხ ა რ ე . მ დ . კ ო დ ო რ ი ს ხ ე ო ბ ა						
224	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ზემო ლათა, „ნალხვამ“	არქეოლოგიური გათხრები	განვითარებული შუასაუკუნეები	[40, გვ. 155]	
225	ნამოსახლარი	ს. ლათა, „შვანრე ნალზიგ“	- „ -	XVIII-XIX სს.	[40, გვ. 151]	
226	საფორტიფიკაციო, ნაციხარი	ს. „ლათას ციხე“	1969 წ. დაზვრვები	ადრე შუასაუკუნეები	[40, გვ. 157; 9]	
227	საფორტიფიკაციო, ნაციხარი	ს. ლათა „ზემო ლათას ციხე“	- „ -	ადრე შუასაუკუნეები	[40, გვ. 157; 9]	
228	საფორტიფიკაციო, ნაციხარი	ს. ჩხალთა, „ჩახარ“ „რკინის ციხე“	1986 წ. დაზვერვები	- „ -	[4, გვ. 12; 24; 8, გვ. 53]	
229	ნამოსახლარი	ს. ჩხალთა-ჩახარ, „ლაგვანთა“	1979 წ. დაზვერვები	ადრე შუასაუკუნეები	[38, გვ. 53-55]	
230	სამაროვანი	ს. ჩხალთა-ჩახარ, „ლასფლავარ“	- „ -	IV-V სს.	[15]	
231	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ჩხალთა, „ნალხვამ“	1979 წ. დაზვერვები	IX ს.	[15]	
232	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ჩხალთა, „ჯგრაგ ჩახრიშ“	1979 წ. დაზვერვები	განვითარებული შუასაუკუნეები	[15]	
233	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. აჟარა „ნალხვამ“	- „ -	- „ -	[15]	
234	სამაროვანი	ს. აჟარა, „ნასფლავ“	1979 წ. დაზვერვები	ადრე შუასაუკუნეები	[15]	
235	საფორტიფიკაციო, ნაციხარი	ს. ზემო აჟარა, „ნაჰარ“	1969 წ. გათხრები	ადრე შუასაუკუნეები	[5]	
236	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	საკენი, „ჟიბე ტობ“	1979 წ. დაზვერვები	ადრე შუასაუკუნეები	[40, გვ. 151]	
237	საფორტიფიკაციო, ნაკოშკარი	ს. გენწვიში, „ნამურყვამ“	- „ -	- „ -	[15]	
238	საფორტიფიკაციო, ნაციხარი	გვანდრა „ყულუჩ-კლიჩი სანგჭვარ“	1979 წ. დაზვერვები	ადრე შუასაუკუნეები	[38, გვ. 53-55; 4, გვ. 12]	
239	საფორტიფიკაციო,	ს. ომარიშარი,	1969 წ.	განვითარებული	[5]	

	ზღუდე (კედელი)	„შიყერი ძღვიდ“	დაზვერვები	შუასაუკუნეები		
240	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. ომარიშარი, „შიყერი ჯგრაგ“	1986 წ. დაზვერვები	ადრე შუასაუკუნეები	[38, გვ. 54]	
241	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	ს. გენწვიში, „თაარინგზელ“	- „ -	ადრე შუასაუკუნეები	[40, გვ. 157]	
242	საკულტო, ნაეკ-ლესიარი	„საკენიჯგრაგ“	1986 წ. დაზვერვები	- „ -	[17]	

ძეგლების სახეობათა ჯამური მონაცემები:

ნამოსახლარი	სამაროვანი	საფორტიფიკაციო	საკულტო	შემთხვევითი მონაპოვარი	მეტალურგიული საწარმო	კერამიკული წყალსადენი	გამოქვაბული	კერამიკული სახელოსნო	სულ
25	23	69	99	1	5	15	3	2	242

სვანეთის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები სახეობებისა და ადგილის მიხედვით

ნამოსახლარი	სამაროვანი	საფორტიფიკაციო	საკულტო			მეტალურგია	წყალსადენი	გამოქვაბული	კერამიკული სახელოსნო	სულ
1	2	3	4	5		6	7	8	9	10
მესტიის რაიონი										
			ხაიშის თემი							
1	5	7	6	-		2	1	1	-	23
			ჭუბერის თემი							
-	1	2	2	-		1	-	-	-	6
			ნაკრის თემი							
-	-	3	6	-		-	3	-	-	12
			ფარის თემი							
1	-	-	3	-		-	-	-	-	4
			ეცერის თემი							
1	4	6	5	-		-	-	-	1	17
			ბეჩოს თემი							
2	-	1	1	-		-	-	-	-	4
			ლატალის თემი							
4	-	7	19	-		-	-	-	-	30
			ლენჯერის თემი							
1	2	3	7	-		-	1	-	-	14
			ცხუმარის თემი							
3	1	1	6	1		-	-	-	-	12
			მესტიის თემი							
1	2	3	5	-		-	4	-	-	15
			მულახის თემი							
1	-	9	6	-		-	3	2	-	21
			იფარის თემი							
1	1	6	10	-		-	-	-	1	19
			კალას თემი							
4	-	4	4	-		-	3	-	-	15
			უშგულის თემი							
-	1	3	1	-		1	-	-	-	6
ლენტეხის რაიონი										
3	4	6	11	-		1	-	-	-	25
„დალის“ მხარე – კოდორის ხეობა										
2	2	8	7	-		-	-	-	-	19
სულ										
25	23	69	99	1		5	15	3	2	242

Sh. Chartolani

ARCHAEOLOGICAL MAP OF MEDIAEVAL SVANETI

(Summary)

Apart from scholarly interest, the implementation of a program for the archaeological study of Svaneti was stimulated by the urgency of preservation of sites caused by new constructions being carried out and the activities of treasure hunters in Svaneti beginning with thw 1980s.

In total, 242 Mediaeval sites (25 settlement sites, 99 cult-architecture centers, 62 fortification systems, 23 necropoleis, 15 clay pipes) have been attested and studied to date more or less completely in the upper reaches of the rivers Inguri, Tskhenistsqali and Kodori . All of them are frecorded properly on the archaeological map.

Mediaeval archaeological sites and materials obtained by the expedition provide new information about the following scientific problems of Western-Georgian highland regions: spread of Christianity, chronology of cultic and the so-called Svanetian tower architecture, defence system of specific gorges and the region in general, social-economic peculiarities of the region, etc.

The archaeological map represents the first stage of the work, necessary for comprehensive monographic study and publication of Svaneti Mediaeval archaeological sites. Monographic studies and a catalogue of sites are to be prepared in the near future.

ლიტერატურა

1. გობეჯიშვილი გ., ჩართოლანი შ. სვანეთის არქეოლოგიური დაზვერვა 1964 წ. – XIV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1964 წლის საველე „არქეოლოგიურ კვლევა-ძიების შედეგებისადმი (მოკლე ანგარიშები), თბ., 1965, გვ. 31-38.

2. ინგოროყვა პ. სვანეთის საისტორიო ძეგლები, II. თბ., 1941

3. მინდიაშვილი გ. 1999 წლის საველე სამუშაოები. – ძიებანი, № 6, 2000, გვ. 110.

4. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. თბ., 1980.

5. ჩართოლანი შ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის საველე მუშაობის ანგარიში. თბ., 1970, ხელნაწერი.

6. ჩართოლანი შ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970 წლის საველე მუშაობის ანგარიში, თბ., 1971, ხელნაწერი.

7. ჩართოლანი შ. სვანეთის არქეოლოგიური დაზვერვა 1971 წ. – არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს, თბ., 1972, გვ. 70-71.

8. ჩართოლანი შ. წყალმომარაგეობის უძველესი ძეგლები სვანეთში. – მაცნე, № 1, 1972, გვ. 74-94.

9. ჩართოლანი შ. სვანეთის არქეოლოგიური კვლევის ძირითადი შედეგები. – საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს, მოკლე ანგარიშები, თბ., 1974, გვ. 39-40.

10. ჩართოლანი შ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1973 წლის საველე მუშაობის ანგარიში. თბ., 1974, ხელნაწერი.

11. ჩართოლანი შ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1975 წლის საველე მუშაობის ანგარიში. თბ., 1976, ხელნაწერი.

12. ჩართოლანი შ. მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის. თბ., 1976.

13. ჩართოლანი შ. სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1977.

14. ჩართოლანი შ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1977 წლის საველე მუშაობის ანგარიში. თბ., 1978, ხელნაწერი.

15. ჩართოლანი შ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1979 წლის საველე მუშაობის ანგარიში. თბ., 1980, ხელნაწერი.

16. ჩართოლანი შ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1982 წლის საველე მუშაობის ანგარიში, თბ., 1983, ხელნაწერი.

17. ჩართოლანი შ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1983 წ. საველე მუშაობის ანგარიში. თბ., 1984, ხელნაწერი.

18. ჩართოლანი შ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1984 წლის საველე მუშაობის ანგარიში. თბ., 1985, ხელნაწერი.

19. ჩართოლანი შ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1985 წლის საველე მუშაობის ანგარიში. თბ., 1986, ხელნაწერი.

20. ჩართოლანი შ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1986 წლის საველე მუშაობის ანგარიში. თბ., 1987, ხელნაწერი.

21. ჩართოლანი შ. ახალმშენებლობა და არქეოლოგიური კვლევა-ძიება სვანეთში. – ძმ, № 1, 1990, გვ. 25-31.

22. ჩართოლანი შ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1993 წლის საველე მუშაობის ანგარიში. თბ., 1994, ხელნაწერი.

23. ჩართოლანი შ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1994 წლის საველე მუშაობის ანგარიში. თბ., 1995, ხელნაწერი.

24. ჩართოლანი შ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1996 წლის საველე მუშაობის ანგარიში. თბ., 1997, ხელნაწერი.

25. ჩართოლანი შ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1997 წლის საველე მუშაობის ანგარიში. თბ., 1998, ხელნაწერი.

26. ჩართოლანი შ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 2002 წლის საველე მუშაობის ანგარიში, თბ., 2003, ხელნაწერი.

27. ჩართოლანი შ., ხვისტანი რ., ცინდელიანი მ. „ჰეშკილდის წმინდა გიორგი“. – ძიებანი, № 6, 2000, გვ. 87-96

28. ჩართოლანი შ., ცინდელიანი მ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1991 წლის საველე მუშაობის ანგარიში. თბ., 1992, ხელნაწერი.

29. ჩართოლანი შ. და სხვ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1990 წლის საველე მუშაობის ანგარიში. თბ., 1991, ხელნაწერი.

30. ჩართოლანი შ. და სხვ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1992 წლის საველე მუშაობის ანგარიში. თბ., 1993, ხელნაწერი.

31. ჩართოლანი შ. და სხვ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1993 წლის საველე მუშაობის ანგარიში. თბ., 1994, ხელნაწერი.

32. ჩართოლანი შ. და სხვ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1997 წლის საველე მუშაობის ანგარიში. თბ., 1998, ხელნაწერი.

33. ჩართოლანი შ. და სხვ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1999 წლის საველე მუშაობის ანგარიში. თბ., 2000, ხელნაწერი.

34. ჩართოლანი შ. და სხვ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1998-2000 წწ. საველე მუშაობის ანგარიშები, თბ., 2001, ხელნაწერი.

35. ჩართოლანი შ. და სხვ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 2000 წლის საველე მუშაობის ანგარიში. თბ., 2001, ხელნაწერი.

36. ქალდანი მ. ლენკვერის ციხე სვანეთში. – ძმ, № 1, 1987, გვ. 58-62

37. ქალდანი მ. ცენტრალური კავკასიონის მთიელთა კოშკური კულტურა. თბ., 1996.

38. ქალდანი მ. მივსიმიანეთისა და მივსიმიანთა ტომის ვინაობის საკითხისათვის. – აფაზეთის მოამბე, № 2-3, თბ., 1999, გვ. 55-56.

39. ხარაძე რ., რობაქიძე ა. სვანეთის სოფელი ძველად. თბ., 1964.

40. Воронов Ю. Н. В мире архитектурных памятников Абхази. Москва, 1978.

41. Деген-Ковалевский Б. К истории железного производства Закавказья по материалам раскопок чуберской железо плавильни в Сванети (Известия ГАИМК, вып. 120), Москва,1935.

42. Лежава Г., Джандиери М. Архитектура Сванети, Тб., 1938.

43. Чартолани Ш., Калдани А. Основные итоги разведовательной археологической экспедиции Сванети в 1975 г. – ПАИ (1975), 1978, с. 30-32.

44. Чартолани Ш., Табуева Е., Размадзе Н., Шеразадишвил Б. Результаты полевых археологических исслдовании Сванети за 1980-81 гг. – ПАИ (1981), 1984, с. 38-45.

45. Freshfied D. W. The exploration of the Caucasus. London, 1986.


ს ვ ა ნ ე თ ი ს
შუასაუუნეების არქეოლოგიური ძეგლების
რ უ კ ა
N
ძეგლების პირობითი ნიშნები
ცაგერი
ლეგვანი
ლეხაშო
ლეხანური
ლეჩუმი
ლეწურა
ლიხანი
ლიხელა
ლიხეთი
ლიხვანი
ლიჩელი
ლიჩეთი
ლიჩეფარი
ლიჩეფალი
ლიჩეფალდი
ლიჩეფალი
ლიჩეფალა
ლიჩეფალა
ლიჩეფალა

თეა კინწურაშვილი

მესხეთის შუაბრინჯაოს ხანის კერამიკის რენტგენოსტრუქტურული გამოკვლევა

არქეოლოგიური კერამიკის ტექნოლოგიური ანალიზი, რომელიც საშუალებას იძლევა სრულფასოვნად შევაფასოთ ამა თუ იმ ისტორიული პერიოდის სამეთუნეო ნაწარმის წარმომავლობა და მისი კულტურული კუთვნილება, ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთი პრობლემური საკითხია.

დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი კერამიკული ნიმუშებიდან ქიმიურ-ტექნოლოგიურად შესწავლილია მხოლოდ ანტიკური პერიოდის მასალა, გაანალიზებულია სამეთუნეო ნაწარმის ძირითადი ტექნოლოგიური მონაცემები. მათი გათვალისწინებით დახასიათებულია შიდა ქართლის კერამიკული წარმოება. განზოგადოებულია აღმოსავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის კერამიკული ნაწარმის საწარმოო კერებთან დაკავშირების საკითხი [2].

კერამიკული ნაწარმის კვლევა-ძიებისას მნიშვნელოვანია სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური მასალებიდან შერჩეული სამეთუნეო ნაწარმის კომპლექსური გამოკვლევა. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენს მიერ ქიმიურ-ტექნოლოგიურად შესწავლილ იქნა აწყურის შუაბრინჯაოს ხანის ქვაყრილიან სამარხში და ორჭოსანში აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი. ამ ეტაპზე წარმოვადგენთ მასალის რენტგენოსტრუქტურული ანალიზის შედეგებს.

განათხარი კერამიკის ყოველმხრივ შესწავლაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დამზადების ტექნოლოგიური სქემის დადგენას. ჩვეულებრივ, ასეთი გამოკვლევები იმ მასალებით წარმოებს, რომელსაც არქეოლოგი მოიპოვებს სხვადასხვა დროისა და ტიპის კერამიკული სახელოსნოების და ქურების ნაშთების გათხრების დროს. მაგრამ, არცთუ იშვიათია, როდესაც ამავე რიგის საკითხებს იგი წყვეტს მხოლოდ განათხარი კერამიკის კომპლექსური შესწავლის საფუძველზე. საკითხის განხილვა უმთავრესად წარმოებს იმ ნიშნების მიხედვით, რომელიც საკვლევი ნივთის კეცის ზედაპირზე ან კეცშია წარმოდგენილი: ჩარხზე ტრიალის შედეგად ჭურჭლის ზედაპირზე გაჩენილი წრიული ანაბეჭდები, სხვადასხვა სახის ორნამენტული შემკულობა, ჭურჭლის კეცის ვიზუალური შემადგენლობა და ხარისხი, ანგობის ხასიათი, სხვადასხვა ზომის ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგიური თავისებურება და სხვ. [3, გვ. 98].

კერამიკული ნაწარმის ტექნოლოგიურ და სტილურ ანალიზს არქეოლოგიაში დიდი ხნის ისტორია აქვს. დროთა განმავლობაში კვლევის მიმართულება და ხასიათი შეიცვალა. თავდაპირველად ტექნოლოგიის შესწავლა მოიცავდა ნიმუშების დაყოფას მასალის სახეობების მიხედვით, შემდეგ კი ხდებოდა მისი აღწერა. ამავე დროს იყო ადრეული ტექნოლოგიების აღწერის ცდებიც ცალკეული კულტურების ფარგლებში [6, გვ. 2].

არქეოლოგიაში, არ არსებობს ზუსტი განსაზღვრული კრიტერიუმი, კულტურულ ფენაში განფენილი მასალის რაოდენობის შეფასებისათვის და შესაბამისად, არ არსებობს ერთიანი, მეთოდოლოგიურად გამართლებილი საფუძველი სხვადასხვა ძეგლების კულტურულ ფენაში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის რაოდენობრივი შეფასებისათვის. არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევის გარკვეულ საფეხურზე, ხშირად წარმოიშობა იმის აუცილებლობა, რომ ერთმანეთს შეედაროს გარკვეული არქეოლოგიური ძეგლები ან ფენები [1, გვ. 161].

1988 წლიდან აწყურსა და მის მიდამოებში მიმდინარეობს არქეოლოგიური სამუშაოები ვ. ლიჩელის ხელმძღვანელობით. ეს სამუშაოები მიმდინარეობდა ორ ძირითად მონაკვეთზე: კათედრალური ტაძრის ტერიტორიაზე (მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირი) და წარმართული ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში (მდ. მტკვრის მარცხენა ნაწილი). კათედრალური ტაძრის ტერიტორიაზე გაითხარა ორი ნაგებობა: მცირე საყდარი და მონუმენტური კარიბჭე [4, გვ. 12-13].

უძველესი ნაშთებს, რომელიც ამ ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, განეკუთვნება 2001 წელს გაითხრილი შუაბრინჯაოს ხანის მიწურულის ქვაყრილიანი სამარხი.

სამარხში აღმოჩნდა ერთმანეთში არეული ადამიანის ჩონჩხის ნაწილები, რომლის მასაში დაფიქსირდა კერამიკის ფრაგმენტები, შავკეციანი ტოლჩების, კოჭობების ნაწილები. სამარხეული ინვენტარი საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა. კერამიკასთან ერთად წარმოდგენილია ბრინჯაოს სხვადასხვა ნივთები: საკინძები, სატევრები, სამაჯურები, ბეჭდები, ყელსაბამი, ხატისუღელი, სარდიონის მცირე ზომის მძივები, რომლებიც შერეულია ოქროს თხელფირფიტოვან მილაკისებრი ფორმის ორნამენტირებულ გარსაკრავებთან [5, გვ. 9]. მთლიანად სამარხში აღმოჩნდა 60-მდე თიხის ჭურჭელი, რომელთაც ფორმების თვალსაზრისით ანალოგიები მოეპოვებათ საქართველოსა და კავკასიის სინქრონულ ძეგლებზე.

რენტგენოსტრუქტურული ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა განათხარი არქეოლოგიური კერამიკის რვა ნიმუში, რომლებიც ფრაგმენტებით იყო წარმოდგენილი; ორი ფრაგმენტი

(№ 1 და № 9) ორჭოსანიდან, ექვსი ერთეული აწყურის ქვაყრილიანი სამარხიდან. № 1 ნიმუში ფერით ჰგავს აგურს, რაც უნდა აიხსნას მასში რკინის ჟანგის არსებობით. № 9 – ღია ნაცრისფერია. მასალის ფაქტურა მაკროსკოპულად წარმოადგენს ძლიერ გამკვრივებულ მონტრმოლინიტურ თიხას. დანარჩენი ნიმუშები (№№ 40, 46, 54, 60, 76 და 80) მოცემულია შავი ფერის ნატეხებით. შეფერილობის ბუნების გამოსავლენად № 40 ნიმუშიდან აღებულ იქნა შეუღებავი ფრაგმენტი, რომელიც შეჯერდა ფერითა და ფაქტურით № 1 ნიმუშთან.

რენტგენოსტრუქტურული კვლევის შედეგების მონაცემები მოყვანილია დიაგრამებში და შეჯამებულია ცხრილის სახით.

რენტგენოგრამებმა გამოავლინეს გამოსაკვლევი ობიექტების მრავალფაზიანი შედგენილობა, რომლებშიც მუდმივად ფიქსირდება პლაგიოკლაზის (პიკები 3.195 A და 4.04 A) და კვარცის (პიკები 3.34 A და 4.23 A) მონაწილეობა. რაც შეეხება ძირითად შემაერთებელ შემადგენელს, იგი წარმოდგენილია პრაქტიკულად ყველა ნიმუშში, მონტრმოლინიტ-ქლორიტული ტიპის შერეულ შრეებრივი თიხური მინერალით. მაგრამ ხშირად, სხვადასხვა რაოდენობით მონაწილეობს მესამე კომპონენტი – ილიტი (ნიმუშები №№ 40, 46, 54, 60 და 76). აღსანიშნავია, რომ გადანაწილების ხასიათი ინტენსიური ბაზალტური ანარეკლებისა და განსაკუთრებით მათი გადახრა სიდიდის შემცირების მხარეს სიბრტყეებს შორის მანძილისაკენ იკვეთება, შესაბამისად პიკები 22.09 A და 14.73 A, მოწმობს იმაზე, რომ ნიმუშები გამომწვარი იყო ჩვენთვის დაუდგენელ ტემპერატურაზე, რამაც გამოიწვია საწყისი გაჯირჯული თიხების გადასვლა მდგრად ერთგვაროვნებაში.

ამგვარად, აღწერილი ფხვიერი ნიმუშები ძირითადად წარმოდგენილია ტუფოგენური ქანებით, რომელთა შორის რამდენიმე სახესხვაობა შეიძლება გამოიყოს: 1. ტუფოგენური ქანი თიხოვანი შემაერთებლით და ნაირგვარი ნატეხური მასალით: მინერალების ნატეხები წარმოდგენილია პიროქსენით და პლაგიოკლაზით, ხოლო ამონთხეული ქანების ნატეხებს შორის გამოირჩევა ანდეზიტისა და დიაბაზის შემადგენლობის ქანები. თიხოვანი შემაერთებელი ყველა შემთხვევაში შეიცავს დიდი რაოდენობით წვრილ ნატეხებს. 2. მცირე რაოდენობით გვხვდება ქანები აგებული თითქმის მთლიანად თიხოვანი მასით, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს წვრილ ნატეხოვან მექანიკურ მასალას.

როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული ახალციხის მიდამოებში არსებული კარიერების მაკრო-მიკროკროსტრუქტურული და პეტროგრაფული ანალიზების შედარებითმა სტატისტიკურმა გამოთვლებმა გვიჩვენა, შესწავლილი კერამიკული სინჯები უკავშირდება დიდი პამაჯის და სოფ. ორჭოსანის თიხის კარიერების საბადოებს. კერამიკული მასალის რენტგენოსტრუქტურული ანალიზის შედეგებმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ შესწავლილი კერამიკა ადგილობრივი წარმომავლობისაა. ამასთან აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი კერამიკული ნიმუშები ნაწილობრივ სახეშეცვლილია (არ შეიცავენ თიხოვან შემაერთებელს), ჭურჭელი არ არის თერმულად მაღალ ტემპერატურაზე დამუშავებული (მათში შემავალ მინერალებს და ქანებს არ აქვთ მაღალი ტემპერატურული გამოწვის ნიშნები).

T. Kintsurashvili

RADIOSTRUCTURAL STUDY OF MESKHETI POTTERY DATING FROM THE MIDDLE BRONZE AGE

(Summary)

The results of complex analysis of pottery enables the author to ascertain its provenance. To date eight specimens have been studied radiographically. Plagioclase and quartz were attested in the samples. Layered clay mineral (montmorilonic-chloritic) served as a binding component, represented in the samples to different degrees.

Comparative statistic analysis demonstrated that pottery samples are connected with Didi Pamaji and Orchosani deposits. The bulk of the studied pottery seems to be of local provenance.

ლიტერატურა

1. **ლიჩელი ვ.** კულტურული ფენის ნაჯერობა. – მაცნე, № 2, 1987, გვ. 160-166.

2. **მორჩაძე თ.** შიდა ქართლის ანტიკური პერიოდის კერამიკა. თბ., 1979.

3. **Гарден Ж. К.** Теоретическая археология. Москва, 1983.

4. **Licheli V.** Une ville des VIIe –Ier siecles. – Religions du Pont-Euxin, Paris, 1999, p.12-13.

5. **Licheli V.** The Black Sea – Vani-Samtskhe: the spreading route of black-glazed pottery. – La mer noire zone de contacts. Paris. 1999, p. 9.

6. **Wright R. P.** The Boundries of technology an Stylistic Change. Washington. 1985.


ნიმუშიN1
7.38
6.32
14.73
4.04
4.23
4.44
3.196
3.74
3.79
2.885
2.978
2.495
2.564
20 სმ
45
40
35
30
25
20
15
10


ნიმუშიN9
7.38
6.81
4.04
4.24
4.43
3.196
3.71
3.30
2.98
2.84
2.462
2.564
2.35
14.73
22.09
20 სმ
45
40
35
30
25
20
15
10


ნიმუშიN40
7.38
6.32
5.72
14.73
10.4
3.196
4.44
4.23
4.04
3.64
3.34
2.93
2.529
2.22
2.27
2.151
20 სმ
45
40
35
30
25
20
15
10


ნიმუშიN46
7.38
6.32
5.91
8.42
3.21
4.25
4.24
3.71
3.30
2.93
2.54
2.71
2.42
2.26
20 სმ
45
40
35
30
25
20
15
10


2.08
2.11
2.28
2.72
2.93
2.978
3.15
3.196
3.39
3.86
4.04
4.25
4.44
5.72
6.81
7.38
9.82
14.73
17.6
20 ხმ
45
40
35
30
25
20
15
10


2.13
2.21
2.28
2.529
2.885
3.196
3.34
3.71
4.04
4.23
4.44
6.81
7.38
9.82
14.23
20 ხმ
45
40
35
30
25
20
15
10


ნიმუშიN76
2.36
2.50
2.80
2.88
3.196
3.34
3.64
6.32
6.81
7.38
8.84
20 ხმ
45
40
35
30
25
20
15
10


ნიმუშიN80
2.53
2.72
2.84
2.93
3.196
3.30
3.71
4.04
6.32
7.20
7.69
14.73
20 ხმ
45
40
35
30
25
20
15
10

ნიმუში № 1		ნიმუში № 9		ნიმუში № 40		ნიმუში № 46		ნიმუში № 54		ნიმუში № 60		ნიმუში № 76		ნიმუში № 80	
J/jO	Dda/n	J/jO	Dda/n	J/jO	Dda/n	J/jO	Dda/n	J/jO	Dda/n	J/jO	Dda/n	J/jO	Dda/n	J/jO	Dda/n
-	-	30	22.09	50	22.09	20	22.09	-	-	20	22.09	30	22.09	10	22.09
-	-	-	-	-	-	-	-	50	17.67	-	-	-	-	-	-
20	14.73	50	14.79	50	14.73	-	-	40	14.73	30	14.73	-	-	5	14.73
-	-	-	-	20	10.4	60	8.42	50	9.82	40	9.82	70	8.84	-	-
100	7.38	100	7.38	100	7.38	100	7.38	100	7.38	100	7.38	100	7.38	100	7.69
80	6.32	80	6.81	70	6.32	80	6.32	50	6.81	100	6.81	100	6.81	100	7.2
-	-	-	-	50	5.72	50	5.91	40	5.72	-	-	90	6.32	90	6.32
-	-	-	-	-	-	10	4.93	-	-	-	-	-	-	-	-
20	4.44	40	4.43	10	4.44	20	4.44	30	4.44	5	4.44	-	-	-	-
20	4.23	40	4.23	15	4.23	-	-	15	4.25	10	4.23	-	-	-	-
40	4.04	90	4.02	15	4.04	-	-	5	4.04	10	4.04	-	-	30	4.04
10	3.71	30	3.71	10	3.64	15	3.71	20	3.86	15	3.71	20	3.64	10	3.71
30	3.34	30	3.3	50	3.34	50	3.30	50	3.34	50	3.34	40	3.34	30	3.30
50	3.196	50	3.196	80	3.196	70	3.21	70	3.196	80	3.196	80	3.196	80	3.196
-	-	-	-	-	-	-	-	50	3.13	-	-	-	-	-	-
10	2.978	10	2.98	-	-	-	-	80	2.978	-	-	-	-	-	-
-	-	-	-	20	2.93	20	2.93	60	2.93	-	-	-	-	10	2.93
20	2.885	15	2.84	-	-	-	-	-	-	10	2.885	5	2.885	10	2.84
-	-	-	-	-	-	5	2.71	30	2.72	-	-	5	2.80	5	2.72
25	2.564	10	2.564	20	2.529	30	2.54	-	-	20	2.529	10	2.5	10	2.53
-	2.459	30	2.462	-	-	10	2.42	-	-	-	-	-	-	-	-
-	-	15	2.35	10	21.27	10	2.26	40	40	5	2.28	10	10	-	-

ქეთევან ლომოური

პალეანთროპოლოგიური კვლევის ძირითადი მიმართულებები და შედეგები (ჭორატის სამაროვნის მასალების მიხედვით)

არქეოლოგიური ძეგლების კომპლექსური შესწავლა თანამედროვე მეცნიერების ყველაზე აქტუალური მიმართულებაა. არქეოლოგიისა და სხვადასხვა საბუნებისმეტყველო დარგების ინტეგრაცია იძლევა საშუალებას შევისწავლოთ ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის ძირითადი კანონზომიერებანი, გარემოსა და ადამიანის ურთიერთგავლენა, რასათა და ეთნოსთა მიგარციის, მთის და ბარის მოსახლეობის ურთიერთობის საკითხები.

ანთროპოლოგია არის ერთ-ერთი იმ საბუნებისმეტყველო დარგთაგანი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული არქეოლოგიურ კვლევასთან.

ანთროპოლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდებმა საშუალება მოგვცა არა მხოლოდ მეტრული, არამედ ლაბორატორიული კვლევის მეთოდებით და მაღალი სიზუსტით შევისწავლოთ კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში, აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსახლე ადამიანთა გარემო, არეალის კლიმატი, ეკოლოგია, კვების რაციონი, ორგანიზმის გარემოსთან ადაპტაცია, დაავადებები, მათი გავრცელების კანონზომიერებანი და დინამიკა, ფიზიოლოგიური სტრესის შედეგი.

ანთროპოლოგიური კვლევის თანამედროვე მიმართულებებიდან აღსანიშნავია: ანთროპოლოგიური მასალის გენეტიკური ანალიზი, სისხლის ჯგუფების განსაზღვრა, ძვლის სტრუქტურული, რენტგენოლოგიური ანალიზი, ძვლის შემადგენელი მიკროელემენტების განსაზღვრა.

ჩვენ შევეცადეთ მოპოვებული ანთროპოლოგიური მასალა შეგვესწავლა ზევით აღნიშნული მეთოდებით. გამოვიყენეთ რენტგენოლოგიური, ქიმიური და მიკრობიოლოგიური მეთოდები.

შესწავლილი ანთროპოლოგიური მასალა მოპოვებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დერეფანში აღმოჩენილი ჭორატის სამაროვანზე. იგი მდებარეობს ახალციხის რ-ნის დაბა ვალეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მდ. ფოცხოვის ვაკეზე, ტერასა 241-600. სამაროვანი თარიღდება ადრერომაული ხანით – ახ.წ. II-III სს.

ჭორატის სამაროვნის სამარხთა საერთო რაოდენობიდან შესწავლილია 35 სამარხი, აქედან 27 სამარხი კარგ მდგომარეობაში იყო, დანარჩენი კი მიწის სამუშაოების დროს დაზიანდა. ეს არის ოვალური მოყვანილობის ორმო-სამარხები. ყველა მიცვალებული დაკრძალულია მოხრილ პოზაში, ხელ-ფეხ მოკეცვით, მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე. სამარხებს არ ახასიათებთ რაიმე გარკვეული დამხრობა, ისევე, როგორც თვითონ მიცვალებულებს. სამარხთა უმრავლესობაში ანთროპოლოგიური მასალა საკმაოდ კარგად არის შემონახული.

კრანიოლოგიური თვალსაზრისით, სამაროვნისათვის დამახასიათებელია თავის ქალის მეზოკრანიული ტიპი, მცირე გამონაკლისით (4 თავის ქალა დოლიქოცეფალურია) სახის პროფილი პროგნატული და მაღალი, საშუალო სიგანის, თუმცა გვხვდება გამონაკლისიც – წაკვეთილი შუბლი, დაბალი სახე, მცირედ გამოკვეთილი სახის პროფილი, ცხვირის უნაგირის საშუალო სიმაღლე, კარგად გამოკვეთილი ყვირიმალის ძვლები, განიერი და დაბალი სახე, რაც რასისათვის დამახასიათებელ ნიშნებზე მიუთითებს.

კრანიოლოგიური მასალის რეკონსტრუქციის შემდეგ, შევეცდებით დავადგინოთ ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი და გამონაკლისი ანთროპოლოგიური ტიპები, რაც შემდგომში დაგვეხმერება, სხვა ანთროპოლოგიურ მონაცემებთან ერთად, უკეთ გავერკვიოთ ამ რეგიონში მიმდინარე მიგრაციულ პროცესებში.

რაც შეეხება ჭორატის სამაროვანზე დაკრძალულ ადამიანთა ფიზიკურ აღნაგობას, მათთვის დამახასიათებელია კარგად განვითარებული კუნთოვანი სისტემა, საშუალო და საშუალოზე მეტი სიმაღლე. ეს ეხება, როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს. ყველა მიცვალებულს, განურჩევლად ასაკისა, სიცოცხლეში აღენიშნებოდათ ძვლოვანი სისტემის დაავადებები. მეორე მხრივ, არ შეგვხვედრია ძვლის გამრუდების არც ერთი შემთხვევა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ძვლების მინერალიზაციის ხარისხი საკმაოდ მაღალია. ამასვე ადასტურებს კბილების ემალის კარგი მდგომარეობა. თუ ერთის მხრივ მინერალიზაციის მაღალი ხარისხი ხელს უწყობდა ძვლის სიმტკიცეს, მეორე მხრივ, სწორედ ეს გარემოება უწყობდა ხელს სახსრებში და ხერხემლის მალებს შორის მარილების დაგროვებას, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ძალიან კარგად ჩანს თითქმის ყველა მიცვალებულის ჩონჩხზე. ყველაზე ნათლად ხერხემლის პათოლოგია ჩანს № 35 სამარხში დაკრძალული ახალგაზრდა ქალის ჩონჩხის კისრის არეში, სადაც მკვეთრად გამოხატული კუზია [5, გვ. 20].

იმისათვის, რომ ზუსტად დაგვედგინა ძვლოვანი სისტემის დაავადებების მიზეზი, გაკეთდა ნიადაგის და ძვლის ქიმიური ანალიზი. გაირკვა, რომ ნიადაგი საკმაოდ მდიდარი იყო მინერალური ნივთიერებებითა და იმ მარილებით, რომლებიც საკვებთან ერთად ხვდება ორგანიზმში, ძნელად გამოიდევნება და ხდება მათი დალექვა სასახსრე ზედაპირებზე. მსგავსი შედეგი მივიღეთ ძვლის მინერალური შემდგენლობის ანალიზითაც. ვინაიდან რამდენიმე სამარხში დაკრძალულ ადამიანთა ჩონჩხის ძვლებზე აშკარად გამოკვეთილი იყო დაავადების ნიშნები, რომლებიც არ იყო დაკავშირებული ჩვენს მიერ ზემოთ აღ-

ნიშნულ გარემოებებთან და აშკარად მიუთითებდა სხვა დაავადებაზე, ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, ხომ არ იყო ეს დაავადებები ბაქტერიული წარმოშობის და ხომ არ გვქონდა საქმე რაიმე ეპიდემიასთან. ამისათვის გამოვიყენეთ სამარხიდან აღებული სიღრმისეული ნიადაგი, რომელზეც გავაკეთეთ ბაქტერიოლოგიური ანალიზი [6].

ნიადაგი სათანადოდ მომზადდა და მოთავსდა ბიოლოგიურ საკვებ არეზე. რამდენიმე დღის შემდეგ შეინიშნა ამ საკვებში ცვლილებები, რაც მიუთითებდა ნიადაგის ბაქტერიულ დაბინძურებაზე, მაგრამ სამარხების სიძველის გამო ვერ გამოიყო ამ დაბინძურების ზუსტი ტიპი.

ნიმუში	Si O_2 %	AL_2O_3 %	$Fe_{2O}3$ %	CaO %	Na_20 %	K_2O %	4000
1	56,2	13,1	2,92	4,6	3,2	2,1	9,2
2	50,35	12,9	2,3	3,67	4,3	3,3	10,1
3	61,0	13,25	3,75	4,21	2,85	3,72	9,9

სამარხეული ნიადაგის ქიმიური ანალიზი (საკონტროლო)

აღნიშნული ბაქტერიული დაბინძურების სურათი არ გამოვლენილა ყველა ჩვენს მიერ აღებული ნიადაგის სინჯში, ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაავადებების ის ნიშნები, რომლებიც შეინიშნებოდა მიცვალებულების ძვლოვან სისტემაზე, არ იყო ეპიდემიის შედეგი, არამედ გამოწვეული იყო სხვადასხვა დაავადებებით, რომლითაც მიცვალებულები სიცოცხლეში იყვნენ დაავადებულები: ოსტეომიელიტი (ძვლის ბაქტერიული ინფექცია), ვენერიული დაავადება, ჭლექი, რაც დაადასტურა პათანატომიურმა ანალიზმა.

ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ანალიზის გარდა, სამარხეულო ნიადაგი გამოვიყენეთ კლიმატური პირობების დასადგენად.

სიღრმისეული ნიადაგის ანალიზმა გარკვეულ ტემპერატურაზე გვაჩვენა ნიადაგის საკმაოდ მაღალი ტენიანობა. როგორც ჩანს, აღნიშნულ პერიოდში კლიმატი თბილი და ტენიანი უნდა ყოფილიყო. ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება შეიძლება დაადასტუროს აღნიშნულ ტერიტორიაზე ნამარხი მცენარეული ნაშთების შესწავლამ.

ჩვენთვის არანაკლებ საინტერესოა მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობისა და რეგიონალური ტიპის გარკვევა (მთის, ბარის, მთისწინეთი) და, შესაბამისად, ამ რეგიონში მიმდინარე მიგრაციული პროცესების შესწავლა [3].

ჩვენ შევეცადეთ კრანიოლოგიურ მონაცემებთან ერთად ძვლის სტურქტურის რენტგენოლოგიური ანალიზით დაგვედგინა, ერით მხრივ, მოსახლეობის რეგიონალური ტიპი, მეორეს მხრივ კი, გამოგვეკვლია ორგანიზმის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი. აღნიშნული ადაპტაციის მექანიზმი აისახება ძვლის სტრუქტურაზე და სტურქტურის ცვლილებებზე და ადასტურებს მოსახლეობის ტიპს. ამ მიზნით შეირჩა მეტნაკლებად დაუზიანებელი ოსტეოლოგიური მასალა სხვადასხვა სამარხიდან. გაკეთდა აღნიშნული მასალის რენტგენოლოგიური ანალიზი. აღმოჩნდა, რომ ძვლის სტრუქტურა შეესაბამება ბარში ან მთისწინეთში მოსახლე ადამიანებისათვის დამახასიათებელ ძვლის სტრუქტურას.

ამ ანალიზმა მოგვცა საშუალება ზუსტად დაგვედგინა, რომ აღნიშნულ სამაროვანზე დაკრძალულ ადამიანთა უმრავლესობა ბარის მოსახლეობას ეკუთვნოდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შეგვხვდა რამდენიმე გამონაკლისიც, რომელიც, საფიქრებელია, ეკუთვნის სწორედ იმ რამდენადმე განსხვავებულ კრანიოლოგიურ ტიპებს, რომლებიც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, მაგრამ გამონაკლისი იმდენად მცირეა (სულ 4-5 ინდივიდი), რომ ეს გავლენას ვერ ახდენს საერთო სურათზე [6].

აღნიშნულმა გამოკვლევამ გვაჩვენა, რომ ამ ტერიტორიაზე არ ჩანს მიგრაციული პროცესები. ამ დასკვნას ვაკეთებთ მხოლოდ ჩვენს ხელთ არსებული და შესწავლილი მასალის საფუძველზე (35 სამარხი).

ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი სამაროვნისათვის ანთროპოლოგიური თვალსაზრისით დამახასიათებელია ფიზიკურად კარგად განვითარებული, საშუალო და საშუალოზე მაღალი (ეხება ორივე სქესს) ბარის მოსახლეობის ანთროპოლოგიური ტიპი, ევროპოიდული რასისთვის და ხმელთაშუა ზღვის ეთნიკური ტიპისათვის დამახასიათებელი კრანიოლოგიური ნიშნებით. მომავალში გაგრძელდება აღნიშნული რეგიონის ანთროპოლოგიური შესწავლა.

K. Lomouri

THE PRINCIPAL DIRECTIONS AND RESULTS OF A PALAEOANTHROPOLOGICAL STUDY (according to the evidence of Akhaltsikhe-Chorati necropolis)

(Summary)

The paper presents the results of the complex study of the anthropological evidence from Akhaltsikhe-Chorati necropolis (Early Roman period, 3rd- 2nd cent. B.C.).

Methods of craniological, osteological, bacteriological, chemical and X-ray analysis, as well as biological study have been applied. Craniological

types, osteological structure, chemical composition of bones and soil were analyzed. The author attempted to reconstruct the regional type of population (lowland, foothill and highland) as well as the process of migration with the aspect of anthropological study.

ლიტერატურა

1. **აბდუშელიშვილი მ.** კრანიოლოგია, თბ. 1976.
2. **საბაშვილი მ.** საქართველოს ნიადაგები, ნიადაგის გეოქიმია. თბ., 1972.
3. **ჯავახიშვილი ალ.** თხზულებანი. თბ., 1990.
4. **Алексеев В. П.** Остеоматерия. Методика антропологических исследований. Москва, 1966.
5. **Рохлин Д. Г.** Болезни древних людей. Москва, 1965.
6. **Рогинский Я. Я., Левин М. Г.** Антропология. Москва, 1963.
7. **Сорвачев К. Ф.** Биологическая химия. Москва, 1962.
8. **Kisrely S.** Graves. Men Bones. Budapest, 1972.
9. **Stirland Ann.** Human Bones in Archeology. London, 1998

რამაზ ღამბაშიძე, გრიგოლ ტაბაღუა, ვახტანგ ნიკოლაიშვილი, მამუკა ჯახუტაშვილი

არქეოლოგიურად პერსპექტიული უბნების შერჩევა გეოფიზიკური კვლევების ჩატარების მიზნით არაგვის ქვემო წელის აუზში

დაფარული არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენის რთული პროცესი მკვლევართაგან ითხოვს სულ უფრო მეტ ძალისხმევას ახალი ეფექტური მეთოდების გამოყენებით. ამ მხრივ საკმარისია დავასახელოთ გეოფიზიკური კვლევები (ელექტროძიება, მაგნიტოძიება, სეისმოძიება და სხვ.), მაგრამ მათი გამოყენებისას ვაწყდებით სირთულეებს, რაც საკვლევი არეების მასშტაბურობით და არაერთგვაროვნებით არის გაპირობებული. შრომის რაციონალიზაციის მიზნით დღის წესრიგში დგება მისი დანაწილების საკითხი, „ძებნით“ და „ძიების“ ეტაპებად, როგორც ეს მიღებულია სასარგებლო წიაღისეულის საბადოების გამოვლენისას. „ძებნითი“ ეტაპის უშუალო მიზანია არქეოლოგიური რეგიონების ვრცელ ფართობებზე მეოთხეულით დაფარული, კონკრეტული არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენა და შემოკონტურება, რასაც მომდევნო „ძიებით“ ეტაპზე მათი მრავალმხრივი შესწავლა უნდა მოყვეს. ამრიგად, სრულყოფილი არქეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად, ვრცელ ფართობებზე არქეოლოგიური ძებნის („თეორიული მხარე“ – წინმსწრები ეტაპი) და არქეოლოგიური ძიების („პრაქტიკული მხარე“ – დამაგვირგვინებელი ეტაპი) მეთოდების თანმიმდევრობითი გამოყენება დგება დღის წესრიგში. ამ თვალსაზრისით, ჩვენს მიერ შემუშავებულ ძებნის ხუთ კრიტერიუმს, ემატება ძველი ტრადიციული წესი არქეოლოგიური ობიექტების (ძეგლების) გამოვლენისა, რაც დაკავშირებულია არქეოლოგიური ნიმუშის კონკრეტულ პუნქტში შემთხვევით პოვნასთან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებისა, ან ეროზიული პროცესების გააქტივების პერიოდებში.

პირველი არქეოგეოფიზიკური სამუშაოები დიდი მცხეთის ტერიტორიაზე ჩატარებულ იქნა 1999 წელს აკადემიკოს ა. აფაქიძის ინიციატივით [6].

დედაქალაქობის ხანის მცხეთა და მისი უბნები, დიდ ფართობზე (55-60 კვ.კმ.) არის განლაგებული, მტკვრისა და არაგვის შესარყართან. მისი საზღვრებია: აღმოსავლეთით – რკინიგზის სადგური ზაჰესი, დასავლეთით – ძეგვისა და ხეკორძულას ხევები და ნასტაკისი, ჩრდილოეთით – მუხრანის ველი, ხოლო სამხრეთით – საწკეპლა-დიდგორის ქედი. ამ ტერიტორიაზე მრავლადაა შემონახული ქართული მატერიალური კულტურის სხვადასხვა დროისა და ხასიათის მიწისზედა და მიწისქვეშა ძეგლი [2; 3].

საქართველოს ძველი დედაქალაქის მცხეთისა და მისი მიდამოების მიწისქვეშა ძეგლებმა არქეოლოგების ყურადღება ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მიიპყრეს. კერძოდ, 1867 წელს საქართველოს სამხედრო გზის ტრასის გასწვრივ მიწის სამუშაოების დროს, ნასოფლარ მუხათგვერდის ქვემოთ, მტკვრის ვიწრობებში აღმოჩნდა ახალი წელთაღრიცხვის 75 წლის ბერძნულწარწერიანი სტელა, ხოლო მომდევნო წლებში კი – სამთავროს ველზე და ბებრისციხის მახლობლად გამოჩნდა ძველი სამარხები. 1890 წელს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არმაზციხე-ბაგინეთზე ექვ. თაყაიშვილის ზედამხედველობით ჩატარებულ იქნა საცდელი გათხრები. მანვე 1902 წელს შეისწავლა ნავთობსადენის (ბაქო-ბათუმის) მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ობიექტები [3].

ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების გეგმაზომიერად წარმართვა შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1937 წლიდან. 1938 წელს საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებს შეუდგა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. მოპოვებული მასალის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი მცხეთის ისტორიის პირველ ორ მონაკვეთს – დედაქალაქობის წინა და დედაქალაქობის ხანებს მიეკუთვნება [1, 2, 3].

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველგან, სადაც დედაქალაქობის წინა ხანის ძეგლებია აღმოჩენილი, მოიპოვება აგრეთვე დედაქალაქობის ხანის მასალებიც, თუმცა ცნობილია ადგილები, სადაც ასეთი შეწყვილება არ ჩანს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, დედაქალაქობის ხანაში მცხეთა და მისი მიდამოები მჭიდროდ იყო დასახლებული.

დიდი მცხეთის ფარგლებში მრავალი არქეოლოგიური და ისტორიული ძეგლია წარმოდგენილი, მათ შორის ცნობილი სვეტიცხოვლის ტაძარი, რომელიც მტკვრისა და არაგვის შესაყართან, მცხეთის შუაგულშია აღმართული (სურ. 1). მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს სამთავროს ტაძარი. ქართული მონუმენტური ხუროთმოძღვრების ეს ორი შესანიშნავი ძეგლი XI საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება. სვეტიცხოვლის აღმოსავლეთით, არაგვის მარჯვენა სანაპიროზე, ანტიოქიის მცირე საყდარი მდებარეობს, ხოლო დასავლეთით – ადრეშუასაუკუნეების გეთსიმანიის პატარა, ერთნავიანი საყდარი. ძველი მცხეთის ჩრდილოეთით, აღმართულია შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე ბებრისციხე, რომლის ქვეშაც ძვ.წ. I საუკუნის გალავნის ნაშთებია აღმოჩენილი. ეს ნაგებობა ჩრდილოეთიდან იცავდა დედაქალაქს.

სამთავროს ტაძრიდან ბებრისციხემდე (სამთავროს ველი), მიკვლეულია სამაროვანი, რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან ახ.წ. VIII-IX საუკუნეებამდე პერიოდს ეკუთვ-

ნის. მცხეთის თანამედროვე და ძველ უბნებში ხშირია როგორც სამარხები, ისე სხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები, რაც იძლევა იმის დაშვების საფუძველს, რომ მტკვრისა და არაგვის ხერთვისში ახ.წ. III-IV სს. მჭიდროდ დასახლებული ქალაქი არსებობდა [4].

არაგვის მარცხენა მხარეს სოფ. წიწამურის თავზე, მაღალ სერზე, ანტიკური ხანის ციხე-ქალაქის სისამურას ნაშთებია შემორჩენილი. სოფლის ქვემოთ, არაგვის მარცხენა ნაპირის გასწვრივ დადგენილია ძვ.წ. I ათასწლეულის და ახ.წ. I ათასწლეულის სამაროვნები და ნამოსახლართა ნაშთები. მცხეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზედაზნის მთაზე ეკლესია და ციხის ნანგრევებია, ხოლო აღმოსავლეთით ქედზე დგას VI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი ჯვრის ტაძარი.



სურ. 1. არქეოლოგიური ძეგლები არაგვის ქვემო წელის აუზში (აეროფოტო, მასშტაბი 1:8000). 1. სვეტიცხოველი; 2. სამთავროს ტაძარი; 3. ანტიოქიის ეკლესია; 4. გემთსიმანიის ეკლესია; 5. ბებრისციხე; 6. ციხე-ქალაქი წიწამური-სისამურა; 7. ჯვრის ტაძარი; 8. არმაზციხე-ბაგინეთი

fig. 1. Archaeological objects in the lower section basin of river Aragvi (airphoto, scale 1:8000). 1. Svetickhoveli; 2. Samtavro cathedral; 3. Antiokhia church; 4. Getsimania church; 5. Bebristsikhe; 6. Tsitsamuri-Sisamura; 7. Djvari catedral; 8. Armaztsikhe-Bagineti; 9. Ghartiskari; 10. Narekvavi.

მტკვრისა და არაგვის შესაყართან, მტკვრის მარჯვენა მხარეს, მდებარეობს მთა, რომელიც არმაზციხე-ბაგინეთის სახელითაა ცნობილი. მის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე საკმაოდ ფართო და გრძელი ტერასებია „ანთროპოლოგიური“ კვალით. იქ დადგენილია საფორტიფიკაციო, სასახლის ტიპის, საკულტო (ტაძარი), სამეურნეო (მარანი), კომუნალური (აბანო, წყალსადენი და სხვ.) და სამარხი ნაგებობანი, რომლებიც ძვ.წ. ბოლო საუკუნეებსა და ახ.წ. პირველ საუკუნეებს მიეკუთვნება.

ასეთია მოკლე ჩამონათვალი იმ ცნობილი ძეგლებისა, რომელებიც დადგენილია არაგვის ქვემო წელის ხეობაში და რომლებიც შემდგომში დეტალურ შესწავლას მოითხოვენ.

1999-2002 წლებში არმაზციხე-ბაგინეთზე და სვეტიცხოვლის ტაძრის ტერიტორიაზე, გეოფიზიკური მეთოდებით ჩატარებულმა კომპლექსურმა კვლევებმა დაგვანახეს მათი ეფექტურობა არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენის საქმეში. კერძოდ, არმაზციხე-ბაგინეთზე, ფერდის დელუვიონით გადაფარულ ვრცელ ტერიტორიაზე (2000 $მ^2$), ცნობილი ძეგლების მახლობლად გამოვლენილ იქნა რვა, სხვადასხვა ზომის, ჯამური 1750 $მ^2$ ფართობის არქეოლოგიური ნაშთები. ამ ნაგებობების რეალობა დადასტურდა ოთხი საკონტროლო თხრილით, საერთო სიგრძით დაახლოებით 20 მ. სიზუსტე ძეგლების მიწისქვეშა განლაგებისა, როგორც საკონტროლო (პარამეტრული) თხრილებიდან ჩანს, შეადგენს 10-15 სმ-ს [6; 10]. ყოველივე ზემოთ თქმულმა მოგვცა სტიმული არქეოგეოფიზიკური კვლევების გაგრძელებისა ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესო ტერიტორიაზე – არაგვის ქვემო წელის ხეობაში.

მიწით დაფარული ობიექტების გამოვლენის მიზნით, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა კრიტერიუმების კომპლექსი, რომელიც ეფუძნება გეოლოგიურ, გეოგრაფიულ, ეკონომიურ, სამეურნეო და სხვ. პირობებს და ჩვენი წინაპრების განსახლებისა და შრომითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიმანიშნებელია. ეს კრიტერიუმებია: 1. მორფოლოგიურ-რელიეფური – მტკვრისა და არაგვის ეროზიული მოქმედების შედეგად წარმოქმნილი ტერასების ხასიათი, 2. ჰიდროგეოლოგიური – ზედაპირული და სიღრმული წყლების არსებობის, 3. ნიადაგის საფარის აგებულების ხასიათის, 4. მცენარეული საფარის თავისებურებების დადგენა, 5. სახმელეთო და სამდინარო გზების არსებობის, საკულტო და თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობისათვის ხელსაყრელი პირობების გარკვევა.

არაგვის მარჯვენა ნაპირზე განვითარებულია ჭალისზედა პირველი (2-3 მ) და მეორე (8-10 მ) ტერასები. შესართავიდან მდინარის აღმა, სოფ.

წითელსოფლამდე მეორე ტერასა განიერია და სოფ. ჟინვალთან უკვე 500-1000 მ-ს აღწევს. ამჟამად არაგვის ამ ტერასაზეა განლაგებული ძირითადი დასახლებული პუნქტები. ტერასა ერწ-ყმის უშუალოდ მუხრანის ველს. ჭალისზედა პირველ ტერასაზე სოფ. ნატახტართან ალუვი-ური ნალექების სიმძლავრე 9-12 მ-ის ფარგლებში მერყეობს და აგებულია წვრილმარცვლოვანი კენ-ჭნარით, რომლებიც ნატახტარის ცნობილი წყა-როების წყალშემცველ შრეებს წარმოადგენენ.

ზეც მდებარეობს სოფ. საგურამო, დაქანებულია არაგვისაკენ. ტერასა გადაფარულია დელუვიუ-რი რიყნარით, ხოლო ალუვიური კი, დაფიქსი-რებულია შურფებში 4-5 მ სიღრმეში.

არაგვის მარჯვენა მხარეს, წიწამურიდან მცხეთამდე, დაიკვირვება კიდევ ორი ტერასა. პირველი ჭალისზედა ტერასა სამთავროს არქე-ოლოგიური გათხრების რაიონში 4-5 მ-ის სი-მაღლეზეა და დაქანებულია სამხრეთ-აღმოსავ-ლეთისაკენ. ალუვიური რიყნარი გადაფარულია



სურ. 2. მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, სოფ. მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, სოფ. საგურამოსთან არსებული სქემატური გეოლოგიური ჭრილი. 1. ნიადაგი; 2. თიხნარი; 3. ალუვიონი; 4. ნამარხი ნიადაგი; 5. რიყნარი; 6. მიო-პლიოცენური ნალექები (კონგლომერატები, თიხები და ქვიშაქვები).

Fig. 2 Schematic geological section of river Aragvi on the left bank, near village Saguramo. 1 – soil, 2 – loam, 3 – alluvium, 4 – fossial soil, 5 – pebblestone, 6 – Mio-pliocene accumulation (conglomerates, clays and sendstones).

ასევე კარგადაა გამოხატული პირველი ტე-რასა არაგვის მარცხენა ნაპირზეც სოფ. საგუ-რამოს ქვემოთ, სადაც მიოპლიოცენური ნალე-ქები ჰორიზონტულად იფარება 2-3 მ-ის სიმ-ძლავრის ალუვიური რიყნარით.

მეორე ტერასა სოფ. ბულაჩაურთან 10-12 მ სიმაღლისაა და დაფარულია კენჭნარით. უფრო მაღალი ტერასები ჩანს სოფ. საგურამოსთან.

ჭალისზედა მესამე ტერასა სოფ. საგურამოს სამხრეთით 20-25 მ სიმაღლისაა [9]. ამ ტე-რასაზე ხელოვნურად გაშიშვლებულ უბანზე კარგად ჩანს თიხნარის, რიყნარისა და ნამარხი ნიადაგის მორიგეობა (სურ. 2).

ყურადსაღებია ინფორმაცია ამ ტერასაზე არქეოლოგიური გათხრების შესახებ, რომლის მიხედვით მატერიალური კულტურის ნაშთები აღმოჩენილ იქნა 10-12 მ-ის სიღრმეზე, ქვედა თიხნარიან ჰორიზონტში [7].

მეოთხე 40-50 მეტრიანი ტერასა, რომელ-

დელუვიონით. მეორე ჭალისზედა ტერასა გან-ლაგებულია ბებრისციხის ნანგრევებსა და ღარ-თისკარის ხრამს შორის.

არაგვის ხეობაში, ვერტიკალურ ჭრილში, გა-შიშვლებულია ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ 20-25°-იანი კუთხით დაქანებული მიო-პლიოცენუ-რი ქვიშაქვები და თიხები. ამ შრეებს ჰორი-ზონტულად ადევს 3-5 მ სიმძლავრის არაგვის ალუვიური რიყნარი ე.წ. ღართისკარის კონ-გლომერატები (სურ. 3).

პროლუვიური რიყნარი თავის მხრივ გა-დაფარულია ლიოსისებრი თიხნარით, რომელიც 8-10 მეტრის და ზოგან უფრო მეტი სისქისაა. ეს ქანები მექანიკური თვისებების გამო, წარმო-ადგენს აგურისა და კერამიკის წარმოების ნედ-ლეულს.

შესატყვისი ტერასები მოჩანს არაგვის მარ-ცხენა მხარეს. მომდევნო, მაღალი, მესამე, მე-ოთხე და მეხუთე ტერასები წარმოდგნილია

ფრაგმენტურად და მდებარეობს შესაბამისად 50-60, 100-120 და 200-250 მეტრის სიმაღლეზე მდინარის დონიდან.

ნილობის ნალექები ადევს.

არაგვის მარცხენა ნაპირზე ფლატეა, მცირე სიმძლავრის ალუვიური ნალექებით, იგივე ნალე-



სურ. 3. მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ბებრისციხის მიდამოებში არსებული სქემატური გეოლოგიური ჭრილი. 1. ლიოსისებრი თიხები; 2. კონლომერატები; 3. თიხამიწა; 4. ქვიშა; 5. სარმატული ქვიშები და თიხები.

Fig. 3. Schematic geological section of river Aragvi on the right bank, environs Bebristsikhe. 1 – loess clays, 2 – conglomerates, 3 – alumina, 4 – sand, 5 – Sarmatian sands and clays.

რაიონის რელიეფურ-მორფოლოგიური თავისებურება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის განსახლებაში. ამ მიმართულებით ბუნებრივი ტერასების არსებობა ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა.

მეოთხეული ნალექები, რომელიც საკვლევ ტერიტორიაზე ალუვიურ ტერასებზეა წარმოდგენილი, არაგვის ქვემო დინების ხეობის ტერიტორიაზე, განლაგებულია ცალკეულ შეზღუდულ უბნებზე.

ლიოსისებური ნალექების სიმძლავრე არაგვის ხეობის ზოგიერთ უბანზე აღწევს 10-15 მ-ს. ბებრისციხის ნანგრევებსა და ღართისკარის ხრამს შორის, ჭალისზედა მეორე ტერასაზე 10-15 მ-ის სიმძლავრის თიხნარი უშუალოდ ადევს ალუვიურ რიყნარს. ყვითელი ფერის ლიოსისებრ თიხებში შეინიშნება შრეობრიობა, იქვე გვხვდება ქვიშებისა და კენჭნარის ლინზები. ამ ტერიტორიაზე ლიოსისებური თიხების დათარიღებისათვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ 10-12 მ-ის სიღრმეზე გამოვლენილია ცეცხლის კვალი (ნახანძრალი), რომელიც ბრინჯაოს ეპოქამდელ დროს მიეკუთვნება [7].

საგურამოს მიდამოებში მესამე ტერასაზე, რომელიც 25-30 მეტრით მაღლაა მდინარის დონიდან, ლიოსისებრი თიხების სიმძლავრე 3-4 მ-ია, თანაც ისინი განლაგებული არიან ალუვიურ რიყნარზე და თავზეც ანალოგიური შედგ-

ქებია მდინარის მარჯვენა მხარეს – მტკვრის და არაგვის შესაყარიდან ბებრისციხემდე. დასავლეთით მდ. ქსნის ხეობამდე მდელოს ყავისფერი ნიადაგებია გავრცელებული. ახალი მცხეთა ლიოსისებურ ყავისფერი კარბონატული ტიპის ნალექებზეა განლაგებული. მუხრანის დაბლობზე ძირითადად ლამიანი ნიადაგებია გავრცელებული, რომელებიც გადადიან მდ. არაგვის მარცხენა მხარეს. საგურამოს ვაკეზე მდინარეების შესართავთან, ჯვრის ფერდობის ძირში გავრცელებულია ყავისფერი ნიადაგები. ყავისფერი გამოფიტული ნიადაგები გვხვდება საგურამოს გზის გადასახვევიდან ჩრდილოეთით (ჟინვალამდე), ფერდობზე, რომლებიც უფრო ზევით (აღმოსავლეთისაკენ), თიანეთის მხარეს, ე.წ. არამაღარი ყომრალის ტიპის მჟავე ნიადაგებით იცვლებიან. სიმძლავრე 130-140 სმ-ია. ყავისფერი ნიადაგები ხელსაყრელია (ოპტიმალურია) მიწათმოქმედებისთვის, მათ ქვემოთ რიყნარის ფენაა. სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტი იყო და არის მარცვლეული კულტურები. აქ აგრეთვე მისდევდნენ მევენახეობასა და მებოსტნეობას. როგორც არქეოლოგიური დაზვერვებით ირკვევა, არაგვის მარცხენა სანაპიროზე განლაგებული იყო მტკვარ-არაქსის ეპოქის (ძვ.წ. III ათასწლეული) ნამოსახლარები. იქ მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობა დაკავშირებული იყო მიწათმოქმედებასთან. ამაზე

აგრეთვე მეტყველებს ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხრილი ჩინთის ნამოსახლარი (ძვ.წ. IV ათასწლეული), სადაც ადრესამიწათმოქმედო კულტურისათვის დამახასიათებელი მასალები აღმოჩნდა.

მცენარეული საფარი არაგვის მარცხენა ნაპირზე მდინარის ჭალაში ნაკლებადაა განვითარებული. ჭალისზედა პირველ ტერასაზე გვხვდება ხელოვნური ნარგავები (ქარსაცავი ზოლები, რომლებიც ამჟამად ზოგიერთ უბანზე გაჩეხილია), ბუჩქნარიანი ზოლები და, აგრეთვე მდელოს ბალახეული მცენარეული საფარი. მეორე ტერასა მდინარეების შესართავთან ტყეს მოკლებულია, ხოლო შემდეგ საგურამოსკენ მუხნარ-რცხილნარი ტყით არის დაფარული.

მდინარის მარჯვენა ნაპირზეც, ჭალაში მცენარეული საფარი ნაკლებადაა გავრცელებული. ჭალისზედა პირველ ტერასაზე ხელოვნური ნარგავებია და ფრაგმენტულად გვხვდება ბუჩქნარი. მეორე ტერასა ასევე ტყის მცენარეულობით – მუხნარ-რცხილნარით არის დაფარული.

წყალი ადამიანის განსახლებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. გარშემო მაღალი მთების არსებობა, გეოლოგიური ჭრილის თავისებურება, სადაც ზედა ჰორიზონტები წარმოდგენილია წყალგამტარი კონგლომერატებითა და ქვიშაქვებით, ხოლო საგებში წყალგაუმტარი თიხებია, ქვედა ტერასებზე და ჭალის პირა უბნებში ყალიბდება განტვირთვის არეები – წყაროები. გარდა ამისა, ადრეული დასახლებები ამ რაიონში, როგორც ჩანს, ფართოდ იყენებდნენ მილგაყვანილობას. ძველად დასახლებულ ტერასებზე მიკვლეული წყალგაყვანილობის სისტემა იძლევა იმის საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ სასმელი წყლით უზრუნველყოფილი იყო, როგორც ძველი დედაქალაქის საკუთრივ მცხეთის უბანი, ისევე სხვა უბნებიც [1, 2]. სოფ. სხალთიდან წყალი თიხის მილებით პირდაპირ შედიოდა სვეტიცხოველში, ამის გარდა ტაძარში არის ჭა, რომლის წყალიც ქიმიური შედგენილობით განსხვავდება არაგვისა და მტკვრის წყლისაგან. არმაზციხე-ბაგინეთი მარაგდებოდა წყლით სოფ. კარსნიდან.

არაგვი წარმოადგენს რაიონში ერთ-ერთ სანაოსნო არტერიას, რომელიც ძირითადი საშუალება იქნებოდა როგორც გადაადგილებისათვის, ისე სამეურნეო (სამელიორაციო) საქმიანობისათვის, თუმცა ყოველივე ეს ადგილობრივი მასშტაბისა უნდა ყოფილიყო.

არქეოლოგიური ძეგლები არაგვის მარჯვენა ნაპირზე ძირითადად განთავსებულია ჭალისზედა პირველ და მეორე ტერასაზე. ძველი მცხეთის და სამთავროს ველის, მცირე სიმძლავრის ალუვიურ ნალექებში, მრავალი არქეოლოგიური ძეგლია აღმოჩენილი. ტერიტორია ბებრისციხიდან ღართისკარამდე, სადაც გავრცელებულია ლიოსისებური ნალექები, არქეოლოგიურად ნაწილობრივაა შესწავლილი. იქ მოსალოდნელია ძეგლების არსებობა მიწისქვეშ, რომელთა გამოსავლენად აუცილებელია გეოფიზიკური კვლევები. მისგან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს ნარეკვავის უბანი, სადაც ნამოსახლარი და სამაროვანია აღმოჩენილი [8]. უფრო ჩრდილოეთით განლაგებულია მუხრანის დაბლობი ლამიანი სამიწათმოქმედო ნიადაგებით.

არაგვის მარცხენა ნაპირზე, შესართავიდან წყალაღმა, გავრცელებულია ყავისფერი ნიადაგები, რომელთაც დასაბამიდან სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის იყენებდნენ. ამის დასტურია წიწამურის ველზე აღმოჩენილი ძველი სადრენაჟე არხების სისტემები [5]. ღართისკარზე და არაგვის მარცხენა სანაპიროზე არსებული გალავნის მიდამოებში სასურველია კვლევების გეოფიზიკური მეთოდებით ჩატარება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოსალოდნელი არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენის მიზნით მოკვლევითი ხასიათის გეოფიზიკური სამუშაოები საჭიროდ მიგვაჩნია ჩატარდეს არაგვის როგორც მარჯვენა, ასე მარცხენა მხარეს. გამოვლენილი ანომალური უბნები შემდგომში შესწავლილ უნდა იქნას დეტალური ძიებით. კვლევის პირველ ეტაპზე საჭიროა გამოყენებული იქნას მაგნიტოძიებისა და ელექტროძიების კომპლექსი, ხოლო დეტალური სამუშაოების დროს – დამატებით სეისმოძიებისა და ბირთვული გეოფიზიკის მეთოდები.

R. Gambashidze, G. Tabagua, V. Nikolaishvili, M. Jakhutashvili

SELECTION OF ARCHAEOLOGICALLY PERSPECTIVE DISTRICTS IN THE LOWER SECTION OF BASIN RIVER ARAGVI WITH THE VIEW OF GEOPHYSICAL RESEARCHES

(Summary)

Exposure of archaeological objects requires application of electroprospecting, magnetoprospecting, seismoprospecting and other methods, although because of areas to be studied it necessary to introduce the stages of "search" and "prospecting".

The aim of the search is to reveal and contour the objects covered by young sediments ("theoretical" aspect). This is followed by the diversified study of exposed objects at the stage of "prospecting" ("practical" aspect).

Most of the material obtained in the planned archaeological excavations in Mtskheta in 1937 belongs to the period before and when Mtskheta was the capital of the state.

The first studies using geophysical methods carried out on Bagineti section of proved the efficiency of the above stated methods for the territories covered by diluvion.

Five criteria were developed for the study. These are: 1. Morphological-relief – the nature of the terraces formed as a result of the effect of erosion due to Mtkvari and Aragvi; 2. Hydrogeological – the presence of surface and deep waters; 3. Nature of the structure of soil cover; 4. Determination of peculiarities of vegetable cover; 5. Defining the existence of the ground and river roads and the terms favorable for building the cult and self-defense constructions.

Relief-morphological peculiarities of the region play a rather important role in the formation of human settlements. For this existence of natural terraces is one of the favorable conditions. In the basin of lower section of river Aragvi, on the right bank, there are the first and second terraces above the grove, while on the left bank five terraces are observed. Quaternary sediments on the terraces are presented in the form of loess clays, sands and shingle. On both banks of the river Aragvi the vegetable cover is less expressed. Vegetable cover on the first terrace over the grove is artificial, it consists of bushy stripes and meadow grass crops. Then come the terraces covered by oak and beech.

Water is one of the necessary terms for the creation of human settlements. On the lower terraces and in the grove we come across with springs. In the early settlements people used water conduits along side with springs.

The river Aragvi is one of the navigation arteries of the region.

Archaeological monuments on the right bank of the river Aragvi are located mainly on the first and second terraces over the grove. Many archaeological monuments were exposed in alluvial sediments of Old Mtskheta and Samtavro field. Exposure of possible underground monuments on the territory, from Bebristsikhe to Gartiskari, on the Narekvavi section and Mukhrani lowland need, further studies using the geophysical methods.

On the left bank of the river Aragvi we have brown soils, which from time immemorial were used for agricultural purposes. This is proved by the system of old drainage channels on Tsitsamuri valley. Likewise, it is desirable to perform studies using the geophysical methods in Gartiskari and the left bank of the river Aragvi, in the area of the present-day Galavani.

We consider that it is necessary to carry out the preliminary geophysical searching jobs on both sides of the river Aragvi in order to reveal the archaeological objects. Anomalous sectors, to be revealed during the study should be studied further with detailed prospecting. At the first stage of the study it is necessary to use a set of magnetoprospecting and electroprospecting methods, while during detailed jobs – additionally the methods of seismic prospecting and those of nuclear geophysics should be used.

ლიტერატურა

1. **აფაქიძე ა.** მცხეთა ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი. თბ., 1959.
2. **აფაქიძე ა.** ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I ნაწილი. თბ., 1963.
3. **მცხეთა, I.** არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1955.
4. **ნიკოლაიშვილი ვ.** ქალაქი მცხეთა ახ.წ. აღ. III-VI სს-ში. – კავკასიის მაცნე (სპეც. გამოც. 3), თბ., 2004, გვ. 39-43.
5. **ყიფიანი გ., გავაშელი ე.** წიწამურის ველის კოშკურა სახლი. – 1999 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, IV სამეცნიერო სესია. მცხეთა, 2000, გვ. 11-15.
6. **ტაბაღუა გ., ჯახუტაშვილი მ., თარხნიშვილი ა., ზარდალიშვილი თ., გიუნაშვილი გ.** არქეოგეოფიზიკური გამოკვლევების წინასწარი შედეგები არმაზციხე-ბაგინეთის ტერიტორიაზე. – 1999 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. IV სამეცნიერო სესია, მცხეთა, 2000, გვ. 4-10.
7. **Виленский Д. Г.** Погребенные почвы Сагурамского могильника в Грузии. – Почвоведение, 1925. т. XX, № 4, с. 33-37.
8. **Николаишвили В.** Историческая топография стольного города Картли-Иберии „Мцхета Великой“ в свете новых открытий. – Археология, этнология и фольклористика Кавказа. Материалы Международной конференции, Ереван, 2003, с. 137-140.
9. **Церетели Д. В.** Плеистоценные отложения Грузии. Тбилиси, 1965.
10. **Apakidze A., Tabagua G., Chanturishvili L., Chelidze T., Kipiani G., Giunashvili G., Jakhutashvili M.** Results of archaeogeophysical research at the Armaztsikhe-Bagineti ancient city (Eastern Georgia). – Bulletin of Georgian Academy of Sciences, Vol. 164, N№ 2, Tbilisi, 2001, pp. 284-286.

ნოდარ ფოფორაძე, ირინე ფარადაშვილი, დიმიტრი ახვლედიანი, ანა გასიტაშვილი

კერამიკის მინერალოგიური და პეტროგრაფიული კვლევა (ვანის მასალების მაგალითზე)

ჩვენი ნაშრომის მიზანია ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი კერამიკული მასალის მინერალოგიური, პეტროგრაფიული და რენტგენოფაზური მეთოდებით შესწავლა. ამ მიზნით 24 კრამიტის და 7 ჭურჭლის ნიმუში პოლარიზაციული მიკროსკოპით გამჭვირვალე შლიფებში იქნა შესწავლილი, ხოლო 6 კრამიტის და 3 ჭურჭლის ნიმუშის რენტგენოფაზური დიფრაქტოგრამა გაიშიფრა. ასევე შესწავლილია ვანის რაიონში არსებული ზოგიერთი ნედლეულის ნიმუში, რომლებიც დღესაც გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულების ნაკეთობების დასამზადებლად (აგური, კეცი და სხვ).

ჩვენს მიერ შესწავლილი კრამიტები ელინისტური ხანის კოლხურ ბრტყელ კრამიტებს მიეკუთვნებიან. შესწავლილ ფრაგმენტებზე დატანილია როგორც ნიშნები (სურ. 1. ნიმუში № 1; სურ. 2 ნიმუში № 11), ასევე დამღები. დამღები ორ ჯგუფად იყოფა – ჰერაკლიდეს დამღებად (სურ. 3, ნიმუში № 12; სურ. 4, ნიმუში № 14; სურ. 5, ნიმუში № 16) და სამეფო დამღებად (სურ. 6, ნიმუში № 17; სურ. 7, ნიმუში № 18; სურ. 8, ნიმუში № 19; სურ. 8, ნიმუში № 20).

ვიზუალურად განივკვეთში ღია ფერის მასალა (კვარცი, პლაგიოკლაზები) დამრგვალებული და ზოგჯერ ნატეხოვანი მარცვლებითაა წარმოდგენილი, რომლებიც ჭარბობენ მუქი (ლიმონიტი, მაგნეტიტი და სხვ.) მინერალების გამონაყოფებს განივკვეთში ზოგჯერ ზონალობა შეიმჩნევა. შედგენილობა ერთნაირია – განსხვავებულია მხოლოდ შემაკავშირებელი მასალის ფერი.

თითოეული ნიმუშის მიკროსკოპულ აღწერას აქ არ შევუდგებით, მაგრამ ზოგადი დახასიათება, განსაკუთრებული დეტალებით და განმასხვავებელი ნიშნებით, ალბათ, აუცილებელია.

კრამიტები მაკროსკოპულად წვრილმარცვლოვანია, წვრილფოროვანი, მოწითალო-აგურისფერი, ზოგჯერ ღია ფერის, ზოგჯერ მუქი. მარილმჟავაზე არ რეაგირებენ – კარბონატს არ შეიცავენ. შეუიარაღებელი თვალით ჩანს, როგორც თეთრი გამონაყოფები, ასევე მუქი (რკინის ჰიდროჟანგები).

მიკროსკოპში ქანი ნატეხური აგებულებისაა, ფოროვანი. ფორები ცარიელია, ნატეხები მრავალფეროვანი მასალით არის წარმოდგენილი და მათი ზომაც დიდ ფარგლებში მერყეობს. ისინი შემავსებელი მასის როლს თამაშობენ. შემაკავშირებელი მასალა თიხოვანი მასით არის წარმოდგენილი, რომელიც მიკროსკოპში თითქმის ყოველთვის მურა ფერისაა და დიდი რაოდენობით შეიცავს მექანიკურ, წვრილნატეხოვან მასალას, რომელიც შემადგენლობით ისეთივეა, როგორც ნატეხები. ნატეხებისა და თიხოვანი მასის რაოდენობრივი დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია. მეტ შემთხვევაში ნატეხები ჭარბობს, ან 50-50%-ზეა. №№ 4, და 23 ნიმუშებში თიხოვანი მასა ბევრად ჭარბობს ნატეხებს. ამ შემაკავშირებელი მასის თიხოვანი ნაწილი ჯვარედინ ნიკოლებში თითქმის ყოველთვის იზოტროპულია. უნდა აღინიშნოს, რომ ნატეხები ყოველთვის მკვეთრად კუთხოვანია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იგი დამუშავების პროცესში არის დამსხვრეული და დაწვრილმარცვლოვანებული.

ნატეხები პეტროგრაფიულად ძირითადად ეფუზიური ქანებითაა წარმოდგენილი და მათი ნაირსახეობა საკმაოდ დიდია: 1. ბაზალტი – მიკროლითებისა და მიკროპორფირული გამონაყოფების ჩანართებით, ფოროვანი ძირითადი მასით, რომელიც ხშირად მთლიანად გალიმონიტებულია ან ჩანაცვლებულია მეორადი წარმონაქმნებით; 2. ეფუზიური ქანი პორფირული სტრუქტურით, ძალიან შეცვლილი; 3. ეფუზიური ქანი აშკარად პორფირული სტრუქტურით, გაქლორიტებული ძირითადი მასით, პლაგიოკლაზის პორფირული გამონაყოფებით; 4. ეფუზიური ქანი სრულიად შავი ძირითადი მასით, რომელიც არეკლილ სინათლეშიც არ იძლევა არავითარ ეფექტს. გარდა მიკროპორფირული ჩანართებისა გვაქვს პლაგიოკლაზის მსხვილი პორფირული გამონაყოფები, ძლიერ გათიხებული; 5. ეფუზიური ქანი-ბაზალტი ძალიან შეცვლილი გალიმონიტებული ძირითადი მასით. პორფირული გამონაყოფები წარმოდგენილია პლაგიოკლაზით და პიროქსენით.

გარდა ამისა გვხვდება კვარციტის, კვარც-მინდვრისშპატიანი ქანების, სერიციტ-თიხოვანი ქანების (არგილიტისებური) ნატეხები. გვხვდება ალევრიტული სტრუქტურის ქანი, მისი ამოცნობა მხოლოდ მიკროსკოპის საშუალებით (მისი წვრილდისპერსიულობის გამო) შეუძლებელია.

გარდა ქანების ნატეხებისა, დიდი რაოდენობით გვხვდება ცაკლეული მინერალების ნატეხები. ასეთებია: კვარცი, პლაგიოკლაზები, კალიუმის მინდვრის შპატი, პიროქსენი, ლიმონიტი, რქატყუარა. კვარცის მარცვლების ზომა დიდ ფარგლებში მერყეობს, მისი პროცენტული შემცველობაც ცვალებადია. პლაგიოკლაზები თითქმის ყოველთვის საღია, იშვიათად ნაწილობრივ გათიხებული, ასევე კალიუმის მინდვრის შპატიც, რომელიც მცირე რაოდენობით შედის აღწერილ ნიმუშებში. პიროქსენი (ჩაქრო-

ბის კუთხე 45°), საშუალოდ ყველაში თანაბარი რაოდენობით შედის. № 15 და № 18-ში მისი რაოდენობა საკმაოდ მაღალია, იქ სადაც პიროქსენი დიდი რაოდენობითაა, გვხვდება მაგნეტიტი, ზოგჯერ გროვების სახითაც. იშვიათია მუსკოვიტის ქერცლები (№ 9 და 10), გვხვდება რქატყუარა (ნიმუშები 1, 3, 10, 13).

აღსანიშნავია ერთი მომენტი. კრამიტის ყველა ნიმუშში გვხვდება რკინის ჰიდროჟანგის (ლიმონიტის) ოოიდები. მათი რაოდენობა სხვადასხვა ნიმუშში ცვალებადია და ზომითაც დიდ ფარგლებში მერყეობს. ყველა შემთხვევაში ასეთ სხეულებს გარშემო აქვთ სიცარიელის არშია, ალბათ, გამოწვის შედეგად წარმოქმნილი. მათი აგებულება ზოგჯერ ნაჭუჭისებური, ზოგჯერ ჩვეულებრივ ფოროვანია, ხოლო ფორები ან ცარიელია ან ამოვსებულია მეორადი მასალით.

რაც შეეხება დამრგვალების ხარისხს – მასალაში შერეულია კარგად დამუშავებული მომრგვალებული ნატეხებიც და არის დაკუთხულიც. ეს ეხება ქანებსაც და მინერალებსაც.

პეტროგრაფიულად შესწავლილია ჭურჭლის ნიმუშებიც: №№ 26, 27, 31', 31'', 31''', 33, 34. ამათგან გვაქვს ნიმუშები, რომლებიც შემადგენლობით ახლოს დგანან კრამიტებთან, არის ისეთებიც რომლებიც საკმაოდ განსხვავებულებია. ნიმუშები 26 და 27 მსგავსია. მათი სტრუქტურა ნატეხურია, ფოროვანი, ფერი მოწითალო-ყავისფერი. მარილმჟავაზე არ რეაგირებენ – კარბონატს არ შეიცავენ. შემაკავშირებელი თიხანივთიერება შეიცავს დიდი რაოდენობით ძალიან წვრილნატეხურ მასალას, რომელიც მკვეთრად დაკუთხულია. ქანთა ნატეხები ნაირგვარია, მათ შორის ჭარბობს დიაბაზის ნატეხები. მათში შემავალი პლაგიოკლაზები გათიხებულია, ხოლო დანარჩენი მასა ჰიდროქარსებით არის ჩანაცვლებული. არის ეფუზიური ქანის ნატეხები, რომელთა ძირითადი მასა მთლიანად გათიხებულია, მაგრამ მიკროლითური სტრუქტურა კარგად ჩანს. პორფირული გამონაყოფები ასეთ ქანებში წარმოდგენილია პლაგიოკლაზებით და პიროქსენით. პირველი ყოველთვის შეცვლილია, მეორე – საღი.

რაც შეეხება ცალკეული მინერალების ნატეხებს ისინი წარმოდგენილია პიროქსენებით, კვარცით, პლაგიოკლაზით. კვარცი ძალიან ცოტაა და მისი მარცვლები მცირე ზომისაა. პლაგიოკლაზი ყოველთვის ძალიან შეცვლილია. მათ შორის პროცენტულად ჭარბობს პიროქსენი, რომელიც ყოველთვის საღია.

კრამიტების მსგავსად, აქაც გვხვდება რკინის ჰიდროჟანგის ოოლითური სხეულები, მათი აგებულება ფოროვანია.

27-ე ნიმუშში კვარცი თითქმის არ არის, ან იძლევა ძალიან წვრილ დაკუთხულ მარცვლებს. უნდა აღინიშნოს, რომ აქ გვხვდება იდეალურად მრგვალი ფორმის წარმონაქმნები მონომინერალური შემადგენლობით და ეს სავარაუდოთ ეპიდოტია.

განსხვავებულია ჭურჭლის 31' და 32'' ნიმუშები. პირველი მოწითალო-აგურისფერი, ფოროვანია, ხელით ადვილად იფშვნება. მიკროსკოპში ნიმუში თიხოვანი მასით არის წარმოდგენილი, რომელიც ძალიან მუქია და ჯვარედინ ნიკოლებში იზოტროპული, მექანიკური მინარევი არ აღემატება 15-20%-ს და წარმოდგენილია ძირითადად პიროქსენის მარცვლებით მცირე რაოდენობით გვხვდება მინდვრის შპატები. ქანების ნატეხები, თუ არის, ძირითადი მასისგან არ გამოირჩევა.

ნიმუში 31''' მაკროსკოპულად მოყავისფრონაცრისფერია წვრილმარცვლოვანი, წვრილფოროვანი. მიკროსკოპში ნიმუში განსხვავებულია წინა ნიმუშებისაგან. მისი თიხოვანი შემავსებელი მასა შეიცავს დიდი რაოდენობით წვრილნატეხურ მასალას. ნატეხების რაოდენობა თითქმის თანაბარ დამოკიდებულებაშია შემაკავშირებელ მასასთან. ნატხების სახეობებით (ბაზალტი, დიაბაზი და სხვ) ეს ნიმუში კრამიტების მსგავსია.

№№ № 31''' და ერთვანეთის მსგავსია, მაგრამ განსხვავდება შემადგენლობით. ნატეხები კვლავაც ნაირგვარია, მაგრამ ხშირად მათ ფოროვან სახეობებში ფორები ამოვსებულია ჰიდროქარსებით. არის შემთხვევები, როდესაც ფოროვანი ქანის ერთი ნაწილი მთლიანად პიროქსენითაა წარმოდგენილი. უსწორმასწორო უბნები უკავია ქლორიტიან მასას. როგორც ჩანს ეს ორი პროცესი ქანის მთელ მასას შეეხო. მინერალების ნატეხები წარმოდგენილია კვარცის მრგვალი ფორმის მარცვლებით. მისი შემცველობა უმნიშვნელოა. პიროქსენი იძლევა დიდი ზომის საღ კრისტალებს (ჩაქრობის კუთხე ≈45°). მას საკმაოდ დიდი ფართობი უკავია. დიდი რაოდენობით გვხვდება მაგნეტიტი, რომელიც ზოგჯერ პიროქსენთან არის დაკავშირებული, ან გაფანტულია მთელ ქანში. არის ლიმონიტის მარცვლები.

კრამიტის და ჭურჭლის ზოგიერთი ნიმუში, გარდა პოლარიზაციული მიკროსკოპით კვლევისა, რენტგენოფაზური ანალიზითაც იყო შესწავლილი.

ყურადღებას იპყრობს სიბრტყეთა შორის მანძილების ინტენსივობათა თანაფარდობა 3.34 Å, რაც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ნაკეთობაში კვარცის, პლაგიოკლაზის, პიროქსენის და რკინის ჟანგის თანაფარდობაზე. შესწავლილი ნიმუშები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: I (ნიმუშებში №№ 2, 3, 6, 9, 18, 19, 25, 27, 31, 34 და 41) კვარცის რაოდენობა მკვეთრად ჭარბობს პლაგიოკლაზებს; II (ნიმუშებში №№ 448, 50, 51 და აწყური) – საპირისპირო სურათი გვაქვს უმეტეს შემთხვევაში ჭარბობს პლაგიოკლაზები.

გაცილებით რთული ამოცანაა კერამიკაში წარმოდგენილი შემაკავშირებელი ნივთიერების – თიხის კვლევა, ვინაიდან თერმული დამუშავების დროს ის უმეტესწილად გადადის მინისებრ ამორფულ მასაში, რომელშიც შენარჩუნებულია საწყისი ნივთიერების მხოლოდ ფრაგმენტები. ბრიდლი თვლის, რომ ასეთი ტიპის მასალის შესწავლას პირობითი ხასიათი აქვს. ჩვენს შემთხვევაში ფრანკ-კამენეცკის რეკომენდაციებზე დაყრდნობით შეგვიძლია გამოვყოთ ორი ბაზალური არეკვლა. პირველი – 10.1 Å და 9.82 Å – საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნა თიხური მასის საწყისი ბუნების შესახებ.

10.1 Å-ის შემთხვევაში შემკვრელი მასა, როგორც ჩანს, წარმოდგენილი იყო შერეულ-შრეებრივი ქარს – მონტმორილონიტით, ხოლო მეორე შემთხვევაში ილიტ-მონტმორილონიტით.

შეიძლება ითქვას, რომ კრამიტებში – თიხური ნაწილი უკეთესად არის შენარჩუნებული, ჭურჭელში კი უფრო ცუდად, გადასულია მინისებრ მასაში და იზოტროპულია.

ვანის რაიონის გეოლოგია საკმაოდ მრავალფეროვანია. აგებულია შუაეოცენური მერგელებით, კირქვებით და ქვიშაქვებით, რადგან ვანის სამხრეთი ტერიტორია აჭარა-თრიალეთის მთათა სისტემაში მდებარეობს. სწორედ აჭარა-თრიალეთის ამგები ქანების დაშლილი მასალით არის წარმოდგენილი მდ. სულორის კარიერები, სადაც თავმოყრილია ვულკანური ბრექჩიის, ტუფების, ბაზალტების, ანდეზიტ-ბაზალტების, ანდეზიტების, დოლომიტების და ტრაქიტების ნაშალი გამოფიტული მასალა, სადაც ნატეხოვან მასალასთან ერთად გვაქვს მეორადი მინერალებით გამდიდრებული წვრილმარცვლოვანი მასა, რომელიც შემაცემენტებელ მასად გვევლინება.

ჩვენი მიზანი ამ კონკრეტულ შემთხვევაში იყო დაგვედგინა, ვანის ნაქალაქარზე შეგროვებული მასალის საფუძველზე აღწერილი კრამიტები და ჭურჭლის ნიმუშები ადგილობრივი მასალით არის დამზადებული თუ შემოტანილია. მათ შორის განსხვავებაც არის და მსგავსებაც. მათ პეტროგრაფიულ შემადგენლობაში ბევრი აქვთ საერთო: ქანების ნატეხების მსგავსება, თიხოვანი შემაკავშირებელი მასა შემადგენლობითაც და სტრუქტურითაც ერთნაირია. ერთი უნდა აღინიშნოს, რომ ჭურჭელში უმთავრესად თიხანივთიერება ჭარბობს, ხოლო ნატეხები ბევრად ნაკლები რაოდენობით შედის, 30%-ია. მარეკოგნოსცირებელ როლს თამაშობს რკინის ჰიდროჟანგის ოოლითები, რომლებიც ორივეგან გვხვდება. ხოლო მკვეთრი განმასხვავებელი ნიშანია ჰიდროქარსების და ქლორიტის დიდი რაოდენობა ჭურჭლის ზოგიერთ ნიმუშში. უნდა ვივარაუდოთ, რომ მასალა ადგილობრივია და აღებულია გამოტანის კონუსიდან, რომელიც ხასიათდება სწორედ ასეთ ჭრელი შემადგენლობით. ხოლო ჭურჭლისთვის შეგნებულად შერჩეულია თიხოვანი ნივთიერებით გამდიდრებული სახესხვაობები.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ აჭარა-თრიალეთის ზონის ჩრდილო ფერდი, საიდანაც მდინარეთა ჩამონათვალი იკვებება, აგებულია საშუალო და ფუძე ვულკანიტებით. შესწავლილ ნაკეთობებში პიროქსენებისა და რქატყუარას კრისტალების არსებობა სწორედ ადგილობრივ საწყის მასალებზე მიუთითებს.

მეტად საინტერესოა კრამიტზე ჩატარებული ანალიზების შედეგები: თუ ადრე მხოლოდ ვიზუალური დაკვირვების შედეგად შეიძლებოდა მათი საწარმოოო ცენტრის განსაზღვრა, ეხლა შეიძლება ითქვას, რომ სამივე ჯგუფის ნაწარმი (ნიშნიანი, ჰერაკლიდეს დამღიანი და სამეფო დამღიანი კრამიტები) ერთი შემადგენლობის ნედლეულისგან არის დამზადებული.

N. Poporadze, I. Paradashvili, D. Akhvlediani, A. Gasitashvili

MINERALOGIC AND PETROGRAPHIC STUDY OF POTTERY (As exemplified by Vani archaeological material)

(Summary)

The paper deals with the results of a mineralogical, petrographic and radiographic study of pottery obtained by excavations on the territory of the Vani city site. Thin transparent sections of 24 tiles were analyzed under a polarization microscope. Radiographic diffractogram of samples of 6 tiles and 3 vessels were deciphered. The aim of the study was to find out whether non-metal artifacts were manufactured of local materials or were imported. Detailed analysis led us to conclusion that local material were used, in particular, this material had been obtained from a river and alluvium fans, characterized by heterogeneous, mixed composition. It should be noted, however, that the same material, but enriched with clay elements, was used for manufacturing the pottery.

ნიკ. II





სურ. 1 ნიმუში № 1

ნიკ. II





სურ. 2 ნიმუში № 2 სურ. 3 ნიმუში № 3

ნიკ. II





სურ. 4 ნიმუში № 9 სურ. 5 ნიმუში № 19

ნიკ. II





სურ. 6 ნიმუში № 25

ნიკ. II





სურ. 7 ნიმუში № 26

ნიკ. II



სურ. 8 ნიმუში № 27

კრამიტისა და ჭურჭლის ნიმუშები პოლარიზაციულ მიკროსკოპში

სურ. 1 ნიმუში № 1

სურ. 2 ნიმუში № 11

სურ. 3 ნიმუში № 12

სურ. 4 ნიმუში № 14



სურ. 5 ნიმუში № 16

სურ. 6 ნიმუში № 17

სურ. 7 ნიმუში № 18

სურ. 8 ნიმუში № 19

სურ. 8 ნიმუში № 20

კრამიტზე ამოტვიფრული დამღები

ქრონიკა

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 2005 წელს

სამეცნიერო სესია-კონფერენციები

2005 წელს არქეოლოგიურმა კვლევის ცენტრმა ჩაატარა ორი სამეცნიერო სესია შემდეგი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით:

26 აპრილი-3 მაისი. ტრადიციული საანგარიშო სამეცნიერო სესია 2004 წელს ჩატარებული საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების შესახებ. მოხსენებები: დ. კაჭარავა – ოქრომრავალი კოლხეთის (ვანის) ახალი მდიდრული სამარხი; ირ. ღამბაშიძე, ა. ჰაუპტმანი (ბოხუმი) – ახლადგამოვლენილი ოქროს მოპოვების უძველესი კერა ქვემო ქართლში (ბოლნისი, სოფ. საყდრისი) და რადიოკარბონული თარიღების უახლესი მონაცემები; ჰანსენი (ბერლინი) – გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტისა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ერთობლივი სამუშაოების შესახებ; კ. ფიცხელაური, ი. მოცენბეკერი (ბერლინი) – ქართულ-გერმანული ერთობლივი სამუშაოები ტახტიფერდაზე (დედოფლისწყარო); ა. კახიძე, მ. ვიკერსი (ოქსფორდი) – საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი ექსპედიცია ფიჭვნარში; მ. კორფმანი, რ. ბერტრამი (ტიუბინგენი) – ქართულ-გერმანული ერთობლივი სამუშაოები დავით გარეჯის უდაბნოში. ცალკე იყო წარმოდგენილი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დერეფანში ჩატარებული სამუშაოები: გ. ნარიმანიშვილი, ჯ. ამირანაშვილი – წალკის ექსპედიცია; ზ. შატბერაშვილი, გ. გოგოჭური – ხაიშის და ნაჭივჭავების (თეთრიწყაროს რაიონი) ძეგლები; გ. მირცხულავა, დ. მინდორაშვილი – სამშვილდის ძეგლები (თეთრიწყაროს რაიონი); თ. მეშველიანი – გათხრები მარნეულის რაიონში; ირ. ღამბაშიძე – გათხრები სოფელ კლდეში (ბორჯომის რაიონი); გ. ღამბაშიძე – სოფ. ციხისჯვრის კომპლექსი (ბორჯომის რაიონი); რ. რამიშვილი, დ. მინდორაშვილი – გათხრები ტაძრისში (ბორჯომის რაიონი); მ. ბარამიძე, გ, რჩეულიშვილი – გათხრები ჭორათში (ვალესთან, ახალციხის რაიონი); ვ. ლიჩელი, გ. რჩეულიშვილი – გათხრები მილსადენის 211-ე კილომეტრზე; გ. გოშკარლი – მილსადენის არქეოლოგია აზერბაიჯანში (აზერბაიჯანი); ტ. ახუნდოვი, ნ. მუსიბლი (აზერბაიჯანი) – ადრეული ცივილიზაციის ძეგლები ჯანდარის ტბის მონაკვეთში (საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი); დ. კასაბ-ტეზგორი – სამხრეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კონტაქტები (ანკარა); ი. სენიურტი – მილსადენის არქეოლოგია თურქეთში (გაზის უნივერსიტეტი); ვ. ჯაფარიძე, გ. ინანიშვილი – ინტერდისციპლინარული კვლევების ძირითადი მიმართულებები და შედეგები; გ. ინანიშვილი, ნ, კალანდაძე – ლითონების რესტავრაცია-კონსერვაცია; ნ. რუსიშვილი – პალეობოტანიკური კვლევა; ე. ყვავაძე (პალეობიოლოგიის ინსტიტუტი) – პალინოლოგიური კვლევა; ო. ბენდუქიძე (პალეობიოლოგიის ინსტიტუტი) – პალეოზოოლოგიური მონაცემები; ლ. ასლანიშვილი (ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი) – კრანიოლოგიური კვლევა; მ. ჯახუტაშვილი, გ. ქუთელია (თსუ) – ახალციხის რაიონში (ვალე) ჩატარებული გეოფიზიკური ძიების წინასწარული მონაცემები; ჯ. კოპალიანი – არქეოლოგიური გათხრები დმანისში; მ. ნიორაძე – დმანისის ადრეპალეოლითური ადგილსამყოფელი; ა. ვეკუა, დ. ლორთქიფანიძე – უახლესი პალეონტოლოგიური მონაცემაბი დმანისიდან; შ. მამულაძე (გონიო-აფსაროსის მუზეუმი), დ. მინდორაშვილი, გ. ებრალიძე (ბათუმი) – გონიოაფსაროსის ახალი მონაცემები; გ. მახარაძე (ხელოვნების მუზეუმი) – ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია; მ. აბრამიშვილი, თ. ვაშაკიძე – გადარჩენითი არქეოლოგიური გათხრები თრელიგორების ნასახლარზე; ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე – ქუთაისის ნაქალაქარი. ბოლო დღე დაეთმო კოლოქვიუმს თემაძე: კოლხეთის უძველესი საქალაქო ცენტრები და ქ. ფასისის ძიების პრობლემა. მოხსენებები წაიკითხეს ვ. ჯაფარიძემ – შესწავლის ისტორია და პრობლემები; მ. იმნაძემ, ნ. ხაზარაძემ, დ. მუსხელიშვილმა, რ. გორდეზიანმა, ნ, ლომოურმა – წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიის მონაცემები საქალაქო ცენრების შესახებ; გ. გრიგოლიამ, რ. პაპუაშვილმა, თ. ბერიძემ, გ. გვინჩიძემ – ისტორიულ-გეოგრაფიული და არქეოლოგიის ძიების შედეგები. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო ჯ. ჯანელიძემ – გეოლოგიური და გეომორფოლოგიური კვლევა ფოთში.

26-29 სექტემბერი. შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის XI საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე „შავიზღვისპირეთი ელინისტური სამყაროს სისტემაში", რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 75 წლისთავს და გაიმართა ვანში. მოხსენებები: ჯ. მ. ჰოიტე – მითრიდატე VI–ის გარდაცვალება და დაკრძალვა; ა. დე ვინსენცი – Terra sigillata იერუსალიმის თავდაცვითი კედლის გათხრებიდან; И. Бабаев – О взаимосвязах западного Прикаспия с Причерноморьем в эллинистическую эпоху; დ. კასაბ ტეზგორი – შავი ზღვის თურქეთის სანაპიროს მუზეუმებში დაცული კერამიკული ტარის კოლექციები: ამფორების ტიპოლოგია და ამფორებით ვაჭრობა; ლ. ზუმერერი – ელინისტური

ხანის ახალი ბრინჯაოს ნივთები ამისონიდან; ა. ბარალისი, ა. რიაპოვი – პონტოს აპოლონიის კალფატას (საზოპოლი, ბულგარეთი) კლასიკური და ელინისტური ხანის სამაროვნის ფრანგულ-ბულგარული გათხრები. ფრანგულ ნაწილში ჩატარებული სამუშაოების პირველი შედეგები; კ. კარადიმიტროვა – სამშენებლო კერამიკა მესემბრიიდან და სავაჭრო ურთიერთობები პონტოს ქალაქებს შორის ადრეელინისტურ ეპოქაში; პ. დიუპონი, ვ. ლუნგუ – ელინისტური ხანის ნაცრისფერკეციანი დინოსი ისტროსიდან; მ. ფელპსი – გარემოს არქეოლოგიის მენეჯმენტი: ჰალმირისის მაგალითი; მ. ზაჰარიადე – რომაული არმია ჰალმირისში; დ. ახვლედიანი, ე. გიგოლაშვილი, ვ. თოლორდავა, დ, კაჭარავა, გ. კვირკველია, ნ. მათიაშვილი, მ. ფირცხალავა, ა. ჭყონია, ს. ხარაბაძე – არქეოლოგიური გათხრები ვანში 2003-2005 წლებში (ინფორმაციები მუზეუმის ფონდებიდან და გათხრებზე); С. Крыжицкий – Новое в типологии эллинистических жилых домов Ольвии; В Крапивина – К исторической топографии территории цитадели Ольвии Понтийской; Н. Лейпунская – Амфоры Ольвии (участок НГС); А. Иванчик – Неизвестная надпись из Ольвии, открытая двести лет назад; პ. გულდაგერ ბილდე – საგზაო რუკა გადასარჩენად? მოსაზრებანი ელინისტური ტერაკოტული საკურთხევლების შესახებ; ს. ბუისკიხი – ოლბიის სასოფლო ტერიტორია ელინისტურ ხანაში (საზღვრები, დასახლების ტიპები, აგრარული კადასტრი); ჟ. პ. დე ბოერი – სინოპური და კოლხური ამფორების დამღები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში: საერთო ბაზარი?; კ. დომზალსკი – ელინისტური ხანის ნატიფი კერამიკა კიმერიული ბოსფორიდან: ზოგადი შენიშვნები და ახალი აღმოჩენები; В. Толстиков – Акрополь Пантикапея в эллинистический период. Итоги изучения за 60 лет; В. Гончаровский – Исследование Семибратнего городища (Лабриса) в 2001-2004 гг.; ა. დანი – ანთროპომორფული მინის მძივები შავიზღვისპირეთში: წარმომავლობა, გავრცელება, მნიშვნელობა; ი. ზაიცევი – სკვითების ნეაპოლისი – მეფე სკილურის რეზიდენცია ძვ.წ. II საუკუნეში; მ. ტრეისტერი – მაკედონიური ლითონის ჭურჭელი სკვითურ სამეფო სამარხებში. სკვითურ-მაკედონიური კონტაქტებისთვის ძვ.წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედში; ვ. მორდვინცევა პონტური გრაფიკული სტილი ტორევტიკის ნიმუშებზე ძვ.წ. II-I საუკუნეების ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში; ი. ბოლტრიკი – სკვითური ყორღანების სისტემა; ა. კახიძე, გ. თავამაიშვილი, მ. ვიკერსი – ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე; ნ. ძნელაძე – გრაფიტოები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნიდან; მ. თურმანიძე – ფიჭვნარის ელინისტური ხანის მძივსაკიდები; ნ. ვაშაკიძე, ნ. ინაიშვილი – ელინისტური ხანის მძივსამკაულები ციხისძირის სამაროვნიდან; შ. მამულაძე, მ. ხალვაში, ე. კახიძე – აფსაროსი ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში; ვ. ლიჩელი – „ელინიზმი“ საქართველოში: სამი რეგიონი – სამი ეტაპი; ვ. ჯაფარიძე – გვიანი ელინიზმი და რომაული ექსპანსია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში; ნ. მათიაშვილი – პერგამონი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ელინისტურ ხანაში; ა. ოპაიტი – აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საღვინე ამფორები; უ. ზენსი – კანთაროსი კოლხეთში. ბერძნული კერამიკის წამყვანი ფორმა როგორც აკულტურიზაციის პროცესების ინდიკატორი ელინისტურ ხანაში?; ა. ჭყონია – კოლხური ოქრომჭედლობა – ადგილობრივი ტრადიცია და ელინისტური კულტურის იმპულსები; დ. ბრაუნდი – კიდევ ერთხელ ფასისელთა კონსტიტუციის შესახებ; მ. ფოდო – რომაული ქალაქების დაარსება ფასისის დელტაში: ანტიკური წყაროები და არქეოლოგიური რუკა; რ. პაპუაშვილი, გ. წოწორია – გეოლოგიური სტრატიგრაფია და არქეოლოგიური სიტუაცია მდ. ხობის შესართავთან (ძვ.წ. VI-IIIსს.); ზ. ბრაგვაძე, გ. მახარაძე – საირხე ელინისტურ ხანაში; დ. ახვლედიანი, დ. კაჭარავა, გ. კვირკველია – ვანი ძვ.წ. IV საუკუნესა და III საუკუნის პირველ ნახევარში; გ. დუნდუა – ვანი და გარესამყარო ელინისტურ ხანაში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით; ნ. ლორთქიფანიძე – შეწირულობანი ვანის თორმეტსაფეხურიანი საგანძურიდან.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კონფერენციის მუშაობაში:

ბაქოში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა“, მოხსენებები გაგზავნა ცენტრის 15 თანამშრომელმა (ჯ. ამირანაშვილი, გ. ნარიმანიშვილი, ლ. ნებიერიძე, გ. ნიორაძე, ა. ორჯონოკიძე, ი. სულთანიშვილი, რ. ხვისტანი, კ. წერეთელი, ლ. ჭელიძე, გ. ჩიქოვანი, მ. ჭირაქაძე, ზ. შატბერაშვილი, დ. ლეკაშვილი, მ. რჩეულიშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები გამოქვეყნდა – იხ. ქვემოთ).

პრაღაში (ჩეხეთი) გამართულ ანტიკური შავიზღვისპირეთის მესამე საერთაშორისო ინტერნაციონალურ სიმპოზიუმზე მონაწილეობა მიიღეს ე. ბაღათურიამ და გ. მირცხულავამ.

ტრაპიზონში (თურქეთი) გამართულ შავი ზღვის ისტორიის საერთაშორისო სიმპოზიუმზე მონაწილეობა მიიღო ე. ბაღათურიამ და წაიკითხა მოხსენება „კოდორის ხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობები“.

2005 წლის 20-23 აპრილს ვერონაში ჩატარდა ს. სემიონოვის წიგნის, „პირველყოფილი ტექნიკის“ 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ტრასოლოგების სიმპოზიუმი, სადაც მოხსენებით

გამოვიდა ქ. ესაკია – „სამხრეთ კავკასიის მეზოლით-ენეოლითური ნასახლარების ეკონომიკური ეფექტიანობა (ქვის იარაღების ტრასოლოგიური ანალიზის მიხედვით)“.

საერთაშორისო სიმპოზიუმზე – „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში, წარსული, აწმყო, მომავალი“ გ. ყიფიანმა წაიკითხა მოხსენება – „უკანასკნელი წარმართული ტაძარი და პირველი ქრისტიანული ეკლესია დიდი მცხეთის გარემოში“ (აკც-ს მცხეთის ფილიალი).

სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლება

ორმა თანამშრომელმა (ს. აბულაშვილი, ი. სულთანიშვილი) არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სადისერტაციო საბჭოზე დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ავტორეფერატებზე მითითება იხ. ქვემოთ).

საექსპედიციო საქმიანობა

საველე სამუშაოები ჩაატარა შემდეგმა ექსპედიციებმა: დმანისის ადრეპალეოლითური სადგომის (მ. ნიორაძე), სამხრეთ საქართველოს მთიანეთის (მ. გაბუნია), ვანის (დ.კაჭარავა), ახალციხის (მ. ბარამიძე), წალკის (გ. ნარიმანიშვილი), აწყურის (ვ. ლიჩელი), გონიო-აფსაროსის (დ. მინდორაშვილი), დმანისის (ჯ. კოპალიანი), თეთიწყაროს რ-ნის (გ. მირცხულავა, ზ. შატბერაშვილი), მაშავერას ხეობის, ჯავახეთის (კ. კახიანი), ირგანჩაის (ე. ღლიღვაშვილი), ზუგდიდის რ-ნის სოფ. ცაიშის, ხობის რ-ნის სოფ. ყულევის (რ. პაპუაშვილი), რაჭის (ბ. მაისურაძე), უდაბნოს (კ. ფიცხელაური), საყდრისის ქართულ-გერმანული (ი. ღამბაშიძე); არუხლოს ქართულ-გერმანული (გ. მირცხულავა), ტროას პროექტით (ქ. ტიუბინგენი, გერმანია. ხელმძღვ., კ. ფიცხელაური).

მივლინებები

საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში მივლინებით იმყოფებოდნენ ზ. მახარაძე (საფრანგეთი, SNRS-ის სამეცნიერო სტიპენდიით მიწვევა), კოტე ფიცხელაური – (DAD-ის სტიპენდიით მივლინება გერმანიაში), ქ. ესაკია (ვერონა, იტალია), ე. ბაღათურია (ინგლისი), მ. აბრამიშვილი (ნიუ-იორკი, ამერიკა), გ. ბედიანიშვილი (თურქეთი), გ. ღამბაშიძე (ისრაელი), ი. ღამბაშიძე (ბოხუმი, გერმანია), ნ. კალანდაძე (ვენა, ავსტრია), კ. ფიცხელაური (აზერბაიჯანი, სომხეთი), კ. ფიცხელაური, კოტე ფიცხელაური (კიევი, უკრაინა).

2005 წელს გამოქვეყნებული ნაშრომები

ა) მონოგრაფიები, კრებულები, ჟურნალები

აბდალაძე ალ. სომხურ ხელნაწერთა ანდერძმინაწერები საქართველოს შესახებ (X-XIII სს.) გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2005, 200 გვ.

ბუხრაშვილი პ. საცხოვრისი ქართველი ერის ყოფასა და კულტურაში ძველად. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2005, 302 გვ., 15 ტაბ., რეზ. ინგლ. ენ.

გამყრელიძე გ. ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან. გამომცემლობა „დიოგენე“, თბ., 2005, 25 გვ.

გამყრელიძე გ., ფირცხალავა მ., ყიფიანი გ. ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (ანტიკური პერიოდი). გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2005, 231 გვ., 37 ტაბ., 32 სურ., რეზ. ინგლ. ენ.

მათიაშვილი ნ. ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიის საკითხები. თბ., 2005, 197 გვ., 35 ტაბ., (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი).

მინდორაშვილი დ. არქეოლოგიური გათხრები ხევში. თბ., 2005, 241 გვ., 35 ტაბ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი). (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, IV)

ორჯონიკიძე ალ. მასალები საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიისათვის. თბ., 2005, 146 გვ., 6 ტაბ., 24 რუკა. რეზ. ინგლ. ენ. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი).

პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. კოლხეთის ძველი ნამოსახლარები – ერგეტა. თბ., 2005, 79 გვ. 25 ტაბ., რეზ. ინგლ. ენ. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი).

რუსიშვილი ნ., მაისაია ი. შანშიაშვილი თ. კოლხეთის აგრარული კულტურა. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 2005, 152 გვ., 81 სურ., 9 ცხრილი, რეზ. ინგლ. ენ.

რჩეულიშვილი მ. დიდი მცხეთის მოსახლეობა ბრინჯაო-რკინის ხანაში. თბ., 2005, 153 გვ., 141 სქემა., 30 ცხრ., რეზ. რუს. ენ. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. გ. ნიორაძის სახელობის მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი).

სადრაძე ვ. ურეკის არქეოლოგიური ძეგლები. გამომცემლობა „გურია“, თბ., 2005, 110 გვ. 23 ტაბ., რეზ. ინგლ. ენ.

ფიცხელაური კ. ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა ძვ.წ. XIV-XIII სს. (კულტურის არსი, დამახასიათებელი ნიშნები, გავრცელების ფარგლები). გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 2005, 171 გვ., რეზ. ინგლ. ენ.

ფიცხელაური კ. ცენტრალურამიერკავკასიური ბრინჯაოს ლაგმები. – ამირანი. XII, თბ., 2005, გვ. 7-18, 14 ტაბ. (კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე).

იბერია-კოლხეთი. საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული. ძიებანი, დამატებანი, XIV. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ოთ. ლორთქიფანიძის

სახ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი. თბ., 2005, 205 გვ., ანოტაციები ინგლ. ენ. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი).

რუსთავი III. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კრებული. თბ., 2005, 110 გვ., 45 ტაბ., რეზ. რუს. ენ. (არქეოლოგიური კვლევის ცენტრი). ქვემოთ შემოკლებით – რუსთავი III.

ბ) სტატიები, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, ავტორეფერატები

აბულაშვილი ს. ბორის კუფტინი და საქართველოს არქეოლოგია. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 2005, 52 გვ., პარალ. ტექსტი რუს. ენ. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი).

ახვლედიანი დ. უცხოური ნაწარმის გავრცელება კოლხეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. V-II სს-ში. – ძიებანი, დამატებანი, XIV, თბ., 2005, გვ. 65-71, ანოტაცია ინგ. ენ.

ახვლედიანი დ., კაჭარავა დ., კვირკველია გ. ვანი ძვ.წ. IV საუკუნესა და III საუკუნის პირველ ნახევარში. – ძიებანი, დამატებანი, XIII, თბ., 2005, გვ. 7-8, ანოტაცია ინგ. ენ.

ბრაგვაძე ზ. მახარაძე გ. საირხე ელინისტურ ხანაში. – ძიებანი, დამატებანი, XIII, თბ., 2005, გვ. 14-16, ანოტაცია ინგ. ენ.

ბრაგვაძე ზ. ყვირილის ხეობა გვიანანტიკურ ხანაში. – ძიებანი, დამატებანი, XIV, თბ., 2005, გვ. 109-116, 2 ტაბ., ანოტაცია ინგ. ენ.

ბრაგვაძე ზ. რამდენიმე შენიშვნა ძველი კოლხეთის ჰიდრონიმების შესახებ. – საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები, ტ. IX, თბ., 2005, გვ. 3-7. რეზ. ინგლ. ენ.

ბრაგვაძე ზ. არქეოლოგიური გათხრები სოფ. ქვემო ბერეთისაში. – საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები, თბ., 2005, გვ., 15-24, ტ. IX, რეზ. ინგ. ენ.

გამყრელიძე გ. ნაოსნობის ისტორიისათვის ანტიკური პერიოდის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. – ძიებანი, დამატებანი, XIV, 2005, გვ. 181-186, 6 ილ., ანოტაცია ინგ. ენ.

გიგოლაშვილი ე. ვერცხლის ჭურჭელი საირხედან. – ძიებანი, დამატებანი, XIV, 2005, გვ. 57–62, 2 ტაბ., ანოტაცია ინგ. ენ.

დუნდუა გ. სამონეტო მიმოქცევა იბერიაში I-IV სს. (ზოგადი მიმოხილვა). – ძიებანი, დამატებანი, XIV, 2005, გვ.170-180, 1 ტაბ., ანოტაცია ინგ. ენ.

დუნდუა გ. რეცენზია გელა გამყრელიძის წიგნზე „კოლხეთი (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი)“ გამომცემლობა „ლოგოსი“, თბ., 2005, 264 გვ. – ძიებანი, დამატებანი, XIV, გვ. 194-195, ანოტაცია ინგ. ენ.

დუნდუა გ. ვანი და გარესამყარო ელინისტურ ხანაში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით. – ძიებანი, დამატებანი, XIII, 2005, გვ. 25-26, ანოტაცია ინგ. ენ.

თოდუა თ. რკინის ხერხი და ბარები დედოფლის გორის არქეოლოგიური მასალიდან. – ძიებანი. – დამატებანი, XIV, 2005, გვ. 72-75, 1 ტაბ., ანოტაცია ინგ. ენ.

თურმანიძე მ. ფიჭვნარის ელინისტური ხანის მძივ-საკიდები. – ძიებანი, დამატებანი, XIII, 2005, გვ. 32, ანოტაცია ინგ. ენ.

კახიძე ა., თავამაიშვილი გ., ვიკერსი მ. – ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე. – ძიებანი, დამატებანი, XIII, გვ. 43-35, 2005, ანოტაცია ინგ. ენ.

კვირკველია გ. ბრინჯაოს ახალი ქანდაკება ვანიდან (ექსპრეს-ინფორმაცია). – ძიებანი, დამატებანი, XIV, 2005, გვ. 187-188, 3 სურ., ანოტაცია ინგ. ენ.

კიღურაძე ნ. დაკრძალვის რიტუალი ბიჭვინთის სამაროვანზე (ორმოსამარხები). – ძიებანი, დამატებანი, XIV, 2005, გვ. 85-92, 2 ტაბ., ანოტაცია ინგ. ენ.

ლეკაშვილი დ. ქარვის მძივები მცხეთის გვიანანტიკური ხანის სამარხებში. – ძიებანი. დამატებანი, XIV, გვ. 148-152, 1 ტაბ., ანოტაცია ინგ. ენ.

ლიჩელი ვ. მესხეთის ანტიკური ხანის ნამოსახლარები. – ძიებანი, დამატებანი, XIV, 2005, გვ. 161-169, 2 ტაბ., ანოტაცია ინგ. ენ.

ლიჩელი ვ. – „ელინიზმი“ საქართველოში: სამი რეგიონი – სამი ეტაპი. – ძიებანი, დამატებანი, XIII, 2005, გვ. 35, ანოტაცია ინგ. ენ.

ლორთქიფანიძე ნ. შეწირულობანი ვანის თორმეტსაფეხურიანი საგანძურიდან. – ძიებანი, დამატებანი, XIII, გვ. 2005, 37-38, ანოტაცია ინგ. ენ.

მათიაშვილი ნ. პერგამონი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ელინისტურ ხანაში. – ძიებანი, დამატებანი, XIII, 2005, გვ. 38-39, ანოტაცია ინგ. ენ.

მათიაშვილი ნ. საკურთხევლები ვანის ნაქალაქარის სატაძრო კომპლექსიდან. – ძიებანი, დამატებანი, XIV, 2005, გვ. 117-123, 1 ტაბ., ანოტაცია ინგ. ენ.

მირიანაშვილი ნ. ახალი არქეოლოგიური მონაცემები ძალისას ნაქალაქალაქარიდან. – ძიებანი, დამატებანი, XIV, 2005, გვ. 153-160, 3 ტაბ., ანოტაცია ინგ. ენ.

ნიკოლაიშვილი ვ. დიდი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია (არქეოლოგიურ მონაცემთა მიხედვით). – ძიებანი, დამატებანი, XIV, 2005, გვ. 93-108, 9 ტაბ., ანოტაცია ინგ. ენ.

პაპუაშვილი რ. წოწორია გ. გეოლოგიური სტრატიგრაფია და არქეოლოგიური სიტუაცია მდ. ხობის შესართავთან (ძვ.წ. VI-IIIსს.). – ძიე-

ბანი, დამატებანი, XIII, 2005, გვ. 40, ანოტაცია ინგ. ენ.

რამიშვილი ქ. მდ. არაგვის ხეობაში ფრინველის ბრინჯაოს მინიატურული გამოსახულება. – ძიებანი, დამატებანი, XIV, 2005, გვ. 48-56, 3 ტაბ., ანოტაცია ინგ. ენ.

საგინაშვილი მ. მინის „დამღიანი" ოთხწახნაგა ჭურჭელი მცხეთიდან. – ძიებანი, დამატებანი, XIV, გვ. 39-47, 2 ტაბ., ანოტაცია ინგ. ენ.

სულთანიშვილი ი. ცხენის აღკაზმულობა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 2005, 67 გვ. 7 ტაბ. პარალ. ტექსტი რუს. ენ. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი).

ფირცხალავა მ. შუბის ტიპოლოგიის საკითხისათვის ანტიკური ხანის საქართველოს არქეოლოგიური მასალიდან. – ძიებანი, დამატებანი, XIV, 2005, გვ. 7-18, 1 ტაბ., ანოტაცია ინგ. ენ.

ყიფიანი გ. არმაზციხის უკანასკნელი წარმართული ტაძარი, ქართული არქიტექტურის თეორიისა და ისტორიის საკითხები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, № 1 (4), თბ., 2005. გვ. 11- 38., 15 ტაბ., რეფ. ქართ., რუს., და ინგ. ენ.

ყიფიანი გ. ქვის დარბაზები. – სამეცნიერო შრომების კრებული, ხელოვნებათმცოდნეობა № 6, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2005, გგვ. 247-264. 16 სურ., რეზ. ინგ. ენ.

ყიფიანი გ., ახალაია ლ., ნიკოლაიშვილი ბ., ხუნდაძე ნ. უფლისციხე 2004. არქეოლოგიურ-არქიტექტურული ძიების ანგარიში და კვლევის წინასწარული შედეგები. – ნარკვევები (შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი), № 10, 2005, გვ. 235-242, 8 სურ.

ჩარკვიანი მ. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. – ძიებანი, დამატებანი, XIV, 2005, გვ. 76-84, 1 რუკა, ანოტაცია ინგ. ენ.

ჩიხლაძე ვ. ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილი ყვითელი ფერის მინის მედალიონები და მძივები. – ძიებანი, დამატებანი, XIV, 2005, გვ. 142-147, 3 ტაბ., ანოტაცია ინგ. ენ.

ძიძიგური ლ. ნაცარგორას ძვ.წ. V-III სს. სამაროვანზე აღმოჩენილი ერთი სამეურნეო იარაღის ფუნქციის გარკვევისათვის. – ძიებანი, დამატებანი, XIV, 2005, გვ. 124-132, 3 ტაბ., ანოტაცია ინგ. ენ.

წერეთელი კ., ბოლქვაძე გ. ულუმბის მონასტერში 2003 წელს აღმოჩენილი VI-VII სს. გულსაკიდი ჯვარი. – ოაზისი (წმ. გერასიმეს საძმოს ქრისტოლოგიური ჟურნალი). ათენი, 2005, № 4, გვ. 18-20.

წერეთელი კ. გულსაკიდი ჯვარი ულუმბის ღვთისმშობლის მონასტრიდან. – კავკასიის მაცნე, № 13, 2005, თბ., გვ. 135-140, ანოტაცია ინგ. და რუს. ენ.

ჭანიშვილი თ. ზარაკების ტიპოლოგია-ქრონოლოგიის საკითხები აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალის მიხედვით. – ძიებანი, დამატებანი, XIV, 2005, გვ. 19-29, 1 ტაბ., ანოტაცია ინგ. ენ.

ჭყონია ა. ოქრო კოლხეთიდან. – ძიებანი, დამატებანი, XIV, გვ. 2005, 189-193, 2 სურ. ანოტაცია ინგ. ენ.

ჭყონია ა. კოლხური ოქრომჭედლობა – ადგილობრივი ტრადიცია და ელინისტური კულტურის იმპულსები. – ძიებანი, დამატებანი, XIII, გვ. 2005, 47-48, ანოტაცია ინგ. ენ.

ხარაბაძე ს. სამარხები სოფ. ქვედა ციხესულორის ტერიტორიიდან. – ძიებანი, დამატებანი. XIV, 2005, გვ.30-38, 3 ტაბ., ანოტაცია ინგ. ენ.

ჯაფარიძე ვ. გვიანი ელინიზმი და რომაული ექსპანსია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. – ძიებანი, დამატებანი, XIII, გვ. 48-50, ანოტაცია ინგ. ენ.

ჯიქია ლ. სოფ. ორულუს ნამოსახლარი დიხაგუძუბები. – ძიებანი, დამატებანი, XIV, 2005, გვ. 133-141, 4 ტაბ., ანოტაცია ინგ. ენ.

Амиранашвили Дж., Нариманишвили Г. Поселение эпохи средней бронзы из Триалети. – Международная научная конференция «Археология, этнология, фольклористика Кавказа». Баку, 2005, 4 рис., с. 42-43.

Лекашвили Д. Золотые браслеты из погребений «Мцхеты Великой» в позднеантичный период. – Международная научная конференция «Археология, этнология, фольклористика Кавказа», Баку, 2005, с. 118-119.

Нариманишвили Г. К изучению знаков отличия (инсигния из Триалети). – Международная научная конференция «Археология, этнология, фольклористика Кавказа». Баку, 2005, 5 рис., с. 141-143.

Небиеридзе Л. Периодизация-хронология западнозакавказского неолита в свете новейших данных. – Международная научная конференция «Археология, этнология, фольклористика Кавказа». Баку, 2005, с. 146-148.

Николаишвили В. Жилой комплекс раннеантичной эпохи из Тетрицкаро. – Международная научная конференция «Археология, этнология, фольклористика Кавказа». Баку, 2005, 1 табл., с.186-187.

Ниорадзе М. Дманисское раннепалеолитическое местонахождение и его место среди древнейших стоянок Африки и Европейской части Средиземноморья. – Международная научная конференция «Археология, этнология,

фольклористика Кавказа». Баку, 2005, с.149-150.

Орджоникидзе А. К вопросу о взаимоотношении куро-аракской и беденской культур на территории Восточной Грузии. – Международная научная конференция «Археология, этнология, фольклористика Кавказа». Баку, 2005, с.150-151.

Рчеулишвили М. Палеоантропология Самтаврского могильника. – Международная научная конференция «Археология, этнология, фольклористика Кавказа». Баку, 2005, с. 164.

Султанишвили И. Фибулы Пичвнарского могильника. – Кавказоведение, 2005, с. 57-66. (თანაავტორი).

Султанишвили И. Удила и псалии раннего этапа поздней бронзы (XV-XIII в.в. до н.э.) на территории Восточной Грузии. – Международная научная конференция «Археология, этнология, фольклористика Кавказа». Баку, 2005, 1 табл., с.166-168.

Хвистани Р. Образец антропоморфной пластики из Орчосани. – Международная научная конференция «Археология, этнология, фольклористика Кавказа». Баку, 2005, 1 рис., с.172-174.

Церетели К. Могильник и церковь Квирацховели, близ городища Жинвали. – Международная научная конференция «Археология, этнология, фольклористика Кавказа», Баку. 2005, с.175-176.

Челидзе Л. К вопросу о древнейшем искусственном орошении у ранних земледельцев Восточной Грузии. – Международная научная конференция «Археология, этнология, фольклористика Кавказа». Баку, 2005, с.150-151.

Чиковани Г. Глиняный сосуд с седьмого погребения из раннеземледельческого поселения Арухло I. – Международная научная конференция «Археология, этнология, фольклористика Кавказа». Баку, 2005, 1 табл.,с.178-180.

Чиковани Г. Осетины Панкисского ущелья (Ахметский район Грузия). – Международная научная конференция «Археология, этнология, фольклористика Кавказа». Баку, 2005, 1 табл.,с. 271-272.

Чиракадзе М. Еще раз о когнитивной возможности дескриптивного анализа археофактов. – Международная научная конференция «Археология, этнология, фольклористика Кавказа». Баку, 2005, с180-182.

Шатберашвили З., Николаишвили В. Жилой комплекс раннеантичной эпохи из Тетрицкаро. – Международная научная конференция «Археология, этнология, фольклористика Кавказа». Баку, 2005, 1 табл., с.186-187.

Esakia K. Economic efficiency of Meso-Eneolithic settlements in southern Caucasus: the results of the traceological analysis of stone instruments. – “Prehistoric Technology” 40 Years later: functional stadies and the Russian legacy. Museo Civico di Storia Naturale di Verona. Book of Abstracts. Verona, 2005, p.57.

Kacharava D. Recent finds at Vani, Dialogues d'istoire ancienne, Supplement 1, 2005, pp. 291-309.

Nioradze M., Lumley H. de., Barsky D., Cauche D., Celiberti V., Nioradze G., Notter O., Zvania D., Lordkipanidze D, Les industries lithiques preoldowayennes du debut du Pleistocene inferieur du site de Dmanissi en Georgie. – L′ Anthropologie, 2005, Vol. 109, №1, Janvier-mars, p. 1-182.

Nioradze M., Lordkipanidze D., Vekua A., Ferring R., Rightmire G., Augusti J., Kiladze G., Mouskhelishvili A., Fonce de León M.S, Tappen M., Zollikofer Ch., The earlist toothless hominin skull. – Nature, vol. 434, April, 2005, p. 717-718.

Doundoua G. Lartisanat d art dans le developpement des villes colchidiennes – Vani – Pont – Pont-Euxin et polis. Actes du Xe Symposium de Vani, Pa ris, 2005, p. 265-270.

Kvirkvelia G. Polis barbaron in the Black Sea area in archaic and classical periods. – Pont-Euxin et polis. Actes du Xe Symposium de Vani. Paris, 2005, pp. 33-40.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 2005 წლის 1 ივლისის დადგენილების (№ 402) საფუძველზე, ოთ. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრს შეუერთდა გ. ნიორაძის სახ. მცხეთის ფილიალი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრებამ 2005 წლის 22 ნოემბერს ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე ფარული კენჭისყრით ერთხმად აირჩია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ბ. მაისურაძე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 2005 წლის 9 დეკემბრის დადგენილების (№ 524) იგი დამტკიცდა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად.

2004-2005 წლების საველე სამუშაოები

დმანისის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ი.მ.დ. მ. ნიორაძე). დმანისში ადრეული ჰომინიდების ადგილსამყოფელზე 2004-2005 წლებში საველე არქეოლოგიური კვლევაძიება მიმდინარეობდა II გასათხრელ მოედანზე, სადაც 16 $მ^2$ ფართობზე გაითხარა I-III ფენები. ხოლო 4 $მ^2$ ფართობზე – V-VI ფენები ბაზალტის ლავებამდე. ფენების საერთო სიმძლავრე 2-2,5 მეტრია. მიკვლეულია გვიან ვილაფრანკული ასაკის პალეონტოლოგიური მასალა, წინა აშელური ხანის ქვარგვალების უძველესი ინდუსტრია და Homo-ს ძვლოვანი ნაშთები, კერძოდ: 2004 წელს V ფენაში აღმოჩენილია ლავიწის 2 ძვალი, ფეხის ტერფის და ბარძაყის ძვლები, აგრეთვე ბეჭის ძვლის ფრაგმენტი; 2005 წელს კი V-VI ფენებში მიკვლეულია თავის ქალა, ფეხის ტერფის და მხრის ძვლები. ანთროპოლოგიური მასალა ჰომინიდების ადრეულ სახეობას – *Homo ergaster*-ებს უნდა ეკუთვნოდეს. V და VI ფენები მატუიამას პალეომაგნიტური ეპოქის ოლდუვაის ეპიზოდს განეკუთვნებიან.

სამხრეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ი.მ.დ. მ. გაბუნია) 2004-2005 წლებში მცირემასშტაბიანი გათხრები აწარმოვა ჯავახეთის ამირანის გორაზე. გაგრძელდა წინა წლებში გათხრილი რამდენიმე კვადრატის დაღრმავება და დაემატა მცირე ახალი ფართობიც. სულ მუშაობა 11 კვადრატში მიმდინარეობდა. შედეგად კულტურულ ფენაში მოპოვებული იყო ანდეზიტ-ბაზალტის სახოკი, საფხეკი, ამორფული ნუკლეუსი, მანუპორტები და სხვ., ხოლო ფაუნაში განისაზღვრა ბიზონისა და ზუსენბორნული ცხენის ნაშთები.

ამირანის გორის სამხრეთ კალთაზე გაკეთდა სადაზვერვო თხრილი, სადაც 25-30 სმ სიღრმეზე გამოჩნდა ბაზალტის გვერდამოღარული ორმაგი სახოკი და საჩეხი იარაღი.

ახალქალაქის სამხრეთით სოფ. ხოსპიოში დაზვერვების შედეგად მოპოვებულ იქნა ახალი ღია ადგილსაპოვებელი, სადაც ზედაპირულად აიკრიფა საკმაოდ არქაული ქვის კომპლექსი, წარმოდგენილი ბაზალტის ტლანქი ჩოპერით, სახოკებით, საჩეხი იარაღებითა და ქვარგვალებით.

სამცხის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ი.მ.დ. ვ. ლიჩელი) 2004-2005 წლებში გათხრებს აგრძელებდა სოფ. აწყურში (ახალციხის რაიონი), სადაც 1988 წლიდან უწყვეტად მიმდინარეობს საველე სამუშაოები. წინა წლებში გამოვლენილ ანტიკური ხანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ცენტრალურ ნაწილში არსებული № 5 თხრილის გაგრძელებაზე, დასავლეთით, გაიჭრა 30 მეტრის სიგრძისა და 6 მეტრი სიგანის თხრილი (№ 6).

სტრატიგრაფიული სურათი აქ სტანდარტულია: სუსტ კორდოვან ფენა (10-15 სმ) მოსდევს სტერილური ნაცრისფერი თიხნარი (2-2,3 მეტრის სიმძლავრის), რომლის ქვეშ, რიგ შემთხვევაში, ჩნდება გვიანი შუასაუკუნეების მუსულმანური, უინვენტარო სამარხები. მას მოსდევს ნაცრის ფენა (საშუალოდ 0,4-0,5 მეტრის სიმძლავრის), რომლის ქვედა შრე ადევს ქვის ნაგებობებს.

საანგარიშო წლებში ნაწილობრივ გაითხარა რამოდენიმე შენობა (ძვ. წ. V-IV საუკუნეები და ძვ. წ. II-I საუკუნეები), რომელთა დიდი ნაწილი გაუთხრელ ფართობში შედის. შენობები დაუმუშავებელი ქვითაა აგებული და ალბათ, ფუნქციების შესაბამისად, კონსტრუქციებს განსხვავებული ზომები აქვს.

გაითხარა რამოდენიმე უაღრესად საინტერესო სამარხი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სამარხი № 04-5, რომელშიც მარჯვენა გვერდზე დაკრძალულ ორ მიცალებულთან ერთად ჩაყოლებული იყო მთლიანი ხარი. იგი თითქოს ქედშია გადამტვრეული და ზურგზეა გაშოტილი, რქებით მიწაში. ამავე სამარხში აღმოჩნდა სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული სამაჯურები (რომელთა შორის აღსანიშნავია ბრინჯაოს ორი ცალი ფარაკიანი სამაჯური, რომელთაგან ერთზე გამოსახულია ორმაგპროტომიანი ცხენები), ხატისუღელი, ბეჭდები (რომლებზეც ასევე აქემენიდური სტილის სიუჟეტებია გამოსახული), მხედრის ქანდაკება, ცხვრის ქანდაკება და ნაირგვარი მძივები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ გიშრის მძივზე, რომელსაც დისკოს ფორმა აქვს, გამოსახულია ფრთოსანი ადამიანის ფიგურა. აშკარაა, რომ აქ გამოსახულია აჰურამაზდა ან სხვა რომელიმე ზოროასტრული ღვთაება). სამარხი ძვ.წ. IV-III საუკუნეების მიჯნით თარიღდება.

ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.დ. მ. ბარამიძე) გათხრებს აწარმოებდა ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის ორ პუნქტში.

ორჭოშანში (ადიგენის რ-ნი) ნავთობსადენის (350×8 მ) და გაზსადენის (290×6 მ) დერეფნები ფაქტიურად მთლიანადაა გათხრილი. ფიქსირდება სხვადასხვა პერიოდის ნაშთები. ზედა ფენაში წარმოდგენილია ადრეშუასაუკუნეების ნაგებობათა ნაშთები, სამეურენო დანიშნულების ელემენტები (თონე, მარანი, ხარო). ფიქსირდება საქონლის გადასარეკი გზის მონაკვეთი (ორ პარალელურ ყორეს შორის მოკირწყლულ 3 მ სიგანის ზოლი). ეს ფენა წინასწარულად ახ.წ. IV-VI სს-ით თარიღდება.

ქვედა ფენა განეკუთვნება ძვ.წ. III ათასწლეულის სხვადასხვა ეტაპებს და წარმოდგენილია ცალგვერდმომრგვალებული სწორკუთხა ქვის ნაგებობათა და ნახევარმიწურთა ნაშთებით, იატაკის დონეებით და სამეურნეო ორმოებით. მონაპოვარ კერამიკაში გამოიყოფა ე.წ.

შუალვერ-შომუთეფს (ადრესამიწათმოქმედო), ბედენის და მტკვარ-არაქსული ფრაგმენტები. დანარჩენი მასალიდან აღსანიშნავია ძვლის საკინძები, ობსიდიანის ისრისპირები, კაჟის ნამგლის ჩასართები, ბრინჯაოს თოხი, ანთროპომორფული ქანდაკებები და სხვა.

ნამოსახლარი ტერასის სამხრეთ ფერდზე გაითხარა წრიული ნაგებობის ნაშთები, რომლის დიამეტრი 30 მ უნდა აღწევდეს. სამწუხაროდ მისი მთლიანი გათხრა ვერ მოხერხდა, თუმცა სავარაუდოდ საქმე კრომლეხებიან სამარხთან (ყორღანებთან) უნდა გვქონდეს. მისი კამერა სასაზღვრო ღობის შიგნით შედის, რაც სამუშაოს წარმოებას შეუძლებელს ხდის. წრეებს შორის გაიწმინდა 5 მიცვალებულის ჩონჩხი გაშოტილ პოზაში, უინვენტაროდ. დაკრძალვის პოზა, ინვენტარის არარსებობა თითქოს იმაზე უნდა მიუთითებდეს რომ საქმე უნდა გვქონდეს შუასაუკუნეების დროინდელ ჩაშვებულ სამარხებთან. არ არის გამორიცხული კონცენტრულ-წრეებიან ძეგლთან მათი დაკავშირებაც. ეს უკანასკნელი კი მცირერიცხოვანი კერამიკის მიხედვით შუაბრინჯაოს ხანის ჩანს.

ორჭოშანის ნასახლარზე დაფიქსირდა სამაროვანის არსებობაც. ნასახლარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შეინიშნება ქვითნაგები ოვალური ფორმის „აკლდამები“ თავთან სანიშნე ქვით და განკუთვნილი თითო მიცვალებულისთვის. სამარხები თანამედროვეა და განეკუთვნება ე.წ. „თურქ-მესხებს“, რომლებიც ამ ტერიტორიიდან გაასახლეს 1944 წელს. ექსპედიცია შეძლებისდაგვარად თავს არიდებდა ამ სამარხების გათხრა-გადასვენებას გასაგები მიზეზებით.

ამ სამარხების ქვეშ, ზედაპირიდან 1-1,2 მ სიღრმეზე გაითხარა 40 ორმოსამარხი მიცვალებულების კიდურებმოხრილი პოზით. სამარხების ნაწილი უინვენტაროა, ძირითადი კი შეიცავს კერამიკას და სამკაულს. სამაროვანი თარიღდება ახ. წ. II-III სს.-ით.

აღსანიშნავია, რომ ექსპედიციამ გათხარა კიდევ 3 სამარხი, რომლებიც ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნება და დაკავშირებული ჩანს II კულტურულ ფენასთან.

ამგვარად, ორჭოშანის ნასახლარის ტერიტორიაზე რამდენიმე არქეოლოგიური პერიოდის ძეგლებია ფიქსირებული:

1. გვიანშუასაუკუნეების ხანის ნასოფლარი (გათხრილი ტერიტორიის გარეთ).
2. ადრეშუასაუკუნეების ხანის ნასახლარი ახ.წ. IV-VI სს.
3. გვიანანტიკური ხანის (ახ. წ. II-III სს.) სამაროვანი
4. შუაბრინჯაოს ხანის (?) წრიული კრომლეხი.
5. ადრებრინჯაოს ხანის II კულტურული ფენა.
6. ქვის ხანის მასალები, ანაკრეფი აშელ-მუსტიეს ხანის.

ჭორატის ნამოსახლარი მდებარეობს ახალციხის რაიონის ქ. ვალეს ცენტრიდან 1-1,2 კმ დაშორებით, ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ფოცხოვის მარჯვენა, მაღალ, ვაკე ტერასაზე.

ნამოსახლარზე დასტურდება ორი კულტურული ფენის არსებობა. ზედა (I) ფენა წარმოდგენილია სწორკუთხა, რიყის ქვით ნაგები ნაგებობათა ნაშთებით, სამეურნეო ორმოებით, თონეებით და კერამიკული ქურით. არის მისი სინქრონული სამაროვანი (გაითხარა 9 სამარხი), წარმოდგენილი ქვაყუთებით, რომლებშიც დასტურდება მიცვალებულთა (6-15) კოლექტიური, გაშოტილ მდგომარეობაში დაკრძალვა, ფაქტიურად უინვენტაროდ. ფენა თარიღდება ადრეშუასაუკუნეების ხანით (ახ. წ. IV-VI სს).

II ფენა წარმოდგენილია სამეუნეო ორმოებით და ორმოსამარხებით (60-მდე). მიცვალებული დაკრძალულია კიდურებმოხრილ პოზაში სხვადასხვა ორიენტაციით. არის წყვილადი დაკრძალვის შემთხვევაც. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია კერამიკით, სამკაულით (სამაჯური, ბეჭედი, მძივები) და იშვიათად იარაღით (რკინის დანა) და მონეტებით. სამარხები თარიღდება ახ.წ. II-III სს-ით, თუმცა არ არის გამორიცხული მათი მცირე ნაწილის ახ.წ. I ს-ის დასასრულით დათარიღება.

შესაძლოა ამ ფენას მიეკუთვნოს № 3 სწორკუთხა ნაგებობაში დადასტურებული ქვედა (მე-3) იატაკის დონე და სამრეწველო (ქურების ნაშთები) უბანი. სამწუხაროდ ეს მონაკვეთი დაზიანდა ტრასის გაჭრის დროს, ხოლო გადარჩენილი ნაგებობები შედის გაუთხრელ ფართობში.

ძეგლზე ჩანს ქვის ხანის ზედაპირული მასალები და ადრერკინის (ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი) ხანის კერამიკა, თუმცა კულტურული ფენა ფაქტიურად არ ჩანს.

ბორჯომის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ი.მ.კ. ი. ღამბაშიძე) 2004-2005 წწ. ასრულებდა საველე არქეოლოგიურ სამუშაოებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დერეფანში. სოფ. კლდეში (ახალციხის რაიონი) გაითხარა გვიან ანტიკური-ადრეშუასაუკუნეების ნავენახარის ნამოსახლარი და სამაროვანი. ძეგლი ქალაქური ტიპის დასახლებას წარმოადგენს, რასაც ადასტურებს განიერი კედლების, კრამიტებისა და ქვის სატყორცნი ბირთვების აღმოჩენა. მოპოვებულ მასალებს შორის მნიშვნელოვანია რომაული ხანის პატარა ზომის საკურთხევლი, ცხოველებისა და ჯვრის გამოსახულებიანი თიხის ფრიზის ფრაგმენტი და ფრთიანი ჯვრის ფრაგმენტი, გოტარზეს (?) მონეტა. სულ ძეგლზე გაითხარა 96 სამარხი, 22 ნაგებობისა და 9 კედლის ნაშთი, 15 სამეურნეო ორმო.

სოფ. ივლიტასთან (ახალციხის რაიონი) სადაზვერვო თხრილებით გამოვლინდა შუა საუკუნეების ჰიდროსაინჟინრო ნაგებობა – აკვედუკი, რომელიც 2 მ სიგანისა და 180 მ სიგრძის ქვით ნაშენ კონსტრუქციას წარმოადგენს.

სოფ. ტაძრისში (ბორჯომის რაიონი) ჩატარებული სადაზვერვო გათხრებით დადგინდა გან-

ვითარებული შუა საუკუნეების ნამოსახლარების გავრცელების საზღვრები.

სოფ. ციხისჯვართან (ბორჯომის რაიონი) გაითხარა მართკუთხა გეგმარების საფორტიფიკაციო ნაგებობა, რომელიც განვითარებულ შუასაუკუნეებს განეკუთვნება.

სოფ. ციხისჯვარსა და საკირეს შორის (ბორჯომის რაიონი) კოდიანის მთის წყალგამყოფ ქედზე გაითხარა ყორღანული სამარხი, რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. სამარხში ჩადგმული იყო ხის კონსტრუქცია. ყორღანში აღმოჩენილ თიხის ერთ-ერთ ჭურჭელში პალინოლოგიური კვლევის შედეგად დაფიქსირდა სამარხში თაფლის ჩატანების ფაქტი.

სოფ. საკირე (ბორჯომის რაიონი) ადგილ „სანაცრეებში“ შესწავლილი იყო ანტიკური ხანის სამარხები, ნამოსახლარის და ასევე ადრეშუასაუკუნეების მარნის ნაშთი.

ბორჯომის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის ტაძრისის რაზმი (ხელმძღვ. გ. გოგოჭური) გათხრებს ატარებდა თისელის სერზე, სოფ. ტაძრისის მახლობლად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის 202+900 კმ-ზე. აქ მიწის სამუშაოების დროს დაზიანდა არქეოლოგიური ძეგლი, რის გამოც აუცილებელი გახდა გადარჩენითი სამუშაოების დაწყება.

გათხრები მიმდინარეობდა ნავთობსადენის მილის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე. შესწავლილ 300 $მ^2$ ფართობზე გამოვლინდა ძლიერ დაზიანებული ნაგებობების უმნიშვნელო ნაშთები და დიდი რაოდენობით მტკვარ-არაქსული თიხის ჭურჭელი. მოპოვებული მასალიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს ყუადაქანებული ცული. აქვე იქნა ნაპოვნი ცხოველის (ხარის?) მცირე ფიგურა, კაჟის ნამგლის ჩასართები, ობსიდიანის ლამელები და საფხეკები. ამ მონაკვეთზე გაითხარა ორი ორმოსამარხი. ერთ-ერთ მათგანში ორი თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა.

საძიებო სამუშაოები ჩაატარა დერეფნის ჩრდილოეთ ნაწილში, ნამოსახლარის მოპირდაპირე მხარეს, გაზსადენი მილის გასწვრივ. შესწავლილ იქნა 22×4,5 $მ^2$ ფართობი. საინტერესოა, რომ აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს დადაქანში ჩაჭრილ, პროფილში ლინზისებური მოყვანილობის თხრილს, რომელიც შევსებულია გადანაყარი კულტურული ნარჩენებით (თიხის ჭურჭლის ნატეხები, თიხისა და ქვის ნაკეთობები, ძვლოვანი მასალა). აქვე გამოვლინდა სხვადასხვა დონეზე გამართულია სამარხები. სულ შესწავლილი იქნა 8 სამარხი. აქედან ერთი აკლდამაა, თიხის ქვებით ამოშენებული კედლებით, დანარჩენი კი ორმოსამარხებია. ორ სამარხში წყვილადი დაკრძალვა დადასტურდა, დანარჩენ სამარხებში თითო ინდივიდია დაკრძალული. ინვენტარი აღმოჩნდა სამ სამარხში, დანარჩენ სამარხებში მხოლოდ ცხოველთა ძვლებია წარმოდგენილი. საინტერესოა, რომ აკლდამის თავზე, სახურავის დონეზე, გამართული აღმოჩნდა მტკვარ-არაქსული ცილინდრული კერა.

გათხრების შედეგად გაირკვა, რომ საქმე გვაქვს ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის მეტად საინტერესო და თავისებურ ნამოსახლარსა და სამაროვანთან, რომელიც, როგორც ჩანს, ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში ფუნქციონირებდა. ენერგოდერეფანში ნამოსახლარის მხოლოდ ნაწილია მოქცეული, ძირითადი დასახლება კი მის სამხრეთით მდებარე ტერასაზეა სავარაუდებელი.

ტაბაწყურის ექსპედიციამ (ხელმძღვ. გ. მინდიაშვილი) 7 დღის განმავლობაში თხრილებით შეამოწმა სოფელ ტაბაწყურთან (ბორჯომის რ-ნი), ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დერეფნის 1651 კმ-ზე არსებული „ქციის მინდვრის ნამოსახლარის“ გაზსადენის მხარე. აქ, 6 მ სიგრძისა და 2 მ სიგანის 12 თხრილის, 4 მეტრიანი ინტერვალით, გაზსადენის ტრანშეის ხაზზე გავლებით დადგინდა, რომ კულტურული ფენა სამშენებლო ტექნიკით არის გადაადგილებული და დატკეპნილი ნამოსახლარის უკვე დაზიანებულ ნაწილზე. გადაადგილებულ კულტურულ ფენაში, სხვადასხვა დონეზე ნაპოვნი ნივთები (ბრინჯაოს სატევარი, რკინის მოხრილი დანა), სამარხის ნაშთი, ძეგლისთვის დამახასიათებელ კერამიკულ მასალასთან ერთად კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ ქციის მინდვრის ნამოსახლარი უკანასკნელად ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში მიუტოვებიათ. მანამ კი, ამ ადგილას ადრებრინჯაოს ხანაშიც უნდა ეცხოვრა ადამიანს.

გუდაბერტყას ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.კ. გ. მინდიაშვილი) მცირე მასშტაბის სამუშაო ჩაატარა გორის რაიონში, გუდაბერტყას გორანამოსახლარზე, რათა დადგენილიყო ძეგლის რა ნაწილი გადაურჩა დაზიანებას და ჰქონდა თუ არა აზრი მის შემდგომ შესწავლას. ექსპედიციამ ადრე გათხრილ ტერიტორიაზე დაიწყო 100 კვადრატული მეტრის შემოწმება. თხრილმა გამოავლინა ორი სამშენებლო დონე მტკვარ-არაქსული კულტურის შვერილებიანი, სტაციონარული 2 კერით და გეგმაში ოვალური, თიხით ნაგები, ნახანძრალი შენობის ნაშთებით – წითლად შეღებილი 30 სმ სიმაღლეზე შემორჩენილი კედლის ძირები. ნამოსახლარის დანარჩენ ნაწილზე დაკვირვებამ კი დაგვარწმუნა, რომ ძეგლის უმეტეს ნაწილზე გადარჩენილია ადრებრინჯაოს ხანის ფენა, მის ზემოთ კი გვიანბრინჯაო-ადრე-რკინის ხანის ნამოსახლარის სამშენებლო დონეები შემორჩენილია ძეგლის მხოლოდ 20 პროცენტზე.

თეთრიწყაროს არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ზ. შატბერაშვილი) 2004-2005 წწ. არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ატარებდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ტრასის 57-ე, მე-80 და 85-ე კმ-ზე.

57-ე კმ-ზე ორი ქვაწრიანი (დმ. 14 მ) და ერთი წრიულქვაყრილიანი ყორღანული სამარხი გამოვლინდა. მიცვალებული დასაკრძალავ ორმოში (კამერაში) დაუსვენებიათ ხელფეხმოკეცილი, თავით დასავლეთით. სამარხებში მწირი მასალა აღმოჩნდა: ორმხრივწაწვეტებული, ოთხ-

წახნაგა ბრინჯაოს ისრისპირები, თითო-ოროლა პასტის მძივი და ბრინჯაოს გარსაკრავი. მსგავსი მასალა აღმოჩენილია თრიალეთის ადრეულ ყორღანებში და თარიღდება III ათასწლეულის მეორე ნახევრით.

85-ე კმ-ზე, ნაჭივჭავებში, გაითხარა 50 სამეურნეო ორმო და საცხოვრებელი მიწური. ორმოებში აღმოჩნდა თიხის, ძვლის და ობსიდიანის ინვენტარი დამახასიათებელი ქართლისა და ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებისათვის.

მე-80 კმ-ზე გამოვლინდა ძვ.წ. IV-III სს-ის 60-მდე სამარხი. სამარხები ნაგებია ბაზალტის უხეშად დამუშავებული ფილაქვებით და გადახურულია ერთი ან ორი ფილაქვით. აღმოჩენილია რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღი (შუბისპირები, ხელშუბები, სასხლავი, დანა და სხვა), სამკაული (ვერცხლის, ბრინჯაოს, და რკინის სამაჯურები, ფარაკიანი ბეჭდები, მძივები). სამარხებში დადასტურდა აგრეთვე წითელი ანგობით შემკული სამტუჩა და ჩაიდნისებური ხელადები, ფიალები და კოჭბები. გვხვდება შავად გამომწვარი, შავპირალა ცალებიც.

იქვე აღმოჩნდა სამაროვნის სინქრონული ნამოსახლარი. ნამოსახლარი ქვატეხილისაგან არის ნაგები და ნახევრად მიწურს წარმოადგენს. სახლები ბანურსახურავიანი ყოფილა. ინტერიერში მოწყობილია ორგანყოფილებიანი პურის საცხობი ღუმელები – დამახასიათებელი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარებისათვის.

თეთრიწყაროს რ-ნის არქეოლოგიური ექსპედიციის სამშვილდის რაზმი (ხელმძღვ. ი.მ.დ. დ. მინდორაშვილი) გათხრებს აწარმოებდა ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის 74-ე კმ-ზე, სოფ. დაღეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლ. 300 მ დაშორებით, დაღეთის ადრეული შუასაუკუნეების სამაროვანზე. შესწავლილი 25 სამარხიდან 17 ქვის სამარხია, 8 ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი. გვხვდება როგორც ინდივიდუალური, ისე საოჯახო სამარხები. მიცვალებულები დაკრძალულია ქრისტიანული და წარმართული წესით, ზოგჯერ ერთსა და იმავე სამარხში. მცირე რაოდენობის სამარხეული ინვენტარი ძირითადად სამკაულები და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებია. მათი უმრავლესობა აღმოჩენილია ქვის სამარხებში. სამაროვანი თარიღდება VII ს-ით.

ადრესამიწათმოქმედო კულტურების შემსწავლელი ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციამ (ხელმძღვანელები – გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის ევრაზიის განყოფილების პირველი დირექტორი დოქტორი სვენ ჰანსენი და არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ადრესამიწათმოქმედო კულტურების სექტორის ხელმძღვანელი ი.მ.კ. გურამ მირცხულავა) დაიწყო კვლევითი სამუშაოების ჩატარება არუხლოს ნამოსახლარზე გერმანიის არქეოლოგიურ ინსტიტუტსა და არქეოლოგიურ კვლევის ცენტრს შორის დადებული ხუთწლიანი ხელშეკრულების საფუძველზე. 2005 წელს ჩატარდა გეომაგნიტური კვლევა-ძიება, გაიწმინდა ძველი გათხრების ჭრილები, გაკეთდა სადაზვერვო თხრილები, არუხლო I-სა და არუხლო II-ზე ჩატარდა ტოპოსამუშაოები, დაზუსტდა არსებული ტოპოგეგმები.

სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციამ ი.მ.კ. გ. მირცხულავას ხელმძღვანელობით საველე სამუშაოები ჩაატარა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნათობსადენის ტრასაზე 45-80 კმ ფარგლებში. დაფიქსირდა ენეოლითური (წინა მტკვარ-არაქსული) კულტურული ფენები საინტერესო კერამიკით, გაითხარა ადრე ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის 2 სამარხიაკლდამა, შესწავლილ იქნა რამდენიმე შუა საუკუნეების ნასახლარი და ადრე შუასაუკუნეების ვრცელი სამაროვანი, რომელიც თითქმის 3 ჰა ფართობს მოიცავს. აქ დერეფნის ფარგლებში მოექცა და გაითხარა 140 ქვის აკლდამა.

2005 წელს სამუშაოები ჩატარდა 77-ე კმ-ზე, სადაც მშენებლებმა დაანგრიეს არქეოლოგიური ძეგლები და ექსპედიციის მიერ დაფიქსირებულ იქნა ენეოლითური, ბრინჯაოს ხანის, ელისნისტური და შუა საუკუნეების ნასახლარები და სამარხები.

ბორჯომ-ახალციხის შუასაუკუნეთა ხანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.დ. დ. მინდორაშვილი) მილსადენის 201-ე კმ სოფ. ტაძრისთან შეისწავლა XVII-XVIII სს-ის ნასახლარი. გათხრებისას გამოვლინდა ნაგებობათა კედლების ნაშთები და თონე. იქვეა მოპოვებული სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭლის ფრაგმენტები.

სოფ. თისელთან 45×8 მ ფართობზე შესწავლილ იქნა ნასოფლარის ნაშთი, სადაც გამოვლინდა საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები. არქეოლოგიური მასალა ძირითადად წარმოდგენილია სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის კერამიკით. ნასოფლარი თარიღდება XIII-XIV სს-ით.

თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.დ. გ. ნარიმანაშვილი) 2004-2005 წლებში ჩაატარა საველე სამუშაოები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის ზონაში, წალკის რაიონის მონაკვეთზე.

სოფ. იმერასთან 2004 წელს გაითხარა ძვ.წ. XV-XIV სს-ის 7 სამარხი.

სოფ. საფარ-ხარაბასთან 2004-2005 წწ-ში 85 სამარხი გაითხარა. პალინოლოგიური გამოკვლევის მიზნით სამარხი კამერებიდან და თიხის ჭურჭლებიდან აღებულია 800-მდე ნიმუში. სამაროვანზე წრიულქვაყრილიანი, ქვის ფილებით და ხის ძელებით გადახურული სამარხები სჭარბობს. სამარხთა უმრავლესობა დიდი ზომის ქვებით შედგენილი კრომლეხითაა შემოზღუდული, რომელთა ცენტრში ერთი სამარხი კამერაა გამართული. ზრდასრულ მიცვალებულთა სამარხები ინდივიდუალურია. მიცვალებულები ხელ-ფეხ მოკეცილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე ასვენია. თავი ჩრდილოეთით უდევთ. სამაროვანი ძვ.წ. XV-XIV სს თარიღდება.

სოფ. ჯინისთან 2004 წელს ნამოსახლარის ნაშთი იქნა შესწავლილი. გაითხარა ნავთობსადენის მშენებლობის დროს ნაწილობრივ დაზიანებული ოთხი სახლი. ნამოსახლარი ორ სამშენებლო ფენას შეიცავს. ზედა ფენა ძვ.წ. VII-VI სს-ით, ქვედა კი ძვ.წ. XVII-XVI სს-ით თარიღდება.

საყდრისში (ბოლნისის რაიონი) 2005 წ. აგვისტო-სექტემბერში განხორციელდა სამთოარქეოლოგიური საველე საძიებო სამუშაოები აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და გერმანიის ქ. ბოხუმის სამთო მუზეუმის ერთობლივი სამეცნიერო-სასწავლო პროექტით – „არქეომეტალურგია და სამთო არქეოლოგია საქართველოში“ ფოლკსვაგენის ფონდის დაფინანსებით. საველე სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ი.მ.კ. ირ. ღამბაშიძე, ექსპედიციაში მონაწილეობას იღებდნენ გერმანული მხრიდან – პროფ. ანდრეას ჰაუპტმანი (პროექტის ხელმძღვანელი), სამთოარქეოლოგი პროფ. ტომას შტოლნერი, ქიმიკოსი დოქტორი მიხაელ პრანგე, ტოპოგრაფი გერო შტეფენსი, მარბურგისა და ბოხუმის რურის უნივერსიტეტის სტუდენტები პეტერ ტომასი, ფრანკა შველნუსი, ტორსტენ რაბსილბერი, იუტა კოსსმაიერი, მარგრეტ და ფრენკ იენსები. სამთო არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლენილია უძველესი ოქროს მადნის გამონამუშევარი. მაღაროებში მოპოვებული განათხარი მასალებისა და ნახშირის ნიმუშების რადიონახშირბადის დათარიღების საფუძველზე ძეგლი ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნას ანუ მტკვარ-არაქსულ პერიოდს განეკუთვნება. ანალიზები შესრულდა ჰაიდელბერგის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიაში.

კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.კ. რ. პაპუაშვილი) 2005 წელს საველე კვლევა-ძიება განახორციელდა ხობის რაიონის სოფელ ყულევში და ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაისში.

ყულევში ნავთობპროდუქტების გადასატვირთი ტერმინალის მშენებლობის განახლებასთან დაკავშირებით, მშენებარე ორგანიზაციის დაფინანსებით, მიმდინარეობდა სამეთვალყურეო სამუშაოები. დაფიქსირდა და გასათხრელად შეირჩა ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის დასახლებათა ნაშთები მდინარე ხობის მარჯვენა და მდინარე ცივას მარცხენა სანაპიროზე, მშენებლობის ზონაში. ორივე უბანზე ძირითადი სამუშაოები ჯერ კიდევ 1999-2001 წლებში იქნა შესრულებული.

მდ. ხობის მარჯვენა სანაპიროზე, ადრე გათხრილი ვრცელი ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მის გაგრძელებაზე გაითხარა ორი ძელურ-ბათქაშიანი ნაგებობის ნაშთი. ამ ნაგებობათა თარიღი ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულითა და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით განისაზღვრება. ამავე ტერიტორიაზე მოპოვებულ იქნა გვიანანტიკური ხანისა და შუასაუკუნეების მასალაც.

სამუშაოები განხორციელდა მდ. ცივას (ხობის მარცხენა შენაკადი) მარცხენა სანაპიროზეც. აქ, ძვ.წ. VI-III საუკუნეების რამდენიმე ნამოსახლარის ნაშთი დაფიქსირდა. აღმოჩნდა ადგილობრივი კოლხური და სხვადასხვა ბერძნული ცენტრებიდან შემოტანილი თიხის ნაწარმი.

ზუგდიდის რაიონის სოფ. ცაიშში საველე კვლევა-ძიება 2005 წლის ივლისის თვეში მიმდინარეობდა. სამუშაოები ზუგდიდის რაიონის გამგეობამ დააფინანსა.

აქ, ცაცხვის უბანში, კერძოდ კი, რევაზ ტუფურიას საკარმიდამო ნაკვეთში 2001 წლიდან ცნობილია ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ვრცელი სამაროვანი. 2004 წელს სადაზვერვო სამუშაოების დროს გამოვლინდა ტიპიური კოლხური, კოლქტიური სამარხი ორმოს ნაშთი. 2005 წელს სწორედ ეს სამარხი ორმო გაითხარა.

არქეოლოგიურმა სამუშაოებმა დაადასტურა, რომ აღნიშნული სამარხი ორმოს ფართობი 50 $მ^2$ ფართობს მოიცავს და სიღრმეში 1,6 მეტრამდე ვრცელდება. სამარხ-ორმოში უსისტემოდ მიმოფანტული რამდენიმე ასეული ინდივიდის ძვლებთან, სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული 1300 ნივთი აღმოჩნდა. გვხვდება თიხის ნაწარმი, ბრინჯაოსა და რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, ბრინჯაოსაგან დამზადებული საკულტო ნივთები (ანთროპომორფული და ზოომორფული გამოსახულებანი). ბრინჯაოსაგან, რკინისაგან, ვერცხლისაგან და ოქროსაგან დამზადებული მრავალფეროვანი სამკაული. დიდი რაოდენობით იქნა მოპოვებული ბუნებრივი მინერალებისაგან (სარდიონი, ოპალი, გიშერი, ქარვა) და ხელოვნური მასალისაგან (პასტა, ფაიანსი, მინა) დამზადებული მძივები.

აღნიშნული სამარხი ორმო ანალოგიურ ძეგლებთან იდენტიფიკაციის საფუძვლზე ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება.

ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ი.მ.დ. დ. კაჭარავა) 2004-2005 წლებში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ნაქალაქარის სამივე ტერასაზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაქალაქარის ზედა ტერასაზე აღმოჩენილი სამარხი № 24. ის წარმოადგენს კლდოვან დედაქანში ნაკვეთ ორმოს, რომლის სამხრეთი კედლის გაყოლებაზე დაფიქსირდა 50 სმ სიგანისა და 1 მ სიმაღლის პლატფორმა, აგებული თირის ბელტებით. მთავარი მიცვალებული დაკრძალული იყო სამარხის ცენტრალურ ნაწილში. მასთან ერთად აღმოჩნდა მეტად მდიდრული ინვენტარი, მათ შორის ათასზე მეტი ოქროს ნივთი, ასეულობით ვერცხლის სამკაული, თორმეტი თიხის, რვა ვერცხლის, სამი ბრინჯაოს ჭურჭელი, ბრინჯაოს სარკე, ვერცხლის სარტყელი, ქალცედონის საბეჭდავი, ოქროს ზოდი. პანტიკაპეონის ვერხლის მონეტა (ძვ.წ. 340-330 წწ.), 17 ათასზე მეტი მინის, პასტის, სარდიონის, გიშრისა და ქარვის მძივი.

მთავარ მიცვალებულთან ერთად სამარხში ჩაყოლებული აღმოჩნდა ოთხი მსახური.

ასევე საინტერესოა ზედა ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილი ტაძრის ნაშთები, რომლის დასავლეთ ფასადს ნახევარსვეტები ამკობდა. ტაძრის შიგნით გამოვლინდა საკურთხევლის ნაშთები. ტაძრის სამხრეთ კედელსა და საკურთხეველს შორის კლდოვან დედაქანში საგანგებოდ ამოჭრილ მცირე ზომის ორმოში აღმოჩნდა ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც შემკული იყო ოქროს საკისრე რგოლითა და სამაჯურებით. ქანდაკება, როგორც ჩანს, ქსოვილში იყო გახვეული, რაზედაც მოწმობს ქსოვილზე დასაკერებელი ოქროს ფირფიტები.

ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრსა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიცია** (ხელმძღვ. ი.მ.დ. ო. ლანჩავა) 2004 წელს უნივერსიტეტის დაფინანსებით საველე სამუშაოებს აწარმოებდა ქუთაისის ნაქალაქარის ციტადელის ჩრდილოეთის კედლის ინტერიერში, სადაც გაითხარა ახ. წ. IV ს-ის ციხის კონტრფორსებიანი კედელი, მასზე ოდნავ ადრეული, შესაძლოა, საკულტო ორმოები, ძვ. წ. VIII-VII, ახ. წ. IV-VI; XI-XIII და XVII-XVIII სს-ის ფენები. პარალელურად გამოვლინდა ციტადელის წყაროსთან დამაკავშირებელი რთული კონსტრუქციის გვირაბის ერთი მონაკვეთი, დადგინდა მისი ტრაექტორია და სამშენებლო ეტაპები.

2005 წლის ივნისში ექსპედიციამ მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე, რუსთაველის ქუჩაზე, ახალმშენებლობასთან დაკავშირებით გამოავლინა და შეისწავლა ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარისა და ელინისტური ხანის სამაროვნის (ქვევრსამარხები, კრამიტით გადახურული ორმოსამარხი) ნაწილი.

2005 წლის ივლის-სექტემბერში უნივერსიტეტის დაფინანსებით ექსპედიციამ განაახლა ციტადელის სამაფსიდიანი ეკლესიის (V–VI სს.) ჩრდილოეთის აფსიდისა და მინაშენების კვლევა, პარალელურად დადგინდა ციტადელის წყაროსთან დამაკავშირებელი „ცოტა კარის" სტრატიგრაფია და სამშენებლო ეტაპები.

2005 წლის ოქტომბერ-დეკემბერში კულტურის სამინისტროს გრანტის ფარგლებში ექსპედიციამ გააგრძელა ბაგრატის ტაძრის ინტერიერის კვლევა, სადაც 1003 წლის იატაკის ქვეშ გამოვლინდა ძვ. წ. VIII-VII სს. მძლავრი კულტურული ფენები, IV ს-ის ბაზილიკის ძირითადი კონტურები (ჩრდილოეთიდან მიშენებული სანათლავით), VII-VIII სს-ის „ქუთაისის საყდრის" ძირითადი კონსტრუქციები და ქვათლილებით ნაგები ორი XI ს-ის აკლდამა.

ირგანჩაის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ე. ღლიღვაშვილი) საველე სამუშაოები ჩაატარა სოფ. ირგანჩაის ტერიტორიაზე (დმანისის რ-ნი). ექსპედიციის შესწავლის ობიექტს წარმოადგენდა ორი ყორღანული სამარხი, რომელთაგან ერთი (№ 52) გაითხარა, ხოლო მეორის (№ 53) მხოლოდ ქვაყრილი გაიწმინდა. გათხრილი ყორღანი (№ 52) ძლიერ დაზიანებული თიხის ჭურჭლის მიხედვით, ზოგადად შუა ბრინჯაოს ხანით თარიღდება.

კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ი.მ.დ. კ. ფიცხელაური) 2004 წლის მაისში გადარჩენით სამუშაოებს ატარებდა საგარეჯოს რ-ნის სოფ. ნინოწმინდას ტერიტორიაზე, სადაც ადგილობრივმა მოსახლეობამ დააზიანა ერთი ორმოსამარხი. ექსპედიციამ შეისწავლა ზემოაღნიშნული ორმოსამარხი (ფაქტიურად უკვე განადგურებული), შედგა ამ ადგილის ტოპოგეგმა და გადარჩენის მიზნით შესწავლილი იქნა კიდევ 3 ორმოსამარხი (ასევე დაზიანებული). აღნიშნული სამარხები წინასწარულად დათარიღდა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრით.

2004-2005 წლებში კახეთის ექსპედიცია „ტროა-უდაბნოს" სამეცნიერო პროექტის ფარგლებში გერმანიის ქალაქ ტიუბინგენის უნივერსიტეტის ჯგუფთან ერთად აგრძელებდა დავით გარეჯის უდაბნოს ქალაქური ცივილიზაციის შესწავლას. სამუშაოები მიმდინარეობდა სამ ნამოსახლარზე, უდაბნო I, II და III. ასევე შესწავლილ იქნა შუაბრინჯაოს ხანის ერთი ყორღანული სამარხი ამ ნაქალაქარების დასავლეთით მდებარე „თეთრი ქვების" ყორღანულ ველზე. კიდევ ერთი ყორღანი შესწავლილ იქნა ნაქალაქარის აღმოსავლეთით მდებარე კოდისწყაროს ყორღანულ ველზე.

ამავე წლებში კახეთის ექსპედიცია აგრძელებდა თანამშრომლობას გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის ევრაზიის განყოფილებასთან. გაგრძელდა დედოფლისწყაროს რ-ნის სოფ. თავწყაროსთან მდებარე ნამოსახლარის ტახტიფერდას შესწავლა. ამ ნამოსახლარის ქვედა ფენა შუაბრინჯაოს ხანით თარიღდება. ამავე დროს შესწავლილ იქნა გვიანბრინჯაო-ადრერკინის რამდენიმე ორმოსამარხი ამ ნამოსახლარის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სამაროვანზე

2005 წელს გადარჩენითი სამუშაოები ჩატარდა საგარეჯოს რაიონის სოფ. პატარძეულის ტერიტორიაზე, ადგილ „მწითლობის გორაზე", სადაც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ზიანდებოდა სხვადასხვა პერიოდის ორმოსამარხები. შედგა ამ ადგილის ტოპოგეგმა და გადარჩენის მიზნით შესწავლილ იქნა რამდენიმე ორმოსამარხი. შესწავლილი ორმოსამარხები ზოგადად ძვ.წ. I ათაწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. ამავე პერიოდის რამდენიმე ორმოსამარხი გაითხარა ზ. უსტიაშვილის საკარმიდამო ნაკვეთზე.

მაშავერას ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. კ. კახიანი) 2004 წელს საველე სამუშაოებს აწარმოებდა სოფ. განთიადში, ნაგზაურის ადრექრისტიანული ხანის საეკლესიო კომპლექსის ტერიტორიაზე და შუაბრინჯაოს ხანის ყორღანზე.

ადრექრისტიანული პერიოდის საეკლესიო კომპლექსის ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს გამოვლინდა და გაიწმინდა ფლეთილი ქვებით თიხის ხსნარზე ნაგები დამცავი ზღუდის კედლების ნაწილი. აქვე გაითხარა ამავე პერიოდის სამი სამარხი.

ადგილ ქარატაკში შესწავლილი იქნა ორმოიანი ყორღანი, რომელსაც 17,5 მ დიამეტრის წრიული ქვაყრილი ჰქონდა. ყორღანის კამერაში სხვადასხვა დონეზე აღმოჩნდა მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ჩონჩხის ნაწილები, შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი და წითელ ფონზე შავად მოხატული თიხის ჭურჭლის ნატეხები. ყორღანი გაძარცულია. მასში აღმოჩენილი მასალა შუაბრინჯაოს ხანით თარიღდება და თრიალეთურ კულტურას მიეკუთვნება.

2005 წელს ჯავახეთში, ფარავნის ტბასთან, სოფ. ტამბოვკასთან გაითხარა ყორღანი. ყორღანის ქვაყრილის დიამეტრი 29 მ-ია. ის შედგება ორი ნახევარსფერული ფორმის შიდა და გარეთა ქვაყრილისაგან. გარეთა ქვაყრილი გადადიოდა შიდა ქვაყრილზე, ხოლო მათ შორის სივრცე შევსებული იყო თიხის ფენით. ყორღანის კამერაში აღმოჩნდა დასაკრძალავი ხის ეტლის ნაშთი, ორი თიხის ჭურჭელი და მთლიანი ოქროსაგან დამზადებული ერთნახევრიანი ხვია. ძეგლი ადრეყორღანულ კულტურას მიეკუთვნება.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა თ ა გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა
A B B R E V I A T I O N S

აკც – არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბილისი.

ენიმკის მოამბე – ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე. თბილისი.

თსუ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მაცნე – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბილისი.

მსკა – მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.

მსკი – მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი. თბილისი.

სდსძ – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი.

სსმაე – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. თბილისი.

სსმმ – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

ფსაძ – ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.

ძიებანი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის სახელოის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი. თბილისი.

ძმ – ძეგლის მეგობარი. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება. თბილისი.

АбИЯЛИ – Абхазский институт истории, языка и литературы. Сухуми.

АИНГС – Археологические исследования на новостройках Грузинской ССР. Тбилиси.

ВДИ – Вестник древней истории. Институт всеобщей истории. Москва.

ИАНО – Известия Абхазского Научного Общества. Сухуми.

ИГАИМК – Известия Государственной академии истории материальной культуры. Москва–Ленинград.

ИКАМ – история и культура античного мира.

ИФЖ – Историко–филологический журнал. Ереван.

КСИА – Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Института археологии. Москва.

ПАИ – Полевые археологические исследования. Центр археологических исследований. Тбилиси.

РА – Российская археология. Институт археологии. Москва.

СА – Советская археология. Институт археологии. Москва.

САИ – Свод археологических источников. Археология СССР. Москва.

СЭ – Советская этнография. Институт этнографии. Москва.

ТОИПКГЭ – Труды отдела истории первобытной культуры Государственного Эрмитажа. Ленинград.

AA – Achäologische Anzeiger.

BCH – Bulletin de correspondance hellénique.

BEFAR – Bibliotheque des Ecoles Francaises d'Athenes et de Rome.

DAF – Documents d'Archéologie Franşaise.

DaM – Mamaszener Mitteilungen.

DOP – Dumbarton Oaks Paper.

EPROER – Etudes preliminaires aux religions orientales dans l'Empire Romain.

JbÖByz – Jahrbuch der Österreichischen Byzantinistik.

JRA – Journal of Roman Archaeology.

MM – Madrider Mitteilungen.

ავტორთა საყურადღებოდ

ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალში **„ძიებანი“** დაიბეჭდება ინსტიტუტის თანამშრომელთა სამეცნიერო სტატიები და ინსტიტუტის ცხოვრებასთან და საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მასალები.

ჟურნალში გათვალისწინებულია შემდეგი რუბრიკები: სტატიები, არქეოლოგიის თეორია, არქეოლოგიის ისტორია, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, ქრონიკა და სხვ.

რედაქცია იღებს სტატიებს 15-18 გვერდამდე. ამ გვერდების მოცულობაში შედის: სტატია 10-12 გვერდი, რეზიუმე სამ გვერდამდე, ლიტერატურის სია, საილუსტრაციო მასალა და მათი აღწერილობა. მივესალმებით სტატიების ელექტრონულ ვერსიებს, აკრეფილს LiteraturulyITV ან AcadNusx შრიფტით

სტატია განხილული უნდა იყოს განყოფილებაში და გამგის ხელმოწერით წარმოდგენილი რედაქციაში.

ლიტერატურა მითითებულ უნდა იყოს ტექსტში და ჩაიწეროს კვადრატულ ფრჩხილებში ტექსტის ბოლოში დართული ბიბლიოგრაფიის რიგითი ნომრით და გვერდით [7, გვ. 27]. მითითებული ლიტერატურის სია, ანბანზე დალაგებული და დანომრილი (ჯერ ქართული, შემდეგ რუსული და სხვა ენებზე), ერთვის სტატიას რეზიუმეს შემდეგ. ლიტერატურის მითითების დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობა: მონოგრაფია – ავტორის გვარი, ინიციალები, წიგნის სრული სახელწოდება, გამოცემის ადგილი და წელი; საჟურნალო სტატია – ავტორი, სტატიის სათაური, ჟურნალის სრული სახელწოდება, ტომი, ნომერი, გამოცემის ადგილი, წელი და სტატიის გვერდები; ხელნაწერი ნაშრომი – ავტორი, სათაური, წელი და სად ინახება. ლიტერატურა უნდა იყოს მითითებული შემდეგი ნიმუშის მი[ედვით: **ჯორბენაძე ბ.** ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. IV. ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში. თბ., 1982. **კვირკველია გ.** არქეოლოგიური აზროვნების ისტორიიდან: პროცესუალური არქეოლოგია. – ძიებანი, № 2, 1998, გვ. 93-110.

ლიტერატურის მითითება დედანში.

ცალკე ფურცელზე უნდა იყოს წარმოდგენილი შემოკლებათა განმარტება.

თუ სტატიას ახლავს შენიშვნა, ის ტექსტში უნდა იყოს მითითებული არაბული ციფრით და ჩატანილი სქოლიოში.

გრაფიკული საილუსტრაციო მასალა უნდა იყოს წარმოდგენილი დედანში, შესრულებული ვატმანის ქაღალდზე შავი ტუშით. ტაბულები უნდა დაინომროს და მათი აღწერა გაკეთდეს ქართულ ენაზე. საილუსტრაციო მასალა უნდა იყოს მითითებული ტექსტში მრგვალ ფრჩხილებში (ტაბ. I). ფოტო მასალა უნდა იყო მოწოდებული ციფრული ფორმატით, ან მაღალი ხარისხის ფოტოებით. მიიღება ნეგატივები და პოზიტიური ფირებიც (სლაიდები).

კორექტურის დროს ცვლილებების შეტანა აღარ შეიძლება!

თუ დაცული არ იქნება ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები, რედაქცია სტატიას არ განიხილავს.

რედაქციას აქვს უფლება გადასცეს სტატია სარეცენზიოდ.

ავტორს ეძლევა უფასოდ ერთი ჟურნალი.

სტატია უნდა ჩაბარდეს რედაქციის მდივანს ი.მ.კ. მ. ჩარკვიანს.

წელიწადში გამოიცემა ჟურნალ **„ძიებანის“** 2 ნომერი.

ჟურნალ **„ძიებანის“** სარედაქციო კოლეგია